ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

მალხაზ მაცაბერიძე

არჩევნები და საზოგადოება

„მეცნიერება“
თბილისი
2003

სერიის მთავარი რედაქტორი *მარინე ჩიტაშვილი*

რედაქტორი ლია კაჭარავა

საავტორო უფლება (copy right) ეკუთვნის ფონდს
„ლია საზოგადოება - საქართველო“

ISBN 99940-735-6-7

სარჩევი

შესავალი

ნაწილი I

არჩევნები: განვითარების ისტორიული გზა

თავი I. თავისუფალი არჩევნების იდეა წარმომადგენლობითი დემოკრატიის თეორიებში 23

§ 1. პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატია24
პირდაპირი დემოკრატია (24) წარმომადგენლობითი (რეპრეზენტაციული) დემოკრატია (26)

§ 2. ხალხის წარმომადგენლობის კონცეფციები 28
ხალხის წარმომადგენლობის თეორია (28) დემოკრატიის ლიბერალური თეორია (31) ლიბერალურ-დემოკრატიული და რადიკალურ-დემოკრატიული თეორიების დაპირისპირება დემოკრატიისა და არჩევნების როლის გააზრების საკითხში (32) ხალხი და წარმომადგენლები: ურთიერთობის კონცეფციები (34) წარმომადგენლობის კონცეფციების ფორმირების ისტორიიდან (37)

§ 3. არჩევნები და წარმომადგენლობითი დემოკრატიის საკვანძო საკითხები 41
არჩევნები და პარტიები (41) ხალხის უფლება და პოლიტიკური სტაბილურობა (42) არჩევნები და კონსტიტუციონალიზმი (44)

თავი II. არჩევნები და საარჩევნო პროცესი საუკუნეში 47

§ 1. საარჩევნო პროცესის თავისებურებანი XIX საუკუნის პირველ ნახევარში 47
საარჩევნო ცენზები (47) საფრანგეთის საარჩევნო სისტემა (49) დიდი ბრიტანეთის საარჩევნო სისტემა (52) აშშ-ის საარჩევნო სისტემა (54)

§ 2. ბრძოლა საარჩევნო სისტემის რეფორმისათვის XIX საუკუნის

შუახანებში 55
ცვლილებები საფრანგეთის საარჩევნო სისტემაში (55) ცვლილებები დიდი ბრიტანეთის საარჩევნო სისტემაში (59) გერმანული სახელმწიფოების საარჩევნო სისტემები (62) ცვლილებები აშშ-ის საარჩევნო კანონმდებლობაში (65) საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების ზოგადი დახასიათება (66)

§ 3. საარჩევნო პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევარში 67
ამომრჩევლები და საარჩევნო ცენზები (67) პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევნები (68) საარჩევნო ოლქები (69) ამომრჩეველთა სიები (70) საარჩევნო სისტემები (71) კანდიდატები (71) არჩევნების პროცედურა (73)

თ ა ვ ი III. დემოკრატიის კლასიკური თეორიების გადასინჯვა და არჩევნების როლის ახლებური გააზრება 78

§ 1. დაპირისპირება დემოკრატიის პლებისციტურ და რეპრეზენტაციულ თეორიებს შორის 79
დემოკრატიის პლებისციტარული და რეპრეზენტაციული თეორიები (79) არჩევნების როლი ელიტიზმის თეორიებში (80)

§ 2. არჩევნების როლი მაქს ვებერის პლებისციტური დემოკრატიის თეორიაში 81
დემოკრატიული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობები (81) მასობრივი დემოკრატია და ბიუროკრატიზაცია (82) პლებისციტური დემოკრატიის არსი (82) პლებისციტური დემოკრატიის გამოცდილება (83) პლებისციტური დემოკრატიის თეორიის მნიშვნელობა (85)

§ 3. არჩევნები იოზეფ შუმპეტერის კონკურენტული დემოკრატიის თეორიაში 85
დემოკრატიის კლასიკური თეორიის კრიტიკა (86) დემოკრატიის „რეალისტური" („ემპირიული") თეორია (87) ამომრჩეველთა როლი დემოკრატიის შუმპეტერისეულ თეორიაში (89) დემოკრატიის წარმატებული ფუნქციონირების პირობები (92) დისკუსია შუმპეტერის თეორიის გარშემო (93)

თ ა ვ ი IV. არჩევნების ინსტიტუტი დემოკრატიის თანამედროვე თეორიებში 97

§ 1. არჩევნები დემოკრატიის პლურალისტურ თეორიაში 98
დემოკრატია: ძირითადი მიდგომები (98) დემოკრატიის პლურალის-

ტური თეორიების არსი (99) დემოკრატიის პლურალისტური თეორიების დამახასიათებელი ნიშნები (100) დემოკრატიის პლურალისტური თეორიის სუსტი მხარეები (101) დემოკრატიის ვესტმინსტერული და კონსესუსური მოდელები (102)

§ 2. არჩევნები პარტიციპატორული (მონაწილეობის) დემოკრატიის თეორიაში 103

პარტიციპატორული დემოკრატიის თეორიის წარმოშობის მიზეზები (103) მონაწილეობის დემოკრატიის თეორიის არსი (104) მონაწილეობის დემოკრატია: თეორია და პრაქტიკა (105)

§ 3. რობერტ დალის პოლიარქიული დემოკრატიის მოდელი 107

პოლიარქიის თეორიის არსი (107) პოლიარქიის ინსტიტუტები (108) გადაწყვეტილებების მიღება პოლიარქიის დროს (108)

§ 4. არჩევნები დემოკრატიის სხვა თეორიებში 110

ე.დაუნსის დემოკრატიის ეკონომიკური მოდელი (110) „ადამიანის უფლებების" დემოკრატიული მოდელი (111) ინტეგრარულ-კორპორაციული დემოკრატიის მოდელი (112)

თავი V. დემოკრატია და არჩევნები საუკუნის დამდეგს 115

§ 1. დემოკრატია როგორც ცივილიზაციური ფენომენი 115

დემოკრატია — ევროპული ცივილიზაციის ნაყოფი (115) დემოკრატია და კულტურულ-ცივილიზაციური ფაქტორი (116) დემოკრატიის პერსპექტივები არადასავლურ ცივილიზაციებში (117) არადასავლური ცივილიზაციების დემოკრატიასთან დამოკიდებულების მოდელები (118)

§ 2. დემოკრატიზაციის მესამე ტალღის პრობლემები და პერსპექტივები 119

დემოკრატიზაციის მესამე ტალღა (119) დემოკრატიზაციის პრობლემები და პერსპექტივები (121) ავტორიტარიზმის უკუტალღის შესაძლებლობა (122) უკუქცევა და მეოთხე ტალღის პერსპექტივა (123)

§ 3. არჩევნები: ახალი ტენდენციები დემოკრატიულ ქვეყნებში 124

აშშ: 2000 წლის საარჩევნო კამპანია (124) დიდი ბრიტანეთი: საარჩევნო სისტემის რეფორმა (126) საფრანგეთი: ცვლილებები ამომრჩეველთა ქცევაში (128) ცვლილებები იტალიის საარჩევნო სისტემაში (132) გერმანია: პარტიების კრიზისი და ცვლილებები ამომრჩეველთა ქცევაში (133) დემოკრატიის განვითარების ახალი სტადიის პერსპექტივები (134)

§ 4. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და დემოკრატია 136
საინფორმაციო საზოგადოების ცნება (136) საინფორმაციო ტექნოლოგიები და პოლიტიკური რეჟიმები (137) სახელმწიფო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სფეროები (138) ელექტრონული დემოკრატიის თეორია (139)

ნაწილი II.

არჩევნები და საზოგადოების პოლიტიკური სისტემა

თავი VI. არჩევნების როლი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში 145

§ 1. არჩევნები როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი 145
პოლიტიკური ინსტიტუტის არსი (145) არჩევნების როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის სტრუქტურა (146) არჩევნები — პოლიტიკური სისტემის განახლების ტექნოლოგია (149) არჩევნების პოლიტიკურ-სამართლებრივი როლი (150) არჩევნების არაორდინალური თეორიები (151)

§ 2. არჩევნების თავისებურებანი და ეფექტიანობის პირობები 153
არჩევნების თავისებურებანი (153) არჩევნებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების შესახებ (154) არჩევნების ეფექტიანობის პირობები (156)

§ 3. რეფერენდუმი 158
რეფერენდუმი და პლებისციტი (158) არჩევნები და რეფერენდუმი: მსგავსება და განსხვავება (160) რეფერენდუმის სახეები (161) რეფერენდუმი საქართველოში (162) რეფერენდუმის ორგვარი ბუნება (163) რეფერენდუმისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ (164)

თავი V არჩევნების სახეები და კლასიფიკაციები 168

§ 1. არჩევნების მრავალნაირობა 168
არჩევნების სახეები (168) პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევნები (168) ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი არჩევნები (170) საარჩევნო ტურები (171) მორიგი და რიგგარეშე არჩევნები (171) საყოველთაო, ნაწილობრივი და დამატებითი არჩევნები (172) შუალედური არჩევნები (173) პრაიმერიზი (173) არჩევ-

ნების კლასიფიკაციები დემოკრატიულობის ხარისხის მიხედვით (174) არჩევნების პერიოდულობა (174)

§ 2. **საპრეზიდენტო არჩევნები 176**
პრეზიდენტის არჩევის გზები (176) პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ (176) პრეზიდენტის არჩევა ხალხის მიერ (178) პრეზიდენტის არჩევა ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ (180) პრეზიდენტის არჩევა სპეციალური ორგანოს მიერ (181) მოთხოვნები პრეზიდენტობის კანდიდატისადმი (181)

§ 3. **პარლამენტის არჩევნები 182**
პარლამენტი —წარმომადგენლობითი ორგანო (182) პარლამენტის სტრუქტურა (183) პარლამენტის ფორმირების გზები (185)

§ 4. **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები 187**
თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება (187) დეპუტატობის კანდიდატები (187) თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პერიოდულობა (188) სადეპუტატო მანდატების შეთავსების საკითხი (189)

თ ა ვ ი VIII არჩევნების როლი დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში 191

§ 1. **არჩევნების ფუნქციები დემოკრატიის პირობებში 191**
დემოკრატიული არჩევნების არსი (191) წარმომადგენლობითი სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა (192) საზოგადოების სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველყოფა (194) მოქალაქეთა აქტიურობისა და ხელისუფლების კონტროლის უზრუნველყოფა (196)

§ 2. **თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ძირითადი პრინციპები 198**
დემოკრატიული არჩევნების ძირითადი პრინციპების ზოგადი დახასიათება (198) არჩევნების საყოველთაობა (199) თანასწორი საარჩევნო უფლება (207) არჩევნების ფარულობა (210) პირდაპირი კენჭისყრა (212)

§ 3. **არჩევნების დემოკრატიული ორგანიზების საერთო პრინციპები 214**
არჩევნების თავისუფლება (215) არჩევნები ალტერნატიული კანდიდატების არსებობით (217) არჩევნების კონკურენტულობა (217) პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების შესაძლებლობათა თანასწორობა (218) არჩევნების პერიოდულობა და რეგულარულობა (218) საზოგადოების მხრიდან კონტროლის შესაძლებ-

ლობა (219) საბოლოობა (219) წარმომადგენლობითობა (219) ლოიალური ოპოზიციის პრინციპი (219)

თავი IX არჩევნები არადემოკრატიულ და გარდამავალ საზოგადოებებში 223

§ 1. არჩევნები როგორც პოლიტიკური მანიპულირების იარაღი 223
არადემოკრატიული არჩევნების ფენომენი (223) არჩევნების ინსტიტუტის ტიპოლოგია (224) არჩევნები ტოტალიტარიზმის პირობებში (225) არჩევნები და ცრუკონსტიტუციონალიზმი (226) არჩევნები ავტორიტარიზმის პირობებში (227)

§ 2. არჩევნები როგორც დემოკრატიაზე გადასვლის ინსტრუმენტი 231
არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიის დამკვიდრების თვალსაზრისით (231) არჩევნები და პოლიტიკური ძალადობა (232) არჩევნების მეშვეობით დემოკრატიაზე გადასვლის სქემა (233)

§ 3. არჩევნები გარდამავალ საზოგადოებებში 235
პროტესტული დემოკრატიის პრობლემები (235) მარგინალური ფენები და დემოკრატია (236) დემოკრატიის პერსპექტივები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (236)

ნაწილი III

არჩევნები და პოლიტიკური მონაწილეობა 240

თავი X. არჩევნები როგორც პოლიტიკური მონაწილეობა 240

§ 1. საარჩევნო პროცესი და პოლიტიკური მონაწილეობა 240
პოლიტიკური მონაწილეობის არსი (240) ელექტორალურ პროცესში მონაწილეობის თავისებურებანი (241) ელექტორალური ქცევის ტენდენციები (241)

§ 2. მონაწილეობის სახეები საარჩევნო კამპანიის დროს 242
ხმის მიცემა (243) პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობა (243) პირადი კონტაქტები პოლიტიკოსებთან (244)

§ 3. ამომრჩეველთა ტიპები, ქცევის სტრუქტურა და ცვლადები 244

ამომრჩეველთა ტიპები (244) ამომრჩეველთა ქცევის სტრუქტურა (245) ამომრჩეველთა ქცევის ცვლადები (247) ცვლადების ურთიერთქმედება (252)

თავი XI არჩევნები და პოლიტიკური აპათია 255

§ 1. აპათია რაციონალური მონაწილეობის თეორიის თვალსაზრისით 255

მონაწილეობის კრიზისი (255) არჩევნები და რაციონალური მონაწილეობის თეორია (255) სიტუაცია, როცა ხმის მიცემის ფასი ნულს უდრის (256) სიტუაცია, როდესაც ხმის მიცემა დანახარჯებს მოითხოვს (258) რაციონალური ამომრჩევლის ქცევის მოდელი (260) ამომრჩეველთა ქცევის ირაციონალური ასპექტები (262)

§ 2. აპათია სოციალურ-პოლიტიკური მოდერნიზაციის თვალსაზრისით 263

აპათია გარდამავალ სისტემებში (263) აპათია მოდერნიზების პროცესში მყოფ შეჯიბრებად სისტემებში (264) ახალი რაციონალური მონაწილეობის პერსპექტივა (266)

§ 3. აბსენტიზმი: მიზეზები და დაძლევის გზები 269

აბსენტიზმის მიზეზები (269) არჩევნების სავალდებულობა (270)

თავი XII. არჩევნები და მობილიზაცია 274

§ 1. ავტონომიური და მობილიზებული მონაწილეობა 274

მობილიზაციური მონაწილეობის არსი (274) ავტორიტარული და შეჯიბრებადი მობილიზაცია (275)

§ 2. „მობილიზებული ამომრჩეველი" 276

„მასობრივი" და „ყურადღებიანი" პუბლიკა 277 „მობილიზაციის უნარი" (278) „პოლიტიკური ყურადღებიანობა" (278) „ყურადღებიანი" და „მობილიზებული" პუბლიკა (279) პოლიტიკური გულისხმიერების ხასიათი (279)

§ 3. „მობილიზებადი" ამომრჩეველი: ემპირიული გამოკვლევები 281

„ყურადღებიანი" და „მობილიზებული" პუბლიკის მსგავსება (281) მოქალაქეთა „აღქმები" (282) „მიმდინარე ვალდებულებები" (283)

§ 4. მამობილიზებელი მოწოდების სტრუქტურა 283
„მობილიზაციის აგენტის მოწოდება“ (283) „საზოგადოებრივი პრობლემებისადმი მოწოდება“ (284) კონფლიქტი და ამომრჩეველთა მობილიზება (284)

ნაწილი IV

საარჩევნო პროცესი და საარჩევნო სისტემები 287

თავი XIII. საარჩევნო პროცესი 287

§ 1. საარჩევნო პროცესის არსი და ძირითადი სტადიები 287
რა არის საარჩევნო პროცესი (287) საარჩევნო პროცესის პრინციპები (288) საარჩევნო პროცესის ძირითადი სტადიები (290) საარჩევნო პროცესის ზოგადი სურათი (292) არჩევნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო (293)

§ 2. არჩევნების დანიშვნადა საარჩევნო ინფრასტრუქტურის შექმნა 296
არჩევნების დანიშვნა (296) საარჩევნო ინფრასტრუქტურის შექმნა (297)

§ 3. საარჩევნო ორგანოები და ამომრჩეველთა რეგისტრაცია 301
საარჩევნო ორგანოების სახეები (301) ამომრჩეველთა რეგისტრაცია (302) ამომრჩეველთა სიები (304)

§ 4. კანდიდატების წამოყენება და საარჩევნო კამპანია 304
კანდიდატების წამოყენების პროცედურა (305) საარჩევნო საწინდარი (308) მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი (308) წინასაარჩევნო კამპანია (310)

§ 5. არჩევნების დაფინანსების საკითხები 311
საარჩევნო კამპანის ღირებულების ზრდის საკითხები (311) საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წყაროები (312) წინასაარჩევნო ხარჯების შეზღუდვის მცდელობები (313)

§ 6. ხმის მიცემა და არჩევნების შედეგების შეჯამება 315
ფარული და ღია ხმის მიცემა (316) ხმის მიცემის ტიპები (317) საარჩევნო ბიულეტენები (317) საარჩევნო მანქანები (318) ხმის მიცემის პროცესი (318) ხმის მიცემის შედეგების შეჯამება (320) საარჩევნო თაღლითობანი (321)

თავი XIV. საარჩევნო სისტემები 324

§ 1. საარჩევნო სისტემის არსი 324

საარჩევნო სისტემა — პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი (324) საარჩევნო სისტემის ცნების ფართო და ვიწრო მნიშვნელობა (325) საარჩევნო სისტემის ძირითადი ტიპები (325)

§ 2. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა 327

მაჟორიტარული სისტემის არსი (327) შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა (327) აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა (328) კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა (330) ერთადერთი არაგარდამავალი ხმის სისტემა (331) კუმულიატური ვოტუმი (332) მაჟორიტარული სისტემის ღირსებები და ნაკლოვანებები (333)

§ 3. პროპორციული საარჩევნო სისტემა 335

პროპორციული საარჩევნო სისტემის არსი (335) პროპორციული სისტემების ღირსებები და ნაკლოვანებები (336) გადამლობი ბარიერები (338) საარჩევნო კვოტა (338) პარტიული სიები (340)

§ 4. შერეული საარჩევნო სისტემები 342

შერეული საარჩევნო სისტემის არსი (342) შერეული საარჩევნო სისტემის სახეები (343) კონსესუსური საარჩევნო სისტემა (344)

§ 5. საარჩევნო სისტემის ზეგავლენა პოლიტიკურ რეჟიმზე 344

საარჩევნო და პარტიული სისტემების ურთიერთკავშირი (344) საარჩევნო სისტემა და აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანობა (346) საარჩევნო სისტემა და მმართველობის ფორმა: ეფექტიანი შეხამებების ძიება (347)

თავი XV. საარჩევნო სისტემის ფუნქციონირების საკითხები 351

§ 1. პოლიტიკური მანქანა 351

პოლიტიკური მანქანის არსი (351) პოლიტიკური მანქანა და კანდიდატი (352) პოლიტიკური მანქანის საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები (354) პოლიტიკური მანქანის მნიშვნელობის შემცირება (355)

§ 2. საარჩევნო ფილტრები 356

საარჩევნო ფილტრების დანიშნულება (356) საარჩევნო ფილტრების

სახეები (356) საარჩევნო ფილტრების დისფუნქცია და მისი შედეგები (359)

§ 3. საარჩევნო ინსტიტუტების დისფუნქციები 360

პოლიტიკური ინსტიტუტების დისფუნქცია (360) საარჩევნო კამპანიის დისფუნქციის არსი (360) საარჩევნო კამპანიის დისფუნქციის სახეები (361) არჩევნების სამართლიანობისა და ობიექტურობის მიღწევის გზები (363)

ნაწილი IV

არჩევნები საქართველოში 367

თავი XVI. საქართველოს საარჩევნო სისტემის ისტორიიდან 367

§ 1. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები 367

დამფუძნებელი კრების არჩევნების პირობები (367) დამფუძნებელი კრების არჩევნების მიმდინარეობა (369) დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები (370)

§ 2. საარჩევნო სისტემა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში 371

საარჩევნო ასაკი (372) საარჩევნო ოლქები (372) ვის წარმოადგენს პარლამენტარი (374) შეზღუდული პარლამენტარიზმი (374) პარლამენტის სრულხელისუფლებიანობა (375) პარლამენტართა რაოდენობა (376) პარლამენტის პალატების რაოდენობა (376) პარლამენტის ვადა (377) პრეზიდენტის ინსტიტუტი (378) დღევანდელი გადასახედიდან (379)

§ 3. საქართველოს საარჩევნო სისტემის ტრანსფორმაცია XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში 379

1990 წლის 11 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნები (380) საქართველოს საარჩევნო სისტემა 1990-1991 წლების კონსტიტუციით (380) 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები (382) კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" (384) 1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები (384) 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები (388)

თავი XVII. საქართველოს თანამედროვე საარჩევნო სისტემა 391

§ 1. საქართველოს თანამედროვე საარჩევნო სისტემის ფორმირების საკითხები 391

საარჩევნო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები (391) საარჩევნო კანონმდებლობის ამოცანები (391) არჩევნების ამოსავალი პრინციპები (392)

§ 2. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები 393

არჩევნების ვადები (393) მოთხოვნები პრეზიდენტობის კანდიდატისადმი (393) პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა (393) პრეზიდენტობის კანდიდატის საქმიანობის გარანტიები (394) საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შეჯამება (394) პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები (395)

§ 3. საქართველოს პარლამენტის არჩევნები 396

საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა და სტრუქტურა (396) საქართველოს პარლამენტის არჩევის წესი (396) პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის პირობები (397) პარტიული სიები (398) პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენა (398) პროპორციული არჩევნების პირობები (399) მაჟორიტარი კანდიდატების არჩევნები (400)

§ 4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები 400

თვითმმართველობის ორგანოების არჩევის პირობები (400) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში არჩევის კანდიდატები (401) არჩევნებში მონაწილე სუბიექტები (401) თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების დადგენა (403)

დანართები

არჩევნები 406

აბსენტიზმი (406) ალტერნატიული ხმის მიცემა (406) ამომრჩეველი (406) ამომრჩეველთა კატეგორიები (406) ამომრჩეველთა მოსყიდვა (407) არაპირდაპირი არჩევნები (407) არჩევნები (407) არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოქვეყნება (408) არშემდგარი არჩევნები (408) აქტიური საარჩევნო უფლება (408)

„ვადამლობი ბარიერი“ (408) განმეორებითი არჩევნები (409) დებატები (409) ელექტორატი (409) ელექტორალური იუსტიცია (409) ელექტორალური ქცევის ფაქტორები (410) ვადამდელი არჩევნები (410) თანაბარი საარჩევნო უფლება (410) ინტერვიუ (411) კანდიდატი (411) კანდიდატების სია (411) კანდიდატების წამოყენება (411) მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა (411) მეთვალყურე (411) მოქალაქეთა საარჩევნო უფლებები (412) მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების გარანტიები (412) მუნიციპალური არჩევნები (412) ნდობით აღჭურვილი პირები (412) პასიური საარჩევნო უფლება (412) პირდაპირი საარჩევნო უფლება (413) პოლიტიკური რეკლამა (413) პრეზიდენტის არჩევნების თანამედროვე სისტემები (413) პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადები (413) პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის შეზღუდვის სახეები (414) პროპორციული საარჩევნო სისტემა (414) რეფერენდუმი (415) საგიტაციო მასალები (415) საარჩევნო გაერთიანება (415) საარჩევნო ბლოკი (415) საარჩევნო ბიულეტენი (415) საარჩევნო ვოტუმი (416) საარჩევნო გეოგრაფია (416) საარჩევნო ბრძოლა (416) საარჩევნო კამპანია (416) საარჩევნო კვოტა (417) საარჩევნო კოდექსი (418) საარჩევნო კომისია (417) საარჩევნო კორპუსი (417) საარჩევნო კურიები (418) საარჩევნო მეტრი (418) საარჩევნო მოძრაობა(418) საარჩევნო ოლქი (418) საარჩევნო ორგანოები (418) საარჩევნო პროცესი (418) საარჩევნო პროცედურა (419) საარჩევნო სისტემა (419) საარჩევნო უბანი (420) საარჩევნო ფონდი (420) საარჩევნო ცენზები (420) საარჩევნო ხელისუფლება (421) საარჩევნო და პარტიული სისტემების ურთიერთკავშირის კანონები (421) საყოველთაო საარჩევნო უფლება (421) ხმის მიცემის (კენჭისყრის) შედეგები (421) „ტვილდუმი და ტვილდი“ (422) უდავო არჩევნები (422) შერეული საარჩევნო სისტემა (422) წინასაარჩევნო აგიტაცია (422) ჯერიმენდერინგი (422)

პოლიტიკური სისტემა 423

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი (423) განვითარების მოდელები (423) დემოკრატიის ფორმები (423) დემოკრატიზაციის ზოგადი მოდელები (424) დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი (424) დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შინაგანი წინააღმდეგობები და საფრთხეები (425) დიქტატორული ტირანიები (425) კლერიკალური რეჟიმები (425) მონაწილეობის კულტურა (425)

მონოკრატიული რეჟიმი (426) მოქალაქეობრიობის კულტურა (426) მრავალპარტიულობა (427) პარლამენტი (427) პარტიციპატორული დემოკრატია (428) პარტოკრატია (428) პლებისციტარული დემოკრატიის კონცეფცია (429) პოლიტიკური პლურალიზმი (429) პოლიტიკური პროცესი (430) პოლიტიკური რეჟიმი (430) პოლიტიკური სისტემა (430) რაიტოკრატია (430) რეპრეზენტაციული (წარმომადგენლობითი) დემოკრატია (430) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა (431) სამხედრო რეჟიმი (432) საპარლამენტო მონარქია (432) საპრეზიდენტო რესპუბლიკა (432) საპარლამენტო რესპუბლიკა (432) სამართლებრივი სახელმწიფო (433) სამოქალაქო საზოგადოება (433) სოციალური სახელმწიფო (434) სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა (434) ღია პოლიტიკური პროცესი (434) ფარული პოლიტიკური პროცესი (434) ხელისუფლების დანაწილების ფორმები (435) ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი (435)

განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების საარჩევნო სისტემები 436

ამერიკის შეერთებული შტატები (436) ბელგია (440) გერმანია (442) დიდი ბრიტანეთი (444) ესპანეთი (446) ისრაელი (447) იტალია (447) ნიდერლანდები (449) პორტუგალია (451) საბერძნეთი (452) საფრანგეთი (454) შვედეთი (455) შვეიცარია (456)

პოსტსაბჭოური ქვეყნების საარჩევნო სისტემები 457

აზერბაიჯანი (457) ბელორუსია (459) ესტონეთი (460) თურქმენეთი (461) ლატვია (462) ლიტვა (463) მოლდოვა (464) რუსეთი (464) სომხეთი (467) ტაჯიკეთი (468) უზბეკეთი (469) უკრაინა (469) ყაზახეთი (471) ყირგიზეთი (473)

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საარჩევნო სისტემები 474

ბულგარეთი (474) იუგოსლავია (475) პოლონეთი (475) რუმინეთი (476) სლოვაკეთი (477) უნგრეთი (477) ჩეხეთი (479)

ლათინური ამერიკის ქვეყნების საარჩევნო სისტემები 480

ბრაზილია (480) კუბა (482) მექსიკა (482)

აზიის ქვეყნების საარჩევნო სისტემები 483

თურქეთი (483) ვიეტნამი (484) იაპონია (484) ინდოეთი (486) მონღოლეთი (486) ჩინეთი (487)

შესავალი

კაცობრიობის ისტორიაში არჩევნებსა და საარჩევნო პროცედურებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. დემოკრატიული არჩევნების ინსტიტუტი საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. ის ემყარება ერთი მხრივ, ფილოსოფიური, პოლიტიკური და იურიდიული აზრის განვითარებას, მეორე მხრივ კი — დემოკრატიული ქვეყნების პოლიტიკურ პრაქტიკას. მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების სტრუქტურების ფორმირებაში, თანამედროვე საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებული ნორმაა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ინსტიტუტი უძველესი დროიდან არსებობს, მეცნიერება არჩევნების შესახებ — პსეფოლოგია — სულ რაღაც ნახევარი საუკუნის ისტორიას ითვლის. არჩევნების როლი და ადგილი საზოგადოების განვითარების პროცესში, მისი სახეები, კანონები, რომლებიც არჩევნებს მართავენ სხვადასხვა საარჩევნო სისტემები, კანდიდატებისა და ამომრჩეველთა ქცევა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი საარჩევნო კამპანიებში — ეს ყოველივე წარმოადგენს პსეფოლოგიის კვლევის საგანს — როგორც ცალკე აზრი ქვეყნების ფარგლებში, ისე სხვადასხვა ქვეყნების შედარების გზით.

თითოეული ქვეყანა თავისებურად გაივლის პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას. დღეისათვის ზოგ მათგანს სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობის საუკუნოვანი გამოცდილება აქვს, ზოგი მხოლოდ ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს დემოკრატიზაციის მიმართულებით.

არჩევნებსა და საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, რომელსაც არათუ თითქმის არ აქვს მოქმედი დემოკრატიული ტრადიციები, არამედ ათწლეულების მანძილზე ცრუკონსტიტუციონალიზმის პირობებში უხდებოდა ცხოვრება, არჩევნები კი მოკლებული იყო თავის ჭეშმარიტ დემოკრატიულ არსს.

მდგომარეობა უკეთესობისაკენ, პრინციპში, ბევრად არც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეცვლილა. ხელისუფლებამ და

მთლიანად პოლიტიკურმა სპექტრმა, ფაქტობრივად ყველაფერი გააკეთა ხალხის თვალში არჩევნების ინსტიტუტის დისკრედიტებისათვის.

სალექციო კურსი **„არჩევნები და საზოგადოება“** კომპლექსურ ხასიათს ატარებს. განხილული საკითხები დღეისათვის დამკვიდრებული პრაქტიკით გაფანტულია სხვადასხვა სასწავლო დისციპლინების ფარგლებში. მაგალითად, პრობლემატიკა, რომელიც განიხილება მოცემული კურსის თემაში „არჩევნების იდეა დემოკრატიის თეორიებში“ ტრადიციულად მოქცეულია პოლიტიკური ფილოსოფიის, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ფარგლებში. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ კურსების შესწავლის დროს ყურადღების გამახვილება ხერხდება არჩევნების ინსტიტუტის თეორიული გააზრების საკითხებზე.

თემები — „არჩევნების როლი დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში“, „არჩევნები არადემოკრატიულ და გარდამავალ საზოგადოებებში“, „არჩევნები და პოლიტიკური მონაწილეობა“ უმეტესად პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა შესავალი კურსების ფარგლებში განიხილება, მაგრამ არა ყოველთვის.

თემები — „საარჩევნო პროცესი“ და „საარჩევნო სისტემები“, „საქართველოს საარჩევნო სისტემა“, როგორც წესი, მოქცეულია ზოგადად კონსტიტუციური სამართლის, კონკრეტულად კი, საარჩევნო სამართლის ფარგლებში.

თითოეული ზემოთ აღნიშნული თემის ფარგლებში ფაქტობრივად სხვადასხვა კუთხით შუქდება ერთი და იგივე პრობლემატიკა, რომელიც არჩევნებსა და საზოგადოებაში მის ადგილს უკავშირდება. ამ საკითხების ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში განხილვა შესაძლებლობას იძლევა მთლიანობაში იქნეს გააზრებული არჩევნების ინსტიტუტის მნიშვნელობა, მისი ფუნქციები და როლი თანამედროვე საზოგადოებაში.

წარმოდგენილი სალექციო კურსი, განხილული საკითხების ლოგიკის შესაბამისად, რამდენიმე ნაწილადაა გაყოფილი . თითოეულ ნაწილში მოქცეულია საკითხთა გარკვეული წრე, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანწილად ერთმანეთიდან გამომდინარეობს. ამავე დროს ყველა ნაწილი, ერთობლიობაში, სხვადასხვა კუთხით ახასიათებს არჩევნების ინსტიტუტს და მისი ყოველმხრივი გააზრების საშუალებას იძლევა.

სალექციო კურსის პირველ ნაწილში — **„არჩევნები: განვითარების ისტორიული გზა“** — განხილულია არჩევნების ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები. პირველ რიგში, ნაჩვენებია განსხვავება

პირდაპირსა და წარმომადგენლობით დემოკრატიას შორის, აღწერილია თუ როგორ ჩამოყალიბდა **წარმომადგენლობითი დემოკრატიის კონცეფცია** და აქედან გამომდინარე, როგორ მოხდა არჩევნების ინსტიტუტის გააზრება ახალი დროის პოლიტიკურ თეორიებში.

სალექციო კურსის მეორე თავში განხილულია **არჩევნები და საარჩევნო პროცესი XIX საუკუნეში.** ეს არის უაღრესად საინტერესო პერიოდი, როდესაც პრაქტიკულად თანამედროვე ხასიათი მიიღო არჩევნების ინსტიტუტმა და საარჩევნო პროცედურებმა. ეს ყველაფერი მიმდინარეობდა მწვავე პოლიტიკური დაპირისპირებისა და ბრძოლის, თეორიული დებულებების პრაქტიკული განხორციელების მცდელობის და საარჩევნო პრაქტიკიდან გამომდინარე, არჩევნების თეორიული გააზრეების გაღრმავებისა და დაზუსტების გზით. სწორედ XIX საუკუნის არჩევნების ისტორიის შესწავლა იძლევა შესაძლებლობას არა უბრალოდ დავიმახსოვროთ, არამედ ღრმად გავიაზროთ საარჩევნო პროცესის მრავალი ასპექტი, გავიგოთ მისი ჩამოყალიბების შინაგანი ლოგიკა, ვიცოდეთ, თუ რატომ არსებობს იგი ამ სახით და არა სხვანაირად.

მომდევნო თავი — **„დემოკრატიის კლასიკური თეორიების გადასინჯვა და არჩევნების როლის ასლებური გააზრება"** — ლოგიკურად გამომდინარეობს წინა თავებიდან. XX საუკუნის დამდეგისათვის შეიცვალა როგორც თავად საზოგადოება, ისე არჩევნების ინსტიტუტი. ნათქვამი გასაგები გახდება, თუკი ერთმანეთს შევადარებთ დემოკრატიულ რეჟიმებს XIX საუკუნის დასაწყისში და XX საუკუნის დამდეგს. თავიდან წარმომადგენლობითი დემოკრატია, სხვადასხვა ცენზების არსებობის გამო, ელიტარულ ხასიათს ატარებდა. შემდგომ კი დემოკრატიამ მასობრივი ხასიათი მიიღო საყოველთაო საარჩევნო უფლებების დამკვიდრებისა და საარჩევნო პროცესში პოლიტიკური პარტიების აქტიური ჩართვის გამო.

გასაგებია, რომ მომხდარი ცვლილებები განსხვავებულ დატვირთვას ანიჭებდა არჩევნების ინსტიტუტს და მოითხოვდა მის ახელებურად გააზრებას. დემოკრატიის კლასიკური თეორიები უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალ რეალობას. მოცემულ თავში ნაჩვენებია არჩევნების ინსტიტუტის როლი ელიტიზმის თეორიებში, განხილულია მ.ვებერის პლებისციტური დემოკრატიისა და ი.შუმპეტერის კონკურენტული დემოკრატიის კონცეფციები.

სალექციო კურსის IV თავი წინა თავის გაგრძელებას წარმოადგენს. მასში ნაჩვენებია, თუ როგორ არის წარმოდგენილი **არჩევნების ინსტიტუტი დემოკრატიის თანამედროვე თეორიებში.** დემოკრატიის

თანამედროვე თეორიებში იგულისხმება XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული კონცეფციები. ეს თეორიები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მათ ჩამოყალიბებასა და განვითარებას საფუძვლად დაედო როგორც თანამედროვე დემოკრატიის გააზრება, ისე ალტერნატიულ თეორიებთან დისკუსია.

სალექციო კურსის V თავი ეძღვნება იმ პრობლემატიკის განხილვას, რომელიც, უკავშირდება **დემოკრატიისა და არჩევნების საკითხებს XXI საუკუნის დამდეგს.** ესაა დემოკრატიის, როგორც ცივილური ფენომენის გააზრება, არჩევნებთან და საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ახალი ტენდენციები დემოკრატიულ ქვეყნებში და დემოკრატიზაციის მესამე ტალღის პრობლემები და პერსპექტივები.

სალექციო კურსის მე-2 ნაწილი — **„არჩევნები და საზოგადოების პოლიტიკური სისტემა"** — აერთიანებს იმ საკითხების გააზრებას, რომლებიც უკავშირდებიან არჩევნების არსსა და სახეებს, არჩევნების როლს დემოკრატიულსა, არადემოკრატიულსა და გარდამავალ საზოგადოებებში. ეს საკითხები გაშუქებულია სალექციო კურსების VII—X თავებში.

სალექციო კურსის VI თავში **„არჩევნების როლი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში"** ნაჩვენებია არჩევნების ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა წარმომადგენლობითი სისტემის პირობებში, განხილულია არჩევნების ეფექტიანობის პირობები, ცალკე გამოყოფილია რეფერენდუმი, რომელიც, რიგ შემთხვევებში, წარმოდგება არჩევნების სპეციფიკურ სახეობად. ასევე განხილულია არჩევნების რამდენიმე არაორდინალური თეორია, რომლებიც კარგად აჩვენებენ არჩევნების, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის გააზრებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, ისევე როგორც სხვადასხვა ფაქტორების, ერთი შეხედვით, მოულოდნელი კავშირების გამოვლენის მცდელობებს.

სალექციო კურსის VII თავში განხილულია **არჩევნების სახეები და სხვადასხვა კლასიფიკაციები.** ყურადღება გამახვილებულია საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დახასიათებაზე.

სალექციო კურსის VIII თავში ნაჩვენებია **არჩევნების როლი დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში.** აქ განხილულია არჩევნების მრავალფეროვანი ფუნქციები თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ძირითადი პრინციპები და არჩევნების დემოკრატიული ორგანიზების საერთო პრინციპები.

სალექციო კურსის მეორე ნაწილის ბოლო IX თავი ეთმობა **არჩევნების როლისა და ფუნქციების ჩვენებას არადემოკრატიულსა და გარდამავალ საზოგადოებებში.** დემოკრატიის იდეალების მიმზიდვე-

ლობის ზრდასა და დემოკრატიის წარმატებებთან ერთად, არჩევნების ინსტიტუტის აქტიური გამოყენება დაიწყეს თავისი არსით ავტორიტარულმა და ტოტალიტარულმა რეჟიმებმა. ცხადია, არჩევნების ფუნქციები და დანიშნულება ასეთ საზოგადოებაში მკვეთრად განსხვავდება დემოკრატიული არჩევნებისაგან. ცრუკონსტიტუციონალიზმის პირობებში არჩევნები ასრულებს პროპაგანდისტულ-მანიპულატორული, რეჟიმის „დემოკრატიულ დეკორაციას" და სხვა მსგავს ფუნქციებს, თუმცა, გარკვეულ პირობებში, არჩევნები შეიძლება იქცეს დემოკრატიაზე გადასვლის ინსტრუმენტად. ცალკე განხილვის საგანია არჩევნები გარდამავალ საზოგადოებებში, რომლებიც ავტორიტარიზმსა და დემოკრატიას შორის არიან მოქცეულნი და სხვადასხვა დოზით ახამებენ ამ ორი განსხვავებული პოლიტიკური სისტემის ელემენტებს. ამგვარი რეჟიმი ან შეძლებს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებისკენ შემდგომი ნაბიჯების გადადგმას, ან სხვადასხვა ფორმით დაუბრუნდება ავტორიტარულ მმართველობას. ამგვარ გარდამავალ საზოგადოებას წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს საზოგადოება.

სალექციო კურსის მესამე ნაწილი — **„არჩევნები და პოლიტიკური მონაწილეობა"** — ეძღვნება არჩევნების, როგორც პოლიტიკური მონაწილეობის ფორმასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. X—XII თავებში მოკლედ განხილულია პოლიტიკური მონაწილეობის თეორიები, მონაწილეობის სახეები საარჩევნო კამპანიის დროს, ამომრჩეველთა ქცევის სტრუქტურა და ცვლადები, არჩევნები და პოლიტიკური აპათია, არჩევნები და მობილიზაცია, ასევე — ელექტორალური კულტურის საკითხები.

სალექციო კურსის მეოთხე ნაწილი — **„საარჩევნო პროცესი და საარჩევნო სისტემები"** — ეთმობა საარჩევნო პროცესის არსისა და ძირითადი ეტაპების, საარჩევნო სისტემებისა და საარჩევნო სისტემის ფუნქციონირების საკითხების განხილვას.

სალექციო კურსის XIII თავში განხილულია **საარჩევნო პროცესის ძირითადი სტადიები**: არჩევნების დანიშვნა და საარჩევნო ოლქების ფორმირება, საარჩევნო ორგანოები და ამომრჩეველთა რეგისტრაცია, კანდიდატების წამოყენება და საარჩევნო კამპანიის წარმართვის ძირითადი საკითხები, ხმის მიცემა და არჩევნების შედეგების შეჯამება. ასევე გაანალიზებულია არჩევნების დაფინანსების საკითხები, საუბარია აბსენტიზმის გამომწვევ მიზეზებსა და დაძლევის გზებზე.

სალექციო კურსის XIV თავი ეთმობა **საარჩევნო სისტემების** დახასიათებას მისი ვიწრო მნიშვნელობით, ანუ მასში დაწვრილებით განხილულია

მაჟორიტარული, პროპორციული და შერეული საარჩევნო სისტემები, ასევე გაანალიზებულია საარჩევნო სისტემის გავლენა პოლიტიკურ რეჟიმზე.

სალექციო კურსის XV თავში ცალკეა განხილული **საარჩევნო სისტემის ფუნქციონირების საკითხები**. დახასიათებულია ე.წ., „პოლიტიკური მანქანა", ამ თვალსაზრისით ნაჩვენებია საარჩევნო ფილტრების (ცენზების) როლი, ყურადღება ექცევა საარჩევნო ინსტიტუტების დისფუნქციების საკითხებს.

სალექციო კურსის ბოლო, მეხუთე ნაწილი — **„არჩევნები საქართველოში"** — ეძღვნება საქართველოში არჩევნების ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. XVI თავში — **„საქართველოს საარჩევნო სისტემის ისტორიიდან"** — განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება, რომელიც აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, ასევე საქართველოს საარჩევნო სისტემის ტრანსფორმაცია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში), ვიდრე ჩამოყალიბდებოდა თანამედროვე საარჩევნო სისტემა. რაც შეეხება არჩევნების ინსტიტუტს საბჭოთა საქართველოში, იგი არ არის ცალკე განხილული, რადგან ამ პერიოდის საქართველოზე მთლიანად ვრცელდება ის, რაც ითქვა არჩევნების ინსტიტუტის როლთან და დანიშნულებასთან დაკავშირებით არადემოკრატიულ საზოგადოებაში.

XVII თავში განხილულია **თანამედროვე საქართველოს საარჩევნო სისტემა**, რომელიც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას ემყარება და ჩამოყალიბებულია დღეს მოქმედ საარჩევნო კოდექსში.

სალექციო კურსის ყოველ თავს ერთვის **კითხვები** და **დავალებები**. მათზე პასუხის გაცემა დაგვეხმარება იმის შემოწმებაში, თუ რამდენად კარგად გვაქვს ათვისებული მოცემული თავის ფარგლებში განხილული საკითხები.

გარდა ამისა, ყოველი თავის ბოლოს რუბრიკით **„რა წაიკითხოთ"** მოცემულია სხვადასხვა ნაშრომის მოკლე ანოტაცია, რომელთა შესწავლაც დაგვეხმარება შესაბამისი საკითხების უფრო ღრმად გააზრებაში.

სალექციო კურსის შესწავლას აადვილებს **დანართები**. ორი მათგანი ლექსიკონია, მათში ახსნილია არჩევნებთან და პოლიტიკურ სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები.

დანარჩენი ხუთი დანართი წარმოადგენს მოკლე ცნობარებს, რომლებშიც დახასიათებულია თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო სისტემები. ქვეყნები დაჯგუფებულია მათი დემოკრატიული განვითარების დონისა და რეგიონული სპეციფიკის მიხედ-

ვით. შესაბამისად, წარმოდგენილია პოსტსაბჭოური ქვეყნების, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების, განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოების, ლათინური ამერიკისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნის საარჩევნო სისტემები. წარმოდგენილი მასალა საფუძველს ქმნის სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო სისტემების შედარებითი ანალიზისა და, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო სისტემების უფრო ღრმად შესწავლისათვის.

სალექციო კურსის ბოლოში მოცემულია **ლიტერატურის სია**, რომელიც ზოგად წარმოდგენას იძლევა განხილული პრობლემატიკის მეცნიერული შესწავლის არსებულ მდგომარეობაზე და მსურველს შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად და უფრო დაწვრილებით გაეცნოს მისთვის საინტერესო საკითხებს.

I არჩევნები: განვითარების ისტორიული გზა

თავი I

თავისუფალი არჩევნების იდეა წარმომადგენლობითი დემოკრატიის კონცეფციაში

„დემოკრატიის" ცნება ერთ-ერთი უძველესია პოლიტიკური აზრის ისტორიაში. მისი შინაარსი ეპოქიდან ეპოქამდე იცვლებოდა. დემოკრატიის იდეას ჰქონდა აღმავლობისა და დაცემის, კრიზისისა და განახლების პერიოდები. თუ ანტიკურ ხანაში დემოკრატიას უფრო ნეგატიურად აფასებდნენ, ახალ დროში მისი გაიდეალება მოხდა და მას უკეთესი მომავლის დიდ იმედებს უკავშირებდნენ.

„ხალხის ხელისუფლება" — ასეთია დემოკრატიის ყველაზე მოკლე და მარტივი განსაზღვრება. „დემოკრატია ხალხის ხელისუფლებაა, განხორციელებული თავად ხალხის მიერ და ხალხისათვის", — აღნიშნავდნენ ამერიკელი განმანათლებლები.

თავიდანვე არჩევითობა და ხალხის ხმის მიცემის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება იყო დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი. სწორედ დემოკრატიის ფუნქციონირების ამოცანების გადაწყვეტისას ჩამოყალიბდა და განვითარდა არჩევნების თეორია და პრაქტიკა. არჩევნები დემოკრატიის არა მარტო არსებითი ნიშანი და ატრიბუტია, არამედ მისი ქვაკუთხედი და აუცილებელი პირობაა.

§ 1. პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატია

პირდაპირი დემოკრატია. ძველი ბერძნული დემოკრატია მრავალ ასპექტში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ახალი დროის დემოკრატიისაგან. მისთვის უცნობი იყო წარმომადგენლობის სისტემა. ანტიკური დემოკრატია პირდაპირი მმართველობის სისტემა იყო, რომლის დროსაც მთელი ხალხი, უფრო ზუსტად კი თავისუფალი მოქალაქეების ერთობლიობა კოლექტიური კანონმდებლის როლში გამოდიოდა. ასეთი მმართველობა შესაძლებელი იყო ძველი ბერძნული სახელმწიფოების მცირე ზომების გამო. ეს იყო პოლისი — ქალაქი და მის გარშემო მდებარე სასოფლო მიწები.. პოლისის მოსახლეობაში მოქალაქეთა რაოდენობა დაახლოებით 10 -20 ათასს არ აღემატებოდა.

ქალაქ-სახელმწიფოებში მოქალაქეები უშუალოდ მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებების მიღებასა და პოლისის საქმეთა მართვაში — მოქალაქეთა არცთუ მცირე ნაწილს ეკავა თავისი სიცოცხლის განმავლობაში რაიმე არჩევითი თანამდებობაც. არ არსებობდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გამიჯვნა — ორივე შტო თავმოყრილი გახლდათ აქტიური მოქალაქეების ხელში. პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო მოქალაქეთა მნიშვნელოვანი აქტიურობა.

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეთა **პლებისციტური ანუ პირდაპირი მონაწილეობა** მოითხოვს ან ფიზიკურ ყოფნას, ან რეფერენდუმის ჩატარებას; ეს კი ზღუდავს მისი გამოყენების შესაძლებლობებს.

პირდაპირი დემოკრატია რომ პრაქტიკულად განხორციელდეს, ამისათვის საჭიროა რამდენიმე პირობის არსებობა:

- პატარა ტერიტორია და მცირერიცხოვანი მოსახლეობა, რათა შესაძლებელი იყოს ყველა მოქალაქის პირდაპირი მონაწილეობა საზოგადოების საქმეთა მართვაში;
- პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური დიფერენციაციის არარსებობა საზოგადოებაში;
- მოქალაქეთა პირადი თავისუფლება (აქვე აღვნიშნავთ, რომ ანტიკური დემოკრატია არ იძლეოდა პიროვნების პირადი თავისუფლების გარანტიას და იგი სახელმწიფოს ნაწილად განიხილებოდა; ასევე ბუნებრივად აღიქმებოდა მონობის არსებობა და თავისუფალი მოქალაქეების წოდებრივი დაყოფა).

უნდა ითქვას, რომ ანტიკური ხანის ცნობილ მოაზროვნეებს სკეპტიკური დამოკიდებულება ჰქონდათ დემოკრატიისადმი. ეშინოდათ „ოხლოკრატიის" — ინტელექტუალურად არცთუ მაღალ დონეზე მდგომი ბრბოს — ხელისუფლების გაძლიერებისა. დემოკრატიული მმართველობის დროს მათ საჭიროდ მიაჩნდათ მმართველი ელიტის არსებობა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის დემოკრატიული უფლებების მინიჭება, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და პროფესიული ინტერესების შესაბამისად.

პრინციპში, ანტიკური დემოკრატიის შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა მათი დასკვნების სისწორე: დემოკრატია დაბალი წოდების — ფეტების — ხვედრითი წილის გაძლიერების პირობებში სულ უფრო მეტად იქცეოდა ბრბოს მმართველობად, რასაც შემდგომ მოსდევდა ოლიგარქიული ტირანიული გადატრიალებები და დემოკრატიული ინსტიტუტების ლიკვიდაცია.

უშუალო დემოკრატიის ყველაზე არსებითი ნაკლოვანებები შემდეგია:

— **მიღებული გადაწყვეტილებების დაბალეფექტიანობა.** ამის მიზეზი ერთი მხრივ ისაა, რომ მოსახლეობის ძირითადი მასა არაკომპეტენტურია პოლიტიკურ საკითხებში, მეორე მხრივ კი დაბალია პასუხისმგებლობა თანამდებობის პირებისა, რომელთა მოვალეობასაც ასრულებენ იმავე მოსახლეობის წარმომადგენლები და არა აქვთ პროფესიონალური თვისებები;

— **პოპულისტური ლოზუნგების გაჟერცლების შესაძლებლობა და ტოტალიტარიზმის დამყარების საფრთხე.** ამის მიზეზია პროპაგანდის მეშვეობით მოსახლეობის ფართო მასებით მანიპულირების შესაძლებლობა, ასევე თანასწორობის დამყარების მიზნით გამთანაბრებლობისა და პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის ტენდენცია;

— **პოლიტიკურ პროცესში მოქალქეთა უშუალოდ მონაწილეობის ძვირადღირებულება.** ძალზე რთულია მოქალაქეთა ნების მუდმივი გამოვლინების მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც ოპერატიულად იმოქმედებდა და დროულ რეაგირებას მოახდენდა პოლიტიკური სიტუაციის შეცვლაზე;

— **მოსასლეობის ძირითად მასას არ სურს აქტიური მონაწილეობის მიღება ხელისუფლების ფუნქციონირებაში.** პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსახლეობის უმრავლესობის მონაწილეობის უზრუნველყოფა შეუძლებელია სპეციალური იძულებითი ზომების გატარების გარეშე, რადგანაც პოლიტიკური მოღვაწეობა მოითხოვს დროს, უნარსა და ძალისხმევას. ეს ადამიანს ხშირად ჩამოაცილებს ხოლმე სხვა

საქმიანობას, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია მისი პირადი კეთილდღეობისათვის.

დემოკრატიის იდეალების აღორძინება მოხდა ახალ დროში. მართალია, ამ პერიოდში ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის თეორია, მაგრამ ახალი დროის რიგი მოაზროვნეებისა პირდაპირ დემოკრატიას იდეალურად მიიჩნევდნენ. დღეს მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში შენარჩუნებული რეფერენდუმი და სამოქალაქო ინიციატივა შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის მიერ წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული პირდაპირი დემოკრატიის ელემენტები.

ახალი დროის ცნობილი მოაზროვნე ჟ. ჟ.რუსო უარყოფდა წარმომადგენლობის პრინციპს და აყალიბებდა პირდაპირი დემოკრატიის თეორიას. მასთან დემოკრატია განიხილება როგორც ხალხის პირდაპირი მმართველობა. ეს თეორია არ ყოფს მოქალაქეებს მმართველებად და მართულებად.

საარჩევნო პროცესის როლი და ფუნქციონალური დანიშნულება „პირდაპირი" („უშუალო") დემოკრატიის დროს სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა და მნიშვნელოვნად განსხვავდება წარმომადგენლობითი დემოკრატიის სისტემისაგან, მაგრამ ანტიკური ეპოქის არჩევნების გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ძველი საბერძნეთისა და რომისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ საარჩევნო კანონმდებლობის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორიცაა არჩევნების ჩატარების მარეგულირებელი იურიდიული ნორმების წერილობითი დაფიქსირება, არჩევითი თანამდებობების ჩამონათვალი, მკაფიო დროითი შუალედები არჩევნებს შორის, ხმის მიცემის ორი ტიპი: ფარული და ღია. ანტიკურ ხანაში ჩამოყალიბდა აგრეთვე ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებითაც განისაზღვრება ამომრჩევლებისა და არჩევითი თანამდებობების დაკავების კანდიდატების სამართლებრივი სტატუსი.

წარმომადგენლობითი (რეპრეზენტაციული) დემოკრატია

დემოკრატიის თეორიისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის წარმომადგენლობის იდეის დამკვიდრებას. დიდ სახელმწიფოებში პირდაპირი დემოკრატია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ადგილობრივი თემების დონეზე. თანამედროვე დემოკრატიული მმართველობა ემყარება ხალხის მიერ წარმომადგენელთა არჩევას. წარმომადგენლობის პრინციპის არსი ისაა, რომ პოლიტიკის სფეროში ამომრჩევლები განსაზღვრავენ მიზანს, ხოლო მათ მიერ არჩეული წარმომადგენელი ირჩევს ამ მიზნის მისაღწევად მისი აზრით ყველაზე მიზანშეწონილ გზას.

XVIII საუკუნეში **წარმომადგენლობითი დემოკრატიის კონცეფციის** შემუშავებიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა თავისუფალი არჩევნების იდეის დამკვიდრებაც. ქალაქი-პოლისებისგან განსხვავებით, ერი-სახელმწიფოს ფარგლებში ხალხის ხელისუფლების განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით და ამიტომ ეწოდება მას წარმომადგენლობითი დემოკრატია.

წარმომადგენლობითი დემოკრატია ემყარება სახელისუფლო სტრუქტურებისა და პირების არჩევითობას, რაც ხორციელდება გარკვეული წესების შესაბამისად და საარჩევნო სისტემის ფარგლებში.

ამერიკელი პოლიტოლოგი ლ. დაიმონდი ასახელებს წარმომადგენლობითი დემოკრატიის არსებობის სამ პირობას:

- არაძალადობრივი, პატიოსანი და ყოვლისმომცველი კონკურენცია პოლიტიკურ პარტიებსა და მოქალაქეებს შორის ნებისმიერი პოსტის მოსაპოვებლად ყველა სახელისუფლო სტრუქტურაში;
- მასების თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობის მაღალი დონე რეგულარულსა და კანონიერ არჩევნებში, როდესაც არც ერთი სოციალური ჯგუფი არაა მოკლებული ასეთი მონაწილეობის უფლებას;
- სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების მაღალი დონე და ფართო სპექტრი, რაც შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს პოლიტიკური კონკურენციისა და პოლიტიკური მონაწილეობის მთლიანობა.

მმართველობის ფორმას, რომლის დროსაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს უშუალოდ იღებენ მოქალაქეები, ეწოდება პირდაპირი ანუ მონაწილეობის დემოკრატია.

მმართველობის ფორმას, რომლის დროსაც მოქალაქეები გადაწყვეტილებათა მიღების უფლებას ასორციელებენ არა პირადად, არამედ წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთაც ისინი აირჩევენ და რომლებიც მათ წინაშე არიან პასუხისმგებელნი, ეწოდება წარმომადგენლობითი ანუ რეპრეზენტაციული დემოკრატია.

წარმომადგენლობითი დემოკრატიის საერთო ნიშნების მიხედვით შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

— **პოლიტიკური ხელმძღვანელობის მაღალი ეფექტიანობა**, რაც მიიღწევა პროფესიონალი პოლიტიკოსების მოღვაწეობის შედეგად;

— **პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა**. გზა ეკეტება პოპულისტურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უმრავლესობის ამწუთიერი სურვილებიდან გამომდინარეობენ;

— **პოლიტიკური სისტემის რაციონალური ორგანიზაცია.** წარმომადგენლობით დემოკრატიას შეუძლია უზრუნველყოს შრომის დანაწილება პოლიტიკურ სფეროში;

— **გადაწყვეტილების მიმღები პირების პასუხისმგებლობა** ამომრჩეველთა წინაშე მათ ავალდებულებს, კარგად მოიფიქრონ ყოველი თავიანთი გადაწყვეტილება.

უდავო ღირსებებთან ერთად, რიგი მკვლევრებისა გამოყოფენ წარმომადგენლობითი (რეპრეზენტაციული) დემოკრატიის სუსტ მხარეებსაც:

— **მოსახლეობის უმრავლესობის ხელისუფლებისაგან გაუცხოების მაღალი ხარისხი,** რადგანაც წარმომადგენლობითი დემოკრატიის კონცეფციების თანახმად, მოქალაქეთა მიერ ნების გამოხატვა მხოლოდ არჩევნების დროს ხდება. არჩევნებს შორის პერიოდებში კი არჩეული ორგანოები სრულიად დამოუკიდებელნი არიან;

— **მმართველობის ორგანოების მოწყვეტა მოქალაქეთა ძირითადი მასისაგან.** წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირების და ფუნქციონირების რთული სისტემა მოხელეთა დიდ რაოდენობას მოითხოვს, რაც ბიუროკრატიზაციას იწვევს. გარდა ამისა, რიგ ჯგუფებს (მაგალითად, მსხვილ კაპიტალს) უფრო ძლიერი ზეგავლენა აქვს ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაზე, რასაც მმართველობის სისტემის ოლიგარქიზაცია მოსდევს;

— **ხელისუფლების სუსტი ლეგიტიმაცია,** როცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაუცხოებულია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესისაგან. მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობა შეზღუდულია საკანონმდებლო ორგანოების ფართო უფლებამოსილებათა სასარგებლოდ;

— **პოლიტიკური მანიპულირების შესაძლებლობა.** მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ასახავენ მოსახლეობის უმრავლესობის ნებას. სანამ „ხალხის ნება“ ხელისუფლების ორგანოების ფორმირების რთულ სისტემას და საფეხურებს გაივლის, იგი გვარიანად შეიძლება შეიცვალოს.

§ 2. ხალხის წარმომადგენლობის კონცეფციები

ხალხის წარმომადგენლობის თეორია. ხალხის წარმომადგენლობის კონცეფციაში ერთმანეთს ორგანულად დაუკავშირდა XVII-XVIII საუკუნეებში შემუშავებული იდეები. ხალხის სუვერენიტეტის

თეორიის თანახმად, ხელისუფლების მთავარი წყარო ხალხია. თ.ჰობსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ხალხი გადასცემს სახელმწიფოს წესრიგის დამყარების უფლებას („მოქალაქეობის შესახებ", „ლევიათანი"), ჟ. ჟ. რუსომ კი შემდეგ ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფცია („საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ, ანუ პოლიტიკური უფლების პრინციპები"). საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ხელშეკრულებითი ურთიერთობის კონცეფცია გაფორმდა პირველ კონსტიტუციებშიც.

ხელშეკრულების თეორიის ზოგიერთ ვარიანტში (ჰობსი) არჩევნები ერთჯერადი აქციის სახით განიხილებოდა — ხელისუფლების წარმოშობის დროს, როდესაც ხდებოდა მისი არჩევა საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად. შემდგომში სუვერენს ეკუთვნის აბსოლუტური ხელისუფლება, ხალხი კი ფაქტობრივად მოკლებულია ხელისუფლებაზე შემდგომ ზეგავლენას.

სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულებითი თეორიის ის ვარიანტები, რომლებიც აღიარებენ „ხალხის ნების" („ხალხის სუვერენიტეტის") უზენაესობას, არჩევნებს განიხილავდა ხალხის ნების ეამოვლენის მარეგულირებელი მექანიზმის სახით. ეს ლოგიკა ყველაზე მკაფიოდ გამოხატეს ჟ.-ჟ.რუსომ და ტ.პეინმა.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიიდან გამომდინარეობს წარმომადგენლობითი დემოკრატიის ორი უმნიშვნელოვანესი იდეა:

- არც ერთ ადამიანს უფლება არა აქვს მართოს სხვა ადამიანი ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე;
- რადგან თითოეულ ცალკე აღებულ ინდივიდს არ შეუძლია უშუალოდ მონაწილეობდეს სახელმწიფოს მართვაში, ამიტომ მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის ინტერესები ხელისუფლების სისტემაში წარმოდგენილი უნდა იყოს განსაკუთრებული პირების მეშვეობით, რომელთაც მიცემული აქვთ შესაბამისი პრეროგატივები და უფლებები.

ხალხის წარმომადგენლებისათვის ხელისუფლებითი ურთიერთობების დელეგირება ხდება დემოკრატიული პროცედურის — პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოებში არჩევნების გზით.

ინგლისელი ფილოსოფოსი და იურისტი **იერემია ბენტამი (1748–1832)** წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმას საუკეთესოდ მიიჩნევდა: საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ხალხი ირჩევდა თავის წარმომადგენლებს ერთპალატიან პარ-

ლამენტში. ის, პარლამენტარები, რომლებიც ვერ გაამართლებდნენ ამომრჩეველთა ნდობას უნდა გაეწვიათ და უნდა დამდგარიყო მათი იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი.

აშშ-ის სახელმწიფოსა და კონსტიტუციის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჯეიმს მედისონი ერთმანეთისგან განასხვავებდა დემოკრატიასა და რესპუბლიკას. დემოკრატიას იგი განსაზღვრავდა როგორც პატარა ერთობას ან სახელმწიფოს, მცირერიცხოვანი მოქალაქეებით, რომლებიც დრეზდადრო იკრიბებიან, რათა თვითონ შეასრულონ მმართველობის ამოცანები. რესპუბლიკა კი არის ქვეყანა, რომელშიც კანონებს ქმნიან და აღასრულებენ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები. რესპუბლიკაში მთელ უფლებამოსილებას ხალხი გადასცემს ხელისუფლებას. წარმომადგენლები, რომლებიც ხელისუფლებას განაგებენ, ასრულებენ თავიანთ სამუშაოს დათქმული დროის მანძილზე ან არაკეთილსინდისიერი საქციელის ჩადენამდე. მედისონი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ხელისუფლების მოხელეები არჩეული. ყოფილიყვნენ საზოგადოების დიდი ნაწილის და არა მცირე ჯგუფების მიერ. „თუ ასე არ მოხდა, ამბობს მედისონი, — საერთო კეთილდღეობის ნაცვლად ხელისუფლება ვიწროჯგუფურ ინტერესებს მოემსახურება.

წარმომადგენლობის თეორიის მნიშვნელობა, სსვა ყველაფერთან ერთად, ისიცაა, რომ შესაძლებელს ხდის მმართველობის დემოკრატიული და რესპუბლიკური ფორმების სიცოცხლე გაფართოების. როგორც ზემოთ ითქვა, პირდაპირი დემოკრატია, რომელიც გულისხმობდა ყველა მოქალაქის მონაწილეობას რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში, შესაძლებელი იყო მხოლოდ შედარებით პატარა წარმონაქმნებში, როგორიც იყო ძველი ბერძნული პოლისი (საშუალოდ 10 ათასი მოქალაქით). ცხადია, რომ თანამედროვე ეროვნული სახელმწიფო, რომლის მოსახლეობაც ზოგჯერ ათეულობით და ასეულობით მილიონ ადამიანს ითვლის, უშუალო დემოკრატიის მოდელს ვერ მიიღებს. **სწორედ წარმომადგენლობის ინსტიტუტმა გასადა შესაძლებელი მმართველობის რესპუბლიკური ანუ დემოკრატიული ფორმის დამკვიდრება ეროვნული სახელმწიფოს მასშტაბით.**

წარმომადგენლობითი დემოკრატია გულისხმობს ელიტის ფორმირების განსაკუთრებულ წესს და მასზე კონტროლის უზრუნველყოფას. წარმომადგენლობის იდეის თანახმად, ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში მყოფი პირები სიცოცხლის ბოლომდე კი არ არიან არჩეული, არამედ გარკვეული, კონსტიტუციაში ზუსტად დაფიქსირებული ვადით. დემოკრატიის თეორიის კიდევ ერთი აუცილებელი ელემენტი გახდა არჩეული წარმომადგენლის პერიოდული ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა წინაშე. ეს

ბუნებრივიცაა, თუ დემოკრატია ხალხის თვითმმართველობის ნიშნავს, მაშინ საკმარისი არაა, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირები ხალხის მიერ იყვნენ არჩეულნი, თუნდაც საყოველთაო კენჭისყრის მეშვეობით, ისინი, ამავე დროს, პერიოდულად ანგარიშს უნდა აბარებდნენ ხალხს თავიანთი მოქმედების გამო. ხელისუფლებაში მყოფი ყოველი პიროვნება პასუხისმგებელი უნდა იყოს თავისი ამომრჩევლის წინაშე და, პერიოდულად, მკაცრად დადგენილ ვადაში უნდა ხდებოდეს მათი ხელახალი არჩევა. გარდა ამისა, ელიტის წარმომადგენლების დემოკრატიული არჩევა გულისხმობს ამომრჩეველთა პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე თავისი არჩევანის გამო.

დემოკრატიის ლიბერალური თეორია. იგი ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის კონცეფციის სახით, ანგლოსაქსური ტრადიციის საფუძველზე. დემოკრატია განიხილება როგორც პასუხსაგები და კომპეტენტური მმართველობა, ამასთან, ლიბერალური მორალის მიხედვით, პასუხისმგებლობის პრინციპი დომინირებს თანამონაწილეობის პრინციპზე.

ლიბერალიზმის კლასიკურ თეორიას საფუძვლად დაედო თავისუფლების ახლებური გააზრება, რომლის შესახებაც საუბრობდა მაგალითად, რესტავრაციის ეპოქის ფრანგი მკვლევარი ბენჯამენ კონსტან დერებეკი. იგი განასხვავებდა თავისუფლების „ძველსა“ და „ახალ“ გაგებას.

თავისუფლების ძველი გააზრება გულისხმობდა უმაღლესი ხელისუფლების კოლექტიური, ერთობლივი განხორციელების შესაძლებლობას, უმნიშვნელოვანესი საკითხების საჯარო განხილვას, კანონების კენჭისყრას, მაგისტრატების პასუხისმგებლობას. ამასთან, ინდივიდი მთლიანად ემორჩილება საჯარო ხელისუფლებას: თავისუფლების ძველ გააზრებაში არ შედის არც სამოქალაქო თავისუფლება, არც სინდისის თავისუფლება. ინდივიდი თითქმის სუვერენია სახელმწიფოს საქმეებში. მაგრამ კერძო საქმეებში იგი მონურ ვითარებაში რჩება.

თავისუფლების ახალი გააზრება, ამის საპირისპიროდ, გულისხმობს არა იმდენად მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, რამდენადაც მათ მორჩილებას მხოლოდ კანონებისადმი, მათი პირადი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. თავისუფლების ახალ გააზრებაში მთავარი ხდება ინდივიდუალური თავისუფლება.

თავისუფლების ამ ახლებური შინაარსიდან გამომდინარე, ლიბერალურ-დემოკრატიულ ტრადიციაში მთავარია ინდივიდები,

მათი მეტოქეობა, არჩევანის თავისუფლება. ხელისუფლების წყაროა ხალხი. იგი თავის ნებას გამოხატავს არა პირდაპირ, არამედ — წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთაც უფლებამოსილება გარკვეული ვადით ენიჭებათ. მმართველობაში არიან ჩაბმულნი საგანგებოდ მომზადებული ადამიანები, მაგრამ, ამავე დროს, მათი საქმიანობა იმდენად არის ეფექტიანი, რამდენადაც ეყრდნობა მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერას.

ურთიერთობა ხალხის წარმომადგენლებსა და ხალხს შორის განისაზღვრება კონსტიტუციით და ემყარება უფლებამოსილებებსა და ნდობას. კონსტიტუციაში შეტანილია იმ უფლებამოსილებათა ჩამონათვალი, რომელთაც ხალხი გადასცემს თავის რჩეულებს და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაწესებულია პასუხისმგებლობის ზომა.

ლიბერალური დემოკრატია მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ადამიანის გათავისუფლების საქმეში. ამავე დროს, დემოკრატიის ეს მოდელი, კლასიკური ვარიანტით წარმოდგენილი, ძალზე შორსაა ხალხის ხელისუფლების იდეალისაგან. ლიბერალური დემოკრატია, ისევე როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის ნებისმიერი ფორმა, ავიწროებს ამომრჩეველთა უფლებებს, საშუალებას არ აძლევს მათ აქტიური ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე, გააკონტროლონ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა. ხოლო თავად წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანოების არჩევნები შეიძლება ატარებდეს შემთხვევით, ფორმალურ და არაკომპეტენტურ ხასიათს, რაც განისაზღვრება ხმის მიცემის მომენტში ამომრჩევლებისათვის დამახასიათებელი განწყობილებითა და ემოციებით.

ლიბერალურ-დემოკრატიული და რადიკალურ-დემოკრატიული თეორიების დაპირისპირება დემოკრატიისა და არჩევნების როლის გაგების საკითხში.

წარმომადგენლობითი სისტემის და. აქედან გამომდინარე. არჩევნების ინსტიტუტის დამკვიდრება. პირველ რიგში, უკავშირდება ლიბერალურ-დემოკრატიული თეორიის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ლიბერალურ-დემოკრატიული თეორია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის თავისუფლების გარანტიების შექმნას. მისთვის მისაღები იყო „შეზღუდული სახელმწიფო", სახელმწიფო „ღამის დარაჯი".

ასეთი სახელმწიფო შეუძლებელია ადამიანთა შორის ხელშეკრულების გარეშე, ხოლო სახელმწიფო წარმომადგენლებს მოსახლეობა ირჩევს. მაგალითად, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტორალურ

პროცესს და რეპრეზენტაციულ დემოკრატიას, რომლის დროსაც ამორჩეული წარმომადგენლები შეზღუდულნი არიან თავისი სინდისითა და კონსტიტუციით (თავისუფალი მანდატი). თავისუფლება ასეთ სახელმწიფოში შეზღუდულია მხოლოდ კანონით, ხოლო თავად სახელმწიფო (იმისათვის, რომ არ მოხდეს სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია ცალკეული ორგანოებისა და ადამიანების მიერ) უნდა აიგოს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიხედვით. ხმის მიცემის დროს საკითხი წყდება ხმათა უმრავლესობის მიხედვით, ამასთან მას ემატება უმცირესობის უფლებათა დაცვის პრინციპი.

ლიბერალური დემოკრატიის მოდელს დაუპირისპირდა რადიკალურ-დემოკრატიული კონცეფციები. ასეთი იყო ჟან-ჟაკ რუსოს (1712—1778) კოლექტივისტური დემოკრატიის თეორია. რადიკალურ-დემოკრატიული კონცეფციების თანახმად სახელმწიფო, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშობა, ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი ფასეულობებით, რომელთა მატარებლადაც გამოდის ხალხი, სახელმწიფო შეზღუდულია „ხალხის სუვერენიტეტით". ადამიანის თავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფალია ხალხი, რომელიც კანონებს კარნახობს სახელმწიფოს. მთავრობა ღებულობს მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლება თავად ხალხმა უნდა განახორციელოს კანონების პირდაპირი განხილვისა და მიღების გზით (პლებისციტი). სახელმწიფო ხელმძღვანელობს ხალხის საერთო ინტერესებით, რაც არ წარმოადგენს კერძო ინტერესების ჯამს. ხალხის ერთიანობა გამოდის პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპის სახით, ხოლო დემოკრატიული მონაწილეობის ფორმას აქ პირდაპირი დემოკრატია წარმოადგენს. ისინი, რომლებიც მართავენ სახელმწიფოს, აღჭურვილნი არიან ხალხის მანდატით და პასუხისმგებელნი არიან მათ წინაშე (იმპერატიული მანდატი). ხელისუფლების დანაწილების პრინციპს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, უმცირესობის მორჩილება უმრავლესობისადმი ერთიანი ნების გარეგანი გამოხატულებაა, რაც პრინციპულად მოითხოვს საერთო თანხმობას.

ლიბერალურ-დემოკრატიული თეორია	რადიკალურ-დემოკრატიული თეორია
წარმომადგენლობითი დემოკრატია, არჩევნები	პირდაპირი დემოკრატია
თავისუფალი მანდატი	იმპერატიული მანდატი

ხელისუფლების დანაწილება	ფუნქციების განაწილება
უმცირესობის უმრავლესობისადმი მორჩილება, უმცირესობის უფლებების დაცვასთან ერთად	უმცირესობის მორჩილება უმრავლესობისადმი

სალხი და წარმომადგენლები: ურთიერთობის კონცეფციები. წარმომადგენლობითი დემოკრატიის თეორიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ელექტორატისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული ხალხის წარმომადგენლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს.

წარმომადგენლობის არსის თაობაზე თანდათანობით ჩამოყალიბდა და დღეისათვის არსებობს ოთხი ძირითადი მიდგომა, რომელთა თანახმადაც არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები არიან „ამომრჩეველთა მსახურები", „ხალხის მეურვეები", „პარტიის ნების გამტარებელნი", „საზოგადოების სარკე". მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ამომრჩეველთა მსახურები. ამ მიდგომის თანახმად პარლამენტარი მოქმედებს ან მთლიანად საარჩევნო ოლქის ინტერესების, ან საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ყველაზე გავლენიანი ჯგუფების ინტერესების შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში პარლამენტარების პოზიცია ადგილობრივი პრობლემატიკითაა განპირობებული. წარმომადგენლობისადმი ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში, სადაც ითვლება, რომ კონგრესმენებმა „სახლში ბეკონი უნდა მოიტანონ" — სამთავრობო შეკვეთების, სუბსიდიებისა და კონტრაქტების სახით. ისინი შესაბამისადაც მოქმედებენ და ცდილობენ აჯობონ სხვა შტატებისა და საგრაფოების წარმომადგენლებს. თუკი რაიმე საკითხთან დაკავშირებით საარჩევნო ოლქში არსებობს მკაფიო და მეტ-ნაკლებად ერთსულოვანი აზრი, მაშინ კონგრესის წევრს დამოუკიდებელი პოზიცია მანდატის ფასად შეიძლება დაუჯდეს, მაგრამ ეს მხოლოდ მომდევნო არჩევნების დროს მოხდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამომრჩეველთა ამგვარი ერთსულოვნება საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ეს შესაძლებლობას აძლევს ამერიკელ კანონმდებლებს შეინარჩუნონ გარკვეული ავტონომია და, უფრო მეტიც, აქტიური ზემოქმედება მოახდინონ თავიანთი ოლქის საზოგადოებრივ აზრზე.

თავის ამომრჩევლებზე დეპუტატების მკაცრი დამოკიდებულების მომხრე იყო კ.მარქსი. სწორედ ამიტომ ეგალიტარულ-ავტორიტარული რეჟიმების უმრავლესობა ფორმალურად ემხრობოდა პარლამენტართა გამოწვევის უფლებას და აღიარებდა „იმპერატიულ მანდატს".

რადგანაც პარლამენტები დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენდნენ, ეს არანაირად არ აისახებოდა მათი საქმიანობის ეფექტიანობაზე. დემოკრატიზაციის პირობებში ვითარება შეიცვალა. ცხადი გახდა, რომ ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებლობას სრულიად მოკლებულ პარლამენტარებს უბრალოდ არ შეუძლიათ თავიანთი მოვალეობის შესრულება. „ხალხის სამსახური" აუცილებელია, მაგრამ იგი შევსებული უნდა იყოს წარმომადგენლობისადმი სხვა მიდგომებითაც.

ხალხის მეურვე. პარლამენტარისადმი, როგორც ხალხის მეურვისადმი, მიდგომამ თავისი კლასიკური გამოხატულება პოვა ინგლისელი კონსერვატორი მოაზროვნისა და პოლიტიკოსის ედმუნდ ბიორკის ამომრჩევლებისადმი მიმართვაში (1774 წ.): „პარლამენტი — ესაა არა სხვადასხვა და ერთმანეთისადმი მტრული ინტერესების წარმომადგენელთა საკრებულო, სადაც ამ ინტერესებს იცავენ მათი აგენტები საკრებულოს ყველა სხვა წევრის მიმართ, პარლამენტი — ერთიანი ერის დამოუკიდებელი ასამბლეაა, ერთიანი ინტერესით, რაც საერთოა ყველასთვის; აქ მთავარია არა ადგილობრივი მიზნები, არამედ საერთო კეთილდღეობა".

წარმომადგენლობისადმი ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად აფართოებს პარლამენტართა ავტონომიას, მათ შესაძლებლობა ეძლევათ საზოგადოებრივი აზრის პასიური ამსახველები კი არ იყვნენ, არამედ შეასრულონ საზოგადოებრივი აზრის ლიდერების როლი. ეს მიდგომა დომინირებდა XIX საუკუნეში და დღემდე ინარჩუნებს თავის პოზიციებს, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში. თუმცა, „ხალხის მეურვეობა" გაცილებით უფრო ძნელი გახდა მას შემდეგ, რაც წარმოიშვა იმავე როლზე პრეტენზიის მქონე მასობრივი პარტიები.

პარტიის ნების გამტარებლები. პარტიის ნების გამტარებლების სახით პარლამენტარები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოდიან ეგალიტარულ-ავტორიტარული და პოპულისტური რეჟიმების პირობებში. მაგრამ ამგვარი მიდგომა უცხო არაა ლიბერალური დემოკრატიისთვისაც, განსაკუთრებით იქ, სადაც არსებობს პროპორციული საარჩევნო სისტემა. წარმომადგენლობის აღნიშნული კონცეფციის მომხრეებს შემდეგი არგუმენტები მოაქვთ: არჩევნებში ერთმანეთს ეჯიბრებიან არა პიროვნებები, არამედ პარტიული პროგრამები; მაშასადამე, არჩევას პარლამენტარი, პირველ რიგში პარტიას უნდა უმადლოდეს. მაშ რატომ უნდა ჰქონდეს მას არჩევის შემდეგ პარტიული დისციპლინის უგულებელყოფის უფლება?

ეს კითხვა მოკლებული არაა ჭეშმარიტებას, მაგრამ მისი ეჭვქვეშ დაყენება შეიძლება სხვა კითხვების მეშვეობით: პარლამენტარი

ერთგული უნდა იყოს პარტიული ხელმძღვანელობის მიმდინარე პოლიტიკური ხაზისა თუ პარტიული პროგრამისა (ეს ორი რამ კი არცთუ იშვიათად ერთმანეთს არ ემთხვევა). როგორ უნდა მოიქცეს პარლამენტარი იმ შემთხვევაში, თუკი ერთმანეთს დასცილდა პარტიის ადგილობრივი ორგანოს (რომელმაც პრინციპში გადამწყვეტი როლი შეასრულა მის არჩევაში) და პარტიის ხელმძღვანელობის პოზიციები? როგორ უნდა მოიქცეს პარტიის გათიშვის შემთხვევაში? ეს კითხვები ჩიხში შეგვიყვანს, თუკი პარლამენტარს მხოლოდ და მხოლოდ პარტიის ნების გამტარებლად მივიჩნევთ. მაგრამ თუკი დავუშვებთ პარლამენტარის დამოუკიდებლობას პარტიული ხელმძღვანელობისაგან, საკითხი გაადვილდება. თუმცა, ამ დამოუკიდებლობას დაცვა სჭირდება მძლავრი „ყოვლისმომცველი" პარტიებისაგან. ამ ამოცანის გადაწყვეტას პარლამენტარები უკეთესად ახერხებენ, თუკი გააჩნიათ გარკვეული პოლიტიკური რესურსები — მაღალი პიროვნული პრესტიჟი, არიან ინფორმირებულნი და კომპეტენტურნი.

საზოგადოების სარკე. საზოგადოების სარკეს, პრინციპში, მთლიანად პარლამენტი წარმოადგენს, დემოკრატიის ყველა მოდელი პარლამენტს საზოგადოების სარკის ფუნქციას აკისრებს, თითოეული წევრი ამ ორგანოში კი ამ საერთო სურათის შექმნას ემსახურება. იგივეს აღიარებენ ავტორიტარული რეჟიმებიც. საბჭოთა კავშირში პარლამენტის შემადგენლობისათვის დადგენილი იყო პროცენტული მაჩვენებლები, იმისათვის, რომ „ზუსტად" ყოფილიყო წარმოდგენილი საზოგადოების ყველა ფენა თავისი „სოციალური წონის" შესაბამისად. მაგრამ ამ სურათს ამახინჯებდა ის ფაქტი, რომ „საკანონმდებლო კორპუსის" დაახლოებით 30%-ს შეადგენდნენ უმაღლესი პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაკები, რომლებისთვისაც მანდატები სიცოცხლის ბოლომდე იყო უზრუნველყოფილი, თუკი ისინი თავიანთ პოზიციებს არ დაკარგავდნენ ხელისუფლებაში.

„საზოგადოების ზუსტი სარკის" შექმნის საქმეში ვერც ლიბერალურმა დემოკრატებმა მოიპოვეს წარმატება. პარლამენტის წევრები, როგორც წესი, საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან და უდიდეს უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ. ამასთან ისინი თავისი ამომრჩევლებისგან განსხვავდებიან განათლების დონით. უმეტესწილად პარლამენტში დომინირებენ მეწარმეები, იურისტები და თავისუფალი პროფესიების წარმომადგენლები, რომლებიც ერთიანდებიან „მენეჯერების და პროფესიონალების" კატეგორიაში.

ამრიგად, საკითხავია, საერთოდ შესაძლებელია თუ არა საზოგადოებისადმი პარლამენტის „სარკისებური შესაბამისობის" მიღწევა. თანამედროვე საზოგადოებები ძალზე რთული და მრავალფეროვანია,

ხოლო ცალკეული ჯგუფების პოლიტიკური რესურსები ძალზე არათანაბარია იმისათვის, რომ თავისუფალი არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდეს პარლამენტი ყოველი სოციალური ფენის წარმომადგენლობის პრინციპით. მაგრამ ცხადია ისიც, რომ პარლამენტში დიდი სოციალური ფენების სათანადო წარმომადგენლობის არქონის შემთხვევაში, ამ ფენებში შეიძლება წარმოიშვას უნდობლობა სახელმწიფოსადმი, რაც, თავის მხრივ, დესტაბილიზაციის ფაქტორი შეიძლება გახდეს.

სხვადასხვა პარლამენტების პრაქტიკულ საქმიანობაში აქცენტი წარმომადგენლობისადმი სხვადასხვა მიდგომებზე კეთდება. ამ საკითხზე განსხვავებულია პარლამენტართა ინდივიდუალური პოზიციებიც. დასკვნა კი შემდეგი შეიძლება გაკეთდეს: პარლამენტის მუშაობა ეფექტიანი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი წევრები არა რომელიმე ერთ, არამედ სხვადასხვა მიდგომებს იზიარებენ. აქ პლურალიზმი არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა.

ვის წარმოადგენს არჩეული პარლამენტარი? იმისდა მიხედვით, თუ საზოგადოებაში წარმომადგენლობის რომელი კონცეფცია მიღებული, შესაძლებელია პასუხის რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის რამდენიმესი ერთდროულადაც:

- პარლამენტარი წარმოადგენს გარკვეული სოციალური ფენებისა და ერთობების ინტერესებს;
- პარლამენტარი წარმოადგენს ერს მთლიანად და ერთიდროულად სოციალურ ფენას, ეთნიკურ ან რელიგიურ ერთობას;
- პარლამენტარი წარმოადგენს ოლქის ყველა ამომრჩევლის ინტერესებს;
- პარლამენტარი წარმოადგენს იმ ამომრჩეველების ინტერესებს, რომელთაც მას სმა მისცეს;
- პარლამენტარი წარმოადგენს თავის პარტიასა და მის პროგრამას.

მოცემული საზოგადოების მიერ აღიარებული წარმომადგენლობით ურთიერთობათა კონცეფცია აისახება საკონსტიტუციო სასიათის დოკუმენტებში. წარმომადგენლობის კონცეფციის არჩევის უმთავრესი ფაქტორია სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფის ხარისხი და შესაბამისი პარტიული სისტემის განვითარების დონე. საზოგადოებაში მიღებული წარმომადგენლობის კონცეფცია თავის მხრივ საფუძვლად ედება საარჩევნო სისტემის ფორმას.

წარმომადგენლობის კონცეფციების ფორმირების ისტორიიდან. ისტორიულად ჩამოყალიბდა ხალხისა და მათი წარმომადგენლების რამდენიმე კონცეფცია:

ფაქტობრივი წარმომადგენლობის თეორია სათავეს იღებს ინგლისში. პარლამენტის წევრები წარმოადგენენ არა უბრალოდ მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებსა და ფენებს, არამედ მი ლიანად ერს. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს თუ ვისგან და სად აირჩევენ მათ.

ვიგები, რომელთაც აღნიშნული თეორია ჩამოაყალიბეს, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პარლამენტის წევრები არჩევის შემდეგ არ უნდა ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი თავიანთ ამომრჩევლებზე. ამ კონცეფციის არსი კარგად გადმოსცა ედმუნდ ბიორკმა 1774 წელს ბრისტოლში ამომრჩევლების წინაშე თავის ცნობილ გამოსვლაში. ამომრჩევლებისა და პარლამენტარების დამოკიდებულების ბიორკისეული კონცეფცია ემყარება ორ ძირითად დებულებას:

- პარლამენტში არჩეული პოლიტიკოსი, ინტელექტუალური დონითა და კომპეტენციით თავისი საარჩევნო ოლქის საშუალო მცხოვრებლებზე უფრო მაღლა დგას;
- შეუძლებელია განაწესის შედგენა ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის. ამომრჩევლებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ისეთი განაწესები, რომლებიც მხოლოდ მოცემულ რეგიონს ეხებიან, მაგრამ პარლამენტში მყოფი პოლიტიკოსი მთელი ქვეყნის ინტერესებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს. პარლამენტარმა თავად უნდა შეახამოს რეგიონისა და ქვეყნის ინტერესები ისე, როგორც აუცილებლად თვლის მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში.

საჭიროა ამომრჩეველთა სურვილის გათვალისწინება, მაგრამ პარლამენტის წევრს შეიძლება ჰქონდეს თავისი, უფრო ბრძნული აზრი. ამიტომ პოლიტიკოსი არა მარტო უნდა მიჰყვებოდეს ამომრჩეველთა განწყობას, არამედ უფლება აქვს შეინარჩუნოს თავისი კურსი. ბიორკისთვის მთავარი სტაბილურობაა. ის აღნიშნავდა, რომ პარლამენტი არ უნდა იყოს რაღაც „განსხვავებული და მტრული ინტერესების წარმომადგენელთა კონგრესის მსგავსი", პარლამენტი არის ფორუმი მთელი ინგლისელი ხალხის წარმომადგენლებისა, რომლებიც ხელმძღვანელობენ „საერთო კეთილდღეობის" რეალიზებისაკენ მისწრაფებით.

ამრიგად, არსებობს ერთი მხრივ, კონსტიტუციის ფარგლებით დადგენილი პარლამენტარის დამოუკიდებლობა, მისი პოლიტიკური და სამართლებრივი კომპეტენტურობა, მეორე მხრივ — უფლებამოსილება, რაც მას ამომრჩევლების, ხალხის მხრიდან გარკვეული დროით გადაეცემა. მოცემული მიდგომა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ხალხის მიერ არჩეულთა პასუხისმგებლობის პრინციპს. ვიდრე მოსახლეობის უშუალო მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების აღსრულებაში.

დისტანცია ამომრჩევლებსა და პარლამენტს შორის იმითაც განისაზღვრება, რომ პარლამენტი არის არა წარმომადგენელთა კრება, არამედ ეროვნული ორგანო, რომელიც ქვეყანას მართავს. ამიტომ ხალხს, რომელიც ირჩევს პარლამენტს, უფლება არა აქვს ერეოდეს მის საქმიანობაში. საბოლოო ჯამში, დასავლეთში ასეთი პოზიცია გახდა საპარლამენტო დემოკრატიის პრინციპი.

მეორე კონცეფციის თანახმად, **პარლამენტის წევრი მოლიანად უნდა იყოს დამოკიდებული ამომრჩეველთა პოზიციაზე.** პარლამენტში ის წარმოადგენს კონკრეტულ ამომრჩეველთა ერთობლიობას და, ამდენად, მათი ინტერესების გამომხატველი და დამცველი უნდა იყოს. ამ კონცეფციას ემყარებოდა ბოლშევიკების მიერ შექმნილი სახალხო დეპუტატთა საბჭოები, სადაც დეპუტატები ითვლებოდნენ ხალხის მკაცრი „განაწესის" გამტარებლებად საერთო-სახალხო ნების ფორმირების დროს.

შარლ ლუი მონტესკიე (1689—1755) თვლიდა, რომ ადამიანებმა, როგორც წესი, თავისი სოფლის, ქალაქის, რეგიონის ინტერესები უფრო უკეთესად იციან, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონების ინტერესები და პრობლემები. ამიტომ ხელისუფლებით ორგანოებში წარმომადგენელთა არჩევა მიზანშეწონილია არა მთლიანად ქვეყნიდან, არამედ ცალკეული ქალაქებიდან და დასახლებული პუნქტებიდან, რომლებიც საარჩევნო ოლქებად იქნება ორგანიზებული.

ამ კონცეფციის სახესხვაობას წარმოადგენს ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ წამოყენებული **გეოგრაფიული წარმომადგენლობის კონცეფცია,** რომლის თანახმად, საკანონმდებლო ორგანოს წევრები აირჩევა არა სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის, არამედ გარკვეული ტერიტორიისა და მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების წარმომადგენლების სახით.

„ფედერალისტის" ერთ-ერთი სტატიის ავტორი (ჯ.მედისონი ან ა.ჰამილტონი) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ არჩეული წარმომადგენლები „ხალხზე უშუალოდ ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი". ამასთან ხაზგასმულია, რომ წარმომადგენელთა მთავარი ფუნქცია უნდა იყოს „სექციური ინტერესების უზრუნველყოფა". ჯ.მედისონი დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოებაში გარდუვალია სხვადასხვა ინტერესების კონფლიქტი და ამას მივყავართ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე ფრაქციულ დავებთან. მისი აზრით, არჩეული წარმომადგენლები იმოქმედებენ იმათი ინტერესების შესაბამისად, რომლებმაც ისინი აირჩია.

ზემოთ აღნიშნულ ორ თეორიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული **ფრაქციული და ნაციონალური წარმომადგენლობის თეორიები**, რომლებიც საფრანგეთში ჩამოყალიბდა. პირველს საფუძველს უყრის **ჟან-ჟაკ რუსო** (1712-1778), რომელსაც მიაჩნდა, რომ ხალხის სუვერენიტეტი წარმოადგენს მისი შემადგენელი ნაწილების (ანუ თითოეული ცალკე აღებული ინდივიდის) სუვერენიტეტთა ჯამს. თუ, მაგალითად, სახელმწიფო ათი ათასი მოქალაქისგან შედგება, ამ შემთხვევაში თითოეული მოქალაქე ფლობს სუვერენული ხელისუფლების ერთ მეათიათასედ ნაწილს.

თანამედროვე **ფრაქციული სუვერენიტეტის თეორიის** თანახმად, თითოეულ მოქალაქეს აქვს თავისი წილი იმ მანდატში, რომელიც ამომრჩევლებმა მიანიჭეს თავის დეპუტატს. ის ითვალისწინებს აგრეთვე მანდატის იმპერატიულ ხასიათს ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარლამენტარი თავის მოქმედებაში ამომრჩეველთა ნებითაა შეზღუდული. ჩვენს დროში ეს თეორია დემოკრატიის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. მას სრული სახით ეხმიანება პრინციპი: „ერთი ადამიანი — ერთი ხმა“.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრეთვე **ნაციონალური წარმომადგენლობის თეორიას**. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს საკონსტიტუციო ასამბლეამ ჩამოაყალიბა დებულება, რომ სუვერენიტეტი ეკუთვნის არა ცალკე აღებულ მოქალაქეებს, არამედ მთლიანად ერს, ე.ი. მოქალაქეთა მთელ ერთობლიობას, რომელიც მისი შემადგენელი ინდივიდებისაგან განსხვავებული განსაკუთრებული ერთობის სახით განიხილება. ამ მიდგომის დროს თითოეული ცალკე აღებული პარლამენტარი არაა თავისი ამომრჩევლების წარმომადგენელი. პირიქით, პარლამენტართა ერთობლიობა წარმოადგენს მთლიანად ერს. პარლამენტარები, გამოხატავენ რა ერის ნებას, ახორციელებენ ერის მიერ მათთვის მიცემულ მანდატს. ეს თუ ასეა, მაშინ ისინი მანდატით არ არიან დაკავშირებულნი თავის ამომრჩევლებთან. შესაბამისად, მანდატი კარგავს იმპერატიულ ხასიათს, რაც მას ახასიათებს ფრაქციული წარმომადგენლობის თეორიაში. წარმომადგენლობის პრინციპის არსი ისაა, რომ პოლიტიკის სფეროში ამომრჩევლები განსაზღვრავენ მიზანს, ხოლო მათ მიერ არჩეული წარმომადგენელი ირჩევს ამ მიზნის მისაღწევად მისი აზრით ყველაზე მიზანშეწონილ გზას.

§ 3. არჩევნები და წარმომადგენლობითი დემოკრატიის საკვანძო საკითხები

არჩევნები და პარტიები. არჩევითობისა და წარმომადგენლობის პრინციპები ლოგიკურად აყენებდა მათი პოლიტიკური რეალიზაციის ინსტრუმენტებისა და საშუალებების საკითხს. ასეთი ინსტრუმენტების სახით წარმოიშვა და დამკვიდრდა პოლიტიკური პარტიები.

თანამედროვე გაგებით პარტიებმა ჩამოყალიბება დაიწყეს XVII საუკუნის დიდ ბრიტანეთში. უნდა ითქვას, რომ თავიდან პარტიებისადმი დამოკიდებულება ნეგატიური იყო. ყურადღება მახვილდებოდა იმაზე, რომ პარტიები საზოგადოების გარკვეული ჯგუფების ინტერესების დამცველის როლში გამოდიოდნენ და ამდენად ისინი თიშავდნენ საზოგადოებას, კონფლიქტების განვითარებას უწყობდნენ ხელს. **ალექსის დე ტოკვილი (1805–1859)** შენიშნავდა, რომ „პარტიები თავისუფალი მთავრობების გარდუვალ ბოროტებას წარმოადგენენ". აშშ-ს სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუძემდებელი **ჯორჯ ვაშინგტონი (1732–1799)** გამოდიოდა პარტიების წინააღმდეგ, თვლიდა, რომ „ისინი მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მღელვარებას იწვევდნენ".

მაგრამ თანდათანობით მკვიდრდებოდა აზრი პარტიების კონსტრუქციული როლის შესახებ. საზოგადოებაში მრავალფეროვანი ინტერესების არსებობის კანონიერების აღიარებამ განაპირობა პოლიტიკური ინსტრუმენტების ანუ პარტიების კანონიერების აღიარებაც, რომლებიც მოწოდებული არიან ეს ინტერესები წარმოადგინონ ხელისუფლების სისტემაში. ამასთან, ჩამოყალიბდა არა მარტო პარტიის როგორც პოლიტიკური პროცესის რეალიზაციის ინსტრუმენტის იდეა, არამედ პარტიის როგორც კანონიერი ოპოზიციის იდეაც. თანდათანობით აღიარება პოვა იმ აზრმა, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში პარტია დამატებით ძალას იძენს სხვა პარტიების მხრიდან კრიტიკის შედეგად და მმართველი პარტიისთვის წამგებიანია, როდესაც ოპოზიცია ძალზე სუსტია.

ხელისუფლების ორგანოებში თანამდებობის პირთა არჩევის პრინციპი ამომრჩევლებისათვის უზრუნველყოფდა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ალტერნატიულ პოლიტიკურ კურსებსა და ლიდერებს შორის. ალტერნატივების წარმოდგენაში კი სწორედ პარტიებმა და პარტიულმა კონკურენციამ დაიწყო საკვანძო როლის შესრულება.

მთლიანობაში წარმომადგენლობითი სისტემა ყალიბდება წარმომადგენლობის ორი ურთიერთდაკავშირებული სახისგან: სახელმწიფოებრიული და პარტიული-ისაგან. პირველი მოიცავს საარჩევნო სისტემას, პარლამენტს, მთავრობას. მაგრამ წარმომადგენლობის სახელმწიფოებრიული სისტემა ნამდვილად დემოკრატიულია იმ შემთხვევაში, თუკი იგი უზრუნველყოფს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების გამოხატვას. ეს მიიღწევა პარტიული სისტემის მეშვეობით.

ხალხის უფლება და პოლიტიკური სტაბილურობა. დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრება მოითხოვდა ორი სხვა მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტასაც:

- როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავისუფლება უკიდურესობების გარეშე, თავიდან იქნეს აცილებული თვითმპყრობელური დესპოტიაც და უმრავლესობის ტირანიაც;
- როგორ უნდა შეუხამდეს ხალხის უფლების იდეა პოლიტიკურ სტაბილურობას?

ხელისუფლების განხორციელების საიმედო მექანიზმების ძიებისას წარმომადგენლობითი დემოკრატია ვითარდებოდა **ცენზების** სისტემის თანხლებით. დიდი ხნის მანძილზე ცენზების არსებობა მიზნად ისახავდა, რომ არჩევნებში არ დაეშვა „არშემდგარი" ადამიანები: უქონელნი, მუდმივი ბინადრობის არმქონენი, წერა-კითხვის უცოდინარნი. მყარი იყო რწმენა, რომ თუკი ადამიანს არაფერი აქვს დასაკარგი, ეს წარმოშობს უპასუხისმგებლობას, უკიდურეს პოზიციებს. ასეთ თვალსაზრისში ერთი მხრივ ვლინდებოდა არისტოკრატიზმი, დაბალი ფენებისადმი უნდობლობა, მეორე მხრივ კი ქვედაფენების, განსაკუთრებით ღატაკების მიერ რაციონალური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის რეალისტური შეფასება.

კანტის აზრით, პოლიტიკური ცხოვრებიდან უნდა გამოერიცხათ ქალები, ოჯახის მასწავლებლები, რადგანაც პოლიტიკას არ უნდა მისდევდნენ ისინი, რომელთაც საკუთარი საქმე არა აქვთ და სხვების განკარგულებას ემორჩილებიან.

რუსო არ იყო საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრე და თვლიდა, რომ ხმის უფლება არ უნდა ჰქონოდათ იმათ, რომლებიც თავის საქმიანობაში სხვებზე იყვნენ დამოკიდებულნი ან ქირით მუშაობდნენ.

აშშ-ს სახელმწიფოს ფუძემდებლები და კონსტიტუციის ავტორები — **ჯ.მედისონი, თ.ჯეფერსონი** და **ა.ჰამილტონი** — აღიარებდნენ რა ხალხის სუვერენიტეტის იდეას (ხალხი პოლიტიკური ხელისუფლების

ერთადერთი წყაროა), ხოლო არჩევნებს თვლიდნენ სახელისუფლო ინსტიტუტების ფორმირების საშუალებად, ამავე დროს არცთუ დიდად ენდობოდნენ ამომრჩევლებს და ეშინოდათ „ხალხის ვნებების" აფეთქებისა.

ჰამილტონი ასაბუთებდა სახელმწიფო მმართველობაში შეძლებული ადამიანების მუდმივი მონაწილეობის აუცილებლობას, რადგან, მისი აზრით, ფართო მასები „მერყევნი და არაგონიერნი" არიან. „გადაეცით მთელი ხელისუფლება მრავალთ და ისინი დათრგუნავენ მცირეთ. მიეცით მთელი ძალაუფლება მცირეთ და ისინი დათრგუნავენ მრავალთ", — აღნიშნავდა 1787 წელს ჰამილტონი.

საყოველთაო საარჩევნო უფლება სიკეთეს წარმოადგენს იქ, სადაც არ არსებობს საფრთხე დემოკრატიის გზით ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალების მოსვლისა, რომელთაც გადატრიალების მოხდენა შეუძლიათ. 1933 წელს გერმანიაში ნაცისტების მოსვლამ აჩვენა, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარების შესაძლებლობა რეალურია.

დემოკრატია, როგორც ხელისუფლებისა და მოქალაქეთა ურთიერთობის რთული ფორმა, არაეფექტიანი ხდება ცვალებად პირობებში, ხოლო მაღალგანვითარებულ, პლურალისტურ და სტაბილურ საზოგადოებებში ეფექტურობით ხასიათდება.

საყოველთაო საარჩევნო უფლება შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკური დეგრადაციისა და კატასტროფის დასაწყისი, თუკი მისი შემოღება სდება ერთბაშად, მონარქიზმისა და ელიტარიზმის საწყისების სგრეგასთან ერთად, დაგროვილი პოლიტიკური კულტურის გათვალისწინების გარეშე. ასე მოხდა 1918 წელს რუსეთში. ხმის უფლება მიეცათ მუშებს, ხოლო „ექსპლუატატორები" და მათი „ხელშემწყობნი" მოკლებულნი იყვნენ საარჩევნო უფლებას. გლეხებმა მიიღეს შეზღუდული საარჩევნო უფლება. შედეგად აღმოჩნდა, რომ საარჩევნო უფლება ჰქონდათ მხოლოდ იმათ, რომლებიც ნაკლებად იყვნენ დამოუკიდებელნი, თავს ავლენდნენ ბრბოს. მასობრივი ორგანიზაციის ნაწილის სახით. დემოკრატია აღმოჩნდა არა კერძო ინიციატივის გათავისუფლების საშუალება, არამედ დემაგოგების ბატონობის ხერხი.

ცენზების მოქმედება ძალიან დიდხანს ზღუდავდა პოლიტიკურ მონაწილეობას. ამან, მიუხედავად მისი არადემოკრატიულობისა, თავისი დადებითი შედეგიც გამოიღო. ფართო მასები პოლიტიკურ ცხოვრებაში ეტაპობრივად ერთვებოდნენ, თანდათანობით იძენდნენ გადატრიალებების, დამხობების, უკომპრომისობის საწინააღმდეგო იმუნიტეტს. ცენზების საკითხს შემდგომში ჩვენ კიდევ რამდენჯერმე შევეხებით.

არჩევნები და კონსტიტუციონალიზმი. დემოკრატიის კლასიკური თეორიის ასევე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა სამოქალაქო უფლებათა პრიორიტეტი, კონსტიტუციონალიზმის რეჟიმში ხელისუფლების ფუნქციონირება. ა.ტოკვილმა ახალგაზრდა ამერიკულ დემოკრატიაში უმრავლესობის თვითნებობის გამოვლინების საფრთხე დაინახა. მანვე მიუთითა სახელმწიფოს საქმიანობის სფეროების შეზღუდვის გზებზე: ზეწოლის ჯგუფების წარმოშობაზე, ასოციაციებსა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე, იურისტებისა და სასამართლოს ავტორიტეტზე.

კონსტიტუციური მმართველობის უზრუნველყოფა ის გზაა, რომელიც საზოგადოებას თავიდან ააცილებს უმცირესობის ბატონობასაც და უმრავლესობის თვითნებობასაც.

თავის დროზე, პლატონი არ ღებულობდა დემოკრატიას, რადგანაც მასში ხედავდა ოხლოკრატიას, ბრბოს ხელისუფლებას. დემოკრატიის კლასიკური გაგება დაშორებულია ოხლოკრატიისაგან. დემოკრატიაში უმრავლესობის ნება ინსტიტუციონალიზებულია, ვლინდება არა ყვირილითა და იმპულსური ქმედებით, არამედ სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთქმედების საფუძველზე, წარმომადგენლობის სისტემის გამოყენებით. ოხლოკრატიისაგან განსხვავებით, დემოკრატია არის საზოგადოების ხანგრძლივი სამოქალაქო და პოლიტიკური ევოლუციის შედეგი. იმის აღიარება, რომ ხალხის მმართველობა სიტყვასიტყვით განხორციელებული, არა მარტო არარეალურია, არამედ საფრთხეებსაც შეიცავს. რაც უფრო მეტადაა შეზღუდული მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალიზმი, მით უფრო ნაკლებად შესაძლებელია ოხლოკრატიის წარმოშობა.

ერი-სახელმწიფოს ფარგლებში საყოველთაო საარჩევნო უფლების არსებობა ერთმანეთის კონკურენტი პარტიები, საარჩევნო კამპანიის ჩატარების თავისუფლება და თავისუფალი დებატები პრობლემების გარშემო, საყოველთაო საარჩევნო უფლება და ამომრჩეველთა თანასწორობა, ხმების პატიოსანი დათვლა, თავისუფალი არჩევნები, პარლამენტარიზმი, სამოქალაქო უფლებათა პრიორიტეტი, ხელისუფლების ფუნქციონირება კონსტიტუციონალიზმის რეჟიმში — აი, ის უმთავრესი პრინციპები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, საფუძვლად დაედო დასავლურ დემოკრატიას.

კითხვები და დავალებები:

• რა განსხვავებაა პირდაპირ და წარმომადგენლობით დემოკრატიებს შორის?

• რა ნაკლოვანებები ახასიათებს პირდაპირ დემოკრატიას?

• დაასაბუთეთ რა მნიშვნელობა ჰქონდა წარმომადგენლობის პრინციპის დამკვიდრებას დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით?

• როგორია ლიბერალურ-დემოკრატიული და რადიკალურ-დემოკრატიული თეორიების დაპირისპირება დემოკრატიისა და არჩევნების როლის გააზრებაში?

• ვის წარმოადგენს არჩეული პარლამენტარი? დაახასიათეთ წარმომადგენლობის ძირითადი კონცეფციები.

• რა მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური პარტიების ინსტიტუტის დამკვიდრებას არჩევნებისა და წარმომადგენლობის სისტემის განვითარებისათვის?

• რა არის ცენზების სისტემის არსი? დაახასიათეთ მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები.

• ჟან-ჟაკ რუსო წარმომადგენლობით ხელისუფლებას განიხილავდა ხალხის ნების შეზღუდვის ფორმად და ემხრობოდა ქვეყნის მთელი მოსახლეობის უშუალო მონაწილეობას უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში — ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას? დაასაბუთეთ, რომ არჩევნები თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელს უწყობს ხალხის ხელისუფლების დამყარებას.

• რა როლს ასრულებენ პოლიტიკური პარტიები წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს?

რა წაიკითხოთ:

• აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა. თარგმ. ინგლისურიდან, თბ.: გამომც. „ჯისიაი", 1997. — 264 გვ.

ცნობილი იურისტის, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის უორენ ე.ბერგერის ხელმძღვანელობით მომზადებული სახელმძღვანელოს დანიშნულებაა მკითხველს სადა და მარტივი ფორმით გააცნოს აშშ-ს კონსტიტუციის შემუშავება და მისი ძირითადი იდეები. როგორც წიგნის შესავალში არის აღნიშნული, აშშ-ს კონსტიტუციით იწყება ახალი ერა პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. ამიტომ ამ მოვლენას ზოგჯერ „კოპერნიკულ შემობრუნებას" უწოდებენ.

• შ. მონტესკიე. კანონთა გონი. თბ.: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1994. — 864 გვ.

დიდი ფრანგი განმანათლებლის შარლ ლუი მონტესკიეს ფუნდამენტური ნაშრომიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქ-

ციოთ მეორე წიგნის მე-2 თავს „რესპუბლიკური მმართველობა და დემოკრატიისათვის დამახასიათებელი კანონები (გვ.37-42). ასევე საინტერესოა მესამე წიგნი „სამი მმართველობის პრინციპები" როგორც მონტესკიე აღნიშნავს, „ხალხს ჩინებულად შეუძლია იმ ადამიანების არჩევა, რომლებსაც უნდა ანდოს თავისი ძალაუფლების გარკვეული ნაწილი" (გვ.38), მონტესკიე ხაზგასმით აღნიშნავს არჩევნების გადამწყვეტ როლს დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის: „დემოკრატიის დროს ხალხი ზოგი მხრივ მონარქია, ზოგი მხრივ კი ქვეშევრდომია. იგი მონარქია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აქვს საარჩევნო ხმები... კანონები, რომლებითაც განსაზღვრავენ საარჩევნო ხმას, ამ მმართველობის ძირითადი კანონებია. მართლაც, რესპუბლიკისათვის ისევე მნიშვნელოვანია დადგინდეს თუ როგორ, ვის მიერ, ვისთვის და რაზე უნდა იქნეს მიცემული ხმა, როგორც მონარქიაში აუცილებელია იცოდეთ, თუ რომელია მონარქი და როგორი წესით უნდა მართოს მან" (გვ.37-38).

• არჩევნების ინსტიტუტი XVII_XVIII საუკუნეების პოლიტიკურ აზრში.

სალექციო კურსის პირველი თავის ფარგლებში განხილული საკითხების გაღრმავებული შესწავლისათვის ფართო შესაძლებლობები არსებობს. ქართულ და უცხო ენებზე გამოსულია როგორც მოცემული თავის ფარგლებში განხილული ცნობილი მოაზროვნეების ნაშრომები, ისე მრავალი ნაშრომი ამ პერიოდის პოლიტიკური აზრის ისტორიაზე, გამოკვლევები სხვადასხვა მოაზროვნეების პოლიტიკურ შეხედულებებზე. სასურველი იქნება, თუ ამგვარი ნაშრომების ბიბლიოგრაფიას შეადგენთ და გაეცნობით მათ სწავლის პერიოდში.

თავი II

არჩევნები და საარჩევნო პროცესი XIX საუკუნეში

XIX საუკუნის არჩევნებისა და საარჩევნო პროცესის განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა თანამედროვე საარჩევნო სისტემა. ხმის მიცემის დღეისათვის ჩვეული პროცედურები. ამ პროცესს 1789 წლის საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ჩაუყარა საფუძველი. თუმცა, თანამედროვე საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბებას საუკუნეზე მეტი დრო დასჭირდა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე ევროპაში მიმდინარეობდა „ფეოდალიზმის მემკვიდრეობის" ლიკვიდაციის პროცესი, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ლიბერალიზაცია.

§ 1. საარჩევნო პროცესის თავისებურებანი XIX საუკუნის პირველ ნახევარში

საარჩევნო ცენზები. XIX საუკუნის დამდეგს ევროპის ქვეყნებში ძალზე შეზღუდული საარჩევნო უფლებები არსებობდა. ამ პერიოდის საარჩევნო კანონები სხვადასხვა სახის ცენზების არსებობას ითვალისწინებდა, რაც მოსახლეობის უმრავლესობას არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ართმევდა. მონარქისტული და არისტოკრატიული წრეები ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ საარჩევნო რეფორმების განხორციელებას. ევროპის კონსერვატორულ ძალებს კარგად ესმოდათ, რომ საყოველთაო არჩევნების მოთხოვნა უშუალოდ უკავშირდებოდა კონსტიტუციური მონარქიისა და მმართველობის რესპუბლიკური ფორმის დამყარებას.

საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღების მოწინააღმდეგეებს თავისი არგუმენტები ჰქონდათ. ისინი მიუთითებდნენ, რომ ამას

შედეგად შეიძლება მოჰყოლოდა საზოგადოების შიგნით უთანხმოებათა გამწვავება, უმცირესობის ინტერესების იგნორირება, პარლამენტართა ინტელექტუალური დონის დაქვეითება, ხელისუფლებაში ავანტიურისტთა მოსვლა. ხშირად პოლიტიკურ უფლებათა უთანასწორობის დაცვის მომხრენი თავიანთ თვალსაზრისს ცინიკური ფორმითაც იცავდნენ. მაგალითად, ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ფრანსუა გიზომ მოწოდებას მხარი დაუჭირა საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებისათვის შემდეგნაირად უპასუხა: „გამდიდრდით ბატონებო და თქვენც იქნებით ამომრჩევლები".

პირობები, რომლებიც ზღუდავდნენ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებს, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს. შეზღუდვების ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი **ქონებრივ ცენზოან** იყო დაკავშირებული. ქონებრივი ცენზი ყველგან აღიარებული იყო საარჩევნო პროცესის ნორმალურ ელემენტად. ზოგიერთ ქვეყანაში მოქალაქის შემოსავლის სიდიდესთან არჩევნებში მონაწილეობის უფლების დაკავშირება XX საუკუნის დამდეგამდე იქნა შენარჩუნებული.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი ქონებრივი ცენზი საქსონიაში იყო. ამ გერმანული სახელმწიფოს პრაქტიკულად ყველა მოზრდილ მამაკაცს ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

საარჩევნო უფლებების შეზღუდვის მეორე ჯგუფს **ასაკობრივი ცენზები** შეადგენდა. ამომრჩეველი ან არჩეული შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ გარკვეულ ასაკს მიღწეული ადამიანი. ყველაზე მცირე ასაკი იყო დაწესებული შვეიცარიის ზოგიერთ კანტონში — 17 წელი, ყველაზე მაღალი კი საფრანგეთსა და დანიაში — 30 წელი. პორტუგალიასა და დიდ ბრიტანეთში ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ მხოლოდ დაოჯახებულ მამაკაცებს.

შეზღუდვების მესამე ჯგუფი მოქალაქეთა **პროფესიონალურ მოღვაწეობას** უკავშირდებოდა. პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, წყდებოდა მოხელეთა საარჩევნო უფლების საკითხიც. ხშირად ხმის უფლებას მოკლებული იყვნენ სამხედროები.

შეზღუდვების მეოთხე ჯგუფს წარმოადგენდა **ბინადრობის ცენზი**: დადგენილი იყო მუდმივი ცხოვრების ვადა ქვეყნის ერთ დასახლებულ პუნქტში ან ადმინისტრაციულ ერთეულში.

ცალკე ჯგუფად გამოიყოფა **განათლების დონესთან** დაკავშირებული შეზღუდვები. განათლების საარჩევნო ცენზი დადგენილი იყო საფრანგეთში, იტალიაში, პორტუგალიაში. იგულისხმებოდა, რომ ხმის მიცემაში მონაწილეობისათვის ამომრჩეველს, როგორც მინიმუმ, წერა-კითხვა უნდა სცოდნოდა.

შეზღუდვათა მეექვსე ჯგუფი **მოქალაქეთა რელიგიურ აღმსარებლობას** უკავშირდებოდა. გერმანულ სახელმწიფოებში საარჩევნო უფლება მხოლოდ ქრისტიანებს ჰქონდათ. ესპანეთში მხოლოდ კათოლიკეებს შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობა. ინგლისში იმ პირებს, რომლებიც არ იზიარებდნენ სახელმწიფო რელიგიას (ანგლიკანობა), წარმომადგენლობით ორგანოებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1829 წლის შემდეგ მიეცათ. ამ წელს შეიცვალა ფიცის ტექსტი, რომელსაც დებდა თემთა პალატის ახლად არჩეული დეპუტატი: მასში უკვე ლაპარაკი იყო, რომ პარლამენტარი აღიარებდა ზოგადად ქრისტიანულ რელიგიას. სხვა რელიგიების წარმომადგენლებს თავისი კანდიდატების წამოყენების უფლება მხოლოდ 1866 წლის შემდეგ მიეცათ, როდესაც დეპუტატის ფიცის ტექსტში მხოლოდ ნახსენები იყო „ღმერთის რწმენა", ამ ცნების კონკრეტიზაციის გარეშე.

ყველა ქვეყანაში ქალებს არ ჰქონდათ ხმის უფლება და ისინი ჩამოშორებულნი იყვნენ საარჩევნო პროცედურებს.

საფრანგეთის საარჩევნო სისტემა. 18 ბრიუმერის (ნაპოლეონ ბონაპარტეს ხელისუფლების სათავეში მოსვლა 1799 წლის 19 ნოემბერს) შემდეგ ახალი კონსტიტუციის შემუშავება დაევალა სიეისს. მის მიერ ჩამოყალიბებული ნაციონალური სუვერენიტეტის თეორია ემყარებოდა ორ აქსიომას:

1. თანამდებობებზე მხოლოდ ის პირები უნდა დაინიშნონ, რომლებიც იმათი ნდობით სარგებლობენ, ვისზედაც ხელისუფლება ეძლევათ;
2. თანამდებობებზე არ უნდა ნიშნავდნენ ისინი, რომლებიც შემდეგ მათ ხელისუფლებას უნდა დაემორჩილოს.

ეს ორი აქსიომა მოკლედ გამოიხატება შემდეგი ფორმულით: „ხელისუფლება ზემოდან უნდა მომდინარეობდეს, ნდობა კი — ქვემოდან".

სიეისის მიერ შემუშავებული კონსტიტუცია ძალზე რთულ საარჩევნო სისტემას ითვალისწინებდა. ყველა სრულწლოვანი მამაკაცი თავისი რიგებიდან ირჩევდა ერთ მეათედ ნაწილს. არჩეულებს ეწოდებოდათ კომუნალური ნოტაბლები. მათი რიგებიდან მთავრობა ნიშნავდა კომუნის თანამდებობის პირებს. თავის მხრივ, კომუნალური ნოტაბლები თავისი რიგებიდან ირჩევდნენ ერთ მეათედ ნაწილს ნაციონალურ ნოტაბლებად. დეპარტამენტის თანამდებობებზე ინიშნებოდნენ დეპარტამენტის ნოტაბლების სიიდან, რესპუბლიკის დეპუტატები და თანამდებობის პირები მთავრობის მიერ ინიშნებოდნენ ნაციონალური ნოტაბლების სიაში შესული მოქალაქეებისაგან.

სიეისის მიერ შემუშავებული საარჩევნო სისტემა საყოველთაო საარჩევნო უფლების იმიტაციას ახდენდა, სინამდვილეში კი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირება მთლიანად მთავრობაზე იყო დამოკიდებული. სიეისის კონსტიტუცია ანტიდემოკრატიული იყო, რადგანაც ხალხის ზეგავლენა სახელმწიფოს საქმეებზე მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებდა. მაგრამ ამავე დროს, სიეისი ქმნიდა კოლეგიურ ორგანოებს, რაც ეწინააღმდეგებოდა ერთპიროვნული ხელისუფლების დამყარებას. სწორედ ეს არ აწყობდა ნაპოლეონს. მან სხვებს დაავალა ახალი კონსტიტუციის შემუშავება, რომელშიც სიეისის პროექტიდან მხოლოდ საარჩევნო სისტემა და კანონების მიღების პროცედურა დარჩა.

ნაპოლეონის კონსტიტუცია 1799 წლის დეკემბერში მიიღეს. საარჩევნო უფლება მიეცა საფრანგეთის ყველა მოქალაქე მამაკაცს. მოქალაქედ ითვლებოდა ყოველი პირი, რომელიც დაიბადა და ცხოვრობდა საფრანგეთში და შეუსრულდა 21 წელი. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მას აუცილებელი იყო ასევე ჰქონოდა კანონიერი საცხოვრებელი ადგილი გარკვეული ოლქის ტერიტორიაზე, არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში.

საფრანგეთში ბურბონების რესტავრაციის შემდეგ მიღებულ 1814 წლის ქარტიას საფუძვლად დაედო მეფის სუვერენიტეტის პრინციპი. აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად მეფის ხელში იყო მოქცეული, პერთა პალატასაც მეფე ნიშნავდა, დეპუტატთა პალატას კი ირჩევდა საარჩევნო კოლეგიები. დეპუტატებს ირჩევდნენ 5 წლის ვადით, ამასთან, ყოველწლიურად აახლებდნენ პალატის ერთ მეხუთედს.

საფრანგეთში „1814 წლის ქარტიამ", 1791-1799 წლების საკანონმდებლო აქტების მსგავსად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოქალაქის მიერ გადახდილი პირდაპირი გადასახადების სიდიდეს დაუკავშირა. ეს გარემოება საარჩევნო პროცესში არა მარტო მუშების, გლეხების და წვრილი ბურჟუაზიის, არამედ საშუალო შეძლების მქონე ადამიანების მონაწილეობასაც ზღუდავდა. 1814 წლის ქარტიის მოთხოვნის თანახმად, აქტიურ საარჩევნო უფლება ჰქონდათ პირებს, რომელთაც 30 წელი შეუსრულდათ და წელიწადში იხდიდნენ პირდაპირ გადასახადებს არანაკლებ 300 ფრანკისა. ასეთი მაღალი ქონებრივი ცენზის პირობებში საარჩევნო უფლება 15 ათასზე ნაკლებ კაცს ჰქონდა. ქარტია ითვალისწინებდა, რომ თუკი დეპარტამენტში არ აღმოჩნდებოდა 50 კაცი, რომელიც აკმაყოფილებდა დაწესებულ ქონებრივ ცენზს, მაშინ მოცემული დეპარტამენტისათვის ცენზი შეიძლება შემცირებულიყო. პასიური საარჩევნო უფლება ჰქონდათ

იმათ, რომელთაც 40 წელი შეუსრულდათ და წელიწადში იხდიდნენ პირდაპირ გადასახადებს, არანაკლებ 100 ფრანკისა. პერთა პალატისაგან განსხვავებით, დეპუტატთა პალატის სხდომები საჯარო ხასიათს ატარებდა.

ქარტიის მოქმედების პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა არჩევნების წესი. 1817 წელს ზომიერმა როიალისტებმა მიაღწიეს ორსაფეხურიანი არჩევნების პირდაპირი არჩევნებით შეცვლას. 1820 წელს კი შემოღებულ იქნა უფრო რეაქციული საარჩევნო კანონი. ამ კანონის თანახმად, საარჩევნო უფლების მქონე ყველა პირი ირჩევდა 258 დეპუტატს, შემდეგ კი ამომრჩეველთა ერთი მეოთხედი, ისინი, რომლებიც გადასახადების ყველაზე მსხვილი გადამხდელები იყვნენ, დამატებით ირჩევდნენ კიდევ 172 დეპუტატს. ამ სისტემამ ორმაგი ვოტუმის სახელწოდება მიიღო. მხოლოდ 7 დეპარტამენტში, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 300—400-ს არ აღემატებოდა, შენარჩუნებულ იქნა ძველი წესი. ორმაგი ვოტუმის სისტემამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მსხვილი მიწათმფლობელების წარმომადგენლობა დეპუტატთა პალატაში.

საფრანგეთის მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად, ამომრჩეველთა რაოდენობა არათუ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა კიდეც. 1817 წელს საარჩევნო უფლება ჰქონდა 110 ათას მოქალაქეს, 1820 წელს — 105 ათასს, 1824 წელს — 105 ათასს, 1824 წელს — 89 ათასს, 1827 წელს — 89 ათასს. 1830 წელს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საფრანგეთში შეადგენდა დაახლოებით 110 ათას ადამიანს (ანუ მოზრდილი მოსახლეობის 2%-ზე ნაკლებს), დეპუტატთა პალატაში არჩევის უფლება კი ჰქონდა არაუმეტეს 14 ათასი ადამიანისა. ასეთი მაღალი ქონებრივი ცენზის არსებობის პირობებში არჩევნები ერთ ტურად ტარდებოდა.

1830 წელს საფრანგეთის მეფე კარლ X-ემ გამოსცა 6 ორდონანსი, რომელთაგან რამდენიმე პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. ამომრჩეველთა რაოდენობა სამი მეოთხედით მცირდებოდა — საარჩევნო უფლებები ერთმეოდა ე.წ. პატენტების მფლობელებს. ეს ნიშნავდა, რომ სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლები და თავისუფალი პროფესიის მქონე ადამიანები საარჩევნო ურნებთან დაიშვებოდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მნიშვნელოვანი მიწის საკუთრება გააჩნდათ. წინასაარჩევნო კამპანიის დროს კი იკრძალებოდა კრებები და მიტინგები. ორდონანსების გამოქვეყნებას რევოლუცია მოჰყვა. ტახტზე ახალი მეფე ლუი ფილიპე ავიდა, შემუშავებულ იქნა 1814 წლის ქარტიის ახალი რედაქციაც. ახალმა რეჟიმმა „ივლისის მონარქიის“ სახელწოდება მიიღო.

პასიური საარჩევნო უფლება ახლა უკვე არა 40. არამედ 30 წლიდან ენიჭებოდათ, ხოლო აქტიური საარჩევნო უფლება კი 25 წლის ასაკიდან ეძლეოდათ. ქარტიიდან გამოირიცხა მითითება ქონებრივი ცენზის სიდიდეზე და მხოლოდ გაკვრით იყო ნათქვამი იმის თაობაზე, რომ მოქალაქე უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, ქონებრივი ცენზი არ გაუქმებულა. 1831 წლის 31 აპრილს მიღებული ქარტიის დამატებით, აქტიური საარჩევნო უფლება ენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც წელიწადში იხდიდნენ პირდაპირ გადასახადებს არანაკლებ 200 ფრანკისა. საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელებს ირჩევდნენ თავად ამომრჩევლები (მანამდე მათ მეფე ნიშნავდა). ორმაგი ვოტუმი გაუქმდა. ასევე დაადგინეს, რომ დეპუტატები, თუკი ისინი დაიკავებდნენ ანაზღაურებად სახელმწიფო თანამდებობებს, ტოვებდნენ დეპუტატის მანდატს და ხელახლა უნდა წამოეყენებინათ არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა.

საარჩევნო სისტემის რეფორმამ რამდენადმე გაადიდა ამომრჩეველთა კორპუსი, თუმცა იგი უმნიშვნელო იყო ქვეყნის მთელ მოსახლეობასთან შედარებით. ივლისის მონარქიის არსებობის დასაწყისში ხმის უფლება ჰქონდა 166.183 მოქალაქეს, ხოლო 1846 წელს — 240.983-ს. ამ დროს კი საფრანგეთის მოსახლეობა კი ამ დროს 35 მილიონ ადამიანს შეადგენდა.

დიდი ბრიტანეთის საარჩევნო სისტემა. XIX საუკუნის დამდეგისათვის ამომრჩეველთა რაოდენობა დიდ ბრიტანეთში 250 ათასს არ აღემატებოდა. ამომრჩეველთა სიმცირე ხელს უწყობდა მათი მოსყიდვის მცდელობებს და ამ მხრივ ხელისუფლებისათვის მებრძოლი პარტიების მაქინაციებს. ამომრჩეველთა მოსყიდვა იმდროინდელ ბრიტანეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი ამომრჩევლებისა და პარლამენტარების ხმების ფასები.

თემთა პალატა არჩევითი იყო, მაგრამ მისი სამი მეოთხედი ცენტრიდან კომპლექტებოდა და. ფაქტობრივად. ისეთივე მემკვიდრეობითი იყო, როგორიც ლორდთა პალატა. იგი მიწათმოფლობელი არისტოკრატიის მეტოქე დაჯგუფებების ბრძოლის არენას წარმოადგენდა.

არანაკლებ აქტუალური იყო პარლამენტში ტერიტორიული წარმომადგენლობის პრობლემა. საარჩევნო ოლქების საზღვრები საუკუნეების მანძილზე — XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე — უცვლელი რჩებოდა. დროთა განმავლობაში ისე აღმოჩნდა. რომ შუა საუკუნეებში აყვავებული მრავალი ადგილი ახალ დროში უმნიშვნელო

დასახლებებად იქცა. ასეთ პუნქტებს თანამედროვენი „დამპალ ადგილებს“ უწოდებდნენ. მაგრამ იქიდან პარლამენტში ძველებურად იგზავნებოდნენ დეპუტატები. სამრეწველო და მჭიდროდ დასახლებული ადგილებიდან კი წარმომადგენლობა უმნიშვნელო იყო. ისეთ მსხვილ სამრეწველო ცენტრებს, როგორიც იყო მანჩესტერი, ბირმინგემი, ლიდსი, რომლებიც XVI საუკუნეში არ არსებობდნენ. თავიანთი წარმომადგენლები არ ჰყავდათ თემთა პალატაში. პატარა დასახლება ოლდ სარემი, სადაც სულ 7 მცხოვრები იყო, თემთა პალატაში 2 დეპუტატს გზავნიდა. დანვიჩში სულ ერთი მცხოვრები იყო დარჩენილი, რომელიც ავტომატურად ხდებოდა დეპუტატი.

ამგვარი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყო. ლორდმა ჯონ რასელმა მრავალგზის შეიტანა ბილი პარლამენტში საპარლამენტო რეფორმის თაობაზე (1820, 1822, 1823, 1826), მაგრამ პარლამენტი ამგვარ წინადადებებს ხმათა უმრავლესობით უარყოფდა ხოლმე.

1832 წლის საპარლამენტო რეფორმით გაუქმდა 56 ძველი საარჩევნო ოლქი, რომლებშიც 2 ათასზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობდა. ამრიგად, ვაკანტური გახდა 111 სადეპუტატო ადგილი პარლამენტში. კიდევ 32 ქალაქი, რომელთა მოსახლეობა 4 ათას მცხოვრებზე ნაკლებს შეადგენდა, ამიერიდან პარლამენტში ერთ დეპუტატს გააგზავნიდა ორის ნაცვლად. გათავისუფლებული 144 საპარლამენტო ადგილი გადანაწილდა ქალაქებსა და საგრაფოებს შორის, სადაც 42 ახალი საარჩევნო ოლქი შეიქმნა.

დიდ ბრიტანეთში 1832 წლის საპარლამენტო რეფორმამ შეინარჩუნა ადრინდელი, საკმაოდ მაღალი ქონებრივი ცენზი: უძრავ ქონებაზე 40 შილინგი (3,3 გირვანქა სტერლინგი) მინიმალური წლიური შემოსავალი. ამომრჩევლების რაოდენობა რამდენადმე გაიზარდა სოფლისა და ქალაქის მესაკუთრეთა ხარჯზე. ხმის უფლება მიიღეს კოპიგოლდერებმა, რომლებიც მიწის იჯარის სახით წელიწადში იხდიდნენ არანაკლებ 5 გირვანქისა. აგრეთვე ფერმერებმა, რომელთაც მიწის ნაკვეთები აღებული ჰქონდათ გრძელვადიანი იჯარით (40 წელზე მეტი ხნით) რისთვისაც ყოველწლიურად იხდიდნენ 5 გირვანქა სტერლინგზე მეტს. ქალაქებში ამომრჩევლები შეიძლება ყოფილიყვნენ სახლის მეპატრონეები ან ისინი, რომლებიც წელიწადში იხდიდნენ ბინის ქირას არანაკლებ 10 გირვანქა სტერლინგისა.

1832 წლის რეფორმით ამომრჩეველთა რაოდენობა 455 ათასით, ანუ ორჯერ გაიზარდა. მაგრამ ქვეყნის 24 მლნ მცხოვრებიდან ხმის უფლების მქონეთა რაოდენობა მილიონს არ აღემატებოდა. აღსანიშ-

ნავია, რომ 1832 წლის აქტით შემოღებულ იქნა ამომრჩეველთა რეგისტრაცია.

აშშ-ის საარჩევნო სისტემა. რესპუბლიკური მმართველობა აშშ-ში ასოცირდებოდა საარჩევნო უფლების რეალიზებასთან და გაფართოებასთან, მაგრამ აშშ-ის დემოკრატიის გარიჟრაჟზე ელექტორატი მეტად მცირერიცხოვანი იყო. მაგალითად, 1824 წელს პრეზიდენტი ჯ.ადამსი არჩეულ იქნა 114 ათასი ხმით, ქვეყნის მოსახლეობა კი ამ დროს 12 მილიონს აღემატებოდა.

ელექტორატის სიმცირეს განაპირობებდა შტატების კონსტიტუციების მიერ დაწესებული მაღალი ქონებრივი ცენზები. სწორედ ამის წინააღმდეგ ბრძოლა ხდება პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი ამოცანა აშშ-ში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მიუხედავად იმისა, რომ ზანგები საერთოდ მოკლებულნი იყვნენ საარჩევნო უფლებებს.

მოძრაობა თეთრკანიანი მამაკაცების საყოველთაო საარჩევნო უფლებებისათვის გაიშალა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც მერილენდის შტატმა მიიღო კონსტიტუციის შესწორება ხმის უფლების მინიჭებისათვის ყველა ქონებრივი ცენზის გაუქმებასთან დაკავშირებით. ეს ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც ანალოგიური ცვლილებები მასაჩუსეტის და ნიუ-იორკის კონსტიტუციებშიც იქნა შეტანილი. ნიუ-იორკის 1821 წლის კონსტიტუცია ხმის უფლების გარანტიას აძლევდა გადასახადის გადამხდელ მამაკაცებს, ხოლო 1826 წელს მიღებული შესწორებით ხმის უფლება მიეცა ყველა ზრდასრულ თეთრკანიან მამაკაცს.

სამხრეთის შტატებში ეს მოძრაობა ფერხდებოდა. მაგალითად, 1829—1830 წლებში ვირჯინიამ შეინარჩუნა ქონებრივი ცენზი. მაგრამ 1850 წელს ამ შტატის კონსტიტუციამაც უზრუნველყო ხმის უფლება ყველა თეთრკანიანი მამაკაცისათვის. ამ დროისათვის ყველა შტატმა გააუქმა ქონებრივი ცენზი, გარდა ჩრდილოეთი კაროლინასი, რომელმაც ეს ნაბიჯი მხოლოდ 1856 წელს გადადგა.

თუ ა.ჯეკსონის პრეზიდენტობის (1829—1837) დასაწყისში რიგ შტატებში არსებობდა ქონებრივი ცენზი, სამოქალაქო ომის დაწყების დროისათვის აშშ-ის მთელი მოზრდილი თეთრკანიანი მამაკაცები ხმის უფლებით იყვნენ აღჭურვილნი. ეს პროცესი „ჯეკსონური დემოკრატიის“ შემადგენელი ნაწილი იყო.

§ 2. ბრძოლა საარჩევნო სისტემის რეფორმისათვის XIX საუკუნის შუა ხანებში

XIX საუკუნის 30-40-იან წლებში არსებითი ცვლილებები მოხდა ევროპის მრავალი ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში. მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილებას იწვევდა ეკონომიკური კრიზისები, მონარქიული რეჟიმების არაკომპეტენტურობა და კორუმპირებულობა, ხელისუფლების მიერ არისტოკრატიული ფენების მხარდაჭერა, სამეფო ხელისუფლების ბრძოლა ლიბერალურ-დემოკრატიული ოპოზიციის წინააღმდეგ. მოსახლეობის უკმაყოფილო ფენების ძალისხმევა თავმოყრილი იქნა საარჩევნო რეფორმის მოთხოვნის გარშემო. ცხარე ბრძოლების შედეგად რიგ ქვეყნებში თანდათანობით მკვიდრდება ახალი საარჩევნო კანონმდებლობა, რომელიც საყოველთაობისა და თანასწორობის პრინციპებს ემყარებოდა.

ცვლილებები საფრანგეთის საარჩევნო სისტემაში. ივლისის მონარქიის კონსტიტუციურ ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საარჩევნო და საპარლამენტო რეფორმებისათვის ბრძოლას. სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლები ცდილობდნენ მიეღწიათ საარჩევნო ცენზის შემცირებისათვის, ასევე ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ დეპუტატის მანდატისა და ანაზღაურებადი სახელმწიფო თანამდებობის შეუთავსებლობის პრინციპი. ამგვარმა შეთავსებამ იმ პერიოდის საფრანგეთში ფართო გავრცელება პოვა და მთავრობა ამ მეთოდს დეპუტატების მოსასყიდად იყენებდა.

საფრანგეთში ახალი შეტევა საარჩევნო პროცესის დემოკრატიზაციისათვის 1847 წლიდან დაიწყო. პროგრესულმა პოლიტიკოსებმა და პრესამ, საზოგადოების მხარდაჭერით, მოითხოვა არჩევნების ჩატარების წესების შეცვლა და საარჩევნო ცენზების გაუქმება. რადგან საფრანგეთში იმ დროს არსებული კანონებით აკრძალული იყო სახალხო კრებების ჩატარება, საარჩევნო კანონმდებლობის შესაცვლელად აგიტაციისათვის იყენებდნენ იჯარით აღებულ რესტორნებსა და კაფეებს. ამ აქციამ „საბანკეტო კამპანიის“ სახელი მიიღო. კრებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები.

1848 წლის თებერვლის რევოლუციას საფრანგეთში მეფე ლუი ფილიპეს დამხობა მოჰყვა. 1849 წ. 23 აპრილს დაინიშნა არჩევნები დამფუძნებელ კრებაში, რომელსაც ახალი კონსტიტუცია უნდა მიეღო. დროებითმა მთავრობამ საარჩევნო უფლება პრაქტიკულად ყველა

ფრანგ მამაკაცს მიანიჭა. კანონმდებლობა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევდა 21 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, რომლებიც საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდა არანაკლებ 6 თვისა. ამან ამომრჩეველთა რაოდენობა ერთბაშად 240 ათასიდან 9,6 მილიონამდე გაზარდა. საარჩევნო სისტემის ახალი დემოკრატიული ნორმები განმტკიცებულ იქნა 1848 წლის კონსტიტუციაში:

„24. საარჩევნო უფლება პირდაპირი და საყოველთაოა. ხმის მიცემა ფარულად ხდება. 25. ამომრჩეველი შეიძლება იყოს, მიუხედავად თავისი ცენზისა, 21 წელს მიღწეული ყველა ფრანგი, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობს. 26. არჩეული შეიძლება იყოს ყველა ამომრჩეველი 25 წლის ასაკიდან. დამოუკიდებლად თავისი საცხოვრებელი ადგილისა. 28 რაიმე საზოგადოებრივ ანაზღაურებად თანამდებობაზე ყოფნა შეუთავსებელია ხალხის წარმომადგენლის უფლებამოსილებასთან".

1849 წ. 15 მარტს მიიღეს საარჩევნო კანონი, რომელიც ამ კონსტიტუციურ ნორმებს აკონკრეტებდა. საფრანგეთში 1848 წლის რევოლუციის შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდა საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომელიც ყველა მოზრდილ მამაკაცზე გავრცელდა. ამ დროიდან საფრანგეთში საპარლამენტო არჩევნები ტარდება ამომრჩევლების რაიმე არსებითი შეზღუდვების გარეშე. ელექტორალური ბაზის შეზღუდვის ერთადერთი მცდელობა 1850 წელს იყო, როდესაც გამოქვეყნდა ახალი საარჩევნო კანონი (1850 წ. 31 მაისი). ამომრჩევლებისათვის დგინდებოდა ძალზე დიდი ბინადრობის ცენზი — 3 წელი. ხმის უფლების მქონეთა რიცხვი 2,8 მილიონით შემცირდა. ხმის უფლება ძირითადად იმ მუშებმა დაკარგეს, რომლებიც სამუშაოს ძებნისას ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს. მაგრამ ამ კანონს დიდხანს არ უარსებია და მალე გაუქმდა ლუი ბონაპარტის გადატრიალებისა და 1852 წ. 29 მარტის კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

საგულისხმოა, რომ ახალმა საიმპერატორო რეჟიმმა არ გააუქმა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო უფლება და ხმის მიცემის ფარულობა. ავსტრიის ელჩის კითხვაზე, შენარჩუნდებოდა თუ არა საყოველთაო საარჩევნო უფლება, ნაპოლეონ III-მ უპასუხა: „მე არაფერი მაქვს საყოველთაო ხმის მიცემის წყლით ნათლობის წინააღმდეგ, მაგრამ სრულიადაც არ მეხალისება მთელი ცხოვრების განმავლობაში წყალში მედგას ფეხები".

მიუხედავად ამგვარი პოზიციისა, ნაპოლეონ III-ს თავისი მმართველობის განმავლობაში არ უცდია საარჩევნო კანონის შეცვლა. ეს მარტივად შეიძლება აიხსნას — სწორედ II იმპერიის დროს საფრან-

გეთში შემუშავდა ამომრჩეველთა ნებაზე ზემოქმედებისა და მანიპულირების ის ხერხები, რომელთაც ფართოდ იყენებდა და იყენებენ სხვადასხვა მთავრობები, ხალხის ნების „სასურველი კორექტირებისათვის". საიმპერატორო ხელისუფლება ინარჩუნებდა რიგ ეფექტურ საშუალებებს საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე ზეგავლენის მოსახდენად.

ამგვარ ხერხებს და მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

— ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების სისტემის გამოყენება (1852 წლის 2 თებერვლის დეკრეტის თანახმად, საპარლამენტო არჩევნები საფრანგეთში ტარდებოდა ერთმანდატიანი ოლქების სისტემით). ეს სისტემა, მრავალმანდატიან ოლქებთან შედარებით, უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა ამომრჩეველთა ხმის მიცემაზე გარეგნულად კანონიერი ადმინისტრაციული ზემოქმედებისათვის. კერძოდ, იმ საარჩევნო ოლქში შემავალი კომუნები, სადაც არჩევნების შედეგები მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო, ღებულობდა გარკვეულ შეღავათებს ან ფინანსურ მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან;

— ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო ოლქების საზღვრების თვითნებური დადგენა. ოლქები ისე „იჭრებოდა", რომ ოპოზიციისათვის მიცემული ხმები იძირებოდა მთავრობის მხარდამჭერი კანდიდატისათვის მიცემულ ხმებში;

— ოფიციალური კანდიდატების წამოყენება, რომელთაც ღიად უჭერდნენ მხარს დეპარტამენტების პრეფექტები;

— მთავრობისათვის ხელსაყრელი პოლიციური წესების გამოყენება საარჩევნო კრებების ჩატარების, საარჩევნო პლაკატების დაბეჭდვისა და გაკვრის, ფოსტით სარეკლამო მასალების გაგზავნის დროს. ოფიციალურ კანდიდატებს ხელისუფლება ყველა საშუალების გამოყენებით უჭერდა მხარს, ხოლო ოპოზიციის კანდიდატები ყოველნაირად იზღუდებოდნენ;

— II იმპერიის დროს გამოყენებული ზემოქმედების სპეციფიკური საშუალება იყო შემდეგი წესის გამოყენება: დეპუტატობის კანდიდატს ფიცი უნდა დაედო კონსტიტუციის ერთგულებაზე, რაც აშკარად ზღუდავდა ოპოზიციის კანდიდატებს საარჩევნო პლატფორმის შემუშავების დროს. ეს გარემოება მმართველობის რესპუბლიკური ფორმის მომხრეებს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში მოხვედრის საშუალებას ართმევდა.

ნაპოლეონ III-ის დამხობის შემდეგ, დროებითმა მთავრობამ 1870 წლის 10 სექტემბერს კვლავ აამოქმედა 1849 წლის 15 მარტის საარჩევნო კანონი. საბოლოოდ, ახალი საარჩევნო სისტემა მხოლოდ

1875 წელს ჩამოყალიბდა. როდესაც მიღებულ იქნა კანონები სენატორებისა და დეპუტატების არჩევნების შესახებ.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენი სენატორი უნდა აერჩიათ. დეპარტამენტების კოლეგიებში არჩევნები ტარდებოდა ერთმანდატიან ან მრავალმანდატიან ოლქებში. შემოღებულ იქნა ხმის მიცემის მაჟორიტარული სისტემა სამ ტურად: პირველ და მეორე ტურში მოითხოვებოდა აბსოლუტური უმრავლესობა, მესამე ტურში კი საკმარისი იყო ხმების შეფარდებითი უმრავლესობა. კომუნების დელეგატებისათვის დეპარტამენტის ცენტრში გამოცხადება, სადაც ტარდებოდა არჩევნები და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება აუცილებელი იყო. დელეგატებს უნაზღაურდებოდათ ის ხარჯები და ზარალი, რაც მათ შეიძლება გაეწიათ ან მოსვლოდათ ხმის მიცემაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

სენატორობის კანდიდატებს არ მოეთხოვებოდათ საკუთარი კანდიდატურის წამოყენებაზე თანხმობის დეკლარირება. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა რესპუბლიკელების დაჟინებით. ისინი ამით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ II იმპერიის დროინდელი პროცედურის ხელახლა გამოყენება, როდესაც დეპუტატობის კანდიდატს საკუთარი კანდიდატურის წამოყენებაზე თანხმობის განცხადებისას უნდა გამოეხატა თავისი ერთგულება და ლოიალურობა არსებული რეჟიმისადმი. გარდა ამისა, ზოგიერთ რესპუბლიკას მიაჩნდა, რომ დეპუტატობის კანდიდატის არჩევაზე თანხმობის აუცილებლობა ზღუდავდა ამომრჩეველთა უფლებას ხმა მიეცათ თავისათვის სასურველი ნებისმიერი პიროვნებისათვის და, ამდენად, არადემოკრატიული იყო.

დეპუტატთა პალატის არჩევა ხდებოდა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ორ ტურად. აქტიური საარჩევნო უფლება ენიჭებოდათ 21 წელს მიღწეულ მოქალაქეებს, პასიური საარჩევნო უფლება კი — 25 წლის ასაკიდან. საარჩევნო უფლებები არ ჰქონდათ ქალებს. სამხედრო მოსამსახურეებს ფორმალურად ჰქონდათ ხმის უფლება, მაგრამ კანონი ამომრჩეველთა სიების შედგენის ისეთ წესებს ითვალისწინებდა, რომელიც სამხედროთა უმრავლესობას კენჭისყრაში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევდა.

ეროვნულ კრებაში დიდი კამათი გაიშალა საარჩევნო ოლქებთან დაკავშირებით. რესპუბლიკელები ცდილობდნენ მიეღწიათ მრავალმანდატიანი ოლქების შექმნისათვის, რადგანაც მიაჩნდათ, რომ ერთმანდატიან ოლქებს შეიძლება ხელი შეუწყოთ II იმპერიის დროს ფართოდ გავრცელებული სამთავრობო კანდიდატების პრაქტიკის

აღდგენისათვის, მაგრამ მარცხი განიცადეს. ეროვნულმა კრებამ 375 ხმით, 326 ხმის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ერთმანდატიანი ოლქების შექმნას.

საფრანგეთის 1875 წლის კონსტიტუცია და ორგანული კანონები კომპრომისი იყო ზომიერ რესპუბლიკელებსა და ორლეანისტებს შორის. რესპუბლიკელებმა მიაღწიეს ძირითადი რესპუბლიკური ინსტიტუტების კონსტიტუციურად განმტკიცებას, მაგრამ მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდნენ სენატის ორგანიზებისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების საკითხში.

საარჩევნო კანონში გარკვეული ცვლილებები შემდეგ პერიოდშიც შეჰქონდათ. მაგალითად, 1885-1889 წლებში გაუქმდა კენჭისყრა ერთმანდატიან ოლქებში და სანაცვლოდ შემოიღეს კენჭისყრა დეპარტამენტის სიების მიხედვით, იმ გათვლით, რომ ყოველი დეპუტატი 70 ათას მცხოვრებზე გათვლით აერჩიათ. 1885 წელს ასევე დაადგინეს, რომ საფრანგეთში ადრინდელი სამეფო ოჯახების წევრების არჩევა არ შეიძლებოდა პარლამენტში და პრეზიდენტად. 1889 წელს აღადგინეს ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები, ხოლო დეპუტატობის კანდიდატებს აეკრძალათ თავისი კანდიდატურის წამოყენება ერთზე მეტ ოლქში.

ცვლილებები დიდი ბრიტანეთის საარჩევნო სისტემაში. 1832 წლის რეფორმამ მძიმე დარტყმა მიაყენა მოძველებულ საარჩევნო სისტემას, მაგრამ სრულიადაც ვერ დააკმაყოფილა დროის მოთხოვნები. მაღალი ქონებრივი ცენზის გამო, ინგლისის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა თემთა პალატის არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოკლებული აღმოჩნდა, 24 მლნ მცხოვრებიდან ხმის უფლება მხოლოდ 1 მილიონს ჰქონდა.

დიდ ბრიტანეთში საარჩევნო კანონმდებლობის შემდგომი რეფორმირება კვლავ მასობრივი გამოსვლების ზეგავლენით ხორციელდებოდა. 1832 წლის რეფორმის შემდეგ საზოგადოების მთავარი მოთხოვნები იყო:

- საარჩევნო უფლებების მინიჭება საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებისათვის;
- თემთა პალატაში ქალაქებიდან და საგრაფოებიდან დეპუტატების არჩევის სისტემის შეცვლა.

საარჩევნო რეფორმისათვის ბრძოლას სათავეში პროფკავშირები ჩაუდგნენ. 1838 წელს მუშათა ლონდონის ასოციაციის ინიციატივით გამოქვეყნდა საარჩევნო რეფორმის შესახებ ბილის პროექტი — სახალხო

ქარტია („The charter"). აქედან მიიღო XIX საუკუნის 30-40-იანი წლების მოძრაობამ დიდ ბრიტანეთში „ჩარტიზმის" სახელწოდება. ჩარტისტების პროგრამა ექვსი პუნქტისგან შედგებოდა:

• თანაბარი წარმომადგენლობა — ინგლისის დაყოფა თანაბარი მოსახლეობის მქონე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებად;

• ხმის უფლების მიცემა 21 წლის ასაკს მიღწეული ყველა მამაკაცისათვის;

• ფარული კენჭისყრა;

• ყოველწლიური საპარლამენტო არჩევნები;

• პარლამენტარობის კანდიდატებისათვის ქონებრივი საარჩევნო ცენზის გაუქმება;

• ფულადი ანაზღაურება პარლამენტის წევრებისათვის.

ჩარტისტების პროგრამა მთავრობამ არ შეასრულა. გარდა ერთისა — 1858 წელს გაუქმდა 1710 წელს გამოქვეყნებული „აქტი პარლამენტების თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ". ამ აქტის მიხედვით პარლამენტის დეპუტატს უნდა ჰქონოდა საკუთრება. საიდანაც შემოსავალი წელიწადში შეადგენდა არანაკლებ 600 გირვანქისა საგრაფოებში და 300 გირვანქისა — ქალაქებში.

პარლამენტის წევრობისათვის მაღალი ქონებრივი ცენზის გაუქმებას არ მოჰყოლია ღარიბი კლასების წარმომადგენელთა არჩევა პარლამენტში, რადგანაც 1911 წლამდე პარლამენტარი გასამრჯელოს არ იღებდა. 1857 წელს პარლამენტის წევრი გახდა ჩარტისტების ბელადი ო`კონორი.

1832 წლის რეფორმამ, შეზღუდული ხასიათის მიუხედავად, მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო — 1835 წელს მთავრობა პირველად გახდა იძულებული გადამდგარიყო არჩევნების შედეგად. 1832—1867 წლებში არჩევნები, როგორც წესი, კაბინეტის შეცვლას იწვევდა. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებდა, რომ სამთავრობო ფული ელექტორალურ პროცესში აღარ ასრულებდა გადამწყვეტ როლს და არჩევნების ორგანიზება პარტიების ხელში გადავიდა. ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდამ გააძნელა და გაცილებით ძვირი გახადა ამომრჩეველთა მოსყიდვა, რასაც ადრე მთავრობა სისტემატურად აკეთებდა. მაგრამ გაჩნდა ზეწოლის ახალი საშუალება — დაშინება, რამაც 1832-1872 წლებში (ფარული კენჭისყრის შემოღებამდე) უფრო დიდი ზიანი მიაყენა თავისუფალი ნების გამოვლინებას, ვიდრე კორუფციამ.

1832 წლის რეფორმის შემდეგ, ცალკეული წინააღმდეგობების მიუხედავად, სამეფო ხელისუფლება შეურიგდა იმასაც, რომ მთავრობა პასუხისმგებელი იყო თემთა პალატის წინაშე. 1837-1866 წლებში

ბრიტანეთის 9 კაბინეტიდან 8 ვადადგა, თემთა პალატის მიერ გამოხატული ნების შედეგად. გამონაკლისი იყო პალმერსტონის მეორე კაბინეტი, რომელმაც 1865 წელს შეწყვიტა არსებობა პრემიერის სიკვდილის გამო. უფლებები დაკარგა ლორდთა პალატამაც.

1867 წლის 18 მარტს დიზრაელმა პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი რეფორმის შესახებ. ქონებრივი ცენზის შემცირებას ის განიხილავდა არა როგორც „დემოკრატიული უფლებების" აღიარებას, არამედ როგორიც „სახალხო პრივილეგიების" გაფართოებას, რაც განპირობებული იყო მოსახლეობის ზრდით, მრეწველობის აღმავლობით, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმატებებით. ამ ორ ცნებას შორის განსხვავებას დიზრაელი შემდეგნაირად განმარტავდა: „სახალხო პრივილეგიები თავსებადია საზოგადოებასთან, რომელშიც პირობების დიდი უთანასწორობა არსებობს. დემოკრატიული უფლებები, პირიქით, მოითხოვს პირობათა თანასწორობას". აქედან გამომდინარე, დიზრაელი გეგმავდა მაღალი კლასებისათვის დამატებითი ხმების მინიჭებით მშრომელთა უფლებების გაფართოების გაწონასწორებას. მაგრამ, მასობრივი მოძრაობის აღმავლობის პირობებში, ამგვარი გეგმების მომხრენი იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ „მინიმალური დათმობების" პოლიტიკაზე. ლორდთა პალატამაც კი ვერ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა.

1867 წლის 15 აგვისტოს ძალაში შევიდა „აქტი სახალხო წარმომადგენლობის შესახებ". ამ კანონის თანახმად საგრაფოებში საარჩევნო უფლებები მიიღეს მესაკუთრეებმა და მიწის მოიჯარადეებმა, რომელთა შემოსავალიც წელიწადში 5 გირვანქა სტერლინგს მაინც შეადგენდა, ხოლო ქალაქებში — ბინის დამქირავებლებმა, რომლებიც საცხოვრებელში იხდიდნენ არანაკლებ 10 გირვანქისა წელიწადში. რეფორმის შედეგად ამომრჩეველთა რიცხვმა დიდ ბრიტანეთში 2 მილიონს გადააჭარბა, მაგრამ ეს ქვეყნის მოსახლეობის, დაახლოებით, მხოლოდ 10% იყო.

კვლავ მწვავედ იდგა საარჩევნო სისტემის დისპროპორციის საკითხი. სამრეწველო ცენტრები, რომელთა საერთო მოსახლეობა 5 მილიონს შეადგენდა, იმაზე ნაკლებ დეპუტატს ირჩევდა, ვიდრე 66 პატარა ქალაქი, რომლის მოსახლეობაც მხოლოდ 450 ათასს შეადგენდა. „დამპალ ადგილებზე" ახალი შეტევის შედეგად კიდევ 45 პარლამენტარის მანდატი გათავისუფლდა, რომლებიც ქალაქებს, საგრაფოებსა და ლონდონს შორის გადანაწილდა.

1884 წელს პარლამენტმა მიიღო „სახალხო წარმომადგენლობის შესახებ აქტის" ახალი რედაქცია. საარჩევნო უფლება საგრაფოებში

ეკლეზიათ მიწისა და სხვა ქონების მესაკუთრეებს, რომელთა წლიური შემოსავალი იყო არანაკლებ 10 გირვანქისა, ხოლო ქალაქებში ყველა სახლის მფლობელს და ბინის დამქირავებელს. საგრაფოებზე გაკრცელდა საარჩევნო ნორმები, რაც 1867 წელს ქალაქებისათვის იყო დადგენილი. ხმის უფლება მიიღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა მუშებმა და ქალაქების გარეთ განლაგებული სამრეწველო საწარმოების მუშების დიდმა ნაწილმა. ამ კანონის შედეგად ამომრჩეველთა რიცხვმა 5 მილიონს მიაღწია. ამავე დროს, საარჩევნო უფლებებს კვლავ მოკლებული იყვნენ ქალები, ვაჟები, რომლებიც მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ, ბინების დამქირავებელნი, მოსამსახურეები, მოჯამაგირენი.

1885 წელს მიიღეს აქტი ადგილების გადანაწილების შესახებ. წარმომადგენლობა ჩამოერთვა რამდენიმე ათეულ ძველ დასახლებულ პუნქტს და შეიქმნა 33 ახალი საქალაქო ოლქი. პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ოლქების ძველ სისტემაზე უარის თქმას. საიდანაც ორ-ორ პარლამენტარს ირჩევდნენ. ამგვარი წესი, გამონაკლისის სახით, შენარჩუნდა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებსა და ოცამდე ქალაქში. სხვა ქალაქები და საგრაფოები დაიყო დაახლოებით თანაბარი მოსახლეობის მქონე უბნებად, რომლებიც თითო პარლამენტარს ირჩევდნენ. 1885 წლის აქტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დადგენის საქმეში.

ახალი საარჩევნო კანონების მიღება პოზიტიურად აისახა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. საარჩევნო კანონმდებლობა უკვე აღარ იყო მწვავე პოლიტიკური კონფლიქტების ობიექტი. გაიზარდა საზოგადოებრივი აზრისა და თავად არჩევნების ინსტიტუტის მნიშვნელობა. ამაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ 1867 წლიდან საუკუნის ბოლომდე დიდ ბრიტანეთში ჩატარებულ ყველა არჩევნებს მთავრობის შეცვლა მოსდევდა .

გერმანული სახელმწიფოების საარჩევნო სისტემები. გერმანულ სახელმწიფოებში საარჩევნო კანონმდებლობა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ფრანგული კანონმდებლობის ზეგავლენას განიცდიდა. XIX საუკუნის დასაწყისში გერმანია ნაპოლეონის ჯარებმა დაიპყრო. მის ტერიტორიაზე 1807—1813 წლებში შეიქმნა ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი — ვესტფალიის სამეფო — რომელიც პირველი კონსტიტუციური მონარქია იყო გერმანიაში. მის კონსტიტუციაში შედიოდა რიგი ნორმებისა, რომლებიც 1799—1804 წლების ფრანგული სამართლიდან იყო ნასესხები. მიუხედავად ხანმოკლე

არსებობისა, ვესტფალიის სამეფოს კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანული სამართლის განვითარებაში. მოვვიანებით, გერმანიის კავშირში შემავალი ქვეყნების მონარქები აქტიურად იყენებდნენ ამ კონსტიტუციას ახალი კანონმდებლობის შექმნის პროცესში.

გერმანული სახელმწიფოების ისტორიაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1815 წლის ვენის კონგრესის შემდგომი პერიოდი. კონგრესზე მიღებული დოკუმენტში (1815 წლის სამოკავშირეო აქტი) ეწერა: „კავშირის ყველა სახელმწიფოში იქნება მიწების წოდებრივი წარმომადგენლობა". ტერმინს „Verfassung" ჰქონდა ორგვარი განმარტება: „წოდებრივი კრება" ან „წოდებრივი კონსტიტუცია".

XIX საუკუნის 20-40-იან წლებში გერმანულ სახელმწიფოებში კონსტიტუციების მიღებისა და ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნის პროცესს რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი ჰქონდა. 1848 წლის რევოლუციამ გერმანიაში, ისევე როგორც საფრანგეთში, ხელი შეუწყო პროგრესული საარჩევნო კანონმდებლობის შექმნას. 1849 წლის 12 აპრილის „კანონი სახალხო პალატაში არჩევის თაობაზე" ხელისუფლების საერთოგერმანული წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევის წესებს განსაზღვრავდა. იგი მთლიანად აუქმებდა ქონებრივ ცენზებს ამომრჩევლებისათვის და საყოველთაო საარჩევნო უფლებას აცხადებდა (ბუნებრივია, მამაკაცებისათვის): ამომრჩევლად ითვლებოდა ყოველი „უმწიკვლო" 25 წლის გერმანელი. „უმწიკვლოებში" იგულისხმებოდნენ ისინი, რომელთაც არ ჰქონდათ ჩამორთმეული საარჩევნო უფლება. არჩევნებში არ დაიშვებოდნენ მეურვეობის ქვეშ მყოფი პირები, ბანკროტები, ადამიანები, რომლებიც სიღარიბის გამო სახელმწიფოსა ან მუნიციპალური ხელისუფლებისაგან იღებდნენ დახმარებას.

1849 წლის კანონის თანახმად, პასიური საარჩევნო უფლება (უფლება არჩეული ყოფილიყვნენ) გერმანელებს ასევე 25 წლის ასაკიდან ეძლეოდათ. უქმდებოდა შეზღუდვები მოხელეებისა და სამხედროებისათვის. არჩევნები უნდა ჩატარებულიყო იმ საარჩევნო ოლქების მიხედვით, რომელთა მოსახლეობაც 100 ათასს შეადგენდა. საარჩევნო ოლქი იყოფოდა საარჩევნო უბნებად. ყველა გერმანულ სახელმწიფოში არჩევნები ერთ დღეს უნდა ჩატარებულიყო (დამატებითი ტურების გამოკლებით). მკაცრად იყო განსაზღვრული ამომრჩეველთა აღრიცხვის წესები: ყოველ საარჩევნო უბანში უნდა შედგენილიყო არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირების სია — მათი გვარის, სახელის, ასაკის, ხელობისა და საცხოვრებელი

ადგილის მითითებით. ეს სიები არჩევნებამდე (არანაკლებ) 4 კვირით ადრე უნდა გამოქვეყნებულიყო რათა ყველა მსურველს შეძლებოდა მისი გაცნობა.

კანონმდებელთა აზრით, არჩევნების ორგანიზება სახელმწიფო სამსახურში არ მყოფ პირებს უნდა დაკისრებოდათ. ხმის მიცემისათვის უნდა გამოყენებულიყო საარჩევნო ბიულეტენები „ხელმოწერის გარეშე".

1849 წლის 12 აპრილის საარჩევნო კანონი უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ამ დოკუმენტს არ ჰქონდა პირდაპირი მოქმედების ძალა. რადგანაც კავშირში შემავალ თითოეულ სახელმწიფოს საკუთარი სამართლებრივი სისტემა ჰქონდა. სინამდვილეში, XIX საუკუნის შუახანებში, გერმანიის კავშირის სახელმწიფოებში საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პრინციპები მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. მიუხედავად ამისა, 1849 წლის კანონი საარჩევნო ნორმების თანდათანობითი ლიბერალიზაციის საფუძველი გახდა ყველა გერმანულ სახელმწიფოში.

პრუსიაში ორმა იურიდიულმა დოკუმენტმა: მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ის 1849 წ. 30 მაისის ბრძანებულებამ და 1850 წლის 31 იანვრის საკონსტიტუციო ქარტიამ ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში — ლანდტაგში — მრავალსაფეხურიანი საარჩევნო სისტემა დაადგინა. პირველ ეტაპზე ირჩევდნენ „ამრჩევებს", რომლებიც შემდეგ ღია კენჭისყრით ირჩევდნენ ლანდტაგის დეპუტატებს.

პრუსიაში ამომრჩევლები დაიყო სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გაერთიანებული იყვნენ ყველაზე შეძლებული მოქალაქეები (ყველა ამომრჩევლის 4—5%); მეორე ჯგუფში — ნაკლებად შეძლებული მოქალაქეები (ამომრჩევლების 12—13%); მესამე ჯგუფს მიეკუთვნებოდა ამომრჩეველთა დარჩენილი 81-85%, ანუ ყველა ის, ვინც მცირე გადასახადებს იხდიდა ან გათავისუფლებული იყო გადასახადების გადახდისაგან.

ასეთი სისტემა თავიდანვე გულისხმობდა უთანასწორობას დეპუტატების წამოყენების დროს. პირველი და მეორე ჯგუფის „ამრჩევების" ხმები აშკარად სჭარბობდა მესამე ჯგუფის „ამრჩევების" ხმებს. XIX საუკუნის ბოლოს, ამომრჩევლის კატეგორიის განსაზღვრისას, პრუსიაში, გარდა სახელმწიფო გადასახადებისა, დაიწყეს მის მიერ გადახდილი ადგილობრივი გადასახადების გათვალისწინებაც.

გერმანიის გაერთიანებისა და 1871 წლის 16 აპრილის კონსტიტუციის მიღების შემდეგ დადგინდა ახალი დემოკრატიული

წესი გერმანიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — რეიხსტაგის — ასარჩევად. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ცალკეულმა ნაწილებმა (პრუსია, ბავარია და ზოგიერთი სხვა) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ასარჩევად არაპირდაპირი არჩევნების ძველი სისტემა შეინარჩუნეს (ამრჩევების მეშვეობით), ერთიან გერმანიაში, საფრანგეთის მსგავსად, დამკვიდრდა პირდაპირი დემოკრატიული არჩევნების სისტემა. გერმანიის კონსტიტუცია აცხადებდა, რომ „რეიხსტაგი იქმნება საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების მეშვეობით ფარული კენჭისყრით".

ცვლილებები აშშ-ის საარჩევნო კანონმდებლობაში. სამოქალაქო ომის შემდეგ, ე.წ. „სამხრეთის რეკონსტრუქციის" (1865—1877 წწ.) პერიოდში, ფედერალურ კონსტიტუციას დაემატა XIV შესწორება (1868 წ.), რომელმაც შავკანიანები თეთრკანიანებთან გაათანაბრა (თუმცა, აღნიშნული შესწორება მაინც დასაშვებად მიიჩნევდა ცალკეული შტატების მიერ ამომრჩეველთა გარკვეული კატეგორიებისათვის საარჩევნო უფლებების ჩამორთმევას, მაგრამ შესაბამისად მცირდებოდა მოცემული შტატის წარმომადგენლობაც კონგრესში). მხოლოდ ამ შესწორების რატიფიკაციის შემთხვევაში სამხრეთის შტატებს ხელახლა იღებდნენ კავშირში. ყველა მათგანმა, ტენესის შტატის გამოკლებით, უარი თქვა მის რატიფიცირებაზე. რადიკალურ პოზიციაზე მდგომ კონგრესს პრეზიდენტი ჯონსონი დაუპირისპირდა, რომელიც მიღებული აქტების განხორციელებას აფერხებდა. იგი სენატის სასამართლოს გადაეცა საპრეზიდენტო ხელისუფლების უფლებამოსილების გადაჭარბების გამო. სენატს მხოლოდ ერთი ხმა დააკლდა პრეზიდენტის დასასჯელად.

იმის გამო, რომ XIV შესწორება ვერ უზრუნველყოფდა სრულ თანასწორობას და, პირველ რიგში, ხმის უფლებას არჩევნების დროს, 1870 წელს მიიღეს 15 შესწორება, რომელიც ცალსახად გამორიცხავდა რაიმე შეზღუდვებს ამასთან დაკავშირებით: „არ შეიძლება შეერთებული შტატების მოქალაქეს, შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის ხელისუფლების მიერ, უარი ეთქვას ან შეეზღუდოს ხმის მიცემის უფლება მისი რასის, კანის ფერის ან ადრე მონობაში ყოფნის გამო". კონგრესი უფლებამოსილი იყო სათანადო კანონმდებლობით ცხოვრებაში გაეტარებინა ეს მუხლი.

რეკონსტრუქციის პერიოდის დამთავრება უკავშირდება 1876 წლის საარჩევნო კამპანიას. ვერც რესპუბლიკელების კანდიდატმა ხეისმა და ვერც დემოკრატების კანდიდატმა ტილდენმა ვერ მიიღეს

ხმების საჭირო რაოდენობა. მეტად საეჭვო გამარჯვება ხეისს მიეკუთვნა. თავიანთი კანდიდატისათვის პრეზიდენტის პოსტის მიკუთვნების სანაცვლოდ, რესპუბლიკური პარტიის ლიდერები დაეთანხმნენ სამხრეთიდან ფედერალური ჯარების გამოყვანას.

აშშ-ის საარჩევნო პრაქტიკისათვის დიდი ხნის მანძილზე დამახასიათებელი იყო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის მიერ თავისი მომხრეებისათვის „ჯილდოს" სახით სახელმწიფო თანამდებობების დარიგება. ამ სისტემისათვის ბოლოს მოღება გადაწყვიტა პრეზიდენტმა ჩ.არტურმა (1881-1885წწ.). 1883 წელს მიიღეს კანონი „სამოქალაქო სამსახურის შესახებ", რომელიც კრძალავდა თანამდებობების დარიგებას პოლიტიკური დახმარების სანაცვლოდ და საკონკურსო გამოცდების სისტემას აწესებდა. მაგრამ მოცემული კანონი ეხებოდა მხოლოდ თანამდებობათა 12%-ს და ყოველთვის არ სრულდებოდა.

საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების ზოგადი დახასიათება. დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ბრძოლის შედეგად XIX საუკუნეში მნიშვნელოვნად შეიცვალა ევროპის ქვეყნების საარჩევნო კანონმდებლობა. მკვეთრად გაიზარდა ელექტორატის რიგები, სულ უფრო მცირდებოდა დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიდნენ სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლების არჩევნებში მონაწილეობას. შემცირდა ან მთლიანად გაუქმდა ქონებრივი საარჩევნო ცენზი. საპარლამენტო არჩევნებმა ჭეშმარიტად საერთოეროვნული ხასიათი მიიღო. თუმცა, რიგი ზომებისა მიმართული იყო იქითკენ, რომ საარჩევნო ურნებთან არ დაეშვათ ის ადამიანები, რომელთა არჩევანიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული შეიძლება ყოფილიყო სხვების გავლენაზე (მაგალითად, საქველმოქმედო დახმარების მიღებაზე) და ისინი, რომელთა საზოგადოებრივი რეპუტაციაც საეჭვო იყო (სულით ავადმყოფები, ბანკროტები, ლოთები).

არჩევნების საყოველთაობა და თანასწორობის პრინციპები ფართოდ გავრცელდა ევროპაში, მათ შორის ისეთ სუსტად განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიც იყო ნორვეგია, შვეცია, საბერძნეთი. მაგრამ რეფორმათა წარმატება არ იყო აბსოლუტური. მრავალი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობაში შენარჩუნებული იყო საარჩევნო უფლებების რიგი შეზღუდვებისა (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი).

§ 3. საარჩევნო პროცედურები XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ამომრჩეველები და საარჩევნო იერარქია. საარჩევნო ცენზების და, პირველ რიგში, ქონებრივი ცენზების გასაუქმებლად ბრძოლა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. რიგი კანონებისა და საკონსტიტუციო აქტების მიღების შემდეგ **ქონებრივი ცენზი** მთლიანად გაუქმდა საფრანგეთში, შვეიცარიაში, გერმანიაში (რეიხსტაგის არჩევნების დროს). ავსტრია-უნგრეთში ქონებრივი ცენზი მხოლოდ 1896 წელს გაუქმდა.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში კი კვლავ მოქმედებდა პრინციპი, რომ არჩევნებში ხმის უფლების მისაღებად მოქალაქეს უნდა ჰქონოდა გარკვეული სიდიდის ქონება. ქონებრივი ცენზი შენარჩუნებული იყო იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, პრუსიაში, ლუქსემბურგში. დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველს, თუკი ქონება ჰქონდა რამდენიმე საარჩევნო ოლქში, ყოველ მათგანში შეეძლო ხმის მიცემა (მრავალგზისი ვოტუმის უფლება).

ბელგიაში 1848 წლის მარტში ქონებრივი ცენზი წლიური გადასახადების 42,32 ფრანკამდე შემცირდა. მსხვილ მესაკუთრეებს (2000 ფრანკზე მეტი) ამ ქვეყანაში მეორე, დამატებითი, ხმის უფლება ეძლეოდათ. ნიდერლანდებში 1887 წლის კანონით პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატებს ირჩევდნენ პირები, რომლებიც იხდიდნენ მიწის მინიმალურ გადასახადს 10 ფლორინის ოდენობით (სოფლად) ან ბინის მფლობელები და დამქირავებლები — ქალაქად. 1896 წ. ცენზის სიდიდემ სიმბოლური ხასიათი მიიღო — 1 ფლორინი მიწის გადასახადი სოფლად. ამომრჩევლები შეიძლება ყოფილიყვნენ ბინების მფლობელები, 24 ტონისა და მეტი წყალწყვის გემების მეპატრონეები, პირები, რომელთაც ჰქონდათ საბანკო ანგარიში 50 ფლორინზე მეტი ან ხელფასი 570 ფლორინი წელიწადში.

ზოგიერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა საარჩევნო პროცედურებთან მხოლოდ იმათ უშვებდა, რომლებიც აკმაყოფილებდნენ **განათლების ცენზის** მოთხოვნებს, ე.ი. იცოდნენ წერა-კითხვა. ასეთი კანონები არსებობდა დიდ ბრიტანეთსა (1867 წ.) და იტალიაში (1882 წ.). დიდ ბრიტანეთში პარლამენტართა ნაწილს უნივერსიტეტები ირჩევდნენ. ასეთ საარჩევნო ოლქებში ხმის უფლება მხოლოდ სამეცნიერო ხარისხის მქონე პირებს ჰქონდათ.

უნიკალური სამართლებრივი ნორმა მოქმედებდა ბელგიაში — მოქალაქეებს, რომელთაც დასრულებული უმაღლესი განათლება ჰქონდათ, ორი დამატებითი ხმა ეძლეოდათ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპაში დამთავრდა **ასაკობრივი საარჩევნო ცენზის** ფორმირება. 20 წლიდან ხმის უფლება ეძლეოდათ შვეიცარიის მოქალაქეებს (ფედერალურ კრებაში არჩევნების დროს), 21 წლიდან — დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ნიდერლანდების, იტალიის მოქალაქეებს; 24 წლიდან — ავსტრია-უნგრეთის მოქალაქეებს; 25 წლიდან — გერმანიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და შვეციის მოქალაქეებს. ყველაზე მაღალი ასაკობრივი ცენზი 30 წელი — დანიაში იყო .

ცალკე განხილვის საგანია **ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭება**. ევროპის საზოგადოებრიობა სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლაში გარდუვალად აყენებდა ქალებისათვის მამაკაცების თანაბარი საარჩევნო უფლებების მინიჭების მოთხოვნას. ქალების პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა დიდ ბრიტანეთსა და მის მფლობელობაში მყოფ ტერიტორიებზე. ინგლისში ქალებმა ხმის უფლება მიიღეს საგრაფოების საბჭოებში არჩევნებისას 1888 წელს, ხოლო სამრევლო საბჭოებში — 1894 წელს. რაც შეეხება ქალების მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში XIX საუკუნის ბოლომდე ვერ მიიღეს, შესაბამისი საპარლამენტო დადგენილება. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის დომინიონებში ადგილობრივი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქალებმა მეტროპოლიაზე უფრო ადრე მიიღეს: ახალ ზელანდიაში ეს მოხდა 1893 წელს, ავსტრალიაში — 1900 წელს (შტატში სამხრეთ ავსტრალია — 1895 წელს).

XX საუკუნის პირველ ათწლეულებში, დასავლეთ ევროპაში არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ქალებმა მხოლოდ რამდენიმე სკანდინავიურ ქვეყანაში მიიღეს ფინეთში ეს მოხდა 1906 წელს, ნორვეგიაში — 1913 წელს, დანიაში — 1915 წელს. სხვა ქვეყნებში ქალთა თანასწორუფლებიანობის საკანონმდებლო დამკვიდრება XX საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე გრძელდებოდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ **სუფრაჟიზმა** (მოძრაობა ქალებისათვის მამაკაცებთან თანაბარი საარჩევნო უფლებების მისანიჭებლად) გაიმარჯვა დასავლეთის ყველა ქვეყანაში. თუმცა შვეიცარიაში ქალებმა საარჩევნო უფლებები მხოლოდ 1971 წელს მიიღეს, ლიხტენშტეინში კი — 1986 წელს.

პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევნები. XIX საუკუნეში საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპი, მიუხედავად რეაქციის ძალების წინააღმდეგობისა, განუხრელად მკვიდრდებოდა მთელს

ევროპაში. ინგლისში არჩევნები ყოველთვის მხოლოდ პირდაპირი იყო. ასევე ირჩევდნენ დეპუტატებს შვეიცარიის მრავალ კანტონში. საფრანგეთში ამრჩევების ინსტიტუტი გაუქმდა 1814 წლის ქარტიით მაღალ ქონებრივ ცენზთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ 1848, 1852 და 1875 წლების კონსტიტუციებში პირდაპირი არჩევნების პრინციპი განმტკიცდა.

გერმანიაში ეს პრობლემა სხვაგვარად გადაწყდა. 1871 წელს, ერთიანი სახელმწიფოს შექმნამდე, ცალკეული გერმანული სამეფოები და სამთავროები თავიანთი წარმომადგენლობითი ორგანოების ასარჩევად **ამრჩევების სისტემის** იყენებდნენ. ეს წესი შენარჩუნდა პრუსიასა და ბავარიაში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, მაშინ როდესაც საერთოგერმანული საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები პირდაპირი იყო. ნიდერლანდებში 1848 წლიდან ქვედა პალატის პირდაპირი არჩევნების გზით ყალიბდებოდა. ბელგიაში საყოველთაო ხმის უფლება 1893 წლის კანონით შემოიღეს. ასევე არ გამოიყენებოდა ამრჩევების სისტემა იტალიაში.

არაპირდაპირი არჩევნების ინსტიტუტი არსებობდა რუმინეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში (სენატორების არჩევის დროს), ნაწილობრივ — ავსტრია-უნგრეთში. აქ, XX საუკუნის დამდეგამდე, პარლამენტართა არჩევა ხორციელდებოდა **კურიების** — ცალკეული წოდებების კრებების მიხედვით. გაშუალებულად, ამრჩევების მეშვეობით ხმას აძლევდნენ სასოფლო თემები და ქალაქების უღარიბესი მოსახლეობა. ამრჩევებს ხმის დამოუკიდებლად მიცემის უფლება არ ჰქონდათ; ისინი მხოლოდ მათი გამგზავნი კურიების ნებას ასრულებდნენ.

საარჩევნო ოლქები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე საარჩევნო კანონმდებლობის მქონე ევროპის ქვეყნებმა (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია) შემოიღეს მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე დამყარებული საარჩევნო ოლქების სისტემა. როგორც უკვე ითქვა, 1885 წელს დიდ ბრიტანეთში გაუქმდა მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა, როდესაც ორ-ორ პარლამენტარს ირჩევდნენ საგრაფოებიდან და დასახლებული პუნქტიდან ან უნივერსიტეტიდან. გამონაკლისის სახით ასეთი უფლება შეუნარჩუნეს ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებს, აგრეთვე რამდენიმე ქალაქს. ქვეყნის ყველა დანარჩენი ქალაქი და საგრაფო დაიყო საარჩევნო ოლქებად. თითოეული ოლქის მოსახლეობა დაახლოებით 54 ათას ადამიანს შეადგენდა და თემთა პალატაში ერთ დეპუტატს ირჩევდა.

საფრანგეთში ერთმანდატიანი ოლქები დამკვიდრდა 1875 წლის 30 ნოემბრის ორგანული კანონით ეროვნული კრების დეპუტატების

არჩევის შესახებ (1875 წ. კონსტიტუციის ნაწილი). თითოეულ ოლქში დაახლოებით 70 ათასი მცხოვრები იყო.

უკვე ითქვა, რომ გერმანიის 1849 წლის კანონმდებლობაში არსებობდა ერთმანდატიანი ოლქების შექმნის ნორმა ყოველ 100 ათას მცხოვრებზე. რეალურად კი ამ ოლქების (Wahlkreise) ფორმირება 1871 წლის შემდეგ დაიწყო, პირდაპირ არჩევნებზე გადასვლასთან ერთად.

საარჩევნო ოლქების საზღვრები ევროპის ქვეყნებში პერიოდულად გადაისინჯებოდა ხოლმე. მოსახლეობის რაოდენობის შეცვლასთან ერთად.

ამომრჩეველთა სიები. XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთის კანონმდებლობამ ფაქტობრივად ჩამოაყალიბა ამომრჩეველთა სიების შედგენის პროცედურის ძირითადი მომენტები. საფრანგეთის კანონმდებლობის გავლენით ევროპის სხვა სახელმწიფოების ხელისუფლებაც ცდილობდა საარჩევნო პროცესის ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის მოწესრიგებას. დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესი 1832 წელს შემოიღეს, როდესაც პარლამენტმა დაადგინა, რომ არც ერთ პირს არ ექნებოდა ხმის მიცემის უფლება, თუ იგი სათანადო დროს არ იქნებოდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილი.

თავიდან ამომრჩეველთა სიებს ყოველი არჩევნებისათვის ადგენდნენ, მაგრამ თანდათანობით ისინი მუდმივი სიებით იცვლება (თუმცა რიგ ქვეყნებში XIX საუკუნის ბოლომდე, კანონის თანახმად ყოველი არჩევნებისათვის — იქნებოდა ეს საპარლამენტო თუ ადგილობრივი — ცალკე სიები უნდა შედგენილიყო).

ამომრჩეველთა სიების შედგენა სახელმწიფო მოსამსახურეებსა და თანამდებობის პირებს ევალებოდათ. საფრანგეთში ესენი იყვნენ მერები, პრეფექტები და მათი თანაშემწეები. ინგლისში მოქალაქეებს თავად უნდა მიემართათ შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის, რათა ამომრჩეველთა სიებში შეეყვანათ. საგრაფოებში მცირე შეძლების ამომრჩეველთა რეგისტრაციას სასამართლოს მოსამსახურეები ან ღარიბებზე მზრუნველები ახორციელებდნენ, ქალაქებში — წერილების დამტარებლები. შოტლანდიაში ამომრჩეველთა სიების შედგენა საგრაფოებისა და ქალაქების ასესორებს ევალებოდათ. ირლანდიაში ასეთი მონაცემების კრებული ჩაბარებული ჰქონდათ სპეციალურად დანიშნულ იურისტებს, გერმანიაში — სათემო მმართველობის ორგანოებს.

საარჩევნო სიების შედგენის დროს წარმოქმნილი სადავო საკითხები (ხმის უფლების მქონეთა დაუსაბუთებელი ჩართვა ან ამოღება), როგორც წესი, სასამართლოს მეშვეობით წყდებოდა.

საარჩევნო სისტემები. XIX საუკუნეში საარჩევნო სამართლის დემოკრატიზაციისა და ახალი საარჩევნო პროცედურების დამკვიდრების გარდა, ჩამოყალიბდა ორი ძირითადი საარჩევნო სისტემა, რომელიც დღემდე გამოიყენება მრავალ ქვეყანაში.

ერთ-ერთია ეგრეთ წოდებული **არჩევნების მაჟორიტარული სისტემა.** ამ სისტემის მიხედვით საარჩევნო ოლქების რიცხვი ემთხვევა სადეპუტატო მანდატების რაოდენობას, ანუ ერთი ოლქი ერთ პარლამენტარს ირჩევს. ამასთან, ოლქში მცხოვრებ ყოველ ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. ეს სისტემა, პირველ რიგში, ასახავს კონკრეტული ოლქის ამომრჩევლების ინტერესებს. ამომრჩევლებს შესაძლებლობა აქვთ უკეთ გაეცნონ კანდიდატს, რომელიც მოცემულ ოლქში იყრის კენჭს და შეუძლიათ რეალური ურთიერთობა ჰქონდეთ მასთან არჩევნების შემდეგაც. ასეთი სისტემა დამკვიდრდა, მაგალითად, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში.

მეორე — **არჩევნების პროპორციული სისტემა** — გამოიყენებოდა ბელგიაში, ლუქსემბურგში, შვეიცარიაში. მისი თავისებურება ის იყო, რომ ამომრჩეველს ხმა უნდა მიეცა არა კონკრეტული კანდიდატისათვის, არამედ რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის (პარტიის) მიერ საარჩევნოდ წარმოდგენილი სიისათვის. ხმის მიცემის ამგვარი წესი უფრო მეტად საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოების პოლიტიზირებული ნაწილის ინტერესებს ასახავდა.

რიგითი ამომრჩევლისათვის პროპორციული საარჩევნო სისტემა რიგ უხერხულობებს ქმნის. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ოლქში პოპულარულ პიროვნებებთან ერთად, საარჩევნო ბიულეტენებში შეიძლება შეიტანონ ამომრჩევლებისათვის ნაკლებად ნაცნობი ან სრულიად უცნობი კანდიდატების სახელებიც. არცთუ იშვიათად წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობაში ხვდებიან ისეთი კანდიდატები, რომლებიც დამოკიდებული არიან არა ამომრჩევლებზე, არამედ პოლიტიკური ჯგუფების ხელმძღვანელებზე.

ევროპის სახელმწიფოთა კანონმდებლობაში გამოიყენებოდა როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემების ელემენტები. XX საუკუნის დასაწყისში არჩევნების ორგანიზების არც ერთი მითითებული ხერხი არ არსებობდა თავისი კლასიკური სახით.

კანდიდატები. საყოველთაო და თანაბარი საარჩევნო უფლების შემოღება შეეხო არა მარტო ამომრჩევლებს, არამედ იმათაც, რომლებსაც ირჩევდნენ. XIX საუკუნის შუახანებიდან ზოგიერთ ქვეყანაში

გაუქმდა სავალდებულო ქონებრივი ცენზი კანდიდატებისათვის, რომლებიც კენჭს იყრიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში. ყველაზე ადრე — 1830 წელს — ეს მოხდა შვეიცარიაში, 1831 წელს — ბელგიაში. 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ქონებრივი შეზღუდვები კანდიდატებისათვის მოიხსნა საფრანგეთში. 1858 წელს ის გაუქმდა დიდ ბრიტანეთში, 1871 წელს კი — გერმანიის იმპერიაში.

ფორმალურად, ეს ცვლილება ევროპის პარლამენტებში გზას უხსნიდა საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს. მაგრამ პრაქტიკულად პრეტენდენტი დეპუტატის ადგილზე მხოლოდ შეძლებული ადამიანი შეიძლება ყოფილიყო, რადგან საარჩევნო კამპანიის ძირითადი ხარჯები კანდიდატს უნდა გაეწია. აღსანიშნავია ისიც, რომ პარლამენტარები, როგორც წესი, გაწეული შრომისათვის გასამრჯელოს არ იღებდნენ (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი).

დეპუტატობის კანდიდატისათვის ქონებრივი ცენზის საყოველთაო გაუქმებასთან ერთად, შენარჩუნდა პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის ზოგიერთი სხვა სახეობა. გერმანული სახელმწიფოების ნაწილსა და ლუქსემბურგში ნათესავებს ეკრძალებოდათ ერთი და იმავე წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატები ყოფილიყვნენ. პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში მოქალაქეებს ეკრძალებოდათ კენჭი ეყარათ ან ერთდროულად არჩეული ყოფილიყვნენ ორ, ან რამდენიმე წარმომადგენლობით ორგანოში.

მწვავედ იდგა ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში სახელმწიფო მოსამსახურეებისა და სამხედროების წამოყენებისა და არჩევის საკითხიც. პარლამენტებში მოხელეების დაშვების მოწინააღმდეგენი მიუთითებდნენ შ.მონტესკიეს ხელისუფლებათა დანაწილების თეორიაზე, რომელიც ასაბუთებდა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის გამიჯვნის აუცილებლობას. ყველასთვის თანაბარი არჩევის უფლების მომხრეები აღნიშნავდნენ, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლების ყოფნა კანონმდებელთა შორის პარლამენტარებს საშუალებას მისცემდა უფრო კომპეტენტური მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს მართვაში. ამ საკითხის გადაწყვეტა მჭიდროდ უკავშირდებოდა მოხელეების უფლებამოსილების მოცულობას, ამა თუ იმ ქვეყნის პარლამენტების ბრძოლას მთავრობებთან. XIX საუკუნეში კანონმდებლობის ეს ნაწილი ხშირად იცვლებოდა, თანამდებობის პირებს ხან აძლევდნენ, ხანაც უკრძალავდნენ პარლამენტარის მანდატისათვის ბრძოლაში მონაწილეობის უფლებას.

ინგლისში არსებული პოლიტიკური ტრადიციის შესაბამისად, მინისტრები ყოველთვის იყვნენ პარლამენტის წევრები, მაგრამ მოსა-

მართლეებსა და სხვა მოხელეებს ეკრძალებოდათ თემთა პალატაში კენჭისყრა. შვეიცარიაში მუნიციპალური მოხელეები შეიძლება აერჩიათ კონფედერაციის წარმომადგენლობით ორგანოში, მაგრამ ამ უფლებას მოკლებული იყვნენ ზოგადსახელმწიფოებრივი უწყებების მოსამსახურენი. საფრანგეთში 1852 წლის კონსტიტუციით მოხელეები შეიძლება გამხდარიყვნენ დეპუტატები, მაგრამ 1875 წლიდან მათი არჩევა არ შეიძლებოდა იმ დეპარტამენტებში, სადაც მსახურობდნენ. ეს მნიშვნელოვნად ზღუდავდა მათ პასიურ საარჩევნო უფლებას. გერმანიაში არ არსებობდა შეზღუდვა მოხელეებისათვის, რომლებიც რაიხსტაგში იყრიდნენ კენჭს. იტალიაში უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში არ უნდა ყოფილიყო 40 მოხელეზე მეტი, მათ შორის არა უმეტეს 10 მოსამართლისა და 10 პროფესორისა. ბელგიაში 1848 წლიდან სახელმწიფო მოსამსახურეები მოკლებული იყვნენ დეპუტატთა პალატაში არჩევის უფლებას, ხოლო 1893 წელს ადმინისტრაციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა დამატებითი ხმის უფლება მიიღო. ნიდერლანდების პარლამენტში არ შეიძლებოდა აერჩიათ მღვდლები, მოხელეები და სამხედროები.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩევის კიდევ ერთი შეზღუდვა ასაკს უკავშირდებოდა, მაგრამ საარჩევნო სამართლის დემოკრატიზაციასთან ერთად ასაკობრივი ცენზი თანდათანობით მცირდებოდა. ამ თვალსაზრისით ყველაზე ლიბერალური იყო დიდი ბრიტანეთისა და შვეიცარიის კანონმდებლობა, რომელიც პასიურ საარჩევნო უფლებას 20 წლის ასაკიდან ანიჭებდა. საფრანგეთში 1814—1848 წლებში კანდიდატების საარჩევნო ცენზი შემცირდა ჯერ 40წ-დან 30წ-მდე, შემდეგ კი — 25 წლამდე. ბელგიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, დანიაში მოქალაქეები პარლამენტში შეიძლება არჩეულიყვნენ 25 წლის ასაკიდან; პრუსიაში, იტალიაში, ავსტრიაში, ნიდერლანდებსა და ნორვეგიაში — 30 წლიდან.

თანდათანობით საარჩევნო კანონებში უფრო მკაფიოდ განისაზღვრა კანდიდატის სტატუსი, მისი უფლებამოსილებანი. რიგ ქვეყნებში შემოიღეს რამდენიმე ამომრჩევლის მიერ დეპუტატობის კანდიდატის აუცილებელი მხარდაჭერის პრაქტიკა — ეს იყო კანდიდატების მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვების თანამედროვე სისტემის წინა სახე.

არჩევნების პროცედურა. XIX საუკუნის განმავლობაში ევროპაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხმის მიცემის ფორმას. ჩამოყალიბდა ხმის მიცემის ორი ძირითადი სახე — ფარული და ღია.

საფრანგეთში 1795 წლის კონსტიტუციამ ხმის მიცემის წერილობითი და ფარული ფორმა დაამკვიდრა. გერმანიის კავშირის სახელმწიფოებში 1848 წლამდე გამოიყენებოდა როგორც ზეპირი ხმის მიცემა (ამრჩევების არჩევის დროს), ასევე ფარული (დეპუტატის არჩევის დროს). ვიურტემბერგსა და ბადენში ამომრჩევლებს ხელი უნდა მოეწერათ მათთვის მიწოდებულ ფურცლებზე, რაც გარკვეულწილად ზღუდავდა ხმის მიცემის ფარულობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხმის მიცემის წესი მოხელეების ხელში იყო და მათ თავიანთი შეხედულებისამებრ შეეძლოთ ამა თუ იმ ფორმის გამოყენება. 1848 წლის შემდეგ ხმის მიცემის ფარულობა გერმანიაში კიდევ უფრო მეტად მკვიდრდება. იწყება საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად: ყველა ბიულეტენი უნდა ყოფილიყო თეთრი ფერის და გარეგნულად ერთნაირი, უნდა დამზადებულიყო საარჩევნო უბნების გარეთ და ა.შ. თეთრი ქაღალდის სხვადასხვა ფორმატის გამო შემოიღეს კონვერტები საარჩევნო ბიულეტენებისათვის, რომლებიც გამჭვირვალე არ უნდა ყოფილიყო და ზედ ბეჭედს ასვამდნენ.

ფარული ხმის მიცემის თანამედროვე სისტემა, როდესაც საარჩევნო კომისია ბეჭდავს ბიულეტენს ტიპოგრაფიული წესით, აძლევს მათ კენჭისყრაში მონაწილეებს და სთავაზობს ფანქრით აღნიშვნა გააკეთონ მისაღები კანდიდატურის გასწვრივ, შემუშავდა და პირველად გამოიყენეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ავსტრალიაში, ვიქტორიის შტატში.

დიდ ბრიტანეთში საპარლამენტო არჩევნებში ფარული კენჭისყრის შემოღების მოთხოვნა ჯერ კიდევ 1833 წელს წამოაყენეს, მაგრამ ხელისუფლება თითქმის 40 წელი უწევდა წინააღმდეგობას მის დამკვიდრებას. თავის დროზე ეს წინადადება ლორდმა პალმერსტონმა უარყო, რადგანაც მისი აზრით, „ხმის მისაცემად კაბინაში მიპარვით შესვლა" არაღირსეული იქნებოდა „პირდაპირი და პატიოსანი ინგლისელების ხასიათისათვის".

მხოლოდ 1872 წლის თებერვალში, გლადსტონის ლიბერალური მთავრობის ინიციატივით პარლამენტმა მიიღო „აქტი კანდიდატის წამოყენების შესახებ", რომელიც დიდ ბრიტანეთზე ავრცელებდა ხმის მიცემის ზემოთ აღნიშნულ ავსტრალიურ სისტემას. რეფორმა მიმდინარეობდა შიდა კონფლიქტის ზრდის პირობებში. წამყვანი პოლიტიკური ძალები იძულებულნი გახდნენ ამას დათანხმებოდნენ. ლონდონში გამომავალი „ტაიმსი" 1872 წ. 10 ივლისის სარედაქციო სტატიაში წერდა: „არც ერთ პალატას არ უნდოდა ამ ბილის გატანა, მაგრამ იმავდროულად არც ერთ მათგანს არ ჰყოფნიდა ძალა ხელი შეეშალა მისი გასვლისათვის".

ამ კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა კანდიდატების რიცხვი სადეპუტატო ადგილების რაოდენობას აღემატებოდა, ინიშნებოდა ფარული კენჭისყრა საარჩევნო ბარათებით. ყოველ ბარათს ბეჭედი ჰქონდა დასმული და მასში შეტანილი იყო ყველა კანდიდატის ვინაობა. ბიულეტენის მიღების შემდეგ მოქალაქე შედიოდა სპეციალურ ოთახში და თავისთვის სასურველ კანდიდატურას აღნიშნავდა. წერა-კითხვის უცოდინარებს, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, შეეძლოთ სხვა პირისათვის მიენდოთ მათ მაგიერ არჩევანის გაკეთება. შემდეგ ამომრჩეველი კეცავდა ამ ფურცელს და არჩევნების ორგანიზატორთა თანდასწრებით ჩაუშვებდა საარჩევნო ურნაში. ყველა ბარათის ჩაშვების შემდეგ ურნები ილუქებოდა და შესანახად ბარდებოდა თანამდებობის პირს, რომელიც არჩევნებს განაგებდა.

ურნებს ხსნიდნენ კანდიდატების წარმომადგენლები დამკვირვებლების თანდასწრებით. ასეთი პრაქტიკა მალე სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა (ბელგიაში — 1877 წლიდან); XIX საუკუნის 70-90-იანი წლების საარჩევნო კანონები ითვალისწინებენ ფარული ხმის მიცემის სხვა დეტალებსაც — ბიულეტენების მარკირებასა და კანდიდატების სახელების განლაგების წესს. გამოიყენება სპეციალური შირმები, სადაც ამომრჩევლებს სხვებისგან დამოუკიდებლად და ფარულად შეუძლიათ აღნიშვნის გაკეთება (გერმანია — 1899).

თავისებურად ტარდებოდა ხმის მიცემა საბერძნეთსა და სერბიაში. წერა-კითხვის უცოდინართა დიდი ხვედრითი წილისა და ისტორიული ტრადიციების შედეგად ამ ქვეყნებში სპეციფიკური პროცედურა ჩამოყალიბდა — ხმის მიცემა ბურთულების მეშვეობით. ამომრჩეველი ხელს, რომელშიც ბურთულა ეჭირა, თანმიმდევრობით ყოფდა ყუთებში, რომელთა რაოდენობაც კანდიდატების რიცხვს შეესაბამებოდა. სასურველ ყუთში ამომრჩეველი მუჭას ხსნიდა და ბურთულას ყუთში უშვებდა, რაც უხმაუროდ ხდებოდა სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით. გამარჯვებულად ცხადდებოდა ის კანდიდატი, რომლის ყუთშიც მეტი ბურთულა მოგროვდებოდა.

თუკი შევაჯამებთ ზემოთ ნათქვამს, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საარჩევნო პროცედურების უმრავლესობა XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. რეფორმაციული შერყევები ევროპის ქვეყნებში მათი შიდაპოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციით დამთავრდა. არსებითად განასხვავებული საარჩევნო კანონმდებლობა ერთ-ერთ ძირითად გარანტად იქცა ადამიანის საზოგადოებრივი უფლებების უზრუნველყოფის საქმეში.

კითხვები და დავალებები:

• რა სახის საარჩევნო ცენზები არსებობდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში?

• როგორ მიმდინარეობდა საარჩევნო სისტემის რეფორმა დიდ ბრიტანეთში?

• რას ნიშნავდა „ჯეკსონური დემოკრატია" აშშ-ში და რა ცვლილებები მოხდა საარჩევნო კანონმდებლობაში სამოქალაქო ომის შემდეგ?

• რა თავისებურებებით ხასიათდებოდა საარჩევნო პროცესი გერმანიაში?

• როგორ წარიმართა ქალებისათვის ხმის უფლების მინიჭების პროცესი?

• რა ცვლილებები განიცადა საარჩევნო ცენზების სისტემამ XIX საუკუნის ბოლოსათვის?

• რა სახის საარჩევნო სისტემები ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში?

• ერთმანეთს შეადარეთ პარლამენტის კანდიდატებისათვის წაყენებული მოთხოვნები და მათი ცვალებადობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში

• როგორ იცვლებოდა საარჩევნო პროცედურა XIX საუკუნეში?

• დაახასიათეთ აშშ-ის საარჩევნო კანონმდებლობის განვითარების თავისებურებანი.

რა წაიკითხოთ:

• **законодательные акты буржуазных гXVIII-XIX вв. в Англии, США, Франции, Италии, Германии. Сборник документов. М., 1957.**

კრებულში შეტანილია ევროპის წამყვანი ქვეყნების კონსტიტუციები და ძირითადი საკანონმდებლო აქტები. მათი უშუალოდ გაცნობა დაგვეხმარება უფრო ღრმად გავიაზროთ სალექციო კურსში წარმოდგენილი სალექციო მასალა, ასევე შესაძლებელია ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო კანონმდებლობა და დავინახოთ მათი განვითარების ისტორიული გზა

• **История буржуазного конституционализма XIX в. М., Наука, 1983, – 280.**

ნაშრომი, მართალია, გარკვეულწილად მოძველებულია, მაგრამ მასში თავმოყრილია მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა ბრიტა-

ნეთის, საფრანგეთის, აშშ-ის, გერმანიისა და კანადის კონსტიტუციონალიზმის თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით. ამ კუთხით წარმოდგენილია დასახელებული ქვეყნების საარჩევნო კანონმდებლობის განვითარებაც.

• **Очерки по истории выборов и избирательного права: Учебное пособие. Калуга - Москва. 1997. 388.**

წიგნში გაშუქებულია საარჩევნო პროცესისა და საარჩევნო კანონმდებლობის ისტორია. ნაშრომი შედგება 11 ნარკვევისაგან: ხალხის ხელისუფლება ათენის სახელმწიფოში, სამოქალაქო თემი და არჩევნები რომის რესპუბლიკაში, არჩევნები დასავლეთ ევროპაში ადრეულ შუა საუკუნეებში, არჩევნები და საარჩევნო პროცედურები დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ქალაქებში, წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულებების წარმოშობა და საარჩევნო პროცედურები ინგლისსა და საფრანგეთში შუა საუკუნეების ეპოქაში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქის საარჩევნო კანონმდებლობა, ევროპის ქვეყნების საარჩევნო კანონმდებლობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები XIX საუკუნეში, არჩევნები შუა საუკუნეების ნოვგოროდში, არჩევნები და საარჩევნო პროცედურები XVI—XVII საუკუნეების რუსეთში, რუსეთის საარჩევნო სამართალი 1864—1917 წლებში, რუსეთის თანამედროვე საარჩევნო სამართალი.

• **ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. თბ., 1993. 46.**

აშშ-ის 1787 წლის კონსტიტუცია მსოფლიოში პირველი ამ სახის დოკუმენტია. კონსტიტუციის ტექსტის, ასევე მისი შესწორებების გაცნობა არა მარტო წარმოდგენას შეგვიქმნის ამ ქვეყნის საარჩევნო სისტემაზე, არამედ შეიძლება თვალი გავადევნოთ იმ ცვლილებებსაც, რაც მასში სხვადასხვა დროს შეიტანეს.

თავი III

დემოკრატიის კლასიკური თეორიების გადასინჯვა და არჩევნების როლის ახლებური გააზრება

დემოკრატიის განვითარებაში მნიშვნელოვან მიჯნას წარმოადგენდა XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის პირველი ნახევარი. როდესაც ჩამოყალიბდა საყოველთაო საარჩევნო უფლება, პლურალიზმი და ხელისუფლებათა წონასწორობა. პარტიული და იდეოლოგიური პლურალიზმის წყაროს წარმოადგენდა საყოველთაო საარჩევნო უფლება, რომელსაც თან ახლდა სხვადასხვა ასოციაციების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირებისა და სხვა გაერთიანებების წარმოშობა. პლურალიზმის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე დემოკრატია.

საზოგადოების ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის, მთავრობის ფუნქციების გაფართოებასთან ერთად, წინა რიგში წამოიწია დემოკრატიის ეფექტიანობის, რენტაბელობისა და შინაგანი წინააღმდეგობების საკითხებმა. სადავოდ იქნა მიჩნეული მისი ფუნქციონირებისა და რაციონალურობის შესაძლებლობები. ასეთ ვითარებაში ეჭვქვეშ დადგა დემოკრატიის კლასიკური თეორია.

პოლიტიკაში ხალხის მასების ფართოდ ჩაბმის პირობებში საარჩევნო სისტემების, პარტიებისა და პარლამენტის ფუნქციონირების გამოცდილებამ თვალსაჩინოდ აჩვენა, რომ პოლიტიკა არ განისაზღვრება ხალხის ნებით, როგორც ამას ამტკიცებდა დემოკრატიის კლასიკური თეორია. სინამდვილეში ხალხის ნება მახინჯდება და იგნორირდება. უფრო მეტიც, კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებზე ხალხის ნება უბრალოდ არც შეიძლება არსებობდეს, ანდა შეუძლებელი იყოს მისი განსაზღვრა შესაბამისად. XX საუკუნის დამდეგიდან სოციალურ და პოლიტიკურ აზრში იკვეთება სკეპტიკური დამოკიდებულება ფართო მასების შემოქმედებისა და

დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების უნართან დაკავშირებით. ჩნდება ელიტისტური თეორიები გმირისა და ბრბოს, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების, ზეადამიანისა და მისი ნების შესახებ.

§ 1. დაპირისპირება დემოკრატიის პლებისციტურ და რეპრეზენტაციულ თეორიებს შორის

დემოკრატიის პლებისციტური და რეპრეზენტაციული თეორიები. XX საუკუნეში დემოკრატიის თეორია კვლავ ვითარდებოდა პლებისციტური და რეპრეზენტაციული კონცეფციების ურთიერთმეტოქეობის პირობებში. **პლებისციტურ** თეორიებში აქცენტი კეთდება პირდაპირ დემოკრატიაზე, საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობაზე პოლიტიკურ პროცესში — არა მარტო არჩევნებში, რეფერენდუმებში და პოლიტიკური გადაწყვეტილებების კონტროლში, არამედ საზოგადოების ყოველდღიურ მართვაშიც. **მიაჟარი ასეთ თეორიებში — მართვაში მასების პირდაპირი მონაწილეობაა.** ამ მიდგომის მომხრენი დარწმუნებულნი არიან, რომ დემოკრატიის ასეთი ფორმა უზრუნველყოფს ხელისუფლების მტკიცე ლეგიტიმაციას და ავითარებს მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტიურობას.

რეპრეზენტაციული, ანუ წარმომადგენლობითი დემოკრატიის კონცეფციებში მთავარია **პასუხისმგებლური მმართველობის პრინციპი.** მონაწილეობის პრინციპი უკანა რიგშია გადასული. ამ მიმართულებას დემოკრატიის თეორიებში აგრეთვე უწოდებენ დემოკრატიის ტრადიციულ-ლიბერალურ გაგებას, რომელშიც ყველაზე ფასეულია კონსტიტუციურობა და პოლიტიკური ბატონობის შეზღუდვა. ხალხის ნება გამოიხატება არა პირდაპირ და უშუალოდ, არამედ მისი დელეგირება ხდება. ხალხის წარმომადგენლები ამ ნებას დამოუკიდებლად და თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ გამოხატავენ. ხალხსა და მის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა ეფუძნება უფლებამოსილებებსა და ნდობას.

რეპრეზენტაციულ დემოკრატიას მიეკუთვნება XX საუკუნეში ჩამოყალიბებული **ელიტური დემოკრატიის** კონცეფციებიც. მის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური წარმომადგენლობის ფუნქცია თავის თავზე უნდა აიღოს გარკვეული ვადით არჩეულმა ელიტამ. მან უნდა უზრუნველყოს საჯაროობა, პოლიტიკური მონაცვლეობა და კონტრო-

ლი. ელიტარული თეორიის მომხრეების აზრით, დემოკრატიის განვითარება უკავშირდება არა პოლიტიკურ პროცესში მასების პირდაპირი მონაწილეობის გაფართოებას, არამედ ელიტის რეკრუტირების (შევსების) ეფექტიანი და დემოკრატიული მექანიზმების შექმნას, რომლებიც ხალხის კონტროლის ქვეშ იქნება მოქცეული.

არჩევნების როლი ელიტიზმის თეორიებში. ჯერ კიდევ **შ.ლ.მონტესკიე** აღნიშნავდა: „თუმცა ყველა ვარგისია იმისათვის რომ აირჩიოს, მაგრამ ყველა როდი გამოდგება იმისათვის, რომ იყოს არჩეული". XX საუკუნის დამდეგისათვის ჩამოყალიბებული ელიტიზმის თეორიის ფუძემდებლები: ვ.პარეტო, გ.მოსკა და მათთან ერთად, სხვებიც ამტკიცებდნენ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის დროს წამყვანი პოზიციები ხელისუფლების სტრუქტურებში, განსაკუთრებით მის ზედა ეშელონში ელიტის წარმომადგენლებს უკავიათ.

პარეტო, მიხელსი, მოსკა აღნიშნავდნენ, რომ დემოკრატიული პროცედურები — კონსტრუქციებია, რომლებიც ელიტარულმა წრეებმა და მათმა ლიდერებმა აითვისეს. **ლენინმა** ეს გამოხატა ფორმულით — მასები-კლასები-პარტიები,ბელადი. **ოსტროგორსკიმ** და **მიხელსმა** დაინახეს მასობრივი დემოკრატიის სხვა სისუსტეც — დიდ პარტიებში, აღნიშნავდნენ ისინი, გადაწყვეტილებებს ადამიანთა მცირე ჯგუფი იღებს.

მართლაც, ნებისმიერი რეჟიმის პირობებში არსებობს ლიდერთა მეტ-ნაკლებად ორგანიზებული ჯგუფები, რომელთა წრიდანაც გამოდიან სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ხელმძღვანელები. ისინი ქმნიან პოლიტიკურ კლასს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციონალური, სოციოკულტურული, იდეურ-პოლიტიკური და სხვა ფაქტორები, განსაკუთრებით კი პოლიტიკური სისტემის ტიპი ღრმა ზეგავლენას ახდენს ელიტების როლზე სხვადასხვა პოლიტიკურ რეჟიმებში. მმართველი ანუ პოლიტიკური ელიტა სხვადასხვანაირად ახორციელებს ხელისუფლებით ფუნქციებს დემოკრატიული, ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში.

დემოკრატია უკვე აღარ განიხილება თანასწორთა საერთო ნების გამოვლინებად. საერთო ნების გამოვლენის პროცესი არაა მთლიანად უარყოფილი, მაგრამ ხაზგასმით აღინიშნება, რომ სახელმწიფო ნების ფორმირება არ წარმოადგენს თანასწორთა ინტერესების შეჯამების შედეგს.

ელიტარული დემოკრატიის თეორია მიზანშეწონილად მიიჩნევს თავისებურ „შრომის დანაწილებას" პოლიტიკური მოღვაწეობის სფე-

როში. ხელისუფლებით უფლებამოსილებას ახორციელებს პოლიტიკური ელიტა, რომელიც პროფესიონალურ საფუძველზეა დაკავებული გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესით. მოსახლეობის ძირითადი მასა კი არჩევნების მეშვეობით მხოლოდ კონტროლს ახორციელებს ეფექტიანად მოქმედ პოლიტიკურ ელიტაზე.

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილია ელიტების კონკურენციისა და ელექტორალური მჯობინებების საფუძველზე მათი პერიოდული ცვლის მეშვეობით.

მოლიანობაში, მმართველობის დემოკრატიული ფორმა სასიათდება არა ელიტების არარსებობით, არამედ მრავალი ელიტის არსებობით, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევს ამომრჩეველთა სმენისათვის.

კონკურენტული ელიტისტური დემოკრატიის თეორიის ფუძემდებლებად, მიუხედავად ელიტიზმის სხვა თეორეტიკოსების დამსახურებისა, ორი მეცნიერი — **მაქს ვებერი** და **იოზეფ შუმპეტერი** მიიჩნევა.

§ 2. არჩევნების როლი მაქს ვებერის პლებისციტური დემოკრატიის თეორიაში

დემოკრატიული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობები. მაქს ვებერი (1864—1920) სკეპტიკურად უყურებდა დემოკრატიას. მას მიაჩნდა, რომ პოლიტიკაში იმარჯვებს დემაგოგი, რომელსაც უნარი აქვს დემოკრატიული ილუზიები გამოიყენოს ხელისუფლების მისათვისებლად. დემოკრატია მასებს საშუალებას აძლევს იპოვონ ბელადი, მაგრამ დემოკრატია არ წარმოადგენს დიქტატურისგან დაცვას.

ვებერს მიაჩნდა, რომ დემოკრატიული სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ორი რამ:

პირველი, უნდა არსებობდნენ სხვადასხვა ინტერესებისა და შეხედულებების გამომხატველი პარტიები. თუ მეტოქე პარტიების პოლიტიკა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამომრჩეველს ფაქტობრივად არ შეუძლია რეალური არჩევანის გაკეთება. ვებერს ერთპარტიული სისტემა არ მიაჩნდა დემოკრატიულად.

მეორე, უნდა არსებობდნენ პოლიტიკოსები, რომელთაც შეუძლიათ გაუძლონ ბიუროკრატიის ზეწოლას. ვებერის თანახმად, ელიტის

მეშვეობით მმართველობა გარდაუვალია და, უკეთეს შემთხვევაში, რისი იმედიც შეიძლება გვქონდეს დემოკრატიის თვალსაზრისით, ისაა, რომ ელიტურმა სტრუქტურებმა ეფექტიანად წარმოადგინოს რიგითი მოქალაქეების ინტერესები.

მასობრივი დემოკრატია და ბიუროკრატიზაცია. კლასიკურ თეორიებში დემოკრატია თავიდან წარმოდგებოდა როგორც საერთო ნების გამოვლენის ხერხი, შემდეგ სხვადასხვა ჯგუფების საერთო („გასაშუალებული") ნების პოვნის გზის სახით, ვებერის თანახმად კი დემოკრატია დიდ საზოგადოებაში ილუზორულია და მხოლოდ უსახო ბიუროკრატიის ძალაუფლების ზრდის წინაღდგომის საშუალება შეიძლება იყოს. კლასიკური დემოკრატია მხოლოდ პატარა და ჰომოგენურ საზოგადოებებშია შესაძლებელი. თანამედროვე საზოგადოებებში, აღნიშნავდა მ.ვებერი, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მასობრივი დემოკრატია, რომელსაც თან სდევს ბიუროკრატიის ზრდა. ვებერმა ყურადღება გაამახვილა ბიუროკრატიის მიერ დემოკრატიის გამოდევნის საფრთხეზე. მართვა ბიუროკრატიის მეშვეობით ხორციელდება, ბიუროკრატია კი სულ უფრო იქცევა „თავისი ინტერესების მსახურად".

ვებერის თანახმად, ბიუროკრატიის მზარდი როლის საპირისწონეს ხარიზმატული ლიდერი და პლებისციტური დემოკრატია წარმოადგენს. პლებისციტური დემოკრატიის დროს ხარიზმატული ლიდერი ეყრდნობა ხალხის პირდაპირ მხარდაჭერას სულ უფრო მზარდი ბიუროკრატიის წინააღმდეგ.

დემოკრატიის ფუნქციები ვებერთან ვიწროა, დემოკრატია მისთვის ღირებულია მხოლოდ იმით, რომ უპირისპირდება მოხელის განსაკუთრებულ სტატუსს და სახელისუფლო პრეტენზიებს. დემოკრატია ფაქტობრივად დაიყვანება ერთი მხრივ ხალხისათვის ხელისუფლების ორგანოების ფორმირებისა და განვითარების მისაწვდომობაზე და მეორე მხრივ, პრობლემათა გადაწყვეტის ბიუროკრატიული და ოლიგარქიული ხერხების კრიტიკაზე.

პლებისსიტური დემოკრატიის არსი. ვებერი ითვლება პლებისციტური დემოკრატიის თეორიის ფუძემდებლად. მისი აზრით, პარტიების განვითარებასთან ერთად იცვლება პოლიტიკური წარმომადგენლობისა და ხელისუფლების პოლიტიკური ორგანიზაციის ხასიათი. პოლიტიკური გავლენა შეიძინეს იმ პირებმა, რომლებიც აკონტროლებენ პარტიულ აპარატს და პარლამენტს გარეთ

იმყოფებიან. სწორედ პარტიული აპარატის გამოყენებით პარტიულ ლიდერებს შეუძლიათ პარლამენტის გვერდის ავლით მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

პლებისციტი განიხილება „ერის ბელადის" ლეგიტიმურობის წყაროდ, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს ეროვნული ერთიანობის უზრუნველყოფა და ხელისუფლების ყველა ორგანოს კონტროლი. „პლებისციტური ბელადური დემოკრატიის" ცენტრში ხარიზმატული ლიდერია მოქცეული, რომელიც უშუალოდ ხალხის მიერაა არჩეული და შეუძლია პარლამენტის გვერდის ავლით მოქმედება.

ამავე დროს, ლიდერს ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე, რომელთაც მას ბიუროკრატიის კონტროლის უფლებამოსილება მიანიჭეს. ამრიგად, ხალხსა და ცალკეულ ინდივიდებს პლებისციტური დემოკრატიის თეორიაში პოლიტიკური პროცესის პასიური მონაწილის როლი განეკუთვნებათ, რაც უპირატესად არჩევნების მეშვეობით ხორციელდება.

ვებერი თვლიდა, რომ ხარიზმატული ლიდერი, რომელიც კლასებსა და სოციალურ ჯგუფებზე მაღლა დგას, აქვს თავისი ხელისუფლების ბიუროკრატიისაგან დამოუკიდებელი ლეგიტიმაციის წყარო და ინტეგრირებული არაა ბიუროკრატიის იერარქიულ სტრუქტურაში, შეძლებს თავის გარშემო ერის გაერთიანებას და ინდივიდს დაიცავს როგორც ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობისაგან, ისე „სოციალისტური კოლექტივიზმისგანაც".

პლებისციტური დემოკრატიის გამოცდილება. ვებერმა, გერმანიის ვეიმარის კონსტიტუციის მომამზადებელ კომისიაში მუშაობის დროს წამოაყენა მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნებს დიდი უფლებამოსილებით, რეფერენდუმების ჩატარებისა და პარლამენტის დაშლის უფლებით. ამაში ვებერი შეცდა. იგი გაიტაცა ბიუროკრატიის მზარდი როლის პრობლემამ და ვერ შენიშნა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიაში ძლიერ ხელისუფალზე დაყრდნობა ძალზედ სახიფათო იყო. ვეიმარის კონსტიტუციამ გააადვილა გერმანიაში ტოტალიტარიზმის ჩამოყალიბება, მაგრამ ის რა თქმა უნდა, არ ყოფილა ნაციზმის მასიურობის სათავე.

პლებისციტური დემოკრატიის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მაქს ვებერმა ვერ შეძლო ერთმანეთისგან მკაფიოდ გაემიჯნა ხარიზმატული ხელმძღვანელობა და ხარიზმატული დომინირება. ლიბერალური დემოკრატიის დროს შესაძლებელია ლიდერი ხარიზმატული

თვისებებით და გარდუვალი არაა ამ ლიდერის ცეზარისტულ დიქტატორად გადაგვარება. მაგრამ დემოკრატიას არ შეუძლია მიიღოს ამ ხარიზმის ლეგიტიმაციის ვებერისეული პრინციპი, რაც ტირანის გამოჩენის შესაძლებლობას იძლევა (ასე მოხდა გერმანიაში XX საუკუნის 30-იან წლებში). მაქს ვებერი, როდესაც მიიჩნევდა, რომ ლიდერის ხელისუფლება ლეგიტიმირებულია მისი პერსონალური ხარიზმით, ხოლო დემოკრატიული ინსტიტუტები უბრალოდ იარაღია მის ხელში, ამით ფაქტობრივად ხსნიდა ხარიზმატული ლიდერის გაკონტროლების ყოველგვარ შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ ხარიზმატული ხელმძღვანელობის პრინციპი შეუთავსდეს დემოკრატიის შენარჩუნებას და არ მოხდეს ლიდერის ცეზარისტული გადაგვარება, საჭიროა შეიქმნას ინსტიტუციონალური ბარიერები. ცეზარისტული ავტორიტეტი პირველ რიგში მოითხოვს კონტროლს ძალადობის ორგანოებსა და მასმედიაზე. მაშასადამე, სადაც ხარიზმატულ ლიდერს ამის შესაძლებლობა არ ეძლევა, ის ვერც ტირანად გადაიქცევა.

არ უნდა ჩაეთვალოთ, რომ პლებისციტური დემოკრატიის იდეა უსაფუძვლოა. მისი ძირითადი იდეები რეალიზებული იქნა მაგალითად, XXს. 60-იან წლების საფრანგეთში შარლ დე გოლის პრეზიდენტობის დროს. ცხრა წლის განმავლობაში ჩატარდა 8 რეფერენდუმი. დე გოლისთვის ჩვეულ საქმეს წარმოადგენდა მიმართვა ერისადმი პარლამენტის გვერდის ავლით. მიუხედავად ამისა, საფრანგეთი არ გამხდარა ტოტალიტარული, საპრეზიდენტო რეჟიმი კი დროთა განმავლობაში შერბილდა. საფრანგეთი იქცა სტაბილური დემოკრატიის ნიმუშად. **პლებისციტური დემოკრატიის იდეალურ მოდელად მრავალი მკვლევარი შარლ დე გოლის მიერ შექმნილ პოლიტიკურ სისტემას მიიჩნევს.**

დღეისათვის დემოკრატიის პლებისციტური თეორიის მოთხოვნებს ყველაზე მეტად შეესაბამება ხელისუფლების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების აშშ-ში არსებული სისტემა. ამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში პრეზიდენტის თანამდებობა ხარიზმის მატარებელია. პრეზიდენტის პიროვნებისგან დამოუკიდებლად. პრეზიდენტს ამერიკელი ხალხი ეროვნული ერთიანობის სიმბოლოდ მიიჩნევს. ამერიკელებს ძალიან მოსწონთ ეროვნული ლიდერის ისეთი თვისებები, როგორიცაა სიმტკიცე, კომპეტენტურობა და გაბედულება. პრეზიდენტის როგორც ერის ერთიანობის სიმბოლოს როლი განსაკუთრებით იზრდება კრიზისულ დროს, როცა ერი მისგან გადამწყვეტ მოქმედებას მოელის.

ურთიერთობა აშშ-ს პრეზიდენტსა და მასებს შორის იდეალურად შეესაბამება ხარიზმატული ლიდერისა და მასების ურთიერთობის

ვებერისეულ გაგებას. აშშ-ის პოლიტიკური სისტემა ყველაზე თვალსაჩინოდ ამტკიცებს იმ აზრს, რომ რეჟიმის სტაბილურობა დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური კულტურის ხასიათზე. მიუხედავად პრეზიდენტის ხელისუფლების აშკარად გამოხატული ხარიზმატული ხასიათისა, აშშ-ში ყველაზე ნაკლებადაა შესაძლებელი ავტორიტარული რეჟიმის დამყარება სხვა ქვეყნებთან შედარებით. აშშ-ის პრეზიდენტის თვითმპყრობელად ან ტირანად გადაქცევას საიმედოდ ეღობება წინ ინსტიტუციური სისტემა და არსებული პოლიტიკური კულტურა.

პლებისციტური დემოკრატიის თეორიის ინიშვნელობა. როგორც ელიტიზმის თეორიას, ისე პლურალისტურ თეორიას შეუძლია ახსნას პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება მხოლოდ ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების სტაბილური მდგომარეობის პირობებში, როდესაც ელიტები ღებულობენ გადაწყვეტილებებს, ხოლო მასები არ ერევიან პოლიტიკურ პროცესში ან პასიურად უჭერენ მხარს შესაბამის ელიტას.

ეს თეორიები უკვე აღარ გამოდგება იმ პირობებში, როდესაც საზოგადოება შედის ხანგრძლივი კრიზისული განვითარების ფაზაში, როდესაც გადაწყვეტილებათა მიღების ბიუროკრატიული წესი შეუძლებელი ხდება და იწყება მასობრივი საპროტესტო მოძრაობა არსებული სისტემის წინააღმდეგ.

მასობრივი საპროტესტო მოძრაობის აქტიური ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკურ ავანსცენაზე ხარიზმატული ლიდერების გამოსვლა, ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერება აუცილებელს ხდის სხვა თეორიული კონცეფციების ძიებას, რომელიც ახსნის ურთიერთობას პოლიტიკურ ლიდერებსა და მასებს შორის, მასებსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის. ამ აზრით ანალიზისათვის ყველაზე საინტერესო თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მაქს ვებერის პლებისციტური დემოკრატიის თეორია.

§ 3. არჩევნები იოზეფ შუმპეტერის კონკურენტული დემოკრატიის თეორიაში

იოზეფ შუმპეტერმა (1883—1950), ცენტრალურ ევროპული წარმოშობის ამერიკელმა ეკონომისტმა, მნიშვნელოვანი წვლილი შე-

იტანა დემოკრატიის შინაარსისა და ფუნქციების ელიტარულ გააზრებაში. ამიტომ მის მიერ შექმნილ თეორიას **ელიტარული დემოკრატიის თეორიასაც** უწოდებენ. დემოკრატიის კლასიკური თეორი , შუმპეტერის აზრით, კრიზისს განიცდიდა და მისი დახმარებით აღარ შეიძლებოდა არსებული რეალობების გააზრება. შუმპეტერისთვის მთავარი ხდება იდეა, რომ დემოკრატია უმცირესობის მმართველობის ფორმაა.

დემოკრატიის კლასიკური თეორიის კრიტიკა. შუმპეტერის აზრით, დემოკრატია ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით (როგორც ხალხის ხელისუფლება, ხალხის მმართველობა) შეუძლებელია არსებობდეს, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში მაინც:

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბუნდოვანია თავად „ხალხის" ცნება, რომელსაც სხვადასხვა ეპოქებში და სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული შინაარსი აქვს;

— მეორეც იმიტომ, რომ ხალხი სინამდვილეში არასოდეს არ მართავს, რადგანაც მართვის უნარი არ გააჩნია.

შუმპეტერის აზრით, დემოკრატიის ამგვარი გაგების უსაფუძვლობასთან ერთად, უსაფუძვლოა მასზე დამყარებული დემოკრატიის კლასიკური თეორიაც, ე.ი. პოლიტიკური დემოკრატიის რიგი თეორიები, რომლებიც შექმნეს XVI ს. — XIX ს. დასაწყისის პოლიტიკურმა ფილოსოფოსებმა. ამ თეორიებში დემოკრატია განისაზღვრება როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ინსტიტუციონალური წესრიგი. მან უნდა უზრუნველყოს საერთო კეთილდღეობის მიღწევა, ხალხს საშუალება მისცეს საკითხები გადაწყვიტოს ინდივიდების არჩევის გზით, რომლებიც უნდა შეიკრიბონ ხალხის ნების განსახორციელებლად.

დემოკრატიის კლასიკური თეორიები არასწორია ორი უმთავრესი მიზეზის გამო:

— შეუძლებელია ცალსახად განისაზღვროს, თუ რა არის საერთო კეთილდღეობა, ის სხვადასხვა ადამიანებსა და ჯგუფებს განსხვავებულად ესმით. უკვე მხოლოდ ამის გამო შეუძლებელია საერთო ნების არსებობა, როგორც მკაფიოდ განსაზღვრული საერთო კეთილდღეობისაკენ მიმართული ქმედებების ერთობლიობისა;

— საერთო ნება თავისთავად შეუძლებელია, რადგანაც საშუალო ადამიანის, აგრეთვე ჯგუფებისა და მასების მიერ პოლიტიკის სფეროში ნების გამოვლინება დეფექტურია, არ შეესაბამება რაციონალურობის, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის მოთხოვნებს.

მიუხედავად დემოკრატიის კლასიკური თეორიის უსაფუძვლობისა, ის მაინც დომინირებდა პოლიტიკურ ფრაზეოლოგიასა და პოლიტიკურ რიტორიკაში მთელი XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში. შუმპეტერის აზრით, ეს აიხსნება ოთხი ძირითადი მიზეზით:

— დემოკრატიის კლასიკური თეორიები დაკავშირებული იყო რელიგიურ წარმოდგენებთან ადამიანთა ტრანსცენდენტური თანასწორობის შესახებ;

— კავშირი ისტორიულ ამბებთან, რომელთაც ერისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთია მაგალითად, დამოუკიდებლობისათვის ომი აშშ-ში და დემოკრატიის კლასიკური თეორიის პრინციპებისა და ლოზუნგების ფიქსაციას კონსტიტუციურ ტექსტებში, აგრეთვე იმის გამო, რომ კლასიკური თეორია მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ პრაქტიკას, ანუ იმ პერიოდს, რომელიც უშუალოდ მოსდევდა კორუმპირებული მონარქისტული რეჟიმების დამხობას.

— ზოგჯერ დემოკრატიის კლასიკური თეორიები შეესაბამება პოლიტიკურ რეალობას დიდ და რთულ საზოგადოებებში, მაგალითად, აშშ-ში პირველ მსოფლიო ომამდე არსებულ რეალობას. ეს იმით აიხსნება, რომ საზოგადოება დაინტერესებული იყო ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებით და არ ინტერესდებოდა პოლიტიკური საკითხებით;

— პოლიტიკანები აფასებენ ფრაზეოლოგიას, რომელიც ემლიქვნელება მასებს და შესაძლებლობას იძლევა ხალხის სახელით ებრძოლონ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს.

დემოკრატიის „რეალისტური“ („ემპირიული“) თეორია. შუმპეტერი აღნიშნავს, რომ დემოკრატიის კლასიკური თეორიის აშკარა უსაფუძვლობა დემოკრატიის სხვა, უფრო რეალისტური თეორიის შექმნას მოითხოვს.

შუმპეტერმა ჩამოაყალიბა დემოკრატიის ახლებული განსაზღვრება, რომელიც კლასიკური გახდა. დემოკრატია — ესაა ორი ან მეტი ელიტური ჯგუფის კონკურენცია ხელისუფლების მოსაპოვებლად მეტ-ნაკლებად რეგულარულად ჩატარებული და ღია არჩევნების მეშვეობით. დემოკრატიის განსხვავება დიქტატურისაგან მდგომარეობს რამდენიმე ელიტის არსებობაში, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ.

შუმპეტერი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ კონკურენტული ბრძოლა მიმდინარეობს პოლიტიკური პარტიების პარტიულ შტაბებს (ხელმძღ-

ვანელობას) შორის, ხოლო ამომრჩეველთა კორპუსისა და პარლამენტის როლი, საბოლოო ჯამში, დაიყვანება არჩევნებში გამარჯვებული პარტიის მიერ დანიშნული მთავრობის რატიფიცირებაზე.

ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებას და მასში გადმოცემულ თეორიას, შუმპეტერის თანახმად, რიგი უპირატესობანი აქვს დემოკრატიის კლასიკურ თეორიასთან შედარებით:

— ის საიმედო კრიტერიუმია დემოკრატიული მეთოდის არადემოკრატიულისაგან გასამიჯნად. თუმცა, საშუალებას არ იძლევა ჭეშმარიტი დემოკრატია (ე.ი. ყველას ნამდვილი კონკურენცია) გამოიყოს ფსევდოდემოკრატიისაგან (კონკურენციის ფაქტობრივი შეზღუდვა);

— მოცემული განსაზღვრება შესაძლებლობას იძლევა აღიარებული იქნეს პროფესიონალ პოლიტიკოსთა ფენის არსებობა. რეალურად, პროფესიონალი პოლიტიკოსები „ქმნიან" ხალხის ნებას, რადგანაც ამ უკანასკნელს მისი ჩამოყალიბების უნარი არა აქვს;

— განსაზღვრება არ უარყოფს ცალკეული პიროვნებებისა და ჯგუფების მიერ ჭეშმარიტი პოლიტიკური ნების გამოვლენის შესაძლებლობას იმ სახით, რაც სინამდვილეში მართლაც გვხვდება, კერძოდ, პოლიტიკური მოღვაწეებისათვის „ნედლი მასალის" სახით;

— მოცემული განსაზღვრება აჩვენებს ურთიერთმიმართებას დემოკრატიასა და პირად თავისუფლებას შორის, შესაძლებლობას იძლევა აღიარებული იქნეს პირადი თავისუფლების ხარისხის ცვალებადობა როგორც დემოკრატიის, ისე არადემოკრატიული სისტემის დროს და მისი ზრდის შესაძლებლობა დემოკრატიის დროს;

— ამომრჩეველთა კორპუსის ფუნქცია ამ განსაზღვრების დროს დაიყვანება იმაზე, რისი განხორციელებაც მას შეუძლია: განსაზღვროს პოლიტიკოსთა კონკურენტი ჯგუფებისაგან რომელი იქნება მმართველი მომდევნო არჩევნებამდე პერიოდში.

ახალი, დემოკრატიიის კლასიკურ თეორიებთან შედარებით უფრო რეალისტური თეორია შეესაბამება დემოკრატიულ კაპიტალისტურ ქვეყნებში პოლიტიკური მანქანის სტრუქტურისა და ფუნქციონირების ყველაზე არსებით ნიშნებს.

შუმპეტერის აზრით, დემოკრატია მნიშვნელოვანია როგორც ეფექტიანად მოქმედი მთავრობის შექმნის მეთოდი და არა როგორც უმრავლესობის ხელისუფლების უზრუნველყოფის საშუალება. დემოკრატია — ესაა ერთი პოლიტიკური ელიტის ან პარტიის მეორეთი შეცვლის შესაძლებლობა. დემოკრატიის განმასხვავებელი ნიშნებია: პოლიტიკური კონკურენცია, რეგულარული და თავისუფალი არჩევ-

ნები, ხელისუფლების მოპოვება შესაძლებელი ხდება ღია პოლიტიკური ბრძოლის შედეგად.

დემოკრატიის ახალი კონცეფციის უპირატესობას შუმპეტერი იმაშიც ხედავდა, რომ იგი ეხებოდა ადვილად შემოწმებად ემპირიულ საგნებს — დემოკრატიული **პროცედურის** არსებობას ან არარსებობას.

დემოკრატიის კლასიკური თეორია არ მოიცავდა ასეთ კრიტერიუმებს, რადგანაც ხალხის ნებასა და კეთილდღეობას შეიძლება არადემოკრატიული რეჟიმები და მთავრობებიც ემსახურებოდეს. მაგალითად, ინგლისური ტიპის საპარლამენტო დემოკრატიის დროს დემოკრატიის კრიტერიუმები სახეზეა, ხოლო „კონსტიტუციური" მონარქია არაა დემოკრატიული — ელექტორატს და პარლამენტს აქვს ის უფლებები, რაც საერთოდ აქვს საპარლამენტო დემოკრატიის დროს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისით — არ შეუძლიათ მთავრობის დანიშვნა.

შუმპეტერის თეორიაში დიდ მნიშვნელობას იძენს ინდივიდი ან ჯგუფი, ჩვეულებრივ მოვლენად განიხილება ინტერესთა კონფლიქტი და ჯგუფური ან პიროვნული ინტერესების მიღწევის სურვილი. რაც არ იყო კლასიკურ თეორიაში.

შუმპეტერის დემოკრატიის თეორიის მნიშვნელოვანი ელემენტია პოლიტიკური პროცესის რეალიზების დროს ლიდერების ან სხვადასხვა ჯგუფების და ინტერესების ხელმძღვანელების როლის გააზრება და აღწერა. კლასიკური თეორია ამ საკითხს არანაირ ყურადღებას არ აქცევდა, მაშინ როდესაც შუმპეტერი და, საერთოდ, ელიტარული და პლურალისტური დემოკრატიის სხვა თეორეტიკოსები ფაქტობრივად აღიარებდნენ **რ. მისელსის „ოლიგარქიის რკინის კანონის" მართებულობის.** მათი აზრით, ჯგუფები ეფექტიანად მოქმედებენ მხოლოდ ხელმძღვანელობის პრინციპის მიღების შემთხვევაში. სწორედ ლიდერობის ცნება იძლევა იმის ახსნის შესაძლებლობას, თუ საიდან ჩნდება საერთო ნება, როგორ ხდება მისი შეცვლა ან ფალსიფიცირება. **დემოკრატიის ახალი კონცეფცია — უფრო რეალისტურია კლასიკურთან შედარებით.**

ახალ კონცეფციაში **ლიდერობისათვის ბრძოლის** სახით ჩართულია პოლიტიკური კონკურენციის ფაქტორიც. ლიდერობისათვის კონკურენტული ბრძოლის აღიარებული მეთოდი არჩევნებია. დემოკრატიის დროს თითოეულს უფლება აქვას იბრძოლოს ლიდერობისათვის, თავისი კანდიდატურა წამოაყენოს ამომრჩეველთა წინაშე.

ამომრჩეველთა როლი დემოკრატიის შუმპეტერისეულ თეორიაში. XVIII საუკუნის კლასიკური თეორიისგან განსხვავებით, შუმპეტერი ხაზს უსვამს, რომ დემოკრატია სრულიადაც არაა ხალხის

მმართველობა. ხალხს მხოლოდ უფლება აქვს მიიღოს ან უარყოს ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ პოლიტიკური ხელისუფლების მიღწევას. დემოკრატია — თავისუფალი კონკურენციაა პოლიტიკურ ხელმძღვანელებს შორის ელექტორატის ხმების მოსაპოვებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „დემოკრატია პოლიტიკოსების მმართველობაა". განსაზღვრული ვადით არჩეული გაბატონებული ელიტა იღებს მოსახლეობის უმრავლესობის პოლიტიკური წარმომადგენლობის ფუნქციას, რომელიც ამავე ვადით მოკლებულია მოქმედების შესაძლებლობებს.

დემოკრატიის კლასიკური თეორია ემყარებოდა საერთო კეთილდღეობისა და ხალხის ნების იდეებს, როდესაც ამომრჩეველი უფლებამოსილია მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილებები. დემოკრატიის ახალ თეორიაში ამომრჩეველთა მიერ პრობლემათა გადაწყვეტა უკანა რიგშია გადატანილი, მთავარია იმათი არჩევა, ვინც გადაწყვეტილებებს მიიღებს.

დემოკრატიული მეთოდის არსებითი მახასიათებელია არა მარტო ამომრჩეველთა მიერ მთავრობის ჩამოყალიბება (პირდაპირ ან შუამავალი ორგანოების მეშვეობით), არამედ მთავრობის დაშლის ფუნქციაც. ამასთან, ამომრჩეველთა მხრიდან მთავრობის კონტროლი სწორედ ამ ფუნქციით შემოიფარგლება: უარი თქვას თავის წარმომადგენელთა ხელახალ არჩევაზე.

დემოკრატიის კლასიკური თეორიისგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს ხალხის ნებაზე აკეთებდა, ახალი კონცეფცია **უმრავლესობის ნებაზე** ამახვილებს ყურადღებას. დემოკრატია ამტკიცებდა შუმპეტერი, არის არა ხალხის, არამედ პოლიტიკოსების მმართველობა. პოლიტიკოსები „ამომრჩეველთა ხმებით მოვაჭრეები" არიან, მაგრამ იმისათვის რომ ამომრჩეველთა მხარდაჭერა მოიპოვონ, პოლიტიკოსები მინიმალურად მაინც უნდა პასუხობდნენ თავისი ელექტორატის მოთხოვნებსა და ინტერესებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს მეტოქეობა ამომრჩეველთა ხმების ძიების („შეძენის") პროცესში, შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული მმართველობის დესპოტური რეჟიმის დამყარება. კონკურენტი პარტიების სისტემა უზრუნველყოფს პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობას.

ელექტორატის მნიშვნელობა შეზღუდულია ელიტების განახლებასა და ცვლაში მონაწილეობით. დემოკრატიის პრობლემა დაიყვანება რაციონალური ამომრჩევლისა და პოლიტიკოსის ურთიერთობებზე. შუმპეტერის თანახმად, მოქალაქე და ამომრჩეველი, რომელსაც მის თეორიაში მყიდველის როლი განეკუთვნება, ფაქტობრივად

არ მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესში არჩევნებს შორის პერიოდებში. ამ დროს სერიოზული დებატები და გადაწყვეტილებების მიღება ექსპერტთა ხელში გადადის. შუმპეტერისა და მისი მიმდევრების აზრით, რაც უფრო ნაკლებად მასობრივი იქნება პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა, მით უკეთესია, რადგანაც მასობრივი პოლიტიკა ნოყიერ ნიადაგს ქმნის პოლიტიკური ექსტრემიზმის, მემარცხენე და მემარჯვენე პოპულიზმისათვის.

დემოკრატია არის ხელისუფლებისათვის ელიტების ბრძოლის ინსტიტუციონალიზებული სივრცე, საკუთარი ინტერესებისათვის ბრძოლის ხერხი, როდესაც ხდება ყველას მობილიზება, ვინც კი ახლოს დგას ამ ინტერესებთან. მობილიზაციისათვის ბრძოლა ატარებს საბაზრო ხასიათს. ამომრჩევლები გამოდიან მყიდველთა სახით, რომლებიც გამოტანილ საქონელს ირჩევენ. ამომრჩეველი პასიურ როლს ასრულებს — მხოლოდ ირჩევს, ამასთან მათი არჩევანი კანდიდატებისა და პარტიების მიერ არის შემოფარგლული და ჩამოყალიბებული. პარტიულ სისტემას შუმპეტერი მიიჩნევს როგორც ჯგუფების გამოყოფას, რომელთაც პასიური ამომრჩევლებისგან განსხვავებით აქტიური მოქმედება გადაწყვიტეს. მასები ელოდებიან ხელმძღვანელობას და პარტიების გარეშე უკიდურესობებში გადავარდებიან.

ახალი თეორიის შესაბამისად და სინამდვილეშიც ამომრჩეველთა კორპუსის ფუნქცია მთავრობის შექმნის დროს დაიყვანება გადაწყვეტილებაზე, თუ ვინ უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი (მთავრობის მეთაური). პრემიერ-მინისტრი (აშშ-ში პრეზიდენტი) იმავდროულად არის მთავრობის მეთაური, არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი და ზოგჯერ ეროვნული ლიდერიც. ოფიციალურად მას ირჩევს პარლამენტი, მაგრამ ფაქტობრივად, პარლამენტის როლი დაიყვანება უბრალოდ, მისი ლიდერობის აღიარებაზე. კაბინეტი შედგება პირებისაგან, რომელთაც მთავრობის მეთაური სხვადასხვა საფუძველზე არჩევს, უმეტესწილად, მოცემული პარტიის სუბლიდერებისაგან.

ამასთან დაკავშირებით, ამომრჩეველთა კორპუსის როლს დამატებითი დაზუსტება ესაჭიროება: ამომრჩევლები პარლამენტარებს თავისი ინიციატივით როდი ირჩევენ, თუმცა მათი არჩევანი „ხალხის ხმად“ ცხადდება. სინამდვილეში ელექტორატის არჩევანს აყალიბებენ პოტენციური კანდიდატები და ეს დემოკრატიული პროცესის არსებითი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ ამომრჩეველთა კორპუსის ინიციატივის ის მოცულობაც, რომელიც განისაზღვრება ერთ-ერთი კონკურენტი კანდიდატის აღიარებით, პარტიის არსებობითაა შემოფარგლული. პარტია — ადამიანთა ჯგუფია, რომელთაც გადაწყვიტეს ერთად

იმოქმედონ პოლიტიკური ხელისუფლებისათვის მიმდინარე კონკურენტულ ბრძოლაში. პარტიები — ეს უბრალოდ რეაქციაა ფაქტზე, რომ ამომრჩეველთა მასები ერთი პოზიციიდან მეორეზე გადადიან და არ შეუძლიათ სხვანაირად მოქმედება.

დემოკრატიის წარმატებული ფუნქციონირების პირობები. რა იგულისხმება დემოკრატიის ფუნქციონირებაში? ესაა პარტიული ლიდერების კონკურენტული ბრძოლა ხელისუფლებისათვის ამომრჩეველთა ხმებისათვის მიმართვის გზით. დემოკრატიის ფუნქციონირება რიგ პირობებზეა დამოკიდებული, რომელთა დარღვევაც იწვევს მმართველობის არადემოკრატიულ მეთოდებზე გადასვლას.

ესაა, პირველ რიგში, სოციალური ფენის არსებობა, რომელიც თავის მხრივ, არის მკაცრი სოციალური შერჩევის შედეგი. ამასთან ამ ფენისათვის პოლიტიკა არის ის საქმე, რომელიც თავისთავად იგულისხმება. ინგლისში ეს ფენა ყველაზე მტკიცეა, რითაც აიხსნება მისი პოლიტიკური სისტემის მდგრადობა. და პირიქით — ამ ფენის სისუსტე ვეიმარის გერმანიაში ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

ამავე დროს საჯარო მმართველობის მნიშვნელოვანი სფეროები გამორიცხული უნდა იყოს პოლიტიკური ხელისუფლებისათვის კონკურენტული ბრძოლიდან. ამის განხორციელებისათვის აუცილებელია მაღალკვალიფიციური, გაწვრთნილი სახელმწიფო ბიუროკრატიის არსებობა, რომელიც საკმარისად დამოუკიდებელი იქნება პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან, მას უნდა ჰქონდეს კორპორაციული სული და რეკრუტირდებოდეს მეტ-ნაკლებად განკერძოებული სოციალური ფენიდან. ასეთი ბიუროკრატია სახელმწიფო მანქანის მატერიალურ სუბსტრატს წარმოადგენს, რომლის ზრდა და სრულყოფა ხდება ყველა თანამედროვე განვითარებულ ქვეყანაში.

უკანასკნელი პირობა შეიძლება გამოიხატოს ფორმულით: დემოკრატიული თვითკონტროლი. პარლამენტი არ უნდა ესწრაფოდეს მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც ამის გაკეთება შეუძლია; ოპოზიციამ უნდა დაიცვას საპარლამენტო და არასაპარლამენტო პრაქტიკის პროცედურული წესები და ეტიკეტი. ამომრჩევლებმა უნდა იცოდნენ, რომ არჩევნებს შორის პერიოდებში პოლიტიკა მათი კი არა, მთავრობისა და პარლამენტის საქმეა.

შუმპეტერის თქმით, თუკი ყველა აღნიშნული პირობა დაცულია, დემოკრატიულ მეთოდს შეუძლია წარმატებული ფუნქციონირება როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის დროს. მაგრამ კაპიტა-

ლიზმი უფრო მეტად გამოდგება დემოკრატიული მეთოდის ფუნქციონირებისათვის. საქმე მარტო ის არაა, რომ დემოკრატიის იდეოლოგია და ფრაზეოლოგია, რომელმაც გამოხატულება პოვა დემოკრატიის უტოპიურ კლასიკურ თეორიაში, კაპიტალისტური განვითარების პროდუქტია და ბურჟუაზიის იარაღს წარმოადგენდა სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების გარდასაქმნელად მიმდინარე ბრძოლაში. ეს საკითხის ერთი მხარეა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ დემოკრატიულმა პრაქტიკამ (პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ამომრჩეველთა ხმებისადმი მიმართვის გზით კონკურენტული ბრძოლის აზრით) ყველაზე სრული განვითარება პოვა კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ბურჟუაზიამ ორიგინალურად გადაწყვიტა დემოკრატიული მეთოდის წარმატებული ფუნქციონირების უზრუნველყოფის პრობლემა. ამ გადაწყვეტის არსი მდგომარეობს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის სფეროს შემცირებაში. ამ ეტაპის დემოკრატია საკმაოდ დიდხანს ფუნქციონირებდა მისთვის არახელსაყრელ პირობებშიც კი. მაგრამ მტრული ატმოსფეროს ზრდასთან ერთად (სახელმწიფოს ჩარევის ზრდა ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამომრჩეველთა მასებში უთანხმოების გაძლიერება კაპიტალიზმის სასურველობის თაობაზე) დემოკრატიამ შეფერხებებით დაიწყო ფუნქციონირება.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ზოგიერთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ფაქტობრივად მოხდა ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობისა და მის მიერ შექმნილი დემოკრატიის კრახი. ასეთ პირობებში, სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელობამ ხელში აიღო მმართველობის სადავეები, რათა კაპიტალისტური სისტემა მისი ლოგიკის შესაბამისად ემართა. ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, გერმანია) დემოკრატიული ფუნქციონირების ზოგიერთი პირობის დარღვევის შედეგად, დროებით არადემოკრატიული რეჟიმები დამყარდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხდება დემოკრატიის აღდგენა დასავლეთ ევროპაში.

დისკუსია შუმპეტერის თეორიის გარშემო. ისინი ვინც დემოკრატიის კლასიკური თეორიების და განსაკუთრებით რუსოს ტრადიციების ერთგულნი რჩებიან, აღნიშნავენ, რომ დემოკრატიის ელიტისტურ მოდელს საერთოდ და კერძოდ, შუმპეტერის თეორიას, რომელშიც პოლიტიკური პარტიები გაიგივებულნი არიან მომხმარებლების მოსაპოვებლად მეტოქე კომპანიებთან, არაფერი აქვს

საერთო დემოკრატიასთან. პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის აზრი ისაა, რომ მომხმარებლიდან გმირად იქცე, ანუ პირად სურვილებზე კონცენტრირებული ადამიანიდან საჯარო მოღვაწედ, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნავს. მაგრამ თუკი ყველა მოქალაქე გმირად იქცევა, სპეციალური პოლიტიკური კლასის არსებობა შეიძლება საჭიროც არ აღმოჩნდეს. ამგვარი კრიტიკა მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორი უფსკრულია ერთი მხრივ „უფლებებზე" დამყარებულ დემოკრატიის კონცეფციებსა და მეორე მხრივ „მოთხოვნილებებზე" დამყარებულ კონცეფციებს შორის.

როგორც თანამედროვე ინგლისელი პოლიტოლოგი ლ.ზიდენტოპი აღნიშნავს, ისეთი სცენარის მიღება, რომლის თანახმადაც მოქალაქე უბრალო მომხმარებლად ითვლება, ნიშნავს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების გამარტივებას უბრალო მუზიკ-ჰოლის დონემდე. ასეთი მიდგომა ადამიანებს გარკვეული როლების უბრალო შემსრულებლებად განიხილავს და მას მძიმე პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს, საფრთხე შეუქმნას დემოკრატიის საფუძვლებს. სცენარი, რომელშიც მოქალაქეებს განეკუთვნება მხოლოდ მომხმარებელთა როლი, წარმოადგენს მხოლოდ მართული საზოგადოების ძველი თეორიის განახლებულ ვარიანტს. ასეთ საზოგადოებაში ხელისუფლება მეცნიერების, მრეწველებისა და ბანკირების ხელში უნდა იყოს (Зидентоп Л. 2001. 158).

წარმოდგენა მოქალაქეებზე როგორც გმირებზე უტოპიურია, ადამიანების მასას ის ძალზე მაღალ მოთხოვნებს უყენებს. მაგრამ იმავე ადამიანების წარმოსახვა მხოლოდ მომხმარებლების სახით, რომლებიც არჩევანს აკეთებენ მეტოქე ელიტებს შორის — დამამცირებელი. მაშ რა არის გამოსავალი? ამ კითხვაზე პასუხი დღესაც არ არსებობს.

დემოკრატიის ელიტარული გაგება მხოლოდ გარეგნულად ჰგავს პლატონისეულ არისტოკრატიულ მმართველობას. დემოკრატიის კლასიკური თეორია უღრუბლო ოპტიმიზმის შედეგი იყო, მოსკასა და მიხელსის ელიტარისტული თეორიები — პესიმიზმის წყარო დემოკრატიზმის თაობაზე, შუმპეტერის მიდგომა კი დემოკრატიის რაციონალიზაციის, მისი შესაძლებლობების განსაზღვრის წყაროს, თანამედროვე დემოკრატიის რეალისტური თეორიის საფუძველს წარმოადგენს.

შუმპეტერის გავლენით XVIII ს. ლოზუნგები (მმართველობა ხალხის სახელით, ხალხის მეშვეობით, ხალხის წარმომადგენლების მიერ) ხელოვნურად გამოცხადდა (დიუვერჟე). მაგრამ მოსაზრება, რომ

მოქალაქეთა როლი მხოლოდ არჩევანის გაკეთებაზე დაიყვანება, ყველას მიერ აქსიომად არ მიიჩნევა. პოლიტიკოსებმა არ შეიძლება არ გაითვალისწინონ ამომრჩეველთა აზრი. მართალია, ეს არაა რიგითი ამომრჩევლების ინტერესების რეალიზების გარანტია, მაგრამ მათთვის მაინც გარკვეულ შანსს წარმოადგენს (რ.დალი).

კითხვები და დავალებები:

• რა განსხვავებაა დემოკრატიის პლებისციტურ და რეპრეზენტაციულ თეორიებს შორის?

• რამ განაპირობა დემოკრატიის კლასიკური თეორიის კრიტიკა?

• რა როლი განეკუთვნება არჩევნებს ელიტიზმის თეორიებში?

• როგორია დემოკრატიული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობები მაქს ვებერის თეორიის მიხედვით?

• რატომ მოსდევს მასობრივ დემოკრატიას ბიუროკრატიზაცია მაქს ვებერის თანახმად?

• რითი განსხვავდება შუმპეტერის თეორია დემოკრატიის კლასიკური თეორიისაგან?

• რა არის პლებისციტური დემოკრატიის არსი?

• რა შეცდომა დაუშვა მაქს ვებერმა პლებისციტური დემოკრატიის თეორიის ჩამოყალიბებისას?

• რა პირობებია აუცილებელი პლებისციტური (ხარიზმატული) ლიდერის დემოკრატიის ფარგლებში ჩასაყენებლად?

• მსოფლიოს წარსული და თანამედროვე პრაქტიკიდან ხომ ვერ დაასახელებდით ისეთ პოლიტიკურ სისტემებს, რომლებიც პლებისციტურ დემოკრატიას წარმოადგენს ან უახლოვდება?

• რაში ხედავდა დემოკრატიის კლასიკური თეორიების უსაფუძვლობას იოზეფ შუმპეტერი?

• რატომ დომინირებდა დიდი ხნის მანძილზე დემოკრატიის კლასიკური თეორიები?

• რა უპირატესობანი გააჩნია შუმპეტერის აზრით, დემოკრატიის „რეალისტურ" („ემპირიულ") თეორიას?

• როგორ განსაზღვრავს „დემოკრატიულ მეთოდს" ი.შუმპეტერი?

• რა როლი განეკუთვნებათ ამომრჩევლებს დემოკრატიის შუმპეტერისეულ თეორიაში?

• რას მიიჩნევდა დემოკრატიის წარმატებული ფუნქციონირების პირობებად ი.შუმპეტერი?

რა წავიკითხოთ:

• **მ. ვებერი. ხარიზმატული ბატონობა — წიგნში: ოსკარ შპენგლერი. პოლიტიკის ფილოსოფია. მაქს ვებერი. ხარიზმატული ბატონობა. თბ., 1995.**

• **მ. ვებერი. პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა. თბ., გონი, 1994.**

მ.ვებერის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან ქართულად მხოლოდ ერთეულებია თარგმნილი. დასახელებული ნაშრომების გაცნობა წარმოდგენას შეგვიქმნის ხარიზმატული ბატონობის და ვებერისეული დემოკრატიის თეორიის არსზე.

• **Schumpeter I. Capitalism, Socialism and Democracy. N.Y., Harper, 1950. – 431 p.**

• **Шумпетер Й. Капитализм, социализм и демократия. М., 1996.**

წიგნი პირველად გამოვიდა 1942 წელს. ავტორის დახასიათებით, ეს ფუნდამენტური ნაშრომი 40-წლიანი კვლევის შედეგია, ნაშრომის მე-4 ნაწილში „სოციალიზმი და დემოკრატია" (თავები XIX–XXII) შუმპეტერი გადმოსცემს დემოკრატიის თეორიას. მე-5 ნაწილში „სოციალისტური პარტიების ისტორიული ნარკვევი" (XXIV–XXVII თავები) შუმპეტერი მოგვითხრობს 1942 წლამდე და აფასებს დემოკრატიის მიერ განვლილ გზას.

თავი IV

არჩევნების ინსტიტუტი დემოკრატიის თანამედროვე თეორიებში

XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა დემოკრატიის ახალი თეორიები. ისინი ასახავდნენ ახალ რეალობას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. დემოკრატიამ თვალსაჩინოდ დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

დემოკრატიის განვითარება მიდიოდა, ერთი მხრივ, სოციალური უთანასწორობის გარკვეულწილად შერბილების, მეორე მხრივ — პლურალიზმის გაძლიერებისა და მისი რეალიზაციის მექანიზმის შემუშავების გზით. ეს პროცესები მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა ამ ქვეყნებში ე.წ. საშუალო ფენის ხვედრითი წილის ზრდისა და მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონის ამაღლების შედეგად. ახალმა მესაკუთრეებმა თანამედროვე დემოკრატიის სოციალური საფუძველი შეადგინეს. იმავდროულად მიმდინარეობდა შესაბამისი პოლიტიკური კულტურის ფორმირებაც, როდესაც ურთიერთობა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის აღიქმება არა როგორც ურთიერთობა მტრებს შორის, არამედ როგორც თანასწორთა თანააარსებობა, რაც აადვილებდა შეთანხმებების მიღწევას.

სხვაგვარი გახდა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებაც. ახლა მისი დაკარგვა ამა თუ იმ პარტიის მიერ უკვე აღარ განიხილება როგორც კრახი, რადგანაც საყოველთაო საარჩევნო უფლება და პლურალიზმი იძლეოდა შემდგომ არჩევნებში გამარჯვების შანსს. ხალხის ფართო მასების ცნობიერებაში მტკიცედ დამკვიდრდა აზრი, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების მოპოვება არ ხდება ერთხელ და სამუდამოდ. უფრო მეტიც ხელისუფლების დარჩენა ერთი პარტიის ხელში დამღუპველია როგორც ამ პარტიისათვის, ისე მთლიანად დემოკრატიისათვის.

თანამედროვე დემოკრატია გულისხმობს საყოველთაო, პირდაპირ და თავისუფალ არჩევნებს, მაგრამ აქ როგორც პრაქტიკული, ისე ფილოსოფიურ-თეორიული ხასიათის ბევრი სირთულე და წინააღმდეგობაა. სწორედ დემოკრატიის დღევანდელი რეალობებისა და პერსპექტივების გაანალიზებას ცდილობენ დემოკრატიის სხვადასხვა თეორიები. მათი დაწვრილებითი განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ჩვენ ამ თეორიებს შევეხებით მხოლოდ იმისთვის, რომ წარმოვაჩინოთ, თუ როგორ არის მათ ფარგლებში არჩევნების ინსტიტუტი გააზრებული.

§ 1. არჩევნები დემოკრატიის პლურალისტურ თეორიაში

დემოკრატია: ძირითადი მიდგომები. იმისდა მიხედვით, თუ ვის ენიჭება პრიორიტეტი — პიროვნებას, სოციალურ ჯგუფს ან ხალხს, გამოიყოფა დემოკრატიის **ლიბერალური, ინდივიდუალისტური, კოლექტივისტური** და **პლურალისტური** კონცეფციები.

დემოკრატიის სამივე კონცეფცია — ლიბერალური, კოლექტივისტური და პლურალისტური — მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი ხარვეზებისა, ერთ ფუნდამენტალურ პრინციპს ემყარება: მოქალაქეს უფლება აქვს გამოხატოს თავისი პოლიტიკური ნება (პირველ რიგში არჩევნების საშუალებით), ხელისუფლების არჩევითი ორგანოების მეშვეობით დაიცვას თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები.

ინდივიდუალისტურ თეორიებსა და მოდელებში დემოკრატიის მთავარ ამოცანად ინდივიდუალური თავისუფლების ინსტიტუციონალური და სამართლებრივი გარანტიების შექმნა მიიჩნევა. პიროვნება ხელისუფლების მთავარ წყაროდაა აღიარებული, მისი უფლებები ყოველთვის პრიორიტეტულია სახელმწიფოსთან შედარებით.

დემოკრატიის **კოლექტივისტური** თეორიები უარყოფს პიროვნების ავტონომიურობას, აღიარებს ხალხის მთლიანობასა და პირველადობას ხელისუფლების განხორციელებაში, ახდენს უმრავლესობის ხელისუფლების აბსოლუტიზირებას, ასაბუთებს მის პრიორიტეტულობას უმცირესობისა და ცალკე პიროვნებების წინაშე. თანამედროვე საზოგადოებისათვის, წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, დემოკრატიის ამგვარი მოდელები მიუღებელია. საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ხალხის ხელისუფლება, თუნდაც უმრავლესობისა, ვერ იქნება რეალიზებული, თუკი არ იარსებებს ინდივიდუალური თავისუფლებების გარანტიები.

დემოკრატიის კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ გაგებებს შორის შუალედური მდგომარეობა უკავია დემოკრატიის პლურალისტურ თეორიებს. პლურალისტური დემოკრატიის თეორიის მომხრენი (ა.ბენტლი, გ.უოლესი, ჯ.მედისონი, გ.ლასკი და სხვები) უარყოფენ საზოგადოებაში ხალხის ერთიან ნებას, როგორც ხელისუფლების საქმიანობის საფუძველს. ამ თეორიის თანახმად, ხალხის ერთიანი ნება შეუძლებელია არსებობდეს იმიტომ, რომ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანები კონკრეტულ საქმიანობაში ემყარებიან არა საზოგადოებრივ, არამედ კერძო სარგებლის პრინციპს. საზოგადოება სოციალურ ჯგუფთა ერთობლიობაა, რომლებიც საკუთარი ინტერესების რეალიზებას ესწრაფვის.

დემოკრატიის პლურალისტური თეორიების არსი. დემოკრატიის **პლურალისტური** თეორიები აღიარებს, რომ პოლიტიკის შემოქმედი პიროვნება და ხალხი კი არა, დაინტერესებული ჯგუფია, რადგანაც სწორედ ჯგუფში ყალიბდება პოლიტიკური მოღვაწეობის ინტერესები, ფასეულობითი ორიენტაციები და მოტივები. ჯგუფის მეშვეობით პიროვნებამ შეიძლება გამოხატოს და დაიცვას თავისი ინტერესები. აღნიშნული მიდგომის თანახმად, ხალხი არ შეიძლება იყოს პოლიტიკის სუბიექტი, რადგანაც ის მრავალფეროვანი ჯგუფებისაგან შედგება, რომლებიც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. დემოკრატიის დანიშნულებაა ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა მიეცეს აშკარად გამოხატოს თავისი ინტერესები, უზრუნველყოს ინტერესთა ბალანსის მიღწევა და კონფლიქტების თავიდან აცილება.

პლურალისტური დემოკრატიის თეორიები მრავალგვარია. მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს დაინტერესებული ჯგუფების აღიარება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ცენტრალურ ელემენტად. საბოლოო ჯამში, დემოკრატია გამოდის მმართველობის ფორმის სახით, რომელიც უზრუნველყოფს ბალანსს ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ ეკონომიკურ, ეთნიკურ, პროფესიულ, დემოგრაფიულ და სხვა ჯგუფებს შორის. დემოკრატია გამორიცხავს რომელიმე ჯგუფის მონოპოლიას გადაწყვეტილებათა მიღებაზე და ეწინააღმდეგება ხელისუფლების მოქმედებას რომელიმე ერთი ფენის ინტერესების შესაბამისად.

პოლიტიკური პლურალიზმი ნიშნავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მრავალი საზოგადოებრივი მოძრაობისა და პარტიების ჩართვას, რომელთაც სხვადასხვა პოლიტიკური მიზნები, იდეოლოგიური კონცეფციები გააჩნიათ და ერთმანეთს ებრძვიან ხელისუფლების მოსაპოვებლად. ასეთი ბრძოლის მთავარ ფორმად გამოდის

ამომრჩეველთა წინაშე თავიანთი საარჩევნო პროგრამების წარდგენა, არჩევნებზე რაც შეიძლება მეტი ხმების მოპოვება და ამით პარლამენტში ადგილების მაქსიმალური ოდენობის მიღება ანდა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება.

პლურალისტური დემოკრატიის მთავარი განსხვავება ლიბერალური დემოკრატიისაგან ისაა, რომ საარჩევნო კამპანიის დროს და პარლამენტში მოლვაწეობისას პარტიები და მოძრაობები წარმოადგენენ კონკრეტული სოციალური ჯგუფების ინტერესებს, რომელთა მეშვეობითაც რეალიზდება ცალკე პიროვნების ინტერესები. პოლიტიკურ პარტიაში შესვლით ან არჩევნებზე მისი მხარდაჭერით მოქალაქეს შეუძლია დიდი პოლიტიკური აქტიურობის გამოვლენა. ზეგავლენის მოხდენა პარლამენტის მოღვაწეობაზე, თავისი ინტერესების დაცვა.

დემოკრატიის პლურალისტური თეორიის თანახმად, პოლიტიკური პროცესი მრავალი სოციალური, პროფესიული, რელიგიური, ადგილობრივი, ეროვნული და სხვა დაჯგუფებების ბრძოლას წარმოადგენს, რომლებიც თავიანთი ინტერესების მისაღწევად იღწვიან. სახელმწიფოს ეკისრება არბიტრისა და კონფლიქტური ინტერესების შემრიგებლის როლი. გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი წარმოადგენს რაღაც „საშუალო გზის" არჩევას, რომელიც არ დაიყვანება რომელიმე ერთ ინტერესზე. ე.ი. უზრუნველყოფილია სოციალურ და პოლიტიკურ ძალთა წონასწორობა და იქმნება გარანტიები ხელისუფლების მონოპოლიზაციის საწინააღმდეგოდ.

დემოკრატიის პლურალისტური თეორიების დამახასიათებელი ნიშნები. დემოკრატიის პლურალისტური თეორიებისათვის დამახასიათებელია შემდეგ ძირითად დებულებებზე დაყრდნობა:

— **დაინტერესებული ჯგუფი პოლიტიკის ძირითადი სუბიექტია.** სწორედ ასეთი ჯგუფი უზრუნველყოფს ინდივიდის მიერ თავისი ინტერესების გააზრებას, აგრეთვე მას უქმნის თავისი უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობას. პიროვნება ფორმალურად ხელისუფლების პირველად სუბიექტადაა აღიარებული, მაგრამ მხოლოდ ჯგუფის შემადგენლობაში;

— **ჯგუფური ინტერესების ურთიერთქმედება დემოკრატიული რეჟიმის საფუძველს წარმოადგენს.** სხვადასხვა დაჯგუფებების მეტოქეობა და შეჯიბრი, რომლებიც თავიანთ სახელისუფლო ინტერესებს იცავენ, საზოგადოების დემოკრატიული განვითარების არსს წარმოადგენს;

— **საპირისწონეების სისტემის მნიშვნელოვანი როლი.** ხელისუფლების შტოების გაყოფის აპრობირებული პრაქტიკა სოციალურ სფეროზეცაა გადატანილი. აუცილებელია სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების გარკვეული ბალანსის მიღწევა;

— **სახელმწიფოს მოღვაწეობის ფართო ველი.** სახელმწიფო გამოდის უმაღლესი არბიტრის როლში ურთიერთსაპირისპირო ინტერესების მქონე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის;

— **ხელისუფლების დიფუზიის პროცესს შესწავლა.** იგულისხმება ხელისუფლების განაწილება ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში, არა ერთი არამედ მრავალი პოლიტიკური ელიტის არსებობა, რომლებიც სხვადასხვა ინტერესებს ასახავს.

— **დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვანი როლი.** დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა მიიჩნევა იმის აუცილებელ პირობად, რომ არსებული წინააღმდეგობანი კომპრომისების მეშვეობით გადაწყდეს და ინტერესთა დაპირისპირება წარიმართოს მშვიდობიანი პოლიტიკური პროცესის კალაპოტში.

სპეციალისტთა აზრით, დემოკრატიის პლურალისტური თეორიები ყველაზე ადეკვატურად ასახავს დემოკრატიული სახელმწიფოების განვითარების თანამედროვე ეტაპს, რომელიც ერთმანეთთან ახამებს დემოკრატიის პლურალისტური და ლიბერალური გაგების ელემენტებს. დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში არსებული რეჟიმები ფასდება როგორც ლიბერალურ-პლურალისტური. დემოკრატიის პლურალისტურ თეორიას სავსებით უთავსდება სოციალური სახელმწიფოს თეორია და პრაქტიკა, რომლის მიზანიცაა ცხოვრების ღირსეული პირობები უზრუნველყოს ყოველი მოქალაქისათვის.

დემოკრატიის პლურალისტური თეორიის სუსტი მხარეები. პლურალისტური დემოკრატიის კონცეფციების ნაკლი ისაა, რომ ამოსავლად მიღებულია მოქალაქის იდეალური მოდელი — იგი პოლიტიკური პროცესის აქტიური მონაწილეა, თავისი მოღვაწეობით აქტიურად უჭერს მხარს იმ ჯგუფს თუ მოძრაობას, რომელიც პოტენციურად მის ინტერესებს წარმოადგენს. სინამდვილეში პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების უკან დგას არა მასობრივი ელექტორატი, არამედ მხოლოდ მისი აქტიური ნაწილი. დანარჩენი ამომრჩევლები ან თავს არიდებენ არჩევნებს, ანდა ზერელედ ეცნობიან წინასაარჩევნო პროგრამების შინაარსს და შემთხვევით არჩევანს აკეთებენ. ხოლო თავად არჩევანის გაკეთება შეიძლება ორ-სამ მსხვილ პოლიტიკურ პარტიას შორის, რომელთა პროგრამებიც ცოტათი თუ განსხვავდება

ერთმანეთისგან, ანდა ხმა შეიძლება მისცენ პატარა წინასაარჩევნო გაერთიანებებს, მაგრამ ეს ხმა „დაკარგული“ აღმოჩნდება. გარდა ამისა, რიგითი ამომრჩევლების მიერ კონტროლი პარლამენტ..ების მოღვაწეობაზე პრაქტიკულად შეუძლებელია.

დემოკრატიის პლურალისტური თეორიის სუსტ მხარეებად მიიჩნევა:

— **პიროვნების ჯგუფური იდენტიფიკაციის გადაჭარბებული შეფასება,** საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში პიროვნების ნამდვილი როლის შეუფასებლობა. დემოკრატიის პლურალისტური გაგება გარკვეულწილად ახდენს არსებული პოლიტიკის იდეალიზებას, მას წარმოადგენს მხოლოდ როგორც გარკვეული ჯგუფური ინტერესების ურთიერთქმედების პროცესს.

— **სათანადოდ არაა გათვალისწინებული ცალკეული ჯგუფების გაერთიანების უთანაბრობა,** როდესაც გარკვეული ჯგუფების, მაგალითად, მეწარმეთა გაერთიანებების, პროფკავშირების, ბიუროკრატთა ჯგუფების ხელშია მოქცეული პოლიტიკურ პროცესზე ძირითადი ზეგავლენა;

— **სახელმწიფოს მოღვაწეობის ნეიტრალურობის გადაჭარბებით შეფასება.** სინამდვილეში სახელმწიფო ყოველთვის პირველ რიგში ემსახურება პოლიტიკურად გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის ინტერესებს;

— **პიროვნების თავისუფლების სელყოფა ყველა მოქალაქის თანასწორობის სასარგებლოდ.** დემოკრატიის პლურალისტური განმარტება მნიშვნელოვნად ზღუდავს ჩვეულ ლიბერალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ძლიერ აფართოებს საზოგადოების ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის სფეროს, რამაც ხელსაყრელი პირობები შეიძლება შექმნას ტოტალიტარიზმის დასამყარებლად.

პლურალისტებმა ვერ შეძლეს გადაეჭრათ მოქალაქეთა ფუნდამენტური თავისუფლებებისა და კეთილდღეობის სახელმწიფოს პოლიტიკის თანაფარდობის პრობლემა.

დემოკრატიის ვესტმინსტერული და კონსენსუსური მოდელები. დემოკრატიის პლურალისტურ თეორიას უკავშირდება ლიპხარტის მიერ გამოყოფილი დემოკრატიის ორი დასავლური მოდელი: **ვესტმინსტერული** (ინგლისი, ავსტრალია, ახალი ზელანდია) და **კონსენსუსური** (ბენილუქსის ქვეყნები, შვეიცარია).

პირველი მოდელის არსი მდგომარეობს უმრავლესობის პრინციპის განმსაზღვრელ როლში. ვისაც უმრავლესობა ჰყავს, ის ყველაფერში განსაზღვრავს პოლიტიკას. ხელისუფლება კონცენტრირე-

ბულია უმრავლესობის მიერ არჩეული მთავრობის ხელში. ასეთი სისტემა შესაძლებელია ორპარტიულ საფუძველზე. სხვა პარტიების არსებობა არანაირ როლს არ ასრულებს.

კონსენსუსური დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს უმცირესობის უფლებათა დაცვა, მრავალპარტიულობა, პროპორციული წარმომადგენლობა, ძირითადი გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსის საფუძველზე, ხელისუფლებათა დანაწილება.

§ 2. არჩევნები პარტიციპატორული (მონაწილეობის) დემოკრატიის თეორიაში

პარტიციპატორული დემოკრატიის თეორიის წარმოშობის მიზეზები. პლურალიზმის თეორიის შესაძლებლობების შეზღუდულობამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო პარტიციპატორული დემოკრატიის თეორიის შემუშავებას. პარტიციპატორული დემოკრატიის თეორეტიკოსები (ჯ.ვოლფი, ფ.გრინი, ბ.ბარბერი) ერთგულნი არიან დემოკრატიის კლასიკური თეორიის უმთავრესი იდეისა, რომ უბრალო ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი თავის მართვა. ისინი ელიტარისტებისა და პლურალისტებისგან განსხვავებით თვლიან, რომ პოლიტიკური ხელისუფლების დემოკრატიული სისტემა ჯერ კიდევ არ არსებობს სრული სახით. აუცილებელია მიღწეული იქნეს მასების საყოველთაო ეფექტიანი ჩართვა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

პარტიციპატორული (მონაწილეობის) დემოკრატიის თეორია უშუალო დემოკრატიის თეორიის ერთ-ერთ სახესხვაობად მიიჩნევა. ეს თეორია XX ს. 60-იან წლებში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული მოძრაობისა და „ახალი მემარცხენეების" თეორიის ზეგავლენით. აღნიშნული კონცეფცია თავიდანვე ატარებდა მემარცხენე-ლიბერალურ ან სოციალ-დემოკრატიულ მიმართულებას. „ახალი მემარცხენეები" აკრიტიკებდნენ წარმომადგენლობით დემოკრატიას და მიუთითებდნენ მის ფაქტობრივად ელიტარულ ხასიათზე. მათი აზრით, მოქალაქეების როლი „სიმბოლურ პოლიტიკაში" მონაწილეობით არ უნდა შემოფარგლულიყო და ისინი აქტიურად უნდა ჩართულიყვნენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

პარტიციპატორული დემოკრატიის თეორიის მომხრეები მოითხოვდნენ ბარიერების დანგრევას რიგით მოქალაქეებსა და არჩეულ

დეპუტატს, თანამდებობის პირს, პოლიტიკურ ლიდერს შორის. მათი აზრით, ამის მიღწევა შესაძლებელია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის დეცენტრალიზებისა და ამ პროცესში რიგითი მოქალაქეების პირდაპირი ჩართვის გზით.

ამ მიმდინარეობის ყველაზე რადიკალური წარმომადგენლები, ფაქტობრივად, ანარქიზმის პოზიციაზე დგებიან და საჭიროდ მიიჩნევენ წარმომადგენლობის პოლიტიკური პრინციპისა და ინსტიტუტების ლიკვიდაციას, რომელთა ნაცვლად უნდა შეიქმნას თვითმმართველი თემები. მაგრამ მონაწილეობის დემოკრატიის მომხრეთა უმრავლესობის აზრით უნდა მოხდეს პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმების შეხამება. პირდაპირი დემოკრატიის შესაძლებლობები შემოიფარგლება ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობითა და საწარმოო დემოკრატიით.

მონაწილეობის დემოკრატიის თეორიის არსი. პარტიციპატორული დემოკრატიის თეორია მოითხოვს პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოებას, განსაკუთრებით დაბალი ფენებისათვის, მათი საერთო კულტურისა და განათლების დონის ამაღლებას, რათა შეძლონ დამოუკიდებელი კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღება.

მასების პოლიტიკური მონაწილეობისადმი ამგვარი მიდგომა მკვეთრად განსხვავდება ელიტარული და პლურალისტური დემოკრატიის თეორიებისგან, რომელთა მიმდევრებსაც მიაჩნიათ, რომ უნდა შეიზღუდოს ხალხის მასების ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესზე. მათი აზრით, არაკომპეტენტურ უმრავლესობას შეუძლია ლეგალური გზით აირჩიოს ტირანული მმართველობა, ამიტომ აუცილებელია დემოკრატიის დაცვა მასებისაგან.

პარტიციპატორული დემოკრატიის თეორეტიკოსები თვლიან, რომ მასების ანტიდემოკრატიული პოზიცია მათთვის იმანენტურად დამახასიათებელი კი არ არის, არამედ აღზრდის ნაკლებობის, ეკონომიკური უთანასწორობის, პოლიტიკურ პროცესზე ქმედითი ზემოქმედების შესაძლებლობის არქონის შედეგია.

პარტიციპატორული დემოკრატიის მომხრეების აზრით, შეიძლება თავიდან ავიცილოთ **თავისუფლების პარადოქსი**, როდესაც უმრავლესობას თავად შეუძლია ტირანის არჩევა, ან თავად მოგვევლინება ტირანის როლში. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად სრულიადაც არაა აუცილებელი პოლიტიკური პროცესიდან მასების გამორიცხვა. ამისათვის ინსტიტუციონალური ბარიერების შექმნა უფრო ქმედითი იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს. ელიტის ტირანიის

წინააღმდეგ კი აუცილებელია კარგად ინფორმირებული საზოგადოება, რომელსაც შეეძლება დემოკრატიული კონტროლის განხორციელება საყოველთაო არჩევნებისა და წარმომადგენლობითი მთავრობის მეშვეობით.

პარტიციპატორული დემოკრატიის თეორეტიკოსები თვლიან, რომ წარმომადგენელი უნდა იყოს „ელექტორატის დელეგატი" და გამოხატავდეს თავის ამომრჩეველთა პოზიციას. პარტიციპატორული დემოკრატიის მომხრეებს ესმით, რომ შეუძლებელია პირდაპირ დემოკრატიაზე გადასვლა. ისინი პოლიტიკური ორგანიზაციის შერეულ ფორმას ემხრობიან, რომელშიც პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ელემენტებია შეხამებული. ეს იდეა კ.მაკფერსონმა ჩამოაყალიბა.

პოლიტიკურ პროცესში ხალხის მასების მონაწილეობის გასაფართოვებლად და აღმასრულებელი ორგანოების მოღვაწეობაზე მათი კონტროლის გასაძლიერებლად პარტიციპატორული დემოკრატიის მომხრეები რიგი ზომების გატარებას მოითხოვენ, რომლებიც სხვადასხვა სახით უკვე რეალიზებულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით იქ, სადაც ძლიერია სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციები.

პარტიციპატორული დემოკრატიის თეორეტიკოსთა აზრით, აშშ-ის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციისათვის აუცილებელია პირდაპირი არჩევნების სისტემაზე გადასვლა. მრავალ ნაშრომში ხაზგასმულია რეგისტრაციის არსებული სისტემის შეცვლის აუცილებლობა, რის გამოც ღარიბი და ნაკლებად შეძლებული ფენები არჩევნების დღეს „თამაშგარეთ" რჩებიან. ისინი წინადადებას აყენებენ რეგისტრაცია ჩატარდეს მასობრივი დასვენების ადგილებში, ხოლო არჩევნები გამოსასვლელ დღეებში გაიმართოს. უფრო აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული პრესა და ტელევიზია ამომრჩეველთა პოლიტიკური კულტურის ასამაღლებლად და ობიექტური ინფორმირებისათვის.

მონაწილეობის დემოკრატია: თეორია და პრაქტიკა. პარტიციპატორული დემოკრატიის თეორია გულისხმობს სახელმწიფოს აქტიურ როლს სოციო-ეკონომიკურ პროცესებში. მაგრამ როგორც პრაქტიკა აჩვენებს, არჩევნებში, გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის პროცესში მაქსიმალური მონაწილეობის პოლიტიკა ხშირად იქცევა ახალი ელიტის მმართველობის საფრად. ამასთან გადაწყვეტილი არაა საკითხი — როგორი გარანტიებია საჭირო იმისათვის, რომ ყველა ეტაპზე ყალიბდებოდეს მართლაც საერთო ნება? გარდუვალია ცალკეული ჯგუფების, ელიტების, ბიუროკრატიის მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ცსოვრებამ აჩვენა, რომ პარტიციპატორული დემოკრატიის რეალიზება თეორიულად შესაძლებელია სოციალურ ურთიერთობათა ისეთ სისტემაში, რომელშიც არსებობს ნიადაგი თანამშრომლობისა და კონსენსუსისათვის, უპირატესად პატარა საზოგადოებებში, სადაც კონფლიქტი გამორიცხულია, ან არ დაიშვება.

მონაწილეობის დემოკრატიის კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ პოლიტიკური მონაწილეობის დონის ამაღლებასა პოლიტიკური სისტემის კრიზისს შორის არსებულ კავშირზე. ფ.ჰაიეკი ტოტალიტარიზმის თავიდან ასაცილებლად წინადადებას აყენებდა შეეზღუდათ წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილება, შემოეღოთ დემარქია, ე.ი. შეზღუდული დემოკრატია.

მონაწილეობის დემოკრატიის კრიტიკოსთა აზრით, მონაწილეობა ყოველთვის შეზღუდულია. ადამიანი — არაპოლიტიკური არსებაა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ იმიტომ ერთვება, რომ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი, როდესაც არაპოლიტიკური საშუალებებით ამის გაკეთება შეუძლებელია. ჭარბობს თვალსაზრისი, რომ მონაწილეობა არაეფექტიანია, რადგანაც ძალზედ დიდი დრო იხარჯება დარწმუნებაზე, მანამდე სანამ მიღებული იქნება გადაწყვეტილება. ყველას დარწმუნება შეუძლებელია, ამიტომ ყველაზე სავარაუდოა სანახევრო, არცთუ საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღება. მონაწილეობა ხელს უწყობს ვნებათაღელვის გაჩაღებას, რაც არამდგრადობას წარმოშობს. მონაწილეობის დემოკრატიის ამგვარი კრიტიკოსების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ რიგით მოქალაქეს ჰქონდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა და დროდადრო მართლაც მონაწილეობდეს მასში. მაგრამ, მთლიანობაში, კარგია, რომ მმართველობის პროცესი მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილის საქმეს წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, მონაწილეობის დემოკრატიის თეორიამ შეასრულა გარკვეული დადებითი როლი ქვედაფენების აქტივიზაციის საქმეში. მაგრამ პარტიციპატორული დემოკრატიის თეორია მთლიანობაში უფრო რომანტიულია, ვიდრე რეალისტური. ის მოსახერხებელია როგორც ბიუროკრატიზმის, ელიტარიზმის კრიტიკის საფუძველი, მაგრამ ფაქტობრივად ცდილობს ააღორძინოს ყველას თანასწორობის რუსოსეული იდეა. მისთვის ამოსავალია პრინციპი, რომ ზედაფენებსაც და ქვედაფენებსაც, მოქალაქესაც და პოლიტიკოსსაც, მმართველსაც და მართულსაც ინფორმაციის ანალიზის და დამუშავების ერთნაირი შესაძლებლობები აქვთ. თუმცა, პრაქტიკა არსად არ ადასტურებს ასეთი მიდგომის სისწორეს.

პარტიციპატორული დემოკრატიის რადიკალურ ვარიანტებთან ახლოს დგას ახალი სოციალური მოძრაობების, მაგალითად ეკოლოგისტების პოლიტიკური კონცეფციები. ყველა ამ თეორიას აერთიანებს მმართველობის დეცენტრალიზაციის, მასში ხალხის ფართო მასების პირდაპირი მონაწილეობის, თვითმმართველობის განვითარების იდეები. მაგრამ პარტიციპატორული დემოკრატიის მიერ შემოთავაზებული საზოგადოების ფართო პოლიტიზაციას ფაქტობრივად მივყავართ ან ტოტალიტარიზმთან ან პოპულისტურ ავტორიტარიზმთან. ის ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას, საფრთხეს უქმნის კერძო საკუთრებას და მეწარმეობას, რადგანაც პიროვნებას უქვემდებარებს უმრავლესობის გადაწყვეტილებებს, რომელიც ჩვეულებრივ იხრება გამთანაბრებლობისაკენ და ადვილად ექცევა იდეოლოგიური ზეგავლენის ქვეშ.

§ 3. რობერტ დალის „პოლიარქიული დემოკრატიის“ მოდელი

ამერიკული და ევროკონტინენტური დემოკრატიით უკმაყოფილებამ, ყალბი საბჭოური დემოკრატიის მიუღებლობამ რობერტ დალს უბიძგა დემოკრატიისა და საზოგადოების ახალი კონცეფციის შემუშავებისაკენ, რომელსაც პოლიარქიის თეორია უწოდა. რ.დალის თანახმად, პოლიარქია რეალური პოლიტიკური რეჟიმია, რომელიც არსებობს დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში და მას განასხვავებს დემოკრატიის იდეალური მოდელისაგან.

პოლიარქიის თეორიის არსი. პოლიარქიის თეორიის ძირითადი დებულებები შემდეგია: სრულყოფილი დემოკრატიის უმთავრესი ნიშანია მთავრობის მუდმივი რეაგირება თავის მოქალაქეთა მოთხოვნილებებზე. ამის გარეშე როგორი განვითარებულიც არ უნდა იყოს ცალკეული დემოკრატიული პროცედურები, ის მოჩვენებით ხასიათს ატარებს. საბჭოთა სისტემის დროს მოქალაქეთა თითქმის ასპროცენტიანი მონაწილეობა არჩევნებში არ წარმოადგენდა საბჭოთა სისტემის დემოკრატიულობის დადასტურებას, რადგანაც მთავრობის პოლიტიკა მოწყვეტილი იყო მოქალაქეთა ინტერესებისა და საჭიროებებისაგან.

რ.დალი გამოყოფს დემოკრატიის მთავარი პრინციპის მოქმედების განმსაზღვრელ პირობებს:

— მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ინტერესების გამოხატვისა და რეალიზების შესაძლებლობები, ე.ი. ჩამოაყალიბონ და მათ შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ ყველას, ვისაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მათ რეალიზებაზე, მიაღწიონ ინტერესთა ნაწილის გადაქცევას სამთავრობო ორიენტაციად;

— უნდა არსებობდეს ინტერესების ფორმულირების თავისუფლების გარანტიები: აზრის თავისუფლება და ხმის უფლება, ორგანიზაციების შექმნის თავისუფლება, პოლიტიკურ ლიდერთა უფლება ერთმანეთს შეეჯიბრონ მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად; ინფორმაციის ალტერნატიული წყაროების არსებობა, თავისუფალი და პატიოსანი არჩევნების გარანტიები.

პოლიარქიის ინსტიტუტები. ფუნქციონალურად პოლიარქია, როგორც პოლიტიკური რეჟიმი ემყარება შვიდ ინსტიტუტს, რაც მის ეფექტიანობას უზრუნველყოფს:

- არჩევითი თანამდებობის პირები; კონტროლი მთავრობის გადაწყვეტილებებზე კონსტიტუციურად მიკუთვნებული აქვს ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს;
- თავისუფალი და პატიოსანი არჩევნები, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობასა და იძულებას;
- საყოველთაო კენჭისყრა, ანუ ყველა მოქალაქის უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და ასევე უფლება წამოაყენოს თავისი კანდიდატურა არჩევით თანამდებობაზე;
- მთავრობა დამოკიდებულია ამომრჩევლებსა და არჩევნების შედეგებზე;
- სიტყვის თავისუფლება, რაც უზრუნველყოფს აზრის თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობას — მათ შორის მთავრობის, არსებული რეჟიმის, საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგიის თაობაზე;
- ალტერნატიული და კონკურენტული საინფორმაციო წყაროების არსებობა, რომლებიც მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარება;

თავისუფლადაა შესაძლებელი ავტონომიური და სხვადასხვა ორგანიზაციების შექმნა, მათ შორის ოპოზიციური პარტიებისა და ინტერესთა ჯგუფების ჩათვლით.

გაღაწყვეტილებების მიღება პოლიარქიის დროს. რ.დალი აყალიბებს წესს, რომლის თანახმადაც **პოლიარქიის დროს პოლიტიკური**

კურსის ყველა შესაძლო ვარიანტიდან არჩევენ იმას, რომელსაც უპირატესობას ამჩნევენ საზოგადოების წევრების უმრავლესობა. ამ წესზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღების პოლიარქიული პროცედურის რეგლამენტირება ხდება შემდეგი პირობებით:

— მოცემული ორგანიზაციის თითოეული წევრი მოქმედებს ისე, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც მის მიერ უპირატესობის მინიჭება არსებული ალტერნატივებიდან რომელიმესათვის, ე.ი. ხმას აძლევს;

— ნების გამოხატვის შედეგების შეჯამებისას (ხმების დათვლისას) თითოეულის მიერ გაკეთებულ არჩევანს ერთნაირი წონა აქვს;

— გამარჯვებულად ცხადდება ვარიანტი, რომელიც ხმების ყველაზე მეტ რაოდენობას მიიღებს;

— კენჭისყრის თითოეული მონაწილე, რომელსაც არჩევანის გაკეთებისას რამდენიმე ვარიანტს სთავაზობენ, იმას ანიჭებს უპირატესობას, რომელსაც თავისთვის სასურველად მიიჩნევს;

— კენჭისყრის თითოეულ მონაწილეს აქვს ერთნაირი ინფორმაცია არსებული ვარიანტების თაობაზე;

— ვარიანტები (ლიდერები ან პოლიტიკური კურსები), რომელთაც ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს, ცვლიან ნებისმიერ სხვა ვარიანტებს (ლიდერებს ან პოლიტიკურ კურსებს), რომელთაც ხმების ნაკლები რაოდენობა მიიღეს;

— სრულდება არჩეული ოფიციალური პირების განკარგულებები;

რა ხდება არჩევნებს შორის პერიოდებში? აქ შესაძლებელია სამი ვარიანტი:

— ან არჩევნებს შორის მიღებული ყველა გადაწყვეტილება გამომდინარეობს არჩევნების სტადიაზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან (ანუ არჩევნებს ენიჭება გარკვეული მაკონტროლებელი ფუნქცია);

— ან არჩევნებს შორის მიღებული ახალი გადაწყვეტილებები განისაზღვრება წინამორბედი შვიდი პირობით, რომლებიც იმოქმედებს მნიშვნელოვანწილად განსხვავებულ ინსტიტუციურ გარემოში;

— ან დაცული იქნება ორივე პირობა.

ზემოთ დასახელებული პირობები განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას არჩევნების წინ, არჩევნების პროცესში და არჩევნებს შორის პერიოდში.

§ 4. არჩევნები დემოკრატიის სხვა თეორიებში

ე.დაუნსის დემოკრატიის ეკონომიკური მოდელი. დაუნსის მიერ ჩამოყალიბებულ დემოკრატიის მოდელში ყურადღება მახვილდება მთავრობის (ან არჩევნებში გამარჯვებული პარტიის) საქმიანობაზე და ნაჩვენებია ელექტორატის ქცევასა და საზოგადოებრივ აზრთან მისი კავშირი.

დემოკრატიის ეკონომიკური მოდელი ემყარება პოლიტიკური ქცევის რაციონალურობის იდეას: თითოეული მოქმედი პირი (ამომრჩეველი, პარტიული ფუნქციონერი, მთავრობის წევრი და მთლიანად ორგანიზაციაც კი) ესწრაფვის თავისი მოღვაწეობის მაქსიმიზაციას ეკონომიკური აზრით, ე.ი. ნაკლები ძალისხმევით მიიღოს მეტი შედეგი. ასეთი მიდგომის დროს პოლიტიკა განიხილება ბაზრის სახით, სადაც მიმდინარეობს კონკურენტული ბრძოლა და ერთმანეთს შორის გაცვლა მომგებიანი შედეგის მისაღებად. დემოკრატიის ეკონომიკური თეორიის თანახმად:

- „ყოველი მთავრობა ცდილობს პოლიტიკური მხარდაჭერის მაქსიმიზებას",
- „ყოველი მოქალაქე ცდილობს თავისი მოქმედების შედეგის სარგებლიანობის მაქსიმიზაციას".

ეს ორი დებულება განსაზღვრავს დემოკრატიული სისტემის თავისებურებების გაგებას, რომელშიც მმართველებიც და მართულებიც მოქმედების დროს ხელმძღვანელობენ არა იდეებით, არამედ თავისი რეალური ინტერესებით. ნებისმიერი მთავრობის (პოლიტიკური ძალის) მცდელობა მოახდინოს მხარდაჭერის მაქსიმიზება, პრაგმატულ მიზანს ისახავს: შეინარჩუნოს თავისი ბატონობა ან მოიპოვოს გაბატონებული პოზიციები. იდეოლოგიები, სოციალური კეთილდღეობა, მოსახლეობის მჯობინებანი არ წარმოადგენს ქცევის უშუალო და ძირითად მოტივებს. ეს ფაქტორები არაპირდაპირაა ჩართული ქცევის პროცესში. თუკი პარტიები და მთავრობები იდეოლოგიას ან პროგრამას მიიჩნევენ ელექტორატულ წარმატებაზე უფრო მნიშვნელოვნად, ისინი მოქმედებენ უფრო ირაციონალურად, ვიდრე რაციონალურად.

ასევე იქცევა ამომრჩეველი არჩევნების დროს. ის მოელის, რომ მის მიერ არჩეული პოლიტიკოსები მის ინტერესებს უფრო უკეთესად დააკმაყოფილებენ, ვიდრე სხვები, ე.ი. მთავრობა ეფექტიანი იქნება. დაუნსის აზრით, სარგებლის მიღების სურვილი, რითაც ხელმძღვა-

ნელობს მოქალაქე, არ არის ეგოისტური ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ე.ი. მოქალაქეს შეუძლია ალტრუისტულად მოქმედება.

რაციონალური არჩევანი ხორციელდება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც მოქმედ პირს აქვს სხვა ადამიანების სტრატეგიებისა და მჯობინებათა თაობაზე. ამასთან დაკავშირებით დაუნსი ლაპარაკობს პოლიტიკური ქცევის ორი შესაძლო მოდელის შესახებ: პირველი ემყარება გარკვეულ და სრულ ინფორმაციას, მეორე არაზუსტ, არასრულ ინფორმაციას. მთავრობა თავისი მოქმედების დროს ხელმძღვანელობს ინფორმაციით ოპოზიციის სტრატეგიის, ამომრჩეველთა მოსალოდნელი ქცევის, მხარდამჭერთა ხმების რაოდენობის თაობაზე. ამომრჩეველი ორიენტირებულია ინფორმაციაზე შესაძლო ინდივიდუალური სარგებლისა და სხვა ამომრჩევლების სტრატეგიის შესახებ. ქცევის მოდელი იცვლება ინფორმაციის სიცხადისა და სისრულის შესაბამისად.

მაშასადამე, მართვის დემოკრატიული პროცესი გულისხმობს:

- პერიოდულ არჩევნებს;
- მეტოქეობას ორ და მეტ პარტიას (ელექტორატულ კოალიციებს) შორის;
- პარტიების ბრძოლას ამომრჩეველთა ხმებისათვის;
- არჩევნებში გამარჯვებული პარტია მართავს მთავრობას მომდევნო არჩევნებამდე;
- ხელშეუხებელია ოპოზიციის მიერ საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვისა და კამპანიების ორგანიზების უფლება და დაუშვებელია არჩევნების პერიოდულობის შეცვლა.

„ადამიანის უფლებების“ დემოკრატიული მოდელი. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული, ე.წ. დემოკრატიის ელექტორატულ მოდელებს სულ უფრო მეტად აკრიტიკებენ ელექტორატული რედუქციონიზმის, დემოკრატიის ინსტიტუციონალურ პირობებზე აქცენტის გაკეთების, ადამიანის უფლებებისადმი მინიმალური მოთხოვნების გამო. თანდათანობით ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებების იდეაზე დაფუძნებული დემოკრატიის მოდელი. ეს კონცეფცია ყველაზე სრულად გადმოცემულია ლ.დაიამონდის ნაშრომებში „პოლიტიკური კულტურა და დემოკრატია განვითარებად ქვეყნებში“ (1993) და „ეკონომიკური განვითარება და დემოკრატიული თეორიის გადასინჯვა“ (1992).

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ლიბერალური დემოკრატიის მოდელი ამდიდრებს დემოკრატიულ აზრს და პრაქტიკას:

— რეგულარულ, თავისუფალ და პატიოსან ელექტორატულ კონკურენციასა და საყოველთაო საარჩევნო უფლების დამატებით, მოცემული მოდელი მოითხოვს, რომ სამხედროებსა და სხვა სოციალურ-პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან პასუხისმგებელნი ელექტორატის წინაშე, არ უნდა ჰქონდეთ უფლება შეცვალონ პოლიტიკური რეჟიმი და კონსტიტუციური ხელისუფლება;

— მართულთა მიმართ მმართველთა „ვერტიკალური" პასუხისმგებლობის გარდა, უნდა იყოს „ჰორიზონტალური" პასუხისმგებლობაც თავად მმართველთა შორის;

— პოლიტიკური და სამოქალაქო პლურალიზმის, ინდივიდუალური და ჯგუფური თავისუფლებების უზრუნველყოფა.

დემოკრატიის აღნიშნული მოდელი, ადამიანთა უფლებების უზრუნველყოფის სხვა მაღალ სტანდარტებთან ერთად ხაზს უსვამს, რომ არჩევნების შედეგები წინასწარ განსაზღვრული არ არის, გაძლიერებულმა ოპოზიციამ შეიძლება გარკვეული დროის შემდეგ ჩამოაყალიბოს მთავრობა, ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც იცავს კონსტიტუციურ პრინციპებს, უფლება აქვს შექმნას პარტია და ჩაებას საარჩევნო კონკურენციაში (იმ შემთხვევაშიც კი თუ პატარა პარტიები არ დაიშვება პარლამენტში).

ინტეგრალურ-კორპორაციული დემოკრატიის მოდელი. მოკლედ შევჩერდებით დემოკრატიის კიდევ ერთ თეორიაზე, რომელიც რუსმა მოაზროვნეებმა შეიმუშავეს და მისი ავტორების აზრით, ყველაზე მეტად შეესაბამება რუსეთის ბუნებას, მის განსაკუთრებულ ისტორიულ გზას. ესაა ინტეგრალურ-კორპორაციული დემოკრატიის მოდელი. მას საფუძველი ჩაუყარეს გ.ფედოტოვმა და ი.ილინმა, დაახლოებით იგივე თვალსაზრისზე სიცოცხლის ბოლოს მივიდა ლ.გუმილიოვი, სახელმწიფოებრივი მოწყობის აღნიშნულ მოდელს ემხრობა ა.სოლჟენიცინი.

პრინციპში, ინტეგრალურ-კორპორაციული დემოკრატიის თეორიაში ახალი ბევრი არაფერია. ამ მოდელის მიხედვით, თანამედროვე არჩევნები იცვლება ხალხის ხელისუფლების მრავალსაფეხურიანი სისტემით. ხელისუფლების ფორმირება ქვევიდან იწყება: სათემო კრებები დეპუტატებს აგზავნიან სამაზრო კრებებში, სამაზრო კრებები საგუბერნიოში და ა.შ. სანამ არ ჩამოყალიბდება სრულიად რუსეთის სახალხო კრება. ყველა დონის კრებებში ჩართულნი არიან სოციალური კორპორაციების წარმომადგენლები — მუშები და მეწარმეები, მასწავლებლები, ექიმები, სხვადასხვა კონფესიების წარმომად-

გენლები და ა.შ. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ერთმანეთს აწონასწორებს, „ავტორიტარულობა“ ემყარება მხოლოდ საუკეთესოთა, მორალურად წესიერი ადამიანების ავტორიტეტს.

ინტეგრალურ-კორპორაციული დემოკრატიის მოდელი, მისი მომხრეების აზრით, უზრუნველყოფს მრავალეროვანი რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და რუსეთს დაიცავს „მტრული დასავლეთისაგან“.

კითხვები და დავალებები:

- რა ცვლილებები განიცადა დემოკრატიამ XX საუკუნის მეორე ნახევარში?
- რა განსხვავებაა დემოკრატიის ლიბერალურ, კოლექტივისტურ და პლურალისტურ კონცეფციებს შორის?
- რა არის დემოკრატიის პლურალისტური თეორიების არსი?
- რითი განსხვავდება პლურალისტური დემოკრატია ლიბერალური დემოკრატიისაგან?
- როგორია დემოკრატიის პლურალისტური თეორიების დამახასიათებელი ნიშნები?
- დაახასიათეთ დემოკრატიის პლურალისტური თეორიის სუსტი მხარეები
- რა არის დემოკრატიის ვესტმინსტერული და კონსენსუსური მოდელების არსი?
- რამ განაპირობა პარტიციპატორული დემოკრატიის თეორიის წარმოშობა?
- რა მნიშვნელობას ანიჭებს არჩევნების ინსტიტუტს პარტიციპაციული დემოკრატიის თეორია?
- რაზე ამახვილებენ ყურადღებას მონაწილეობის დემოკრატიის თეორიის კრიტიკოსები?
- განსაზღვრეთ თავისუფალი არჩევნების მნიშვნელობა პოლიარქიის თეორიაში
- მოკლედ დაახასიათეთ რ.დალის პოლიარქიის თეორია. რა ინსტიტუტებია დამახასიათებელი პოლიარქიისათვის?
- რას ემყარება ე.დაუნსის დემოკრატიის ეკონომიკური მოდელი?
- როგორია საარჩევნო პროცესის გააზრება დემოკრატიის ეკონომიკური თეორიის ფარგლებში?
- რა როლი განეკუთვნება არჩევნებს „ადამიანის უფლებების“ დემოკრატიულ მოდელში?

რა წაიკითხოთ:

• **Downs A. An Economic Theory of Democracy. N.Y., 1957.**

XX ს. 50-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნებული ე.დაუნსის წიგნი დღესაც ერთ-ერთი პოპულარულია პოლიტიკურ მეცნიერებაში. ე.დაუნსმა პირველმა გამოიყენა რაციონალური არჩევანის თეორია დემოკრატიის კონცეპტუალიზაციის დროს. ამ თეორიის ძირითადი დებულების თანახმად, პოლიტიკური მონაწილეობის მთავარი სუბიექტია თავისუფალი ინდივიდი, რომელიც ცდილობს თავისი ინტერესების მაქსიმალურ რეალიზებას და ეფექტურად მოქმედებს თავისი მიზნების მისაღწევად. ამასთან ინდივიდის ინტერესის ქვეშ იგულისხმება პირადი კეთილდღეობის მიღწევის მისწრაფება. ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ აქტიურად გამოიყენება დაუნსის თეორიული მოდელის შემადგენელი ცნებები: ელექტორატის ქცევა, გაცვლა პოლიტიკაში, ინფორმაცია მოქმედების სარგებლიანობის შესახებ, საზოგადოებრივი აზრის განაწილება სისტემაში, პოლიტიკური მოქმედების შედეგის მაქსიმიზაცია და ა.შ.

• **Dahl R. On Democracy. Yale University, 1998.**

• **Даль Р. О демократии. М., 2000.**

ცნობილი პოლიტოლოგის, პოლიარქიის თეორიის ავტორის ახალ წიგნში მოკლედ და მარტივადაა განხილული დემოკრატიის ფუნდამენტური საკითხები. შეიძლება ითქვას, რომ ესაა წარმომადგენლობითი დემოკრატიის თეორიის სისტემატიური, სამეცნიერო-პოპულარული გადმოცემა. რ.დალი თანმიმდევრულად ახასიათებს იდეალურ და რეალურ დემოკრატიას, დემოკრატიისთვის ხელშემწყობ და არახელსაყრელ ფაქტორებს. წიგნში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი არჩევნებისა და საარჩევნო სისტემების საკითხებს. საინტერესოა პარტიებისა და საარჩევნო სისტემების ურთიერთმიმართების, საარჩევნო სისტემებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურთა ხუთი შესაძლო კომბინაციის დახასიათება.

• **Лейпхарт А. Демократия в многосоставных обществах. Сравнительные исследования. М., 1997.**

დემოკრატიის თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ა.ლეიპჰარტს, რომელმაც ჩამოაყალიბა კონსოციალური დემოკრატიის თეორია. იგი დემოკრატიის არსს ხედავს პროცედურულ ღონისძიებებში და აქედან გამომდინარე, შეიმუშავა „ხელისუფლების დაყოფის“ ორიგინალური მოდელი. მისი მიზანია უმცირესობის ინტერესთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო მართვის ბერკეტებთან მიახლოების საშუალება.

თავი V

დემოკრატია და არჩევნები XXI საუკუნის დამდეგს

ჩვენს დროში დემოკრატიის საკითხები კვლავ აქტიური განხილვის საგანს წარმოადგენს. XXI საუკუნის დამდეგის რეალობანი ახალ გამოწვევებსა და პერსპექტივებს უქმნის დემოკრატიის თეორიასა და პრაქტიკას.

§ 1. დემოკრატია როგორც ცივილიზაციური ფენომენი

დემოკრატია – ევროპული ცივილიზაციის ნაყოფი. დემოკრატია ევროპული ცივილიზაციის ნაყოფს წარმოადგენს, რომელსაც ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ეყრება საფუძველი. ევროპა ლიბერალიზმის სამშობლოა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა თანამედროვე დემოკრატიის ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა პიროვნების აღიარება ხელისუფლების პირველწყაროდ; ადამიანის უფლებების პრიორიტეტულობა სახელმწიფოს უფლებებზე; კერძო საკუთრების აღიარება პიროვნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძვლად; ხელისუფლებათა დანაწილება და ტოლერანტულობის პრინციპის დასაბუთება; სახელმწიფოს საქმიანობის სფეროს შეზღუდვა და სამოქალაქო საზოგადოების საქმეებში მისი ჩაურევლობა და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანტიკურ ხანაში პოლიტიკური მოწყობის დემოკრატიული ფორმები უთავსდებოდა ოლიგარქიულ, ტირანულ და დესპოტურ რეჟიმებს. დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება მოხდა მხოლოდ დასავლური ცივილიზაციის განვითარების შედარებით გვიანდელი ფაზის დროს — ე.წ. მოდერნის

ეპოქაში. ესე იგი დემოკრატია, გაგებული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების, თავისუფალი არჩევნების, იდეურ-პოლიტიკური პლურალიზმის და მოქალაქეთა ნებით ხელისუფლების სუბიექტების ცვლის ერთობლიობის სახით, სტადიურ ფენომენს წარმოადგენს თავად დასავლური ცივილიზაციის ფარგლებში.

ევროპაში წარმოშობის შემდეგ დემოკრატია თანდათანობით გავრცელდა მთელ მსოფლიოში. თუმცა, რიგი მკვლევრების აზრით, შეუძლებელია დასავლური დემოკრატიული მოდელის ეფექტური „ექსპორტი" მსოფლიოს სხვა რეგიონებში. მთელ მსოფლიოში დასავლური სახელმწიფოებრიობის გარეგნული ფორმის (დემოკრატიული ინსტიტუტები, სასამართლო სისტემა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის აღიარება და ა.შ.) გავრცელება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოების შექმნას. ამისათვის აუცილებელია დემოკრატიის გარეგნული ფორმების „შევსება" სამეურნეო ინდივიდუალიზმითა და იმ ფასეულობების აღიარებით, რაც ახასიათებს დასავლურ, თავისი არსით ქრისტიანულ სამყაროს.

დემოკრატია და კულტურულ-ცივილიზაციური ფაქტორი

არადასავლურ საზოგადოებებში კულტურულ-ცივილიზაციური ფაქტორი მძლავრ წინაღობას წარმოადგენს დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში. მიუხედავად დემოკრატიის მიერ მოპოვებული წარმატებებისა, კაცობრიობის უმრავლესობა ავტორიტარული რეჟიმების პირობებში ცხოვრობს, რომელთაც საზოგადოების დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება არა აქვთ. ამ რეგიონებში დომინირებული კულტურები ხელს არ უწყობს დემოკრატიის ჩამოყალიბებას.

კლასიკური ჩინური კონფუციანობა ხაზს უსვამს ჯგუფის პრიორიტეტს ინდივიდზე, ხელისუფლებისას — თავისუფლებაზე, მოვალეობისას — უფლებებზე. უპირატესობა ენიჭება ჰარმონიასა და თანამშრომლობას და არა უთანხმოებასა და კონკურენციას. უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს წესრიგის დაცვა და არსებული იერარქიის პატივისცემა.

მეორე კულტურული არეალი, სადაც ძნელად მკვიდრდება დემოკრატია, მუსულმანური ქვეყნებია. მუსულმანური კულტურული ტრადიცია ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის სხვადასხვა სახის მმართველობის ავტორიტარული რეჟიმების არსებობისათვის. დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვა ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაში ჯერ კიდევ ევროპელმა კოლონიზატორებმა სცადეს, შემდეგ ამას ადგილობრივი ნაციონალისტებიც შეეცადნენ, მაგრამ უშედეგოდ.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ზოგიერთი არაბული ქვეყნის ხელისუფლება, ერთი მხრივ საკუთარი ეკონომიკური სიძნელეების და, მეორე მხრივ, მსოფლიოს სხვა რეგიონებში მიმდინარე დემოკრატიზაციის ეფექტის ზეგავლენით, შეეცადა ლეგიტიმურობა არჩევნების გზით განემტკიცებინა, მაგრამ ამგვარი ლიბერალიზაციით ყველაზე მეტად ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმომადგენლებმა მოიგეს, რომლებიც სრულიადაც არ არიან დემოკრატიული ფასეულობების მატარებელნი.

მუსულმანი ფუნდამენტალისტებისათვის ისლამური სახელმწიფო იდეოლოგიური სახელმწიფოა, რომელიც თავის ხელისუფლებას ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროზე ავრცელებს. ისლამურ სახელმწიფოში სუვერენიტეტი ღმერთს ეკუთვნის, რაც პრაქტიკულად შარიათის საფუძველზე მმართველობას ნიშნავს.

. ფუნდამენტალისტები აღნიშნავენ, რომ მხარს უჭერენ თავისუფალ არჩევნებს არა დემოკრატიისა და ინდივიდუალური თავისუფლებების ჩამოყალიბებისათვის, არამედ ისლამის დამკვიდრების სახელით. როცა ფუნდამენტალიზმის თეორეტიკოსები ეხებიან დემოკრატიის პრობლემას, ისინი ლაპარაკობენ არა დემოკრატიის ისლამთან თავსებადება-შეუთავსებლობაზე, არამედ იმაზე, რომ დემოკრატია მმართველობის უფრო დაბალი ფორმაა ისლამურ მმართველობასთან შედარებით, რომელიც ღმერთის მიერ მოცემულ კანონს — შარიათს ემყარება. აქედან გამომდინარე, ისლამური ფუნდამენტალიზმის თეორეტიკოსები უარყოფენ დასავლურ დემოკრატიას, რადგანაც მისთვის ამოსავალია ხალხის სუვერენიტეტის პრინციპი.

დემოკრატიის პერსპექტივები არადასავლურ ცივილიზაციებში. რა შეიძლება ითქვას არადასავლური ცივილიზაციის არეალებში დემოკრატიის პერსპექტივებთან დაკავშირებით? კულტურა მართლაც მნიშვნელოვანია იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც პოლიტიკურ სისტემას განსაზღვრავს, მაგრამ არ შეიძლება ამ ფაქტორის აბსოლუტიზაცია. არ შეიძლება საბოლოო დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რომელი კულტურა შეძლებს დემოკრატიული ფასეულობების აღქმას და რომელია დემოკრატიასთან „არათავსებადი".

წარსულში ბევრი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ კათოლიციზმი ხელს უშლის დემოკრატიის განვითარებას. მაგრამ კათოლიკურ ქვეყნებში დემოკრატიზაციის წარმატებების შემდეგ ეს დებულება უკვე კურიოზულად გამოიყურება. თავის დროზე ვებერი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ კონფუციური კულტურის ქვეყნებში

შეუძლებელია კაპიტალიზმის წარმატებით განვითარება. მაგრამ ისტორიულმა პრაქტიკამ საწინააღმდეგო აჩვენა.

დიდი ისტორიული კულტურული ტრადიციები — კონფუციანობა, ისლამი იდეების, დოქტრინების, შეხედულებების, ქცევის ტიპების ძალზედ რთულ კომპლექსს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერ კულტურაში არის დემოკრატიასთან თავსებადი ელემენტები. გასარკვევი მხოლოდ ისაა, ისლამური და კონფუციანური კულტურების რა ელემენტებია ხელსაყრელი დემოკრატიის განვითარებისათვის და რა პირობებში შეუძლიათ მათ გამოდევნონ არადემოკრატიული ელემენტები ამ კულტურებიდან.

გარდა ამისა, ნებისმიერი კულტურა დინამიური სისტემაა. დომინირებული ფასეულობები მუდმივად იცვლება. გარკვეული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან ერთად, საზოგადოებაში გაბატონებული კულტურა შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს იმისაგან, რაც ერთი ან ორი თაობის წინ იყო. კულტურის ევოლუციაზე მძლავრ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკა. ამის მაგალითია იაპონია, სადაც ჩამოყალიბდა განსაკუთრებული აზიური დემოკრატიის თანამედროვე ტიპი.

—

არადასავლური ცივილიზაციების დემოკრატიასთან დამოკიდებულების მოდელები. დემოკრატია როგორც ცივილიზაციური ფენომენი ევროპული ცივილიზაციის ნაყოფს წარმოადგენს, მაგრამ XX საუკუნის ბოლოს მან შეიძინა ზოგადსაკაცობრიო ღირებულების სტატუსი. არადასავლური ცივილიზაციების მიმართება დემოკრატიასთან სხვადასხვა მოდელების საფუძველზე ხდება. რიგი მკვლევრები გამოყოფენ არაევროპული ქვეყნების განვითარების სამ მოდელს: იაპონურს, ინდურს და აფრიკულს.

იაპონური მოდელისათვის დამახასიათებელია ტრადიციული სტრუქტურების ჰარმონიული სინთეზი დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებთან: დემოკრატიული სისტემის იაპონური მოდელი არის დასავლური დემოკრატიის ადაპტაცია კონფუციანურ პოლიტიკურ ფასეულობებსა და ნორმებთან. დემოკრატიული ინსტიტუტები იაპონიაში ავითარებს არა კონკურენციისა და მუდმივი ცვლილებების დასავლურ პრინციპებს, არამედ კონფუციანურ ფასეულობებს — კონსენსუსს, სტაბილურობას, ჯგუფური ფასეულობების პრიორიტეტს ინდივიდუალურ თავისუფლებაზე. ევროპული ცივილიზაციისა და დემოკრატიის მიღწევების გამოყენებასთან ერთად იაპონიას არ დაუკარგავს თავისი სახე, რჩება აღმოსავლეთის ქვეყნად.

დემოკრატიის იაპონური ტიპი ეფექტიანად უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და თანდათან ვრცელდება აზიის

ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებზე — პირველ რიგში სამხრეთ კორეასა და ტაივანზე.

ინდური მოდელი წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, მოსახლეობის მცირე ნაწილი, უპირატესად ქალაქების მცხოვრებნი, ევროპული ცივილიზაციის მიმართულებით ტრანსფორმირდება და შეთვისებული აქვს მისი მრავალი დემოკრატიული სტრუქტურა: მრავალპარტიულობა, დემოკრატიული პროცედურები და ა.შ. მეორე მხრივ, მოსახლეობის უმრავლესობას, განსაკუთრებით სოფლად, არ შეხებიათ ამგვარი ცვლილებები. ქვეყნის ეს ორი ნაწილი თავისი განკერძოებული კანონებით ცხოვრობს, მაგრამ, ამავე დროს, ერთიან ორგანიზმს შეადგენს, რომელიც სიმბიოზის პირობებში ფუნქციონირებს და ამავე დროს აშკარად გამოსჭვივის საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცების ტენდენცია. ინდურ მოდელს მიეკუთვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მრავალი ქვეყანა და აგრეთვე რიგი ისლამური ქვეყნები (თურქეთი, პაკისტანი, ეგვიპტე და ა.შ.).

აფრიკული მოდელი რეგიონის ჩამორჩენილობის გამო, ცუდად აღიქვამს დასავლეთის დემოკრატიულ სტანდარტებს. ამ ქვეყნებისათვის ყველაზე მწვავედ დგას გადარჩენის პრობლემა.

§ 2. დემოკრატიზაციის მესამე ტალღის პრობლემები და პერსპექტივები

დემოკრატიზაციის მესამე ტალღა. „დემოკრატიზაციის მესამე ტალღის“ კონცეფცია ჩამოყალიბდა ა.ტოფლერის ცნობილი წიგნის „მესამე ტალღის“ ზეგავლენით. დემოკრატიზაციის მესამე ტალღის მკვლევრებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სემუელ ჰანთინგტონი. მისმა სტატიამ „დემოკრატიული მესამე ტალღა“ (1991) და წიგნმა „მესამე ტალღა: დემოკრატიზაცია XX საუკუნის ბოლოს“ (1991) მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რადგანაც დემოკრატიზაციის პრობლემა ფართო ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში განიხილებოდა.

მსოფლიოში დემოკრატიის ჩამოყალიბება და განვითარება უთანაბროდ მიმდინარეობს ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. მთლიანობაში გამოიყოფა დემოკრატიზაციის სამი ტალღა. თითოეულ მათგანს ახასიათებს თავისი ისტორიული პირობები, მიმდინარეობის თავისებურება. მკვლევართა შორის აზრთა ერთიანობა არ არის

დემოკრატიზაციის ტალღების ქრონოლოგიურ ჩარჩოებთან დაკავშირებით. მაგალითად, ს.ჰანთინგტონი დემოკრატიზაციის პირველი ტალღის ქრონოლოგიურ საზღვრებად 1820—1926 წლებს ასახელებს და მის შედეგად დამყარებულ 29 დემოკრატიას ჩამოთვლის. ამ დემოკრატიებს ახასიათებდათ პარლამენტარიზმი, პარტიული სისტემა და ფართო საარჩევნო უფლებები. რ.დიკსის აზრით, პირველი ტალღის ქრონოლოგიური საზღვრები 1848—1931 წლებია. იგი გამოყოფს 21 დემოკრატიას, რომელთა შორის 7 წარუმატებელი აღმოჩნდა.

რევერსიული (უკუქცევის) ტალღა, ჰანთინგტონის მიხედვით, 1926—1942 წლებს მოიცავს და უკავშირდება ფაშიზმის წარმოშობას, ახალი ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმების დამყარებას.

დემოკრატიზაციის მეორე ტალღა, ჰანთინგტონის თანახმად, 1942—1962 წლებზე ვრცელდება და დემოკრატიული სამყარო 36 ქვეყნით შეივსო, მაგრამ შემდეგ კვლავ იწყება რევერსიული მოძრაობა და 6 ქვეყანაში დამყარდა სამხედრო და „ახალი ავტორიტარიზმის" რეჟიმები (მაგალითად, საბერძნეთი და ჩილი).

დემოკრატიზაციის მესამე ტალღა 70-იანი წლების შუა ხანებიდან იწყება და დღემდე გრძელდება. მესამე ტალღას სათავე დაუდო ავტორიტარული რეჟიმების დამხობამ საბერძნეთში (1974), პორტუგალიაში (1975) და ესპანეთში (1977), შემდეგ მოიცვა ლათინური ამერიკის (დომინიკანის რესპუბლიკა — 1975, ჰონდურასი — 1982, პერუ — 1988) და აზიის ზოგიერთი ქვეყანა (თურქეთი — 1983, ფილიპინები — 1986, სამხრეთ კორეა — 1988), 1989 წლიდან დემოკრატიზაციის პროცესები ფართოდ გაიშალა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მთლიანობაში, დემოკრატიაზე გადავიდა დაახლოებით 40 ქვეყანა.

„დემოკრატიზაციის მესამე ტალღის" კონცეფციის თანახმად, დემოკრატიაზე გადასვლა გლობალურ პროცესს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიული პროცესების ფორმაზე, ინტენსიურობასა და ხასიათზე ზეგავლენას ახდენს არა მარტო ეროვნული, ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორები, არამედ საერთაშორისო ფაქტორიც. დემოკრატიზაციის პროცესის გლობალიზაცია იმით გამოიხატება, რომ ყველა ქვეყანა (იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იქ შენარჩუნებულია არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი) განიცდის საერთო დემოკრატიული მოძრაობის ზეგავლენას. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიზაციის მესამე ტალღა მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსაც და მას დემოკრატიული შინაარსით ავსებს.

დემოკრატიზაციის მოცემული კონცეფცია დემოკრატიას განიხილავს თავისთავადი ღირებულების სახით, რომლის დამყარებაც არ უკავშირდება პრაგმატულ, ინსტრუმენტულ მიზნებს. პრაქტიკაში დემოკრატიული ინსტიტუტებს ხშირად უკავშირებენ ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტას, მაგრამ მკაფიოდ იკვეთება ტენდენცია, დემოკრატია განიხილონ არა როგორც მოცემულ პირობებში უმჯობესი პოლიტიკური მოწყობის ფორმა, არამედ როგორც თავისთავადი მოთხოვნილება. შემთხვევითი არა არის, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც კი შედარებით მდგრადია დემოკრატიული ორიენტაცია.

დემოკრატიზაციის მესამე ტალღის კონცეფცია ემყარება დემოკრატიული წესრიგის შესაძლო ფორმების პლურალიზმის იდეას. ეს, ერთი მხრივ, გულისხმობს ევროპული ლიბერალიზმის დაცვასა და განახლებას, მეორე მხრივ კი ტოლერანტულობის გამოჩენას დემოკრატიული მოწყობის სხვა ფორმებისადმი.

დემოკრატიზაციის პრობლემები და პერსპექტივები. XX ს. 80-იანი წლების ბოლოდან დაწყებულმა დემოკრატიზაციის პროცესების მძლავრმა განვითარებამ, სხვა საკითხებთან ერთად, ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის კითხვაც წამოჭრა, რაზედაც დღემდე არ არის საბოლოო პასუხი გაცემული: თანამედროვე დემოკრატიზაციის ტალღა გლობალური დემოკრატიული რევოლუციის გამოვლინებაა, რომელიც მუდმივად და განუწყვეტლივ გაფართოვდება და საბოლოო ჯამში მსოფლიოს ყველა ქვეყანას მოიცავს, თუ იგი დროსა და სივრცეში შეზღუდულ ხასიათს ატარებს და ძირითადად იმ ქვეყნებს ეხება, რომელთაც წარსულში დემოკრატიული განვითარების გამოცდილება ჰქონდათ? ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორია დემოკრატიის პერსპექტივები მსოფლიოში და ხომ არაა მოსალოდნელი ავტორიტარიზმის უკუტალღა, როგორც ეს წარსულში ხდებოდა?

დემოკრატიული ინსტიტუტების სწრაფ გავრცელებას მსოფლიოში ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, დემოკრატიული ქვეყნების შთამბეჭდავმა წარმატებებმა და მეორე მხრივ, იმ გარემოებამ, რომ აღარ არსებობდა სიცოცხლისუნარიანი ავტორიტარული ალტერნატივა. არსებულმა ავტორიტარულმა რეჟიმებმა (სამხედრო ხუნტა, მარქსისტულ-ლენინური რეჟიმები, ერთპიროვნული დიქტატურები) საყოველთაოდ გამოავლინა თავიანთი უსუსურობა და ხალხის თვალში მიმზიდველობა დაკარგა.

დემოკრატიული პრინციპებისა და ფასეულობების სიტყვიერი აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ პრაქტიკულ დამკვიდრებას. დემოკრატიის დამკვიდრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს: შეძლებენ თუ არა ახალი დემოკრატიები წინამორბედ ავტორიტარულ რეჟიმებთან შედარებით უფრო ეფექტიანად მართონ საზოგადოება, განსაკუთრებით ეკონომიკური ჩამორჩენილობის პირობებში.

ავტორიტარიზმის უკუტალღის შესაძლებლობა. დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება ავტომატურად არ უზრუნველყოფს ეკონომიკურ პროგრესს. როგორც აღინიშნება, „არ არსებობს სავალდებულო პოზიტიური კორელაცია დემოკრატიასა და განვითარებას შორის". მდგრადი დემოკრატია ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგია. დემოკრატიის ნაადრევმა შემოღებამ შეიძლება გააძნელოს განვითარება.

ს.ჰანთინგტონი ასახელებს იმ ფაქტორებს, რომელთაც შეიძლება ხელი შეუწყონ და განაპირობონ ავტორიტარიზმის უკუტალღა:

- დემოკრატიული მმართველობის სიძნელეები ახალ დემოკრატებში;
- მსოფლიო, რეგიონული ან ნაციონალური ეკონომიკური კრიზისი;
- ავტორიტარიტარულ მმართველობას დაუბრუნდება რომელიმე დიდი სახელმწიფო, რასაც „ზვავის ეფექტი" ექნება მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნებისათვის (ჰანთინგტონს მხედველობაში ჰქონდა რუსეთი);
- თუ ჩინეთი შეინარჩუნებს ავტორიტარულ პოლიტიკურ მმართველობას, ამასთან მოიპოვებს ეკონომიკურ წარმატებებს და გააძლიერებს გავლენას აზიაში, შედეგად დემოკრატიული რეჟიმები ამ არეალში მნიშვნელოვნად დასუსტება;
- დემოკრატიის გზაზე დამდგარი ქვეყნების ძირითადი ელიტების იმედის გაცრუება დემოკრატიულ ფასეულობებში;
- სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის ზრდა რეფორმების განხორციელების დროს;
- კანონიერებისა და წესრიგის დარღვევა ტერორიზმის, აჯანყებების, ოპოზიციის მოქმედების შედეგად;
- საგარეო საფრთხე.

ს.ჰანთინგტონი ასახელებს მომავალი ავტორიტარიზმის შესაძლო ფორმებსაც:

— ავტორიტარული ნაციონალიზმი;

— რელიგიური ფუნდამენტალიზმი (ისლამური, ინდუისტური, ქრისტიანული);

— პოპულისტური დიქტატურა;

— კომუნისტური დიქტატურა;

— ოლიგარქიული ავტორიტარიზმი (შეიძლება აღმოცენდეს მდიდარ ქვეყნებში, დემოკრატიის გამათანაბრებელი ტენდენციის საპასუხოდ);

— ახალი ტექნოკრატიულ-ელექტრონული დიქტატურა, რომლის დროსაც ავტორიტარული მმართველობა დაემყარება მასმედიის საშუალებებით კონტროლისა და მანიპულირების უნარს.

შეუცვლელი და მეოთხე ტალღის პერსპექტივა. დემოკრატიზაციის მესამე ტალღის კონცეფცია გულისხმობს დემოკრატიული პროცესის განვითარების სინუსოიდურ ხასიათს, ე.ი. როგორც რევერსიული მოძრაობის შესაძლებლობას (ქვეყნების ნაწილი შეიძლება დაუბრუნდეს ავტორიტარულ რეჟიმებს), ასევე დემოკრატიზაციის მეოთხე ტალღის პერსპექტივასაც, უკვე XXI საუკუნეში.

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ანალიზისას, რიგ მკვლევრებს არასწორად მიაჩნიათ XX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში განვითარებული დემოკრატიზაციის პროცესების ექსტრაპოლაცია XXI საუკუნის პირველ ათწლეულსა და უფრო შორეულ მომავალზე. მოსალოდნელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შერყევებს სავსებით შეუძლია 1970-იანი წლების შუახანებში დაწყებული დემოკრატიზაციის ტალღის შეწყვეტა და რიგ ქვეყნებში „დემოკრატიული ტრანზიტის“ პროცესების უკუქცევა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ დღეს განვითარებული გლობალური პროცესები: ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროს კრიმინალიზაცია, ტერორიზმის ზრდა, ბირთვული ტექნოლოგიებისა და ბირთვული იარაღის გავრცელება, „საინფორმაციო ომები“ შემდგომში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის სხვადასხვა ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას. ანუ თუკი დემოკრატიზაციის მესამე ტალღის პირველ ეტაპზე (1970-იანი — 1990-იანი წლები) გლობალიზაციის პროცესები ხელს უწყობდა დემოკრატიის სივრცეში გაფართოებას, უფრო მოგვიანო ეტაპზე გლობალიზაციის პროცესების ნეგატიურმა შედეგებმა შეიძლება ხელი შეუშალოს დემოკრატიის „სიღრმეში“ განვითარებას.

დემოკრატიზაციის პროცესების შენელებასა და დემოკრატიის „უკუქცევის" ელემენტებზე მიუთითებს ლ.დაიმონდი, რომელიც ემყარება თავისუფლების სახლის (Freedom House) მონაცემებს. მისი თქმით, ელექტორალური დემოკრატიის ზრდის გაგრძელება ლიბერალური დემოკრატიის გავრცელების შეფერხების პირობებში მიუთითებს დემოკრატიზაციის სულ უფრო ზედაპირულ ხასიათზე „მესამე ტალღის" ბოლო პერიოდში.

1990-იანი წლების განმავლობაში უფსკრული ელექტორალურ და ლიბერალურ დემოკრატიებს შორის სულ უფრო ფართოვდებოდა. მსოფლიოში არსებულ დემოკრატიებს შორის „თავისუფალი" ქვეყნების (ე.ი. ლიბერალული დემოკრატიების) ხვედრითი წილი შემცირდა, 1990 წელს „თავისუფალი" ქვეყნები 85%-ს შეადგენდა დემოკრატიულ ქვეყნებს შორის, 1995 წელს კი მხოლოდ 65%-ს. გარდა ამისა, მიმდინარეობს თავისუფლების თანდათანობითი შემცირება ელექტორალურ დემოკრატიებში.

რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს დემოკრატიის უკუქცევას გრძელვადიანი თვალსაზრისით, მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაში დემოკრატიის განვითარება მრავალ ქვეყანაში შეიძლება მნიშვნელოვნად შენელდეს.

§ 3. არჩევნები: ახალი ტენდენციები დემოკრატიულ ქვეყნებში

აშშ: 2000 წლის საარჩევნო კამპანია. აშშ-ში XX საუკუნის უკანასკნელი — 2000 წლის საარჩევნო კამპანია უპრეცედენტო აღმოჩნდა თავისი თავისებურებებით, დრამატიზმის ხარისხითა და შესაძლო ინსტიტუციონალური შედეგებით. თვალსაჩინოდ გამოვლინდა არსებული საარჩევნო სისტემის ხარვეზები.

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში კვლავ გამეორდა სიტუაცია, როდესაც კანდიდატებს შორის სხვაობა უაღრესად მცირე იყო. 1976 წელს ჯ.კარტერმა სულ 2%-ით აჯობა ჯ.ფორდს, 1968 წელს რ.ნიქსონმა მხოლოდ 1%-ით გაუსწრო გ.ჰემფრის, 1960 წელს ჯ.კენედიმ მიიღო ხმების 49,72%, ხოლო რ.ნიქსონმა 49,55%. სხვაობა სულ 118 ათას ხმას შეადგენდა. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელშიც 96 მლნ ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობას შორის სხვაობა სულ 201.596-ს შეადგენდა, ამასთან ბევრი რამ გახდა სადავო და გაურკვეველი.

პირველად აშშ-ის ისტორიაში წარმოიშვა სიტუაცია, როდესაც არჩევნების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში (!) ქვეყანამ არ იცოდა, თუ ვინ გახდა პრეზიდენტი. პირველად XX საუკუნეში აშშ-ის ელექტორალურ პრაქტიკაში წარმოიქმნა ხმების ხელით გადათვლის საჭიროება (რამდენიმე შტატში). პირველად ორი საუკუნის მანძილზე წარმოიშვა სიტუაცია, როდესაც არჩევნები დამთავრდა, მაგრამ საარჩევნო კამპანია კიდევ უფრო მწვავედ მიმდინარეობდა. პირველად საერთო-ეროვნული კენჭისყრის შედეგად კონგრესის ორივე პალატაში ჩამოყალიბდა პრაქტიკულად აბსოლუტური პარტიული პარიტეტი.

პირველად XX საუკუნეში არჩევნებმა მთლიანად დაკარგა პირდაპირი ხასიათი: ამომრჩეველთა ნების გამოვლენასა და გამარჯვებულის გამოვლენას შორის იდგა არა მარტო არქაული „ამრჩევთა კოლეგია" (შემოღებული კონსტიტუციის XII შესწორებით 1804 წელს), არამედ სასამართლო სისტემაც, რომელსაც უნდა განეხილა ორივე პარტიის საჩივარი და განესაზღვრა, თუ ვინ გაიმარჯვა ფლორიდის შტატში ჩატარებულ არჩევნებში. პირველად არჩევნების საერთო შედეგებზე პირდაპირ, ღია და პოლიტიკურად ტენდენციურ ზეგავლენას ახდენდნენ ისეთი ნაკლებადმნიშვნელოვანი ფიგურები, როგორიც იყო მაგალითად, ფლორიდის შტატის სახელმწიფო მდივანი და ჯ.ბუშის საარჩევნო შტაბის წევრი აღნიშნულ შტატში კ.ჰარისი — მოხელე, რომლის სტატუსისა და უფლებამოსილების შესახებ ცოტა რამ თუ იცოდა ვინმემ.

რაც მთავარია ა.გორი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების უფრო მეტი რაოდენობა მიიღო ქვეყნის მასშტაბით, დამარცხდა (პირველად უკანასკნელი 112 წლის განმავლობაში) იმის გამო, რომ პრეზიდენტის არჩევის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდა მოძველებული და კონსტიტუციურად შემთხვევითი ინსტიტუტი — ამრჩევთა კოლეგია. ანუ 538 ამრჩევის (პრაქტიკულად 270-ის, ანუ კოლეგიის უბრალო უმრავლესობის) აზრმა გადასწონა 100 მლნ ამომრჩევლის მიერ გამოხატულ ნებას. ამრჩევთა კოლეგიის მიერ გამოტანილი ვერდიქტის შემდეგ გავლენიანი გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი" წერდა, რომ ამრჩევთა კოლეგია არის ინსტიტუტი, რომელიც „ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის დემოკრატიას" ამერიკაში.

საქმე ისაა, რომ არც აშშ-ის კონსტიტუციაში, არც ფედერალურ კანონმდებლობაში არ არის მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მისცენ ხმა ამრჩევებმა. დღემდე აშშ-ის საარჩევნო პრაქტიკაში იყო არანაკლებ 7 შემთხვევა, როდესაც მთელი კოლეგია ხმას აძლევდა ამომრჩეველთა ნების საწინააღმდეგოდ, ანდა ცალკეული

ამრჩევები იქცეოდნენ ასე. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მხოლოდ აშშ-ის შტატების ნახევარში არის კანონები, რომლებიც ამრჩევებს ავალდებულებენ ხმა მისცენ შტატის ამომრჩეველთა უმრავლესობის ნების შესაბამისად, ხოლო მთლიანად ამრჩევთა კოლეგიას — ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ნების შესაბამისად (ამასთან მხოლოდ კალიფორნიის შტატშია გათვალისწინებული ამ პრინციპის დარღვევისათვის საკმარისად სერიოზული სასჯელი — 1000 დოლარი ჯარიმა და სამი წლის პატიმრობა).

როგორც აღინიშნება, 2000 წლის საარჩევნო კამპანიის უპრეცედენტობის მიზეზები უნდა ვეძებოთ აშშ-ის პარტიებსა და თავად არჩევნების ინსტიტუტში მომხდარ თვისობრივ ცვლილებებში, ასევე იმ ძირეულ ძვრებში, რაც მოხდა აშშ-ის საზოგადოების ელექტორალურ და სოციალურ სტრუქტურაში.

პოლიტოლოგთა აზრით, 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი იქნება საარჩევნო კანონმდებლობის და, მასთან ერთად, საარჩევნო პროცესის შეცვლაც. რიგი კონკრეტული წინადადებები ამ მიმართულებით უკვე განიხილება აშშ-ის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში, ხოლო ზოგიერთი შტატის ლეგისლატურებში შევიდა კანონპროექტები, რომლებიც არჩევნების ჩატარების ტრადიციულ პრაქტიკას ცვლის. ფედერალურ დონეზე ასეთი სახის ცვლილებები მოითხოვს კონსტიტუციის ცალკეული მუხლების გადასინჯვას (კერძოდ, მე-2 მუხლის და XII შესწორებისა, რომელიც „ამრჩევთა კოლეგიის" დანიშვნისა და ფუნქციონირების პროცედურას ეხება) და ამდენად, იგი შეიძლება დროში გაჭიანურდეს: საჭიროა თავად კანონპროექტების მომზადება, მათი განხილვა კონგრესში და ორივე პალატის კონგრესმენების მიერ ხმების ორი მესამედით მიღება, ამ ცვლილებების დამტკიცება პრეზიდენტის მიერ და რატიფიკაცია 35 შტატის ლეგისლატურების მიერ. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ საარჩევნო ემოციების ჩაცხრობის შემდეგ საარჩევნო სისტემაში ცვლილებების განხორციელების სურვილი ბევრს გაუნელდეს.

დიდი ბრიტანეთი: საარჩევნო სისტემის რეფორმა. დიდი ხნის განმავლობაში ჩანდა ისე, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემა იმდენად სრულყოფილია, რომ მას კიდევ მრავალი ათწლეულის განმავლობაში შეუძლია რამდენადმე სერიოზული ცვლილებების გარეშე არსებობა. მაგრამ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან სულ უფრო აქტუალური ხდება დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის საკითხი.

კონსტიტუციური რეფორმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია წარმომადგენლობით ორგანოებში არჩევნების სისტემის შეცვლა. ამ რეფორმის შედეგები, თუკი ის სრული მასშტაბით განხორციელდა, მნიშვნელოვანწილად შეცვლის ბრიტანეთის ტრადიციულ პარტიულ-პოლიტიკურ მექანიზმს, რომელიც ორი მთავარი პოლიტიკური პარტიის დომინირებას ემყარება.

მიუხედავად იმისა, რომ მაჟორიტარული სისტემის უსამართლობანი ცხადია, ბრიტანეთის ორივე წამყვანი პოლიტიკური პარტია მხარს უჭერდა მის შენარჩუნებას. მაგრამ ლეიბორისტული პარტიის 4-ჯერ ზედიზედ დამარცხებამ არჩევნებში (1979, 1983, 1987 და 1992 წლებში) და ოპოზიციაში 18-წლიანმა ყოფნამ აღნიშნული პარტია არსებული საარჩევნო სისტემის რეფორმის სასარგებლოდ განაწყო.

1997 წლის არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის მანიფესტი ითვალისწინებდა, შოტლანდიასა და უელსში რეფერენდუმების წარმატების შემთხვევაში, ამ რეგიონების წარმომადგენლობით ორგანოებში არჩევნების ჩატარებას პროპორციული ან მასთან ახლოს მდგომი საარჩევნო სისტემით. იგივე პრინციპით უნდა ჩატარებულიყო არჩევნები ევროპულ პარლამენტშიც. იმავდროულად განზრახული ჰქონდათ რეფერენდუმის ჩატარება თემთა პალატაში არჩევნების პროპორციულ სისტემაზე გადასასვლელად. ამ პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი ლეიბორისტებმა შემდეგ განახორციელეს კიდეც, გარდა თემთა პალატაში პროპორციულ არჩევნებზე გადასვლისა.

არჩევნების ახალ სისტემაზე გადასვლა, განხორციელებულ მასშტაბებშიც კი, ასუსტებს არამარტო ტრადიციულ ბრიტანულ ორპარტიულობას. ამავე პროცესის მეორე მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს კანდიდატის (შემდეგ კი პარლამენტარის) და ამომრჩევლების დამოკიდებულების პრობლემა. პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს ამომრჩეველი ხმას აძლევს არა იმდენად კონკრეტულ კანდიდატს, რამდენადაც პარტიას. მაჟორიტარული სისტემის დროს კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამომრჩევლებთან კანდიდატის ურთიერთობის პიროვნული ელემენტი. ტრადიციულად, ოლქის ამომრჩევლებთან ურთიერთობას ინარჩუნებენ როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული კანდიდატები.

აღნიშნულმა გარემოებამ ბევრად განაპირობა პროპორციული წარმომადგენლობის შემოღების საკითხზე მიმდინარე დისკუსია. წარმოდგენილი ვარიანტები განსხვავდებოდა არა იმდენად არსებულ სისტემასთან კომპრომისის ხარისხის მიხედვით, რამდენადაც ამომრჩევლისათვის საარჩევნო სიების „ღიაობის" ან „დახურულობის" ხარისხით. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია არჩევნები ევროპარლამენტში.

ბრიტანეთის მთავრობამ, ევროკავშირის სხვა ქვეყნების მსგავსად, გადაწყვიტა ე.წ. რეგიონალური სიების სისტემის შემოღება. ამ სისტემის შესაბამისად, არჩევნებში მონაწილე პარტიებმა ყოველ საარჩევნო ოლქში უნდა შეადგინონ თავისი კანდიდატების სია და ამომრჩევლების სამსჯავროზე წარადგინონ. მაგრამ მოცემული საერთო სისტემა რეალიზდება ორი ძირითადი ვარიანტით: „ღია სიების" შემთხვევაში ამომრჩეველი იღებს ბიულეტენს, რომელშიც პარტიის სახელწოდებას მოსდევს მოცემულ ოლქში ამ პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატების სრული სია. „დახურული სიების" შემთხვევაში ბიულეტენში მოცემულია მხოლოდ პარტიის სახელწოდება. ორივე შემთხვევაში, დამოუკიდებელი კანდიდატები ბიულეტენში სათითაოდ სახელდებიან.

ღია სიების შემთხვევაში ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს პარტიული კანდიდატებიდან რომელიმეს, ამა თუ იმ პარტიას მთლიანად ან დამოუკიდებელ კანდიდატს. ლეიბორისტები თავიდან აცხადებდნენ, რომ არჩევნების ახალ სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში კანდიდატის კავშირი ამომრჩევლებთან უნდა შენარჩუნდეს, ანუ მათ წესით მხარი უნდა დაეჭირათ ღია სიების სისტემისათვის. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მთავრობამ ევროკავშირის სხვა ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია) გამოცდილებაზე მითითებით მხარი დაუჭირა დახურული სიების სისტემას. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მთავრობამ თავისი გაიტანა და ევროპარლამენტის არჩევნები ამ სისტემით ჩატარდა.

ევროპარლამენტში, რეგიონული და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების მნიშვნელობის მიუხედავად, მთავარი მაინც თემთა პალატაში არჩევნების სისტემის რეფორმაა. არსებული სისტემის შეცვლის მომხრეების აქტიურობა სულ უფრო იზრდება. მათი აზრით, პროპორციული ან შერეული საარჩევნო სისტემის შემოღება მნიშვნელოვნად გაზრდის ამომრჩეველთა აქტიურობას.

საფრანგეთი: ცვლილებები ამომრჩეველთა ქცევაში. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი უძველესი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყანაა, ბოლო დროს მკვლევრები სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ „პოლიტიკური წარმომადგენლობის სისტემის კრიზისზე" და „დემოკრატიის კრიზისზეც" კი. ამ კრიზისის სიმპტომებად მიიჩნევა პოლიტიკური მოღვაწეობის დისკრედიტაცია, არჩევნებში აბსენტეიზმის ზრდა, პოლიტიკაში მონაწილეობის ტრადიციული ფორმების დაცემა.

პოლიტიკურ ცხოვრებას საფრანგეთში დიდი ხანია ორპოლიუსიანი ხასიათი აქვს. პოლიტიკური ცხოვრების ბიპოლიარიზაციის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა მაჟორიტარულმა საარჩევნო სისტემამ, რომელიც 1958 წელს შემოიღეს და მოქმედებდა საპრეზიდენტო, საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებზე. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ორ ტურად უზრუნველყოფს არჩევნებში გამარჯვებული პარტიული კოალიციის ჭარბ წარმომადგენლობას, კოალიციის შიგნით კი იმ პარტიისა, რომელიც პარტნიორებთან შედარებით მეტ ხმებს მიიღებს. პირველ ტურში, როდეაც არჩევისათვის აუცილებელია ხმების აბსოლუტური უმრავლესობის დაგროვება, ჩვეულებრივ ირჩევდნენ ხოლმე დეპუტატების 20%-ს, ხოლო მეორე ტურში მონაწილეობისათვის აუცილებელია ხმების გარკვეული რაოდენობის მოგროვება პირველ ტურში (1979 წლის კანონი ამ ბარიერს ხმების 12,5%-ით განსაზღვრავს). მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტურში მონაწილეობის მიღება რამდენიმე კანდიდატს შეეძლო, ჩვეულებრივ რჩებოდა ხოლმე ორი კანდიდატი — სამთავრობო უმრავლესობიდან და ოპოზიციიდან. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ორ ტურად ასევე იწვევდა ამომრრჩეველთა ორმაგ პოლიტიკურ იდენტიფიკაციას. თუ პირველ ტურში ამომრჩეველი ხმას აძლევდა გარკვეულ პარტიას, მეორე ტურში ის კოალიციას უჭერდა მხარს.

მიუხედავად დიდი პარტიული ტრადიციებისა, დღეს მრავალი ფრანგი პოლიტოლოგი თვლის, რომ საფრანგეთში პოლიტიკური პარტიები წევრობის, წარმომადგენლობის და იდეოლოგიურ კრიზისს განიცდის. იზრდება გაუცხოება პოლიტიკოსებსა და რიგით მოქალაქეებს შორის. პოლიტიკური მოღვაწეები ძნელად ამბობენ უარს პარტიული პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებზე: ამტკიცებენ, რომ მათი პროგრამაა სწორი და სხვებისგან გამორჩეული, საზოგადოების პრობლემების მიზეზი კი კონკურენტების პოლიტიკური კურსია. ამომრჩევლებს კი მასიურად ეუფლებათ იმედგაცრუება პარტიების მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მათი აზრით, უნაყოფო და უსარგებლოა პარტიებს შორის მიმდინარე მწვავე დებატები. ფრანგ ამომრჩევლებში მკვიდრდება აზრი, რომ ნებისმიერი მთავრობის პოლიტიკური კურსი არსებით ზეგავლენას არ ახდენს ცხოვრებაზე. მაგალითად, 1991 წელს ამომრჩეველთა 57% თვლიდა, რომ 1981 წელს პრეზიდენტი მემარჯვენე პარტიების კანდიდატი რომ გამხდარიყო, განვლილი ათწლეულის შედეგები ქვეყნისათვის იგივე იქნებოდა.

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე საფრანგეთში პარტიების წევრთა რაოდენობა განუხრელად შემცირდა, შესამჩნევად

გაიზარდა პარტიული აქტივისტების საშუალო ასაკი, ანუ ახალგაზრდობა პარტიებისადმი სულ უფრო გულგრილი გახდა. პარტიების იდეოლოგიური კრიზისი ისაა, რომ კონფლიქტი მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის იდეური თვალსაზრისით სულ უფრო უსაგნო ხდება და აღარ შეუძლია ახსნას ხელისუფლებისათვის ბრძოლა და პოლიტიკური მოღვაწეების პერსონალური მეტოქეობა. პოლიტიკური ლიდერების მოღვაწეობა ამომრჩეველთა ცნობიერებაში სულ უფრო ნეგატიურ შეფერილობას იძენს. ამას ხელი შეუწყო პოლიტიკური სკანდალების სერიამ.

XX საუკუნის 80—90-იან წლებში განუხრელად მცირდებოდა არჩევნებში მონაწილე ფრანგების რიცხვი. დაახლოებით 4 მლნ ფრანგს, ე.ი. პოტენციური ამომრჩევლების 9%-ს საერთოდ არ შეაქვთ თავიანთი გვარები ამომრჩეველთა სიებში. აბსენტიზმის რეკორდული დონე დაფიქსირდა 1988 წლის საპარლამენტო არჩევნებში (33,5%), 1997 წელს კი საარჩევნო უბნებში არ გამოცხადდა ამომრჩეველთა 32,4%. თუკი გავითვალისწინებთ არასწორად შევსებული და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ფრანგების დაახლოებით 40% ამჯობინებს მონაწილეობა არ მიიღოს არჩევნებში. აბსენტეიზმის დონე განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდობაში.

ამ კონტექსტში კარგად თავსდება „პერიფერიული" პოლიტიკური გაერთიანებების (როგორიცაა, მაგალითად, მემარჯვენე ნაციონალური ფრონტი, ეკოლოგისტები, უკიდურესი მემარცხენე ორგანიზაციები) საარჩევნო წონის ზრდა. ამომრჩევლები, როდესაც ხმას აძლევენ ისეთ ორგანიზაციებს, რომელთაც წარმატების შანსი არა აქვთ ეროვნული მასშტაბით, ამით აჩვენებენ, რომ უკმაყოფილონი არიან წამყვანი პარტიების პოლიტიკით.

გამოკითხვების თანახმად, სწორედ ის ამომრჩევლები, რომლებიც თვლიან, რომ „დემოკრატია ცუდად ფუნქციონირებს", უმეტესწილად განწყობილნი არიან არჩევნებში მხარი დაუჭირონ წვრილ და ექსტრემისტულ ორგანიზაციებს. ამის შედეგად, საფრანგეთში თვალსაჩინოა მემარჯვენე რადიკალების მზარდი პოპულარობა.

ბოლო წლებში საფრანგეთში განხორციელებულ ინსტიტუციონალური რეფორმებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის პრეზიდენტის მანდატის მოქმედების ვადის შემცირება 7-დან 5 წლამდე. დისკუსიები ამ თემაზე ოცი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბოლოს პრეზიდენტი შირაკი დათანხმდა ამგვარ ცვლილებას და საკითხი 2000 წლის 24 სექტემბერს რეფერენდუმზე გამოიტანეს. კენჭისყრაში მონაწილეთა 73%-მა მხარი დაუჭირა ამ ცვლილებას, თუმცა ამომრჩეველთა 79%

მონაწილეობა არ მიუღია რეფერენდუმში. ჯერჯერობით ფრანგი პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ვერ შეთანხმებულან იმაზე, თუ რა ზეგავლენას მოახდენს პარტიულ-პოლიტიკურ სისტემაზე პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის შემცირება. ყველაფერი კონკრეტულ პოლიტიკურ პრაქტიკაზე იქნება დამოკიდებული.

იყო მცდელობა გადაესინჯათ საარჩევნო სისტემაც და საპარლამენტო არჩევნების დროს „პროპორციულობის ელემენტიც" შემოეტანათ, რაც უფრო ადეკვატურად ასახავდა ამომრჩეველთა განწყობას. მაგრამ პრემიერმა ჟოსპენმა უარყო ასეთი გეგმები. მისი თქმით, ეროვნულ კრებაში აუცილებელია „სტაბილური და მკაფიო უმრავლესობის" ყოლა, აგრეთვე დაუშვებელია პარლამენტის დაკომპლექტება სხვადასხვა პრინციპების საფუძველზე — პარტიული სიებისა და ერთმანდატიანი ოლქების მიხედვით.

ჟოსპენის მთავრობის დროს განხორციელებული რეფორმებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე კანონი არჩევით თანამდებობებზე მამაკაცებისა და ქალების თანაბარი წარმომადგენლობის შესახებ. ბოლო დრომდე ქალები, რომლებიც ამომრჩეველთა კორპუსის ნახევარს შეადგენენ, სუსტად იყვნენ წარმოდგენილნი არჩევით თანამდებობებზე. საფრანგეთი 52-ე ადგილზე იყო ქალი-პარლამენტარების რაოდენობის მიხედვით. 2000 წლის იანვარში მიიღეს კანონი, რომელიც ქალებისათვის, ფაქტობრივად, ყველა არჩევით თანამდებობაზე 50%-იან კვოტას აწესებდა. პარტიები ვალდებულნი იყვნენ საარჩევნო სიებში დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შეეყვანათ ქალები და მამაკაცები. პარტიებს, რომლებიც ამ წესს დაარღვევენ, ფინანსური სანქციები ემუქრებათ. კანონმა მოქმედება დაიწყო 2001 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე. როგორც მეთვალყურეები აღნიშნავდნენ, პარტიებისათვის ძნელი იყო საკმაო რაოდენობის ქალი-კანდიდატების პოვნა.

ჟოსპენის კაბინეტი ასევე შეეცადა ბოლო მოეღო არჩევითი თანამდებობების შეთავსების პრაქტიკისათვის, როდესაც მთავრობის ან პარლამენტის წევრებს უკავიათ სხვადასხვა თანამდებობა ადგილობრივ არჩევით ორგანოებში. ჟოსპენის აზრით, ეს რეფორმა აუცილებელი იყო წარმომადგენლობითი სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების წონასწორობის მისაღწევად. პარლამენტარის მანდატის ფლობა ნიშნავს მთელი ერის წარმომადგენლობას და მასთან შეუთავსებელია ადგილობრივი ინტერესების ლობირება. გარდა ამისა, გართულდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციები და მოითხოვს პარლამენტარის მუდმივ პირად ყოფნას მოვალეობის შესასრულებლად. აღნიშნული

რეფორმის პროექტი სენატორთა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა და წარმოდგენილი სახით ვერ განხორციელდა.

პოლიტოლოგთა აზრით, განხორციელებული ცვლილებების შედეგად საფრანგეთის პოლიტიკური სისტემა ნაკლებად ცენტრალიზებული და უფრო მოქნილი გახდა, მაგრამ გარდუვალია შემდგომი ნაბიჯები პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის მიმართულებით.

ცვლილებები იტალიის საარჩევნო სისტემაში. XX საუკუნის 90-იან წლებში იტალიის საარჩევნო სისტემამ და საარჩევნო პრაქტიკამ რადიკალური ცვლილებები განიცადა. პოლიტიკურ ველზე შეიცვალნენ არა მარტო მოთამაშეები, არამედ შეიცვალა „თამაშის წესებიც".

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იტალიის საარჩევნო სისტემა ჩაფიქრებული იყო იმ სისტემის საპირისპიროდ, რომელმაც მუსოლინს 20-იან წლებში ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების საშუალება მისცა (მაშინ შეფარდებითი უმრავლესობის პარტია ადგილების მნიშვნელოვან ნაწილს ღებულობდა პარლამენტში). ომის შემდგომი იტალიის მემარცხენე და დემოკრატიული ძალები ამაყობდნენ არჩევნების „უზადო" პროპორციული ხასიათით.

ამ სისტემას თავისი სერიოზული ნაკლიც ჰქონდა. ომის შემდგომი ნახევარი საუკუნის მანძილზე იტალიაში 55 მთავრობა შეიცვალა (შედარებისთვის: გერმანიაში —17, ინგლისში — 19). საშუალოდ, თითოეულ მათგანის მოღვაწეობის პერიოდი ერთ წელზე ნაკლები გამოდის. ხოლო თუ დავაჯამებთ სამთავრობო კრიზისების ხანგრძლივობას, გამოვა, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში 4 ან 5 წლის განმავლობაში იტალია საერთოდ პოლიტიკურად პასუხისმგებლური აღმასრულებელი ხელისუფლების გარეშე ცხოვრობდა.

1991 და 1993 წლების სახალხო რეფერენდუმების შედეგად პროპორციული სისტემა თითქმის მაჟორიტარული სისტემით შეიცვალა (პარლამენტში ადგილების 75% ერთმანდატიან ოლქებში ნაწილდება, ხოლო 25% — პარტიული სიების მიხედვით). ამ ცვლილებების შედეგად 1994 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დეპუტატთა პალატა 70%-ით განახლდა, ხოლო 1996 წლის რიგგარეშე არჩევნების შემდეგ კი კიდევ 50%-ით. ქვეყნისათვის, რომელიც ათწლეულების მანძილზე პარლამენტში ერთი და იმავე სახეების ხილვას შეეჩვია, ეს არნახული სიახლე იყო.

ომისშემდგომი ხუთი ათწლეულის მანძილზე იტალია მიეკუთვნებოდა იმ ქვეყნების მცირერიცხოვან ჯგუფს (იაპონია, ინდოეთი,

მექსიკა), რომლებშიც თავისუფალი არჩევნების პრაქტიკა პრაქტიკულად „ნეიტრალდებოდა“ ხელისუფლებაზე ერთი პარტიის მონოპოლიით. მაგრამ 90-იანი წლების შუახანებიდან მდგომარეობა შეიცვალა. პოლიტიკურ არენაზე აღარ დარჩა არც ერთი იმ სამი პარტიიდან (ქრისტიანულ-დემოკრატიული,.კომუნისტური და სოციალისტური პარტიები), რომლებიც ამომრჩეველთა 80%-ზე მეტის მხარდაჭერით სარგებლობდნენ და რომელთა შორისაც მიღწეულ შეთანხმებას ასახავს 1947 წლის კონსტიტუცია. დღევანდელი იტალიის პოლიტიკურ სცენაზე დომინირებენ სულ სხვა პარტიები, რომელთა ლეგიტიმაციაც არ უკავშირდება ანტიფაშისტურ წინააღმდეგობას, არც რესპუბლიკური წყობის დამყარებას, არც „ცივი ომის“ პერიპეთიებს. ახალ პოლიტიკურ სპექტრს და ახალ გარემოებებს ახალი კონსტიტუცია ესაჭიროება. საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება კი გაიოლებულია საარჩევნო სისტემის შეცვლის შედეგად. ორივე პალატის „აბსოლუტური უმრავლესობა“, რაც აუცილებელია კონსტიტუციის გადასასინჯად, არც ისე რთული მისაღწევია მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის პირობებში.

გერმანია: პარტიების კრიზისი და ცელილებები ამომრჩეველთა ქცევაში. გერმანიაში გამოიკვეთა მოქალაქეთა პოლიტიკური ქცევის შეცვლის ტენდენცია. ისინი უფრო მომთხოვნი ხდებიან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ, ესწრაფვიან დემოკრატიული პრინციპების გაფართოებასა და გაღრმავებას.

შესამჩნევია მოსახლეობის დისტანცირება პარტიების როგორც პოლიტიკური ინსტიტუტისაგან. 1997 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 73% არ ენდობა მათ. ნიშანდობლივია პარტიების წევრთა რაოდენობის შემცირების ტენდენციაც. თუკი 1990 წელს პარტიებში დაახლოებით 2300 ათასი ადამიანი იყო გაერთიანებული, 1996 წელს მხოლოდ 1880 ათასი. მიმდინარეობს პარტიებთან ამომრჩევლების ადრინდელი მდგრადი იდეოლოგიური კავშირების რღვევა. ამომრჩევლები ახლა ესწრაფვიან გადაწყვეტილებები მიიღონ თავიანთი პოლიტიკური კომპეტენტურობის ან ლიდერების იმიჯიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვნად გაიზარდა არჩევნებში არმონაწილეთა რაოდენობაც. 1998 წლის ფედერალურ არჩევნებში ამ მაჩვენებელმა 117.7%-ს მიაღწია (1976 წელს ეს მაჩვენებელი 9,3% იყო). ასეთი ქცევის მოტივი შეიძლება იყოს პროტესტი ამა თუ იმ პარტიის პოლიტიკისა ან საერთოდ არსებული წესრიგის წინააღმდეგ.

ბოლოდროინდელ პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში გაჩნდა თეზისი გერმანიაში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის კრიზისის თაობაზე. თუმცა, ეს აშკარად გადაჭარბებულია. ზემოთ აღნიშნული ცვლილებები სულაც არ ნიშნავს დემოკრატიის კრიზისს მთლიანობაში. მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ იზიარებს დემოკრატიულ ფასეულობებსა და პრინციპებს.

დემოკრატიის განვითარების ახალი სტადიის პერსპექტივები. როგორც ზემოთ ვნახეთ, განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში იზრდება უკმაყოფილება დემოკრატიის მიღწეული დონითა და ფუნქციონირების ხასიათით. ფრანგი პოლიტოლოგის მ.დოგანის აზრით, დასავლურ საზოგადოებებში პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის მკვეთრი დაცემა მოწმობს არა იმას, რომ გული აუცრუვდათ დემოკრატიის პრინციპებზე, არამედ დემოკრატიზაციის გაღრმავებისაკენ მისწრაფებას, დემოკრატიული პრაქტიკის თანამედროვე ცხოვრების რეალობებთან შესაბამისობაში მოყვანას. ანუ დასავლური საზოგადოებების წინაშე დგას წარმომადგენლობითი დემოკრატიის დისფუნქციების დაძლევისა, პოსტინდუსტრიულ რეალობებთან დემოკრატიული ინსტიტუტების შესაბამისობაში მოყვანის ამოცანა.

წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XXI საუკუნის დემოკრატია არანაკლებ განსხვავებული იქნება თანამედროვე დემოკრატიისაგან, როგორც ეს უკანასკნელი განსხვავდება XIX საუკუნის შუახანების დემოკრატიის ინსტიტუტებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ საქმე ეხება დემოკრატიის განვითარების ახალ სტადიას დასავლური ცივილიზაციის ფარგლებში.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დემოკრატიის განვითარება დასავლეთის წამყვან ქვეყნებშიც კი არ უნდა წარმოვიდგინოთ სწორხაზოვანი სახით. სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში ისინი თავიდან ვერ აიცილებენ გარკვეულ კრიზისულ და დესტაბილიზაციის გამომწვევ პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც მთლიანობაში ხელს არ უწყობენ ლიბერალური დემოკრატიის განვითარებას. ამაზე მეტყველებს, კერძოდ, არჩევნებში მემარჯვენე რადიკალური პარტიებისა და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ მოპოვებული წარმატებები (1999 წლის საპარლამენტო არჩევნები ავსტრიასა და შვეიცარიაში, 2002 წლის საპარლამენტო არჩევნები ნიდერლანდში, 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგები საფრანგეთში).

დემოკრატიისათვის სერიოზულ პრობლემად შეიძლება იქცეს ე.წ. ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მზარდი როლი. ეკონო-

მიკური ზრდისა და ეფექტიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ გადაწყვეტილებებს ღებულობენ ბიზნესმენები და პოლიტიკოსები, უმეტესწილად ყოველგვარი დემოკრატიული პროცედურებისა და დემოკრატიული კონტროლის გვერდის ავლით. ამავე დროს, ამგვარი გადაწყვეტილებების ნეგატიური შედეგები (მაგალითად, ბირთვული ენერგეტიკის, ან გენური ინჟინერიის სფეროში) ყველაზე ავანტურული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგებზე არანაკლებ საშიში შეიძლება იყოს საზოგადოებისათვის.

ტექნიკური ევოლუცია საფრთხეს უქმნის თავად დემოკრატიას: უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების ტერორისტების ხელში მოქცევა ან ხაკერების ფენომენი ხელისუფლებას უბიძგებს დანაშაულებათა დასჯისა და კონკრეტული საფრთხეების თავიდან აცილების პოლიტიკიდან გადავიდნენ ჩანასახოვანი ხასიათის რისკების აღკვეთის პოლიტიკაზე, თითოეული მოქალაქე განიხილება ასეთი რისკების ფაქტორად. აქედან გამომდინარე ფართოდ ვრცელდება არასამართლებრივი პრაქტიკა (ტოტალური პოლიციური თვალთვალი, ტელეფონების მოსმენა და ა.შ.), რაც კითხვის ქვეშ აყენებს ადამიანების ელემენტარულ უფლებებს.

რის საფუძველზე მოიაზრება დემოკრატიის განვითარების ახალი სტადია? თანამედროვე წარმომადგენლობითი, საპარლამენტო დემოკრატიის მექანიზმები ფუნქციონირებს გარკვეული ჯგუფური კულტურული ტრადიციების, საერთო ინტერესების, ფასეულობების, პოლიტიკური პრიორიტეტების მიხედვით მოქალაქეთა გაერთიანების საფუძველზე. მათ ჩამოყალიბებასა და დაცვას ისინი ანდობენ პარტიებსა და ხელისუფლების ინსტიტუტებს. ასეთი დემოკრატია გულისხმობს, რომ თითოეული ამგვარი გაერთიანების შიგნით და მთლიანად საზოგადოებაში ხდება ინდივიდუალური მისწრაფებების ნიველირება ჯგუფურ მისწრაფებებად, რასაც განამტკიცებს შესაბამისი კულტურების ნორმები და ფასეულობანი; უმცირესობა ემორჩილება უმრავლესობას.

პოსტინდუსტრიულ პერიოდში მიმდინარეობს ინდივიდუალიზაციის პროცესი — სუსტდება ინდივიდის კავშირი „დიდ საზოგადოებასა" და მის ინსტიტუტებთან, ჯგუფურ სუბკულტურებთან. საზოგადოების ინდივიდუალიზაცია და ატომიზაცია არყევს წარმომადგენლობითი დემოკრატიის სოციალურ-კულტურული მექანიზმების ფუნქციონირებას; უაღრესად მწვავდება წინააღმდეგობა უმრავლესობის პრინციპსა და პიროვნების თვითგამორკვევას შორის.

თანამედროვე დემოკრატიის ამ პრობლემების ანალიზისას, ცნობილი დასავლელი პოლიტოლოგი ულრიხ ბეკი მათი გადაწყვეტის

გზას ხედავს დემოკრატიის დამკვიდრებული პრინციპების დედოგმატიზაციასა და დესაკრალიზაციაში: დემოკრატიამ, მისი აზრით, რეფლექტირებადი ხასიათი უნდა მიიღოს. ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიის საფუძვლების უბრალო კვლავწარმოებამ ადგილი უნდა დაუთმოს მათ კრიტიკულ გააზრებას და მუდმივ ექსპერიმენტებს სოციალური სინამდვილის ყველა სფეროში. დემოკრატიის ახალი ფორმების ძიება დასავლური საზოგადოებრივი აზრისა და პრაქტიკის დამახასიათებელი ნიშანი ხდება.

§ 4. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები და დემოკრატია

დღეისათვის უკვე ცხადია, რომ დემოკრატიის შესახებ ტრადიციული წარმოდგენები არ შეიძლება გადატანილი იქნეს საზოგადოებაზე, რომელიც გლობალიზაციისა და პოსტინდუსტრიალიზმის პირობებში ყალიბდება. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, სხვასთან ერთად, დემოკრატიის პოლიტიკური ინსტიტუტების ტრანსფორმირებას იწვევს.

საინფორმაციო საზოგადოების ცნება. საინფორმაციო საზოგადოების ცნება სამეცნიერო ბრუნვაში XX საუკუნის 60-იან წლებიდან შემოვიდა. თუკი განვაზოგადებთ დღეისათვის არსებულ ძირითად მიდგომებს, შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო საზოგადოების ქვეშ იგულისხმება:

— ახალი ტიპის საზოგადოება, რომელიც ყალიბდება საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების მძლავრი განვითარებით;

— ცოდნის საზოგადოება, როდესაც ყოველი ადამიანის და ყოველი სახელმწიფოს კეთილდღეობის მთავარ პირობას ცოდნა წარმოადგენს;

— გლობალური საზოგადოება, რომელშიც ინფორმაციის გაცვლას არ ექნება არც დროითი, არც სივრცითი და არც პოლიტიკური საზღვრები.

ახალი საზოგადოებრივი ტექნოლოგიების საფუძველს წარმოადგენს კომპიუტერისა და ტელეკომუნიკაციის საშუალებების ინტეგრაცია, რასაც ტელემატიკა ეწოდება. ტელემატიკა გამოდის გარემოს სახით, რომელშიც ფუნქციონირებს სახელმწიფო და სამართალი.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ცვლიან არა მარტო დემოკრატიული პროცედურების განხორციელების ფორმას, არამედ მათი დანერგვის შედეგად იცვლება სოციალური პროცესების განვითარების თავად არსი. ამ ახალი რეალობის გააზრების პროცესში უკანასკნელ წლებში შემოტანილი იქნა მრავალი ტერმინი: „ვირტუალური დემოკრატია", „ელექტრონული მთავრობა", „კიბერდემოკრატია", „კიბერპოლიტიკა", „კომპიუტერულ-გაშუალებული პოლიტიკური კომუნიკაცია", „ციფრული დემოკრატია", „კომუნიკაციური დემოკრატია", „ელექტრონული მოქალაქეობა" და სხვა.

საინფორმაციო ტექნოლოგიები და პოლიტიკური რეჟიმები. თანამედროვე საზოგადოებაში ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის შეფასება წინააღმდეგობრივია. ერთნი მას განიხილავენ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების და გაბატონებული ფენის ხელისუფლების განმტკიცების ინსტრუმენტად. მეორენი ამტკიცებენ, რომ ახალი ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს საზოგადოების პოლიტიზაციას და მოსახლეობის ფართო ფენების პოლიტიკურ განათლებას, რაც აუცილებელია ნებისმიერი დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირებისათვის.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს, თავისთავად, არც დემოკრატიის ავტომატური უზრუნველყოფა შეუძლიათ და არც მისი შესუსტება. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები შეიძლება სრულიად სხვადასხვა პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდეს: მან შეიძლება გაანათლოს ადამიანები, ჩაუნერგოს საკუთარი ღირსების გრძნობა, თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობისკენ სწრაფვა, ხელი შეუწყოს მის კომპეტენტურ მონაწილეობას პოლიტიკაში, ანდა პირიქით — სულიერად დაიმონოს, დეზინფორმაცია მოახდინოს და შეაშინოს ადამიანი, დანერგოს უნდობლობა და შიში ანუ მთავრობებსა და საზოგადოებებს შეუძლიათ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება როგორც მათი წევრი ინდივიდების გასათავისუფლებლად და დემოკრატიული მმართველობის უზრუნველსაყოფად, ისე მათი კონტროლის მიზნით.

საინფორმაციო საზოგადოების ერთ-ერთი ცნობილი თეორეტიკოსი იოჰირო მასუდა თავის სტატიაში „კომპიუტოპია" (1985) წერდა, რომ თუ ყველას ექნება უფლება თავისუფლად გამოიყენოს დახვეწილი ინფორმაციული სისტემები, შეიძლება დამკვიდრდეს დემოკრატიული „კომპიუტოპია", სადაც ჩვეულებრივ ადამიანს აქვს

მეტი ინფორმაცია, ვიდრე 20 ან 30 წლის წინათ შეიძლება ჰქონოდა ყველაზე გამოცდილ პრემიერ-მინისტრსაც კი.

საწინააღმდეგო შესაძლებლობა, რომელსაც მასუდა „ავტომატიზებულ სახელმწიფოს" უწოდებს, — მდგომარეობს ინფორმაციული ტექნოლოგიების მობილიზებაში მოქალაქეებზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის გასაძლიერებლად.

ჯორჯ ორუელის იდეა ყველა სახლში ტელევიზორების დადგმისა მობინადრეთა საქმიანობის სათვალთვალოდ (რომანი „1984", რომელიც მან 1949 წელს დაწერა) მაშინ ფანტასტიკურად გამოიყურებოდა. დღეისათვის კი მოქალაქეთა ქცევის ტოტალური თვალყურის დევნება ტექნიკური თვალსაზრისით სირთულეს არ წარმოადგენს. მაგალითად, ავტომატურად ფიქსირდება ყველა სატელეფონო ზარი ფიჭური ტელეფონით და შეიძლება განისაზღვროს ტელეფონის მფლობელის ადგილსამყოფელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ცენტრალიზებული მეთვალყურეობისა და კონტროლის მზარდი შესაძლებლობანი უკვე დიდი ხანია საზოგადოების ნაწილის შეშფოთებას იწვევს.

ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და მმართველობის ტიპებს შორის კავშირის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ დეცენტრალიზებული საინფორმაციო ტექნოლოგიები დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ცენტრალიზებული ინფორმაციული ტექნოლოგიები შეიძლება განვიხილოთ როგორც პოტენციურად დესტრუქციული ძალა დემოკრატიის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ სფეროში აუცილებელია კარგად გააზრებული არჩევანის გაკეთება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოხდება თავისით და უარესი შედეგებით.

სახელმწიფო და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების სფეროები. არსებობს ხელისუფლების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ორი ძირითადი სფერო:

— ხელისუფლების არჩევისა და მისი კონტროლის დროს;

— ფართომასშტაბიან პროგრამებში, როგორიცაა სოციალური დაცვა და გადასახადების აკრეფა.

ხელისუფლების არჩევისა და კონტროლის საკითხში ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი უაღრესად მნიშვნელოვანია. აშშ-ის მრავალ შტატში რთული მრავალკანდიდატიანი არჩევნები ჩვეულებრივ ტარდება „ხმის დათვლის" მანქანების გამოყენებით, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ხმების სწრაფი და ზუსტი დათვლა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ელექტრონული მედიის და პირველ რიგში ტელევიზიის ფაქტორი, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა

მთელი საარჩევნო პროცესი. საარჩევნო კამპანიათა უმეტესობა ამჟამად წარმოადგენს ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემას. საარჩევნო კამპანიების სტრატეგია და ტაქტიკა ასევე მნიშვნელოვანწილად ყალიბდება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით შეგროვილი ინფორმაციის კომპიუტერული სტატისტიკური ანალიზის შედეგად (რომელიც აგრეთვე თითქმის შეუძლებელი იქნებოდა კომპიუტერების გარეშე).

ელექტრონული დემოკრატიის თეორია. ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენა დემოკრატიულ პროცედურებზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს, რადგანაც ტექნოლოგიურად შესაძლებელია, რომ ამომრჩევლებს ტელევიზიით აეხსნას ყველა საკამათო საკითხი და შემდგომ მათ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება „ელექტრონული რეფერენდუმების“ გზით. გადაწყვეტილებების მიღების ეს გზა უკვე გამოიცადა აშშ-ში ადგილობრივ დონეზე.

კომპიუტერული რევოლუციის მნიშვნელოვანი ნიშანია ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის ცალმხრივი კავშირის შეცვლა მრავალფუნქციური და დიალოგური კავშირით, რაც ახალ შესაძლებლობებს ქმნის საინფორმაციო გაცვლაში მონაწილეობისათვის. ასეთი მოვლენის მნიშვნელობა პოლიტიკური პროცესებისათვის განსაკუთრებით ცხადი გახდა ორმხრივი კავშირის საკაბელო ტელევიზიის დანერგვით, რომელიც სულ უფრო მეტად მკვიდრდება.

ორმხრივი კავშირის სისტემით მაყურებლებს შესაძლებლობა აქვთ გამოხატონ თავიანთი აზრი პრინციპით: „კი—არა“, „მეტი—ნაკლები“ ტელემიმღების შესაბამის ღილაკზე თითის დაჭერით. ეს ახალი ტექნიკური საშუალებანი პოლიტიკურ პროცესში შეიძლება გამოყენებული იქნეს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას „მომენტალური“ შეჯამებით, პოლიტიკურ დისკუსიებში, რეფერენდუმის ჩასატარებლად და ა.შ.

ეს ხერხები იმდენად პოპულარულია, რომ პოლიტიკურ მეცნიერებაში მათ განიხილავენ საზოგადოების საყოველთაო დემოკრატიზაციის საშუალებად. სერვან-შრეიბერის აზრით, ასეთი ტექნოლოგია გზას უხსნის პლურალიზმს, ადგილობრივი ინტერესების ფართოდ გამოხატვის შესაძლებლობას, ისე რომ ზიანი არ მოაქვს არც ერთი დემოკრატიული ინსტიტუტისათვის. მათ აღსანიშნავად გამოიყენება სპეციალური ცნებაც „ტელედემოკრატია“.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული დემოკრატიის ცნება უკვე დიდი ხანია ფართოდ გამოიყენება, დღემდე არ არსებობს მისი ერთიანი და საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება. უფრო ადრეული და კონკრეტული განმარტებების თანახმად ელექტრონულ დემოკრატიაში იგულისხმებოდა ახალი საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეშვეობით პოლიტიკური აქტიურობის რეალიზება. მოგვიანო პერიოდის განმარტებებში ელექტრონული დემოკრატია პოლიტიკისა და მართვის ცენტრად წარმოდგება, რომელიც აუმჯობესებს მოქალაქეობას ამ სიტყვის ფართო აზრით.

ელექტრონული დემოკრატიის ანალიზი თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში ხორციელდება დემოკრატიის ტრადიციული კონცეპტების: ლიბერალიზმის, რესპუბლიკანიზმისა და პარტისიპატორული დემოკრატიის თეორიის ცნებითი აპარატის კონტექსტში.

ტელედემოკრატიის კონცეფცია მნიშვნელოვანწილად თავის არგუმენტებს იღებს ე.დაუნსის დემოკრატიის ეკონომიკური მოდელიდან, რომელიც ლიბერალურ-პოლიტიკურ თეორიაში XX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა. მოცემული მოდელი ემყარება პოლიტიკური ქცევის რაციონალურობის იდეას. დემოკრატიულ სისტემაში მმართველები და მართულები ხელმძღვანელობენ არა იდეალებით, არამედ საკუთარი ინტერესებით. დემოკრატიის ეკონომიკურ მოდელს ჩვენ უკვე შევეხეთ და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

რესპუბლიკური პოლიტიკური ტრადიციის ფარგლებში უკანასკნელ ათწლეულში თეორიული ძიების უმთავრეს მიმართულებად იქცა „დელიბერატიული" ანუ რეფლექსური დემოკრატიის კონცეფციას, რომელიც შეიმუშავა გერმანელმა ფილოსოფოსმა ი.ჰაბერმასმა. მისთვის იდეალია თავისუფალი და თანასწორი ინდივიდების საზოგადოება, რომელიც პოლიტიკური კომუნიკაციების მეშვეობით განსაზღვრავს ერთობლივი ცხოვრების ფორმებს.

პოლიტიკური საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის ცნებას ჰაბერმასი იღებს რეალური პოლიტიკური პროცესის დემოკრატიულობის შეფასების კრიტერიუმის სახით. ხალხის აზრისა და ნების ფორმირების პროცედურა წარმოდგება როგორც დემოკრატიული თვითორგანიზაცია და ლეგიტიმურია ის გადაწყვეტილება, რომლის განხილვაშიც მონაწილეობა მიიღო მოქალაქეთა მაქსიმალურად დიდმა რაოდენობამ. პოლიტიკურმა კომუნიკაციამ რაციონალურად უნდა ჩამოაყალიბოს მონაწილეთა ნება. კომუნიკაციის მიზანია კონსენსუსის მიღწევა. დელიბერატიული დემოკრატიის კონცეფცია აქტიურად გამოიყენება ინტერნეტის, როგორც დემოკრატიის საჯარო სფეროს თანამედროვე კვლევებში.

პარტისიპატორული დემოკრატიის თეორეტიკოსებისათვის (ჯ.ვოლფი, ფ.გრინი, ბ.ბარბერი) იდეალია დემოკრატიის კლასიკური თეორიის იდეა, რომ ხალხს შეუძლია საკუთარი თავის მართვა. მათ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური ხელისუფლების დემოკრატიული სისტემა სრული სახით ჯერ კიდევ არ არსებობს და აუცილებელია მასების საყოველთაო ეფექტიანი ჩართვა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პარტისიპატორული დემოკრატიის თეორეტიკოსებისათვის ელექტრონული ტექნოლოგიები და ინტერნეტი განიხილება პირდაპირი დემოკრატიის დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი საშუალების სახით. ისინი ამტკიცებენ, რომ ახალ საინფორმაციო ტექნიკას უნარი შესწევს თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ყველა პრობლემა გადაჭრას ტრადიციული წარმომადგენლობითი დემოკრატიის „მონაწილეობითი დემოკრატიით" შეცვლით. ჩნდება ახალი შესაძლებლობები საზოგადოების ინტეგრაციის, პოლიტიკური მონაწილეობის რიგი შეზღუდვების მოსახსნელად, მასობრივი აზრის კვალიფიციურობის შესამოწმებლად და ა.შ.

თუმცა, მრავალი პოლიტოლოგი არ იზიარებს ენთუზიაზმს ტელედემოკრატიის პერსპექტივების თაობაზე და ეჭვქვეშ აყენებს „ელექტრონული კენჭისყრის" ობიექტურ შედეგებს.

საბოლოო ჯამში დემოკრატიაზე ინფორმაციული ტექნოლოგიების ზეგავლენა დამოკიდებული იქნება მათი გამოყენების გზების არჩევაზე. სწორედ ამიტომ აუცილებელია მკაფიოდ იქნეს განხილული და გათვალისწინებული ის პერსპექტივები და საფრთხეები, რასაც საზოგადოების წინაშე ქმნის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება.

ამასთან დაკავშირებით, სპეციალისტები საუბრობენ მოვლენათა განვითარების სამ შესაძლო სცენარზე:

— სასურველი მომავალი, როდესაც ინფორმაციული ტექნოლოგიები ფართოდ იქნება ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, დემოკრატია თანამონაწილეობის რეალობის სახით წარმოდგება;

— არასასურველი მომავალი, როდესაც ტექნოლოგიებისა და მართვის მზარდი შესაძლებლობანი გამოყენებული იქნება დემოკრატიის შესაზღუდად;

— ყველაზე სავარაუდოდ მიიჩნევა ისეთი მომავალი, როდესაც ყველას ექნება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უფლება, მაგრამ ამ შესაძლებლობის სრულად გამოყენებისათვის საჭირო რესურსები და ცოდნა კი მხოლოდ მცირეთა ხვედრი იქნება.

კითხვები და დავალებები:

• თქვენი აზრით, რატომ ჩამოყალიბდა და განვითარდა დემოკრატია ევროპული ცივილიზაციის წიაღში?

• განმარტეთ, თუ რატომ უშლის ხელს არადასავლურ საზოგადოებებში დემოკრატიის დამკვიდრებას კულტურულ-ცივილიზაციური ფაქტორი?

• როგორია მუსულმანი ფუნდამენტალისტების დამოკიდებულება დემოკრატიისა და არჩევნებისადმი?

• რაზეა დამოკიდებული დემოკრატიის დამკვიდრების პერსპექტივები არადასავლურ ცივილიზაციებში?

• მოკლედ დაახასიათეთ არადასავლური ცივილიზაციების დემოკრატიასთან დამოკიდებულების ძირითადი მოდელები;

• როგორია „დემოკრატიზაციის მესამე ტალღის" კონცეფციის ძირითადი დებულებები?

• რა განაპირობებს ავტორიტარიზმის უკუტალღის შესაძლებლობას თანამედროვე პირობებში?

• თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების საფუძველზე შეეცადეთ ახსნათ საქმე გვაქვს დემოკრატიზაციის მესამე ტალღის განვითარებასთან თუ შეიძლება ვილაპარაკოთ რევერსიული მოძრაობის დაწყებაზე?

• რა განსხვავებაა ელექტორალურ და ლიბერალურ დემოკრატიებს შორის?

• რა თავისებურებებით ხასიათდებოდა აშშ-ის 2000 წლის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია?

• რა მიმართულებები გამოიკვეთა დიდი ბრიტანეთის საარჩევნო სისტემის რეფორმაში?

• მოკლედ დაახასიათეთ ცვლილებები საფრანგეთის საარჩევნო სისტემაში;

• რა ცვლილებები მოხდა იტალიის საარჩევნო სისტემაში XX საუკუნის 90-იან წლებში?

• რას ემყარება ვარაუდი დემოკრატიის განვითარების ახალი სტადიის დადგომის შესახებ დასავლეთის ქვეყნებში?

• რას ეწოდება „ელექტრონული დემოკრატია"?

• რა პრობლემებსა და პერსპექტივებს ქმნის ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები დემოკრატიის წინაშე?

• რა ცვლილებები გამოიწვია ახალმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა საარჩევნო პროცესში?

რა წაიკითხეთ:

• **Larry Siedentop. Democracy in Europe. Allen Lane. The Penguin Press. 2000**

Ларри Зидентоп. Демократия в Европе. М.: Логос, 2001 – 311 с.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ლარი ზიდენტოპი ცდილობს გაიაზროს დემოკრატიის თანამედროვე პრობლემები. ავტორი ამტკიცებს, რომ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური დაახლოება გადაიზარდა დემოკრატიული ლეგიტიმურობის კრიზისში, როდესაც საერთოევროპული „ზესახელმწიფოს" ჩამოყალიბება არ არის განმტკიცებული ადეკვატური პოლიტიკური გადაწყვეტილებებითა და ინსტიტუტებით. რა მასშტაბის სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაცია არის დემოკრატიის ადეკვატური? — ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი კითხვა, რომელსაც ზიდენტოპი აყენებს და იქვე იძლევა გაფრთხილებას: „დემოკრატიის თანამედროვე იდეა საშიშია ევროპისათვის თავისი გაორებით". ერთი მხრივ, დემოკრატიული თავისუფლებანი და პიროვნების დამოუკიდებლობა გულისხმობს მასშტაბურ სოციალურ ორგანიზაციას. მეორე მხრივ, დემოკრატიული მოქალაქეობა გულისხმობს, რომ პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისით კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს მცირე მასშტაბებს, რადგანაც იგი ხელს უწყობს მოქალაქეთა მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. „ასეთია თანამედროვე დემოკრატიის დილემა", — აღნიშნავს ლ.ზიდენტოპი. გაერთიანების გზაზე დამდგარი ევროპის წინაშე სწორედ აღნიშნული დილემა დგას და მასზე პასუხის ძიება მოცემული ნაშრომის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

- **Huntington S. The Thied Wave. Democratization in the Late Twentieth Century. Norman, 1991.**
- **Markoff J. The Great Wave of Democracy in Historical Perspective. Ithaca, 1994.**
- **Markoff J. Waves of Democracy. Social Movements and Political Change. Thousand Dakes, 1996.**

ს.ჰანთინგტონისა და ჯ.მარკოვის ნაშრომები ეძღვნება დემოკრატიული განვითარების მსოფლიო ტალღებს და მათ კავშირს ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებთან. მოცემულია დემოკრატიზაციის პროცესების ისტორიული ანალიზი. მკითხველი ბევრ საინტერესო ფაქტობრივ მასალას და დებულებას იპოვის აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

- **Beck V. The Reinvention of Politics. Rethinking Modernity in the Global Social Order. Cambridge, 1997.**
- **Etzioni A. The Limits of Privacy. N.Y., 1999.**

დასავლეთში მოღვაწე ცნობილი თეორეტიკოსები უ.ბეკი და

ა.ეტციონი თავიანთ ნაშრომებში იკვლევენ დემოკრატიის ახალი ფორმების ჩამოყალიბებისა და განვითარების პერსპექტივებს. დღეს ძნელია ითქვას, რა ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს დემოკრატიულ ინსტიტუტებში ამ ძიებას. სავარაუდოდ, წამყვანი ტენდენცია იქნება სამოქალაქო საზოგადოების როლის და მისი ზეგავლენის გაზრდა პოლიტიკურ საზოგადოებაზე, რომელიც დღეს პროფესიონალი პოლიტიკოსების, ტექნოკრატებისა და ბიუროკრატიული სტრუქტურების სამფლობელოს წარმოადგენს.

• Diamond L. Is the Third Wave Over? – Journal of Democracy, Vol.7, № 3, 1996.

Даймонд Л. Прошла ли «третья волна» демократизации? // Полис, 1999 № 1.

ლ.დაიმონდი აანალიზებს დემოკრატიზაციის პროცესების შენელებისა და „უკუქცევის" ფაქტებს. აღნიშნავს, რომ დემოკრატიზაციის ტალღას მოსდევს „უძრაობა" და ტრანსფორმაციის პროცესები თავისებური სტატიკის პერიოდში შევიდა.

• Политические институты на рубеже тысячелетий. Дубна, «Феникс», 2001.

რუსი პოლიტოლოგების კოლექტიურ ნაშრომში განხილულია დასავლეთისა და რუსეთის პოლიტიკურ ინსტიტუტებში მიმდინარე ცვლილებები, რასაც განაპირობებს გლობალიზაციის, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის, მოდერნიზაციისა და ტრადიციონალიზმის ბრძოლის პროცესები. წიგნში ნაჩვენებია პოლიტიკური პარტიებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტების ევოლუცია და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემები. დასახელებული ნაშრომი მოცემულ თავში განხილული საკითხების მთელი კომპლექსის უფრო ღრმად შესწავლის საშუალებას იძლევა.

• Dahl Robert A. Democracy and Its Critics. New Haven: Yale University Press, 1989.

Даль Р. О демократии. М., 2000.

რობერტ დალი აღნიშნავს, რომ დემოკრატიამ უკვე გაიარა რამდენიმე რევოლუციური გარდაქმნა, ამასთან მის მომხრეებს ხშირად ბოლომდე გააზრებული არც ჰქონდათ მიმდინარე მოვლენები. ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად დგება დემოკრატიის ახალი — მესამე დიდი ეპოქა.

II არჩევნები და საზოგადოების პოლიტიკური სისტემა

თავი VI

არჩევნების როლი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში

§ 1. არჩევნები როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი

პოლიტიკური ინსტიტუტის არსი. ინსტიტუტების თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანგი სამართალმცოდნე მ.ორიუ აღნიშნავდა, რომ ინსტიტუტი — ეს გარკვეული იდეაა, რომელიც კონკრეტულ გარემოში ხორციელდება. ნებისმიერი პოლიტიკური ინსტიტუტი შედგება სტრუქტურის (ორგანიზაციის) და კოლექტიური წარმოდგენებისაგან, რომლებიც ამ სტრუქტურას ემსახურებიან.

ინსტიტუტი უნდა განვიხილოთ როგორც საზოგადოებრივი (სოციალური) მექანიზმი, რომლის დახმარებითაც:

- იბადება ხელისუფლება;
- რეალიზდება სამოქალაქო საზოგადოების არსი;
- ყალიბდება პოლიტიკური ელიტა;
- მიმდინარეობს პიროვნების სოციალიზაციის პროცესი;
- ხორციელდება კონტროლი ხელისუფლების მოღვაწეობაზე და ხდება ამ მოღვაწეობის რეგულირება მოქალაქეთა მხრიდან;
- ირკვევა საზოგადოების განწყობის მაჩვენებლები;
- რეალიზდება ხელისუფლების ორგანოებში ამომრჩეველთა წარმომადგენლობის ურთიერთობები.

პოლიტიკური ინსტიტუტი იზოლირებულად კი არ არსებობს, არამედ მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანთა ცხოვრებასთან.

ინსტიტუტებს ამოძრავებენ ადამიანები, რომლებიც ემორჩილებიან გარკვეულ ნორმებს, განკარგულებებს და მიზნებს. ინსტიტუტი მძლავრი დინამიური სისტემაა, თავისებური სოციალური ფაბრიკა, რომელიც რაღაცას „აწარმოებს" — ადამიანებს სამუშაო ადგილებს აძლევს, აკმაყოფილებს მათ ინტერესებს და ა.შ.

თუ ადამიანებმა ნდობა დაკარგეს კონკრეტული ინსტიტუტისადმი, ვთქვათ, პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი ან მთავრობისადმი, მაშინ საქმე გვაქვს ინსტიტუტის კრიზისთან, ანუ ინსტიტუციონალურ კრიზისთან. ამიტომ პოლიტიკურ ინსტიტუტთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა განვიხილოთ ადამიანთა მოტივაცია და პოლიტიკური ქცევის ფორმების მთელი სპექტრი.

არჩევნებს, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის სტრუქტურა. არჩევნები ხალხის ხელისუფლების ერთ-ერთი ინსტიტუტი და მოქალაქეთა პოლიტიკური სამართალსუბიექტობის რეალიზაციის ხერხია. არჩევნები — დემოკრატიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომლის მეშვეობით ხალხი ახორციელებს თავის ხელისუფლებას. არჩევნები არის ხელისუფლების ორგანოების ფორმირების ხერხი მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოხატვის მეშვეობით, რაც გარკვეული წესების საფუძველზე (საარჩევნო სისტემის შესაბამისად) ხდება. არჩევნების შედეგად არჩეულ კანდიდატებს სახელისუფლო უფლებამოსილება ენიჭებათ.

არჩევნები საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ზეგავლენა მოახდინონ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. არჩევნები პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტია, ხალხის მიერ თავისი ხელისუფლების უშუალო გამოხატვა. არჩევნები იურიდიული თვალსაზრისით არის ხალხის მიერ თავისი წარმომადგენლებისათვის ხელისუფლების გამოყენების უფლების მიცემა.

მსოფლიოში დღეისათვის არსებული დაახლოებით 200 სახელმწიფოს აბსოლუტური უმრავლესობა იყენებს ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევნების ინსტიტუტს როგორც ყველა სახელისუფლო ინსტიტუტის ფორმირებისა და განახლების ერთადერთ ლეგიტიმურ გზას.

სხვადასხვა ქვეყნებში ირჩევენ: პრეზიდენტს (მალაიზიაში — მეფესაც კი), პარლამენტს (ყველა შემთხვევაში — მის ქვედა პალატას), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ზოგიერთ ქვეყანაში — ფედერაციების სუბიექტების ხელმძღვანელებს (გუბერნატორებს) და ა.შ. ზოგიერთი ორგანოს მოქალაქეები უშუალოდ, პირდაპირი

არჩევნების გზით ირჩევენ, სხვებს ირჩევენ განსაკუთრებული კოლეგიები (მაგალითად, გერმანიის პრეზიდენტს), ანდა მრავალსაფეხურიანი არჩევნების გზით.

არჩევნების ინსტიტუტი წარმოადგენს სამართლებრივი ნორმების, საარჩევნო სისტემების, ორგანიზაციული სტრუქტურების, პოლიტიკური ტრადიციების ერთობლიობას. მაგრამ არჩევნების პოლიტიკური ინსტიტუტის 'მინაარსი არ შეიძლება დაყვანილი იქნეს მხოლოდ „საარჩევნო სისტემის" ცნებაზე და მით უმეტეს, საარჩევნო სამართალზე. არჩევნების შინაარსი და ფუნქციების მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად სცილდება ისეთი მოვლენების ფარგლებს, როგორიცაა საარჩევნო სამართალი, საარჩევნო სისტემა და საარჩევნო პროცესი.

არჩევნების ინსტიტუტს აქვს თავისი საკუთარი სტრუქტურა:

- ნორმატიული ბაზა საარჩევნო სამართლის სახით;
- საარჩევნო კომისიების სისტემა;
- არჩევნების ორგანიზების პრაქტიკულად მომუშავე სისტემა;
- არჩევნების ორგანიზატორთა კადრების მომზადების სისტემა;
- საარჩევნო სამართლისა და საარჩევნო პროცესის შესწავლა სასწავლო დაწესებულებებში;
- საზოგადოებასთან მუშაობის ფორმები და მეთოდები არჩევნებში მის მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- კონსტიტუციურად განმტკიცებული (ან განსაზღვრული) ხმის მიცემის სისტემა;
- არჩევნებზე საზოგადოებრივი კონტროლის სისტემა;
- ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში არჩევნების ინსტიტუტის ინტეგრირების ხერხები და ფორმები.

არჩევნების ინსტიტუტში პრინციპულ როლს ასრულებს ის გარემოება, თუ რამდენად აქტიურად ღებულობენ მასში მონაწილეობას რიგითი მოქალაქეები, როგორია საარჩევნო მონაწილეობის მოტივები, ანდა რატომ არ დადიან არჩევნებზე, კმაყოფილნი არიან საარჩევნო პრაქტიკით თუ მოითხოვენ მის შეცვლას. მოქალაქეთა მონაწილეობა არჩევნებში ჩვეულებრივ ნიშნავს არსებული წყობის მიღებას, სხვა შემთხვევაში ისინი არ მივიდოდნენ არჩევნებზე. არჩევნებში მონაწილეობით მოქალაქეები ავლენენ თავიანთ პოლიტიკურ ლოიალობას.

მიჩნეულია, რომ არჩევნები მოქალაქეთა მხრიდან ხელისუფლებაზე ზემოქმედების ძირითადი საშუალებაა. რასაკვირველია, ეს შეიძლება ითქვას მხოლოდ დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც ხალხს საშუალებას აძლევს აირჩიოს ან გადააყენოს საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელი დადგენილი წესის მიხედვით.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც არ უნდა სრულფასოვანი იყოს არჩევნები, რაც არ უნდა ეფექტიანი იყოს ამ გზით მოქალაქეთა ზემოქმედება ოფიციოზზე, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ გზად, რომლის მეშვეობით ამომრჩევლები აჯილდოებენ ან სჯიან თავიანთ რჩეულებს მათი საქმიანობისათვის. აქ გარკვეული როლი შეიძლება შეასრულოს ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა ხალხის პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერება, რომელიც სხვადასხვა სახით შეიძლება გამომჟღავნდეს.

ცხადია ისიც, რომ ხელისუფლების ორგანოების არჩევის პრინციპული შესაძლებლობის უბრალო ან ფორმალური დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს არჩევნების სრულფასოვანი ინსტიტუტის, როგორც ხალხის ხელისუფლების ფორმირების გზის დადგენას. რა უშლის ხელს არჩევნებს? შესაბამისი სიტუაციისა და საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობისათვის სასარგებლო საარჩევნო წესების არარსებობა. არჩევნების წესების ხშირი ცვლა ეჭვქვეშ აყენებს არჩევნების სამართლიანობას და მაშასადამე, მის ლეგიტიმურობასაც. საქართველოში კი, დაწყებული1989 წლიდან ფაქტობრივად ყოველი არჩევნების წინ ხდება საარჩევნო კანონის რადიკალური გადაკეთება.

არჩევნების ინსტიტუტის არსი პოლიტიკური ლიდერისათვის ისაა, რომ არჩევნების წყალობით, მას როგორც კანდიდატს შეუძლია დემოკრატიული საშუალებებით, ძალადობის ან სახელმწიფო გადატრიალების გარეშე, ჩამოაყალიბოს მხარდაჭერის თავისი სოციალური ბაზა. რა არის საზოგადოების ინტერესი? ის, რომ კონკურსის საფუძველზე აირჩიოს საუკეთესო კანდიდატები, ისინი, რომლებიც მოიპოვებენ მასობრივი ელექტორატის მხარდაჭერას. პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატები ერთმანეთს ეჯიბრებიან მაქსიმალურად დიდი სოციალური მხარდაჭერის მოპოვებაში. დემოკრატიულ არჩევნებში იმარჯვებს ის, ვისაც უპირატესობას მიანიჭებენ ამომრჩევლები. აქ მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ გაიმარჯვა — გენიოსმა თუ ბოროტების განსახიერებამ.

ერთმანეთს კონკურენციას უწევენ კანდიდატების სოციალური ბაზები და არა მათი პიროვნული თვისებები. მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება განსაჯოს, თუ ვის აირჩევს — გენიოსს თუ ბოროტმოქმედს. ელექტორატი უმაღლესი მსაჯულია დემოკრატიის დროს. ამომრჩევლები შეიძლება ფანატიკოსს დემაგოგს გაჰყვნენ, როგორც ეს XX საუკუნის 30-იან წლების გერმანიაში იყო, შეიძლება პრაგმატიკოსი პოლიტიკოსი აირჩიონ, როგორც ეს იმავე პერიოდის აშშ-ში მოხდა. ელექტორატმა, ე.ი. მასებმა შეიძლება სწორი არჩევანი

გააკეთონ, მაგრამ საბედისწერო შეცდომაც შეიძლება დაუშვან. მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ამას მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანია ის, რომ არავის, განსაკუთრებით კი ხელისუფლებას, უფლება არა აქვს ხალხს თავისი თვალსაზრისი მოახვიოს. პარტიებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი თავის აგიტირება, რეკლამირება, ამომრჩევლებთან ვაჭრობა და ა.შ. მაგრამ მათ არ შეუძლიათ იძულება ან ძალადობა. სწორედ ამ ფაქტორით, ისევე როგორც კანდიდატებისა და ამომრჩევლებისათვის თანაბარი პირობების შექმნით (კანდიდატებისათვის — აგიტაციის საწარმოებლად, ამომრჩევლებისათვის — არჩევანის გასაკეთებლად) განისაზღვრება არჩევნების ინსტიტუტის დემოკრატიული ხასიათი.

არჩევნები — პოლიტიკური სისტემის განახლების ტექნოლოგია. არჩევნები — პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული განახლების ტექნოლოგიას წარმოადგენს. არჩევნების მეშვეობით ხელისუფლების ორგანოების ფორმირების იდეის წარმოშობა და პრაქტიკული დამკვიდრება ახალი დროის დემოკრატიებს უკავშირდება. ამდენად, პოლიტიკურ სისტემაში არჩევნების როლის განხილვა, წესით, მხოლოდ დემოკრატიული სისტემებით უნდა შემოიფარგლებოდეს, სადაც არჩევნების მეშვეობით ყალიბდება სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, განისაზღვრება კანდიდატები არჩევით თანამდებობაზე. ანუ არჩევნები დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

არჩევნების მეშვეობით ხელისუფლების ორგანოები ღებულობენ ლეგიტიმაციას — ე.ი. სახალხო მხარდაჭერას და აღიარებას. არჩევნების გარეშე ნორმალურ, ცივილიზებულ სახელმწიფოს ვერ წარმოუდგენია არსებობა. არჩევნები განსაზღვრავს პოლიტიკურ ძალთა განლაგებას, ასახავს ამა თუ იმ პარტიის, საარჩევნო ბლოკის თუ პოლიტიკური ჯგუფის გავლენას. არჩევნების შედეგები, თუკი ისინი მიიღება პატიოსანი ბრძოლის წესებით, ასახავს ამომრჩეველთა განწყობას, ქვეყნის განვითარების ტენდენციას.

არჩევნების მნიშვნელოვანი შედეგია პოლიტიკური ლიდერების შერჩევა — მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მხარი დაუჭირონ ნაწილს, ზოგიერთს კი ნდობაზე უარი უთხრან. რეგულარულად ჩატარებული არჩევნები პოლიტიკურ ხელმძღვანელობას „ფორმაში", დაძაბულობაში ამყოფებს. ხელმძღვანელობის შეცვლის პერიოდული შესაძლებლობა აიძულებს მათ გაითვალისწინოს ხალხის ინტერესები.

პოლიტიკური არჩევნები არის ხელისუფლებისა და მმართველობითი ორგანოების ფორმირება (მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოვლენის გზით), გარკვეული წესების (საარჩევნო სისტემის) შესაბამ'ად. არჩევნების სუბიექტია საზოგადოება მისი მოქალაქეების სახით, ხოლო ობიექტი – პოლიტიკურ-სასელმწიფოებრივი ხელისუფლება.

არჩევნები არის კანონით დადგენილი სასელმწიფო-სამართლებრივი პროცედურა, რომლის დროსაც მოქალაქეები ხმას აძლევენ კანდიდატს ან პარტიას, რის შედეგადაც მათი ნება აყალიბებს ხელისუფლების არჩევით (წარმომადგენლობით) ორგანოს ან აირჩევა კონკრეტული თანამდებობის პირი — პრეზიდენტი, ქალაქის მერი, მოსამართლე და ა.შ.

არჩევნები სრულფასოვანი და რეალურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კონკურენტულ ბრძოლაში მონაწილეობდა ორი ან მეტი კანდიდატი, ან რამდენიმე პარტია.

მაგრამ XX საუკუნეში არჩევნების ინსტიტუტის გამოყენება ფართოდ დაიწყეს არადემოკრატიულმა — სხვადასხვა სახის ავტორიტარულმა და ტოტალიტარულმა რეჟიმებმაც. ცხადია, არჩევნების როლი, ფუნქციები და ხასიათი ასეთ საზოგადოებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩატარებული არჩევნებისაგან.

ცალკე განხილვის საგანია არჩევნების, როგორც დემოკრატიაზე გადასვლის გზის პრობლემა და საერთოდ, არჩევნების როლი დემოკრატიაზე გარდამავალ საზოგადოებებში.

არჩევნების პოლიტიკურ-სამართლებრივი როლი. არჩევნების პოლიტიკურ-სამართლებრივი როლი შემდეგში მდგომარეობს:

- არჩევნები კონსტიტუციური წყობის ფუძემდებლური პრინციპია;
- არჩევნები პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტია, ხალხის მიერ თავისი ხელისუფლების უშუალო გამოხატვა;
- არჩევნები იურიდიული თვალსაზრისით არის ხალხის მიერ თავისი წარმომადგენლებისათვის (პრეზიდენტი, პარლამენტი, სხვა არჩევითი თანამდებობის პირები)ხელისუფლების გამოყენების უფლების მიცემა;
- არჩევნები ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების დემოკრატიულ წესს წარმოადგენს;
- არჩევნები ხელისუფლების სისტემის რეფორმირების ლეგიტიმური საშუალებაა;

• არჩევნები სახელმწიფოს საქმეების მართვის ფორმაა.

მოსლიანობაში, არჩევნები თანამედროვე პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ არჩევნების შედეგად (რეალურად რა სასიათისაც არ უნდა იყოს ჩატარებული არჩევნები) არჩეული კანდიდატები აღიჭურვებიან ხელისუფლებითი უფლებამოსილებით. დღეს არჩევნების გარეშე არ შეუძლია არსებობა პრაქტიკულად არც ერთ სახელმწიფოს.

თანამედროვე პირობებში არჩევნების მნიშვნელობა და ხვედრითი წილი დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი არაერთგვაროვანია. ეს განპირობებულია არა მარტო სხვაობით წარმომადგენლობითი ორგანოების რაოდენობაში, არამედ თავად ამ ორგანოების არაერთნაირი მნიშვნელობით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არჩევითია მხოლოდ პარლამენტის ქვედა პალატა და თვითმმართველობის ორგანოები; საფრანგეთში კი ირჩევენ პრეზიდენტს, პარლამენტის ორივე პალატას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

არაერთნაირია არჩევნების როლი განსხვავებული პარტიული სისტემების მქონე ქვეყნებში. ერთპარტიული ან ერთი დომინირებული პარტიის მქონე სისტემაში არჩევნების გზით, როგორც წესი, ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალები არ მოდიან. უმნიშვნელოა არჩევნების როლი იმ სახელმწიფოებშიც, სადაც წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა ნაწილი კი არ აირჩევა, არამედ ინიშნება.

ამდენად, პასუხი მოცემული თავის სათაურში დასმულ კითხვაზე — არჩევნების როლი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში არ შეიძლება იყოს ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი.

არჩევნების არაორიგინალური თეორიები. არჩევნებთან დაკავშირებით სრულიად მოულოდნელი და ერთი შეხედვით უცნაური თეორიებიც იქმნება. ზოგიერთი ამგვარი თეორია არჩევნებს მისტიკურ და საიდუმლოებით მოცულ საბურველში ახვევს, სხვების მიხედვით კი არჩევნებთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია და ყოველივეს წინასწარ პროგნოზირება შეიძლება. ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ რამდენიმე ამგვარ თეორიას.

არჩევნების „ციკლური თეორია“. აშშ-ში დიდი ხნის მანძილზე პოპულარული იყო „არჩევნების ციკლური თეორია“, რომლის თანახმადაც წინასაარჩევნო ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია ბუნებრივ ციკლებზე — დაკავშირებულია ბუნებასთან, მთვარის ფაზებთან და ა.შ. ამ თეორიის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ არსებობს საყოველთაო ციკლური კანონი, რომელიც განსაზღვრავს ეპიდემიების პერიოდულ აფეთქებას, სიკვდილიანობას, გარეულ ცხოველთა ჯოგების

გადაადგილებას და ა.შ. ეს კანონი მოქმედებს საზოგადოების ცხოვრებაშიც, ამიტომ საჭიროა არა იმდენად ადამიანთა მოთხოვნილებების შესწავლა, რამდენადაც მათი განმსაზღვრელი ბუნებრივი მოვლენების შესწავლა.

მსგავს პოზიციაზე მდგომი ერთ-ერთი ფრანგი თეორეტიკოსი აღნიშნავდა, რომ არჩევნების შედეგები საფრანგეთში ბევრად განისაზღვრება საარჩევნო ოლქში ნიადაგის საფარის ხასიათით: თუ ნიადაგი მდიდარი და ნაყოფიერია, მაშასადამე, იქ შეძლებული გლეხები ცხოვრობენ და იქ უფრო მტკიცე პოზიციები აქვთ მემარჯვენე კონსერვატიულ პარტიებს. ამგვარ მსჯელობაში რაციონალური მარცვალი არის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საარჩევნო პროცესების არსის ამაზე დაყვანა არ შეიძლება.

„ნულოვანი არჩევნების თეორია“. არჩევნებს მისტიურობის საბურველში მეცნიერებზე მეტად ჟურნალისტები და პუბლიცისტები ხვევენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ თავიანთი ვარაუდებით ისინი მართლაც ახდენენ ზეგავლენას არჩევნების შედეგებზე. მაგალითად, აშშ-ში ერთ დროს პოპულარული იყო „ნულოვანი პრეზიდენტების“ თეორია. ამ თეორიის თანახმად, „ნულზე დამთავრებულ“ წელიწადს არჩეულ პრეზიდენტს მრავალი საფრთხე ელის. აღნიშნულის დასადასტურებლად შესაბამისი ფაქტებიც მოჰყავთ: აშშ-ის მე-9 პრეზიდენტი უილიამ ჰენრი ჰარისონი, რომელიც 1840 წელს აირჩიეს მომდევნო წელს გარდაიცვალა; აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი, რომელიც 1860 წელს გახდა პრეზიდენტი, 1865 წელს მოკლეს, ხელახალი არჩევის შემდეგ; აშშ-ის მე-20 პრეზიდენტი ჯეიმს ჰარფილდი, რომელიც 1880 წ. აირჩიეს, მომდევნო წელს მოკლეს; 1920 წელს არჩეული 29-ე პრეზიდენტი უორენ გარდინგი 1923 წელს გარდაიცვალა; პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი, რომელიც ოთხჯერ აირჩიეს და ერთ-ერთი არჩევა 1940 წელზე მოდიოდა, პრეზიდენტის პოსტზე მყოფი გარდაიცვალა; 1960 წელს არჩეული 35-ე პრეზიდენტი ჯონ კენედი 1963 წელს მოკლეს. ამ სიაში ზოგჯერ 1980 წელს არჩეული პრეზიდენტი როლანდ რეიგანიც შეჰყავთ. როგორც ცნობილია, რეიგანზე თავდასხმა მოხდა და იგი თანამედროვე მედიცინამ იხსნა. მაგრამ 50 ან 100 წლის წინათ იგი ჭრილობისაგან აუცილებლად დაიღუპებოდა. მეცნიერული ღირებულება ამ თეორიას, ცხადია, არა აქვს, მაგრამ რიგით მკითხველზე შთაბეჭდილებას ნამდვილად ახდენს.

არჩევნები, როგორც გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება. არჩევნები ხელისუფლების შეცვლის შიდასახელმწიფოებრივ მექანიზმს წარმოადგენს, მაგრამ გლობალიზაციის ეპოქაში მნიშვნელოვანია მასზე საგარეოპოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენა.

რიგი მკვლევრების აზრით, თანამედროვე პირობებში სავსებით რეალურია არჩევნების ინსტიტუტისა და საარჩევნო ტექნოლოგიების მიზანმიმართული გამოყენება გარეშე ძალების მიერ, იმისათვის რომ რომელიმე ქვეყანაში ხელისუფლებას ჩამოაცილონ არასასურველი პოლიტიკური ძალები და ხელი შეუწყონ თავიანთი მიზნებისათვის ხელსაყრელი ძალების მოსვლას ხელისუფლების სათავეში.

აღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებად მიიჩნევა იუგოსლავიის პრეზიდენტ მილოშევიჩის ხელისუფლების დამხობა. მას ვერაფერი დააკლეს ბომბების მეშვეობით, მაგრამ ხელისუფლებას ჩამოაცილეს საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებით.

არჩევნებზე, როგორც გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებაზე, წერენ უკრაინელი და რუსი ავტორები. მათი ვარაუდით, დასავლეთი აქტიურად იყენებს საარჩევნო ტექნოლოგიებს ამ ქვეყნებში თავისთვის სასურველი ძალებისათვის ხელისუფლებისაკენ გზის გასაკაფად. ბუნებრივია, რიგი ანალიტიკოსები რუსეთში აქტიურად ფიქრობენ, აგრეთვე, არჩევნების მეშვეობით რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევას მეზობელ ქვეყნებში, პირველ რიგში კი პოსტსაბჭოურ სივრცეში.

საგარეო ფაქტორის ზეგავლენაა ქვეყნის შიდა პროცესებზე და მათ შორის არჩევნებზეც განსაკუთრებით დიდ-პატარა ქვეყნებში. ამდენად, საქართველოს პირობებში აღნიშნული საკითხი საფუძვლიან შესწავლასა და სათანადო რეაგირებას მოითხოვს.

§ 2. არჩევნების თავისებურებანი და ეფექტიანობის პირობები

არჩევნების თავისებურებანი. შეიძლება აღინიშნოს არჩევნების ოთხი ძირითადი თავისებურება:

1. არჩევნები გარკვეულწილად წარმართავს და ამასთანავე ძირფესვიანად ცვლის საზოგადოების ზეგავლენას მთავრობის საქმიანობაზე. არჩევნების დემოკრატიული ხასიათი იმაზე მიუთითებს, რომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ მათ მიერ არჩეული ხელმძღვანელობის საქმიანობაზე. ასეთი არჩევნები არ ეყრდნობა ხელმძღვანელობის სამხედრო და ადმინისტრაციულ ძალაუფლებას.

2. არჩევნების დროს გათანაბრებულია ყველა მოქალაქის უფლება — ზემოქმედება მოახდინოს არჩეული ხელისუფლების

საქმიანობაზე. ინსტიტუციური მექანიზმის არქონის შემთხვევაში ხელმძღვანელობაზე გავლენის მოპოვება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ცალკეულ პირთა აქტიური მოქმედებისა და მათ მიერ სხვადასხვა ხერხების გამოყენების გზით, მაგრამ ამ შემთხვევაში მოქალაქეთა უფლებამოსილებათა და ზემოქმედების შინაარსი უკვე თანაბარ ხასიათს აღარ ატარებს.

3. გარდა იმისა, რომ არჩევნები საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ზემოქმედება მოახდინოს მმართველობაზე, ის ხელს უწყობს მართვისათვის საჭირო ახალი და უფრო დახვეწილი მეთოდების დანერგვას და გამოყენებას.

4. არჩევნების მეშვეობით მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ხელმძღვანელობის შერჩევაში. ჩაერთონ, მხარი დაუჭირონ, ხოლო თუ საჭირო გახდა, წინააღმდეგობა გაუწიონ დღის წესრიგში დასმულ ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის გატარებას.

ამრიგად, არჩევნები საშუალებას აძლევს მასებს ზეგავლენა მოახდინონ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ამასთან, ამ ზეგავლენას არა აქვს მარტივი და პირდაპირი სასიათი. ყველა მოქალაქე, რომელიც უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა თუ ქონებრივი ცენზისა, სრულიად თანაბარი უფლებებით სარგებლობს ამ პროცესში. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნები იმის საშუალებასაც იძლევა, რომ გარკვეულწილად შეიზღუდოს და ნაკლებეფექტური იყოს მასების ჩარევა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

არჩევნებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების შესახებ. პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ზოგჯერ გვხვდება თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც არჩევნები მხოლოდ თავისებურ პოლიტიკურ რიტუალს წარმოადგენს, რომელიც გადამწყვეტ ზეგავლენას არ ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკურ პროცესებზე. ისინი მხოლოდ ქმნიან პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შთაბეჭდილებას. ასეთი მტკიცება იმას ემყარება, რომ არჩევით თანამდებობებზე კანდიდატთა წამოყენება ძირითადად პოლიტიკური პარტიების პრეროგატივას წარმოადგენს. ამის გამო ამომრჩეველთა არჩევანის თავისუფლება შეზღუდულია მკაცრი ჩარჩოებით: მათ აქვთ მხოლოდ არჩევანის გაკეთების უფლება კანდიდატებს შორის, რომელთაც კონკურენტი პარტიები წარმოადგენენ.

სკეპტიკოსთა აზრით, ისეთი არჩევნებიც კი, რომლებიც თავისუფალ მეტოქეობრივ ხასიათს ატარებს, არც თუ მნიშვნელოვან როლს

ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში და ამის დასასაბუთებლად იყენებენ ოთხ ძირითად არგუმენტს:

1. ადმინისტრაციული არგუმენტი. რა როლი შეუძლია შეასრულოს არჩევნებმა, თუ საზოგადოებრივ გადაწყვეტილებათა უმრავლესობის მიღება ხდება არაარჩეული ოფიციალური პირების — ადმინისტრატორების, ბიუროკრატებისა და მოსამართლეების მიერ. რასაკვირველია, ადმინისტრაციული ორგანოები აღჭურვილნი არიან მხოლოდ იმ უფლებით, რომ უზრუნველყონ საკანონმდებლო ორგანოს მიერ საჯაროდ გამოცხადებული კანონების სისრულეში მოყვანა, სასამართლოებმა კი ზუსტად უნდა განსაზღვრონ და დაადგინონ, თუ რა აქვთ მხედველობაში კანონმდებელთ, მაგრამ პრაქტიკულად ადმინისტრაციული ორგანოები ყოველდღიურად ღებულობენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ხოლო სასამართლოს კი, სარგებლობს რა საკანონმდებლო აქტების მოქნილობით, სურვილისამებრ გამოაქვს კანონით დადგენილი განჩინება.

როგორც ვხედავთ, ადმინისტრაციული არგუმენტის წინა პლანზე წამოწევით ამტკიცებენ, რომ ეროვნული საქმიანობის ყოველდღიური წარმართვა ამჟამად ფაქტობრივად ნახევრადავტონომიური ადმინისტრაციული ორგანოებისა და სასამართლოების ხელთაა და რომ მასების მიერ არჩეული მეთვალყურეები მხოლოდ დროდადრო, არარეგულარულად ერევიან მათ საქმიანობაში.

2. ელიტარული არგუმენტი. რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არჩევნებს, როდესაც არჩეული კანდიდატები დამოკიდებულნი არიან გავლენიან ჯგუფებზე და მათ ზემოქმედებას განიცდიან ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების დროს? ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ეს ელიტარული წრეები დიდ თანხებს ახმარს საარჩევნო კამპანიების წარმოებას და რომ მათი გავლენის ქვეშ იმყოფება მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური სფეროები?

3. დაინტერესებული ჯგუფის არგუმენტი. რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არჩევნებს, თუ იგი არის არა ამომრჩეველთა მთელი მასის, არამედ დაინტერესებულ პირთა კარგად ორგანიზებული ჯგუფების განსაკუთრებული ინტერესების გამომხატველი, რომლებიც ზემოქმედებენ თანამდებობის პირების მიერ გადაწყვეტილებათა მიღებაზე?

4. სახელმწიფოს მართვის არგუმენტი. რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არჩევნებს, თუ სადღეისო უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო გადაწყვეტილებათა მიღება შედის (და ეს ასეც უნდა იყოს) გამოცდილი სპეციალისტების (იქნება ეს სამხედრო, ეკონომი-

კური თუ მეცნიერული სფეროები) და არა პოლიტიკოსების იურისდიქციაში.

მიუხედავად სკეპტიკოსთა არგუმენტებისა, მეცნიერთა უმრავლესობა თვლის, რომ დემოკრატიულ სისტემებში არჩევნები ხელისუფლების განხორციელების მექანიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

არჩევნების ეფექტიანობის პირობები. არჩევნებს, როგორც ხელისუფლების ინსტიტუტს, განსხვავებული ზემოქმედების მოხდენა შეუძლია როგორც საზოგადოებაზე, ისე სახელმწიფოს შემდგომ განვითარებაზე. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ არჩევნები არ აღმოჩნდეს არსებული სახელისუფლო სისტემის რეფორმირების ლეგიტიმური გზა. კრიზისების პერიოდებში საზოგადოებაში გარკვეული ძალების მხრივ ჩნდება ხელისუფლების დაპყრობის სურვილიც.

ერთნაირი არ არის არჩევნების როლი პოლიტიკურ პროცესშიც. ეს ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს არსებულ პოლიტიკურ სისტემაზე, პოლიტიკური რეჟიმის ტიპზე. ასე მაგალითად, დემოკრატიულ სახელმწიფოებში არჩევნებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისათვის, მაშინ, როდესაც არადემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნები პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას არ ახდენს.

როგორც აღნიშნავდა ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ი.ილინი, ყოველ ხალხს და ყოველთვის როდი შეუძლია თავისი საუკეთესო წარმომადგენლების შერჩევა არჩევნების გზით. არჩევნების ეფექტიანობა დამოკიდებულია მთელ რიგ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებზე.

ეკონომიკური ფაქტორები. არჩევნების ეფექტიანობის აუცილებელი ეკონომიკური საფუძველია განვითარებული საკუთრებითი და საბაზრო ურთიერთობათა არსებობა, რაც მეწარმეობის თავისუფლებას მოითხოვს. ადამიანებს, რომლებიც ფლობენ საკუთრებას და ეკონომიკურ თავისუფლებას, აქვთ დასაკარგიც და დასაცავიც. ამიტომ მათთვის დემოკრატიული არჩევნები — აუცილებელი პირობაა თავისი ეკონომიკური ინტერესების გამოსახატავად და დასაცავად. პირიქით, ბაზრის განუვითარებლობა, სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიური მდგომარეობა მოითხოვს არა დემოკრატიას, არამედ ავტორიტარულ რეჟიმს და არ ესაჭიროება არჩევნები მისი ნამდვილი აზრით.

არჩევნების ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება აგრეთვე ხელფასისა და მატერიალური

კეთილდღეობის დონე, დასაქმების დონე, წარმოების რაციონალური ორგანიზაცია.

აბსენტიზმი (არჩევნებში არმონაწილეობა) შეიძლება იყოს სიღარიბის წინააღმდეგ პროტესტის ფორმა. მაგრამ სტაბილურობის პირობებში კეთილდღეობა და კმაყოფილება, ასევე შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკაში არმონაწილეობის ფაქტორი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივი კომუნიკაციების (გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის გავრცელება) განვითარებას. მასმედია აწვდის მოქალაქეებს ინფორმაციას და ეხმარება პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.

სოციალური ფაქტორები. სოციალურ ფაქტორებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მძლავრი, ეკონომიკურად შეძლებული „საშუალო კლასის" არსებობა, რომელიც დაინტერესებულია საზოგადოების სტაბილურობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მყარი ბინადრობა, ე.ი. მოსახლეობის უმრავლესობის მუდმივი ცხოვრება გარკვეულ ტერიტორიაზე, ოჯახური ურთიერთობების სიმტკიცე, საკუთარი საქმის, შრომის პატივისცემა.

სულიერი ფაქტორები. არჩევნების ეფექტიანად გამოყენების სულიერ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოიყოს ხალხის მიერ თავისი ისტორიულ-ეროვნული ერთობის შეგრძნება, რასაც მივყავართ პატრიოტიზმის გრძნობის განვითარებასთან, აგრეთვე, განაპირობებს კანონისადმი პატივისცემას, მოქალაქეობრივი, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხალხის პოლიტიკური კულტურისა და განათლების მაღალი დონე, მისი დემოკრატიული ტრადიციები. ამ საკითხებზე ცოტა უფრო დაწვრილებით მოგვიწევს შეჩერება, რადგანაც არჩევნების ეფექტიანობა დამოკიდებულია გარკვეული პოლიტიკური კულტურის არსებობაზე.

დასავლური პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელია საპარლამენტო დემოკრატიის ინსტიტუტებისა და ტრადიციების ერთგულება, რწმენა იმისა, რომ პოლიტიკური სამართლიანობის მიღწევა შესაძლებელია არჩევნების გზით, თუკი არჩევნებში უზრუნველყოფილია ხალხის ნების თავისუფალი გამოხატვა.

დასავლურ პოლიტიკურ კულტურას უპირისპირებენ **აზიურ პოლიტიკურ კულტურას.** აქ პოლიტიკა ყოველთვის გამოცალკევებულია ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებისაგან, საპარლამენტო დემოკრატიასა და დემოკრატიულ არჩევნებს არა აქვთ ისტორიული ფესვები. ამიტომ, დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვა ხშირად მხოლოდ

დეკორატიულ ხასიათს ატარებს. მოქალაქეები უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენენ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებზე. საზოგადოებაში ძლიერი ფეოდალური და წინაფეოდალური ხანიდან მომდინარე ტრადიციები.

გამოყოფენ, აგრეთვე, **შუალედური სასიათის პოლიტიკურ კულტურებს**, რომლებიც ერთმანეთთან ათავსებს ევროპული და აზიური პოლიტიკური კულტურებისათვის დამახასიათებელ თვისებებს. ჩვენი აზრით, სწორედ ამ სახის პოლიტიკური კულტურა დომინირებს დღეს საქართველოში. თუმცა, ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება გამოითქმის. თავად პოლიტიკური კულტურა ცვალებადი ფენომენია, საქართველო კი ამასთან ერთად გამოირჩევა განსხვავებული სუბკულტურების თანარსებობითაც.

ფსიქოლოგიური ფაქტორები. ფსიქოლოგიური ფაქტორები მოიცავს კოლექტივიზმის გრძნობას, საზოგადოების საქმეებში თანამონაწილეობის შეგრძნებას, ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის ბრძოლისადმი მზადყოფნას, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის არსებობას.

პოლიტიკური ფაქტორები. დემოკრატიული არჩევნებისათვის აუცილებელ **პოლიტიკურ** პირობებს შორის გამოიყოფა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, მისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტებით, განვითარებული მრავალპარტიულობა, მდგრადი საკანონმდებლო ბაზა, ისტორიული ტრადიციები.

§ 3. რეფერენდუმი

რეფერენდუმი და პლებისციტი. მოქალაქეთა საარჩევნო აქტიურობის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს **რეფერენდუმი** (ლათ. referendum — ის, რაც უნდა ეცნობოს) და **პლებისციტი** (ლათ. plebs — უბრალო ხალხი და scitum — გადაწყვეტილება, დადგენილება). ისტორიაში პირველი რეფერენდუმი 1439 წელს ჩატარდა შვეიცარიაში.

რეფერენდუმებმა განსაკუთრებული გავრცელება პოვა XX საუკუნეში. ეს განპირობებული იყო მოსახლეობის სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის ზრდით, პოლიტიკური რეჟიმების დემოკრატიზაციით, მსგავსი ღონისძიებების ჩატარების ტექნიკური შესაძლებლობების (კავშირგაბმულობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები) არსებობით.

რეფერენდუმისა და პლებისციტის დროს ამომრჩეველთა ხმის მიცემის შედეგად ღებულობენ გარკვეულ გადაწყვეტილებას. ეს ითქმის ე.წ. საკონსულტაციო რეფერენდუმის მიმართაც, თუმცა ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. პლებისციტს ხშირად უწოდებენ ხმის მიცემას ცალკეულ, მაგრამ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტის დროს.

ამ ვერსიის თანახმად, პლებისციტი — რეფერენდუმის განსაკუთრებული სახესხვაობაა, როდესაც წყდება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხები. როგორც წესი, პლებისციტი ეხება:

- სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას;
- ტერიტორიის სტატუსის შეცვლას;
- სახელმწიფოებრივი საზღვრების შეცვლას.

მაგალითების სახით შეიძლება დავასახელოთ:

— 1946 წლის პლებისციტი მონღოლეთში, რომელზედაც უნდა გადაეწყვიტათ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ან ჩინეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხი. გამოკითხულთა დაახლოებით 100%-მა მხარი დაუჭირა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას;

— 1962 წლის პლებისციტი საფრანგეთსა და ალჟირში ალჟირის დამოუკიდებლობის თაობაზე. ფრანგების დაახლოებით 70%-მა და ალჟირელების 70%-მა მხარი დაუჭირა ალჟირის დამოუკიდებლობას;

— 1988 წლის პლებისციტი ახალ კალედონიაში საფრანგეთისგან სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ. ამომრჩეველთა უმრავლესობა დამოუკიდებლობის წინააღმდეგი აღმოჩნდა და მხარი დაუჭირა საფრანგეთის შემადგენლობაში დარჩენას;

— 1995 წლის პლებისციტი კანადის ფრანგულენოვანი პროვინციის კვებეკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ. პროვინციის მცხოვრებთა 51% კანადისაგან გამოყოფის წინააღმდეგი აღმოჩნდა.

თუმცა, ამ ორი ტერმინის მკაფიო გამიჯვნა არც ოფიციალურ და, არც არაოფიციალურ დონეზე არ არსებობს. პრეზიდენტის არჩევნებს, თუ ამომრჩევლებს სთავაზობენ (არსებითად არა ასარჩევად, არამედ მოსაწონებლად) ერთადერთ კანდიდატურას, უწოდებენ რეფერენდუმსაც (ეგვიპტე) და პლებისციტსაც (პაკისტანი). რეფერენდუმისა და პლებისციტის პროცედურები არსებითად ერთნაირია.

რეფერენდუმი საყოველთაო სასალხო კენჭისყრის განსაკუთრებულ ტიპს ეწოდება, რომლის ობიექტია არა ესა თუ ის კანდიდატი, არამედ

რაიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხი, რომლის თაობაზეც აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობის აზრის გამორკვევა. რეფერენდუმი — ესაა საარჩევნო კორპუსისადმი მიმართვა რაიმე საკითხის სახალოოდ გადასაწყვეტად.

არჩევნები და რეფერენდუმი: მსგავსება და განსხვავება. რეფერენდუმი წარმოადგენს უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტს, რომელიც მნიშვნელოვნად ჰგავს, მაგრამ იმავდროულად განსხვავდება არჩევნების ინსტიტუტისაგან. ეს პირველ რიგში შეეხება პროცედურული ურთიერთობის სფეროს. შეიძლება გამოიყოს მათი მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები:

1. იმ ადამიანთა წრე, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმსა და არჩევნებში, პრაქტიკულად ერთნაირია — ესენი არიან ამომრჩევლები;

2. არჩევნებისა და რეფერენდუმის დროს ამომრჩეველთა ნების გამოხატვის ობიექტი განსხვავებულია: არჩევნებისაგან განსხვავებით, რეფერენდუმის დროს ხმის მიცემა იურიდიულ ძალას აძლევს არა რომელიმე პირის მანდატს, არამედ რაიმე საკითხის გადაწყვეტას, ე.ი. რეფერენდუმის დროს ნების გამოხატვის ობიექტია არა ადამიანი (კანდიდატი), უფრო სწორად მისი სამართლებრივი სტატუსი, არამედ გარკვეული საკითხი, რომლის გამოც ტარდება რეფერენდუმი — კანონი, კონსტიტუციის შესწორება და ა.შ.;

3. არჩევნებისა და რეფერენდუმის შედეგების შეჯამების პრინციპები ასევე განსხვავებულია: არჩევნების შედეგები შეიძლება განისაზღვროს როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემებით, მაგრამ რეფერენდუმის შედეგები მხოლოდ მაჟორიტარიზმის პრინციპების საფუძველზე განისაზღვრება;

4. არჩევნებისა და რეფერენდუმის ორგანიზაციული მხარე პრაქტიკულად ერთნაირია, ერთადერთი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ რეფერენდუმის ჩატარების დროს საჭირო არ არის საარჩევნო ოლქები;

5. მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული ძალა: თუკი დაცულია კანონით დადგენილი პირობები, მაშინ რეფერენდუმის გზით მიღებული გადაწყვეტილება ითვლება ხალხის გადაწყვეტილებად და მისი იურიდიული ძალა უმრავლეს შემთხვევებში მაღლა დგას პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ძალაზე.

რეფერენდუმის სახეები. არჩევნების მსგავსად, რეფერენდუმები სხვადასხვა სახისაა. **საკონსტიტუციო** რეფერენდუმის მეშვეობით ხდება კონსტიტუციის დამტკიცება, ანდა მასში შესწორებების შეტანა. **საკანონმდებლო** რეფერენდუმის საგანია მიმდინარე კანონმდებლობის პროექტი ან აქტი. **საკონსულტაციო** რეფერენდუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი არა აქვს.

რეფერენდუმი — პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ამომრჩეველთა დადგენილებას, რომელიც მიღებულია კენჭისყრის შედეგად გადამწყვეტ საერთო-სახელმწიფოებრივ რეფერენდუმზე, კანონის ძალა აქვს და უფრო მეტადაც ფასდება, ვიდრე პარლამენტის მიერ მიღებული კანონი. ითვლება, რომ რეფერენდუმის (ან პლებისციტის) გზით მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

ამავე დროს რეფერენდუმის (პლებისციტის) მნიშვნელობა არც გადაჭარბებით უნდა შევაფასოთ. რეფერენდუმზე გამოტანილი საკითხები რიგითი ამომრჩევლებისათვის ყოველთვის როდია მისაწვდომი ყოველმხრივ განსახილველად და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. ზოგჯერ რეფერენდუმი ტარდება ამომრჩევლებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში, ხოლო ავტორიტარული რეჟიმების პირობებში — მუქარისა და ძალადობის პირობებში. მაგალითად, პაკისტანში იმათ, ვინც მონაწილეობას არ მიიღებდა პრეზიდენტის თანამდებობაზე გენერალ ზია-ულ-ხაკის კანდიდატურის მოსაწონებლად ჩატარებულ რეფერენდუმში, ემუქრებოდათ დაპატიმრება.

დემოკრატიულ ქვეყნებში რეფერენდუმისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ანგლოსაქსურ ქვეყნებში, სადაც ყოველთვის ბატონობდა პარლამენტის უზენაესობის იდეა (პირველ რიგში — თავად დიდ ბრიტანეთში), მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ. დიდ ბრიტანეთში მისი გამოყენება ადგილობრივ დონეზე მხოლოდ XX ს. 70-იანი წლებიდან დაიწყეს, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე მხოლოდ ერთხელ ჩატარდა (ქვეყნის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შესასვლელად). აშშ-სა და კანადაში ის არასოდეს ჩატარებულა ფედერალურ დონეზე, თუმცა აშშ-ში რეფერენდუმი გამოიყენება შტატებში. რეფერენდუმი არ გამოიყენება მუსულმანური ფუნდამენტალიზმის ქვეყნებში.

რეფერენდუმები ძალზე ხშირად ტარდება შვეიცარიაში, ფედერალურ დონეზე (საშუალოდ წელიწადში 5—10-ჯერ (სულ შვეიცარიაში ჩატარებულია 400-ზე მეტი რეფერენდუმი), რომ არაფერი ვთქვათ ხშირ რეფერენდუმებზე კანტონებში.

რეფერენდუმზე, როგორც წესი, გამოაქვთ საკითხი (ან რამდენიმე საკითხი), რაც გულისხმობს დადებით („დიახ") ან უარყოფით („არა") პასუხს. შესაძლებელია სხვა ვარიანტიც, როდესაც ხმის მიცემის დროს სთავაზობენ არჩევანს რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებას შორის (ასეთი წესი გამოიყენება, მაგალითად, შვეიცარიაში). ამ შემთხვევაში ამომრჩეველმა შეიძლება აირჩიოს ერთი გადაწყვეტილება ან დადებითი პასუხი გასცეს რამდენიმე ვარიანტს. გადაწყვეტილება კი განისაზღვრება ხმების უმრავლესობით: მიღებულად ითვლება ის ვარიანტი, რომელიც მოაგროვებს ყველაზე მეტ დადებით პასუხს. ყველა დანარჩენი ვარიანტი, თუნდაც რომ მოაგროვონ ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა, უარყოფილად ითვლება.

რეფერენდუმზე გამოტანილ საკითხს, ანდა შეთავაზებული ვარიანტების ერთობლიობას ეწოდება რეფერენდუმის ფორმულა. კანონმდებლობა ადგენს რეფერენდუმის გამოყენების ფარგლებსაც. მაგალითად, რეფერენდუმზე არ შეიძლება გამოიტანონ საგანგებო ან გადაუდებელი ხასიათის საკითხები, ანდა ისეთი საკითხები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვენ, ან რომლებზეც პასუხი წინასწარაა ცნობილი (მაგალითად, გადასახადების შემცირებაზე, ხელფასების გადიდებაზე და ა.შ.), არ შეიძლება რეფერენდუმზე გამოიტანონ ბიუჯეტის, ამნისტიის, საკადრო საკითხები, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხები. რეფერენდუმი არ შეიძლება ჩატარდეს ორჯერ ერთი და იგივე საკითხზე, ანდა გამეორება შეიძლება მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ (მაგალითად, ესპანეთში 3 წლის შემდეგ).

ჩვეულებრივ რეფერენდუმს წინ უსწრებს **პროპაგანდისტული კამპანია** მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, დისკუსიები, აგიტაცია გამოტანილი საკითხის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.

როგორც წესი, გადაწყვეტილება რეფერენდუმზე მიიღება:

— აბსოლუტური უმრავლესობით (50% + 1 ხმა) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან;

— აბსოლუტური უმრავლესობით (50% + 1 ხმა) რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობიდან, იმ პირობით, რომ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებული ამომრჩევლების არანაკლებ 50%-მა.

რეფერენდუმი საქართველოში. საქართველოში მხოლოდ ერთხელ — 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის საფუძველზეც გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90,3%-მა. კითხვაზე „გინდათ თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე", დადებითი პასუხი გასცა 3.266.265 ადამიანმა, ანუ რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9%-მა, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 89,3%-მა. წინააღმდეგი იყო 17400 მოქალაქე, რაც რეფერენდუმის მონაწილეთა 0,53%, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 0,48% შეადგენდა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 74-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის არანაკლებ 200 ათასი ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია რეფერენდუმის დანიშვნა მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე, ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

რეფერენდუმის ორგვარი ბუნება. უნდა აღინიშნოს რეფერენდუმების ორგვარი ბუნება. მან დემოკრატიას სარგებელიც შეუძლია მოუტანოს და ზიანიც მიაყენოს: ერთი მხრივ, რეფერენდუმს შეუძლია (იდეალურ შემთხვევაში კი მოწოდებულია) ყველაზე სრულად გამოავლინოს ხალხის ნება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მეორე მხრივ, რეფერენდუმის ორგანიზატორებს შეუძლიათ მის საგნად აქციონ ფსევდოპრობლემა და ამით ხალხის ყურადღების ჩამოცილება სცადონ ამ მართლაც საარსებო საკითხებისაგან. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ხელისუფლება რეფერენდუმზე გამოვლენილი ხალხის ნებას იგნორირებას უკეთებს.

რაც არ უნდა უცნაური იყოს, მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რეფერენდუმები ტარდება ან მდგრადი და განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, ანდა პირიქით, იმ ქვეყნებში, რომლებიც შორს არიან დემოკრატიისაგან და მმართველ რეჟიმს სურს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში თავისი იმიჯი გააუმჯობესოს. რეფერენდუმის ხასიათსა და მის შედეგებს ბევრად განსაზღვრავს რეფერენდუმის ჩატარების პირობები. თუკი, მაგალითად, რეფერენდუმზე გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტის მოწინააღმდეგეებს ხელი არ მიუწვდებათ მასმედიაზე, მაშინ მის დემოკრატიულ ხასიათზე ლაპა-

რაკი არ შეიძლება. ხელისუფლების კონტროლქვეშ მყოფი მედიით დამუშავებული ადამიანები კი ვერ მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას.

რეფერენდუმის გზით პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების გაგრძელება დამასასიათებელია აეტორიტარული რეჟიმებისათვის.

2002 წ. 27 იანვარს უზბეკეთში რეფერენდუმი ჩატარდა, რომელშიც მოსახლეობას ორ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი: ა)პრეზიდენტ ისლამ ქარიმოვისათვის უფლებამოსილების კიდევ ორი წლით გაგრძელება და ბ)ორპალატიანი პარლამენტის შექმნა.

დილიდანვე, პირველივე საათებში რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 80%-მა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ცნობით, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 90%-მა, აქედან 82%-მა მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ისლამ ქარიმოვის პოსტზე ყოფნის კიდევ ორი წლით გაგრძელებასა და ორპალატიანი პარლამენტის შექმნას. ვაშინგტონმა და ევთომ თავისი დამკვირვებლები, უზბეკეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, რეფერენდუმზე არ გამოგზავნა.

პრეზიდენტი **ისლამ ქარიმოვი** რეფერენდუმში ხმის მიცემის შემდეგ ჟურნალისტებს შეხვდა და ესაუბრა. მან რეფერენდუმის შედეგები „დემოკრატიისაკენ გადადგმულ ნაბიჯად" მიიჩნია. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „მე ახლა ასაკით ისეთ ზღვარს ვუახლოვდები, რომ საჭიროა ვიფიქრო, თუ ვინ განაგრძობს იმ საქმეს, ქვეყნის განვითარების იმ მოდელს, რომელიც 1991 წელს დავიწყე, ამიტომაც აუცილებლად მიმაჩნია კიდევ ორი წელი დრო მქონდეს... აქ საქმე ერთი პიროვნების პოლიტიკას არ ეხება, დღეს მე უამრავი მომხრე მყავს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, საშუალო ფენის წარმომადგენლებში".

ისლამ ქარიმოვმა კომენტარი გაუკეთა, აგრეთვე, დასავლეთის კრიტიკულ გამონათქვამებსაც: „ჩვენ გვქონდა არასასიამოვნო და პირდაპირი საუბრები საზოგადოების დემოკრატიზაციის პრობლემებზე, მაგრამ მე ჩემს ოპონენტებს ავუხსენი, რომ ამ სფეროში ჩვენი მიღწევები უნდა შეფასდეს არა იმით, რომ შეესაბამება თუ არა უზბეკეთი განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების სტანდარტებს, არამედ იმ დინამიკით, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ამ მიმართულებით, რაც დაგეგმილი გვაქვს... და არავინ არ უნდა გვაიძულოს ამის ფორსირება".

რეფერენდუმებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის რიგ ქვეყნებში რეფერენდუმისადმი გარკვეულწილად თავშეკავებული დამოკი-

დებულება არსებობს. მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში გავრცელებულია აზრი, რომ რეფერენდუმი საზოგადოებაში დესტაბილიზაციის გამომწვევი ფაქტორია. იგი ხელს უწყობს საზოგადოების პოლარიზებას და მისი სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთთან დაპირისპირებას. გარდა ამისა, რეფერენდუმები დამატებით დატვირთვასა და შეზღუდვას წარმოადგენს ეფექტიანად მომუშავე საპარლამენტო სისტემისათვის.

როგორც აღნიშნავენ ს.ბერგლანდი და ჯ.ბოარდი, მრავალი პოლიტიკური პარტიისათვის მონაწილეობა რეფერენდუმებში გაცილებით უფრო სარისკო და ძვირადღირებული ღონისძიებაა, ვიდრე რეგულარულად მიმდინარე არჩევნებში მონაწილეობა.

რეფერენდუმებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას განაპირობებს დასავლეთის და, განსაკუთრებით აშშ-ს საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულება იმის თაობაზე, რომ პოლიტიკას სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა აკეთებდნენ პროფესიონალები და ამ სფეროში გამორიცხული უნდა იყოს პოპულიზმი. მათ ასევე ეშინიათ, რომ პირდაპირი დემოკრატიის გაფართოებისა და რეფერენდუმების პერიოდულად ჩატარების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება ფულის როლი და, მასთან ერთად, „ძალზედ შეძლებული ინდივიდებისა" და „ცალკეული ჯგუფების" გავლენა. დასავლეთის საზოგადოება, ტრადიციულად პრიორიტეტს ანიჭებს წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტებს პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტებთან და მათ შორის რეფერენდუმთან შედარებით.

კითხვები და დავალებები:

- რა როლს ასრულებს არჩევნები საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში?
- რა არგუმენტებს ემყარება არჩევნებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება?
- რა კრიტერიუმებს ემყარება არჩევნების სხვადასხვა კლასიფიკაციები?
- რა მნიშვნელობა აქვს არჩევნების პერიოდულობას?
- რას ემყარება არჩევნების განხილვა გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალების სახით?
- ჩამოთვალეთ არჩევნების ეფექტიანობის ძირითადი პირობები;
- რა განსხვავებაა რეფერენდუმსა და პლებისციტს შორის?
- როგორი პოლიტიკური სისტემებისთვისაა დამახასიათებელი საპრეზიდენტო არჩევნები რეფერენდუმის (პლებისციტის) მეშვეობით?

• როგორ შეაფასებდით ერთ-ერთ რუსულ სახელმძღვანელოში მოყვანილ შემდეგ მოსაზრებას: „აზიური სუბკულტურა ბატონობს შუა აზიაში, თითქმის მთელ კავზახეთში, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის ავტონომიებში და რუსეთის სხვა ავტონომიებში. აქ პოლიტიკა ყოველთვის განცალკევებული იყო ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებისაგან, საპარლამენტო დემოკრატიას და დემოკრატიულ არჩევნებს არ ჰქონდათ ისტორიული ფესვები, ამიტომ დემოკრატიის კულტივირებას დეკორაციული ხასიათი აქვს. მოქალაქეები მცირე ზეგავლენას ახდენენ იმათზე, ვის ხელშიცაა ხელისუფლება. ის ყოველთვის შებოჭილია ფეოდალური და წინაფეოდალური წარმომავლობის ტრადიციების სისტემით. ამ ტრადიციების დარღვევა ხელისუფლების სათავეში მყოფთ ყოველთვის ძალადობრივი დამხობით ემუქრება. ამის მაგალითები არცთუ ცოტაა — ესაა დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტების ხელისუფლებისაგან ჩამოცილება, გამსახურდიასი — საქართველოში, ნაბიევისა — ტაჯიკეთში, მუტალიბოვისა — აზერბაიჯანში“ (Политология. Учеб. пособие. Под ред. Б.И.Краснова. М., 1995, с.55—56).

რა წაიკითხოთ:

• С.Ф.Лисовский, В.А.Евстафьев. Избирательные технологии: история, теория, практика. М.: РАУ Университет, 2000 . — 320 с.

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს კანდიდატებისათვის, რომლებიც არჩევნებში ცდიან ბედს. თუმცა, პრაქტიკულ რეკომენდაციებთან ერთად წიგნის პირველი ნაწილი არჩევნების ისტორიის განხილვას ეძღვნება სათაურით „პოლიტიკური კომუნიკაციების ისტორიიდან“ (გვ.20—102). მოკლედაა გაშუქებული არჩევნები ძველ საბერძნეთში და რომში, მეფეთა არჩევნები გერმანიასა და პოლონეთში, ინგლისის პარლამენტის არჩევნები XIII–XIX სს. დასაწყისამდე, არჩევნები რუსეთში XX ს. დასაწყისში, არჩევნები საბჭოთა კავშირში. გაშუქებულია პოლიტიკური კომუნიკაციები არჩევნების პერიოდში თანამედროვე განვითარებულ დემოკრატიებში (დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი, გერმანია), ამ ქვეყნების საარჩევნო სისტემები და საარჩევნო პროცესის თავისებურებანი.

• Современная политическая теория. Автор-составитель Д.Хэлд. М.: NOTA BENE, 2001 – 480 с.

კრებულში თავმოყრილია დასავლეთის ცნობილი პოლიტო-

ლოგების ნაშრომები პოლიტიკური მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე. მასში შედის ე.მაკლინის სტატიაც: „წარმომადგენლობის ფორმები და ხმის მიცემის სისტემები". ავტორის მითითებით, წარმომადგენლობის ცნებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დემოკრატიის თეორიაში. წარმომადგენლობა კი უშუალოდ დაკავშირებულია არჩევნებთან და ხმის მიცემასთან. რამდენად თავსებადია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი დემოკრატიასთან? რომელი საარჩევნო სისტემაა უკეთესი? ამ და სხვა კითხვებზე პასუხის ძიებისას სტატიაში განხილულია ხმის მიცემის თეორიის ფუნდამენტური საკითხები.

• **Первый электоральный цикл в России (1993–1996). М.: Весь Мир, 2000 – 248 с.**

სხვადასხვა დონის არჩევნები, რომლებიც ქვეყანაში პერიოდულად ტარდება, თავისებური საარჩევნო ციკლის სახით წარმოდგება. თითოეულ ციკლში შედის საპრეზიდენტო, საპარლამენტო და რეგიონული არჩევნები, რომელთა შედეგადაც ხდება ხელისუფლების განახლება ყველა დონეზე. მისი მთლიანობაში შესწავლა საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით მრავალი საგულისხმო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. წარმოდგენილი ნაშრომი ამგვარი გამოკვლევაა, რომელიც რუსეთის პირველ საარჩევნო ციკლს ეძღვნება. მისი გაცნობა მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის ამ ხასიათის კომპლექსური გამოკვლევის სტრუქტურის შესახებ. გარდა ამისა, შესაძლებელია რუსეთის გამოცდილების შედარება ანალოგიურ ქართულ გამოცდილებასთან.

თავი VII

არჩევნების სახეები და კლასიფიკაცია

1. არჩევნების მრავალგვარობა

არჩევნების სახეები. არჩევნების ინსტიტუტის წარმოშობისა და დამკვიდრების ხანგრძლივი ისტორიული გზის მანძილზე ჩამოყალიბდა სრულიად სხვადასხვა სახისა და ხასიათის არჩევნები. თანამედროვე პირობებში არჩევნების სახეები უაღრესად მრავალფეროვანია.

შეიძლება განვასხვავოთ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. საპრეზიდენტო არჩევნები შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი არჩევნების დროს პრეზიდენტს უშუალოდ მოსახლეობა ირჩევს, არაპირდაპირი არჩევნების დროს კი პრეზიდენტს ირჩევენ პარლამენტარები ან ეს სპეციალურად ამ მიზნისათვის მოწვეული ორგანოს ფუნქციას წარმოადგენს. დემოკრატიულ ქვეყნებში რეგულარულად ტარდება და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და რეგიონული მმართველობის ორგანოების არჩევნები.

სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება არჩევნების გარკვეული კლასიფიკაცია, მისი სახეობების გამოყოფა. იმისდა მიხედვით, თუ ვის ირჩევენ, განასხვავებენ საპრეზიდენტო, საპარლამენტო, მუნიციპალურ არჩევნებს; რიგ ქვეყნებში ხდება მოსამართლეებისა და ზოგიერთი თანამდებობის პირის არჩევა. გარდა ამისა, არჩევნები შეიძლება იყოს მორიგი, რიგგარეშე, დამატებითი და ა.შ.

პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევნები. იმისდა მიხედვით, თუ როგორ გამოხატავენ ამომრჩევლები თავიანთ ნებას, არჩევნები შეიძლება იყოს **პირდაპირი** და **არაპირდაპირი.**

პირდაპირი არჩევნების დროს ამომრჩევლები გარკვეულ პოსტზე უშუალოდ ირჩევენ კონკრეტულ ადამიანს, ანუ არჩევის შესახებ საკითხს უშუალოდ მოქალაქეები გადაწყვეტენ. პირდაპირი არჩევნების

დროს ამომრჩეველსა და იმ კანდიდატს შორის. რომელსაც იგი ხმას აძლევს (ან ამომრჩეველსა და პარტიას შორის) არ არის არავითარი შუალედური ინსტანცია ან საფეხური.

პირდაპირი არჩევნებით რიგ ქვეყნებში ირჩევენ სახელმწიფოს მეთაურს — პრეზიდენტს. პირდაპირი არჩევნებით ყალიბდება ერთპალატიანი პარლამენტი. პირდაპირი არჩევნები ჩვეულებრივ გამოიყენება პარლამენტების ქვედა პალატების არჩევის დროს.

ქვედა პალატის მთავარი ნიშანი სწორედ ისაა, რომ მას პირდაპირი არჩევნებით ირჩევენ. ზოგიერთ ქვეყანაში პირდაპირ ირჩევენ ორივე პალატას. მაგალითად, აშშ-ში წარმომადგენელთა პალატა და სენატი პირდაპირი კენჭისყრით აირჩევა. ასეთივე წესია ბელგიაში. იტალიაში და ა.შ

არაპირდაპირი არჩევნების დროს ამომრჩეველთა ნების პირდაპირი რეალიზება კი არ ხდება, არამედ ის რაღაც შუალედური საფეხურის საშუალებით მიმდინარეობს. არჩევის საკითხს წყვეტენ არა უშუალოდ მოქალაქეები, არამედ მათ მიერ არჩეული პირები — ამრჩევები, დეპუტატები და ა.შ. არსებობს არაპირდაპირი არჩევნების ორი სახე:

- **ირიბი არჩევნები;**
- **მრავალსაფეხურიანი არჩევნები.**

ირიბი არჩევნების დროს ამომრჩეველთა ნების გამოხატვის გზით იქმნება ამრჩევების (ნდობით აღჭურვილი პირების) სპეციალური კოლეგია, რომელიც შემდეგ ამომრჩეველთა სახელით უკვე უშუალოდ ირჩევს კონკრეტული თანამდებობის პირს.

ირიბი არჩევნები გამოიგონეს ჯერ კიდევ აშშ-ის კონსტიტუციის „მამებმა“. ისინი თვლიდნენ, რომ იმ დროისათვის აშშ-ს მოქალაქეთა ძირითადი მასა მზად არ იყო პრეზიდენტის ასარჩევად და შეიძლებოდა შემცდარიყო ამ საქმეში. ამიტომ, მათი აზრით, მოქალაქეებს უნდა აერჩიათ საგანგებო ადამიანები — ამრჩევები, რომლებიც შემდეგ ყველაზე ღირსეულებს აირჩევდნენ.

ამგვარი სისტემა აშშ-ში ფორმალურად დღემდე არსებობს. ფორმალურად იმიტომ, რომ ადრე ამრჩევებს თავისი სურვილის შესაბამისად შეიძლება აერჩიათ პრეზიდენტი, ახლა კი მათ არ შეუძლიათ ამგვარი რამ. დადგენილი პრაქტიკით, ამრჩევების არჩევასთან ერთად წინასწარვეა განსაზღვრული, თუ რომელ კანდიდატს უნდა მისცენ ხმა, ანუ თუ ვინ არის არჩეული პრეზიდენტად, ცნობილი ხდება უკვე არჩევნების დღეს. მეორე სტადია, რომელიც პირველისგან ორი თვითაა დაშორებული და ამრჩევები მონაწილეობენ, ფორმალურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციით გათვალისწინებული ეს ორი ეტაპი დაცულია. თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ,

2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა აშშ-ში თვალსაჩინოდ აჩვენა ამ ინსტიტუტის არქაულობა.

მრავალსაფეხურიანი არჩევნები რამდენადმე განსხვავდება ირიბი არჩევნებისაგან, რადგანაც მოქალაქეთა ნების გამომხატველად აქ გამოდის არა ამრჩევთა კოლეგია, არამედ მუდმივმოქმედი ორგანო: ადგილობრივი საბჭო, პარლამენტი ან პარლამენტის ერთ-ერთი პალატა. ასე მაგალითად, მრავალსაფეხურიანი არჩევნების შედეგად არჩეულად ითვლება იტალიის პრეზიდენტი, რადგანაც მას ირჩევს პარლამენტის ქვედა პალატის წევრებისგან შემდგარი კოლეგია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პროვინციების, რაიონების, რიგი ქალაქებისა და ავტონომიური ოლქების სახალხო წარმომადგენელთა კრებებს, ასევე ჩინეთის პარლამენტს (სახალხო წარმომადგენლების სრულიად ჩინეთის კრება) — ირჩევენ არა უშუალოდ მოქალაქეები, არამედ ქვემდგომი სახალხო წარმომადგენელთა კრებები. ე.ი. ერთ წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული ადამიანები შემდეგ ირჩევენ თავის წარმომადგენლებს ზემდგომ ორგანოში.

ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი არჩევნები. არჩევნების კლასიფიცირების ერთ-ერთი მარტივი და გასაგები ფორმაა მათი გამიჯვნა ჩატარების ტერიტორიის მიხედვით. ამ თვალსაზრისით არჩევნები შეიძლება იყოს:

- **ეროვნული**, როდესაც არჩევნები მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდება;
- **რეგიონული**, რომელიც ქვეყნის შიგნით მსხვილ ტერიტორიულ ერთეულებში ტარდება (მაგალითად, აშშ-ში რეგიონული არჩევნები შეიძლება ეწოდოს შტატებში ჩატარებულ არჩევნებს, საქართველოში რეგიონული არჩევნებია აჭარაში ჩატარებული არჩევნები);
- **ადგილობრივი** არჩევნები ტარდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ან ქალაქის ფარგლებში, რომლის მეშვეობითაც ირჩევენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (ადგილობრივ არჩევნებს ზოგჯერ ადმინისტრაციულ არჩევნებსაც უწოდებენ).

ზოგიერთ ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს თავისი სპეციფიკური სახელი აქვს. მაგალითად, საფრანგეთში დეპარტამენტების გენერალური საბჭოების არჩევნებს კანტონალურ არჩევნებს უწოდებენ (საარჩევნო ოლქების სახით ამ არჩევნების დროს კანტონები გამოდიან).

საარჩევნო ტურები. თუ არჩევნების შედეგი დგინდება ამომრჩეველთა ერთჯერადი ხმის მიცემის გზით, ითვლება, რომ არჩევნები ტარდება **ერთ ტურად**, ხოლო თუ ამისათვის საჭიროა ორი და მეტი ტური, შესაბამისად საქმე გვაქვს **ორ და მეტტურიან** არჩევნებთან. მეორე და მომდევნო ტურებს ზოგჯერ ეწოდება განმეორებითი არჩევნები.

თუ არჩევნები არ შედგა, ანდა ჩაითვალა არშემდგარად, მაშინ ტარდება **ახალი** არჩევნები.

მორიგი და რიგგარეშე არჩევნები. არჩევნები შეიძლება იყოს მორიგი და რიგგარეშე. ჩვეულებრივ ამგვარი დაყოფა საპარლამენტო არჩევნებს ეხება ხოლმე. **მორიგი** არჩევნები ტარდება ან კონსტიტუციასა და კანონში მითითებულ ვადებში, ანდა პარლამენტის უფლებამოსილებათა ამოწურვასთან დაკავშირებით. მაგალითად, საქართველოში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები.

რიგგარეშე არჩევნები ინიშნება პარლამენტის ან მისი პალატის ვადამდელი დაშლის შემთხვევაში. ხოლო თუკი საქმე თანამდებობის პირს ეხება, რიგგარეშე არჩევნების მიზეზი თანამდებობის ვაკანსიის გაჩენაა. მაგალითად, პრეზიდენტის თანამდებობა ვადამდე შეიძლება გათავისუფლდეს სამი მიზეზის გამო — პრეზიდენტი გარდაიცვალა, გადადგა ან გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან იმპიჩმენტის პროცედურის შედეგად.

მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ გარდაიცვალა 1974 წელს, თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ამოწურვამდე. იმავე წელს საფრანგეთში ჩატარდა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და პრეზიდენტი გახდა ჟისკარ დესტენი. მისი 7-წლიანი საპრეზიდენტო უფლებამოსილების გასვლის შემდეგ საფრანგეთში უკვე ჩატარდა მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები და პრეზიდენტად აირჩიეს ფრანსუა მიტერანი.

რიგგარეშე არჩევნები, თუკი ეს ეხება კოლეგიურ ორგანოს (პარლამენტს), ყველაზე ხშირად ტარდება იმ ქვეყნებში, სადაც გათვალისწინებულია პარლამენტის ვადამდელი დაშლის შესაძლებლობა. დიდ ბრიტანეთში მარგარეტ ტეტჩერის პრემიერ-მინისტრობის დროს პარლამენტის არჩევნები სამჯერ ჩატარდა და სამივეჯერ ვადამდელი არჩევნები დაინიშნა. ტეტჩერი იყენებდა ხელსაყრელ პოლიტიკურ კონიუნქტურას. როდესაც მისი პარტიის — კონსერვატორთა პოპულარობა ყველაზე მაღალი იყო, იგი მონარქს შესაბამისი თხოვნით მიმართავდა და პარლამენტი დაშლილად ცხადდებოდა. ვადამდელი

საპარლამენტო არჩევნები კი კონსერვატორებისათვის სასურველი შედეგით მთავრდებოდა.

საყოველთაო, ნაწილობრივი და დამატებითი არჩევნები. არჩევნები შეიძლება იყოს **საყოველთაო**, როდესაც არჩევნებში მონაწილეობს ქვეყნის ყველა ამომრჩეველი (მაგალითად, პარლამენტის ან პრეზიდენტის არჩევნები) და შეიძლება იყოს **ნაწილობრივი ან დამატებითი.**

დამატებითი არჩევნები მაშინ ტარდება, როდესაც აუცილებელია პარლამენტის შევსება და ვადამდე გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად ახლების არჩევა. პარლამენტს წევრები აკლდება გარდაცვალების, ავადმყოფობის ან ნებაყოფლობითი გადადგომის გამო.

დამატებითი არჩევნები ტარდება იმ ოლქებში, რომელთაც დაკარგეს თავიანთი პარლამენტარი. იმ ქვეყნებში, სადაც მრავალრიცხოვანი პარლამენტია (მაგალითად დიდი ბრიტანეთის თემთა პალატა 659 წევრისგან შედგება) და, მაშასადამე, ხშირია საპარლამენტო ვაკანსიების წარმოქმნის შემთხვევები, „აგროვებენ" მათ და ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ტარდება დამატებითი არჩევნები. ეს კეთდება იმისათვის, რომ ყველა ოლქი წარმოდგენილი იყოს პარლამენტში და ყველა მოქალაქეს ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი პარლამენტში.

ნაწილობრივი არჩევნები, განსხვავებით დამატებითი არჩევნებისგან, რეგულარული და სავალდებულოა, გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ნაწილობრივი არჩევნები ტარდება კოლეგიური არჩევითი ორგანოს ნაწილობრივი განახლებისათვის (როტაციისათვის).

ნაწილობრივი არჩევნები, მაგალითად, ორ წელიწადში ერთხელ ტარდება აშშ-ს სენატის განსაახლებლად. აშშ-ში სენატორი 6 წლით ირჩევა, მაგრამ ყველა სენატორი ერთდროულად არ აირჩევა. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხდება სენატორთა ერთი მესამედის განახლება. ამით ამერიკელები თავიდან იცილებენ ზედა პალატის ყველა წევრის ერთდროულად შეცვლის „საფრთხეს". მათ მიაჩნიათ, რომ თუკი ყველა სენატორი ერთსა და იმავე დროს იქნება არჩეული, მაშინ სენატში შეიძლება შეიქმნას „დროებით შეცდომაში მყოფი უმრავლესობა"; ანდა მოქალაქეები, რაიმე იდეების ზეგავლენით, აირჩევენ ისეთ ადამიანებს, რომელთაც მსგავსი შეხედულებები აქვთ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ისინი თვლიან, რომ უფრო გონივრულია ამ პალატის ნაწილ-ნაწილ არჩევა.

იგივე წესი არსებობს საფრანგეთის სენატის არჩევნების დროსაც. სენატორებს 9 წლით ირჩევენ. ამასთან ყოველ სამ წელიწადში

ერთხელ ხდება სენატის ერთი მესამედით განახლება. განსხვავებით აშშ-ს სენატისაგან, რომლის განახლებაც ხდება ყოველ ორ წელიწადში პირდაპირი არჩევნებით, საფრანგეთის სენატი აირჩევა ირიბი, მრავალსაფეხურიანი არჩევნებით — ე.ი. არჩევნები იქ არაპირდაპირია.

შუალედური არჩევნები. გარდა არჩევნების ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციისა, ზოგიერთ ქვეყანაში გვხვდება სპეციფიკური ტერმინოლოგია. მაგალითად, აშშ-ში არსებობს **შუალედური არჩევნები.**

ესაა არჩევნები, რომელიც ტარდება იმ წელს, როდესაც არ ტარდება პრეზიდენტის არჩევნები. როგორც ცნობილია, აშშ-ში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ (ყოველ ნაკიან წელს) ირჩევენ პრეზიდენტს და იმავდროულად იმავე დღეს ირჩევენ წარმომადგენელთა პალატას, სენატის ერთ მესამედს: აირჩევა რიგი გუბერნატორები, ქალაქების მერები და ა.შ. ე.ი. არჩევნები ნაკიან წელს ითვლება ძირითად არჩევნებად, ხოლო არჩევნები ორი წლის შემდეგ, როდესაც გადაირჩევა ქვედა პალატა, აირჩევა სენატის ნაწილი და ა.შ., ეს უკვე შუალედური არჩევნებია.

პრაიმერიზი. აშშ-ში არსებობს არჩევნების კიდევ ერთი განსაკუთრებული ტიპი — **პრაიმერიზი** (პირველადი არჩევნები) — არჩევნები, რომლის შედეგადაც ხდება ამა თუ იმ პარტიის კანდიდატების შერჩევა. რამდენიმე რესპუბლიკელი კანდიდატისაგან აირჩევა ერთი, რამდენიმე დემოკრატი კანდიდატისგან — ასევე ერთი. ესაა პარტიული არჩევნები. პირველადი არჩევნები აშშ-ში არის ღია და დახურული.

ღია პირველადი არჩევნები გულისხმობს, რომ საარჩევნო უბანში შეიძლება მივიდეს ნებისმიერი ამომრჩეველი და რამდენიმე კანდიდატიდან მხარი დაუჭიროს იმას, რომელიც მოსწონს. ე.ი. იგულისხმება, რომ თუკი ამომრჩეველი გამოცხადდა, იგი შესაბამისი პარტიის წევრია. მისი წევრობა ეჭვქვეშ არ დგება, ითვლება, რომ ადამიანმა იცის, რასაც აკეთებს.

დასურული პირველადი არჩევნები გულისხმობს, რომ საარჩევნო უბანზე მისულმა ამომრჩეველმა უნდა დაადასტუროს, რომ იგი იმ პარტიის წევრია, რომლის არჩევნებშიც მონაწილეობს. პარტიული კუთვნილების დადგენა რამდენიმე წესით ხდება. ზოგიერთ შტატში ამომრჩეველმა ფიცი უნდა დადოს, რომ იგი რესპუბლიკელი ან დემოკრატია. ზოგიერთ შტატში ამომრჩევლების რეგისტრაციისას მას ეკითხებიან, თუ რომელ პარტიას ეკუთვნის და გვარის გვერდით

წერენ ასოს: R — ნიშნავს, რომ ის რესპუბლიკელია, D — ნიშნავს დემოკრატს.

პირველადი არჩევნები აშშ-ს ყველა შტატში არ ტარდება, მაგრამ ეს ცნობილი და პოპულარული პროცედურაა. ამ არჩევნების შედეგია პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის შერჩევა, რომელსაც შემდეგ საბოლოოდ აირჩევენ პარტიის ეროვნულ ყრილობაზე. ფორმალურად, პრაიმერიზზე პირდაპირ ყველაზე პოპულარულ კანდიდატს კი არ ირჩევენ, არამედ პარტიული ყრილობების დელეგატებს, რომლებიც იძლევიან დაპირებას, რომ ყრილობაზე ხმას მისცემენ პრეზიდენტობის კონკრეტულ კანდიდატს. თუ პრეზიდენტობის კანდიდატმა „მოიგო პრაიმერიზი", ე.ი. გაიმარჯვა შტატების უმრავლესობაში, ეს ნიშნავს, რომ მან ხმათა უმრავლესობა მოიპოვა პარტიის მომავალ ყრილობაზე.

პირველადი არჩევნები აშშ-ში ტარდება არა მარტო პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის დროს, არამედ სხვა თანამდებობებზეც — გუბერნატორის ან მერიის პარტიული კანდიდატურების შერჩევის დროსაც.

არჩევნების კლასიფიკაცია დემოკრატიულობის ხარისხის მიხედვით. განსაკუთრებით საინტერესოა არჩევნების კლასიფიკაცია საარჩევნო სამართლის პრინციპების თანახმად, რაც ასახავს ამა თუ იმ ქვეყნის, მისი საარჩევნო სისტემის სამართლებრივი, დემოკრატიული განვითარების ხარისხს. ამ შემთხვევაში დაყოფა იძენს დაპირისპირებული წყვილების ხასიათს:

საყოველთაო — შეზღუდული (ცენზიანი);
თანასწორი — უთანასწორო;
პირდაპირი — ირიბი (მრავალსაფეხურიანი);
ფარული — ღია კენჭისყრით.

ნიშნები, რაც ახასიათებს დემოკრატიული საარჩევნო სისტემის მაღალ ხარისხს წარმოდგენილია მარცხენა სვეტში.

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ თავის კონსტიტუციებში ან სპეციალურ საარჩევნო კანონებში გამოაცხადა მოქალაქეთა უფლება საყოველთაო და თანაბარ არჩევნებში ფარული ხმის მიცემით.

არჩევნების პერიოდულობა. რადგანაც არჩევნების პერიოდულობა განისაზღვრება არჩევითი ორგანოების უფლებამოსილების ვადით, ცხადია, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ საყოველთაო ან რეგიონული (ადგილობრივი) არჩევნების პერიოდულობის შესახებ.

არჩევნების პერიოდულობა შესაძლებლობას აძლევს ამომრჩევლებს რეგულარულად განაახლონ არჩევითი ორგანოების შემადგენლობა, დაადასტურონ თავიანთი ნდობა არჩეული პირებისადმი ან უარი უთხრან ამაზე. ეს აიძულებს არჩეულ პირებს ან პოლიტიკურ გაერთიანებებს ანგარიში გაუწიონ ამომრჩეველთა ინტერესებსა და განწყობილებას, ჰქონდეთ მათთან მუდმივი კავშირი, არწმუნებდნენ თავისი პოლიტიკური კურსის სისწორეში ან თავის უნარში მოახდინონ აღნიშნული კურსის კორექტირება და ა.შ.

არჩევითი ორგანოს უფლებამოსილებათა ხანგრძლივობას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ საკითხის ოპტიმალურად გადაწყვეტა ადვილი არ არის. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ჩვეულებრივ 4—5 წელს შეადგენს, ხოლო პრეზიდენტებისა — 5—7 წელს.

უფლებამოსილებათა მოკლე ვადა საშუალებას იძლევა შედარებით ზუსტად აისახოს არჩევითი ორგანოს შემადგენლობაში ამომრჩეველთა კორპუსის მიმდინარე განწყობა, მაგრამ არჩეულ პირებს არ ეძლევათ საშუალება სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, შეასრულონ დასახული გეგმები.

მაგალითად, აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის უფლებამოსილების ვადა ორ წელს შეადგენს. ეს ერთ-ერთი ყველაზე მოკლე ვადაა მსოფლიოში. ამერიკულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ეს საკმარისი არ არის და კონგრესმენებს სჭირდებათ გარკვეული დრო, რომ „აითვისონ" თავიანთი სტატუსი, ამასობაში კი ახალი არჩევნების დროც მოდის. თუმცა, ბევრ კონგრესმენს ახალი ვადით ირჩევენ ხოლმე და მათ წინაშე „ათვისების პრობლემა" აღარ დგება.

თუ არჩევითი ორგანოს უფლებამოსილების ვადა დროში ხანგრძლივია, ამან შეიძლება გამოიწვიოს არჩეულთა მოწყვეტა ამომრჩეველთა კორპუსის, მისი მოთხოვნილებებისა და სურვილებისაგან.

უფლებამოსილებათა მოკლე ვადები უმჯობესია მძაფრი საზოგადოებრივი გარდაქმნების პერიოდებში, როდესაც ამომრჩეველთა განწყობა არასტაბილურია, პოლიტიკური ძალები ფორმირების პროცესში არიან და ძალთა თანაფარდობა სწრაფად იცვლება.

პარლამენტებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ თავისი უფლებამოსილების ვადის გაგრძელება. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებულია ასეთი რამ. მაგალითად, კანადის თემთა პალატას თავისი უფლებამოსილების ვადის გაგრძელება შეუძლია მხოლოდ ეროვნული კრიზისის შემთხვევაში და თავისი წევრების ხმების ორი მესამედის თანხმობით. ფინეთში, იტალიაში, დიდ ბრიტანეთში პარლამენტის

უფლებამოსილების ვადის გაგრძელება მხოლოდ ომის შემთხვევაში შეიძლება.

რაც შეეხება პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდელ შეწყვეტას, რასაც რიგგარეშე არჩევნები მოსდევს, ამის გაკეთება სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია საპარლამენტო და შერეულ რესპუბლიკებში. პარლამენტის თვითდაშლის შესაძლებლობა ჩვეულებრივ გამორიცხულია, თუმცა არის გამონაკლისებიც.

საპრეზიდენტო რესპუბლიკებში პარლამენტს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების ვადის არც შემცირება და არც გაგრძელება, მისი დაშლა პრეზიდენტს არ შეუძლია და არჩევნები რეგულარულად ტარდება.

პრეზიდენტებთან მიმართებაში კონსტიტუციები, ჩვეულებრივ, არაფერს ამბობს მათ უფლებამოსილებათა გახანგრძლივების შესახებ, მაგრამ შესაძლებელია ამ ვადის შემცირება.

§ 2. საპრეზიდენტო არჩევნები

პრეზიდენტის არჩევის გზები. თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობაში სახელმწიფოს მეთაურის სტატუსით პრეზიდენტია აღჭურვილი. სხვადასხვა ქვეყნებში პრეზიდენტის უფლებამოსილებანი განსხვავებულია, ისევე როგორც სხვადასხვაა მათი არჩევის წესებიც.

მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებულია პრეზიდენტის არჩევის ოთხი გზა:

- პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი;
- პრეზიდენტს ირჩევს ამომრჩეველთა კოლეგია;
- პრეზიდენტს ირჩევს განსაკუთრებული ფორუმი (ფართო საარჩევნო კოლეგია);
- პრეზიდენტს ირჩევენ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით.

პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ. პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს ჩეხეთში, უნგრეთში, ლატვიაში, საბერძნეთში, თურქეთში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში. პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევას აქვს თავისი ღირსებანი:

- პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი, როგორც წესი, პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და მკაცრ კონსტიტუციურ ჩარჩოებშია მოქცეული;

• პრეზიდენტს ირჩევენ პროფესიონალები (დეპუტატები, რომელთაც პოლიტიკა თავის პროფესიად გაიხადეს). მათ უკეთ იციან პრეზიდენტის მუშაობის სპეციფიკა, უკეთ ესმით დროის მოთხოვნა, პირადად იცნობენ ადამიანს, რომელსაც ირჩევენ — მის საქმიან და პიროვნულ თვისებებს, შეუძლიათ განსაჯონ თუ რამდენად გამოსადეგია იგი პრეზიდენტის საპასუხისმგებლო როლის შესასრულებლად;

• პრეზიდენტად ირჩევენ პროფესიონალს, რომელსაც იცნობენ და არა არაპროფესიონალ-დემაგოგს, რომელსაც, ძირითადად, ხალხის მოტყუება შეუძლია;

• პარლამენტსა და მის მიერ არჩეულ პრეზიდენტს შორის, სხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის არსებობს ნორმალური უკუკავშირი; პრეზიდენტი უფრო „მისაწვდომია", ნაკლებია იმის შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტი ყველას „მოსწყდება", ქედმაღალი და მიუკარებელი გახდება;

• პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ლეგიტიმურია (პარლამენტი არჩეულია ხალხის მიერ, ამასთან წარმოდგენილია სხვადასხვა პარტიები, სხვადასხვა აზრები, პრეზიდენტი კი ლეგიტიმურობას პარლამენტისგან ღებულობს);

• პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევას არ სჭირდება ის დიდი მატერიალური ხარჯები, რასაც საყოველთაო-სახალხო არჩევნები მოითხოვს;

ღირსებების გარდა, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევას აქვს თავისი ნაკლოვანებანი (უფრო სწორად, ეს ღირესაბათა „მეორე მხარეს" წარმოადგენს):

• მიუხედავად თავიანთი პროფესიონალიზმისა, დეპუტატები — ადამიანთა განსაკუთრებული ფენაა, რომელთაც თავისებური ფსიქიკა, სპეციფიკური ბედი და ჩვევები აქვთ: ნებისმიერ შემთხვევაში ისინი მორალურად და მატერიალურად სწყდებიან ხალხის ძირითად მასას, აქვთ თავისი სპეციფიკური კორპორაციული ინტერესები. ამიტომ ხალხის აზრი და დეპუტატების აზრი იმის თაობაზე, თუ ვინ და როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაური, ერთმანეთისგან შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს;

• რადიკალურად იცვლება პრეზიდენტის თვისებები — ხალხს მოსწონს ძლიერი, ხარიზმატული პიროვნებები და საყოველთაო სახალხო არჩევნებში ყველაზე ხშირად იმარჯვებს სწორედ ამგვარი, ძლიერი პიროვნება. პარლამენტს, პირიქით, ძლიერი ხარიზმატული პიროვნებები არ მოსწონს, დეპუტატები უფრო იქითკენ იხრებიან ხოლმე, რომ აირჩიონ „მოქნილი" პიროვნება, რომლისგანაც დათმო-

ბების მიღწევა ძნელი არ იქნება. ამიტომ არსებობს რისკი, რომ პარლამენტი პრეზიდენტად კანდიდატებს შორის ყველაზე სუსტს აირჩევს;

• დეპუტატები პრეზიდენტის არჩევის დროს შეიძლება ხელმძღვანელობდნენ არა საერთო-ეროვნული, არამედ კორპორაციული, პარტიული, ანგარებით და სხვა ინტერესებით;

• პარლამენტმა პრეზიდენტად შეიძლება აირჩიოს ხალხისთვის სრულიად უცნობი ადამიანი;

• პარლამენტის მიერ არჩეულ პრეზიდენტს პატარა უფლებამოსილებანი აქვს, იგი პარლამენტის ნების გამტარებლად გამოდის და ზოგჯერ არც მტკიცე ხასიათით გამოირჩევა. ამიტომ მას არ შეუძლია ქვეყნის წინაშე მდგარი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტა.

ზოგიერთ პარლამენტში (მაგალითად, უნგრეთში, საბერძნეთში) პრეზიდენტის ასარჩევად საჭიროა არა აბსოლუტური (50%-ზე მეტი) უმრავლესობა, არამედ კვალიფიციური (კონსტიტუციური) უმრავლესობა — დეპუტატების ორი მესამედის ხმები. ამიტომ პრეზიდენტის არჩევა მაშინვე ვერ ხერხდება და ტარდება მრავალრიცხოვანი ტურები (ზოგჯერ მათი რაოდენობა 20-საც აჭარბებს), სანამ იპოვიან კომპრომისულ, ყველასთვის მისაღებ ფიგურას.

პრეზიდენტის არჩევა ხალხის მიერ. საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით პრეზიდენტის არჩევა ბევრ რამეში დიამეტრულად განსხვავდება პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევნების ინსტიტუტისაგან. ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ხმის უფლების მქონე ყველა მოქალაქეს.

საყოველთაო არჩევნების გზით პრეზიდენტის არჩევის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც ქვეყნების უმრავლესობაში გამოიყენება, არის აბსოლუტური უმრავლესობის ორტურიანი სისტემა. ეს ნიშნავს, რომ, პრეზიდენტის არჩევნები:

— ტარდება ორ ტურად;

— პირველ ტურში მონაწილეობს მრავალი კანდიდატი და არჩევისათვის აუცილებელია ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტის მოგროვება (იმ პირობით, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებული ამომრჩევლების 50%-მა და მეტმა);

— თუ რომელიმე კანდიდატი მოაგროვებს 50%-ზე მეტს, მას ირჩევენ უკვე პირველივე ტურში;

— თუ ვერც ერთი კანდიდატი პირველ ტურში ვერ მოაგროვებს 50%-ზე მეტს (ასე ხდება უმრავლეს შემთხვევებში, რადგანაც პირველ ტურში კანდიდატები ბევრია), მაშინ ჩვეულებრივ ორი კვირის შემდეგ

ინიშნება მეორე ტური. მასში მონაწილეობს ორი საუკეთესო კანდიდატი პირველი ტურის შედეგების მიხედვით;

— მეორე ტურში ორი კანდიდატიდან გამარჯვებულად ითვლება ის, რომელიც მეტოქეზე მეტ ხმებს მიიღებს.

პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნების დროს იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც დგინდება პრეზიდენტად არჩევისათვის ხმების 50%-ზე მეტის მოთხოვნა. ასე მაგალითად, ყაზახეთის პრეზიდენტის ასარჩევად პირველ ტურში აუცილებელია არჩევნების მონაწილეთა ხმების 60%-ზე მეტის მოგროვება, ხოლო აზერბაიჯანის პრეზიდენტის ასარჩევად ხმების ორ მესამედზე (დაახლოებით 67%) მეტი. მაგრამ მეორე ტურში საკმარისია უბრალო უმრავლესობის მოგროვება.

პრეზიდენტის საყოველთაო სახალხო არჩევნებს თავისი დადებითი მხარეები აქვს:

• ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს „საყოველთაო-სახალხო მანდატი" აქვს (თუმცა „საყოველთაობა" ამ შემთხვევაში საკმაოდ პირობითია) — ამის გამო იგი თავდაჯერებულად გრძნობს თავს პოსტზე, (დამოუკიდებელია პარლამენტსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში);

• დიდია შანსი იმისა, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი დაიცავს არა პარტიულ, არამედ საერთო-სახალხო ინტერესებს;

• ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ჩვეულებრივ, უფრო ახლოს დგას ხალხთან და გასაგებია მათთვის, ვიდრე პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი;

• უმრავლეს შემთხვევებში, საყოველთაო არჩევნებზე იმარჯვებენ ძლიერი ხარიზმატული პიროვნებები, რომლებიც ქვეყანასა და ეპოქას განასახიერებენ.

მაგრამ პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნებს თავისი არსებითი ნაკლოვანებებიც აქვს:

• საყოველთაო-სახალხო არჩევნები — სინამდვილეში მითს წარმოადგენს, რადგანაც დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი უზრუნველყოფა შეუძლებელია. მაგალითად, წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მინიმალურად აუცილებელმა რაოდენობამ — 50%-მა, ხოლო პრეზიდენტად აირჩიეს კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების მინიმალურად აუცილებელი რაოდენობა — 50%+1 ხმა, ანუ მას მხარს უჭერს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 25%, ამომრჩეველთა სამმა მეოთხედმა კი ან მის წინააღმდეგ მისცა ხმა, ან მონაწილეობა არ მიიღო არჩევნებში;

• მაშასადამე, თეორიულად, შეიძლება პრეზიდენტი არა მთელი ხალხის მიერ, არამედ ამომრჩეველთა კორპუსის მეოთხედის მიერ იყოს არჩეული. რეალობა არცთუ ბევრად განსხვავდება აღნიშნული სიტუაციისაგან. საშუალოდ, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას სტაბილურად ღებულობს ამომრჩეველთა 60—70% (ანუ ამომრჩეველთა ორი მესამედი), ხოლო „საყოველთაო-სახალხოდ" არჩეული პრეზიდენტი იშვიათად აგროვებს ხმების 60%-ზე მეტს. ამრიგად, მთელი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი რეალურად საარჩევნო კორპუსის მესამედის მიერაა არჩეული, ამომრჩეველთა ორი მესამედის ნება კი იგნორირებულია;

• ხალხის მიერ (უმრავლეს შემთხვევებში — მისი მესამედის) არჩეული პრეზიდენტი შეიძლება ძალზე ამაღლდეს ხელისუფლების სხვა ორგანოებზე, ხოლო ქვეყანა თანდათანობით აღმოჩნდეს ერთი პიროვნების ავტორიტარული მმართველობის პირობებში;

• „მთელი ხალხის" მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა საკუთარ თავს ბევრი რამის უფლება შეიძლება მისცეს — სისტემატიურად დაარღვიოს კანონები, ფარულად გაატაროს ჯგუფური ან პარტიული ინტერესები, მონაწილეობდეს მაქინაციებში, დაარღვიოს ზნეობრივი ნორმები და ამასთან საზოგადოებას არ ჰქონდეს მისი გაკონტროლების შესაძლებლობა;

• საყოველთაო-სახალხო არჩევნები ძალზედ ძვირადღირებული ღონისძიებაა;

• ხალხი ჩვეულებრივ აღიქვამს პრეზიდენტობის კანდიდატის გარეგნულ სახეს, მასმედიის მიერ შექმნილ მითებს და არ შეუძლია კანდიდატის რეალური შეფასება, რადგანაც არ იცნობს პრეზიდენტის სამუშაოს სპეციფიკას;

• ხალხი შეიძლება მანიპულაციის მსხვერპლი აღმოჩნდეს და პრეზიდენტად აირჩიოს დემაგოგი, რომელიც შემდეგ მრავალ უბედურებას მოუტანს ქვეყანას (მაგალითად, 1934 წელს გერმანელებმა პრეზიდენტად აირჩიეს ა.ჰიტლერი).

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნები მიღებულია სახელმწიფოთა უმრავლესობაში.

პრეზიდენტის არჩევა ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ. ამომრჩეველთა კოლეგიის მიერ პრეზიდენტის არჩევის წესი ჰგავს პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევის წესს. განსხვავება კი ისაა, რომ ამრჩევებს ხალხი ირჩევს მხოლოდ პრეზიდენტის არჩევის მიზნით. მას შემდეგ, რაც კოლეგიამ აირჩია პრეზიდენტი, იგი იშლება.

პრეზიდენტის არჩევის ამგვარი წესი ძალზედ იშვიათია და იგი აშშ-ში გამოიყენება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამრჩევებს აშშ-ში არა აქვთ თავისი აზრი, მკაცრად არიან დაკავშირებულნი ამომრჩეველთა ნებასთან და ხმას აძლევენ სიით, შეიძლება ითქვას, რომ ამრჩევთა კოლეგია მხოლოდ ტრადიციისთვის გადახდილი ხარკია და ფაქტობრივად აშშ-ში არსებობს 'შენიღბული საყოველთაო-სახალხო არჩევნები.

პრეზიდენტის არჩევა სპეციალური ორგანოს მიერ. სპეციალური ფორუმის მიერ პრეზიდენტის არჩევნები გულისხმობს, რომ პრეზიდენტს ირჩევს არა ხალხის მიერ არჩეული ამრჩევები, არამედ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელი განსაკუთრებული ფორუმი (კრება). როგორც წესი, მასში მონაწილეობენ პარლამენტის დეპუტატები და პროვინციების წარმომადგენლები. ასეთი წესი, მაგალითად, არსებობს გერმანიაში, ინდოეთში, იტალიაში:

- გერმანიაში იქმნება სპეციალური ორგანო, რომელსაც ფედერალური კრება ეწოდება. მასში შედიან ბუნდესტაგის დეპუტატები და მიწების ლანდტაგების მიერ არჩეული იმავე რაოდენობის დელეგატები;
- იმავე პრინციპით — დეპუტატები პლიუს მათი რაოდენობის შესაბამისი წარმომადგენლები პროვინციებიდან — იქმნება კოლეგია ინდოეთის პრეზიდენტის ასარჩევად;
- იტალიაში პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტის ყველა წევრი (945) და ოლქების წარმომადგენელთა უაღრესად მცირე რიცხვი (58).

გარდა ზემოთ აღწერილი გზებისა, ზოგიერთი პრეზიდენტი ხელისუფლების სათავეში მოდის უზურპაციის, ან სხვა რომელიმე არაკონსტიტუციური გზით.

მოთხოვნები პრეზიდენტობის კანდიდატისადმი. არჩევნების ნებისმიერი სისტემის დროს პრეზიდენტობის კანდიდატს ყოველთვის გარკვეულ მოთხოვნებს უყენებენ:

— სავალდებულოა იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომლის პრეზიდენტის არჩევნებშიც იგი მონაწილეობს. ამ თვალსაზრისით არის მკაცრი მოთხოვნები: დაბადებით მოქალაქეობა, ნატურალიზებული მოქალაქე ვერ გახდება პრეზიდენტი (აშშ); დაბადებით მოქალაქეობა როგორც კანდიდატის, ისე მისი მშობლებისა (მექსიკა); არსებობს აგრეთვე „რბილი" მოთხოვნაც — რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეობის დაშვებაც (პოლონეთი, ლიტვა). 1998 წელს ლიტვის პრეზიდენტად

აირჩიეს ვ.ადამკუსი, რომელიც ერთდროულად ლიტვის და აშშ-ს მოქალაქეა;

— გარკვეული ვადის განმავლობაში ქვეყანაში მუდმივი ცხოვრება (5—12 წელი);

— ასაკობრივი ცენზი. პრეზიდენტობის კანდიდატს, როგორც წესი 35 წელი უნდა ჰქონდეს შესრულებული, არის უფრო მაღალი შეზღუდვებიც — 40, 45 წელი; პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის ყველაზე მაღალი ასაკობრივი ცენზი იტალიაში არსებობს — 50 წელი;

— საარჩევნო უფლების ქონა.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს დამატებითი მოთხოვნებიც:

— უნდა იყოს ძირეული ეროვნების წარმომადგენელი (თურქმენეთი);

— იცოდეს სახელმწიფო ენა (უკრაინა);

— ჰქონდეს უმაღლესი განათლება (აზერბაიჯანი);

— წესდება ზედა ასაკობრივი ცენზი — 65 წელი (ყაზახეთი) და ა.შ.;

დემოკრატიის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ერთი და იგივე პირის პრეზიდენტად არჩევის შესაძლებლობის ორი ვადით შეზღუდვა. ერთ-ერთმა პირველმა ასეთი შეზღუდვა აშშ-მ მიიღო (1951 წელი, კონსტიტუციის 22-ე შესწორება). ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად მექსიკაში, პრეზიდენტი შეიძლება მხოლოდ ერთი ვადით აირჩიონ. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად იტალიაში, ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება თეორიულად მრავალგზის აირჩიონ, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი რამ გამორიცხულია.

§ 3. პარლამენტის არჩევნები

პარლამენტი — წარმომადგენლობითი ორგანო. თანამედროვე მსოფლიოში პარლამენტი ეწოდება სახელმწიფოს საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოს. ამგვარი დაწესებულება პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში არსებობს.

მსოფლიოში პირველ პარლამენტად ითვლება 1265 წელს შექმნილი ბრიტანეთის პარლამენტი, თუმცა ზოგიერთი სხვა ერის წარმომადგენლები, მაგალითად ისლანდიელები თვლიან, რომ მათი პარლამენტი — ალტინგი ბრიტანულზე უფრო ძველია. პარლამენტის მსგავსი ორგანო — სენატი არსებობდა რომის იმპერიაში.

პარლამენტის საყოველთაო გავრცელება დაიწყო XVIII საუკუნის ბოლოდან, საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და აშშ-ს დამოუკი-

დებლობის ომის შემდეგ. ამ დროიდან პარლამენტების ძირითად ამოცანას მონარქის ხელისუფლების შეზღუდვა წარმოადგენდა.

XIX საუკუნის პარლამენტების თავისებურება ის იყო, რომ ეს პარლამენტები, როგორც წესი, ცენზების საფუძველზე ირჩეოდა და მის შემადგენლობაში ძირითადად ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ირჩევდნენ. საარჩევნო უფლებათა თანდათანობით გაფართოებამ და საყოველთაო საარჩევნო უფლების დამკვიდრებამ შეცვალა ამგვარი ვითარება.

XX საუკუნის 20—60-იან წლებში პარლამენტების როლი მკვეთრად შემცირდა. ისინი ან უბრალო დეკორაციულ წარმონაქმნად იქცნენ (ფაშისტური ან ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში), ან დათრგუნული აღმოჩნდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დემოკრატიულ ქვეყნებში (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ან საფრანგეთში).

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო პარლამენტების აღორძინება და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში პარლამენტი ხელისუფლების წამყვანი ორგანო გახდა.

პარლამენტების აღორძინების პროცესი ბევრად განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- საარჩევნო უფლება (როგორც აქტიური, ისე პასიური) მამაკაცებთან ერთად ქალებმაც მიიღეს;
- ლიკვიდირებულია მრავალრიცხოვანი ცენზები, რამაც პარლამენტი მდიდარი უმცირესობის ინტერესების გამომხატველი ორგანოდან ნამდვილად სახალხო ორგანოდ გადააქცია;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გააძლიერეს მოქალაქეთა ინტერესი პარლამენტის საქმიანობისადმი;
- არჩევნები პარლამენტში (ყოველ შემთხვევაში ქვედა პალატაში) თავისუფალი, პირდაპირი, თანაბარი და ფარული გახდა;
- განხორციელდა საარჩევნო სისტემის, პარლამენტების სტრუქტურისა და მისი მუშაობის წესების სრულყოფა;
- გაიზარდა პარლამენტების ავტორიტეტი, რადგანაც უფრო პასუხისგებით და პროფესიონალურად დაიწყეს მუშაობა.

პარლამენტების სტრუქტურა. თანამედროვე პარლამენტს აქვს ერთი ან ორპალატიანი სტრუქტურა. იშვიათ შემთხვევაში, მრავალპალატიანი პარლამენტებიც არსებობდა (მაგალითად, იუგოსლავიის პარლამენტი 6 პალატისგან შედგებოდა), მაგრამ პრაქტიკამ გამოავლინა მათი არაეფექტიანობა.

ერთპალატიანი პარლამენტები, ჩვეულებრივ, მცირე ტერიტორიის მქონე უნიტარულ სახელმწიფოებში არსებობს, როგორიცაა ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, შვეცია, უნგრეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, პორტუგალია და სხვები.

ერთპალატიან პარლამენტს აქვს შემდეგი ღირსებანი:

• უბრალო და კომპაქტურია;

• ჩვეულებრივ, პირდაპირ ირჩევს ქვეყნის მთელი მოსახლეობა;

• როგორც წესი, აქვს დიდი უფლებამოსილება;

• ხშირად ერთპალატიანი პარლამენტის ფუნქციებში პრეზიდენტის არჩევა და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის ფორმირება შედის;

• ყველა დეპუტატს ერთნაირი სტატუსი აქვს;

• სწრაფად მიიღება გადაწყვეტილებები;

• მარტივია საკანონმდებლო პროცესი.

თუმცა ერთპალატიან პარლამენტებს თავისი ნაკლოვანებანიც აქვს:

• არასაკმარისადაა წარმოდგენილი სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულები;

• არ არსებობს საპირწონე მეორე პალატის სახით;

• არსებობს პარლამენტის რადიკალიზაციის, პარტიული ინტერესების მოჭარბების საფრთხე;

• პარლამენტი შეიძლება დაუპირისპირდეს სხვა სახელმწიფო ორგანოებს და თავის თავზე აიღოს ყველა ფუნქცია.

ორპალატიანი პარლამენტი, როგორც წესი, არსებობს დიდ ფედერალურ სახელმწიფოებში. ასეთ პარლამენტებში ერთ პალატას, რომელსაც „ქვედა" პალატა ეწოდება, პირდაპირი გზით ირჩევს ხალხი და წარმოადგენს მთელი ხალხის ინტერესებს; მეორე, „ზედა" პალატა წარმოადგენს რეგიონების, ფედერაციის სუბიექტების ინტერესებს და მათ მიერ ყალიბდება.

ორპალატიანი პარლამენტის **ღირსებები** მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

• უფრო სრულადაა წარმოდგენილი საზოგადოება — მთლიანად ხალხიც და ქვეყნის რეგიონებიც, თავისი თავისებურებებით;

• ჩვეულებრივ, ზედა პალატის წევრობის კანდიდატებს უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, ვიდრე ქვედა პალატის წევრობის კანდიდატებს, ამიტომ ზედა პალატის წევრებად ირჩევენ უფრო მცოდნე, კვალიფიციურ, პატივსაცემ, გამოცდილ და ასაკით უფროს ადამიანებს;

• ზედა პალატა ქვედა პალატის საპირწონის როლს ასრულებს — ფილტრავს მის გადაწყვეტილებებს, აშოშმინებს ვნებებს, ამცირებს

პარტიულ ზეგავლენას საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების სასარგებლოდ, ქვედა პალატას არ აძლევს რადიკალიზების საშუალებას;

• ჩვეულებრივ, ზედა პალატას უფლებამოსილების უფრო ხანგრძლივი ვადა აქვს და ნაწილ-ნაწილ ხდება მისი განახლება, რაც ხელს უშლის პოლიტიკური კურსის რადიკალურ შეცვლას;

• როგორც წესი, ზედა პალატა არ იშლება და ყოველთვის ფუნქციონირებს, ამიტომ ქვედა პალატის დაშლის შემთხვევაში, ზედა პალატა აგრძელებს მუშაობას;

• არჩევნების შედეგად ქვედა პალატის რადიკალურად განახლების შემთხვევაში ზედა პალატა უზრუნველყოფს ადრინდელი პოლიტიკის მემკვიდრეობითობას.

ორპალატიანი პარლამენტის მთავარ უპირატესობად ერთპალატიანთან შედარებით ის მიიჩნევა, რომ პარლამენტის მოღვაწეობა უფრო ორგანიზებული და პროფესიონალურია, ხოლო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრება — უფრო სტაბილური. თუმცა ამ დებულების მექანიკური გავრცელება ყველა სახელმწიფოზე არ იქნება მართებული.

ორპალატიან პარლამენტს თავისი **ნაკლოვანებანიც** აქვს:

• იზრდება დეპუტატების რაოდენობა ზედა პალატის ხარჯზე (მათ შესანახად მეტი თანხები უნდა გამოიყოს ბიუჯეტიდან);

• რთულდება საკანონმდებლო პროცესი;

• ზედა პალატა შეიძლება ძალზე კონსერვატიული აღმოჩნდეს და მნიშვნელოვნად ამუხრუჭებდეს ქვედა პალატის საქმიანობას.

ფედერაციული სახელმწიფოები, სადაც არსებობს ორპალატიანი პარლამენტები: აშშ, **რუსეთი, ინდოეთი, ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა.**

უნიტარული სახელმწიფოები, სადაც ორპალატიანი პარლამენტებია: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ბელგია, პოლონეთი, იაპონია, შვეიცარია, პოლონეთი, ჩეხეთი, ყაზახეთი, რუმინეთი და სხვ.

განვითარებული სახელმწიფოების უმრავლესობაში პარლამენტი ორპალატიანია.

პარლამენტის ფორმირების გზები. თანამედროვე პარლამენტები სხვადასხვა გზით ყალიბდება. უფრო სწორად, ერთპალატიანი პარლამენტის ფორმირება, თუ რამდენიმე გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, ყველგან ერთნაირად ხდება — მას უშუალოდ ირჩევენ მოქალაქეები. რაც შეეხება ორპალატიან პარლამენტებს, მათი ფორმირების წესები მრავალფეროვანია. თუ ჩამოვთვლით პარლამენტის ფორმირების ძირითად გზებს, შემდეგ სურათს მივიღებთ:

— ქვედა პალატას ირჩევს ხალხი, ზედა პალატას — რეგიონების წარმომადგენლობითი ორგანოები (ე.ი. ერთი პალატა — პირდაპირი არჩევნებით, მეორე — ირიბით). ასეთი სისტემა გამოიყენება საფრანგეთსა და ჰოლანდიაში;

— ქვედა პალატას ირჩევს ხალხი; ზედა პალატის ორი მესამედი ყალიბდება მემკვიდრეობითი პრინციპით, ხოლო ერთ მესამედს ნიშნავს მონარქი (თემთა პალატა და ლორდთა პალატა დიდ ბრიტანეთში);

— ქვედა პალატას ირჩევს ხალხი და შემდეგ თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ზედა პალატას (ნორვეგია, ისლანდია);

— ზედა პალატის მცირე ნაწილს ნიშნავს პრეზიდენტი სიცოცხლის ბოლომდე, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე დიდი დამსახურებებისათვის (იტალიაში 5 სენატორს სიცოცხლის მანძილზე ნიშნავს პრეზიდენტი, არჩეული 315 დეპუტატის გვერდით);

— ზედა პალატის მნიშვნელოვან ნაწილს ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური (პრეზიდენტი ბელორუსიაში სენატორთა ერთ მესამედს ნიშნავს, ყაზახეთში — ერთ მეოთხედს);

— ქვედა პალატას ირჩევს ხალხი, ზედა პალატა კი ინიშნება (კანადა);

— მთელ პარლამენტს ნიშნავს სახელმწიფო მეთაური (კატარი);

— ადგილების ნაწილი პარლამენტში დაჯავშნულია მოსახლეობის გარკვეული ფენებისათვის (ეგვიპტეში პარლამენტის ადგილების ნახევარი დაჯავშნულია მუშებისა და გლეხებისათვის, ინდოეთში — ადგილების ნაწილი განკუთვნილია ჩამორჩენილი ხალხებისა და ჩამორჩენილი კასტებისათვის, ჩინეთში — არმიის წარმომადგენლებისათვის);

— პარლამენტი ყალიბდება პროფესიონალური ნიშნით (6-პალატიანი პარლამენტი იუგოსლავიაში 1963—1974 წწ.);

— მთელ პარლამენტს ირჩევენ მრავალსაფეხურიანი ირიბი არჩევნების გზით (სახალხო წარმომადგენლების სრულიად ჩინეთის კრება).

მიუხედავად ფორმირების გზების მრავალფეროვნებისა, ცივილიზებულ დემოკრატიულ სახელმწიფოში სრულფასოვანი პარლამენტის უმნიშვნელოვანეს ნიშნებს წარმოადგენს:

- პარლამენტის რეგულარული არჩევითობა;
- პარლამენტის (ან მისი ქვედა პალატის) არჩევა საყოველთაო, თავისუფალი, პირდაპირი, თანაბარი და ფარული არჩევნების გზით.

§ 4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შედის არჩევითი მუნიციპალური საბჭოები ან კომისიები და მათ მიერ შექმნილი აღმასრულებელი ორგანოები. მათი ფორმირების წესები რეგულირდება საარჩევნო კანონებით და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონებით.

თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანაბარი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. პასიური საარჩევნო უფლება ჩვეულებრივ დგინდება 18-დან 25 წლამდე ფარგლებში. იმავდროულად დგინდება მთელი რიგი ცენზები — ბინადრობის ცენზი, სახელმწიფო სამსახურში სხვა პოსტების დაკავებასთან შეუთავსებლობა და ა.შ.

დიდ ბრიტანეთში მუნიციპალიტეტების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ბრიტანეთის ყველა მოქალაქეს (მათ შორის პერებსაც), რომლებიც ქვეყანაში ცხოვრობენ და 18 წელი შეუსრულდათ.

რიგ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ უცხოელებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

დეპუტატობის კანდიდატები. თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის კანდიდატების წამოყენება უმრავლეს შემთხვევებში ხდება პეტიციების შედგენით, რომელთაც ხელს აწერს მოცემულ საარჩევნო ოლქში მცხოვრები ამომრჩევლების კანონით დადგენილი რაოდენობა.

მუნიციპალური ორგანოების არჩევნებში კანდიდატები შეიძლება კენჭს იყრიდნენ პარტიული სიების მეშვეობითაც, ეყრდნობოდნენ გარკვეული პარტიის მხარდაჭერას, ან გამოდიოდნენ დამოუკიდებელი კანდიდატების სახით.

არჩევნები ტარდება როგორც ერთმანდატიანი, ისე მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით. არჩევნების შედეგების განსასაზღვრად გამოიყენება როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემა.

მუნიციპალური ორგანოების არჩევნებში აკრძალულია იმპერატიული მანდატის შემოღება. მუნიციპალური ორგანოების დეპუტატები შეზღუდულნი არ არიან ამომრჩეველთა არანაირი განაწესებით და ვალდებულნი არ არიან ანგარიში წარუდგინონ თავიანთ ამომრჩევლებს.

დიდ ბრიტანეთში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წევრობის კანდიდატად შეიძლება წამოყენებული იქნეს ყოველი მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა და ცხოვრობს მოცემული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუშაობს მის ტერიტორიაზე, ფლობს ანდა არანაკლებ ერთი წლის იჯარით აღებული აქვს მიწა, საწარმო, სახლი, ბინა. დიდ ბრიტანეთში თვითმმართველობის ორგანოს წევრებად არ შეიძლება არჩეულნი იქნენ პერები, ღვთისმსახურები, კადრის სამხედროები, ფსიქიკურად არანორმალურები.

რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს განსაკუთრებული მოთხოვნების არსებობას იმ პირებისადმი, რომელთაც განზრახული აქვთ თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობის დაკავება: სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე აუცილებელი ცხოვრება ან მუშაობა, ადგილობრივი გადასახადების გადახდა და ა.შ.

რიგი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წევრების ვადამდე გაწვევის წესს ამომრჩეველთა შორის ჩატარებული კენჭისყრის გზით.

თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პერიოდულობა. მუნიციპალურ ორგანოებს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ვადით ირჩევენ. აშშ-ში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წევრებს, ამ ორგანოების დონის მიხედვით, ორი ან ოთხი წლით ირჩევენ; დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, პორტუგალიაში, ესპანეთში, დანიაში, ნიდერლანდებში, გერმანიის რიგ მიწებში — 4 წლით; იტალიაში, ირლანდიაში, თურქეთში, კვიპროსზე — 5 წლით; გერმანიის რიგ მიწებში, ავსტრიაში — 5—6 წლით; ბელგიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში — 6 წლით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების რიცხობრივი შემადგენლობა ასევე განსხვავებულია: როგორც წესი, მერყეობს რამდენიმე დეპუტატიდან რამდენიმე ათეულ დეპუტატამდე. სახელმწიფოთა დედაქალაქების მუნიციპალურ საბჭოებში, როგორც წესი, ასზე მეტი წევრი აირჩევა.

სადეპუტატო მანდატების შეთავსების საკითხი. სხვადასხვა ქვეყნაში სხვადასხვანაირად რეგულირდება რამდენიმე არჩევით ორგანოში ყოფნის შეთავსების საკითხი:

— რიგ ქვეყნებში დაშვებულია რამდენიმე მანდატის ფლობა. მაგალითად, დანიაში ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ადგილობრივ, რეგიონულ წარმომადგენლობით ორგანოებში და საერთო-ეროვნულ პარლამენტში;

— ზოგ ქვეყანაში დაშვებულია ორმაგი მანდატის ფლობა ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე (ნორვეგია, შვეცია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ნიდერლანდები, გფრ);

— ავსტრია გამონაკლისის სახით უშვებს ყველაზე დაბალი დონის არჩევითი ორგანოს მანდატის შეთავსებას ყველაზე მაღალი დონის (პარლამენტის)არჩევითი ორგანოს მანდატთან;

— იტალიაში დაუშვებელია ნებისმიერი დონის არჩევითი ორგანოების მანდატების შეთავსება;

— ლუქსემბურგში ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ეროვნული პარლამენტის და ევროპარლამენტის წევრიც და ა.შ.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ჩვეულებრივ ძალზე მაღალია აბსენტეისტთა რიცხვი, ე.ი. იმ ადამიანებისა, რომლებიც არ მონაწილეობენ ხმის მიცემაში. აშშ-ში, მაგალითად, არჩევნებში არ მონაწილეობს რეგისტრირებული ამომრჩევლების დაახლოებით ერთი მესამედი. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სავალდებულო ვოტუმი, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობაც მაღალია.

კითხვები და დავალებები:

- რა განსხვავებაა პირდაპირ და არაპირდაპირ არჩევნებს შორის?
- რას ეწოდება მრავალსაფეხურიანი არჩევნები?
- რა სახის არჩევნები გამოიყოფა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით?
- რა შემთხვევებში ინიშნება რიგგარეშე არჩევნები?
- რას ეწოდება ნაწილობრივი და დამატებითი არჩევნები?
- რა არის პრაიმერიზი?
- რა მნიშვნელობა ენიჭება არჩევნების პერიოდულობას?
- მოკლედ დაახასიათეთ პრეზიდენტის არჩევის ძირითადი გზები.
- რა ღირსებები და ნაკლოვანებანი აქვს პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევას?

• რა დადებითი მხარეები და ნაკლოვანებანი აქვს პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევას?

• რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პრეზიდენტობის კანდიდატი?

• რა განსხვავებაა ერთპალატიან და ორპალატიან პარლამენტს შორის?

• როგორია თანამედროვე პარლამენტის ჩამოყალიბების ძირითადი გზები?

• როგორია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების თანამედროვე პრაქტიკა?

• როგორ წყდება დეპუტატობის სხვადასხვა დონის წარმომადგენლობით ორგანოებში მანდატების შეთავსების საკითხი?

• რა მოთხოვნებს უყენებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს?

რა წაიკითხოთ:

• **A New Handbook of Political Science. Ed. by Robert E. Goodin and Hans-Dieter Klingemann. Oxford University Press. 1996**

Политическая наука: новые направления. Под ред. Р.Гудина и Х.-Д. Клингеманна. М.: Вече, 1999

ფუნდამენტური კოლექტიური ნაშრომი წარმოადგენს დასავლური პოლიტიკური მეცნიერების მიერ XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში განვლილი გზის შეჯამებას. მასში ფ.უ.პაპის ავტორობით ცალკე თავი ეძღვნება არჩევნების, ამომრჩევლებისა და მათი ქცევის შესწავლის საკითხს თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში.

• **Чудаков М. Конституционное государственное право зарубежных стран. Курс лекции. Минск: Хорвест, 1998 – 784 с.**

დასახელებული ნაშრომი ერთ-ერთი საუკეთესოა თანამედროვე რუსულ კონსტიტუციონალიზმში. მე-11 თავი მთლიანად ეთმობა არჩევნების სახეების, საარჩევნო პროცესის ორგანიზაციისა და ჩატარების საკითხებს.

თავი VIII

არჩევნების როლი დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში

§ 1. არჩევნების ფუნქციები დემოკრატიის პირობებში

დემოკრატიული არჩევნების არსი. არჩევნების ზეგავლენა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაზე მრავალმხრივია. დემოკრატიულ საზოგადოებაში არჩევნები მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს, რომელთა გარეშეც ამ საზოგადოების ფუნქციონირება უბრალოდ წარმოუდგენელია. მმართველობის დემოკრატიული ფორმის დროს ხელისუფლება ემყარება მართულთა თანხმობას. თავისუფალი და პატიოსანი არჩევნები კი ის ძირითადი მექანიზმია, რომელიც ამ თანხმობას მთავრობის უფლებამოსილებად გარდაქმნის.

თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში არჩევნები ის პროცედურაა, რომლის დახმარებითაც უზრუნველყოფილია მოქალაქეთა მონაწილეობა წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ორგანოების ფორმირებაში. არჩევნებთან დაკავშირებულია მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების რეალიზება.

არჩევნები დემოკრატიის არსებობის წესია, ხალხის ნების გამოხატვით ხელისუფლებაში მმართველი ელიტებისა და კონკრეტული პიროვნებების შეცვლის გზაა. არჩევნების წარმატებით ჩატარება და საზოგადოების მიერ შედეგების აღიარება საზოგადოების დემოკრატიულობის არსებითი ნიშანია. დემოკრატიულ საზოგადოებას შეუძლია მომწიფებული პრობლემების მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით გადაწყვეტა.

დემოკრატიული არჩევნები — ესაა კონკურენტული, პერიოდული, წარმომადგენლობითი და საბოლოო არჩევნები, რომლის დროსაც

მოქალაქეებს ფართო უფლებები აქვთ, რათა გააკრიტიკონ მთავრობა, გამოაქვეყნონ თავიანთი კრიტიკა და წამოაყენონ ალტერნატივები, აირჩიონ მთავრობაში ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღები პირები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა არჩევნების რიგი ფუნქციები, რომლებიც პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

• წარმომადგენლობითი სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

• სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველყოფა;

• მოქალაქეთა აქტიურობისა და ხელისუფლების კონტროლის უზრუნველყოფა.

წარმომადგენლობითი სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მოცემულ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ შემდეგი ფუნქციები, რომლებიც დემოკრატიის დროს ეკისრება არჩევნებს:

— **ფუნქციონირებადი წარმომადგენლობითი სისტემის შექმნა.** არჩევნები ხელისუფლების ორგანოებში ქმნის მოქალაქეთა წარმომადგენლობის სისტემას და მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ზეგავლენა მოახდინონ მათ მიერ არჩეულ წარმომადგენელთა საქმიანობაზე. ხელისუფლების წარმომადგენლობითი სისტემა, თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, სახეს უცვლის მას წარმომადგენელთა გაერთიანებული ინტერესების შესაბამისად, მთლიანობაში კი უზრუნველყოფს საზოგადოების განვითარების პროცესს.

— **მოსახლეობის მრავალფეროვანი ინტერესების არტიკულაცია, აგრეგაცია და წარმომადგენლობა.** არჩევნების დროს ყველაზე ხელსაყრელი პირობები იქმნება იმისათვის, რომ მოქალაქეებმა გააცნობიერონ თავიანთი ინტერესები და ეს ინტერესები აისახოს პარტიებისა და ცალკეული პარლამენტარების საარჩევნო პროგრამებში. არჩევნების მთავარი სოციალური დანიშნულებაა მოქალაქეთა თვალსაზრისისა და ნების ადეკვატური ასახვა, ხელისუფლების ორგანოებში ძირითადი საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, ამასთან ერთად, ქმედითუნარიანი მთავრობის ჩამოყალიბება.

არჩევნების პერიოდებში აქტიურად ხდება მოქალაქეთა მიერ მნიშვნელოვანი პრობლემების გაცნობიერება. ადამიანები თავიანთ ინტერესებს ადარებენ იმ პროგრამებს, რასაც მათ პარტიები და კანდიდატები სთავაზობენ. არჩევნები ნამდვილი პოლიტიკური ბაზარია, სადაც კანდიდატები თავიანთი იმიჯისა და წინასაარჩევნო პროგრამის სანაცვლოდ ამომრჩევლებისაგან იღებენ ნდობასა და უფლებამო-

სილებას. **არჩევნების დროს, ესწრაფვიან რა მასობრივი მხარდაჭერის მიღებას, პოლიტიკოსები და საარჩევნო კამპანიაში მონაწილე მასმედია განსაკუთრებით გულისსმიერია მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და სურვილებისადმი.** ეს ააქტიურებს მოქალაქეთა მიერ თავისი ინტერესების შეგნებისა და წარმოდგენის პროცესს. საარჩევნო პლატფორმებში ინტერესები მკაფიოდ აისახება, ამავე დროს თავისუფლდება უკიდურესობებისაგან და „გაშუალდება", იძენს არაწინააღმდეგობრივ, რეალიზაციისათვის ხელსაყრელ ფორმას.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პარტიები და პოლიტიკოსები არცთუ იშვიათად ივიწყებენ თავიანთ დაპირებებს, მთლიანობაში, პარლამენტართა არჩეული კორპუსი არა მხოლოდ ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, არამედ პარტიულ პრესტიჟსა და მომავალ არჩევნებში ამომრჩეველთა მხარდაჭერაზე ზრუნვით, ელექტორატის მოთხოვნებზეა ორიენტირებული;

— **კომუნიკაციის, წარმომადგენლობითი ურთიერთობების გაფართოება ხელისუფლების ინსტიტუტებსა და მოქალაქეებს შორის.** არჩევნების შედეგად რეალიზდება ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, როგორიცაა წარმომადგენლობითი ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია. თეორიულად საზოგადოების თითოეული წევრი, რომელსაც შეუძლია ადეკვატურად გამოხატოს რომელიმე სოციალური ერთობის ინტერესები, შეიძლება იყოს მისი წარმომადგენელი ხელისუფლების ორგანოებში. მაგრამ სინამდვილეში ამის გაკეთება ყველას როდი შეუძლია. **წარმომადგენლის მიერ მხარდაჭერის საკუთარი ბაზის ფორმირება არის საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც გულისსმობს ამომრჩეველებთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის სხვადასხვა არსის ფორმირებას.** მხოლოდ ის პოლიტიკოსი, რომელიც ყველაზე წარმატებით გააკეთებს ამას და გაივლის „ბუნებრივი შერჩევის პროცესს", შედის მმართველი ელიტის შემადგენლობაში. ამით დემოკრატიულ საზოგადოებაში არჩევნები პოლიტიკური პროცესის ცენტრალური მექანიზმის როლს ასრულებს და ხელს უწყობს პოლიტიკურ ელიტაში საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების რეკრუტირებას.

საარჩევნო კამპანიის დროს კანდიდატები რეგულარულად ხვდებიან მოქალაქეებს, ისმენენ მათ მოსაზრებებსა და თხოვნებს, კორექტივები შეაქვთ თავიანთ საარჩევნო პლატფორმებში. არჩევნები მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის უკუკავშირის უმნიშვნელოვანესი არხია. მის ქმედითუნარიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული ურთიერთობის ხასიათი სახელმწიფოს ხელმძღვანელებსა და

მოსახლეობას შორის, ნდობის ან უნდობლობის, პოლიტიკური მონაწილეობის ან გაუცხოების, მხარდაჭერის ან შებრძოლების სურვილის წარმოშობა.

საზოგადოების სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველყოფა. არჩევნების ის ფუნქციები, რომელთა დანიშნულებაც სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველყოფაა, შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

— **მრავალგვარი თვალსაზრისების ინტეგრირება და საერთო პოლიტიკური ნების ფორმირება.** თანამედროვე საზოგადოების პლურალიზმს თავისი საზღვრები აქვს. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ანარქია, ქაოსი და მწვავე დამანგრეველი კონფლიქტები, საზოგადოებას ესაჭიროება სახელმწიფო რეგულირება, რაც მოქალაქეთა საერთო ფასეულობებისა და ინტერესების საფუძველზე უნდა მოხდეს. არჩევნების საშუალებით ხდება მოქალაქეთა უმრავლესობის გაერთიანება გარკვეული პოლიტიკური პლატფორმის და მისი წარმომდგენი ლიდერების გარშემო, ანუ ყალიბდება სახელმწიფოში დომინირებული პოლიტიკური ნება. არჩევნების დროს ამ ნების გამოხატვა მთავრობისადმი უზრუნველყოფს ავტორიტეტსა და მხარდაჭერას, ეს კი ზრდის მის ქმედითუნარიანობას.

— **პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაცია და სტაბილიზაცია.** სამართლებრივი თვალსაზრისით არჩევნები სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირების ყველაზე ლეგიტიმურ წესს წარმოადგენს. არჩევნების მეშვეობით ხდება არა მხოლოდ მთლიანად პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაცია, არამედ ხელისუფლების კონკრეტული ინსტიტუტების — პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის და ზოგიერთი სხვა ინსტიტუტის ლეგიტიმაციაც, აღიარებულია მათი უფლება უხელმძღვანელონ სახელმწიფოს.

სამოქალაქო საზოგადოებისათვის არჩევნები დემოკრატიის ორგანიზებისა და ფუნქციონირების ერთ-ერთი ფუძემდებლური საფუძველია. არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობა ჩვეულებრივ ნიშნავს მათ მიერ მოცემული პოლიტიკური სისტემის, პოლიტიკური რეჟიმის, ხელისუფლების ორგანოების ფორმირების წესების მიღებას, მიუხედავად იმისა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ კონკრეტული თანამდებობრივი პირებისადმი, მთავრობისადმი და მმართველი პარტიისადმი.

არჩევნები მოქალაქეებს შანსს აძლევს გადაირჩიონ ის მთავრობა ან პარლამენტარები, რომლებიც არ აწყობთ, შეცვალონ ისინი

ადამიანებით, რ ომლებიც მათი ნდობით სარგებლობენ. ამის გამო კონკრეტული მთავრობის და მისი პოლიტიკის კრიზისი არ იწვევს მოქალაქეთა მიერ მთელი პოლიტიკური წყობის უარყოფას და პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციას, რაც არ გადაიზრდება რევოლუციური გზით არსებული პოლიტიკური წესრიგის დანგრევისაკენ სწრაფვაში. შემთხვევითი არაა, რომ არჩევნებს ხშირად ადარებენ დამცავ სარქველს, რომელიც „გამოუშვებს" ხოლმე ხალხში დაგროვილ უკმაყოფილებას, რის საშუალებითაც გადახურებისა და აფეთქებისაგან იცავს მთელ პოლიტიკურ „ქვაბს". არჩევნების გზით საზოგადოებისათვის მისაღები ფორმით ხდება სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვა.

— პოლიტიკური კონფლიქტების გადაეცემა ინსტიტუციონალიზებული მშვიდობიანი მოწესრიგების კალაპოტში. არჩევნები შესაძლებლობას იძლევა მხარეებმა სახალხო აზრის სამსჯავროზე ღიად და საჯაროდ წარმოადგინონ წინააღმდეგობრივი ინტერესები, ფასეულობები და იდეები, განისაზღვროს რეალური მხარდაჭერა კონფლიქტის ამა თუ იმ მხარის პოზიციისადმი, საზოგადოებრივი აზრის და სახელმწიფო ინსტიტუტების ავტორიტეტის მეშვეობით დაარწმუნონ კონფლიქტში მყოფნი უარი თქვან ყველაზე რადიკალურ მოთხოვნებსა და ბრძოლის უკანონო ფორმებზე. უკვე თავად ის ფაქტი, რომ კონფლიქტის მონაწილეები ორიენტირებული არიან კონფლიქტის ელექტორატის მეშვეობით გადაწყვეტაზე, როგორც წესი, მათ უბიძგებთ უარი თქვან უკიდურესობებზე, შეარბილონ პოზიციები, წავიდნენ კომპრომისებზე, ეძებონ უმრავლესობისათვის მისაღები გადაწყვეტილებები. კონფლიქტი მიმდინარეობს ღიად, საჯაროდ, მსაჯულის როლში კი მთელი საზოგადოება გვევლინება. პარტიები წარმოადგენენ ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ სოციალურ ჯგუფებს, ხოლო არჩევნების დროს პარტიებს შორის კონკურენცია იქცევა სოციალური კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მექანიზმად.

— საზოგადოების განახლების გენერირება ალტერნატიული პოლიტიკური პროგრამების კონკურენციის მეშვეობით. არჩევნები — ესაა თავისებური ფანჯარა, რომელიც ღიაა სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე მოწესრიგებული, ინსტიტუციონალიზებული ზეგავლენისათვის. ის საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს წარმოადგინონ საზოგადოებრივი პრობლემების საკუთარი ხედვა და წამოაყენონ მათი გადაწყვეტის პროგრამები. ამით სტიმული ეძლევა განვითარების ოპტიმალური გზების ძიებას, უზრუნველყოფილია პოლიტიკური ფასეულობებისა და ალტერნატივების კონკურენტული შერჩევა, იქმნება ხელსაყრელი შესაძლებლობები არაეფექტიანი

პოლიტიკის დასაძლევად და ახალი, სიცოცხლისუნარიანი იდეებისა და პოლიტიკური პლატფორმების დასამკვიდრებლად.

მოქალაქეთა აქტიურობისა და ხელისუფლების კონტროლის უზრუნველყოფა. არჩევნები უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტია, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეთა აქტიურობას, ხელისუფლების კონტროლსა და მის ცვლას ხალხის მიერ. ამ ამოცანების გადაწყვეტისას არჩევნები დემოკრატიულ საზოგადოებაში შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

— **ამომრჩეველთა კორპუსის მობილიზება აქტუალური საზოგადოებრივი ამოცანების გადასაწყვეტად.** პარტიები და ცალკეული პარლამენტარები, როდესაც მოქალაქეებს განუმარტავენ თავიანთ პროგრამებს, არწმუნებენ ადამიანებს, რომ აუცილებელია გარკვეული პოლიტიკური ფასეულობებისა და მიზნების მიღება და მხარდაჭერა. ამავე დროს, მიუთითებენ რა მათი რეალიზების გზებს, ამით ახდენენ მოსახლეობის ფართო ფენებისა და საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოქმედებების განსახორციელებლად.

— **მოსახლეობის პოლიტიკური სოციალიზაცია, მისი პოლიტიკური შეგნებისა და პოლიტიკური მონაწილეობის განვითარება.** საარჩევნო კამპანიის დროს აქტიურდება მოსახლეობის პოლიტიკური მონაწილეობა. ამ დროს ხდება პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაცია და რესოციალიზაცია. საარჩევნო პროცესის მსვლელობაში მოქალაქეები განსაკუთრებით ინტენსიურად ითვისებენ პოლიტიკურ ფასეულობებსა და ნორმებს, იძენენ პოლიტიკურ ჩვევებსა და გამოცდილებას. ამავე დროს მკვეთრად ფართოვდება პოლიტიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ნაკადი, აქტიურდება მრავალფეროვანი პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა, ხდება ადამიანთა ყურადღების კონცენტრირება აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებზე. აქტივისტთა ფართო ფენები უშუალოდ ერთვებიან პარტიების და ცალკეული პარლამენტარების პროპაგანდისტულ-აგიტაციურ და ორგანიზაციულ მუშაობაში. არჩევანის გაკეთებისას ამომრჩევლები მეტ-ნაკლებად აიგივებენ თავს გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან. ეს ყოველივე ზრდის მათ პოლიტიკურ ანგაჟირებასა და აქტიურობას. არჩევნების დროს ამომრჩევლები ხშირად გადასინჯავენ ან აზუსტებენ თავიანთ პოლიტიკურ პოზიციებს, საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან.

— **პოლიტიკური ელიტის რეკრუტირება.** არჩევნები მმართველი კადრების როტაციის მძლავრი ინსტრუმენტია. არჩევნები მოქალაქეთა პოლიტიკური ელიტის შემადგენლობაში შესვლის, პოლიტიკური კარიერის გაკეთების, პოლიტიკური ლიდერების დამკვიდრების ან დაღმასვლის მნიშვნელოვან არხს წარმოადგენს. არჩევნების შედეგად ხდება მმართველი და ოპოზიციური ელიტების შემადგენლობის განახლება, იცვლება პარტიებისა და მათი წარმომადგენლების პოლიტიკური წონა.

— **კონტროლი ხელისუფლების ინსტიტუტებზე.** არჩევნების შედეგად იქმნება მთავრობაზე კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი — პარლამენტი, აგრეთვე ფორმდება ოპოზიცია, რომელიც ჩვეულებრივ ფხიზლად ადევნებს თვალს კონსტიტუციისა და კანონების დაცვას. საპარლამენტო კონტროლი ემყარება როგორც საკუთარ უფლებებს, სასამართლო ინსტანციებს, ასევე უშუალოდ ამომრჩეველთა აზრს. უფრთხის რა უახლოეს არჩევნებზე დამარცხებას, მთავრობა, ჩვეულებრივ, ყურს უგდებს კრიტიკას. გარდა ამისა, თავად არჩევნები წარმოადგენს კონტროლის მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რადგანაც ამომრჩევლებს საშუალება ეძლევათ რეგულარულად გამოიტანონ თავიანთი ვერდიქტი მთავრობისა და ოპოზიციის შესახებ, შეცვალონ ხელისუფლების ორგანოების შემადგენლობა, მოახდინონ პოლიტიკური კურსის კორექტირება.

— **ქმედითუნარიანი ოპოზიციის ფორმირება და მისი მომზადება პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფუნქციების შესასრულებლად.** ოპოზიციის ქმედითუნარიანობა და ეფექტიანობა გულისხმობს მის მიერ მთავრობის კრიტიკისა და კონტროლის ფუნქციის შესრულებას, აგრეთვე ალტერნატიული პოლიტიკის შემუშავების უნარს. არჩევნები, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს უბიძგებს ღიად შეადარონ ერთმანეთს თავიანთი პროგრამები, წავიდნენ კომპრომისებსა და კოალიციებზე, ხელს უწყობს ოპოზიციის კონსოლიდაციას. გარდა ამისა, ოპოზიცია, არჩევნების შედეგად არის რა წარმოდგენილი პარლამენტში, ანდა ხელმძღვანელობს მთავრობას ფედერაციის სუბიექტებში, ამით იძენს გამოცდილებას, რათა, ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობითა და კომპეტენტურობით უხელმძღვანელოს ქვეყანას.

ზემოთ დასახელებულ ფუნქციებს არჩევნები მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს, თუკი დემოკრატიულადაა ორგანიზებული. არჩევნები უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიას, მისი მთავარი სოციალური დანიშნულებაა ადეკვატურად ასახოს მოქალაქეთა აზრი და ნება, უზრუნ-

ველყოს ძირითადი საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლობა ხელისუფლების ორგანოებში, აგრეთვე ჩამოაყალიბოს ქმედითუნარიანი მთავრობა.

§ 2. თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ძირითადი პრინციპები

დემოკრატიული არჩევნების ძირითადი პრინციპების ზოგადი დახასიათება. არჩევნების დემოკრატიულობა რიგი პრინციპებით — საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით განისაზღვრება, რომელთაც უპირობო ღირებულება აქვთ და წარმომადგენლობის განხორციელების მექანიზმის როლს ასრულებენ. ეს პრინციპები განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლების — ხმის უფლების, ანუ არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების რეალიზება.

ხმის უფლება ყველაზე ფუნდამენტური უფლებაა, რომლის გარეშეც ყველა დანარჩენ უფლებას ფაქტობრივად, აზრი ეკარგება. დემოკრატიული არჩევნების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის უარყოფა რაიმე პოლიტიკური ძალის მიერ მის ავტორიტარულ ან ტოტალიტარულ მისწრაფებებზე მეტყველებს.

ამგვარი განაცხადით ბოლშევიკები გამოდიოდნენ. ვ.ი.ლენინი უგულებელყოფდა წარმომადგენლობით დემოკრატიასა და მის ინსტიტუტებს, ამტკიცებდა, რომ ისინი გაბატონებული კლასის ბატონობის ინსტრუმენტებია. პრაქტიკაში ამან ასახვა ჰპოვა დამფუძნებელი კრების გარეკვაში; ბოლშევიკურმა მმართველობამ კი კომუნისტურ ტოტალიტარიზმს ჩაუყარა საფუძველი.

არჩევნები თავის სოციალურ დანიშნულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეესაბამება, თუკი გარკვეულ პრინციპებს ემყარება. შეიძლება გამოიყოს ასეთი პრინციპების ორი ჯგუფი:

— საარჩევნო სამართლის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს არჩევნებზე თითოეული მოქალაქის მდგომარეობასა და სტატუსს;

— არჩევნების ორგანიზაციის ზოგადი პრინციპები, რომლებიც ახასიათებს მათი დემოკრატიულობის ფუძემდებლურ ორგანიზაციულ, მათ შორის სოციალურ პირობებს.

პოლიტიკური არჩევნების პროცედურის რეგლამენტაციას ახდენს თითოეული სახელმწიფოს საარჩევნო სამართალი. საარჩევნო სამართალი — ორგანული ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც არეგულირებს მოქალაქეთა მონაწილეობას არჩევნებში, მათ ორგანიზებასა და ჩატარებას, ურთიერთობას ამომრჩევლებსა და წარმომადგენლობით დაწესებულებებს შორის, დეპუტატების გამოწვევის წესს და ა.შ.

თანამედროვე არჩევნების ფუძემდებლური პრინციპები, რომლებიც მის დემოკრატიულობას განსაზღვრავენ, შემდეგია:

- საყოველთაო ხასიათი;
- პირდაპირი (ირიბი) ხმის მიცემა;
- თანაბარი ხმის მიცემა;
- ფარული კენჭისყრა;
- მოქალაქეთა თავისუფალი მონაწილეობა.

თავისუფალ მონაწილეობაში იგულისხმება ამომრჩეველთა ნებაზე უკანონო ზეწოლის გამორიცხვა. ამ პირობების დაცვის შემთხვევაში არჩევნები ითვლება დემოკრატიულად. ამიტომ პრაქტიკულად ყველა თანამედროვე კონსტიტუცია ამკვიდრებს ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს.

არჩევნების საყოველთაობა. ყველა მოქალაქეს, დამოუკიდებლად სქესობრივი, რასობრივი, ეროვნული, კლასობრივი ან პროფესიული კუთვნილებისა, ენისა, შემოსავლის დონისა, სიმდიდრისა, განათლებისა, კონფესიისა ან პოლიტიკური რწმენისა, აქვს აქტიური (ამომრჩევლის სახით) და პასიური (კანდიდატის სახით) უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

საყოველთაობა არ ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქვეყნის ყველა მცხოვრებს აქვს. საარჩევნო უფლებებს, ჩვეულებრივ, მოკლებულნი არიან ქვეყანაში მცხოვრები უცხოეთის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები. ამ კატეგორიის პირებს ზოგჯერ უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, თუკი ისინი მოცემულ ქვეყანაში კანონით დადგენილი დროის განმავლობაში ცხოვრობენ და იხდიან გადასახადებს (უნგრეთი, ესპანეთი, ფინეთი). დიდ ბრიტანეთში არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს. ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში, ახალ ზელანდიაში არჩევნებში მონაწილეობის უფლება უცხოელებსაც აქვთ, მაგრამ მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, რომელიც ამ უფლებას ორმხრივ ხასიათს ანიჭებს

(ლათინურ ამერიკაში ეს მხოლოდ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მოქალაქეებზე ვრცელდება).

საარჩევნო უფლება არ გააჩნია მოცემული ქვეყნის ყველა მოქალაქესაც. არსებობს სხვადასხვა სახის შეზღუდვები. საარჩევნო უფლების საყოველთაობის პრინციპი, რომელიც დღეს სავალდებულოდაა მიჩნეული, წარსულში არ არსებობდა და მოქალაქეთა საარჩევნო უფლებები მრავალრიცხოვანი ცენზებით იზღუდებოდა.

დღეისათვის არჩევნების საყოველთაობა იზღუდება მხოლოდ **ცენზების** უაღრესად მცირე რიცხვით, ე.ი. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ამომრჩეველთა დაშვების პირობებით.

ასაკობრივი ცენზი არჩევნებში მონაწილეობას დასაშვებად მიიჩნევს, როგორც წესი, მხოლოდ სრულწლოვანების ასაკიდან. კანდიდატების ასაკი რამდენადმე მაღალი უნდა იყოს. ასაკობრივი ცენზი ბუნებრივი მოთხოვნაა. შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ბავშვი, ან თუნდაც მოზარდი შეძლებს შეგნებული არჩევანის გაკეთებას. მას არა აქვს ამისათვის საჭირო ცხოვრებისეული გამოცდილება და არც ის იცის, თუ ვის და რატომ უნდა მისცეს ხმა.

XX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებამდე ქვეყნების უმრავლესობაში აქტიური საარჩევნო უფლება 21 წლის ასაკიდან იწყებოდა. ეს სავსებით ნორმალური იყო XIX საუკუნეში, ან თუნდაც XX საუკუნის პირველ ათწლეულებში, მაგრამ საუკუნის შუა ხანებისათვის ის უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალ რეალობებს. აშშ-ს ვიეტნამის ომის პერიოდში კი უცნაური სიტუაცია შეექმნა — 18 წლის ახალგაზრდა ომში მიჰყავდათ და იგი დემოკრატიის მაღალი იდეალების დასაცავად შეიძლება დაღუპულიყო, მაგრამ უფლება არ ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობა მიეღო.

დიდ ბრიტანეთსა და გფრ-ში ასაკობრივი ცენზი 18 წლამდე შემცირდა 1970 წელს, აშშ-ში 1971 წელს (კონსტიტუციის 26-ე შესწორება), საფრანგეთში ეს 1974 წელს განხორციელდა, იტალიასა და შვეიცარიაში — 1975 წელს და ა.შ.

დღეისათვის ქვეყნების უმრავლესობაში ხმის მიცემის უფლება — აქტიური საარჩევნო უფლება — ენიჭებათ იმ პირებს, რომელთაც 18 წელი შეუსრულდათ არჩევნების დროისათვის. ზოგჯერ ხმის მიცემის უფლება უფრო ახალგაზრდებსაც ენიჭებათ (ბრაზილიაში, ირანში, კუბასა და ნიკარაგუაში — 16 წლიდან, ამასთან ზოგან ეს უფლება ამ ასაკიდან ფაკულტატურ ხასიათს ატარებს), ზოგჯერ ხმის უფლება უფრო მაღალი ასაკიდან ენიჭებათ (იაპონიაში, შვეიცარიაში, მაროკოში 20 წლიდან, ლატვიაში 21 წლიდან).

პასიური საარჩევნო უფლება, ანუ ხელისუფლების ორგანოებში ასარჩევად თავისი კანდიდატურის წამოყენების უფლება, როგორც წესი, უფრო მაღალი ასაკიდან ენიჭებათ. ეს განპირობებულია იმით, რომ აუცილებელია გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილების ქონა სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად (მაგალითად, საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატის ასაკი 23 წელია, იტალიის პარლამენტის ზედა პალატის წევრისათვის — 40 წელი, აშშ-ს პრეზიდენტისათვის — 35 წელი).

პასიური საარჩევნო უფლების მისაღებად ზოგჯერ დგინდება სხვა მოთხოვნებიც. მაგალითად, პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატს რიგ ქვეყნებში მოეთხოვება, რომ ის გარკვეული ვადის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდეს მოცემულ ქვეყანაში (აშშ-ში — 14 წლის განმავლობაში), იყოს ამ ქვეყნის მოქალაქე დაბადებიდან და არა ნატურალიზებით, არ იყოს ხანდაზმული (მაგალითად, ნამიბიაში პრეზიდენტობის კანდიდატის ასაკი 65 წელს არ უნდა აღემატებოდეს).

ზოგიერთ შემთხვევაში არჩევნებში კანდიდატების სახით არ დაიშვებიან სახელმწიფო თანამდებობებზე მყოფი პირები. საფრანგეთში საარჩევნო ოლქში კენჭს ვერ იყრიან ამ ოლქის ყოფილი პრეფექტები. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო მოსამსახურეებს საერთოდ არ შეუძლიათ თავიანთი კანდიდატურების წამოყენება არჩევით თანამდებობებზე: სახელმწიფო სამსახურის პრინციპი გულისხმობს უპარტიობას, ამიტომ არჩევნებში მონაწილეობა გამოირიცხება.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს **განსაკუთრებული მოთხოვნები** ამომრჩევლის ან კანდიდატისადმი. მაგალითად, მექსიკაში ამომრჩეველთა სიიდან გამორიცხულია ნარკომანები, ჰოლანდიაში — მშობლობის უფლებაჩამორთმეული პირები. ინგლისში არჩევნებში არ მონაწილეობენ ბანკროტები. ასეთივე წესი არსებობს ინდოეთში. ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური შეზღუდვები არსებობს ნატურალიზებული მოქალაქეებისათვის, ე.ი. იმათთვის, რომელთაც მოქალაქეობა მიიღეს არა დაბადების უფლებით, არამედ მოქალაქეობის მიღების შედეგად. მაგალითად, არგენტინაში ნატურალიზებული მოქალაქეები ხმის უფლებას ღებულობენ მხოლოდ მოქალაქეობის მიღებიდან სამი წლის შემდეგ, ტუნისში — 5 წლის შემდეგ. ზოგიერთ ქვეყანაში კი ნატურალიზებული მოქალაქეები საერთოდ არ ღებულობენ ხმის უფლებას.

არაქმედითუნარიანობის ცენზი ზღუდავს ფსიქიკურად ავადმყოფთა საარჩევნო უფლებას, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა იყოს დადასტურებული.

განათლებულობის ცენზს შეიძლება ვუწოდოთ ბუნებრივი ცენზი, რადგანაც გაუნათლებელ ადამიანებს პოლიტიკაში მონაწილეობის შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ. ზოგიერთ ქვეყანაში განათლების ცენზი არსებობდა ამომრჩეველთა რეგისტრაციის დროს. მაგალითად, აშშ-ის სამხრეთ შტატებში XX საუკუნის 60-იან წლებამდე არსებობდა წესი, რომლის თანახმადაც ამომრჩევლებს რეგისტრაციის დროს უნდა წაეკითხათ კონსტიტუციიდან რამდენიმე სტრიქონი და აეხსნათ, თუ როგორ ესმით იგი. ე.ი. საჭირო იყო პოლიტიკური განათლებისა და ზოგადად, განათლებულობის გარკვეული დონის დემონსტრირება. ამ გზით ძირითადად შავკანიანი გაუნათლებელი ამომრჩევლები „იცხრილებოდნენ".

განათლებულობის ცენზი უფრო აქტიურად გამოიყენება პასიური საარჩევნო უფლების დროს. ზოგ შემთხვევაში კანდიდატს მოეთხოვება საშუალო განათლების მოწმობა, ხოლო ზოგიერთ თანამდებობაზე (მაგალითად პრეზიდენტად) ასარჩევად საჭიროა უმაღლესის დამთავრების დიპლომიც.

განათლებულობის ცენზთან ახლოს დგას **წერა-კითხვის ცოდნის ცენზი** — იმ ქვეყნის ენაზე კითხვისა და წერის ცოდნა, სადაც ამომრჩეველი ცხოვრობს. ეს განათლებულობის ცენზის თავისებური შერბილებული ვარიანტია. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც დიდია უწიგნურ ადამიანთა რაოდენობა, მათ არჩევნებზე არათუ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე უშვებენ, არამედ უადვილებენ არჩევანის შესაძლებლობას.

ეკვადორის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ხმის მიცემაში მონაწილეობა სავალდებულოა წერა-კითხვის მცოდნეებისთვის, ხოლო ფაკულტატური (სასურველი) — უწიგნურებისათვის. პერუში 1980 წელს კონსტიტუციის მიღების შემდეგ საარჩევნო ურნებთან დაუშვეს უწიგნურებიც (დაახლოებით მილიონი ადამიანი). ინდოეთში, სადაც განსაკუთრებით ბევრია უწიგნური, მათთვის ხმის მიცემა გამარტივებულია შემდეგი წესის არსებობით: ყოველ კანდიდატს ან პარტიას უნდა ჰქონდეს სიმბოლო (რაღაც იეროგლიფი) და ბიულეტენებში, გარდა ჩანაწერებისა, არის გრაფიკული ნიშნებიც, რომელთა მეშვეობითაც ორიენტაციის აღება შეუძლიათ უწიგნურ ამომრჩევლებს (კანდიდატების შეფასება კი მათი გამოსვლების მოსმენით შეუძლიათ).

მორალური ცენზი ზღუდავს ან საარჩევნო უფლებას ართმევს იმ პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე **ბინადრობის ცენზი**, რომელიც არჩევნებში დაშვებისათვის საჭიროდ თვლის ქვეყანაში ან მოცემულ ადგილზე ცხოვრების გარკვეულ დროს.

დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს **სექსობრივი ცენზი**, რომელიც ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაშია შემორჩენილი. მაგალითად, ქალები საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან კუვეიტში. 1994 წლამდე სამხრეთ აფრიკაში არსებობდა მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვა რასობრივი პრინციპით.

საბჭოური კანონმდებლობა იცნობდა **წოდებრივ-კლასობრივ ცენზებს**, რომელიც ზღუდავდა გარკვეული კლასებისა და ფენების საარჩევნო აქტიურობას. მათი ჩამონათვალი სხვადასხვა იყო საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

არჩევნებში არ მონაწილეობენ პერები დიდ ბრიტანეთში (მათ თავიანთი პალატა აქვთ), რიგ ქვეყნებში — ჯარისკაცები (ოფიცრებს აქვთ ხმის უფლება), ზოგიერთ ქვეყანაში — ტომის ბელადები (იქ, სადაც პარლამენტებთან არის ბელადების სათათბირო პალატები).

არჩევნებში მონაწილეობის უფლება სასამართლომ შეიძლება სხვა შემთხვევებშიც ჩამოართვას მოქალაქეს — ბოროტი გაკოტრებისათვის (იტალიაში), არჩევნებში თაღლითობისათვის, არჩევნებისათვის სისტემატური თავის არიდებისათვის იმ ქვეყნებში, სადაც კანონი სავალდებულო ხმის მიცემას ითვალისწინებს.

გარდა გაზრდილი ასაკობრივი ცენზისა, **პასიური საარჩევნო უფლების** მისაღებად ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში დადგენილია სახელმწიფო ენაზე წერა-კითხვის ცოდნა (რუანდაში — ფრანგულად, მალავიში — ინგლისურად და ა.შ.); სხვა ქვეყნებში მოეთხოვებათ სახელმწიფო ენის ფლობა (პარლამენტში ან პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევად სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია მოლდოვაში, ყაზახეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში).

ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში ასევე არ შეიძლება არჩეული იქნან უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები. ლიტვაში მოეთხოვებათ ასევე სამი წელი მუდმივი ცხოვრება ქვეყანაში. თურქეთში პრეზიდენტობის კანდიდატს უმაღლესი განათლება უნდა ჰქონდეს, ხოლო პარლამენტარობის კანდიდატს გავლილი უნდა ჰქონდეს სამხედრო სამსახური; ბულგარეთში საკუთარი კანდიდატურების წამოყენება არ შეუძლიათ ჯარისკაცებს და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში არ შეიძლება ისეთი პირების არჩევა, რომელთაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობაც აქვთ, პოლონეთში კი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი შეიძლება პრეზიდენტის პოსტზეც კი იქნეს არჩეული.

პასიურ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით არსებობს აგრეთვე **აურჩევლობისა** და **შეუთავსებლობის** ცნებებიც.

აურჩევლობა ნიშნავს, რომ გარკვეული თანამდებობის მქონე პირებს ამ თანამდებობების დატოვებამდე არ აქვთ თავისი კანდიდატურების წამოყენების უფლება (გარკვეული რანგის სახელმწიფო მოსამსახურეები, გუბერნატორები, მოსამართლეები, პროკურორები, ოფიცრები და გენერლები და ა.შ.), ზოგიერთ ქვეყანაში ასეთ პირებს მოეთხოვებათ, რომ მათ თანამდებობები დატოვონ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე — ზოგან არჩევნებამდე 6 თვით ადრე, ზოგან კი ერთი წლით ადრეც კი. ამ მოთხოვნის მიზანია, რომ გამოირიცხოს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება არჩევნებში. აურჩევლობა შეიძლება იყოს აბსოლუტური (მაგალითად, ესპანეთში სამეფო ოჯახის წევრებს არ შეუძლიათ პარლამენტში კენჭისყრა) და შეფარდებითი (მექსიკაში გუბერნატორებს არ შეუძლიათ კენჭისყრა გარკვეულ საარჩევნო ოლქებში).

შეუთავსებლობა ნიშნავს აკრძალვას, რომ პიროვნებას ერთდროულად ეკავოს არჩევითი და სხვა სახელმწიფოებრივი თანამდებობა. ის არ გამორიცხავს სახელმწიფო თანამდებობის პირის არჩევის შესაძლებლობას წარმომადგენლობით დაწესებულებაში, მაგრამ არჩევის შემთხვევაში ამ პირმა უნდა გადაწყვიტოს, დარჩება სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე და უარს იტყვის დეპუტატობაზე თუ პირიქით (მაგალითად, საფრანგეთში მინისტრებმა, რომლებსაც პარლამენტში აირჩევენ, ეს საკითხი 15 დღის განმავლობაში უნდა გადაწყვიტონ). შეუთავსებლობა ნიშნავს აგრეთვე რაიმე სახელმწიფოებრივი თანამდებობის დაკავებას აღმასრულებელ ან სასამართლო ხელისუფლებაში.

ზოგიერთ ქვეყანაში გამორიცხულია ერთდროულად რამდენიმე ორგანოში კენჭისყრა: მაგალითად, ქვედა პალატის დეპუტატი არ შეიძლება პრეტენზიას აცხადებდეს ზედა პალატის წევრობაზე. **შეუთავსებლობა** არაა ადამიანის უფლებების შეზღუდვა, რადგანაც თუკი მას აქვს არჩევის სურვილი, მაშინ შეუძლია, მაგალითად, უარი თქვას სახელმწიფო სამსახურში ყოფნაზე, ე.ი. შეუძლია შეიცვალოს სამართლებრივი სტატუსი, რის შემდეგაც შეეძლება თავისუფალი ჩართვა პოლიტიკაში.

მრავალ ქვეყანაში პასიური საარჩევნო უფლება სრული სახით ეძლევათ მხოლოდ კანდიდატის მიერ **საარჩევნო თავდების** შეტანის შემდეგ (ჩვეულებრივ მოეთხოვებათ, რომ ასეთი თავდები კანდიდატმა საკუთარი სახსრებიდან შეიტანოს). მაგალითად, საფრანგეთის ქვედა

პალატის დეპუტატობის თითოეულ კანდიდატს 1000 ფრანკი შეაქვს, კანადაში — 200 კანადური დოლარი, დიდ ბრიტანეთში — 500 გირვანქა სტერლინგი. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მისი რეგისტრირება კანდიდატად და მისი სახელი შეაქვთ საარჩევნო ბიულეტენში. თავდებში შეტანილი თანხა კანდიდატებს არ უბრუნდება და მიდის სახელმწიფოს შემოსავლებში, თუკი კანდიდატი ვერ მოაგროვებს კანონით დადგენილ ხმების რაოდენობას (დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში — 5%-ს, კანადაში — 15%-ს, ინდოეთში — არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა ხმების ერთ მერვედს).

საარჩევნო თავდები, რა თქმა უნდა, ზღუდავს ღარიბი კანდიდატების უფლებებს, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი შესაძლებლობას იძლევა ჩამოიცილონ ის კანდიდატები, რომელთაც არჩევის არანაირი შანსი არა აქვთ და საარჩევნო კამპანიას და აგრეთვე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს იყენებენ საკუთარი პერსონის პოპულარიზების მიზნით.

ბინადრობის ცენზი — წარმოადგენს კანონით დადგენილ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც ხმის უფლება ეძლევათ იმ ადამიანებს, რომლებიც მოცემულ ადგილში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობენ. ბინადრობის ცენზი აშშ-ის შტატების უმრავლესობაში 1-2 თვეს შეადგენს, გფრ-ში — 3 თვეს, საფრანგეთში — 6 თვეს, კანადაში — 12 თვეს.

ბინადრობის ცენზი ფართოდაა გავრცელებული. ზოგიერთ ქვეყანაში არ დგინდება ცხოვრების კონკრეტული ხანგრძლივობა, არამედ მოითხოვენ მუდმივ ცხოვრებას. მასში იგულისხმება, რომ ადამიანს აქვს ბინა, სამსახური, სამუშაო თუნდაც ერთი-ორი თვის განმავლობაში. მთავარია, რომ ადამიანი თავს აღიქვამდეს ამ ადგილის მცხოვრებლად.

ბინადრობის ხანმოკლე ვადის გამოც კი (ერთი-ორი თვე) მოქალაქეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არ მონაწილეობს არჩევნებში. მაგალითად, აშშ-ში არის სეზონური მუშების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან მოსავლის ასაღებად და არ მონაწილეობენ არჩევნებში. აშშ-ში არჩევნებში არ მონაწილეობენ ის ადამიანებიც, რომლებიც მოძრავ სახლებში (ტრაილერებში) ცხოვრობენ; მათი რაოდენობა კი დაახლოებით 6 მილიონია.

ზოგჯერ გვხვდება ბინადრობის თაობაზე განსაკუთრებული მოთხოვნები. ირლანდიაში ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს „ადგილი ძილისათვის". ეს მოთხოვნა მიმართული იყო არა მაწანწალების, არამედ სოფლის მეურნეობის მუშების წინააღმდეგ, რომლებიც სხვის

ფერმებში მუშაობდნენ. რადგანაც ისინი თავის სახლში არ ცხოვრობდნენ, ამ კანონის ინტერპრეტაციით, მათ ერთმეოდათ აქტიური საარჩევნო უფლება.

სექსობრივი ცენზი — თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობაში არ არსებობს პოლიტიკური შეზღუდვები ქალებისათვის, მაგრამ წარსულში ასე არ ყ .ფილა. პირველ მსოფლიო ომამდე ქალებს ხმის უფლება მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ჰქონდათ. ეს იყო ძირითადად სკანდინავიის ქვეყნები (ნორვეგია, ფინეთი, ისლანდია, დანია), აგრეთვე ავსტრალია და ახალი ზელანდია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქალებმა მრავალ ქვეყანაში მიაღწიეს არჩევნებში ხმის უფლებას: 1917 წელს ჰოლანდიაში, 1918 წელს დიდ ბრიტანეთში, 1919 წელს გერმანიაში, 1920 წელს აშშ-ში, 1921 წელს შვეციაში. ქალთა საარჩევნო უფლების გეოგრაფიული გაფართოება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა: 1944 წელს ხმის უფლება ქალებმა საფრანგეთში მიიღეს, 1945 წელს იტალიაში, 1946 წელს იაპონიაში. შვეიცარიაში ხმის უფლება ქალებმა მხოლოდ 1971 წელს მოიპოვეს. შვეიცარიაში აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ 1919 წელს წამოიჭრა, მაგრამ საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო გახდა რამდენიმე ათეული საერთო-ეროვნული რეფერენდუმი. რადგანაც მასში მხოლოდ საარჩევნო ხმის უფლების მქონე მამაკაცები მონაწილეობნენ, ისინი ჯიუტად უწევდნენ წინააღმდეგობას ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მიცემას. ყველაზე ბოლოს ევროპაში ხმის უფლება ქალებმა ლიხტენშტაინში მიიღეს — 1986 წელს.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად კუვეიტში, ქალებს საარჩევნო უფლებები დღემდე არა აქვთ და ამას ისლამურ ტრადიციებზე მითითებით ამართლებენ. ზოგიერთ ქვეყანაში რჩება განსაკუთრებული ნორმები, რომლებიც ქალების უფლებებს ზღუდავენ. მაგალითად, ჰაიტში ქალებს მხოლოდ ადგილობრივ ორგანოებში ირჩევენ. გვატემალაში დიდხანს არსებობდა თავისებური წესი — არჩევნებში მონაწილეობდნენ მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე ქალები. კოსტა-რიკასა და სალვადორში არჩევნებში მონაწილეობის უფლება გათხოვილ ქალებს მხოლოდ 25 წლის ასაკიდან ჰქონდათ, გაუთხოვარ ქალებს კი 30 წლის ასაკიდან.

ქონებრივი ცენზები დიდი ხნის მანძილზე არსებობდა ყველა ქვეყანაში, სადაც კი იყო პარლამენტი. ქონებრივი ცენზი საკმაოდ უბრალოდ განისაზღვრებოდა — გადახდილი გადასახადების სიდიდით. ქონებრივი ცენზის არსებობა მართებულად მიიჩნეოდა, რადგანაც უქონელი ადამიანი, რომელიც იმავდროულად გაუნათლებელი იყო, ღირსეულ არჩევანს ვერ გააკეთებდა. მაგრამ ცივილიზაციის და

ტექნიკის განვითარებასთან ერთად ქონებრივი ცენზი უკვე მიუღებელი ხდებოდა, თუმცა ამის მიღწევას ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა დასჭირდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქონებრივი ცენზი პრაქტიკულად გაქრა. ზოგიერთ ქვეყანაში ის გამოიყენება მხოლოდ დეპუტატობის კანდიდატების, ანუ პასიური საარჩევნო უფლების სფეროში. მაგალითად, არგენტინაში პრეზიდენტობის კანდიდატს მოეთხოვება ცნობა წლიური შემოსავლის გარკვეული ოდენობის თაობაზე. ესაა იმის დასტური, რომ იგი გამდიდრებისთვის კი არ ესწრაფვის პრეზიდენტად გახდომას, არამედ სურს ხალხს ემსახუროს. გადასახადის გარკვეული რაოდენობის გადახდის შესახებ მოთხოვნა დღემდე მოქმედებს ავსტრალიის, კოლუმბიის, მექსიკის, ახალი ზელანდიის, კოსტა-რიკის საარჩევნო სამართალში.

რიგ ქვეყნებში მოქმედებს **ცენზი სამხედრო მოსამსახურეებზე**. არის ამ ცენზის სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტებიც. თანამედროვე მსოფლიოში მრავალი არმია პროფესიონალურ საწყისებზე არის აგებული, ისინი მცირერიცხოვანია და მათი მონაწილეობა თუ არმონაწილეობა არსებით ზეგავლენას არ ახდენს არჩევნების შედეგებზე. თანამედროვე პირობებში სამხედრო მოსამსახურეებს უფრო პასიურ საარჩევნო უფლებას ართმევენ. მიზეზი ისაა, რომ სამხედრო სამსახური არ უნდა უკავშირდებოდეს პოლიტიკას.

იშვიათად არსებობს **რელიგიური ცენზიც**. მაგალითად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში პარლამენტში ასარჩევად კანდიდატი უნდა იყოს მუსულმანი და აქტიურად ქადაგებდეს ისლამს. იქ პარლამენტის წევრთა 90% კულტის მსახურები არიან.

მთლიანობაში მსოფლიოში ცნობილია 50-ზე მეტი სხვადასხვა ცენზი. ზოგიერთი ცენზი ეროვნული ან ადგილობრივი თავისებურებებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, აშშ-ს ზოგიერთ შტატში (ალაბამა, კონექტიკუტი, ლუიზიანა) არსებობს მოთხოვნა, რომ ამომრჩეველს „კარგი ხასიათი" ჰქონდეს. ესაა საკმაოდ ბუნდოვანი მოთხოვნა. მასზე მითითებით, შეიძლება ხმის უფლება ჩამოართვა ადამიანს, რომელიც მეზობელს წაეჩხუბა.

თანასწორი საარჩევნო უფლება. თანასწორი საარჩევნო უფლება ნიშნავს ამომრჩევლისთვის კანონით დადგენილ თანაბარ უფლებებს არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოსახდენად და ერთნაირ შესაძლებლობებს, არჩეული იყვნენ კანონის შესაბამისად.

თითოეული ამომრჩევლის ხმა ერთნაირად ფასდება, დამოუკიდებლად მისი კუთვნილებისა ამა თუ ამ ადამიანისადმი. ამასთან არც

მათი ქონებრივი მდგომარეობა, არც თანამდებობა, არც რაიმე სხვა სტატუსი ან პიროვნული თვისება გავლენას არ უნდა ახდენდეს მოქალაქის, როგორც ამომრჩევლის მდგომარეობაზე.

თანასწორი არჩევნების პრინციპი ემყარება რამდენიმე პირობას:

— **თითოეულ ამომრჩეველს უნდა ექონდეს ხმების თანაბარი რაოდენობა.** ჩვეულებრივ მას ერთი ხმა აქვს, მაგრამ შეიძლება ქონდეს ორი (მაგალითად, გერმანიაში ქვედა პალატის არჩევნების დროს ერთ ხმას აძლევენ პარტიულ სიას, მეორეს კი კონკრეტულ კანდიდატს საარჩევნო ოლქში) და მეტი. ეს განპირობებულია საარჩევნო სისტემის სხვადასხვა ტიპით.

ამ პრინციპის დარღვევას წარმოადგენს ე.წ. **პლურალური კოტუმი,** როდესაც ამომრჩევლების უმრავლესობას აქვს ერთი ხმა, ზოგიერთებს კი — რამდენიმე (ჩვეულებრივ ორი). ასე იყო მაგალითად, დიდ ბრიტანეთში XX ს. 40-იანი წლების ბოლომდე. იქ უნივერსიტეტდამთავრებულებს უფლება ჰქონდათ ხმა მიეცათ თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც და იმ ოლქშიც, სადაც დაამთავრეს უნივერსიტეტი.

— **ქვეყანაში არსებობს ერთიანი საარჩევნო კორპუსი,** ე.ი. ამომრჩევლები არ არიან დაყოფილნი სოციალურ ან სხვა რაიმე ჯგუფებად არაერთნაირი (ჩვეულებრივ, წინასწარ დაფიქსირებული) წარმომადგენლობით. ამ პრინციპს არღვევს ამომრჩეველთა დაყოფა კურიებად. ამგვარი სისტემა არსებობს ჩინეთში. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის კრებაში ერთ წარმომადგენელს ქალაქის მოსახლეობა ირჩევს 8-ჯერ უფრო ნაკლები ამომრჩეველის მქონე ოლქიდან, ვიდრე სოფლის მოსახლეობა. ამ უთანასწორობას ჩინეთში ასაბუთებენ გლეხურ ქვეყანაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნების აუცილებლობით.

— **ამომრჩეველთა სმების ერთნაირი წონა უნდა ექონდეს,** ე.ი. საარჩევნო ოლქები თანასწორი უნდა იყოს ან ამომრჩეველთა რაოდენობის, ან მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. მრავალმანდატიან ოლქებში დაცული უნდა იყოს მანდატებისა და ამომრჩევლების პროპორცია, ერთიან საერთო სახელმწიფოებრივ (ნაციონალურ) ოლქში კი უნდა მოქმედებდეს ერთი და იგივე კვოტა (საარჩევნო მეტრი).

რადგანაც მოსახლეობის რაოდენობა მუდმივად იცვლება (მიგრაციების, სიკვდილიანობის და ა.შ.), ზუსტად ერთნაირი სიდიდის საარჩევნო ოლქების „გამოჭრა" ფაქტობრივად შეუძლებელია. გარდა ამისა, საარჩევნო ოლქების შექმნისას, როგორც წესი, არ დაიშვება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დადგენილი საზღვრე-

ბის დარღვევა (ტერიტორიული საარჩევნო კომისიების არარსებობის შემთხვევაში უაღრესად გაძნელდება არჩევნების ორგანიზება და მისი შედეგების განსაზღვრა).

ამიტომ საარჩევნო კანონები დასაშვებად მიიჩნევენ გარკვეულ გადახრებს ამ პრინციპიდან. ასე მაგალითად, გერმანიის საარჩევნო კანონის მიხედვით საარჩევნო ოლქები მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით შეიძლება განსხვავდებოდეს ერთი მესამედით (33%-ით). აშშ-ს კონგრესში საარჩევნო ოლქებში მოსახლეობის რაოდენობაში სხვაობა 2%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

გარკვეული დროის შემდეგ, რაც ზოგჯერ კანონშიც აისახება, საარჩევნო ოლქების საზღვრები გადაისინჯება ხოლმე (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ყოველ 15 წელში ერთხელ).

თანასწორობის პრინციპის დარღვევას წარმოადგენს ე.წ. **საარჩევნო გეოგრაფია** (საარჩევნო ოლქების გამოჭრა), რასაც ზოგჯერ ამერიკული ტერმინით **„ჯერიმენდერინგით“** აღნიშნავენ. ხელისუფლების სათავეში მყოფი ადმინისტრაცია ისეთ საარჩევნო ოლქებს ადგენს, სადაც გამარჯვება გარანტირებული ექნება მინიმალური უპირატესობით, ხოლო სხვა პარტიების ელექტორატი კი თავმოყრილი იქნება ისეთ ოლქებში, სადაც ისინი უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვებენ. ამ მიზნით წინასწარ ტარდება კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევები, რათა გამოავლინონ სხვადასხვა დასახლებული პუნქტების მცხოვრებთა სიმპათიები. ამიტომ საარჩევნო ოლქები, ხშირ შემთხვევებში, მეტად უცნაურ ფორმებს ღებულობს ხოლმე. ბოლო ხანებში ამგვარი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ რიგი ზომები იქნა მიღებული.

— სახელმწიფოს მიერ თანაბარი პირობების შექმნა რეგისტრირებული კანდიდატებისათვის. საარჩევნო პროგრამების უფასო განთავსება სახელმწიფო მასმედიაში (პრესა, ტელევიზია, რადიო და ა.შ.), კანდიდატთა თანაბარი უფლება გამოვიდნენ წინასაარჩევნო კრებებსა და მასმედიაში.

პრეფერენციების სისტემა. ცხადია, რომ თანაბარი საარჩევნო უფლება — დემოკრატიული პრინციპია, მაგრამ რიგ ქვეყნებში დაშვებულია ამ პრინციპის დარღვევა სწორედ უფრო მეტი დემოკრატიულობის უზრუნველსაყოფად ან სხვა რაიმე მოსაზრებებიდან გამომდინარე. მაგალითად, ბანგლადეშში პარლამენტის 330 ადგილიდან 30 ქალებისთვისაა დაჯავშნული. ბუტანში პარლამენტის 150 ადგილიდან 10 აუცილებლად ბუდისტმა ბერებმა უნდა დაიკავონ. ინდოეთში პარლამენტში რამდენიმე ადგილი მუდმივად განკუთვნილია ინგლისურ-ინდური თემის წარმომადგენლებისათვის, ანუ იმ პირები-

სათვის, რომლებიც შერეული ქორწინების შედეგად დაიბადნენ. ინდოეთში ზედა პალატას აქვს აუცილებელი კვოტები: პალატის ერთი მეთორმეტედი განკუთვნილია უმაღლესდამთავრებულთათვის, ხოლო ერთი მეთორმეტედი მასწავლებლებისათვის. ეს კეთდება იმისათვის, რომ საკანონმდებლო ორგანოში განათლებულ ადამიანთა რაოდენობა გაზარდონ. ინდონეზიის პარლამენტში 100 ადგილი ეკუთვნით შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, რომელთაც პრეზიდენტი ნიშნავს. საფრანგეთის სენატში 12 სენატორი წარმოადგენს ფრანგულ დიასპორას — საზღვარგარეთ მცხოვრებ საფრანგეთის მოქალაქეებს. მათ განსაკუთრებული გზით ირჩევენ: საზღვარგარეთ მცხოვრები ფრანგთა საბჭოები.

არჩევნების ფარულობა. არჩევნების ფარულობა გულისხმობს ამომრჩევლის მიერ ნების გამოხატვაზე რაიმე სახის კონტროლის გამორიცხვას. კონკრეტული ამომრჩევლის გადაწყვეტილება არ უნდა იყოს ვინმესთვის ცნობილი. არავის არა აქვს უფლება მოითხოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აძლევს ხმას ესა თუ ის ამომრჩეველი, თუკი თავად ამომრჩეველი არ მოისურვებს ამის გამოცხადებას.

მხოლოდ ფარულ კენჭისყრას შეუძლია ხალხის ჭეშმარიტი ნების გამოვლენა. წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნები გადაიქცევა ღონისძიებად, რომლის დროსაც ხალხი იძულებითი წესით ამტკიცებს მისთვის თავსმოხვეულ თანამდებობის პირებს.

ფარულობა უზრუნველყოფს არჩევანის თავისუფლებას, იცავს მოქალაქეებს შესაძლო დევნისაგან, აგრეთვე მოსყიდვისაგან. ის მოქმედებს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლების მიმართ. პრაქტიკაში არჩევნების ფარულობა უზრუნველყოფილია ხმის მიცემის დახურული პროცედურით, ხმის მიცემისათვის სპეციალური კაბინების არსებობით, ხმის მიცემის ბიულეტენების სტანდარტული ფორმით და ერთნაირობით, მასში ყველა კანდიდატის სახელის შეტანით, ანდა ქაღალდის ბიულეტენების ნაცვლად სპეციალური მანქანების გამოყენებით, რომლებიც ამომრჩევლის გადაწყვეტილების ფარულობას ინარჩუნებენ (ხმის მიცემის მანქანებს ასევე დგამენ დახურულ კაბინაში) და აიოლებენ ხმის მიცემისა და მისი შედეგების დათვლის ტექნიკას, იმით რომ დალუქულია საარჩევნო ურნები და ა.შ. არჩევნების ფარულობის დარღვევა მკაცრად ისჯება.

ზოგიერთ ქვეყანაში ამომრჩეველი ბიულეტენს ღებულობს სპეციალური გაუმჭვირვალე კონვერტით. კაბინაში შესული ადამიანი

ბიულეტენს იღებს კონვერტიდან, ავსებს მას, უკანვე დებს კონვერტში და შემდეგ ჩაუშვებს ურნაში. ეს ხაზს უსვამს ხმის მიცემის განსაკუთრებულ საიდუმლოებას.

ასევე აუცილებელია, რომ კაბინა ხმის მიცემის ფარულობისთვის აუცილებლად იყოს იმ გზაზე, რომლითაც უნდა გაიაროს ამომრჩეველმა ბიულეტენის მიღებიდან ურნაში მის ჩაშვებამდე.

ზოგიერთ ქვეყანაში საარჩევნო მაქინაციებთან ბრძოლის დროს ფაქტობრივად ირღვევა ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი. მაგალითად, აშშ-ს ზოგიერთ შტატში (კოლორადო) ხმის მიცემის ბიულეტენზე ეწერება ციფრი და რიცხვი, რომელიც ემთხვევა სიაში ამომრჩევლის რიგით ნომერს. სამხრეთ კაროლინას შტატში ამომრჩეველი ბიულეტენს მხოლოდ მას შემდეგ იღებს, რაც დაასახელებს, თუ ვის მისცემს ხმას. ზოგიერთ შტატში ამომრჩეველი ჯერ კიდევ რეგისტრაციის დროს პასუხობს კითხვას, თუ ვისთვის აპირებს ხმის მიცემას. დიდ ბრიტანეთში ბიულეტენს აქვს ნომერი და სურვილის შემთხვევაში, შეიძლება იმის დადგენაც, თუ რომელმა ამომრჩეველმა ვის მისცა ხმა. მაგრამ დიდი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებში ეს არ განაპირობებს არჩევნების თავისუფლების დარღვევას.

არჩევნების ფარულობის პირობებში თითოეულ ამომრჩეველს გარანტირებული აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თაეული ხელით შეიტანოს ყველასთვის ერთნაირი ბიულეტენი იზოლირებულ კაბინაში და ჩრადად ჩაუშვას ის ურნაში. ეს წესი არსებობს ქვეყნების უმრავლესობაში.

ღია არჩევნები ძალზედ იშვიათად გამოიყენება ქვედა საფეხურის წარმომადგენლობით ორგანოებში და ხორციელდება ხელის აწევის გზით. ეს მეთოდი გამოიყენებოდა XX საუკუნის 90-იან წლებამდე აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევის დროს, ხოლო ამჟამად გამოიყენება ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის კრების ქვედა რგოლის არჩევნებისას.

არჩევნების ფარულობის პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატიაზე გადადიან. ძველი ტრადიციების მქონე დემოკრატიულ ქვეყნებში ადამიანები არ უფრთხიან იმის დასახელებას, თუ ვისთვის აპირებენ ხმის მიცემას.

არჩევნების ფარულობის პრინციპი, როგორც წესი, ირღვევა ტოტალიტარულ სახელმწიფოებში. მაგალითად, ჩრდილოეთ კორეაში, სადაც მმართველი შრომის პარტიის კანდიდატები იღებენ ამომრჩეველთა ხმების თითქმის 100%-ს, ხმის მიცემის კაბინები დგას ურნისაკენ მიმავალი მარშრუტისაგან განზე და კაბინაში შესული ამომრჩეველი მაშინვე ექცევა უშიშროების სამსახურის თანამშრომლების ყურადღების ქვეშ.

1995 წელს ერაყში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომლის დროსაც სადამ ჰუსეინმა ხმების 99,96% მიიღო, ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ სახელობითი ბიულეტენებით, რომლებშიც მითითებული იყო მათი გვარი და ბინის მისამართი.

პირდაპირი (უშუალო) კენჭისყრა. პირდაპირი არჩევნები — ესაა მოქალაქეთა მიერ თავისი წარმომადგენლების უშუალო არჩევა სახელმწიფო ორგანოებში. ამომრჩეველი გადაწყვეტილებას ღებულობს არჩევით თანამდებობაზე კონკრეტულ კანდიდატებთან დაკავშირებით, ხმას აძლევს რეალურ ადამიანს. ამომრჩევლებსა და კანდიდატებს შორის არ არის რაიმე ინსტანცია, რომელიც გააშუალებს მათ მიერ ნების გამოხატვას და უშუალოდ განსაზღვრავს პარლამენტართა პერსონალურ შემადგენლობას.

თითქმის ყველგან (გამონაკლისია, მაგალითად, ბუტანის სამეფო) პირდაპირი არჩევნებით აირჩევა ერთპალატიანი პარლამენტის დეპუტატები, ორპალატიანი პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. თუმცა, არის გამონაკლისებიც. ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყანაში (ბანგლადეში, პაკისტანი) ქალი-პარლამენტარების გარკვეულ რიცხვს ქვედა პალატაში თავად პარლამენტი ირჩევს, ხოლო ერთპალატიან პარლამენტში შეიძლება იყოს პარლამენტართა მცირე რიცხვი, რომელთაც პირდაპირ პრეზიდენტი ნიშნავს ქვეყნის გამოჩენილი მოქალაქეების რიცხვიდან (მაგალითად 10 პარლამენტარამდე ეგვიპტეში). მრავალ ქვეყანაში პირდაპირი არჩევნებით აირჩევა პარლამენტების ზედა პალატები (ბრაზილია, აშშ და სხვა), პრეზიდენტები (მექსიკა, საფრანგეთი და სხვ.). ერთადერთ ქვეყანაში — ისრაელში — პირდაპირი არჩევნებით აირჩევა პრემიერ-მინისტრი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეები ირჩევენ მხოლოდ ამრჩევებს ან სპეციალურ ორგანოს, რომელიც უშუალოდ ირჩევს კანდიდატს, საქმე გვაქვს არაპირდაპირ (ირიბ) არჩევნებთან.

თეორიულად, პირდაპირი არჩევნები უფრო დემოკრატიულია, მაგრამ არაპირდაპირი არჩევნები უფრო მიზანშეწონილი შეიძლება აღმოჩნდეს, თუკი უზრუნველყოფს უფრო პროფესიონალურ, აწონილ-დაწონილ მიდგომას მაღალ სასელმწიფოებრივ პოსტებზე კანდიდატების შერჩევისას. ამიტომ არჩევნების ამა თუ იმ სისტემის მიღება მიზანშეწონლობის საკითხია, დაკავშირებულია ,ქვეყნის კონკრეტულ პირობებთან, მის ისტორიასთან, ეროვნულ სპეციფიკასთან.

არსებობს არაპირდაპირი არჩევნების ორი სახესხვაობა: **ირიბი** და **მრავალსაფეხურიანი**. თავის მხრივ **ირიბი არჩევნების ორი ვარიანტი** **არსებობს**. **პირველი ვარიანტის** დროს არჩევნებს ატარებს ამისათვის სპეციალურად შექმნილი საარჩევნო კოლეგია. ამის მაგალითს წარმოადგენს აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნები, როდესაც მოქალაქეები ირჩევენ ამა თუ იმ პარტიის ამრჩევებს, შემდეგ კი ამრჩევები, იკრიბებიან თავიანთი შტატების დედაქალაქებში და ხმას აძლევენ ამა თუ იმ პარტიის მიერ წინასწარ გამოცხადებულ პრეზიდენტობის კანდიდატს. ამომრჩეველთა ხმების დაჯამება ხდება ვაშინგტონში — აშშ-ს დედაქალაქში. ამგვარი წესი არსებობს არგენტინაში. ირიბი არჩევნებით აირჩევა ინდოეთის პარლამენტის ზედა პალატა, გერმანიის პრეზიდენტი და ა.შ.

არაპირდაპირი არჩევნების **მეორე ვარიანტის** დროს არჩევნები ტარდება არა სპეციალურად შექმნილი საარჩევნო კოლეგიის, არამედ მუდმივმოქმედი ორგანოს მიერ. ამის თვალსაჩინო მაგალითია პრეზიდენტის არჩევა საბერძნეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების პარლამენტების მიერ.

მრავალსაფეხურიანი არჩევნების ორგანიზება სხვაგვარად ხდება. დაბალ წარმომადგენლობით ორგანოებს უშუალოდ მოქალაქეები ირჩევენ, შემდეგ კი უკვე ეს ორგანოები ირჩევენ დეპუტატებს ზემდგომ წარმომადგენლობით ორგანოებში, ისინი შესაბამისად ირჩევენ უფრო მაღალ რგოლს, სანამ არ იქნება არჩეული პარლამენტის შემადგენლობა. წარსულში ასეთი სისტემა გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირში, კუბაში, ანგოლასა და მოზამბიკში. ამჟამად არსებობს ჩინეთში.

არაპირდაპირი არჩევნების ღირსება ისაა, რომ ზემდგომ ინსტანციაში აირჩევა უფრო საქმის მცოდნე და პროფესიონალი დეპუტატები, რადგანაც ამომრჩევლების როლში გამოდიან ქვედა საფეხურის დეპუტატები. მაგრამ იმავე მიზეზის გამო სუსტდება კავშირი ამომრჩევლებთან. მრავალსაფეხურიანი ირიბი არჩევნები ასუსტებს კავშირს ამომრჩევლებთან. ამიტომ პროფესიონალთა კოლეგიის არჩევანი (ხშირად ბიუროკრატიული მენტალიტეტით) ყოველთვის არ ემთხვევა უბრალო ადამიანების არჩევანს. ამიტომ უფრო დემოკრატიულად ითვლება პირდაპირი არჩევნები.

არაპირდაპირი არჩევნები დეპერსონალიზაციის, არჩევანის აბსტრაქტულობის გამო ამცირებს მოქალაქეთა ინტერესს მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემის პროცესში და ხელს უწყობს აბსენტეიზმის განვითარებას. ისინი ამახინჯებენ ამომრჩეველთა ნებას მსხვილი პარტიების ან ბლოკების სასარგებლოდ, რადგანაც არჩევნების თითო-

ეულ დონეზე იკარგება აუტსაიდერი პარტიების მიერ მიღებული ხმები. თანამედროვე პირობებში არაპირდაპირი არჩევნები იშვიათად გამოიყენება.

არაპირდაპირი (ორსაფეხურიანი) არჩევნები გამოიყენება, მაგალითად, ინდოეთის, მალაიზიის პარლამენტების ზედა პალატების, ბრაზილიის, აშშ-ს, ფინეთის პრეზიდენტების არჩევნების დროს.

თანამედროვე სასელმწიფოთა უმრავლესობაში სმის მიცემა უფლებაა და არა მოვალეობა. მაგრამ ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს არ სურს სიღმე მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ელექტორატის ამგვარ ქცევას — არჩევნებში ამომრჩეველთა არმონაწილეობას აბსენტეიზმი (ლათ. abscns — არდამსწრები) ეწოდება.

აბსენტეიზმი ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს. მის დონეზე ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა მიზეზები, მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიკური. თანამედროვე პირობებში შესამჩნევია აბსენტიზმის ზრდა. ის განსაკუთრებით მაღალია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (აქ ამომრჩეველთა თითქმის 50% არ ღებულობს მონაწილეობას არჩევნებში).

ზოგიერთ ქვეყანაში გათვალისწინებულია **საკალდებულო ვოტუმი** — ამომრჩევლები იურიდიულად ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ ხმის მიცემაში. სავალდებულო ვოტუმი დადგენილია იტალიის, ავსტრალიის, ბელგიის, თურქეთის კანონმდებლობით. ავსტრალიასა და ბელგიაში პირები, რომლებიც თავს არიდებენ არჩევნებში მონაწილეობას, იხდიან ფულად ჯარიმას, ავსტრიაში ისჯებიან ოთხკვირიანი პატიმრობით ან მსხვილი ფულადი ჯარიმით.

თანასწორი საარჩევნო უფლება გულისხმობს თითოეული ამომრჩევლისათვის თანასწორ შესაძლებლობას, ზემოქმედება მოახდინოს არჩევნების შედეგებზე. საარჩევნო უფლების თანასწორობა უზრუნველყოფილია პირველ რიგში იმით, რომ თითოეულ ამომრჩეველს აქვს ხმების თანაბარი რაოდენობა, თანაბარი უფლებები, რათა ზეგავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე.

§ 3. არჩევნების დემოკრატიული ორგანიზების საერთო პრინციპები

დემოკრატიული საარჩევნო უფლებების ბაზაზე ჩამოყალიბდა საარჩევნო პროცესის დემოკრატიული ორგანიზებისათვის დამახასი-

ათებელი პრინციპები. ასეთ პრინციპებს განეკუთვნება: არჩევნების თავისუფლება, არჩევნები ალტერნატიული კანდიდატების პირობებში, არჩევნების შეჯიბრებადობა, კონკურენტულობა, არჩევნების პერიოდულობა და რეგულარულობა, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების შესაძლებლობათა თანასწორობა, საზოგადოების მხრიდან კონტროლის შესაძლებლობა.

არჩევნების თავისუფლება. ეს პირველ რიგში გულისხმობს ამომრჩევლებზე, აქტივისტებზე, კანდიდატებზე და არჩევნების ორგანიზატორებზე პოლიტიკური, ადმინისტრაციული, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და ინფორმაციული ზეწოლის არარსებობას. არჩევნების თავისუფლების პრინციპი ნიშნავს, რომ **არავის არა აქვს უფლება ზემოქმედება მოახდინოს მოქალაქეებზე, იმისათვის რომ მათ მონაწილეობა მიიღონ ან არ მიიღონ არჩევნებში. ასევე არავის არა აქვს უფლება ზეგავლენა მოახდინოს მისი ნების თავისუფალ გამოხატვაზე.**

თავისუფალი არჩევნების პრინციპი ნიშნავს, რომ ამომრჩეველი თავად გადაწყვეტს, მონაწილეობა მიიღოს თუ არა საარჩევნო პროცესში და რა სახით.

- პოლიტიკური ზეწოლის მაგალითებია ანგარიშსწორება მოწინააღმდეგეებთან, პარტია-კონკურენტების აქტივისტებთან ან მომხრეებთან;
- ადმინისტრაციულის — იმ თანამდებობის პირების მოხსნის მუქარა, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს მმართველი პარტიის „გამარჯვება", იმ თანამშრომლების გათავისუფლებით დაშინება, რომელთაც არ სურთ თავიანთი ხელმოწერების დაფიქსირება ამა თუ იმ კანდიდატის წამოყენების მხარდამჭერ სიებში და ა.შ.;
- სოციალურ-ეკონომიკურის — მოსყიდვა, მუქარა ან რეალური სანქციები, მათ შორის მოსახლეობის მთელი კატეგორიების მიმართ შრომის ანაზღაურების გაზრდით, თვეობით დაგვიანებული ხელფასების, პენსიების და სხვა დახმარებების გადახდით და ა.შ., ცალკეული რეგიონებისათვის შეღავათებისა და პრივილეგიების დაპირებებით და ა.შ.;
- ფსიქოლოგიურის — ამომრჩეველთა დაშინება სამოქალაქო ომის საფრთხით, მასობრივი რეპრესიებით და ა.შ., თუკი ხელისუფლების სათავეში პარტია-ოპონენტი მოვა;
- საინფორმაციო ზეწოლის — ინფორმაციის სისტემატური ცალმხრივი ან დამახინჯებული მიწოდება. გარდა ამისა, არჩევნების

თავისუფლება გულისხმობს წინასაარჩევნო აგიტაციის თავისუფლებას, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში ზოგიერთი ეთიკური და სხვა ხასიათის შეზღუდვით.

უნდა არსებობდეს ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც გამორიცხავს არჩევნებში მოსყიდვით, მუქარით, ფალსიფიკაციით წარმატების მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ რიგ ქვეყნებში, მაგალითად ფილიპინებზე, არჩევნებში მონაწილეობა არის არა უფლება, არამედ მოქალაქეთა მოვალეობა, ხოლო საარჩევნო უბანზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზის გარეშე შეიძლება ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის დანაშაულადაც კი იქნეს მიჩნეული.

იტალიაში არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქის მოვალეობად მიიჩნევა, მაგრამ ამ მოვალეობის არშესრულებისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ მორალური სანქციები. ავსტრალიაში ასეთივე დანაშაულისთვის ჯარიმაა დაწესებული, საბერძნეთსა და თურქეთში — თავისუფლების აღკვეთაც კი. ბელგიაში არჩევნების დროს ხმის მიცემაში მონაწილეობის მიუღებლობისათვის პირველად უცხადებენ საყვედურს ანდა პატარა ჯარიმას აკისრებენ, მეორე ამგვარი შემთხვევისათვის, თუკი პირველი შემთხვევიდან 6 წელზე ნაკლებია გასული, ჯარიმის სიდიდე იზრდება, ხოლო თუ პირველი შემთხვევიდან 6-დან 10 წლამდეა გასული, ამომრჩევლის გვარი სპეციალურ სიაში შეაქვთ და აკრავენ კომუნალური ადმინისტრაციის შენობის კედელზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არგენტინაში ხმის მისაცემად არგამოცხადებულ ამომრჩეველს არა მარტო აჯარიმებენ, არამედ სამი წლის განმავლობაში სახელმწიფოებრივი თანამდებობის დაკავების უფლებას ართმევენ.

იქ, სადაც დადგენილია სავალდებულო ვოტუმი, ამომრჩეველთა მონაწილეობა კენჭისყრაში 90%-ს და მეტსაც აღწევს. მაგრამ ამ გზით უზრუნველყოფილი ხელისუფლების ლეგიტიმურობა საკმაოდ ხელოვნურად გამოიყურება.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში უპირატესობა ენიჭება თავისუფალი არჩევნების პრინციპს. ანგლოსაქსურ სამართლებრივ სისტემაში თავისუფალი მონაწილეობის პრინციპი ურყევად არის მიჩნეული და იქ არსებობს წესიც, რომელიც რამდენადმე აბსურდულად ჟღერს: არჩევნებში თუნდაც ერთმა ამომრჩეველმა რომ მიიღოს მონაწილეობა, არჩევნები შემდგარად ითვლება.

არჩევნები ალტერნატიული კანდიდატების არსებობით. თავად ტერმინი „არჩევნები“ გულისხმობს ამორჩევას სხვადასხვა შეთავაზებებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს მხოლოდ ერთ კანდიდატთან (ან პარტიასთან), მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მის მოწონება-არმოწონებაზე ამომრჩეველთა მიერ, მაგრამ არა არჩევანზე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. რა თქმა უნდა, პრაქტიკაში, განსაკუთრებით ჯერ ჩამოუყალიბებელი მრავალპარტიულობის ქვეყნებში, ზოგჯერ იქმნება სიტუაცია, როდესაც რომელიმე პოლიტიკურ ლიდერს ოპოზიციური ძალები ვერ უბედავენ თავიანთი კანდიდატის დაპირისპირებას. ამ შემთხვევაში არჩევნების დემოკრატიული პოტენციალი მნიშვნელოვნად იზღუდება. პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში ალტერნატიული კანდიდატების არსებობა არჩევნების დემოკრატიზმის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

რადგანაც არჩევნები ამავე დროს ამომრჩეველზე საინფორმაციო იერიშსაც წარმოადგენს, არჩევნების ჭეშმარიტად თავისუფალი ხასიათი გულისხმობს **საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების შეზღუდვასაც**, რაც ხდება შემდეგი პირობების უზრუნველყოფით:

- აზრთა პლურალიზმი (რომლებიც ერთმანეთს აწონასწორებენ);
- ამომრჩევლებზე ზეწოლის, მუქარის, შანტაჟის აკრძალვა;
- ამომრჩეველთა მოსყიდვის აკრძალვა;
- არჩევნების წინა დღეს და არჩევნების დღეს აგიტაციის აკრძალვა;
- ამომრჩეველთა ნების გამოხატვის აკრძალვა.

არჩევნების კონკურენტუნარიანობა. არჩევნების დემოკრატიულობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მასში კონკურენტი პარტიების, მოძრაობების, კანდიდატების მონაწილეობა. სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა იბრძოლონ ამომრჩეველთა ნდობის მოსაპოვებლად, წამოაყენონ ალტერნატიული კანდიდატები, გააცნონ და დაუსაბუთონ მათ თავისი წინასაარჩევნო პროგრამის უპირატესობანი, კონკურენტთა ანალოგიური დოკუმენტების ნაკლოვანებანი.

კონკურენტუნარიანობა გულისხმობს არა მარტო ოპოზიციის დაშვებას ხმის მიცემის პროცესში, არამედ სიტყვის თავისუფლებას, მისაწვდომი საინფორმაციო საშუალებების მისაწვდომობას ოპოზიციისათვის. ცნობილია, რომ ჭეშმარიტება კამათში იბადება. ამ აზრით, „პოლიტიკური ჭეშმარიტება“ — მოსახლეობის უმრავლესობისათვის ყველაზე მისაღები პროგრამები, პარტიები და კანდიდატები — ჩვეულებრივ, სახელმწიფოში სახელისუფლო პოზიციების მოსაპოვებლად გამართულ საარჩევნო დავაში განისაზღვრება.

პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების შესაძლებლობათა თანასწორობა. ეს გულისხმობს პირველ რიგში მათი მატერიალური და საინფორმაციო რესურსების თანასწორობას. ასეთი თანასწორობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად დასახარჯი თანხის მაქსიმუმის დადგენით, პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო ფონდებში ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების შენაწირების ზომის შეზღუდვით, მათთვის ტელევიზიასა და რადიოში უფასო ეთერის თანაბრად დათმობით და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში არჩევნები განიხილება როგორც „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური" საქმე, არსებობს საარჩევნო კამპანიის სახელმწიფო დაფინანსება.

გფრ-ში ყოველ პარტიას, რომელიც ბუნდესტაგის ან ევროპარლამენტის არჩევნებში იღებს ხმების არანაკლებ 0,5%-ს ყოველ მიღებულ ხმაზე ბიუჯეტიდან გამოეყოფა არანაკლებ 5 მარკისა. გარდა ამისა, ფინანსური თვალსაზრისით სუსტი პარტიები სახელმწიფოსგან ღებულობენ არცთუ მცირე სახსრებს „შანსების გასათანაბრებლად". სხვა ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ში არჩევნების დაფინანსება პირად საქმეს წარმოადგენს.

გამოცდილება აჩვენებს, რომ შესაძლებლობათა თანასწორობა ის პრინციპია, რომელიც ყველაზე ხშირად ირღვევა არჩევნების დროს, რაც სსკადასსკა სარისსით ამახინჯებს არჩევნების შედეგებს და ამ დემოკრატიულ სასიათს.

მმართველ პარტიას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა ხელისუფლების სათავეში ყოფნასთან დაკავშირებული უპირატესობანი ჰქონდეს, მაგრამ კონკურენტული საარჩევნო ბრძოლის წესები პატიოსანი უნდა იყოს.

არჩევნების პერიოდულობა და რეგულარულობა. არჩევნებს შეუძლია დემოკრატიის ინსტრუმენტის როლის, კონსტრუქციული ფუნქციების შესრულება იმ პირობით, რომ მანდატების მატარებელნი გარკვეული, არცთუ ძალიან ხანგრძლივი ვადით იქნებიან არჩეულნი. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ამომრჩევლებს შეეძლოთ თავიანთი წარმომადგენლების გაკონტროლება, თავიდან აიცილონ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება და მოახდინონ მთავრობის პოლიტიკური კურსის კორექტირება. დემოკრატიული ქვეყნები არ ირჩევენ დიქტატორებს ან პრეზიდენტებს მათი სიცოცხლის მანძილზე. ერთადერთი გამონაკლისია მოსამართლეები, რომლებიც გარედან შესაძლო ზეწოლისაგან გასათავისუფლებლად შეიძლება არჩეულნი იყვნენ სიცოცხლის ბოლომდე და მათი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებით დიდი დარღვევების შემთხვევაში.

არჩევნების პერიოდულობა და რეგულარულობა ნიშნავს, რომ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში პოლიტიკური ლიდერები სთხოვენ ამომრჩევლებს თანამდებობაზე ყოფნის მანდატს. ე.ი. დემოკრატიული საზოგადოება ყოველთვის გამოირჩევა იმით, რომ ყოველთვის არის ამა თუ იმ ლიდერის არარჩევის შესაძლებლობა.

დაუშვებელია არჩევნების გაუქმება ან გადატანა, თუკი ეს გათვალისწინებული არაა სამართლებრივი ნორმებით. არჩევნები კარგავს თავის ფუნქციებს, თუკი მისი ჩატარება დამოკიდებულია ცალკეული ადამიანების ნებაზე. არჩევნების პერიოდულობა ამომრჩევლებს საშუალებას აძლევს თავისი ინტერესების შესაბამისად ცვლილებები განახორციელოს პოლიტიკური ელიტის შემადგენლობაში.

საგოგადოების მხრიდან კონტროლის შესაძლებლობა. არჩევნების დემოკრატიული ორგანიზების პრინციპებს უნდა მივაკუთვნოთ არჩევნებზე საზოგადოების მხრიდან კონტროლის შესაძლებლობა. როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი დამკვირვებლების ყოფნა ზრდის არჩევნებისადმი ნდობის ხარისხს და ამაღლებს საარჩევნო პროცესის ავტორიტეტულობას.

საბოლოობა. საბოლოობა გულისხმობს, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით აირჩევა არა სახელმწიფოს ნომინალური ხელმძღვანელები და სიმბოლური ლიდერები, არამედ ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც საქმით, კონსტიტუციაზე დაყრდნობით განახორციელებენ სახელისუფლო უფლებამოსილებას.

წარმოშადგენლობითობა. დემოკრატიული არჩევნები ყოველთვის წარმომადგენლობითია. ამომრჩეველთა რაოდენობა ფართო უნდა იყოს. მცირე ჯგუფის მიერ არჩეული მთავრობა არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულად, რაც არ უნა დემოკრატიული იყოს მის მიერ გატარებული პოლიტიკა. ისტორიიდან ცნობილია მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ იბრძოდნენ ქალები, სხვადასხვა სოციალური, ნაციონალური, რელიგიური, რასობრივი ჯგუფები თავიანთი უფლებების მოსაპოვებლად.

ლოიალური ოპოზიციის პრინციპი. დასავლურ დემოკრატიებში პოლიტიკური კონკურენციის უზომო სიმწვავეს აკავებს ლოიალურობის პრინციპი, რომელიც ავალდებულებს პოლიტიკურ კონკურენტებს ერთმანეთთან მოთმინებით, ეთიკური ნორმების

დარღვევის გარეშე ჰქონდეთ ურთიერთობა, არ დაუშვან ურთიერთშეურაცხყოფა, ფალსიფიკაცია და ა.შ.

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების გადაცემა ისტორიულად ხდებოდა ძალის გამოყენებით, ეს ძალზე მნიშვნელოვანი იდეაა. ლოიალურობა ნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა მხარე იზიარებს მის ძირითად ფასეულობებს. აუცილებელი არაა, რომ პოლიტიკურ მეტოქეებს ერთმანეთი უყვარდეთ, მაგრამ ისინი მომთმენნი უნდა იყვნენ ერთმანეთისადმი და აღიარებდნენ, რომ თითოეული მათგანი ასრულებს კანონიერ და მნიშვნელოვან როლს. უფრო მეტიც, საზოგადოების ძირითადი წესები ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივი დებატების სამოქალაქო სულისკვეთებას.

როცა არჩევნები დამთავრდება, დამარცხებულებმა უნდა მიიღონ და აღიარონ ამომრჩეველთა გადაწყვეტილება. თუ მმართველი პარტია მარცხდება, ის მშვიდობიანად გადასცემს ხელისუფლებას. ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ორივე მხარე თანხმობას იძლევა, რომ ითანამშრომლებენ საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაში. დამარცხებულებმა, რომლებიც პოლიტიკურ ოპოზიციად იქცნენ, იციან რომ მათი უფლებები დაცული იქნება და შეეძლებათ აქტიური როლის შესრულება საზოგადოების ცხოვრებაში. ისინი ლოიალურნი არიან არა მთავრობის სპეციფიკური პოლიტიკური კურსის მიმართ, არამედ სახელმწიფოს ფუნდამენტური კანონიერებისა და თავად დემოკრატიული პროცესის მიმართ.

როდესაც მომავალი არჩევნების დრო მოდის, ოპოზიციურ პარტიებს კვლავ ეძლევათ შესაძლებლობა ხელისუფლებისათვის იბრძოლონ. გარდა ამისა, მთავრობა, რომლის პრეროგატივებიც პლურალისტურ საზოგადოებაში შეზღუდულია, არცთუ იშვიათად ესწრაფვის არჩევნებში დამარცხებულებს შესთავაზოს მთავრობის გარეთ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ალტერნატიული შესაძლებლობები.

დემოკრატიული არჩევნები, საბოლოო ჯამში, არაა .ბრძოლა გადარჩენისათვის, ესაა მეტოქეობა საზოგადოების სამსახურის უფლებისათვის.

კითხვები და დავალებები:

- რა ფუნქციებს ასრულებს არჩევნები დემოკრატიის პირობებში?
- დაასახელეთ თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ძირითადი პრინციპები.
- რას ეწოდება საარჩევნო სამართალი?
- რა სახის ცენზები შეგიძლიათ დაასახელოთ?

• რას ნიშნავს აურჩევლობა და შეუთავსებლობა?

• როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი თანასწორობა არჩევნების დროს?

• რა არის აბსენტიზმი?

• როგორია არჩევნების დემოკრატიული ორგანიზების საერთო პრინციპები?

რა წაიკითხოთ:

• ქ.ჯანდა, ჯ.ბერი, ჯ.გოლდმენი. ამერიკული დემოკრატია. აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი. თბ.: გამომც. „ჯისაი“, 1995. — 475 გვ.

ნაშრომი აშშ-ში ძალიან პოპულარული სახელმძღვანელოს „დემოკრატიის გამოწვევა: ხელისუფლება ამერიკაში“ შემოკლებული ვერსიაა. მასში დაწვრილებით გაშუქებულია აშშ პოლიტიკური სისტემა. ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა წიგნის ორი თავი: მე-5— „პოლიტიკური მონაწილეობა და არჩევნები“ და მე-6 — „პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო კამპანიები და არჩევნები“ (გვ.153—232). ამ თავებში გადმოცემულია აშშ-ს საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო პროცესის თავისებურებანი, არჩევნების როგორც დემოკრატიული ინსტიტუციური მექანიზმის არსი. გაშუქებულია პოლიტიკური მონაწილეობა ხმის მიცემის საშუალებით, ხმის მიცემის როლი პოლიტიკაში, არჩევნებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლების ახსნა. განხილულია საარჩევნო კამპანიის ევოლუცია, კანდიდატების დასახელება, საარჩევნო კამპანიის წარმართვა, დაფინანსება, სტრატეგია და ტაქტიკა, საპრეზიდენტო არჩევნები, კონგრესის არჩევნები, ხმის მიცემისას არჩევანის მიზეზების ახსნა (პარტიული იდენტიფიკაცია, კანდიდატების თვისებები და ა.შ.), საარჩევნო კამპანიის ეფექტი, პარტიების როლი საარჩევნო კამპანიების დროს.

• Stephen J. Wayne. The rood to the White Hause 1996. The politics of presidential elections. N.Y.: Martin's Press, 1996.-342p.

სტივენ ვეინი ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორია, სადაც კითხულობს კურსს ამერიკის სამთავრობო სისტემის შესახებ. წიგნში დეტალურადაა გამოკვლეული აშშ საპრეზიდენტო არჩევნები, დაწყებული კანდიდატების წამოყენებიდან, პარტიების ყრილობების ჩატარებისა და პირველადი არჩევნებიდან. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოდ უნდა მივიჩნიოთ წიგნის მესამე განყოფილება „კამპანია“ ორი ქვეგანყოფილებით „ორგანიზაცია, სტრატეგია და ტაქტიკა“ და

„მედია პოლიტიკა“. წიგნში ბევრი პრაქტიკული მაგალითია, აგრეთვე ფაქტობრივი მასალა ამერიკული არჩევნებიდან, მათ შორის 1992 წ. არჩევნებში კლინტონისა და ბუშის სარეკლამო კამპანიების ძირითადი მიდგომების დახასიათება.

თავი IX

არჩევნები არადემოკრატიულ და გარდამავალ საზოგადოებებში

§ 1. არჩევნები, როგორც პოლიტიკური მანიპულირების იარაღი

არადემოკრატიული არჩევნების შენიშვნა. თავისუფალი არჩევნების პრინციპების დაცვა უშუალოდაა დამოკიდებული პოლიტიკური სისტემის ტიპზე, კერძოდ იმაზე, არსებობს თუ არა საზოგადოებაში დემოკრატიულობის სისტემური გარანტიები. ამაში მოიაზრება: დემოკრატიისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური კულტურის გავრცელება, ხელისუფლებათა დანაწილება, ორგანიზებული და გავლენიანი ოპოზიციის არსებობა, დამოუკიდებელი და ავტორიტეტული სასამართლოს ქონა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შენარჩუნების მნიშვნელოვან, ზოგჯერ კი გადამწყვეტ გარანტიას გარეშე ფაქტორები წარმოადგენს: საერთაშორისო კონტროლი, დემოკრატიული სახელმწიფოების საოკუპაციო ჯარები, როგორც ეს იყო გფრ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ა.შ. მაგრამ ამგვარი სიტუაციები იშვიათი მოვლენაა. ჩვეულებრივ, არჩევნების ხასიათს განსაზღვრავს ქვეყნისათვის შიდა პირობები.

თავისუფალი არჩევნების სისტემური უზრუნველყოფის — ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების მთელი კომპლექსის — არსებობის გარეშე არჩევნები, როგორც შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკური პროცედურა შეიძლება დემოკრატიისაგან შორსმდგომი და ზოგჯერ პირდაპირ საპირისპირო მიზნებისათვის გამოიყენონ.

არჩევნები, როგორც წესი, ტარდება ავტორიტარული რეჟიმების პირობებში. ტოტალური რეჟიმებიც კი რეგულარულად ატარებს არჩევნებს, ოღონდ ისე, რომ რეჟიმის მოწინააღმდეგეებს წარმატების

მინიმალური შანსიც კი არა აქვთ. არადემოკრატიული არჩევნები მრავალნაირი სახის შეიძლება იყოს: არჩევნებზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი კანდიდატი ან კანდიდატთა სია ალტერნატივების გარეშე; შეიძლება ერთ პოსტზე რამდენიმე კანდიდატიც აცხადებდეს პრეტენზიას, მაგრამ დაშინებითა და ფალსიფიკაციით გარანტირებული იყოს მთავრობისათვის სასურველი კანდიდატის გამარჯვება. ისეც ხდება, რომ ამომრჩევლებს მართლაც აძლევენ არჩევანის შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ მმართველი პარტიის შიგნით. ასეთი არჩევნები არაა დემოკრატიული.

არჩევნების ინსტიტუტის ტიპოლოგია. თუკი შევეცდებით არჩევნების ინსტიტუტის **ისტორიულ ტიპოლოგიას**, შემდეგ სურათს მივიღებთ: ერთ პოლუსს ქმნის დღეს არსებული აბსოლუტური მონარქიების მცირე რიცხვი, სადაც არჩევნების ინსტიტუტი დამკვიდრებული არაა. მეორე პოლუსზე კი თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებია, სადაც არჩევნების ინსტიტუტი თითქმის სრულყოფილებამდეა მიყვანილი. მათ შორის განლაგებულია ორი სხვა ისტორიული ტიპი:

— **სელიუციების ავტორიტარული რეჟიმები** (მის სახეობებად შეიძლება მივიჩნიოთ ტოტალიტარული რეჟიმები და დიქტატურები), როდესაც არჩევნები მხოლოდ ერთპიროვნული მმართველობის საფარს წარმოადგენს;

— **გარდამავალი საზოგადოებები**, მათ შორის საქართველოც, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს, ძველი დროიდან შემორჩენილი ნომენკლატურული მექანიზმების საფარველის ქვეშ.

ავტორიტარული და ტოტალიტარული მმართველობის პირობებში არჩევნების მთავარი სოციალური დანიშნულებაა პოლიტიკური ბატონობის შესაბამისი ტიპების განმტკიცება საკუთარი მოქალაქეების ცნობიერების და (ან) საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების გზით.

თანამედროვე არადემოკრატიული რეჟიმები ხერხების მთელ კომპლექსს მიმართავს არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებისა და თავად არჩევნების მანიპულირების ინსტრუმენტად გადასაქცევად. არჩევნები საკუთარი მოქალაქეების მოტყუებისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის ამოცანებს ემსახურება.

არადემოკრატიული მმართველობის პირობებში არჩევნებზე არაა დამოკიდებული მთავრობის შემადგენლობა, არჩევნების გზით შეუძ-

ლებელია რეალური სახელისუფლო ცვლილებების განხორციელება. მაგრამ არჩევნები პირდაპირ იძულებასთან შედარებით საზოგადოების სტაბილიზებისა და ხელისუფლების შენარჩუნების უფრო დახვეწილ მეთოდს წარმოადგენს და, შესაბამისად, მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს არადემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაშიც.

ტოტალიტარულ და ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემებში არჩევნების სოციალური დანიშნულება მსგავსია, მაგრამ მისი ფუნქციები მაინც მნიშვნელოვანწილად განსხვავებულია.

არჩევნები ტოტალიტარიზმის პირობებში. ტოტალიტარული რეჟიმები არაკონკურენტულ არჩევნებს იყენებენ. მის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ერთი კანდიდატის (ან ერთი საარჩევნო სიის) არსებობა, რომელიც მმართველი ჯგუფის ან პარტიის მიერაა წამოყენებული. ასეთი არჩევნები ეჭვქვეშ არ აყენებს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს და ხელისუფლების პერსონალურ შემადგენლობასაც კი.

კომუნისტური ტიპის ტოტალიტარულ პოლიტიკურ სისტემაში არჩევნები უმეტესწილად პოლიტიკური პროპაგანდის ფუნქციას ასრულებს:

- განმარტავს პოლიტიკის ოფიციალურ მიზნებსა და ფასეულობებს;
- ახდენს მასების მობილიზებას ოფიციალური მიზნების მისაღწევად";
- განამტკიცებს საზოგადოების „მორალურ-პოლიტიკურ ერთობას";
- ახდენს პარტიისა და ხალხის, ბელადებისა და მასების ერთიანობის დემონსტრირებას არჩევნებში ბელადების ერთსულოვანი მხარდაჭერისა და საყოველთაო მონაწილეობის გზით;
- ემსახურება პოლიტიკაში მონაწილეობისა და პოლიტიკური წყობის დემოკრატიზმის თაობაზე მასობრივი ილუზიების შექმნას და განმტკიცებას.

ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებში არჩევნები რეგულარულად ტარდებოდა, მაგრამ ამ არჩევნების დროს არჩევანის საშუალება ფაქტობრივად არ არსებობდა. ერთპარტიული სისტემის ან ერთი პარტიის ხელმძღვანელი როლის პირობებში (სხვა პარტიები, თუკი არსებობენ, გამოდიან მისი მოკავშირე პარტიების სახით), ერთ ადგილზე ერთი კანდიდატის პირობებში (ან 2-3 კანდიდატი ერთ ადგილზე, მაგრამ ერთადერთი პარტიიდან) არჩევანი ფაქტობრივად არც არსებობდა.

ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში (ზაირი) არჩევნები ზოგჯერ ტარდება ისე, რომ პარლამენტში ასარჩევ კანდიდატთა სიას მსხვილი ქალაქების მცხოვრებთა შეკრებაზე კითხულობს მერი, ხოლო მოწონების შეძახილები არჩევას ნიშნავს.

სამხედრო რეჟიმების პირობებში არჩევითობის პრინციპს არ უარყოფენ, სამხედრო (რევოლუციური) საბჭო, მისი ლიდერი პირობას დებს, რომ არჩევნებს ჩაატარებს მაშინვე, როგორც კი ქვეყანაში წესრიგი იქნება დამყარებული. არჩევნების დასახელებული ვადები, ჩვეულებრივ, არაერთგზის გადაიდება ხოლმე. ზოგჯერ არჩევნები არ ტარდება ათი და მეტი წლის განმავლობაში (წარსულში ალჟირი, ნიგერია, ეთიოპია), ხოლო ზოგჯერ ორი ათეული წლის განმავლობაშიც კი (ბრაზილია). მართალია, ზოგჯერ სამხედროები ატარებენ ადგილობრივ არჩევნებს (ალჟირი, ნიგერია), მაგრამ პრეზიდენტის ან პარლამენტის არჩევნები უკავშირდება სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლას (ჩვეულებრივ, პირველი სამოქალაქო პრეზიდენტი არის ყოფილი სამხედრო რეჟიმის ლიდერი).

მუსულმანური ფუნდამენტალიზმი, კლასიკური მუსულმანური სამართალი არჩევნებს, როგორც ინსტიტუტს, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, თუმცა არჩევნები გამოიყენება მუსულმანური ქვეყნების უმრავლესობაში. კლასიკური ისლამის თავგამოდებული მომხრეები, ესწრაფვიან რა ყველაფერში მიბაძონ წინასწარმეტყველ მუჰამედის დროინდელ შუა საუკუნეების ხალიფატს, აცხადებენ, რომ არჩევნების ინსტიტუტის გამოყენებას არ შეუძლია ყველაზე ღირსეულთა არჩევის გარანტირება. ამიტომ ისინი წარმომადგენლობით ორგანოებს ამჯობინებენ „აშ-შურის" ინსტიტუტს — განსაკუთრებით ავტორი-ტეტული პირების სათათბიროს სახელმწიფოს მთავრობასთან. ამ პირებს არ ირჩევენ, ისინი „ბუნებრივად" გამოიყოფიან მოსახლეობიდან, შესამჩნევი ხდებიან თავიანთი გონების, სამხედრო გამოცდილების, სხვა თვისებების წყალობით და მათ მთავრობა იწვევს აღნიშნულ საბჭოში. საბჭოს ერთსულოვან აზრს — იჯმას განსაკუთრებული ძალა გააჩნია, ის სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცევა.

არჩევნები და ცრუკონსტიტუციონალიზმი. ავტორიტარულ სახელმწიფოებში არჩევნები გამოდის დემოკრატიული ფასადის, ლამაზი დეკორაციის სახით, რაც ფარავს ვიწრო ჯგუფის ან ერთი პირის მონოპოლიას ხელისუფლებაზე. არჩევნები აუცილებელი ატრიბუტია ისეთი რეჟიმებისა, რომლებიც ცრუკონსტიტუციონალიზმს ემყარება.

ცრუკონსტიტუციონალიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც ახალი დროის ავტორიტარიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა. სხვა სახის ავტორიტარიზმისგან ცრუკონსტიტუციონალიზმი განსხვავდება ხელისუფლების ლეგიტიმაციის ხერხით. ავტორიტარიზმის ამ ფორმაში გამოყენებულია ანტისამართლებრივ მოქმედებათა სამართლებრივი დასაბუთების პრინციპი. ხელისუფლების არაკონსტიტუციური გამოყენების კონსტიტუციური ლეგიტიმაციის მცდელობით სურთ თავიდან აიცილონ არადემოკრატიულობისა და თვითნებობის ბრალდებები.

განსაკუთრებით ფართოდ და მოხერხებულად ცრუკონსტიტუციონალიზმის იდეას XX საუკუნის ტოტალიტარული და დიქტატორული რეჟიმები იყენებდა. ერთპარტიული დიქტატურის ან შეუზღუდავი საპრეზიდენტო მმართველობის დამყარება ყველგან ხდებოდა ან არსებული კონსტიტუციის ფარგლებში, ანდა ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ მისი კონსტიტუციური ლეგიტიმაციის გზით.

ცრუკონსტიტუციონალიზმს ემყარებოდა საბჭოთა სისტემაც. სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუცია თეორიულად განამტკიცებდა მოქალაქეთა უფლებებს, განსაზღვრავდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობას, სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურას, მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ ფიქცია იყო. სოციალისტური კონსტიტუციის მიზანია არა იმდენად სამართლებრივი სისტემის განმტკიცება, რამდენადაც პროპაგანდისტული და საპროგრამო ფუნქციების შესრულება — რეალური ხელისუფლების შენიღბვა. ცრუკონსტიტუციონალიზმს შეუძლია სხვადასხვა მიმართულებით ევოლუცია.

არჩევნები ავტორიტარიზმის პირობებში. არჩევნების ინსტიტუტი აქტიურად გამოიყენება ავტორიტარული რეჟიმების დროსაც, მაგრამ მას მთლიანად გამოცლილი აქვს დემოკრატიული შინაარსი. დეპუტატთა კორპუსის შემადგენლობისა და წინასაარჩევნო პროგრამის შესახებ გადაწყვეტილება წინასწარ მიიღება ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ — ხუნტის, ოლიგარქიის, მონოპოლისტი პარტიის მიერ. კანდიდატები ანონიმურია, რადგანაც ამომრჩევლები არ იცნობენ არც მათ და არც მათ მიერ წარმოდგენილ პროგრამებს. თანაც არჩევნები უმრავლეს შემთხვევაში უალტერნატივო ხასიათს ატარებს.

როდესაც 1917 წელს ბოლშევიკები ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, პირველი რაც მათ გააკეთეს დამფუძნებელი კრების — დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების წარმომადგენ-

ლობითი ორგანოს გარეკვა იყო. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საბჭოთა კავშირში არსებობდა უალტერნატივო არჩევნების სისტემა. სკკპ, რომლის წევრთა რაოდენობამაც ბოლოს 20 მილიონს მიაღწია და რომელსაც თავისი პოლიტიკური ოპონენტები დიდი ხანია ფიზიკურად განადგურებული ჰყავდა, არჩევნებზე მაინც უალტერნატივო კანდიდატებით გამოდიოდა ხოლმე. კანდიდატები წინასწარ იყო შერჩეული პარტიული ხელმძღვანელობის მიერ. არჩევნებზე მიდიოდა ამომრჩეველთა 98-99%. ყველანი ერთსულოვნად აძლევდნენ ხმას „კომუნისტური პარტიისა და ხალხის მიერ წამოყენებულ" კანდიდატებს. არავითარი პოლიტიკური დისკურსი, არავითარი აზრთა ჭიდილი ან პოლიტიკურ ძალთა მეტოქეობა. ამგვარი სიტუაცია დამახასიათებელი იყო „სოციალისტური ბანაკის" ყველა ქვეყნისათვის. **ავტორიტარული რეჟიმის დროს სამოქალაქო საზოგადოება ექვემდებარება სასელმწიფოს.**

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან ავტორიტარიზმისადმი სამეცნიერო და პოლიტიკური ინტერესი მკვეთრად გაიზარდა იმის გამო, რომ კრახი განიცადა ტოტალიტარულმა პოლიტიკურმა სისტემებმა საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში. მრავალ მათგანში მარცხით დამთავრდა დემოკრატიაზე „მყისვე" გადასვლის მცდელობა, შესაბამისი საზოგადოებრივი წანამძღვრების უზრუნველყოფის გარეშე. ამ მცდელობებს დამანგრეველი შედეგები მოჰყვა.

ცხადი გახდა, რომ რადიკალური საზოგადოებრივი რეფორმების განსახორციელებლად აუცილებელია ხელისუფლება, რომელსაც აქვს პოლიტიკური სტაბილურობისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის უნარი, შეუძლია საზოგადოებრივი რესურსების მობილიზება, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების წინააღმდეგობის დაძლევა.

პოსტსოციალისტური ქვეყნების თანამედროვე პირობებში „სუფთა" ავტორიტარიზმი, რომელიც არ ემყარება აქტიურ მასობრივ მხარდაჭერას და რიგ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, საეჭვოა რომ გახდეს საზოგადოების პროგრესული რეფორმირების ინსტრუმენტი. ის შეიძლება გადაიქცეს პირადი ხელისუფლების კრიმინალურ დიქტატორულ რეჟიმად, რაც ტოტალიტარიზმზე არანაკლებ დამანგრეველი იქნება საზოგადოებისათვის.

ამიტომ ავტორიტარული და დემოკრატიული ელემენტების, ძლიერი ხელისუფლებისა და მოქალაქეთა მხრიდან მისი კონტროლის შეხამება საზოგადოების კონსტრუქციული რეფორმირების უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური რეჟიმის ყველაზე გავრცელებულ ტიპს ავტორიტარიზმი წარმოადგენს. XX საუკუნის 90-ინი წლების შუახანებისათვის მსოფლიოს დაახლოებით 190 სახელმწიფოდან 140 მაინც ავტორიტარული რეჟიმი იყო. თავად ავტორიტარული რეჟიმები მრავალი სახითაა წარმოდგენილი. მათ მიეკუთვნება:

- ტრადიციული აბსოლუტისტური მონარქიები (საუდის არაბეთი, მაროკო, ნეპალი);
- ოლიგარქიული ტიპის ტრადიციული ავტორიტარული რეჟიმები (დამახასიათებელია ლათინური ამერიკის რიგი ქვეყნებისათვის);
- ახალი ოლიგარქიების ჰეგემონისტური ავტორიტარიზმი (კამერუნი, ტუნისი, ფილიპინები მარკოსის დროს — 1972—1985 წლებში);
- სხვადასხვა სახის სამხედრო რეჟიმი და ა.შ.

ოლიგარქიულ ავტორიტარულ რეჟიმებში ხელისუფლება თავმოყრილია რამდენიმე ძლიერი ოჯახის ხელში, რომლებიც მთელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას აკონტროლებს. ერთმა ლიდერმა მეორე შეიძლება შეცვალოს ან გადატრიალების მეშვეობით, ურთიერთშეთანხმებით ან საარჩევნო მანიპულაციების გზით. ამასთან, პოლიტიკური ცხოვრება უცვლელი რჩება.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთი უფრო „მომთხოვნი" გახდა მესამე სამყაროში თავმოყრილი ავტორიტარული რეჟიმებისადმი. მათგან დემოკრატიზაციას მოითხოვენ და ამ მიმართულებით წინსვლას უკავშირებენ ეკონომიკური დახმარების გაწევას. მაგალითად, 1990 წლის ივნისში საფრანგეთის პრეზიდენტი ფ.მიტერანი შეხვდა აფრიკულ სახელმწიფოთა ლიდერებს და განუცხადა, რომ მრავალპარტიული სისტემისა და თავისუფალი არჩევნების გარეშე არანაირი დახმარება არ იქნებოდა.

ავტორიტარული რეჟიმები იძულებულნი გახდნენ „ფეხი აეწყოთ" ახალი დროებისათვის. 1989—1992 წლებში აფრიკის 25 სახელმწიფოში ან ახალი კონსტიტუციები მიიღეს, ან ძირეული ცვლილებები შეიტანეს ძველში. მხოლოდ მალავისა და უგანდაში შენარჩუნდა ერთპარტიული სისტემები. ცვლილებები რეჟიმების ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციისკენ იყო მიმართული: მაგალითად, ორი ვადით შეიზღუდა პრეზიდენტის მმართველობა, გაფართოვდა პარლამენტის კომპეტენცია და ა.შ.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დემოკრატია არცთუ იშვიათად მხოლოდ ფასადს წარმოადგენს ძველი ტირანიული რეჟიმებისათვის

და მხოლოდ დემოკრატიაზე გადასვლის იმიტაცია ხდება. მაგალითად, ბენინში, ზამბიაში ან მალიში გარეგნულად არსებობენ დემოკრატიულად არჩეული მთავრობები, მაგრამ სინამდვილეში მის მიღმა პოლიტიკური მექანიზმების კონტროლისა და ეკონომიკური პოზიციების მოპოვება-შენარჩუნებისათვის კლანებს შორის მიმდინარე ბრძოლა იმალება. ის კლანები, რომელთა პრეტენზიაც სახელისუფლო უფლებამოსილებაში მონაწილეობაზე დაკმაყოფილებული არაა, ცდილობენ შეასრულონ ოპოზიციური დემოკრატიული პარტიების როლი, დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერის მოპოვებაზე გათვლით.

განვითარებად სამყაროში დემოკრატია არ აღიქმება პოლიტიკური ორგანიზაციის ბუნებრივი ფორმის სახით. დემოკრატიისადმი ინსტრუმენტული დამოკიდებულება არსებობს, იგი გამოიყენება როგორც ლოზუნგი და საშუალება საკუთარი მიზნების მისაღწევად.

უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან დემოკრატიზაცია და ლიბერალიზაცია. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ზედა ფენები მიდიან შეზღუდულ და კონტროლირებად დათმობებზე პოლიტიკისა და სამოქალაქო უფლებების სფეროში, მათთვის სრული და საყოველთაო ხასიათის მინიჭების გარეშე. რეჟიმი მიდის გარკვეულ კომპრომისზე ოპოზიციასთან, მაგრამ იმავდროულად აკავებს მის მოთხოვნებს ხელისუფლებაში მონაწილეობაზე. მაგრამ ლიბერალიზაციის პროცესს თავისი დინამიკა აქვს და შეიძლება გადაიზარდოს დემოკრატიზაციაში.

ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემებში არჩევნები ასრულებს არსებული რეჟიმის ლეგიტიმურობის განმტკიცების მრავალფეროვან ფუნქციებს:

- რეჟიმის რეპუტაციის ამაღლება ქვეყნის შიგნით და განსაკუთრებით, საზღვარგარეთ;
- სახელმწიფოში პოლიტიკური დაძაბულობის შესუსტება;
- ოპოზიციის გამოვლენა და მისი „მოშინაურება";
- ხელისუფლების ინიციატივით მხოლოდ ფორმალური ოპოზიციური პარტიების ჩამოყალიბება და დემოკრატიულობის ილუზიის შექმნა;
- რეჟიმის სტაბილიზება სისტემაში ოპოზიციის ინტეგრირებისა და მისი მოთხოვნების ნაწილობრივი გათვალისწინების გზით.

ავტორიტარიზმის პირობებში გამოიყენება როგორც არაკონკურენტული, ისე ნახევრადკონკურენტული არჩევნები. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: არჩევნებში მხოლოდ ისეთი პირებისა და პარტიების დაშვება, რომლებიც სასურველია ხელისუფლებისათვის, ან სულ მცირე, ხელისუფლებისადმი ლოიალუ-

რადაა განწყობილი; იმ ორგანოების კომპეტენციის შეზღუდვა, რომლებიც აირჩევა და ა.შ. პრაქტიკულად ეს ხშირად ვლინდება ფაქტობრივად უუფლებო პარლამენტის არჩევაში. ასეთი პარლამენტებით გარშემორტყმულია ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიისა და რიგი პოსტსაბჭოური სახელმწიფოების მრავალი ავტორიტარული მმართველი.

§ 2. არჩევნები, როგორც დემოკრატიაზე გადასვლის ინსტრუმენტი

არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიის დამკვიდრების თვალსაზრისით. არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიის დამკვიდრების (ან თავიდან აცილების) თვალსაზრისით უშუალოდაა დამოკიდებული ყოველი კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ პირობებზე. **იმ ავტორიტარულ სახელმწიფოებში, სადაც მისიის სელსაყრელი ძალთა თანაფარდობა ყალიბდება და თუნდაც ძირითადად მაინც უზრუნველყოფილია თავისუფალი არჩევნების ჩატარება, არჩევნები საზოგადოების დემოკრატიზაციის საუკეთესო ინსტრუმენტს წარმოადგენს.**

არჩევნები ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა ავტორიტარული რეჟიმის ლიკვიდაციისა და ხელისუფლების სათავეში დემოკრატიული ძალების მოსასვლელად. არჩევნები საშუალებას აძლევს მოქალაქეებს შეცვალონ არასასურველი მთავრობა ან პარლამენტარები. მრავალ ქვეყანაში, იქ, სადაც არჩევნები ჩატარდა თავისუფლად, ფალსიფიკაციისა და „იძულებითი" დემოკრატიის გარეშე (ბრაზილია, არგენტინა, ჩილი და სხვ.) არჩევნებმა ბოლო მოუღო სამხედრო და ავტორიტარულ რეჟიმებს.

თუ პოლიტიკას ჩავთვლით მთლიანობაში საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზად, მაშინ არჩევნები ამ სიტყვების ჭეშმარიტების ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრირებაა: არჩევნები უზრუნველყოფს მოქალაქეებისა და მთელი საზოგადოებისათვის ყველაზე უმტკივნეულო მშვიდობიან გადასვლას დემოკრატიაზე. თავისი არსით ის გამორიცხავს პოლიტიკურ ძალადობას. მათი მეშვეობით განხორციელებული ხელისუფლების შეცვლა არ მოითხოვს სისხლისღვრას, ადამიანთა მსხვერპლს და ნგრევას.

ავტორიტარული რეჟიმები, როგორც წესი, ეყრდნობიან სამხედროებს, პოლიციასა და სპეცსამსახურებს, რომლებიც კარგად არიან მომზადებულნი შეიარაღებული ბრძოლისათვის და მონოპოლია აქვთ

სამხედრო ტექნიკასა და ყველაზე ეფექტიან იარაღზე. ამიტომ ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებს (ბარიკადების მშენებლობა, შეიარაღებული თავდასხმები, პარტიზანული ომი და ა.შ.) თანამედროვე პირობებში წარმატების ძალზე მცირე შანსები აქვთ ძალოვანი სტრუქტურების მხარდაჭერის გარეშე. ძალოვანი სტრუქტურები კი, ჩვეულებრივ, შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან, რაც ამაღლებს მათ ხელისუფლებისადმი ლოიალურობას.

ეს გარემოება კარგად აქვთ გაცნობიერებული და ამიტომ რადიკალური ოპოზიციაც კი ხელისუფლებისათვის ბრძოლის მთავარი ლოზუნგის სახით ჩვეულებრივ თავისუფალი არჩევნების მოთხოვნას აყენებს.

არჩევნების, როგორც დემოკრატიისათვის მშვიდობიანი ბრძოლის საშუალებისათვის უპირატესობის მინიჭება სულაც არ ნიშნავს, რომ მისი მომხრეებისათვის მნიშვნელოვანი არაა ძალაზე დაყრდნობა. მათი საყრდენი, პირველ რიგში, დემოკრატიულად განწყობილი სამხედროები არიან.

თუმცა, ავტორიტარული რეჟიმების შეცვლისას, მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ხდება პოლიტიკური ძალადობის აქტების თავიდან აცილება. ასეთი აქტები კი მრავალფეროვანია: ოპოზიციური პარტიების აკრძალვის მცდელობები, მათი ლიდერების დაშინება ან ფიზიკური ლიკვიდაცია, პარლამენტის დაშლა და ა.შ.

სამხედროების მიერ დემოკრატიული ძალების მხარდაჭერაზე ძალზე ხშირად დამოკიდებულია, ავტორიტარული მმართველები დათანხმდებიან თუ არა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და მისი შედეგების აღიარებას.

არჩევნების, როგორც საზოგადოების დემოკრატიზაციის ინსტრუმენტის ღირსებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ თავად არჩევნები წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს დემოკრატიზაციის გზაზე: ან საერთოდ საფუძველს უყრის დემოკრატიულ რეჟიმს, ან დასაბამს აძლევს პოლიტიკური სისტემის ინტენსიური დემოკრატიზაციის პროცესს, რაც მთავრდება დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებით.

არჩევნები და პოლიტიკური ძალადობა. ბრძოლის რევოლუციურ ძალადობრივ ფორმებს წარმატების შემთხვევაშიც კი უშუალოდ არ მივყავართ დემოკრატიული ინსტიტუტების წარმოშობამდე. ასეთი ბრძოლა მთავრდება ავტორიტარული ხელისუფლების შეცვლით. პოლიტიკურ ძალადობას, ჩვეულებრივ, თავისი

ლოგიკა აქვს. ის წარმოშობს ადამიანთა მრავალრიცხოვან ფენას, რომლებიც შეეჩვევნენ ძალის გამოყენებას და იმავდროულად, გადაეჩვევნენ შრომას. გამარჯვებულები ესწრაფვიან პრივილეგიების მიღებას კომპენსაციის სახით გაღებული მსხვერპლისა და გაჭირვების სანაცვლოდ. იქმნება შეურიგებლობა დამარცხებულებისადმი, რამაც შეიძლება ამ უკანასკნელთა მხრიდან გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვიოს.

საერთოდ, პოლიტიკური ძალადობა ცუდად თავსებადია დემოკრატიულ წყობასთან, ამუსრავს მის დამკვიდრებას მაშინაც კი, როდესაც სელისუფლების სათავეში მოდიან დემოკრატიის თანმიმდევრული მომხრეები. არჩევნები კი გამორიცხავს სელისუფლების შეცვლის ნეგატიურ შედეგებს საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის.

არჩევნების როგორც დემოკრატიაზე გადასვლის უდიდესი მნიშვნელობა უკავშირდება აგრეთვე მის მიერ პიროვნების ფუძემდებლური უფლებებისა და თავისუფლებების, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების დამკვიდრებას. თავისუფალი არჩევნები თავისთავად გულისხმობს მმართველი რეჟიმის (და ოპოზიციის) მიერ სიტყვის თავისუფლების, კრებებისა და გაერთიანებების, მოქალაქეთა თანასწორობის და მოქალაქეთა სხვა პოლიტიკური უფლებების პატივისცემას.

არჩევნები ამკვიდრებს საზოგადოებაში ძალადობის დაგმობის ატმოსფეროს, პიროვნების ღირსების პატივისცემას, ხალხის უმრავლესობის აზრს, რაც ხელს უწყობს მოქალაქეთა დემოკრატიული ცნობიერების განვითარებას, მათი პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებას, დემოკრატიული ცვლილებებისადმი სწრაფვას.

არჩევნების მნიშვნელობა როგორც საზოგადოების დემოკრატიაზე გადასვლის ინსტრუმენტის, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი პირობისა, ზემოთ აღნიშნული თავისუფალი არჩევნების პრინციპების რეალიზება უშუალოდ დამოკიდებულია საარჩევნო პროცესის ორგანიზებაზე.

დემოკრატიის დამყარების ორ ძირითად პროცესს წარმოადგენს კონკურენტული პარტიული სისტემის ფორმირება და სახელმწიფო ხელისუფლების დემოკრატიული მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია. კონკურენტული პარტიული სისტემის ფორმირება იწყება პირველი თავისუფალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პროცესში.

არჩევნების მეშვეობით დემოკრატიაზე გადასვლის სქემა. არჩევნების ინსტიტუტის გამოყენებით დემოკრატიაზე გადას-

ვლის სქემა შემდეგნაირად გამოიყურება: ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ტარდება სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის არჩევნები. ხელისუფლება გადადის მთავრობის ხელში, რომელიც ჩამოყალიბებულია მეტ-ნაკლებად დემოკრატიული გზით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დემოკრატია აშენებულია. დემოკრატიის დამკვიდრებას სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის უფრო ღრმა ტრანსფორმაცია სჭირდება. საჭიროა განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, მის ჩამოყალიბებას კი დრო სჭირდება. ამ დროის ხანგრძლივობა ბევრადაა დამოკიდებული ისტორიულ და სოციოკულტურულ ფაქტორებზე.

სწორედ ეს ეტაპი, როდესაც ასე თუ ისე ფუნქციონირებს დემოკრატიული ინსტიტუტები, მაგრამ ისინი არ ემყარებიან სამოქალაქო საზოგადოების განვითარებულ სტრუქტურებს, ყველაზე საშიშია მმართველობის არადემოკრატიული ფორმების რეციდივის თვალსაზრისით.

მტკიცე დემოკრატიული წყობილების დამყარებაზე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ვილაპარაკოთ, თუკი არსებობს შემდეგი პირობები:

— პოლიტიკური ქცევის ნორმებს იზიარებენ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, რომლებიც მტრებიდან მოკავშირეებად გადაიქცევიან;

— ძირითადი პოლიტიკური ძალები ემიჯნებიან ექსტრემიზმს და ეს მიმდინარეობა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების პერიფერიაზე;

— დემოკრატიული ინსტიტუტები რეალურად და ეფექტურად ფუნქციონირებენ;

— შექმნილია სამოქალაქო საზოგადოება;

— ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის არსებობს მინიმალური კონსენსუსი ფუძემდებლურ ფასეულობებთან დაკავშირებით;

— არსებობს სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის კონფლიქტების ლეგიტიმური მოწესრიგების მექანიზმები.

დემოკრატიაზე გადასვლა, შინაგანი პირობებიდან გამომდინარე, ადვილია პატარა, ერთგვაროვან ქვეყნებში. პატარა ქვეყნისთვის ასევე ადვილია გარედან დახმარების გაწევაც.

ეკონომიკური თვალსაზრისით სტაბილური დემოკრატიის დამყარების შანსები განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს გულისხმობს. ზოგიერთი გამოთვლის თანახმად, ეს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში დაახლოებით 5 ათასი დოლარის

შემოსავალს გულისხმობს. იმ ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც დემოკრატიის დამკვიდრებას ცდილობს, ძალზე შორს დგას ამ მაჩვენებლისაგან. ამგვარ ქვეყნებში დემოკრატიის ბედი, საბოლოო ჯამში, დამოკიდებულია იმაზე, შეძლებენ თუ არა განვითარების პრობლემის გადაწყვეტას. ეს დაიყვანება არა მარტო ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე, არამედ მოიცავს უფრო სამართლიან გადანაწილებას, ე.ი. მოძრაობას სოციალური დემოკრატიისაკენ.

§ 3. არჩევნები გარდამავალ საზოგადოებებში

პროტესტული დემოკრატიის პრობლემები. ჩვენ უკვე განვიხილეთ არჩევნების ფუნქციები საზოგადოებაში. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნები პოლიტიკურ პროცესში ყოველთვის როდი ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურ ფუნქციებს.

დემოკრატია გულისხმობს ადამიანთა თანასწორობას, მაგრამ იგი დიდ საფრთხესაც შეიცავს, თუკი ეს ადამიანები სათანადოდ მომზადებულნი არ არიან დემოკრატიული ცხოვრების წესისათვის. იმისათვის, რომ არჩევნები პასუხისმგებლობით იყოს გაკეთებული, ინდივიდი უნდა იყოს დამოუკიდებელი, საკმაოდ შეძლებული, ადეკვატურად უნდა აღიქვამდეს რეალობას და ასევე აფასებდეს კანდიდატებს. დასავლეთის საზოგადოებაში დემოკრატია გავრცელდა სოციალურ საფეხურებზე ზემოდან ქვევით, თანდათანობით.

არ შეიძლება დემოკრატიის როლის გადაჭარბებული შეფასება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის. ეს არაა ელექსირი არსებული და მომავალი პრობლემებისაგან თავის დასაღწევად. ნაკლებად განათლებული მასები, საარსებო მინიმუმზე ნაკლები ან ამ დონეზე არსებული შემოსავლებით, არაინფორმირებულნი არიან და არ აქვთ გამომუშავებული სიტუაციის ადეკვატური შეფასების უნარი; ისინი ბრმად გადადიან ერთი უკიდურესობიდან მეორეში და ხელმძღვანელობენ არა ლოგიკით, არამედ ემოციებით. როდესაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე დაბლაა, მოსახლეობისათვის პირველ ადგილზე დგება არა დემოკრატია, არამედ გადარჩენა. შედეგად მიიღება **პროტესტული დემოკრატია**. ასეთმა დემოკრატიამ ხელისუფლების სათავეში მოიყვანა ჰიტლერი, ხოლო პოსტსაბჭოურ ქვეყნებში დეპუტატთა კორპუსის შემადგენლობაში განაპირობა რიგი კრიმინალური ელემენტების გამოჩენა.

ღარიბთა დემოკრატია არ არსებობს — ჭეშმარიტი დემოკრატია გულისხმობს განათლების, უზრუნველყოფის და პასუხისმგებლობის შესაბამის დონეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საზოგადოებას.

მარგინალური ფენები და დემოკრატია. რეფორმების ეტაპზე მყოფ საზოგადოებაში, რომელსაც გათიშული პოლიტიკური კულტურა და არამდგრადი სოციალური სტრუქტურა აქვს, მარგინალური ფენებისათვის პოლიტიკურ პროცესზე ზეგავლენის შესაძლებლობათა გაფართოებამ შეიძლება დაამუხრუჭოს პოლიტიკური რეფორმები.

ეს განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით:

1. იმ პირობებში, როდესაც რაოდენობრივად ჭარბობს ტრადიციული ფასეულობითი ორიენტაციის მქონე მარგინალური ფენები, კონსერვატიზმმა შეიძლება უპირატესობა მოიპოვოს რეფორმიზმზე დემოკრატიულად მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგად;

2. ფასეულობითი გათიშვა და საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობა ნიშნავს, რომ ხმის მიცემა კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალებიდან შეიძლება გადაიქცეს მათ გამომწვევ წყაროდ, რადგანაც არჩევნები ან რეფერენდუმები აძლიერებს დაპირისპირებულ ძალთა პოლარიზებას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დემოკრატიაზე სწრაფად გადასვლის მცდელობებს ხშირად ავტორიტარიზმის აღდგენა მოსდევს, თუმცა ის უფრო ცივილიზებულ ფორმას ღებულობს, ვიდრე ადრინდელ რეჟიმს ქონდა.

სტაბილური და ლეგიტიმური რეჟიმის დასამყარებლად იმ საზოგადოებაში, რომელმაც დიქტატურა გამოიარა, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გაივლის დემოკრატიის კონსოლიდაციის პერიოდი, ე.ი. საზოგადოების ადაპტირება ახალ პოლიტიკურ მექანიზმთან.

დემოკრატიის პერსპექტივები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. დღეისათვის პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობის დემოკრატიული მომავლის თაობაზე პესიმისტური შეფასებები ჭარბობს. პესიმიზმი ნაკლებად უკავშირდება კომუნისტური რეჟიმების აღდგენის საფრთხეს. უფრო აფიქრებთ ნაციონალისტური დიქტატურის ან ნახევრადავტორიტარული რეჟიმების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დამყარება. როგორც აღნიშნავს ფ.შმიტერი, იმ ქვეყნების

წინაშე, რომლებიც პოსტავტორიტარული გადასვლის ეტაპზე იმყოფება, გარდა ავტოკრატიის ან დემოკრატიის ალტერნატივისა, არსებობს კიდევ ერთი: ან ჰიბრიდული რეჟიმების წარმოშობა, რომლებიც ერთმანეთში ახამებს ავტოკრატიისა და დემოკრატიის ელემენტებს, ანდა „მდგრადი, მაგრამ არა დამკვიდრებული დემოკრატიების" არსებობა.

პირველი ჯგუფის პოლიტიკური რეჟიმების აღსანიშნავად ტრანზიტოლოგიურ თეორიებში გამოიყენება სპეციალური ტერმინები — **დიქტაბლანდა** („სამეურვეო დემოკრატია") და **დემოკრატურა** („შეზღუდული დემოკრატია"). ფ.შმიტერის აზრით, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ყველაზე რეალურ პერსპექტივას წარმოადგენს არა ჰიბრიდული რეჟიმების არსებობა, არამედ „განუმტკიცებელი დემოკრატიის" დამყარება. არანაკლებ რეალურია ახლანდელი გარდამავალი მდგომარეობის კონსერვაციაც. ესეც არ გამოიყურება დიდად მიმზიდველად, რადგანაც პოსტსოციალისტურ საზოგადოებაში ერთმანეთთან შეხამებულია როგორც ტოტალიტარული წარსულის, ისე საბაზრო კაპიტალისტური ეკონომიკის თავდაპირველი პერიოდისთვის დამახასიათებელი ნეგატიური მხარეები.

კომუნიზმის მსხვრევის შემდეგ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები სხვადასხვანაირად ვითარდებოდა და დღეს მათი განხილვა უკვე აღარ შეიძლება რაღაც არადიფერენცირებული ჯგუფის სახით. პოლიტოლოგ ჩ.გატის აზრით, ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მცირე ჯგუფში, კერძოდ კი ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნებში შესაძლებელია დემოკრატიული რეფორმების წარმატებით დამთავრება.

ჩ.გატი თვლის, რომ ჰიბრიდული რეჟიმები შეიძლება არსებობდეს პოსტკომუნისტურ პირობებში. აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას, რომლებიც არ მოხვდა ზემოთ აღნიშნულ ჯგუფში, ისევე როგორც რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიას და მოლდოვას ამერიკელი პოლიტოლოგი მიაკუთვნებს ნახევრად ავტორიტარული ქვეყნების ჯგუფს. ამ ქვეყნებში ხორციელდება ზომიერი საბაზრო რეფორმები, ხელისუფლება ურიგდება თავისუფალი პრესის არსებობას, ტარდება გარეგნულად თავისუფალი, მაგრამ სინამდვილეში მანიპულირებული არჩევნები.

ამ ჯგუფის ზოგიერთ ქვეყანას მიესადაგება ტრანზიტოლოგიაში დამკვიდრებული ტერმინი „დელეგირებული დემოკრატია", ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, დემოკრატიული სისტემა, რომელშიც რეალური ხელისუფლება თავმოყრილია ერთადერთ ცენტრში, მაგალითად, პრეზიდენტის ხელში.

მესამე ჯგუფს ჩ.გატი მიაკუთვნებს ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის რვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას. ამ ქვეყნებს იგი „წაგებულებს" უწოდებს და მიაჩნია, რომ ამ ქვეყნებში ტოტალიტარიზმი ავტორიტარული რეჟიმებით შეიცვალა და დემოკრატიული სისტემის ფორმირების და თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფორმირების შანსები ახლო მომავალში არა აქვთ.

დელეგირებული დემოკრატიის თეორია ჩამოაყალიბა არგენტინელმა მკვლევარმა ო 'დონელმა. მას მიაჩნია, რომ ავტორიტარიზმის დაცემის შემდეგ შექმნილ რეჟიმს მყარად და დიდხანს შეუძლია არსებობა. მის სიმყარეს უზრუნველყოფს ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება და ყველა იმ სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების განუვითარებლობა, რომელთაც შეუძლიათ მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. დელეგირებული დემოკრატია შუალედურ რეჟიმს წარმოადგენს ავტორიტარიზმსა და წარმომადგენლობით დემოკრატიას შორის. რიგი რუსი ავტორების აზრით, დელეგირებული დემოკრატიის თეორია სავსებით მიესადაგება რუსეთში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. დელეგირებულ დემოკრატიას ორი მიმართულებით შეუძლია განვითარება — ისევ ავტორიტარულ რეჟიმად გადაგვარება ან წარმომადგენლობითი დემოკრატიისკენ წინსვლა.

კითხვები და დავალებები:

- რა ფუნქციები ეკისრება არჩევნებს ტოტალიტარიზმის პირობებში?
- როგორ უყურებს არჩევნების ინსტიტუტს მუსულმანური ფუნდამენტალიზმი?
- დაახასიათეთ ცრუკონსტიტუციონალიზმი, როგორც ავტორიტარიზმის ფორმა.
- რა თავისებურებებით ხასიათდება არჩევნები ავტორიტარიზმის პირობებში?
- რა პირობებში ასრულებს არჩევნები დემოკრატიაზე გადასვლის ინსტრუმენტის როლს?
- დაახასიათეთ გარდამავალ საზოგადოებებში არჩევნების ნეგატიური შედეგების გამომწვევი მიზეზები
- რას ნიშნავს „დემოკრატურა"?
- ჩამოაყალიბეთ კლანური სახელმწიფოს კონცეფციის ძირითადი დებულებები
- დაახასიათეთ დემოკრატიზაციის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

რა წაეიკითხოთ:

- **დემოკრატიზაცია: თეორია და პრაქტიკა. თბ., 1993.**

სამეცნიერო კონფერენციის მასალების დასახელებული კრებულიდან ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ინგლისელი პოლიტოლოგიის ლინკოლნ ალისონის სტატია „დემოკრატიის და დემოკრატიზაციის თეორიებს შორის განსხვავების შესახებ". ავტორი თეორიული კონცეფციების განხილვასთან ერთად მსჯელობს საქართველოს დემოკრატიზაციის პერსპექტივებზე. დღეს უკვე შესაძლებელია იმდროინდელი პროგნოზები შევადაროთ მოვლენათა რეალურ განვითარებასთან.

III არჩევნები და პოლიტიკური მონაწილეობა

თავი X

არჩევნები, როგორც პოლიტიკური მონაწილეობა

§ 1. საარჩევნო პროცესი და პოლიტიკური მონაწილეობა

პოლიტიკური მონაწილეობის არსი. პოლიტიკური მონაწილეობის მრავალი, ერთმანეთისგან განსხვავებული განსაზღვრება არსებობს, რომელთა განხილვასაც ჩვენ აქ არ შევუდგებით. ამჯერად ეს არ არის ჩვენი მიზანი.

პოლიტიკური მონაწილეობა — ესაა, პირველ რიგში, ინსტრუმენტული სასაათის აქტიურობა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები ცდილობენ გავლენა მოახდინონ მთავრობაზე, რათა მან გადაიდგას მათთვის სასურველი ნაბიჯები.

მონაწილეობა მოიცავს იმ ქმედებებს, რომელთა მეშვეობითაც ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის რიგითი წევრები გავლენას ახდენენ, ან ცდილობენ გავლენა მოახდინონ ამ სისტემის მოქმედებაზე. განვითარებულ ცივილიზებულ საზოგადოებაში უზრუნველყოფილია მოქალაქეთა მონაწილეობა ცხოვრების ყველა სფეროში — ეკონომიკურში, სოციალურსა და პოლიტიკურში.

პოლიტიკური მონაწილეობის ფორმებია შემდეგი მოქმედებები: ხმის მიცემა, უშუალო კონტაქტები პოლიტიკოსებთან და თანამდებობის პირებთან, მონაწილეობა დემონსტრაციებსა და მიტინგებში, ორგანიზაციების წევრობა და ა.შ.

ელექტორალურ პროცესში მონაწილეობის თავისებურებანი. მთავარი სოციალური სუბიექტებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური მონაწილეობის ძირითადი ფორმაა **ელექტორალურ პროცესში** (ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში) მონაწილეობა.

ელექტორალურ პროცესში მონაწილეობისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურებაა დამახასიათებელი, რითაც იგი მონაწილეობის სხვა ფორმებისაგან გამოირჩევა:

- პიროვნების მოქმედება თავისი ინტერესების დასაცავად კოლექტიურ ხასიათს ატარებს;
- მასობრივ ჯგუფებს შესაძლებლობა ეძლევათ არჩევანი გააკეთონ თავიანთი ინტერესების დასაცავად და პოლიტიკური აქტიურობის ხარისხიც თავად განსაზღვრონ (მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო ბრძოლაში, მხოლოდ ხმის მიცემით დაკმაყოფილდნენ და ა.შ.);
- კონკრეტული ელექტორალური პროცესის დროითი ხანგრძლივობა მისი მონაწილეებისაგან არ მოითხოვს უზომო დატვირთვას.

ელექტორალური ქცევის ტენდენციები. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამომრჩეველთა მიერ არჩევანის გაკეთებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას: სქესი, ასაკი, კონფესიური კუთვნილება, პირველადი სოციალიზაციის თავისებურებანი.

მიუხედავად ზემოთ დასახელებული ფაქტორების მრავალფეროვნებისა, არსებობს ცალკეული ელექტორალური ჯგუფების ქცევის ზოგიერთი საერთო ტენდენცია. მაგალითად:

- მამაკაცები, მთლიანობაში, ქალებზე უფრო აქტიურად მონაწილეობენ არჩევნებში;
- აქტიურობაზე განათლება ახდენს ზეგავლენას: განათლებული მოქალაქეები უფრო აქტიურად მონაწილეობენ საარჩევნო პროცესში;
- 35-55 წლის მოქალაქეები უფრო აქტიურნი არიან, ვიდრე უფრო ახალგაზრდები ან უფრო ხანდაზმულები;
- აქტიურობაზე ზეგავლენას ახდენს ოჯახური მდგომარეობა და რომელიმე ორგანიზაციის წევრობა;
- ქალების შეხედულებები და მათ მიერ გაკეთებული არჩევანი მამაკაცების არჩევანთან შედარებით უფრო კონსერვატიულია;
- გათხოვილი ქალები, რომლებიც არ მუშაობენ, უმრავლეს

შემთხვევებში თავიანთი მეუღლეების პოლიტიკურ შეხედულებებს იზიარებენ;

• ახალგაზრდები უფრო რადიკალურად არიან განწყობილნი და უფრო ხალისით აძლევენ ხმას იმას, ვინც სწრაფ ცვლილებებს აღუთქვამს;

• ახალგაზრდობის საარჩევნო ორიენტაციები განსხვავდება საზოგადოების უმრავლესობის ორიენტაციებისაგან, ხოლო აქტიურობის ხარისხი არცთუ მაღალია;

• ხნიერი ადამიანები უფრო მემარცხენე პარტიებისკენ იხრებიან.

ზემოთ აღნიშნული ტენდენციები აბსოლუტური ხასიათის არაა. არჩევნების შედეგების წინასწარმეტყველება ხშირად ძალზე ძნელია. არცთუ იშვიათად ამომრჩეველი, რომელიც უკმაყოფილოა ტრადიციული პოლიტიკური პარტიებით, წუთიერი განწყობილებისა და შთაბეჭდილებების ზეგავლენით, სწრაფად იცვლის ორიენტაციას და პოლიტიკურ პრიორიტეტებს. ამ ფაქტზე მითითებით ზოგიერთი პოლიტოლოგი იუმორს იშველიებს და პარალელს ავლებს ქალის ხასიათსა და საშუალო ამომრჩეველის ხასიათს შორის.

§ 2. მონაწილეობის სახეები საარჩევნო კამპანიის დროს

დემოკრატიულ სისტემებში საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობა ცენტრალური და ყველაზე მასობრივი არხია მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესში ჩასაბმელად. სწორედ ხმის მიცემის შედეგი განსაზღვრავს პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლას და უზრუნველყოფს ხელისუფლების ორგანიზაციის გარკვეულ ტიპს.

მრავალი ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, რომ მოქალაქეები ყოველთვის როდი აკეთებენ სწორ არჩევანს და ხშირად ვერ ახერხებენ ყველაზე ღირსეული წარმომადგენლების გამორჩევას, მაგრამ როდესაც ხმას აძლევენ თავიანთი წარმოდგენებისა და შეხედულებების თანახმად, ისინი, გარკვეულწილად, თავიანთი ინდივიდუალური პოლიტიკური პოტენციალის რეალიზებას ახდენენ.

საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა მოითხოვს აქტიურობას, ინიციატივას, ხელს უწყობს სხვა ადამიანებთან თანამშრომლობის გაფართოებას. მოკლედ განვიხილოთ მონაწილეობის ზოგიერთი ფორმა, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება არჩევნების დროს.

ხმის მიცემა: ხმის მიცემა არჩევნების დროს დემოკრატიულ სისტემებში პოლიტიკური მონაწილეობის ცენტრალური და ყველაზე მასობრივი ფორმაა. მთელი საარჩევნო კამპანიის მიზანი სწორედ მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემაზე ზეგავლენის მოხდენაა. ხმის მიცემით განისაზღვრება და ვლინდება არჩევნების შედეგები. მაგრამ ხმის მიცემის, როგორც მონაწილეობის ფორმის ხასიათი ინდივიდუალური პოტენციალის რეალიზების არცთუ მაღალ დონეს მოითხოვს.

ჯერ ერთი, ხმის მიცემის მსვლელობაში თავად სიტუაცია, პრობლემატიკა და პოლიტიკური „მოქმედი პირები" ნაკლებადაა დამოკიდებული ამომრჩევლებზე. ამომრჩევლებისგან მოელიან უბრალო „დიახ"-ს და „არა"-ს იმის თაობაზე, რასაც მათ სთავაზობენ. ინიციატივა აქ თითქმის მთლიანად ეკუთვნის მოქალაქეთა მცირერიცხოვან პოლიტიკურად აქტიურ ჯგუფს.

მეორეც, ამომრჩევლებს ხმის მიცემის დროს არ შეუძლიათ მეტ-ნაკლებად დაწვრილებით და არსობრივად გადმოსცენ პოლიტიკის თავიანთი ხედვა, რაც ასახავდა მათ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ისინი ან ხმას აძლევენ იმას, რაც „დაახლოებით" შეესაბამება მათ მოთხოვნილებებს, ან უარყოფენ მათი თვალსაზრისისგან სრულიად განსხვავებულ პოზიციებს.

გარდა ამისა, მონაწილეობა ხმის მიცემაში, უკეთეს შემთხვევაშიც კი გულისხმობს ძალზედ ზოგად შედეგებს, რაც არ უკავშირდება უშუალოდ ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების ინტერესებს. ეს ყოველივე ამცირებს მონაწილეობის ფასეულობას მოქალაქეებისათვის, აგრეთვე ხმის მიცემის პრობლემატიკა მეტ-ნაკლებად განყენებულ სფეროში გადააქვს. ეს უკანასკნელი გარემოება ზრდის ხმის მიცემის კონფლიქტურ პოტენციალს და აიოლებს საზოგადოებრივი აზრის იდეოლოგიური მანიპულირების შესაძლებლობას.

პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობა. პოლიტიკურ წინასაარჩევნო კამპანიებში მონაწილეობა თავისი მახასიათებლებით ხმის მიცემას ემთხვევა, მაგრამ მისგან განსხვავდება ორი მნიშვნელოვანი მახასიათებლით:

- კამპანიებში მონაწილეობა მოქალაქეებისგან ინდივიდუალური აქტიურობისა და ინიციატივის უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვს;
- პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობა სხვა ადამიანებთან თანამშრომლობასა და ურთიერთქმედებას მოითხოვს.

პირადი კონტაქტები პოლიტიკოსებთან. თავად მოქალაქეების ინიციატივით დამყარებული პირადი კონტაქტები პოლიტიკოსებთან და ადმინისტრაციულ მოსამსახურეებთან სახელმწიფო, ან ადგილობრივი მმართველობის სისტემაში, პოლიტიკური აქტიურობის ის ფორმაა, რომელიც ყველაზე სრულად ასახავს დემოკრატიული მონაწილეობის არსს.

ამ შემთხვევაში ინიციატივას მოქალაქეები თავის თავზე იღებენ და შესაძლებლობა აქვთ თავად განსაზღვრონ მონაწილეობის აქტის პრობლემატიკა. კონტაქტები შეიძლება ეხებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემათა სრულიად ფართო წრეს.

§ 3. ამომრჩეველთა ტიპები, ქცევის სტრუქტურა და ცვლადები

ამომრჩეველთა ტიპები. წინასაარჩევნო კამპანიის დროს აუცილებლად ითვალისწინებენ ამომრჩეველთა ტიპებსაც. გამოიყოფა ამომრჩეველთა და შესაბამისად, ელექტორალური ქცევის რამდენიმე ტიპი:

იდეოლოგიზირებული ამომრჩეველი — მას ახასიათებს გარკვეული პოლიტიკური იდეის მომხრეობა და ხმის მიცემა მისი განმასახიერებელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლისათვის. ამ ტიპის ამომრჩევლები მოსახლეობის ყველაზე შეგნებულ და აქტიურ ნაწილს წარმოადგენს. მათ შორის ყველაზე მაღალია არჩევნებში გამოცხადების პროცენტი.

ემოციური ამომრჩეველი — ის ხმას აძლევს არა იდეას, არამედ იმ კანდიდატს, რომელიც მოეწონა. ასეთ ამომრჩეველს ნაკლებად აინტერესებს პროგრამები, მას გრძნობები, ემოციები, განწყობა ამოძრავებს. ეს ტიპი უფრო მეტად ჭარბობს ქალებსა და ახალგაზრდებს შორის.

კორპორაციული ამომრჩეველი — მას სხვანაირად ანგარიშიან ამომრჩეველსაც უწოდებენ, ამომრჩეველი ხელმძღვანელობს არა პიროვნული, არამედ ჯგუფური (კლანური) ინტერესებით. მაგალითად, სახელმწიფო ჩინოვნიკები ხმას აძლევენ, როგორც წესი, ხელისუფლების წარმომადგენლებს.

პატრიარქალური ამომრჩეველი — განწყობილია ხმა მისცეს ოჯახის, კორპორაციის, თავისი გარემოცვის ტრადიციული პრიორიტეტების (მჯობინებების) შესაბამისად. ასეთი ადამიანების შეხედუ-

ლებებისათვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია რომელიმე პარტიის ან სისტემისადმი ერთგულება.

არსებობენ ამომრჩევლები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან პოლიტიკაში ახალ სახელებზე (ამგვარი ამომრჩევლები უფრო მეტია ახალგაზრდებს შორის), ასევე ნეგატიურად განწყობილი ამომრჩევლები, რომლებიც ხმას აძლევენ ან ყველა კანდიდატის, ან ხელისუფლების პარტიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ.

ამომრჩეველთა ქცევის სტრუქტურა. აშშ პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით ამომრჩეველთა ქცევის სტრუქტურაში გამოიყოფა ორი განზომილება: აქტიურობა და უპირატესობის მინიჭება.

აშშ-ში ამომრჩეველთა აქტიურობის ანალიზს ასახავს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

აქტიურობა

— აქტივისტები ორგანიზაციებში
— თანაშემწეები
— საზოგადოებრივი აზრის ლიდერები
— ხმის მიცემაში მონაწილენი
— ხმის მიცემაში არმონაწილენი
— აპოლიტიკურები

უპირატესობის მინიჭება

დემოკრატები	რესპუბლიკელები
მტკიცე—სუსტი—დამოუკიდებელნი	მტკიცე—სუსტი—დამოუკიდებელნი

წყარო: Bone H., Ranney A. Politics and Voters. N.Y., 1985, p.2.

უპირატესობათა მინიჭების შკალა შეიძლება გამოყენებული იქნეს არა მარტო პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციებისადმი ამომრჩეველთა დამოკიდებულების შესაფასებლად, არამედ მათ მიერ პოლიტიკური დისკუსიის ცალკეული საკითხების და გარკვეული კანდიდატების აღქმასთან დაკავშირებითაც

აქტიურობის სკალა აფიქსირებს მონაწილეობის პროცესებში ინდივიდების ჩართულობის ხარისხსა და ხასიათს. აქ განასხვავებენ ექვს ძირითად კატეგორიას:

აქტივისტები ორგანიზაციებში — ესენი არიან ადამიანები, რომლებიც რეგულარულად მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ პირად მონაწილეობას პარტიების, ინტერესთა ჯგუ-ების და სხვა ორგანიზაციების საქმიანობაში. ამ ადამიანთა შორის არიან პოლიტიკური ლიდერები, საარჩევნო კამპანიების მენეჯერები, ლობისტები და ა.შ. ეს ადამიანები პროფესიონალები არიან. ამერიკული გამოკვლევების თანახმად, მათი რაოდენობა შეადგენს აშშ-ს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 0,25%-ს

თანაშემწეები — იგულისხმება ადამიანები, რომლებიც უბრალოდ კი არ აძლევენ ხმას ამა თუ იმ პარტიას, არამედ საკმაოდ აქტიურადაც მონაწილეობენ თავისი პარტიის ან ზეწოლის ჯგუფის საქმიანობაში. ისინი ეხმარებიან პარტიას ან კანდიდატს საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში, შეაქვთ ფულადი შენაწირები, ესწრებიან კრებებს, მიტინგებს და ა.შ. ეს კატეგორიაც შედარებით მცირერიცხოვანია — მასში შედის ამერიკელი ამომრჩევლების დაახლოებით 5%.

საზოგადოებრივი აზრის ლიდერები — აშშ-ში ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით 25% „პოლიტიკის შესახებ ელაპარაკება" თავისი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, ნაცნობებს, თანამშრომლებს და ამგვარად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ზემოქმედებას ახდენს იმ ადამიანთა აზრზე, ვისაც ესაუბრება. საზოგადოებრივი აზრის ლიდერებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ადამიანებს, რომელთაც პროფესიული საქმიანობა საშუალებას აძლევთ მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვან აუდიტორიას მიმართონ, ამასთან, ავტორიტეტის პოზიციიდან გამოდიოდნენ. იგულისხმებიან ჟურნალისტები, სახელმწიფო ადმინისტრატორები და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების სტრუქტურების ხელმძღვანელები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, პატარა ჯგუფების „ბუნებრივი" ლიდერები და ა.შ.

ისინი, ვინც ხმას აძლევენ — აშშ-ში მეტ-ნაკლებად რეგულარულად ყველა დონის არჩევნებში ხმას აძლევს მოზრდილი მოსახლეობის 25-დან 35%-მდე.

ისინი, ვინც ხმას არ აძლევენ — ამომრჩეველთა დაახლოებით 30-დან 40%-მდე ძალზედ იშვიათად აძლევს ხმას ანდა საერთოდ არ მიდის საარჩევნო უბნებში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ საერთოდ არა აქვთ ინტერესი პოლიტიკური ცხოვრებისადმი.

აპოლიტიკურები — ამერიკელ ამომრჩეველთა 3-დან 7%-მდე საერთოდ არ ინტერესდება პოლიტიკით და აბსოლუტურად არაფერი იცის მის შესახებ.

აქტიურობის შკალისა და უპირატესობათა მინიჭების შკალის შედარება შესაძლებლობას იძლევა უფრო რეალისტური პროგნოზი შედგეს არჩევნების შედეგების თაობაზე. მაგალითად, თუკი ამა თუ იმ პარტიის მომხრეები ძალზედ დიდ უპირატესობას ანიჭებენ რომელიმე კანდიდატს, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს მათი დაბალი აქტიურობის შემთხვევაში. ამავე დროს, მეტოქე პარტიის ამომრჩეველთა უფრო მაღალმა აქტიურობამ შეიძლება გამარჯვება მოუტანოს იმ კანდიდატს, რომელიც მათში დიდ აღფრთოვანებას არ იწვევს.

ამომრჩეველთა ქცევის ცვლადები. აქ განვიხილავთ ისეთ ცვლადებს, როგორიცაა პარტიული იდენტიფიკაცია, თემატური ორიენტაცია, კანდიდატზე ორიენტაცია, ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი

ა) პარტიული იდენტიფიკაცია. დემოკრატიული სისტემის პირობებში ამომრჩეველთა ქცევის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს პარტიული იდენტიფიკაცია წარმოადგენს. ის შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს.

მაგალითად, აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებას ერთი თავისებურება აქვს: გარკვეული რეგიონების მყარი ერთგულება ამა თუ იმ პარტიისადმი. ასეთ რეგიონებში თავისებური ერთპარტიული სისტემა ყალიბდება. მაგალითად, ვერმონტის შტატში 1854 წლის შემდეგ მხოლოდ 5 დემოკრატმა გაიმარჯვა შტატის დონეზე ჩატარებულ არჩევნებში. მისისიპის შტატში 1880-იანი წლების შემდეგ მხოლოდ ერთმა რესპუბლიკელმა გაიმარჯვა. ამერიკელ ამომრჩეველთა არანაკლებ 88%-სა ამჟღავნებს ამა თუ იმ პარტიისადმი პოლიტიკური მხარდამჭერის გარკვეულ ხარისხს. რა თქმა უნდა, მათ მიერ პოლიტიკურ უპირატესობათა მინიჭება ნაწილდება ორ პარტიას — რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის.

პარტიული იდენტიფიკაცია პოლიტიკური სოციალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ამერიკელ ბავშვებს ის ძალზედ ადრეულ ასაკში უყალიბდებათ. ბავშვები ითვისებენ საარჩევნო ქცევის ოჯახში დამკვიდრებულ ტრადიციებს.

ევროპაში პარტიული იდენტიფიკაციის სტაბილურობა პირველ რიგში კლასობრივ კუთვნილებას უკავშირდება. სწორედ კლასობრივი შეგნება და კლასობრივი სოლიდარობის გრძნობა ქმნის პარტიული ორიენტაციის უმთავრეს მოტივებს. რიგ ქვეყნებში არსებითი მნიშვნელობა აქვს ასევე ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ეროვნული და კონფესიონალური კუთვნილება.

როგორც ამერიკაში, ისე დასავლეთ ევროპაში ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ მიუხედავად ამომრჩეველთა ქცევის ინდივიდუალური „რეცეპტების" მრავალფეროვნებისა, ელექტორატის გარკვეული კატეგორიების პარტიული ორიენტაცია საოცარ მდგრადობას ამჟღავნებს.

აშშ-ს ისტორიაში ყოფილა პერიოდები, როდესაც ესა თუ ის პარტია აბსოლუტურად დომინირებდა. სამოქალაქო ომისა და რეკონსტრუქციის დროს რესპუბლიკელები გახდნენ ეროვნული უმრავლესობის პარტია და ამ სახით 60 წლის განმავლობაში გამოდიოდნენ. შემდეგ დადგა დემოკრატების დომინირების ხანგრძლივი პერიოდი. ამ პერიოდს საფუძველი ჩაუყარა დიდი დეპრესიისა და რუზველტის ახალი კურსის ათწლეულმა.

თანამედროვე საქართველოში ძნელია ვილაპარაკოთ პარტიული კუთვნილების სტაბილური მაჩვენებლების შესახებ. მონაწილეობის პარტიული სტრუქტურა ჩვენს თვალწინ ყალიბდება. ამომრჩევლებს უჭირთ ახალი იდეოლოგიური მოდელების დაუფლება და მხოლოდ ახლა სწავლობენ პარტიული მშენებლობის მრავალფეროვანი ფორმების აღქმას. გამონაკლისს მხოლოდ კომპარტიის მცირერიცხოვანი მომხრეები წარმოადგენენ. ისინი მხარს უჭერენ მონაწილეობის ჩვეულ ფორმებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მასობრივ მონაწილეობასთან, რომელიც ტოტალიტარულ ფასეულობებზეა ორიენტირებული, ჩვენ კი ვსაუბრობთ დემოკრატიული მონაწილეობის პერსპექტივებზე.

ბ) თემატური ორიენტაცია. პარტიული იდენტიფიკაცია წარმოადგენს ამომრჩევლის ქცევის სტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვან, მაგრამ არა ერთადერთ კომპონენტს.

მეორე ძალზედ მნიშვნელოვანი კომპონენტია ინდივიდების დამოკიდებულება სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარე პრობლემებისადმი, რომელთა მოწესრიგებაც სახელმწიფო ან ადგილობრივი მართვის სფეროს განეკუთვნება. სწორედ ეს იგულისხმება თემატურ ორიენტაციაში.

თემატური ორიენტაცია ამომრჩევლის ქცევის იმ ასპექტს წარმოადგენს, რომლის განზოგადებაც ადვილი არაა ქვეყანათშორისი შედარებითი კვლევების თვალსაზრისით. მაგრამ აქაც შეიძლება გამოითქვას ზოგიერთი შენიშვნა. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა ამომრჩეველთა განწყობის პრაგმატულობის ხარისხი.

აშშ-ში ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ ამ ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების თემატიკა მთლიანობაში პრაგმატულ ხასიათს ატარებს. პრობლემები, რომლებიც ამომრჩეველთა ინტერესს

იწვევს, უკავშირდება არა იდეოლოგიურ პროგრამებს, არამედ გარკვეულ ინტერესებს, რომლებიც მკაფიო რაციონალურ ფორმულირებას ექვემდებარება. ისინი რეალისტური ხასიათის კონფლიქტებს ეხება, რომელთა გადაწყვეტაც სავსებით შესაძლებელია გონივრული კომპრომისების პოლიტიკის საფუძველზე, მნიშვნელოვანი დაძაბულობის გარეშე, რომელიც დაემუქრებოდა როგორც ფასეულობათა არსებულ სისტემას, ასევე მმართველობის ჩამოყალიბებულ სისტემას.

დამახასიათებელ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ აშშ-ში პოლიტიკის საარსებო პრობლემების საჯარო განხილვა სამართლებრივი ფორმულირებების ენაზე, კანონპროექტების ენაზე ხდება. დისკუსიები რაციონალურობის საკმაოდ მაღალი ხარისხის პირობებში მიმდინარეობს. ამომრჩევლები წინადადებათა გადმოცემისას ელიან არა განყენებულ იდეოლოგიურ დეკლარაციებს, არამედ ინფორმაციას, ფაქტების მკაფიო ინტერპრეტაციას, თანამიმდევრულობას და დასაბუთებულობას.

ამომრჩეველთა თემატური ორიენტაციის კვლევისას მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ პოლიტიკური დისკუსიის თემები ყოველთვის როდი აღმოცენდება „ბუნებრივი" გზით. პოლიტიკური პრობლემატიკა მრავალ შემთხვევაში „ობიექტურ" ხასიათს არ ატარებს. ის თავისთავად არ იბადება რიგითი ამომრჩევლის ცნობიერებაში, თავისი „ობიექტური" მნიშვნელობის ძალით და, მით უმეტეს, თავისთავად არ ღებულობს მკაფიო ფორმულირებებს, არც არგუმენტაციას.

პოლიტიკის საკვანძო პრობლემების წამოყენებისა და ინტერპრეტაციის ინიციატივა ელიტურ ჯგუფებს ეკუთვნით. სწორედ ისინი აყალიბებენ პოლიტიკურ მნიშვნელობათა სამყაროს, რომლებიც შემდეგ გამოაქვთ საყოველთაო სამსჯავროზე როგორც პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივი და ობიექტური პრობლემატიკა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პრობლემას მართლაც საარსებო მნიშვნელობა აქვს, რომლის იგნორირებაც შეუძლებელია, მისი „მოშინაურება" შეიძლება ფასეულობითი ან რაიმე სხვაგვარი ინტერპრეტაციის გზით.

პრობლემატიკა, რომელსაც ამომრჩევლებს სთავაზობენ განსახილველად, ყოველთვის როდია მათთვის სათანადოდ გასაგები. პოლიტიკური ელიტა „საშუალო" ამომრჩეველს იდეოლოგიურ ან პრაგმატულ ენაზე ელაპარაკება, მაგრამ ორივე შემთხვევაში ამომრჩევლების მიერ ამ ენების შეთვისება გარკვეული დამახინჯებითა და სიძნელეებით ხდება. ეს გარემოება ართულებს პარტიულ იდენტიფიკაციას. ის ნიუანსები, რაც თვალსაჩინოა პოლიტიკური დისკუსიის პროფესიონალურ

დონეზე და მკაფიოდ აჩვენებს განსხვავებას პარტიებს შორის, შეიძლება რიგითი ამომრჩევლის დონეზე ან საერთოდ არ აღიქმებოდეს, ან არაარსებითი ხასიათისად მიიჩნეოდეს.

სიძნელეები წარმოიშობა თავად პრობლემების არსის განსაზღვრის დროსაც. ამასთან ყველაზე მეტი სიძნელეები წარმოიშობა სწორედ იმ პარტიების ენისა და თემატური ორიენტაციების აღქმისას, რომლებიც პოლიტიკაში მისდევს პრაგმატულ, ლიბერალურ სტილს. ეს სტილი განისაზღვრება უპირატესი ინტერესით საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული ამოცანებისადმი. ფასეულობითი დისკუსიები, წარმოებული ლიბერალური პოზიციებიდან, — ესაა რაციონალური ხასიათის დისკუსია, რომელიც აპელირებას ახდენს ამომრჩევლის ცოდნასთან და მის უნართან — თანამიმდევრულად განიხილოს საკითხები. ის მოთხოვნები, რასაც ლიბერალური ელიტა ამომრჩეველს უყენებს, ხშირად სათანადო გამოძახილს ვერ პოულობს იმ ქვეყნებშიც კი, რომელთაც ღრმა და მდიდარი ლიბერალური ტრადიციები აქვთ. აშშ-ში ჩატარებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ ამომრჩეველთა დაახლოებით ნახევარს (ამასთან ლაპარაკია „ინფორმირებულ ამომრჩევლებზე", ე.ი. ისეთებზე, რომელთაც ვადაწყვიტეს გამოეთქვათ თავიანთი პოზიცია გარკვეულ საკითხებზე) შეუძლია ამა თუ იმ დონით მკაფიოდ აღიქვას საკითხის არსი და მოახდინოს მისდამი ამა თუ იმ პარტიის ან კანდიდატის დამოკიდებულების გაიგივება.

კიდევ უფრო ძნელად აღიქმება ლიბერალური პრობლემატიკის ენა საქართველოს და ზოგადად პოსტსაბჭოური ქვეყნების ამომრჩევლების მიერ. იმისათვის, რომ ადეკვატური შეფასება მიეცეს თანამედროვე სახელმწიფოებრივი მმართველობის უაღრესად რთულ სისტემას და, ამასთან, ძალზედ რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების პირობებში, აუცილებელია სპეციალური ცოდნა, დიდი მოცულობის ინფორმაციის შეთვისების უნარი, პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებზე ყურადღების გამახვილება, მათი ანალიზი რაციონალური პროცედურების საფუძველზე.

უდიდეს სიძნელეებს იწვევს ფასეულობითი დისკუსიების გაგება. ის მოითხოვს მოთმინებას, ფართო ინტელექტუალურ თვალსაწიერს, მზადყოფნას სოციალურ-კულტურულ ძიებებს და ა.შ. ყოველივე ამას პოსტსაბჭოური ამომრჩევლების უმრავლესობა მოკლებულია. ამიტომ ისეთი პრობლემატიკა, როგორიცაა ფინანსური სტაბილიზაციის პირობები, წარმოების განვითარება, საკუთრებითი ურთიერთობები, უცხოური ინვესტიციები, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის რეფორმა, განათლების რეფორმა და ა.შ., ამომრჩევ-

ლებისათვის ძნელად გასაგებია. მათთვის გაუგებარი რჩება ამ პრობ-ლემების არსებითი ასპექტები, რაც ხელს არ უშლის მათ ფართო გამოყენებას იდეოლოგიზებული პოლიტიკური სპეკულაციების დროს.

გ) ორიენტაცია კანდიდატზე. ცვლად სიდიდეებს შორის, რომლებიც თავის ერთობლიობაში აყალიბებს ამომრჩევლის ქცევის სტრუქტურას, უნდა აღინიშნოს გარკვეული კანდიდატებისადმი როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მომხრეობა. ამომრჩეველთა ქცევის ეს მხარე იყოფა ორ კომპონენტად.

პირველია ინსტრუმენტული კომპონენტი. ის მოქმედებს მაშინ, როდესაც ადამიანი განწყობილია ხმა მისცეს ამა თუ იმ პოლიტიკოსს, გამომდინარე იმ დადებითი შეფასებიდან, რაც ამ პოლიტიკოსმა უკვე გააკეთა ან აპირებს გააკეთოს.

მეორე კომპონენტს სიმბოლური ეწოდება და უკავშირდება პოლიტიკოსის ფასეულობით აღქმას. სწორედ ამ კომპონენტს ხშირად პოლიტიკოსის პიროვნების ხარიზმას უწოდებენ. ხარიზმა ყალიბდება ფასეულობით-ფსიქოლოგიური მსჯელობებისაგან, რომლებიც პოლი-ტიკოსის ბიოგრაფიის ფაქტებს ეხება, მის წარმოშობას ან ოჯახურ ცხოვრებას, რელიგიურობას, განათლებას, სამეცნიერო ან სპორტულ მიღწევებს და ბოლოს პიროვნულ მომხიბვლელობას (გარეგნობა, ქცევის მანერა, ლაპარაკი).

ამ კომპონენტის მოქმედებას უკავშირდება შემდეგი სახის არგუმენტაცია: „უკეთესია მე ხმა მივცე ადამიანს, რომელიც დიდად ძლიერი არაა საგარეო პოლიტიკაში (ან ფინანსებში), სამაგიეროდ სანიმუშო მეოჯახეა, ვიდრე ხმა მივცე ადამიანს, რომელმაც კარგად იცის ეს საკითხი, მაგრამ ცოლს ღალატობს და სხვა.

სიმბოლური ხასიათის შეფასებები ყოველთვის ისე მკაფიოდ არაა გაცნობიერებული, როგორც ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში. ხშირად ისინი ქვეცნობიერ დონეზე მოქმედებენ. აქ საჭიროა და ეფექტიანია ფსიქოანალიტიკური და სხვა სპეციალური მეთოდების გამოყენება ამომრჩეველთა ქცევის ფარული მოტივების გამოსავლენად.

ამომრჩეველთა ქცევის დაფარული მოტივების გამოვლენისას მხედველობაში უნდა გვქონდეს **ორმაგი ფასეულობითი სტანდარტები,** რაც დაფიქსირებულია მასის ადამიანის „სოციალურ ქვეცნობი-ერებაში“. აქ იგულისხმება ფსიქოლოგიური წინააღმდეგობანი თანას-წორობის პრინციპსა და გათანაბრებისაკენ მისწრაფებას შორის, არჩევითი პირებისადმი აშკარად დეკლარირებული პროფესიონა-ლიზმის მოთხოვნასა და იმავდროულ უნდობლობას სპეციალის-ტებისადმი და ა.შ.

ორმაგი სტანდარტების წარმოშობა და არსებობა მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ერთმანეთს ეჯახება პოლიტიკის ტრადიციული პატერნალისტური გაგება და, მეორე მხრივ, ინდუსტრიული საზოგადოების სტანდარტები.

ცვლადების ურთიერთქმედება. ამომრჩეველთა ქცევის თითოეული ცვლადი დანარჩენებისაგან იზოლირებული არაა. ისინი ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია. პარტიული იდენტიფიკაცია შეიძლება წინააღმდეგობაში მოექცეს სხვა პარტიის კანდიდატისადმი არსებულ სიმპათიებთან ან საკუთარი პარტიის კანდიდატისადმი ანტიპათიასთან. შეიძლება წინ წამოიწიოს იმ მოლოდინმა, რომელიც მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების გარკვეული პრობლემების გადაწყვეტას უკავშირდება და ა.შ.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთი ცვლადი აძლიერებს მეორის მოქმედებას. ამერიკელი მკვლევრების მონაცემები აჩვენებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს საშინაო პოლიტიკის პრობლემატიკის განხილვას წარმატება მოაქვს დემოკრატიული პარტიისათვის, მაშინ როდესაც რესპუბლიკელები უფრო წარმატებით იყენებენ საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

1956 წელს დუაიტ ეიზენჰაურის უდიდეს პიროვნულ პოპულარობას სხვა ცვლადების გარეშეც შეეძლო რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის გამარჯვების უზრუნველყოფა. თავის მხრივ, ბარი გოლდუოტერის უკიდურესი არაპოპულარობა 1964 წელს შეიძლება ყოფილიყო რესპუბლიკელთა დამარცხების ერთადერთი მიზეზი.

ცვლადების ურთიერთქმედების შესაძლო ვარიანტების ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს ემპირიული კვლევებისათვის, რომელთა მეშვეობითაც საარჩევნო კამპანიის შედეგების წინასწარმეტყველებას ცდილობენ. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ამომრჩეველთა სხვადასხვა კატეგორიებს, იმისდა მიხედვით თუ რომელ სოციალურ ჯგუფს და კოგნიტიურ ტიპს მიეკუთვნებიან, სხვადასხვაგვარი უნარი გააჩნიათ, მოახდინონ ერთი ცვლადის კორექტირება სხვა ცვლადის დახმარებით. ასე მაგალითად, მკაცრი პარტიულ-იდეოლოგიური კომუნისტური ორიენტაცია, შეხამებული განათლების, შემოსავლების დაბალ დონესთან და დაბალი სტატუსის სხვა მახასიათებლებთან, განვითარებული კლასობრივი კონფლიქტის ღრმა ტრადიციების პირობებში, თითქმის არ ექვემდებარება კორექციას სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკის და კანდიდატების პიროვნების ჯანსაღი ანალიზის პოზიციიდან. ასეთი სიტუაცია მრავალი რუსი ამომრჩევლის ქცევისათვის ძალზედ დამახასიათებელია.

კითხვები და დავალებები:

• რას ეწოდება პოლიტიკური მონაწილეობა?

• რა თავისებურებები ახასიათებს ელექტორალურ პროცესში მონაწილეობას?

• დაასახელეთ პოლიტიკური მონაწილეობის ძირითადი სახეები არჩევნების დროს

• რა საერთო ტენდენციებია გამოვლენილი ელექტორატის ქცევაში?

• როგორია ამომრჩეველთა ქცევის სტრუქტურა?

• ვის უწოდებენ „საზოგადოებრივი აზრის ლიდერებს"?

• რას ნიშნავს პრაგმატული სტილი ამომრჩეველთა თემატურ ორიენტაციაში?

• რას ნიშნავს ორმაგი ფასეულობითი სტანდარტები ამომრჩეველთა ქცევაში?

• მოკლედ დაახასიათეთ ამომრჩეველთა ქცევის ძირითადი ცვლადები.

• რა მნიშვნელობა აქვს ცვლადების ურთიერთქმედების შესაძლო ვარიანტების ანალიზს?

რა წაიკითხოთ:

• **Popkin S.L. The reasoning voter. Chicago: University of Chicago Press, 1991**

ს. პოპკინი რაციონალური არჩევანის თეორიის ფარგლებში იყენებს ტერმინს „მოაზროვნე ამომრჩეველი" მსგავსი სიტუაციის აღსაწერად. როდესაც „ამომრჩევლები მართლაც ფიქრობენ პარტიებზე, კანდიდატებზე და პოლიტიკურ პრობლემებზე", თავიანთ ხმას „აბანდებენ" კოლექტიურ კეთილდღეობაში „ძვირადღირებული და არასრული ინფორმაციის საფუძველზე და გაურკვეველ ვითარებაში". კერძო მეანაბრეებისგან განსხვავებით, „საზოგადოებრივ მეანაბრეებს" ნაკლები სტიმული აქვთ ინფორმაციის შესაკრებად, რაც მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს. ამ სიტუაციას პოპკინი ახასიათებს როგორც რაციონალურობის ერთ-ერთ სახესხვაობას, რომელიც დანახარჯების მინიმიზაციას ესწრაფვის და როდესაც ძალისხმევის ეკონომია მიიღწევა ზედაპირზე მდებარე ინფორმაციის შეკრებით (მაგალითად, მეგობრებისაგან მიღებით) და მისი მარტივი დამუშავებით.

• **Key V.O. The responsible electorate: Rationality in presidential voting 1936-1960. New York: Vintage, 1966**

ს.კეი მიჰყვება ტრადიციული ელექტორალური კვლევის სქემას, როდესაც მოქალაქე გამოდიოდა მინიმალურად მოაზროვნე ინდივიდის სახით და ამომრჩევლის ‹ ინგში გადაწყვეტილებებს ღებულობდა წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ასეთი „რეტროსპექტული" ამომრჩევლები ამარტივებენ თავიანთი კეთილდღეობის დონის შეფასებას ახლო წარსულში. მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ან გაუარესებაზე ისინი პასუხისმგებლობას აკისრებენ არსებულ მთავრობას. შესაბამისად მხარს უჭერენ ან გმობენ მას.

• **Sniderman P.M., Glaser J.M., Griffin R. Information and electoral choice // Information and democratic processes / Ed. by J.A. Fercjohn, J.H.Kuklinski. Urbana: University of Illinois Press, 1990. P.117-135.**

პ.სნაიდერმანმა და მისმა კოლეგებმა აჩვენეს, თუ რით განსხვავდებიან მეტ-ნაკლებად ინფორმირებული ამერიკელი ამომრჩევლები ნაკლებად ინფორმირებული ამომრჩევლებისაგან იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ „მოქმედი ადმინისტრაციის მოწონებას" და „კანდიდატების მომავალი მოღვაწეობის შედარებით შეფასებებს". უფრო ინფორმირებული ამომრჩევლები მეტს ფიქრობენ, თავიანთ საბოლოო გადაწყვეტილებას ამყარებენ არა იმდენად ახლანდელ მოწონებაზე, რამდენადაც კანდიდატების შედარებით შეფასებაზე. ისინი ირჩევენ ოპტიმალურ კანდიდატს, მაშინ როდესაც უფრო ნაკლებად ინფორმირებული ამომრჩევლები უბრალოდ ცდილობენ გადაწყვიტონ „რამდენად კარგი იყო ის, რაც მოხდა" — მათთვის უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი კმაყოფილება მოვლენათა განვითარებით.

თავი XI

არჩევნები და პოლიტიკური აპათია

§ 1. აპათია რაციონალური მონაწილეობის თეორიის თვალსაზრისით

მონაწილეობის კრიზისი. დემოკრატიული პოლიტიკის ერთ-ერთი ტრადიციული პრობლემა ისაა, რომ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი გულგრილია დემოკრატიული ფასეულობებისა და ინსტიტუტებისადმი, მას არ სურს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. ძველ ათენში ეს პრობლემა დროდადრო უკიდურეს სიმწვავეს იძენდა, როდესაც რიგითი მოქალაქეების უმრავლესობა პრაქტიკულად უარს ამბობდა პოლისის ცხოვრებაში მონაწილეობაზე. კანონმდებლები სხვადასხვა გზით ცდილობდნენ მონაწილეობის კრიზისის გადაწყვეტას, ემუქრებოდნენ ჯარიმებით მოქალაქის მოვალეობის შესრულებისგან თავის არიდებისათვის და სთავაზობდნენ ფულად პრემიას აქტიური მონაწილეობისათვის.

პოლიტიკური აპათიის სტრუქტურა, მნიშვნელოვანწილად, პოლიტიკური მონაწილეობის სტრუქტურის „უკანა მხარეა". ესაა თითქოსდა „მინუსის" ნიშნით დანახული მონაწილეობის სტრუქტურა, რომელიც გამოავლენს იმ პუნქტებს, სადაც კრიტიკული მდგომარეობაა რაოდენობრივი მაჩვენებლების და მონაწილეობის სტილის მიხედვით.

არჩევნები და რაციონალური მონაწილეობის თეორია. რაციონალური მონაწილეობის თეორიიდან გამომდინარე, არჩევნებთან მიმართებაში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი თეზისი: „ყოველი რაციონალური ადამიანი არჩევნებში მონაწილეობის საკითხს გადაწყვეტს ისევე, როგორც ღებულობს ყველა სხვა გადაწყვეტილებას: თუკი მოსალოდნელი სარგებელი ჭარბობს დანახარჯებს, ის ხმას აძლევს, თუ არა, იგი თავს იკავებს".

ამ თეზისის გაფართოებას წარმოადგენს შემდეგი დებულებები:

1. იმ შემთხვევაში, თუ ხმის მიცემა არ მოითხოვს დანახარჯებს, ინდიფერენტული მოქალაქეები თავს იკავებენ, ხოლო ისინი, რომელთაც გარკვეული პრიორიტეტები აქვთ (რაიმეს ანიჭებენ უპირატესობას), ხმას აძლევენ;

2. თუ ხმის მიცემა დაკავშირებულია დანახარჯებთან, ინდიფერენტული მოქალაქეების გარკვეული ნაწილისათვის რაციონალური იქნება ხმის მიცემა, ხოლო პოლიტიკური პრიორიტეტების (მჯობინებების) მქონე მოქალაქეთა ნაწილისათვის რაციონალური იქნება თავის შეკავება;

3. თუ ხმის მიცემაში მონაწილეობისათვის საჭიროა გარკვეული დანახარჯები, მათ რაოდენობრივ მაჩვენებლებში უმნიშვნელო ცვლილებებმაც კი შეიძლება ძალზედ რადიკალური ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკური ხელისუფლების განაწილებაზე;

4. ინფორმაციის მიღების ღირებულებამ შეიძლება შეამციროს დაბალი შემოსავლების მქონე ფენებიდან ხმის მიმცემთა ხვედრითი წილი კენჭისყრაში მონაწილეთა საერთო რაოდენობაში და გაიზარდოს ამომრჩეველთა შედარებით შეძლებული ფენების წილი;

5. ხმის მიცემაში მონაწილეობის ღირებულებამ შეიძლება გაადიდოს უფრო შეძლებული მოქალაქეების ხვედრითი წილი კენჭისყრაში მონაწილეთა შორის;

6. ზოგჯერ ხმის მიცემაში მონაწილეობა რაციონალური მოქმედება იქნება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უახლოესი სარგებელი ნაკლებია წინასწარ დანახარჯებზე, რადგანაც სოციალური პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს სარგებლის სრულად მიღებას უფრო შორეულ პერსპექტივაში.

განვიხილოთ ეს დებულებები ისე, როგორც ამას გვთავაზობს ა.დაუნსი.

სიტუაცია, როცა ხმის მიცემის ფასი ნულს უღრის. ა.დაუნსი ყურადღებას აქცევს ამომრჩევლებს, რომლებიც ხმას არ აძლევენ მაშინაც კი, როდესაც კენჭისყრაში მონაწილეობა მათგან არანაირ დანახარჯებს არ მოითხოვს. ასეთ სიტუაციაში მონაწილეობისგან თავის შეკავება ნიშნავს, რომ ამომრჩეველი აზრს ვერ ხედავს თავისი ინდივიდუალური აქტიურობის გამოვლენაში, მაგრამ ეს სულაც არაა გამოწვეული გულგრილობით თავად დემოკრატიული ხმის მიცემის ინსტიტუტისადმი.

პირიქით, რაციონალურად ინდიფერენტული მოქალაქე დაახლოებით ასე მსჯელობს: „თუ არავინ არ მიიღებს მონაწილეობას ხმის მიცემაში, მაშინ დემოკრატიული სისტემა ვერ შეძლებს ფუნქციონირებას. ამ სისტემის დანგრევა, თავის მხრივ, თითოეულ მოქალაქეს არსებით ზარალს მიაყენებს. ამიტომ ხმის მიცემა როგორც სოციალური ინსტიტუტი აუცილებლად შენარჩუნებული უნდა იყოს. მაგრამ, მეორე მხრივ, წმინდა თეორიულად, იმისათვის, რომ ხმის მიცემის ინსტიტუტმა მოქმედება გააგრძელოს, სრულიადაც არაა აუცილებელი კენჭისყრაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა. და, რადგანაც არსებობს მრავალი ადამიანი, რომელიც არჩევნების დღეს აკურატულად მიდის საარჩევნო უბანში, პირადად მე სავსებით შემიძლია არ ვღელავდე, მით უმეტეს, რომ ვერ ვხედავ რაიმე მნიშვნელოვან სხვაობას სხვადასხვა კანდიდატებისა და პარტიების პოზიციებს შორის და ჩემთვის სულერთია, რომელი მათგანი გაიმარჯვებს. მე ვთვლი, რომ ჩემს ინდივიდუალურ პრობლემებზე პოლიტიკური ბრძოლის ესა თუ ის შედეგი არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს“.

ა.დაუნსის ანალიზში გულგრილი (განურჩეველი) ამომრჩევლები არასოდეს არ ახდენენ ზეგავლენას ხმის მიცემის შედეგებზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი ხმას აძლევენ, მათ მიერ არჩევანის გაკეთება შემთხვევით ხასიათს ატარებს. შემთხვევით ინდივიდუალურ არჩევანთა ერთმანეთზე „დადება“ კი აქრობს შესაძლო გავლენას.

ა.დაუნსი ამომრჩეველთა პოლიტიკური გულგრილობის ბუნებას შემდეგნაირად ხსნის:

ჯერ ერთი, გულგრილობა შეიძლება ასახავდეს ყველა კანდიდატის დაახლოებით ერთნაირ აღქმას, ამასთან უპირატესობას ანიჭებდეს რომელიმე პოლიტიკოსს, რომელიც კანდიდატებს შორის არაა. ამ შემთხვევაში, როგორც არ უნდა დამთავრდეს არჩევნები, ინდიფერენტული მოქალაქეები უკმაყოფილონი დარჩებიან.

მეორე, გულგრილობა შეიძლება ნიშნავდეს, რომ მოქალაქეები ერთნაირად კმაყოფილნი არიან ყველა კანდიდატით და რომელიმე სხვა პოლიტიკოსს არ ანიჭებენ უპირატესობას. ამ შემთხვევაში უკმაყოფილონი იქნებიან აქტიური მოქალაქეები, რომელთაც ხმა მისცეს გამარჯვებული კანდიდატის წინააღმდეგ.

მაგრამ საკითხავია, პოლიტიკური განურჩევლობა (გულგრილობა) სინამდვილეში მართლაც შედეგია იმისა, რომ ერთნაირად აღიქვამს საარჩევნო ალტერნატივებს თუ ის აიხსნება პოლიტიკური შეჯიბრის მონაწილეების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით? ხომ შეიძლება, დამატებითი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, მოქალაქეებმა თავისი

გადაწყვეტილება შეცვალონ. ეს ვარაუდი რომ სწორი იყოს, ამ შემთხვევაში ხელისუფლების განაწილების სტრუქტურას ასიმეტრიული წყობა ექნებოდა, გადაიხრებოდა უფრო უზრუნველყოფილი სტრატების მხარეს, რადგანაც ღარიბი სტრატებისათვის ინფორმაციის ძიება გაუმართლებელ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული და დაანგრევდა მონაწილეობის რაციონალურ ხასიათს.

მაგრამ ზემოთ აღნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. ა.დაუნსი თვლის, რომ ინფორმაციის რაოდენობამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს რწმენაზე, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება, მაგრამ არ შეუძლია შეცვალოს მისი ბუნება. ამას ძნელია არ დაეთანხმო. უფრო მეტიც, ადვილია წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ინფორმაციის რაოდენობის გაზრდა, პირიქით, ამცირებს რწმენას პოლიტიკური ქცევის სისწორისა და მისი მიმართულების შეცვლაც შეიძლება გამოიწვიოს.

სიტუაცია, როდესაც ხმის მიცემა დანახარჯებს მოითხოვს. ა.დაუნსი აღიარებს, რომ ვარაუდი ხმის მიცემის თაობაზე, რომელიც არანაირ დანახარჯებს არ მოითხოვს, არაკორექტული დაშვებაა. ნებისმიერ ხმის მიცემას აქვს გარკვეული „ფასი" უკვე თუნდაც იმიტომ, რომ იგი მოითხოვს დროით დანახარჯს. აშშ-ში ეს დანახარჯები კიდევ უფრო მეტია ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან შედარებით, რადგანაც ხმის მიცემას იქ აუცილებლად წინ უძღვის რეგისტრაცია.

მონაწილეობის ფასის მაჩვენებლების შემოტანით დაუნსი ართულებს ხმის მიცემის მოდელს. ახლა უკვე გარკვეული პოლიტიკური უპირატესობის მინიჭება ეჯახება ბალანსის გამოთვლას ხმის მიცემის ფასსა და შესაძლო შედეგების ღირებულებას შორის. რაციონალური იქნება უარის თქმა ხმის მიცემაზე, საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების გადადება, თუკი ბალანსი უარყოფითი აღმოჩნდება. იმის გამო, რომ უმრავლეს შემთხვევებში პოტენციური სარგებელი ხმის მიცემისაგან ძალიან მცირეა, უმნიშვნელო დანახარჯებმაც კი რაციონალური თავშეკავება შეიძლება გამოიწვიოს.

ამგვარი რაციონალური თავშეკავების მნიშვნელობა, ა.დაუნსის აზრით, განპირობებულია იმ გავლენით, რასაც იგი ახდენს პოლიტიკური ხელისუფლების განაწილებაზე. გავლენას ორი საფუძველი აქვს: ჯერ ერთი, ის უკავშირდება იმას, რომ ხმის მიცემაზე ხარჯების გაწევის უნარი ასიმეტრიულად არის განაწილებული, მეორეც, ის განისაზღვრება ხმის მიცემის პოტენციური სარგებლის ასიმეტრიული განაწილებითაც.

პოტენციური სარგებლის კომპონენტებს შორის, რომელთა ჯილდოდ მიღებასაც შეიძლება ვარაუდობდეს რაციონალური ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობის სანაცვლოდ, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი.

როგორც ზემოთ ითქვა, ა.დაუნსი თავის ანალიზში ემყარება დებულებას, რომ თითოეული მოქალაქე სარგებელს ნახულობს დემოკრატიის პირობებში ცხოვრებით. ამიტომ ერთ-ერთი მთავარი ჯილდო მონაწილეობისათვის დემოკრატიული სისტემის მხარდაჭერაში მდგომარეობს. სწორედ ეს მოსაზრება იძულებულს ხდის ხმა მისცეს მაშინაც კი, როდესაც რაციონალური მოტივაციის სხვა მხარეები პოლიტიკური თავშეკავებისაკენ „იხრებიან". ა.დაუნსი შემდეგნაირად აყალიბებს ამ ვარაუდს:

— რაციონალური ადამიანი დემოკრატიის პირობებში გარკვეულწილად მოტივირებულია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით, რაც შედარებით დამოუკიდებელია მისი უშუალო დანაკარგებისა და შენაძენებისაგან.

— თუ ჩვენ განვიხილავთ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე როგორც კენჭისყრაში მონაწილეობის ერთ-ერთ შენაძენს, მაშინ ხმის მიცემაში მონაწილეობის ფასი კომპენსირდება მისი სარგებლით ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა რაციონალური ამომრჩევლისათვის.

ამრიგად, კენჭისყრაში მონაწილეობისთვის შესაძლო ჯილდოების რაციონალური შეფასება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფასეული იქნება ამომრჩევლისათვის არსებული პოლიტიკური წყობის შენარჩუნება.

პოტენციური სარგებლის სხვა კომპონენტებს შორის ა.დაუნსი ასახელებს რაციონალური ამომრჩევლის დაინტერესებას იმ პარტიის გამარჯვებით, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს; ამ ფაქტორთა შორისაა ასევე ამომრჩევლის მიერ იმის შეფასება, თუ რამდენად დაძაბული იქნება ბრძოლა არჩევნების მსვლელობისას და რამდენი მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში.

რაციონალურ ადამიანს უფრო მეტი მოტივაცია ექნება კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად, თუკი დარწმუნებულია, რომ საარჩევნო უბნებში მივა ამომრჩეველთა შედარებით მცირე რიცხვი და არჩევნების შედეგი შეიძლება რამდენიმე ხმით უპირატესობამაც კი გადაწყვიტოს. ამ შემთხვევაში ანალიზი მას არჩევნებში მონაწილეობის მიღების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

რაციონალური ამომრჩევლის ქცევის მოდელი. რაციონალური ამომრჩევლის ქცევის მოდელში კენჭისყრაზე დანახარჯების მაჩვენებლის შემოტანა ა.დაუნსს აიძულებს დაადგინოს კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის შემდეგი წესები:

1. ყოველი რაციონალური მოქალაქე წინასწარ აფასებს თავის პარტიულ მჯობინებას (ეს შეადგენს მისი ინდივიდუალური პარტიული პოტენციალის მაჩვენებელს), ხმის მიცემის ღირებულებას, მონაწილეობის საკუთარ ფასეულობით აღქმას, აგრეთვე სხვა მოქალაქეთა რაოდენობას, რომლებიც, მისი ვარაუდით, მონაწილეობას მიიღებენ კენჭისყრაში.

2. თუკი მოქალაქის პარტიული დიფერენციალი ნულს უდრის, რადგანაც ყველა პარტიის პოლიტიკა და იდეოლოგიური პლატფორმები ერთნაირი ეჩვენება, მაშინ ხმის მიცემის ღირებულებას უპირისპირდება მონაწილეობის როგორც სოციალური ინსტიტუტის ფასეულობითი აღქმის ხასიათი, აგრეთვე ის სავარაუდო სარგებელი, რასაც რაციონალური ამომრჩეველი შეიძლება მოელოდეს პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლისაგან ან პოლიტიკური „სტატუს კვოს" შენარჩუნებისაგან. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ამომრჩევლის ქცევის ორი ვარიანტი:

ა) თუ პოტენციური სარგებელი დანახარჯებს მხოლოდ ცვლილებების შემთხვევაში გადააჭარბებს, ამომრჩეველი ხმას აძლევს ოპოზიციურ პარტიას. მრავალპარტიული სისტემის პირობებში იგი შემთხვევით შეაჩერებს თავის არჩევანს რომელიმე ოპოზიციურ პარტიაზე;

ბ) თუ პოტენციური სარგებელი ჭარბობს დანახარჯებს მხოლოდ არსებული მდგომარეობის უცვლელად შენარჩუნების შემთხვევაში, ამომრჩეველი ხმას აძლევს ხელისუფლების სათავეში მყოფ პარტიას. თუ ხელისუფლების სათავეშია პარტიათა კოალიცია, ამომრჩეველი შემთხვევითი არჩევანის საფუძველზე ირჩევს ერთ-ერთ მათგანს და ხმას აძლევს მას;

გ) თუ დანახარჯები აჭარბებს პოტენციურ სარგებელს, ამომრჩეველი თავს იკავებს კენჭისყრაში მონაწილეობისგან.

3. თუ ამომრჩევლის პარტიული დიფერენციალი ნულის ტოლია, რადგანაც იგი მოელის, რომ ერთნაირ სარგებელს მიიღებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტია გაიმარჯვებს, ხმის მიცემის ღირებულებას უპირისპირდება მხოლოდ მისი წარმოდგენების ხასიათი მონაწილეობის საზოგადოებრივი ფასეულობის შესახებ. აქ ასევე შესაძლებელია ორი ვარიანტი:

ა)თუ ფასეულობრივი თვალსაზრისით გამართლებული შედეგები სჭარბობს, ის ხმას აძლევს, ამასთან შემთხვევითი სახით ირჩევს პარტიას;

ბ) თუ ჭარბობს დანახარჯები, ის თავს იკავებს.

4. თუ რაციონალური ამომრჩევლის პარტიული დიფერენციალი ნულს არ უტოლდება, ის აფასებს წინასაარჩევნო ბრძოლის შესაძლო შედეგს და ამ შეფასების მიხედვით შეიძლება მხედველობაში არ მიიღოს თავისი პარტიული მჯობინებანი. თუკი იმ პარტიის შანსები, რომელსაც იგი უპირატესობას ანიჭებს, უიმედოდ გამოიყურება, რაციონალური იქნება ხმა მისცეს რომელიმე სხვა პარტიას. მაგრამ გადაწყვეტილება კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ მიღებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გადასინჯული პარტიული დიფერენციალი და მონაწილეობის ზოგადი ფასეულობანი სჭარბობს ხმის მიცემის დანახარჯებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაციონალური ამომრჩეველი თავს იკავებს.

5. უკანასკნელი წესი იუწყება, რომ ამომრჩეველი პოლიტიკური აქტიურობის პროცესში ღებულობს სულ უფრო მეტ ინფორმაციას პოლიტიკური რეალობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ, მათი ღირებულებისა და იმის თაობაზე, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლიათ მათ. ჩართვის გაძლიერებასთან ერთად ამ ინფორმაციამ შეიძლება შეცვალოს თავდაპირველი გადაწყვეტილება. ხმის მიცემის აქტი აფიქსირებს ამ პროცესის მდგომარეობას.

რა გავლენას ახდენს კენჭისყრაში მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების რაციონალური პროცედურა სელისუფლების განაწილების სტრუქტურაზე? ამასთან დაკავშირებით, ა.დაუნსი გამოყოფს ამომრჩეველთა რეაქციის შემდეგ სახეებს:

1. ხმის მიცემა „საყვარელი" პარტიისათვის;

2. ხმის მიცემა რომელიმე სხვა პარტიისათვის, რომელსაც არჩევენ „საყვარელი" პარტიის პოლიტიკური განწირულობის გამო;

3. ხმის მიცემა პარტიისათვის, რომელიც შემთხვევით იქნა ამორჩეული;

4. თავის შეკავება.

როგორც აღნიშნავს დაუნსი, თავშეკავებულთა წილი დაბალი სტრატის წარმომადგენელთა შორის უფრო მეტი იქნება, ვიდრე უფრო მაღალი სტატუსის წარმომადგენელთა შორის. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა შემდეგი სამი მიზეზი:

• შესაძლებლობათა უთანასწორობა ხმის მიცემის ხარჯების წინაშე;

• შესაძლებლობათა უთანასწორობა ინფორმაციის მისაღებად ხარჯების გაწევისას;

• გაძნელებულია პოტენციური სარგებლის მკაცრი შეფასება ხმის მიცემაში მონაწილეობის მიღებიდან.

ამომრჩეველთა ქცევის ირაციონალური ასპექტები. ა.დაუნსის რაციონალური მოდელიდან არსებითად გამორიცხულია ამომრჩეველთა პოლიტიკური ქცევის ირაციონალური ასპექტები. ამომრჩეველთა ქცევა მკაცრ და სავსებით პროგნოზირებად პროცედურას ექვემდებარება. ქცევითი გადაწყვეტილებების ირაციონალური მოტივები, უკეთეს შემთხვევაში, ზოგჯერ რაციონალური მოდელის ელემენტების ურყევ კონსტრუქციებს შორის იმალება და სერიოზულ ზეგავლენას არ ახდენს არც გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებზე, არც პოლიტიკური ხელისუფლების განაწილების სტრუქტურაზე.

ირაციონალურობა გამოსჭვივის შემთხვევითი არჩევანის სიტუაციებში, რაც რაციონალური მოქალაქის ქცევის ზოგიერთი წესის რეალიზაციის შედეგია. შემთხვევითი არჩევანის სიტუაციებში, როდესაც მოქალაქეს არ შეუძლია თავისი ანალიზისთვის გამოიყენოს არც პოლიტიკა, არც პარტიის პლატფორმა, ის ხელმძღვანელობს ისეთი ირაციონალური მოსაზრებებით, როგორიცაა პარტიების ლიდერების პიროვნებათა ემოციური აღქმა, რომელიმე პარტიისა და მისი გმირების ისტორიული „შარმი“.

ა.დაუნსი ხმის მიცემის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების ირაციონალურ ფაქტორებს აგრეთვე მიაკუთვნებდა პარტიულ იდენტიფიკაციას, რაც ოჯახური ტრადიციების საფუძველზეა არჩეული და ა.შ. მაგრამ ყველა ეს ირაციონალური რეაქცია ექვემდებარება მკაცრ კონტროლს რაციონალური ქცევის ლოგიკის მხრიდან.

ა.დაუნსი თუმცა დარწმუნებულია რაციონალური ამომრჩევლის უნარში გააკონტროლოს თავისი ირაციონალური მოძრაობები, მათ არსებობაში მაინც ხედავს პოტენციურ მუქარას დემოკრატიული პოლიტიკისათვის. ეს საფრთხე პოლიტიკური, პარტიული ინდიფერენტიზმის მექანიზმს უკავშირდება. თუკი პარტიული თვალსაზრისით ინდიფერენტული მოქალაქეები მაინც გადაწყვეტენ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას და ამასთან ირჩევენ რომელიმე პარტიას სრულიად შემთხვევით, მაშინ ინდივიდუალური შემთხვევითი არჩევანი ერთმანეთს ედება და „აქრობს“ ხმის მიცემის ეფექტს.

მაგრამ შესაძლებელია სხვა სიტუაციაც. ინდიფერენტული მოქალაქეები ირჩევენ პარტიას, მაგრამ ამასთან მეტ-ნაკლებად

შეგნებულად ხელმძღვანელობენ ერთი და იმავე, დაუნსის განსაზღვრით, ირაციონალური მოსაზრებით. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ დარტყმის ქვეშ შეიძლება დააყენოს პარტიების რაციონალური პოლიტიკა, რადგანაც პარტიები, ამომრჩეველთა ხმების მიღების მისწრაფებიდან გამომდინარე, ორიენტაციას აიღებენ არა მოქალაქეთა პოლიტიკური ქცევის რაციონალურ მოდელებზე, არამედ შეეცდებიან გამოიყენონ ის ირაციონალური მექანიზმები, რასაც ამომრჩევლები მიჰყვებიან. საბედნიეროდ, როგორც თვლის დაუნსი, ეს არ ხდება — მოქალაქეები, რომლებიც მართლაც ინტერესდებიან პოლიტიკით, არ მოქმედებენ ირაციონალურად, და თუკი ეს მაინც ხდება, ძალიან შეზღუდულ ფარგლებში.

§ 2. აპათია სოციალურ-პოლიტიკური მოდერნიზაციის თვალსაზრისით

რაციონალური მონაწილეობის კონცეფციებს, საბოლოო ჯამში, არ შეუძლია ახსნას პოლიტიკური აპათიის ყველაზე არსებითი მიზეზები. ასეთი კონცეფციების თანახმად, მონაწილეობა წარმოადგენს ინსტრუმენტულ აქტიურობას, რომელიც მიმართულია დაგეგმილი პოლიტიკური და სხვა მიზნების მისაღწევად. მრავალი მკვლევრის დასკვნით, ასეთი მოდელების დახმარებით შეუძლებელია ადეკვატურად დავაფიქსიროთ მასების ნამდვილი პოლიტიკური აქტიურობა. ამიტომ გვთავაზობენ ის შევავსოთ კონცეფციებით, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალურ-პოლიტიკური მოდერნიზაციის პრობლემატიკას.

აპათია გარდამავალ სისტემებში. მოდერნიზაციის საწყისი სტადიის სისტემებში მონაწილეობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია გარკვეული მატერიალური შედეგების მიღწევაზე, რაც უკავშირდება ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებას, მოქალაქეთა უფლებების უფრო ფართო კომპლექსის შემოღებას და ა.შ.

ამ სახის მონაწილეობა მნიშვნელოვანწილად უახლოვდება რაციონალურ მოდელს, რომელიც მართლაც გვაგონებს ამომრჩეველთა ხმების კომერციულ გაცვლას მონაწილეობიდან შესაძლო მატერიალური სარგებლის მიღებაზე. გარდამავალი საზოგადოებების პოლიტიკური კულტურის ფონი არ გულისხმობს მოქალაქეთა მიერ მონაწილეობისა და სამოქალაქო მოვალეობის ფასეულობების მაღალი

სოციალურ-კულტურული და პიროვნული მნიშვნელობის აღიარებას.

გარდამავალ სისტემებში აპათიის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს სამოქალაქო თავისუფლებების შემოღებისა და მონაწილეობის ორგანიზაციული პირობების შექმნის არასაკმარისად სწრაფი ტემპი. ეს ელობება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებზე მოქალაქეთა ზეგავლენის ეფექტიანი მექანიზმების ფორმირებას და „ძირს უთსრის" მონაწილეობის პრაგმატულ აზრს.

გარდამავალ სისტემაში აპათიის მასშტაბების გაფართოების სხვა არსებითი მიზეზის როლში შეიძლება გამოვიდეს ემოციური გაუცხოება ამომრჩევლებსა და სამთავრობო სისტემას შორის. ამ გაუცხოების წყაროები შეიძლება იყოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ბიუროკრატიზება;
- პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირების კორუმპირებულობა.

მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საზოგადოების დემოკრატიზაციის ამოცანებს.

აპათია მოდერნიზების პროცესში მყოფ შეჯიბრებად სისტემებში. საზოგადოებებში, რომლებშიც მოდერნიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა მასობრივი მონაწილეობის განვითარებული ინსტიტუტები, პოლიტიკური აქტიურობა კონცენტრირებული არაა მონაწილეობის გარკვეული პრაგმატული შედეგების მოლოდინზე. სისტემა მთლიანობაში ახერხებს თავის ეფექტიანობაში ინდივიდების დარწმუნებას. ამიტომ მოქალაქეთა წინაშე არ დგას პოლიტიკური პროცესის შესაძლო შედეგების მუდმივად შეფასების ამოცანა. ამა თუ იმ ზომით აღიარებულია, რომ პოლიტიკური სისტემა ფუნქციონირებს სტაბილურად და ადამიანთა ინტერესების შესაბამისად.

მონაწილეობა ასეთ პირობებში უკვე არაა დამოკიდებული შესაძლო პოლიტიკური „დივიდენდების" საგულდაგულო შეფასებაზე, ის იქცევა ლოიალურობისა და საზოგადოებრივი მოკალეობის გრძნობის გამოსატვის ფორმად.

მონაწილეობის ამგვარი ხასიათი შეიძლება ორგვარად იქნეს განმარტებული: ჯერ ერთი, სახეზეა მონაწილეობის მოცემული სტილის დადებითი ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესზე მთლიანობაში. მოსახლეობა ნაკლებადაა პოლიტიზებული, ნაკლებად ექვემდებარება რადიკალურ პროპაგანდას და არაა ორიენტირებული კონფლიქტურ მონაწილეობაზე. თუმცა იმისათვის, რომ ასეთი ვითარება შენარ-

ჩუნებულ იქნეს. აუცილებელია მონაწილეობის თაობაზე ძალზედ ღრმა განწყობა, რომელსაც ფესვები ექნება გადგმული მოცემული საზოგადოების პოლიტიკურ კულტურაში. წინააღმდეგ შემთხვევაში შევეჯახებით მეორე ასპექტს განსახილველი მოვლენის სოციალურ-პოლიტიკურ პოტენციალში.

ეს მეორე ასპექტი დაკავშირებულია იმასთან, რომ მონაწილეობა, რომელიც მოკლებულია გარკვეული მიზნებისადმი მისწრაფებას, კარგავს რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანს — საკუთრივ პოლიტიკურ ინტერესს. მართლაც, ისინი რომელთაც შეუძლიათ მოელოდნენ პოლიტიკური პროცესის შედეგისგან თავისთვის რაიმე სარგებელს, ე.ი. მოქალაქეებს, რომელთაც სტატუსით საკმაოდ მაღალი პოზიციები უკავიათ, ცოტათი თუ აწუხებთ პოლიტიკა, რადგანაც სიტუაცია საზოგადოებაში და სახელმწიფო მართვის სისტემაში სავსებით სტაბილური და პროგნოზირებადია. მათთვის ინდივიდუალურ მონაწილეობას არა აქვს უშუალო ინსტრუმენტული მნიშვნელობა. მაშინ რაღა საჭიროა წუხილი? უფრო გონივრული ხომ არაა ძალების, დროისა და სახსრების ეკონომია. როგორც ვხედავთ, მონაწილეობის სარგებლისა და დანახარჯების უბრალო რაციონალური დათვლა პოლიტიკური თავშეკავების სასარგებლოდ იხრება.

ისინი, რომელთაც მარგინალური პოზიციები უკავიათ და არ ელიან რაიმე განსაკუთრებულს პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებიდან, ასევე ნაკლებად არიან დაინტერესებულნი პოლიტიკური აქტიურობით, ისევ იმის გამო, რომ მისი შედეგები სავსებით პროგნოზირებადია. ის გარემოებაც კი, რომ მათ განკარგულებაშია მონაწილეობის ინსტიტუტების განვითარებული ქსელი, ნაკლებად ეხმარება საქმეს, რადგანაც მათ საქმიანობას არ მოაქვს რაიმე ახალი და აზრს კარგავს. ამრიგად, პოლიტიკური პროგნოზირება აპათიის მიზეზი ხდება.

პოლიტიკური აქტიურობის დონის შემცირება, დაკავშირებული მასობრივი ოპოზიციური მოძრაობების დაცემასთან, აიხსნება მოდერნიზებადი დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გამოჩენასთან. მის სტრუქტურაში შედის სხვადასხვა სტრატებს შორის სტატუსური ბარიერების შემცირება, აგრეთვე ელექტორატში საშუალო სტრატების ხვედრითი წილის გაზრდა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცხოვრების დონის საერთო სტანდარტების ამაღლებას, როდესაც დაბალი სტრატებიც კი „საზოგადოებრივი ღვეზელის" საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ღებულობს (თუმცა იგი შეიძლება უმნიშ-

ვნელოდ გამოიყურებოდეს უფრო მაღალი სტრატების წილთან შედარებით).

ტრადიციული მასობრივი ოპოზიციური მოძრაობების დაცემა (დაკავშირებული მუშათა კლასთან, ნაციონალურ ან რასობრივ ერთობებთან) აგრეთვე იმითაცაა განპირობებული,. რომ სოციალურ და პოლიტიკურ მოდერნიზაციასთან ერთად, საზოგადოებაში გამომუშავდება კონფლიქტების მოწესრიგებისა და ინტერესების დაბალანსების რეალისტური მექანიზმები. პოლიტიკა კარგავს ექსპრესიულობის მომენტს, იქცევა პროფესიონალთა საქმედ.

მასობრივი ოპოზიციური მოძრაობების დაცემას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მაღალი სოციალურ-ეკონომიკური დონის მქონე განვითარებულ დემოკრატიებში ხდება უთანასწორობის პრობლემის გადაფასება. ტრადიციული წარმოდგენები გარკვეული კლასებისა და ჯგუფების სოციალური დაჩაგრულობის თაობაზე იცვლება ცხოვრებისეული წარმატებების მოპოვების თვალსაზრისით ინდივიდუალური განსხვავევების აღქმით. მოდერნიზებული საზოგადოებები თავის ყველა მოქალაქეს, მიუხედავად განსხვავებული სასტარტო კუთვნილებისა, ანიჭებენ დაახლოებით თანაბარ პირობებს პირად ცხოვრებაში წარმატების შოსაპოვებლად. წარმატება აქ განპირობებულია ინდივიდუალური ტალანტითა და უნარით. ამ ვითარებას აცნობიერებს მოსახლეობის უმრავლესობა.

უთანასწორობის ამგვარი აღქმის შედეგია უარის თქმა კლასობრივ ან ჯგუფური სოლიდარობის გრძნობაზე. კლასობრივი კონფლიქტი იცვლება ინდივიდუალური ინტერესებისათვის ბრძოლით. უნდა აღინიშნოს, რომ უთანასწორობისა და სოციალური კონფლიქტის ამგვარი აღქმა განსაკუთრებით ამერიკული პოლიტიკური ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის ევროპაშიც დამკვიდრდა, რადგანაც მნიშვნელოვნად ამაღლდა საზოგადოების ცხოვრების დონე.

კლასობრივი კონფლიქტისა და კლასობრივი სოლიდარობის გრძნობა უკან იხევს ცხოვრებისეული წარმატებისათვის ინდივიდუალური ბრძოლის მოტივაციის წინაშე. ადამიანები ახლა თვლიან, რომ პოლიტიკის შეცვლის მცდელობა ცოტა რამეს თუ მისცემთ მათ, რომ ასეთ ბრძოლას შეუძლია ისინი ჩამოაცილოს უფრო მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტას.

ახალი რაციონალური მონაწილეობის პერსპექტივა. მონაწილეობის აფექტური მოტივაციის ამგვარი შემცირება მართლაც

იწვევს ტრადიციული ტიპის პოლიტიკური აქტიურობის შემცირებას. მაგრამ დავსვათ კითხვა: რასთან გვაქვს საქმე — ესაა ადამიანთა ჭეშმარიტი გაუცხოება არსებული სოციალური და პოლიტიკური წესრიგისაგან, თუ ეს ახალი რაციონალური მონაწილეობის დაბადებაა?

შეეცადოთ წარმოვიდგინოთ განვითარებული დემოკრატიის პირობებში მცხოვრები ადამიანის სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციათა სტრუქტურა. იგი არაა განწყობილი თავისი ცხოვრებისეული პრობლემები ახსნას გარემომცველი სოციალური პირობებით, რადგანაც საზოგადოება, რომელშიც იგი ცხოვრობს, ყველასთვის უზრუნველყოფს ცხოვრების საკმაოდ მაღალ დონეს და აყალიბებს ინსტიტუტებს, რომლებიც ყველას საშუალებას აძლევს წარმატებით გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია უფრო ხელსაყრელი სოციალური პოზიციების მოსაპოვებლად. ის ხედავს, რომ სახელმწიფო მართვის სისტემა, პოლიტიკური ორგანიზაციები და ლიდერები, უმეტეს შემთხვევაში, დემოკრატიული ფასეულობების რეალიზებას ესწრაფვიან და ნებაყოფლობით მოქმედებენ. დაბოლოს, ასეთი ადამიანი საკმარისად განათლებულია და შეთვისებული აქვს დემოკრატიული ცივილიზაციის კულტურული საფუძვლები. მართალია, ზემოთ ნათქვამი თეორიული „პორტრეტია", მაგრამ ამის გამო სულაც არ გამოიყურება არარეალურად.

ამგვარ წარმოსახვით პერსონაჟს ფაქტობრივად არა აქვს რაიმე განსაკუთრებული საფუძველი თავისი მონაწილეობის შესაძლო სარგებლის მუდმივი გამოთვლისათვის და პირველ რიგში იმიტომ, რომ ის კმაყოფილია საქმეთა საერთო მსვლელობით. მაგრამ არის კი ასეთი მდგომარეობა პოლიტიკური ინდიფერენტულობა? ასეთი ვარაუდი საეჭვოა. პოლიტიკური სტატუს კვოს შენარჩუნება ხომ მისი სოციალური კეთილდღეობის შენარჩუნების სრულიად ცხადი პირობაა. ეს მოსაზრება აუცილებლად შედის ინდივიდუალური მოღვაწეობის რაციონალური ხედვის შემადგენლობაში.

გარდა ამისა, აქტიურობის ძველი ფორმების დაცემა, რომლებიც დაკავშირებული იყო მასობრივი მონაწილეობისა და კლასობრივი კონფლიქტის პოლიტიკასთან, ნაწილობრივ ნიშნავს, რომ მის ნაცვლად მოდის მონაწილეობის ახალი ფორმები, რომლებიც შესაძლოა მოკლებულია წმინდა „პოლიტიკურ" ექსპრესიას, მაგრამ ინდივიდებისათვის აღსავსეა ღრმა სოციალური აზრით. პოლიტიკური მიზანშეწონილობა ადგილს უთმობს სოციალური ურთიერთობების უშუალო ფონზე ზემოქმედების ამოცანებს. ინდივიდები აღმოაჩენენ, რომ პოლიტიკა,

რომელიც ემყარება ინტერესთა ჯგუფების მოღვაწეობას, უფრო მეტად შეესაბამება მათ მოთხოვნილებებს, ვიდრე კლასობრივი სოლიდარობის პარტიების პოლიტიკა.

პოლიტიკაში წარმოდგენების ამგვარი ევოლუციის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის „შემცირებასთან", არამედ პირიქით, აქ სახეზეა როგორც სოციალური, ისე პიროვნული კუთხით გაცილებით უფრო რთული მოქმედების სტრუქტურა. ის მისაწვდომია მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომელთაც რულულ გარემოცვაში შეუძლიათ ორიენტირება. ასეთი უფრო რთული აღქმის პოლიტიკურ ასპექტებს წარმოადგენს სახელმწიფოს მართვის, ბიუჯეტის დაგეგმვის, უმცირესობათა უფლებების მოწესრიგების და ა.შ. სოციალური პრობლემატიკა. ადამიანებს, რომელთაც მოსწონთ ასეთი პოლიტიკა, ძალზედ რთული ამოცანების გადაწყვეტა უხდებათ, რაც ინფორმაციის უდიდესი ნაკადის გადამუშავებას უკავშირდება.

მაგრამ, ალბათ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არაკლასობრივი მონაწილეობა გამომდინარეობს სოციალური ურთიერთობის თავისებური კონტექსტიდან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოცვაში მოქმედების აუცილებლობა მეტად მძიმე ფსიქოლოგიური ამოცანაა, რომელსაც შეუძლია სერიოზული პიროვნული ფრუსტრაციების გამოწვევა. სწორედ ეს შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკურ აქტიურობაზე უარის თქმის მიზეზი, მონაწილეობის მაღალი ფსიქოლოგიური ფასის გამო. მონაწილეობა დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ რამდენად რთულია ინდივიდისათვის ასეთი ბარიერის გადალახვა. ის უფრო მისაწვდომი და მიმზიდველიც კი იქნება მათთვის, რომელთა ცხოვრებისეული გამოცდილება, განათლება, ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური ორგანიზაცია, შესაძლებლობას აძლევთ უფრო წარმატებით ახდენდნენ ორიენტაციას და მოქმედებდნენ რთულ გარემოცვაში. მათ, ვინც მოკლებულია ყოველივე ამას, შეიძლება მონაწილეობა თავისთვის ძალზედ სამძიმოდ ჩათვალონ.

რა თქმა უნდა, ასეთი ფსიქოლოგიური დაძაბულობის მსხვერპლი პირველ რიგში მარგინალური ფენების წარმომადგენლები ხდებიან. მაგრამ ამგვარი სიტუაცია შეიძლება საშუალო კლასის სტრატებსაც შეეხოს. მონაწილეობიდან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ყველაზე რთული სახეობებიდან გამოირიცხება ადამიანთა საკმაოდ ფართო ფენები. პოლიტიკური აქტიურობა თავისებურ პროფესიად იქცევა და ჩნდება შესაბამისი „პროფესიონალური" ჯგუფები, რომელთაც

აუცილებელი ჩვევები და ფსიქოლოგიური თვისებები, აგრეთვე ინფორმაცია აქვთ და, გარკვეულწილად, მონაწილეობის მონოპოლიზებას ახდენენ. ამრიგად ჩვენ ვხედავთ კიდევ ერთ საფრთხეს, რაც პარტიციპატორული დემოკრატიის ფასეულობებს ემუქრება. მონაწილეობის „პროფესიონალიზაცია" პოლიტიკის ტრადიციული ელიტური ხასიათის თავისებურ აღორძინებას ახდენს.

ნიშნავს თუ არა ეს დასკვნა, რომ ინდივიდები, რომლებიც ამ „პროფესიონალიზებული" ჯგუფების მიღმა აღმოჩნდებიან, გაუცხოვდებიან მოცემული სოციალური და პოლიტიკური სისტემისაგან და მართლაც არიან აპათიურნი? ამ კითხვაზე პასუხი ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: ჯერ ერთი, მოცემული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, მეორეც, მისთვის დამახასიათებელი კონფლიქტის ხასიათზე. სტრატიფიკაციური კუთვნილებაც კი, მათთან შედარებით, მეორეხარისხოვანი ფაქტორია.

§ 3. აბსენტიზმი: მიზეზები და დაძლევის გზები

აბსენტიზმი ეწოდება არჩევნებში მონაწილეობაზე მოქალაქეთა მიერ ნებაყოფლობით უარის თქმას. ეს მოვლენა მრავალი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. რიგ ქვეყნებში ამომრჩეველთა არგამოცხადებას საარჩევნო უბნებში გულგრილად უყურებენ. ამ ქვეყნებში თვლიან, რომ არადემოკრატიულია ადამიანები აიძულო მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები კი აჩვენებს, რომ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის გაზრდა არ შეცვლიდა არჩევნების შედეგებს. ეს დამახასიათებელია აშშ-თვის, სადაც ორპარტიული სისტემაა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, როგორც წესი, ძალზედ ზუსტად აჩვენებს, თუ რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს.

აბსენტიზმის მიზეზები. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც მოქალაქეები თავს არიდებენ არჩევნებში მონაწილეობას. რიგი ამომრჩევლებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური აპათია ან პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი უნდობლობა. აშშ-ში ასეთ უარყოფით ზეგავლენას ახდენს ორპარტიული სისტემა — თუკი ამომრჩეველს არ მოსწონს ორივე კანდიდატი, იგი არ მიდის ხმის მისაცემად.

აბსენტიზმს წარმოშობს ობივატელური განწყობილებანიც — ზოგიერთი ამომრჩეველი თვლის, რომ პოლიტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობა სავალდებულო არაა.

მრავალი ამომრჩევლის გამოუცხადებლობის მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პირადი პრობლემებია. მაგალითად, არჩევნებში ხშირად არ მონაწილეობენ უმუშევრები, ოჯახური პრობლემებით დატვირთული ადამიანები.

იმ ქვეყნებში, სადაც რეალურად არსებობს მრავალპარტიული სისტემა და კანდიდატებისა და პარტიების სპექტრი მრავალფეროვანია, იქ მოქალაქეები უფრო აქტიურად მონაწილეობენ არჩევნებში.

აბსენტიზმის განმაპირობებელი კიდევ მრავალი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ: მოქალაქეთა ნდობის ხარისხის დაცემა ხელისუფლების ინსტიტუტებისადმი, ამომრჩეველთა იმედის გაცრუება არჩევნების შესაძლო შედეგებით. ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი საარჩევნო ურნებთან არ მიდის იმიტომ, რომ წინასწარვე თანახმაა პარტიების ან კანდიდატების მიერ შემოთავაზებულ ნებისმიერ პროგრამასთან. არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა ასევე წარმოადგენს არსებული წესრიგის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის ფორმას, დამოკიდებულების გამოხატვას შემოთავაზებული პროგრამის ან ასარჩევი პირების მიმართ. აბსენტიზმი ყველაზე მეტადაა გავრცელებული ახალგაზრდობაში, დაბალი განათლების მქონე პირებში, მოსახლეობის მცირე შეძლების მქონე ფენებში.

აბსენტიზმის მაღალი დონე განაპირობებს ან იმას, რომ ხელისუფლების ორგანოები არჩეულია მცირერიცხოვანი ელექტორატის მიერ (ეს საფუძველს იძლევა ეჭვი შევიტანოთ ორგანოს ლეგიტიმურობაში), ან შლის კიდეც არჩევნებს იმ შემთხვევაში, თუ კანონი ადგენს არჩევნებში მონაწილეთა სავალდებულო მინიმუმს.

არჩევნების სავალდებულობა. არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება „სავალდებულო ვოტუმის“ პრინციპი. ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობით დგინდება მოქალაქეთა სავალდებულო მონაწილეობა. სავალდებულო არჩევნებს ზოგიერთი პოლიტიკოსი და მეცნიერი დემოკრატიის პრინციპების დარღვევად მიიჩნევს.

არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის უზრუნველყოფა სანქციების მეშვეობით ხდება, იმ შემთხვევაში თუკი მოქალაქე მონაწილეობას არ მიიღებს ხმის მიცემაში. სანქცია შეიძლება, მაგალითად, ჯარიმა იყოს. ამას ითვალისწინებს ავსტრალიის, ლუქსემბურგის,

ავსტრიის კანონმდებლობა. ზოგიერთ ქვეყანაში სასჯელი ხმის მიცემაში არ მონაწილეობისათვის უფრო მკაცრია. მაგალითად, საბერძნეთში, თურქეთში და ავსტრიაშიც კი ერთ დროს თავისუფლების აღკვეთა იყო გათვალისწინებული. პატიმრობის ვადა დიდი არაა, მაგრამ ნორმალური ადამიანისათვის ციხე'ში გატარებული რამდენიმე დღე სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმაა.

იტალიაში გათვალისწინებულია ზემოქმედების ისეთი ზომა, როგორიცაა საზოგადოებრივი გაკიცხვა. იმ ადამიანთა სიები, რომლებიც არ მონაწილეობენ არჩევნებში, შეიძლება გამოქვეყნდეს გაზეთებში. ბელგიაში ზემოქმედების ზომების სისტემა დიფერენცირებულია. ბელგიაში თუკი ამომრჩეველი პირველად არ გამოცხადდება არჩევნებზე და მოსამართლეს არ აცნობებს იმის შესახებ, რომ ვერ შეძლო არჩევნებზე გამოცხადება, იგი ჯარიმდება 3 ფრანკით. თუ იგი მეორედაც არ გამოცხადდება არჩევნებზე არასაპატიო მიზეზით, მისი ჯარიმა 25 ფრანკამდე იზრდება. თუკი ამომრჩეველი მესამედაც არ გამოცხადდა, მაშინ, ჯარიმის გარდა, მის სახელს შეიტანენ სპეციალურ განცხადებაში და გამოკიდებენ საჯარო ადგილზე. თუკი მოქალაქე არჩევნებში მეოთხედაც არ მიიღებს მონაწილეობას, მას საარჩევნო უფლებას ჩამოართმევენ 10 წლით. გარდა ამისა, მას არ შეუძლია თანამდებობის დაკავება სახელმწიფო სამსახურში.

მსგავს ნორმას ითვალისწინებს არგენტინის კანონმდებლობაც. არჩევნებზე გამოუცხადებული ამომრჩეველი ჯარიმდება და სახელმწიფო სამსახურში ყოფნის უფლება სამი წლის განმავლობაში ერთმევა.

ამგვარ ზომებს თავისი შედეგი მოაქვს. „აუცილებელი ვოტუმის" ქვეყნებში ძალზედ მაღალია ხმის მისაცემად გამოცხადებულთა პროცენტი. მაგალითად, ბელგიაში არჩევნებში რეგულარულად მონაწილეობს ამომრჩეველთა 94,6%, ავსტრალიაში — 94,5%, ავსტრიაში — 91,6%. არჩევნებში მონაწილეობის ყველაზე დაბალი პროცენტია შვეიცარიაში.

„ცუდ სახელმწიფო მოღვაწეებს ირჩევენ კარგი მოქალაქეები, რომლებიც არ მონაწილეობენ კენჭისყრაში"

ჟაკ პრიმო (1902-1974)

ფრანგი ისტორიკოსი, ეკონომისტი, საზოგადო მოღვაწე

კითხვები და დავალებები:

- რას ნიშნავს „მონაწილეობის კრიზისი"?

• დაახასიათეთ ამომრჩევლის ქცევა რაციონალური მონაწილეობის თეორიის თვალსაზრისით

• დაახასიათეთ ა.დაუნსის მიხედვით სიტუაცია, როდესაც „ხმის მიცემის ფასი უდრის ნულს."

• რას ნიშნავს „დანახარჯები ხმის მიცემის დროს"?

• როგორია ა.დაუნსის მიერ დადგენილი „კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ რაციონალურ გადაწყვეტილებათა მიღების წესები"?

• რა განაპირობებს პოლიტიკურ აპათიას სოციალურ-პოლიტიკური მოდერნიზაციის პირობებში?

რა წაიკითხოთ:

• Downs A. An economic theory of democracy. New York: Harper and Row, 1957

ე.დაუნსის რაციონალური არჩევანის თეორიის საფუძველზე homo economicus გადაიქცა „მოაზროვნე ამომრჩევლად", რომელიც საკმარისად რაციონალურია და ცდილობს სწორი გადაწყვეტილების მიღებას. დაუნსის ნაშრომის საფუძველზე ჩვენ უკვე შევეცადეთ აგვეხსნა პოლიტიკური მონაწილეობის ფაქტორები.

• Guttman J.M., Hilger N., Schachmurove Y. Voting as investment vs. voting as consumption: New evidence // Kyklos. 1994. Vol.47.P.197-207

ამჟამად მკვლევართა შორის მიღებულია ერთმანეთისგან გამიჯნონ ხმის მიცემისაგან თავის შეკავება ინდიფერენტულობის მიზეზით და გაუცხოების მიზეზით, რათა ერთმანეთისგან განასხვავონ „ამომრჩეველი-მეანაბრეები" და „ამომრჩეველი-მომხმარებლები". ჯ.გუტმანმა და მისმა კოლეგებმა აღმოაჩინეს, რომ უტილიტარული მოტივების დონე სტატისტიკურად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ხმის მიცემის ალბათობაზე, ხოლო კანდიდატებს შორის შედარების სხვაობა არ იძლევა ასეთ ეფექტს. ეს მგრძნობელობა სარგებლიანობის აბსოლუტური დონისადმი და განურჩევლობა შედარებითი მონაცემებისადმი გულისხმობს, რომ ამომრჩევლები უფრო მომხმარებლების სახით იქცევიან, ვიდრე ინვესტორებისა და რომ ექსპრესიული მოსაზრებები ძლიერ ზეგავლენას ახდენს ხმის მიცემის დროს საბოლოო არჩევანის გაკეთებაზე.

• Brennan G., Lomasky L. Democracy and decision. Cambridge University Press, 1993

ამომრჩევლებისათვის კმაყოფილება მოაქვს არჩევნებს როგორც

ასეთს და არა იმას, თუ როგორ იმოქმედებს მის მიერ არჩეული ხელისუფლება ინსტრუმენტული აზრით. როგორც ავტორები აღნიშნავენ, ტრადიციული შეხედულება ამომრჩეველთა არჩევანზე აღიარებს, რომ ამომრჩევლები საარჩევნო უბნებზე სულაც არ მიჰყავს ინსტრუმენტულ მოსაზრებებს, მაგრამ ეს მოსაზრებები მოქმედებას შეწყვეტს, როგორც კი ამომრჩეველი საარჩევნო კაბინაში შედის ბიულეტენში აღნიშვნის გასაკეთებლად. ექსპრესიული მჯობინებების მაგალითია ეთიკური პრინციპები, რომელთაც ადამიანები აღიარებენ და რომლებიც, მათი აზრით, ასახულია პარტიის პროგრამაში. ამასთან შემდგომში აღარავინ კითხულობს ამ პრინციპების რეალიზების პოლიტიკური შედეგების შესახებ.

თავი XII

არჩევნები და მობილიზაცია

არჩევნების დროს კანდიდატებისა და პარტიების მიერ ფართოდ გამოიყენება მობილიზაციის ტექნოლოგიები. პოლიტიკური მობილიზაციის თვალსაზრისით გამოიყოფა ამომრჩეველთა რამდენიმე კატეგორია. ამერიკელი მკვლევარი ჯ.როზენაუ ერთმანეთისგან განასხვავებს „მასობრივ პუბლიკას" (ამომრჩეველთა ერთობლიობას) და „ყურადღებიან პუბლიკას" (რომელიც აქტიურად ინტერესდება პოლიტიკური ცხოვრებით). ამ ორი კატეგორიის საფუძველზე იქმნება „მობილიზებული პუბლიკა", რომელიც საარჩევნო მოწოდებებს ეხმაურება. „ყურადღებიანი" ინდივიდები პრაქტიკულად ყოველთვის შედიან „მობილიზებული პუბლიკის" შემადგენლობაში, მაგრამ გამოირჩევიან იმით, რომ უფრო მეტად იხრებიან მამობილიზებელი მოწოდებების რაციონალური აღქმისაკენ. ამომრჩეველთა მობილიზაციის პერსპექტივების ემპირიული კვლევის შესაძლებლობას იძლევა რ.როზენაუს მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები.

§ 1. ავტონომიური და მობილიზებული მონაწილეობა

მობილიზებული მონაწილეობის არსი. დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, მობილიზაცია ისეთი აქტიურობაა, რომელიც ინდივიდუალურ პოლიტიკურ მჯობინებათა ჩახშობას ან დამახინჯებას ემყარება.

ზოგიერთი ავტორი ერთმანეთისგან განასხვავებს „მობილიზაციურ" მონაწილეობას და „ავტონომიურ" მონაწილეობას. სხვები საერთოდ შესაძლებლად არ თვლიან მობილიზაცია მონაწილეობის სახით განიხილონ. ამ პოზიციის მომხრეები ავტონომიურ, თავისუფალ

მონაწილეობას დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებს უკავშირებენ, მაშინ როდესაც მობილიზაცია ტოტალიტარული ტიპის რეჟიმებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური აქტიურობის ფორმაა.

ავტორთა ნაწილს მობილიზაციის გაგებაში ნაკლებად იდეოლოგიზებული პოზიცია უკავია. ისინი აღნიშნავენ, რომ სინამდვილეში ყველა პოლიტიკური რეჟიმი ავტონომიური და მობილიზებული აქტიურობის შერევას გულისხმობს.

ცხადია, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო მანქანის მხრიდან მკაცრი მობილიზებული ზეწოლის შედეგად გამოწვეული აქტიურობა, ძალზედ განსხვავდება დემოკრატიული სისტემისათვის დამახასიათებელი ავტონომიური მონაწილეობისაგან. მაგრამ ამის საფუძველზე არ შეიძლება დასკვნის გაკეთება აბსოლუტურად ავტონომიური დემოკრატიული მონაწილეობის თაობაზე.

თანამედროვე ცივილიზაციის ხასიათი სოციალური ურთიერთქმედების ქსელში ინდივიდის ჩართვის უაღრესად მაღალ დონეს გულისხმობს. სოციალური ურთიერთობების პირობები და ფონი ადამიანს აქტიურობის სტანდარტებისა და პროგრამების ძალიან ფართო და დინამიურ ნაკრებს სთავაზობს. თანამედროვე ეკონომიკისა და პოლიტიკის ფუნქციონალური ლოგიკა მძლავრ მამობილიზებელ მოწოდებას განაპირობებს. მისი რეალიზება სოციალიზაციის სტრუქტურაში ხდება და სხვადასხვა რთული ფორმებით ხორციელდება თანამედროვე საზოგადოების ინსტიტუტების მობილიზებული აქტიურობის შედეგად.

რა თქმა უნდა, რიგითი მოქალაქის სპონტანური სოციალური და პოლიტიკური აქტიურობა გაცილებით მეტად შეესაბამება ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობების კლასიკურ სტანდარტებს, ვიდრე მობილიზაციური აქტიურობა, მაგრამ დემოკრატიული სისტემების რეალური ფუნქციონირება აჩვენებს, რომ „წმინდა ავტონომიური" აქტიურობა საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა ინდივიდთა სამოქალაქო აქტიურობაში. სინამდვილეში „საზოგადოების რიგითი წევრი" უმეტესწილად მოქმედებს მხოლოდ ელიტის ან ორგანიზაციების მობილიზაციური მოწოდებების საპასუხოდ.

ავტორიტარული და შეჯიბრებადი მობილიზაცია. მობილიზაცია მოდერნიზებული საზოგადოებების პირობებში პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდების ჩართვას მოცემულ საზოგადოებაში პოლიტიკურ პროცესთან დაკავშირებული სოციალური მოქმედების

სტრუქტურებში. არც ერთ თანამედროვე სისტემას, მიუხედავად იმისა, ავტორიტარულია თუ შეჯიბრებადი, არ შეუძლია არსებობა ამ ფუნქციონალური ამოცანების განმახორციელებელი ინსტიტუტების გარეშე.

თუმცა ცხადია, რომ მობილიზაციის ავტორიტარული და შეჯიბრებადი ტიპები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება. მობილიზაცია შეჯიბრებადი სისტემის კონტექსტში ხორციელდება იმ პირობებში, როდესაც ერთმანეთისგან მკაფიოდაა გამიჯნული, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაციის ინსტიტუტები და, მეორე მხრივ, აკუმულაციის ინსტიტუტები. მობილიზებული აქტიურობა არ ცვლის მოქალაქეთა ავტონომიურ აქტიურობას ინტერესების არტიკულაციის სფეროში. ის შემოიფარგლება მოღვაწეობით, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო პოლიტიკის განზოგადებული ენის ადაპტირებას ჯგუფური და ინდივიდუალური ინტერესების გამოხატვის დონესთან, აგრეთვე საზოგადოებრივ აზრთან პოლიტიკური ელიტის პერსონალური შემადგენლობის შეთანხმებას.

მობილიზაციის ავტორიტარული სტილი იგნორირებას უკეთებს ზემოთ აღნიშნული ფუნქციონალური ამოცანების დაყოფას, საზოგადოებრივი ინტერესების აკუმულაციის პროცესებს „მასების პოლიტიკური განათლებით“ ცვლის.

სხვადასხვა საზოგადოებების მოდერნიზაციის პროცესების ანალიზისას შეიძლება დავასკვნათ, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებული მობილიზაციის სტილს შორის განსხვავება მოცემული საზოგადოების სოციალურ-კულტურული ფონით განისაზღვრება. შეჯიბრებადი მობილიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საზოგადოებებში, რომელშიც მობილიზაცია თვითორგანიზებადი პროცესის სახით ვითარდება. კერძოდ, იქ, სადაც ინტერესების არტიკულაციის ავტონომიური და აქტიურად მომუშავე ინსტიტუტები არსებობს. სისტემებისათვის, რომელთა აღწერაც მსგავს ტერმინებში არ შეიძლება, ავტორიტარული მობილიზაცია „ბუნებრივ“ სახეს ატარებს და ზოგჯერ მოდერნიზაციის ერთადერთ შესაძლებელ ინსტიტუტსაც წარმოადგენს.

§ 2. „მობილიზებული ამომრჩეველი“

პოლიტიკური მობილიზაციის თვალსაზრისით, ამომრჩეველთა ჯგუფების სხვადასხვა კლასიფიკაციები არსებობს. ერთ-ერთი ასეთი კლასიფიკაცია მოცემულია ამერიკელი მკვლევრის ჯ.როზენაუს

გამოკვლევაში „მოქალაქეობა არჩევნებს შორის. მობილიზებული ამერიკელის გამოკვლევა“.

„მასობრივი“ და „ყურადღებიანი“ პუბლიკა. ამომრჩეველთა მთელ ერთობლიობას როზენაუ განსაზღვრავს როგორც „მასობრივ პუბლიკას“ (Mass Public). ცხადია, რომ ყველა ამომრჩეველი ერთნაირად როდია პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმული. პოლიტიკური უფლებების მქონე მოქალაქეთა ამ უაღრესად ფართო ერთობის ფონზე გამოიყოფა ინდივიდთა ჯგუფი, რომელსაც როზენაუ „ყურადღებიან პუბლიკას (Attentive Public) უწოდებს.

ავტორის შეფასებით ეს ჯგუფი შედარებით მცირერიცხოვანია — აშშ-ში ის შეადგენს „მასობრივი პუბლიკის“ დაახლოებით 10—15%-ს, მაგრამ სწორედ ის ასრულებს საკვანძო როლს დემოკრატიის პროცესში, რადგანაც მას უნარი შესწევს პასუხისმგებლობით განსაზღვროს არჩევნების შედეგები.

როზენაუს მოჰყავს ვაშინგტონში მომუშავე ერთ-ერთი ამერიკელი ლობისტის დამახასიათებელი გამონათქვამი: „90% იმისა, რაც ხდება კონგრესის სესიის განმავლობაში, წყდება არჩევნების დღეს. საკანონმდებლო მოღვაწეობის ძირითადი კალაპოტი ამ დღეს განისაზღვრება: ამიტომ ის ჩვენს კონტროლს გარეთაა“.

ნამდვილ პოლიტიკურ ცხოვრებაში „ყურადღებიანი პუბლიკა“ წარმოდგება მობილიზაციის ობიექტის „სამ მდგომარეობაში“:

- როგორც არაორგანიზებული აუდიტორია, რომლის წინაშეც დისკუსიას მართავენ პოლიტიკური ლიდერები;
- როგორც ორგანიზებული აუდიტორია: ჯგუფები, მობილიზებული გარკვეული ზეწოლის განსახორციელებლად;
- როგორც ელექტორატული სუროგატი, რომლის რეაქციის გამოკვლევაც შესაძლებლობას იძლევა განვჭვრიტოთ არჩევნების შედეგები.

როზენაუ ხაზს უსვამს, რომ „ყურადღებიანი პუბლიკის“ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს შორის არაა პასიურობის ნიშნები. ამ კატეგორიის მოქალაქეებისათვის დამახასიათებელ „ყურადღებას“ ის პოლიტიკური მონაწილეობის ფორმის სახით განიხილავს. ის სახესხვაობაა „ინტენციონალური ქცევისა, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი უკავშირდება საზოგადოებრივ საქმეებს“.

„ყურადღების“ მაჩვენებლებს განეკუთვნება აქტიურობის ისეთი სახეები, როგორიცაა გაზეთების კითხვა, ყურადღება ახალი ამბებისადმი, პოლიტიკაზე მეგობრებთან და ნათესავებთან საუბარი, მის მიერ

სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაგზავნილი წერილები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა.შ.

„მობილიზაციის უნარი". მოქალაქეთა მობილიზაციური პოტენციალის გამოვლენის მომდევნო საფეხურს წარმოადგენს მათი კუთვნილება აქტიური უმცირესობის კიდევ ერთი ჯგუფისადმი — ესაა „მობილიზებული პუბლიკა" (Mobilizable Public). ამ საფეხურზე გადასვლისას „პოლიტიკური ყურადღებიანობა" ტრანსფორმირდება „მობილიზაციის უნარში".

„მობილიზაციის უნარს" როზენაუ ასევე განიხილავს პოლიტიკასთან ინდივიდუალური კავშირის ფორმის სახით. მაგრამ არის მეტად მნიშვნელოვანი განსხვავებაც. პირველ რიგში, „ყურადღებიდან" „მობილიზების უნარზე" გადასვლისათვის აუცილებელია მობილიზაციის აქტიური აგენტის არსებობა, რომელიც მიმართავს მხარდასაჭერად ან მოუწოდებს მობილიზაციისაკენ. სწორედ მობილიზაციის აგენტების მოქმედება ამ პროცესს სპეციფიკურ ქცევით ლოგიკას ანიჭებს, რომლის მოდელირებაც და პროგნოზირებაც შეიძლება ვცადოთ, რადგანაც „ყურადღებიან ამომრჩეველს" შეუძლია თავადაც შესთავაზოს თავისი მხარდაჭერა პოლიტიკურ ლიდერებსა და ორგანიზაციებს, მაგრამ ამის გაკეთება გარეთა მობილიზაციისკენ მიმართული მოწოდების ძალაში კი არ შედის, არამედ თავისი პოლიტიკური „ყურადღებიანობის" მახასიათებლების რეალიზებას ახდენს.

სხვა სიტყვებით, „ყურადღება" ესაა ინდივიდუალური სოციალურ-პოლიტიკური მოქმედების ფორმა, მაშინ როდესაც „მობილიზაციის უნარი" სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთქმედების ფორმაა.

„პოლიტიკური ყურადღებიანობა". როზენაუს გამოკვლევაში წარმოდგენილი „ყურადღებიანი" და „მობილიზებადი" მოქალაქეების პოლიტიკური ქცევის საფუძვლების შედარებითი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა „პოლიტიკური ყურადღებიანობა" განიმარტოს როგორც პოლიტიკაში ჩართულობის უფრო რთული სახეობა. სირთულეში იგულისხმება, რომ „ყურადღებიანობა" საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემატიკისადმი უფრო რაციონალურ, თანამიმდევრულ და მდგრად დამოკიდებულებას წარმოადგენს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩართულობის ამ ფორმის უკან დგას პიროვნება, რომელიც ხასიათდება:

• განათლებისა და ინფორმირებულობის უფრო მაღალი დონით;
• თავისი სოციალური გარემოცვის დამოუკიდებელი გააზრების უნარ-ჩვევებით;
• სამოქალაქო ფასეულობებისადმი ერთგულების ძალზედ მაღალი ხარისხით;
• მომთმენი და „ჯანსაღი" სკეპტიკოსი იდეოლოგებისა და პოლიტიკოსების მამობილიზებელი მოწოდებებისადმი.

ასეთი საკმაოდ მაღალი პიროვნული სტანდარტი დასტურდება როზენაუს ჰიპოთეზითაც იმის თაობაზე, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისით „მობილიზებული პუბლიკის" კატეგორია აღემატება „ყურადღებიან პუბლიკას".

„ყურადღებიანი" და „მობილიზებული" პუბლიკა. „ყურადღებიანი" ინდივიდები, სავარაუდოა, პრაქტიკულად ყოველთვის შედიან „მობილიზებული პუბლიკის" შემადგენლობაში, მაგრამ ისინი იმით გამოირჩევიან, რომ უფრო მეტად იხრებიან მამობილიზებელი მოწოდებების რაციონალური, აწონილ-დაწონილი აღქმისაკენ. ისინი თავიანთ მოქალაქეობრივ მხარდაჭერას მხოლოდ მოწოდებაზე რაციონალური თანხმობის შემთხვევაში გამოხატავენ, ან საზოგადოებაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების რაციონალური ანალიზის საფუძველზე, მრავალფეროვანი მამობილიზებელი მოწოდებების გათვალისწინებით.

მოქალაქეები, რომლებიც შედიან „მობილიზებული პუბლიკის" შემადგენლობაში და „ყურადღებიანი" ინდივიდების ფარგლებს გარეთ არიან, ისეთი პიროვნებებია, რომელთა პოლიტიკური ჩაბმულობაც უფრო დაქვემდებარებულ ხასიათს ატარებს და, არსებითად, გარეშე (და ხშირად ირაციონალური) მამობილიზებელი ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს.

პოლიტიკური გულისხმიერების ხასიათი. განსხვავება სოციალურ-პოლიტიკური გულისხმიერების ხასიათს შორის, რომლის დემონსტრირებასაც ახდენენ „ყურადღებიანი პუბლიკისა" და „მობილიზებული პუბლიკის" წარმომადგენლები, შეიძლება ნათელი გავხადოთ როზენაუს მიერ ფორმულირებული შემდეგი ჰიპოთეზების მეშვეობით. მისი აზრით, გულისხმიერება მაღალია იმ შემთხვევაში, თუკი ინდივიდუალური ორიენტაციის სტრუქტურაში:
• ძლიერია სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობა;
• მაღალია ინფორმირებულობა;

• მაღალია საკუთარი კომპეტენტურობის სუბიექტური შეფასება;

• მაღალია სოციალური ურთიერთქმედების სტრუქტურებში ჩართვის დონე;

• უფრო მაღალია ინდივიდის სოციალური სტატუსი და მისი პროფესიონალური და სხვა სოციალური როლი.

სოციალურ-ფსიქოლოგიური გულისხმიერების ხასიათზე არსებით ზეგავლენას ახდენს ინდივიდების მრავალფეროვანი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები.

ასე მაგალითად, გულისხმიერება:

• ქალებში უფრო მაღალია მამაკაცებთან შედარებით;

• ახალგაზრდებში უფრო მაღალია, ვიდრე უფროსი ასაკის ჯგუფებში;

• მაღალია დაბალი კვალიფიკაციისა და განათლების ადამიანებში.

ძალზედ არსებითია სხვადასხვა დემოკრატიულ სისტემებში ამომრჩეველთა აქტიური (ჩართული) კატეგორიების სიდიდე.

როზენაუ აღნიშნავს, რომ პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, „ყურადღებიანი პუბლიკის" შეზღუდულობა დადებითი მოვლენაა, რადგანაც მისი რიცხვის მოულოდნელი გაფართოება, ჩვეულებრივ, მომავალი პოლიტიკური კატაკლიზმების მაუწყებელია.

ჯ.როზენაუ, მობილიზაციის პროცესების თეორიული მოდელირების მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მონაწილეობის განსაზღვრების გარკვეულ კორექტირებას ახდენს. როზენაუ თვლის, რომ ესა თუ ის „პოლიტიკური კუთვნილება" (პიროვნების მიერ გარკვეული პოლიტიკური პოზიციის დაკავება) შედეგია, რომელშიც ინდივიდის ქცევა, განპირობებული მისი წარსული გამოცდილებით და „კალაპოტმიცემული" მისი ახლანდელი სოციალური ვალდებულებებით, ურთიერთქმედებს მის განწყობებსა და აღქმებთან და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ ორიენტაციებს წარმოშობს: ან მხოლოდ პირადი პრობლემების მიმართ, ან (მობილიზაციის აგენტების ძალისხმევის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო) საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი ან რამდენიმე პრობლემის მიმართაც.

აპათია, პოლიტიკური „ყურადღებიანობა" და მობილიზების უნარი, როგორც ხაზს უსვამს ჯ.როზენაუ, ერთგვაროვანი თეორიული მოდელების კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ, რადგანაც ისინი ერთი და იგივე თეორიული ფაქტორების შედეგია, რომლებიც ცვლადი მნიშვნელობით მოქმედებს. პოლიტიკური ქცევის ესა თუ ის

ორიენტაცია დამოკიდებულია ამ ცვლადების ინტენსივობასა და მიმართულებაზე.

§ 3. „მობილიზებადი ამომრჩეველი“: ემპირიული გამოკვლევები

ჯ.როზენაუ, მის მიერვე გამოყოფილ მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიების დახასიათებისას, რიგ ჰიპოთეზებს აყენებს, რაც მობილიზაციის პერსპექტივების ემპირიული კვლევის შესაძლებლობას იძლევა. ჰიპოთეზები ეხება ინდივიდების ამა თუ იმ სოციალური და სოციალურ-პოლიტიკური მახასიათებლებისა და მობილიზების შესაძლებლობების კორელაციის საკითხს.

„ყურადღებიანი“ და „მობილიზებული“ პუბლიკის მსგავსება. ჯ. როზენაუს მიერ გამოყოფილი ჰიპოთეზების პირველი ჯგუფი ეხება მოქალაქეთა მიმდინარე ქცევის სხვადასხვა ასპექტების განხილვას. როზენაუს აზრით, „ყურადღებიან პუბლიკასა“ და „მობილიზებულ პუბლიკას“ შორის განსხვავება არაა შემდეგ საკითხებში:

- საზოგადოებრივ საკითხთა რიცხვში, რომელთაც ისინი თავიანთ უშუალო გარემოცვაში შემავალ ადამიანთა წრეში განიხილავენ;
- ასეთი დისკუსიების სიხშირეში;
- ნდობის ხარისხში, რასაც ამ კატეგორიის მოქალაქეები განიცდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი.

ამავე დროს სწორედ „მიმდინარე ქცევის“ აღნიშნული მხარეები დასახელებულ ორ კატეგორიას განასხვავებენ ამომრჩეველთა მთელი დანარჩენი მასისაგან.

ჰიპოთეზების მეორე ჯგუფი განეკუთვნება იმას, რასაც როზენაუ „წარსულ გამოცდილებას“ ან ცხოვრებისეულ ფონს უწოდებს. ავტორი აღნიშნავს, რომ ყურადღებიან პუბლიკასა და მობილიზებულ პუბლიკას შორის არ არსებობს განსხვავება ისეთი მახასიათელებლების მიხედვით, როგორიცაა: ა) ასაკი, ბ) რასა, გ) საცხოვრებელი ადგილი, დ) ოჯახური მდგომარეობა, ე) პარტიული კუთვნილება, ვ) განათლების დონე, ზ) შემოსავალი, და აგრეთვე თ) მოქალაქეთა უცხოეთში გამგზავრების რაოდენობის მიხედვით.

ამომრჩეველთა ამ ორი კატეგორიის განსხვავება კი შეიძლება შემდეგ სოციალურ და სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებზე დაყრდნობით:

- სქესი;
- პროფესიული კუთვნილება;
- საქმიანობის ხასიათი ან პროფესია.

ჰიპოთეზათა კიდევ ერთი ჯგუფი უკავშირდება სოციალურ-პოლიტიკურ განწყობათა ხასიათს, რაც მოქალაქეებს აქვთ. განწყობათა ქვეშ როზენაუს ესმის „მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ესა თუ ის პრობლემა და როგორ უნდა იქნეს მიღწეული, ადამიანის რწმენა იმაში, რაც შეეხება წარმოდგენებს გარკვეული პრობლემის მნიშვნელობის თაობაზე".

მოქალაქეთა „აღქმები". ჰიპოთეზათა კიდევ ერთი დიდი ჯგუფი განეკუთვნება ე.წ. მოქალაქეთა „აღქმებს". როზენაუ „აღქმას" განიხილავს როგორც „კოგნიტიურ განზომილებას" პოლიტიკური ქცევის ისეთი საფუძვლებისა, როგორიცაა „ყურადღება" და „მობილიზება". მისი განსაზღვრებით, „აღქმათა" შემადგენლობაში პირველ რიგში შედის წარმოდგენები საზოგადოებრივ ფასეულობებზე, აგრეთვე აგენტების და სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთკავშირების სტრუქტურაზე.

„აღქმათა" სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „კომპეტენტურობის აღქმას". ლაპარაკია თითოეული ინდივიდისათვის დამახასიათებელ წარმოდგენაზე იმის შესახებ, თუ რა ზომით შეუძლია ცალკეულ ინდივიდს, სხვადასხვა სახის ჯგუფს და მთლიანად საზოგადოებას ოფიციალურ პირებზე ზეგავლენის მოხდენა და ამ გზით საზოგადოებრივი საქმეების მიმდინარეობაზე ზემოქმედება.

„აღქმათა" ანალიზისას მობილიზაციის საკითხის კონტექსტში ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ:

- „ყურადღებიანი პუბლიკა" და „მობილიზებადი პუბლიკა" თავს საკმარისად კარგად ინფორმირებულად აღიქვამს მიმდინარე პოლიტიკის თუნდაც ერთ საკითხში მაინც;
- მოქალაქეთა ეს კატეგორიები თავს აღიქვამენ უკეთესად ინფორმირებულად, ვიდრე მთელი დანარჩენი პუბლიკა;
- რაც უფრო მეტად ინფორმირებულად აღიქვამენ თავს ამ კატეგორიების წარმომადგენლები პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მით უფრო ძლიერია მათი განწყობა-დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი;
- „მობილიზებული პუბლიკა" და „ყურადღებიანი პუბლიკა" უფრო მეტად, ვიდრე ყველა დანარჩენი მოქალაქე, განწყობილნი არიან კომპეტენტურობის შედარებით მაღალი დონე მიაწერონ ინდივიდებს, ჯგუფებსა და მთლიანად საზოგადოებას.

„მიმდინარე ვალდებულებები". ჰიპოთეზათა კიდევ ერთი ჯგუფის თანახმად, „ყურადღება" და „მობილიზაციისადმი განწყობა" დამოკიდებულია იმ „მიმდინარე ვალდებულებების" კონტექსტზეც, რომელშიც თითოეული ინდივიდი იმყოფება. ასეთი კონტექსტი იქმნება გარკვეული სოციალური სტატუსის, როლებისა და დაკავებული პოზიციების მახასიათებლების ერთმანეთზე დადების შედეგად. როგორც როზენაუ აღნიშნავს, მიმდინარე ვალდებულებების ერთი ნაწილი ობიექტურად უკავშირდება სოციალურ-პოლიტიკური კომპეტენტურობის მაღალ ხარისხს, სხვები — ნაკლებად.

თუმცა, სუბიექტური კომპეტენტურობის მაჩვენებლები შეიძლება წინააღმდეგობაში მოექცეს თავის ობიექტურ კორელატებთან. მიმდინარე ვალდებულებების კონტექსტის კომპეტენტურობა რეალიზდება ისეთ ფაქტორებში, როგორიცაა ინფორმირებულობა, პიროვნული ლიდერობა და საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის პოტენციალი.

ეს ფაქტორები განისაზღვრება ან პროფესიების თავისებურებებით (მაგალითად, ტელემაყურებელთა დიდ აუდიტორიასთან ურთიერთობის, პერიოდული გამოცემების მკითხველებთან, სტუდენტებთან და ა.შ. ურთიერთობის შესაძლებლობებით), ან ადმინისტრაციულ იერარქიაში მდგომარეობით და შესაძლებლობით სხვებისათვის მიუწვდომელი საშუალებები გამოიყენოს თავისი ინფორმირებულობის ასამაღლებლად (ურთიერთობა მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან და დიდ ჩინოვნიკებთან, ხშირი მგზავრობა დედაქალაქში ან საზღვარგარეთ), ან ინდივიდს ისეთი თვისებები აქვს, რაც საშუალებას აძლევს მას ჯგუფში დაიკავოს ლიდერის ან მისი მსგავსი პოზიციები.

§ 4. მამობილიზებელი მოწოდების სტრუქტურა

მოქალაქეებზე ზემოქმედებას, რასაც პოლიტიკური ორგანიზაციები და ლიდერები მიმართავენ იმისათვის, რომ მოახდინონ მათი მხარდაჭერის მობილიზება, საკმაოდ რთული სტრუქტურა აქვს.

„მობილიზაციის აგენტის მოწოდება". მობილიზებული მოწოდების სტრუქტურაში პირველი კომპონენტია ის, რასაც ჯ.როზენაუ შემდეგნაირად ახასიათებს: „მოწოდება, რომელიც მომდინარეობს მობილიზაციის აგენტისაგან" (The Appeal of the

Mobilizer). ცვლადი ასპექტების სახით აქ გამოდის, ჯერ ერთი, იდენტურობა და მეორე, გარკვეული სახე იმისა, ვინც მამობილიზებელი მოწოდებით გამოდის.

მობილიზაციის აგენტის იდენტურობა აუცილებელი პირობაა მამობილიზებელ მოწოდებაზე ამომრჩეველთა ადეკვატური რეაქციისათვის. ძალზედ ხშირად, განსაკუთრებით სოციალურ-პოლიტიკური მობილიზაციის ფართომასშტაბიანი კამპანიის შემთხვევებში, იდენტურობა მკვეთრი იდეოლოგიური კონტრასტის დახმარებით იქმნება. მობილიზაციის აგენტების იდენტიფიცირების ამგვარი წესი ძალზედ ეფექტიანია აბსტრაქტული, იდეოლოგიზებული პოლიტიკური კულტურების ფონზე.

იდენტურობის სხვა მეთოდები უკავშირდება მობილიზაციის კონტრასტული პროგრამების ფორმირებას, რომლებიც გარკვეული პრაგმატული პრობლემატიკის არჩევაზეა ორიენტირებული. მობილიზაციის ამგვარი სტრატეგია განსაკუთრებით პერსპექტიულია ადგილობრივი დონის მამობილიზებელი კამპანიის ორგანიზებისათვის, მაშინ როდესაც საერთო-ეროვნული კამპანიები ხშირად იხრება ამა თუ იმ იდეოლოგიზებული სტრატეგიებისაკენ.

„საგოგადოებრივი პრობლემებისადმი მოწოდება“. მობილიზაციური მოწოდების სტრუქტურაში მეორე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს „პრობლემატიკის მოწოდება“ (The Appeal of Issues). ესაა მობილიზაციის კამპანიების ორგანიზატორთა უნარი შეარჩიონ საკითხები, რომელთა შინაარსიც გვაიძულებს გავააქტიუროთ ინდივიდების სოციალურ-პოლიტიკური აღქმადობა და პიროვნული აქტიურობა. ის პოლიტიკოსი, რომელსაც წარმატების მოპოვების იმედი აქვს. ანგარიშს უნდა უწევდეს ამომრჩეველთა რეაქციას პრობლემატიკის შესაძლო შერჩევასა და მათი ინტერპრეტაციის ხასიათზე.

კონფლიქტი და ამომრჩეველთა მობილიზება. სოციალური კონფლიქტების სტრუქტურას უდიდესი მამობილიზებელი პოტენციალი აქვს. რიგ შემთხვევებში, სწორედ სოციალური რეალობის კონფლიქტური აღქმის ენერგია მოქალაქეთა მამობილიზებელი მონაწილეობის საფუძველი ხდება.

მასობრივი პარტიების მამობილიზებელი აქტიურობა, რომელიც კლასობრივი პოლიტიკის ტრადიციებს ეყრდნობა, აგრეთვე მოძრაობები, რომლებიც შედეგია პოსტკლასობრივი კონფლიქტის სტრუქ-

ტურებისა, უპირატესად კონფლიქტური მობილიზაციის კარგი მაგალითია.

ნორმატიული კონსენსუსის სტრუქტურას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა პოლიტიკური მობილიზაციის მექანიზმების განმსაზღვრელი სოციალურ-კულტურული საფუძვლების ასახსნელად. ფასეულობითი უთანხმოება იდეურ-პოლიტიკური კუთვნილების ფორმირებისათვის ბუნებრივ ნიადაგს წარმოადგენს. ნორმატიულ დისენსუსს, თუკი ის შეესაბამება გარკვეულ კულტურულ და კოგნიტიურ ფონს, შეუძლია პოლიტიკური მობილიზაციის უაღრესად ეფექტიანი სტრატეგიებისათვის პირობების ჩამოყალიბება.

კითხვები და დავალებები:

• რატომ იყენებენ არჩევნების დროს მობილიზებულ ტექნოლოგიებს?

• რა განსხვავებაა „ავტონომიურ“ და „მობილიზაციურ“ მონაწილეობას შორის?

• ერთმანეთს შეადარეთ ავტორიტარული და შეჯიბრების მობილიზაცია.

• დაახასიათეთ „მობილიზებული ამომრჩეველი“ ჯ.როზენაუს კონცეფციის მიხედვით.

• რა განსხვავებაა, როზენაუს თანახმად, „მასობრივ“ და „ყურადღებიან“ პუბლიკას შორის?

• როგორია, როზენაუს თანახმად, მამობილიზებელი მოწოდების სტრუქტურა?

• რა კავშირია სოციალურ კონფლიქტებსა და ამომრჩეველთა მობილიზებას შორის?

რა წაიკითხოთ:

• **Rosenau J.N. Citizenship Between Elections. An Inquiry into the Mobilizable American. N.Y.-L. 1974**

ჯ.როზენაუს ნაშრომის გაცნობა შესაძლებლობას იძლევა უფრო ღრმად გავიაზროთ მოცემულ თავში გადმოცემული საკითხები, რომლებიც მოქალაქეთა „საარჩევნო მობილიზაციას“ ეხება.

• **Andrain C.F. Comparative Political Systems. Policy Perfomance and Social Change. N.Y.-L., England, 1994**

• **Эндрейн Ч.Ф. Сравнительный анализ политических систем. Эффективность осуществления политического курса и социальные преобразования. М., 2000**

ჩ.ენდრეინის ნაშრომი საშუალებას გვაძლევს ღრმად გავეცნოთ მობილიზაციური სისტემების არსს. წიგნში წარმოდგენილია უამრავი ფაქტობრივი მასალა ამგვარი სისტემების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. წიგნი ასევე შესაძლებლობას იძლევა მობილიზაციური სისტემები შევადაროთ სხვა სახის პოლიტიკურ სისტემებს — აგალითად, კონკურენტულ ოლიგარქიებს ან პლურალისტურ დემოკრატიებს.

•Гончаров Д.В., Гонтарева И.Б. Введение в политическую науку. М.: Юрист, 1996. – 232 с.

ნაშრომი პოლიტიკური მეცნიერების შესავლის სახელმძღვანელოს წარმოადგენს. მასში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პოლიტიკური მოდერნიზაციის, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სისტემების, პოლიტიკური მონაწილეობის სტრუქტურებისა და ფორმების საკითხებზე.

IV საარჩევნო პროცესი და საარჩევნო სისტემები

თავი XIII

საარჩევნო პროცესი

§ 1. საარჩევნო პროცესის არსი და ძირითადი სტადიები

რა არის საარჩევნო პროცესი. საარჩევნო პროცესი არის ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების მოღვაწეობა სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებში არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის. საარჩევნო პროცესი რეგულირდება კანონითა და სხვა სოციალური ნორმების (მაგალითად, ტრადიციების) მეშვეობით.

მაშასადამე, საარჩევნო პროცესი ესაა გარკვეული მოღვაწეობა და სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომელიც ამ მოღვაწეობას არეგულირებს. თავიდან ჩვენ ამ ტერმინს ძირითადად პირველი მნიშვნელობით გამოვიყენებთ.

არჩევნებში განასხვავებენ ორ მხარეს: ოფიციალურსა და არაოფიციალურს. **ოფიციალურ მხარეში** იგულისხმება სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია არჩევნების ჩასატარებლად. ოფიციალურ მხარეს განეკუთვნება, მაგალითად, ისეთი საარჩევნო ორგანოების შექმნა, რომლებიც ჩაატარებენ არჩევნებს და გააკონტროლებენ მის მსვლელობას, მოახდენენ კანდიდატების რეგისტრაციას და ა.შ.

არაოფიციალურ მხარეს მიაკუთვნებენ ისეთ მოქმედებებს, რომელთაც პოლიტიკური პარტიები ან სხვა საზოგადოებრივი ფორმირებები, ე.ი. არასახელმწიფო (ანდა ძირითადად არასახელმწიფო) ორგანოები

განახორციელებენ. სხვა ქვეყნებში კანონმდებლობა ჩვეულებრივ არჩევნების მომზადების ოფიციალურ მხარეს არეგულირებს, მაგრამ ბოლო დროს დაიწყო არაოფიციალური მხარის რეგულირებაც.

საარჩევნო პროცესის პრინციპები. საარჩევნო პროცესის განხორციელება პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვას მოითხოვს:

1. არჩევნების ორგანიზება და ჩატარება ხორციელდება სპეციალურად შექმნილი დამოუკიდებელი ორგანოების — საარჩევნო კომისიების მიერ. საარჩევნო კომისიები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელნი არიან სახელმწიფო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან. საარჩევნო კომისიების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებანი სავალდებულოა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო დაწესებულებების, საარჩევნო გაერთიანებების, კანდიდატების, თანამდებობის პირებისა და ამომრჩევლებისათვის.

2. საარჩევნო პროცესის უწყვეტობა და თანამიმდევრულობა. საარჩევნო პროცესის უწყვეტობა ნიშნავს, რომ სათანადო ვადაში დაწყებული საარჩევნო პროცესი კანონით გათვალისწინებულ ყველა პროცესუალურ სტადიას გადის და აუცილებლად უნდა დამთავრდეს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული აქტით არჩევნების შედეგების თაობაზე. საარჩევნო პროცესი ვერ დამთავრდება სხვაგვარად, ვადამდე, პროცესის რომელიმე მონაწილის ნება-სურვილის მიხედვით.

პროცესის თანამიმდევრულობა ნიშნავს კანონის მიერ წინასწარ მოცემულ საარჩევნო პროცესის სტადიების თანამიმდევრულ ცვლას. დაუშვებელია სტადიების სხვა თანამიმდევრულობა, გარდა იმისა, რაც კანონითაა გათვალისწინებული (მაგალითად, წინასაარჩევნო აგიტაცია დაუშვებელია კანდიდატის წამოყენებამდე და რეგისტრაციამდე);

3. კანონიერება. საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას კანონით დადგენილი საარჩევნო-პროცესუალური ფორმები, იმოქმედოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეასრულოს საარჩევნო-სამართლებრივი ნორმებით დაკისრებული მოვალეობანი.

ამ ნორმების დაუცველობის შემთხვევაში საარჩევნო კანონმდებლობა რეაგირების სხვადასხვა ფორმებს ითვალისწინებს. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო პროცესის

მონაწილეებს ეკისრებათ სამი სახის პასუხისმგებლობა:

- საარჩევნო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და
- სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

4. საჯაროობა (ღიაობა). საარჩევნო პროცესის საჯაროობა აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს, რადგანაც კანონი არ მოითხოვს საარჩევნო პროცესის სუბიექტების ყველა მოქმედება საჯარო ხასიათს ატარებდეს. მაგალითად, საარჩევნო გაერთიანების მიერ თავისი კანდიდატების შერჩევის პროცესი, მოლაპარაკებები საარჩევნო ბლოკის შექმნის თაობაზე და ა.შ. რამდენად გახდება ცნობილი საზოგადოებისათვის, თავად ამ ღონისძიებების მონაწილეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

საჯაროობის პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საარჩევნო კომისიების მოღვაწეობაში, რომელიც კანონის მოთხოვნების შესაბამისად საჯაროდ (ღიად) უნდა მიმდინარეობდეს. ამას უზრუნველყოფს კანდიდატების, მათი ნდობით აღჭურვილი პირების, მეთვალყურეების მონაწილეობა საარჩევნო კომისიების მუშაობაში; საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან თავიანთი გადაწყვეტილებანი გამოაქვეყნონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ა.შ.

მაგრამ საჯაროობის პრინციპის მოქმედება მხოლოდ მოცემული სფეროთი არ შემოიფარგლება. საარჩევნო პროცესის სხვა სუბიექტების მოღვაწეობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების რეალიზებისათვის და რომლის შესრულებისთვისაც აუცილებელია კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან, საჯაროდ უნდა ხორციელდებოდეს. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს ვლინდება არჩევნების დაფინანსების საკითხების რეგულირების დროს. ამ სფეროში საარჩევნო კანონმდებლობა მაქსიმალურ გამჭვირვალობას მოითხოვს (სხვა საკითხია, თუ რამდენად ხერხდება ამის მიღწევა);

5. საარჩევნო პროცესის ერთი რიგის სუბიექტების თანაბარუფლებიანობა. მოცემული პრინციპი ნიშნავს პროცესის სუბიექტების უფლებამოსილებათა თანასწორობას. თანაბარუფლებიანობა შესაძლებელია მხოლოდ ერთნაირი სტატუსის მქონე სუბიექტებს შორის. არ შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგალითად, ამომრჩევლისა და საარჩევნო გაერთიანების თანაბარუფლებიანობაზე — მათ სრულიად განსხვავებული სტატუსი აქვთ, განსხვავებული უფლებამოსილება და დანიშნულება საარჩევნო პროცესში. თანასწორუფლებიანობა ნიშნავს ამომრჩეველთა თანასწორობას, კანდიდატების თანასწორობას, საარჩევნო გაერთიანებების თანასწორობას. მოცემული პრინციპი ასევე

ნიშნავს, რომ ერთი რიგის სუბიექტებს ერთნაირი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ საარჩევნო კომისიებთან. დაუშვებელია, მაგალითად, საარჩევნო კომისიას განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდეს სხვადასხვა კანდიდატებისადმი;

6. დოკუმენტურობა. საარჩევნო პროცესის დოკუმენტურობის პრინციპი ნიშნავს პროცესუალური მოქმედებების ფიქსირებას საარჩევნო დოკუმენტებში. კანონმდებლობა ითვალისწინებს საარჩევნო დოკუმენტების დიდ რაოდენობას, მაღალ მოთხოვნებს უყენებს მათ ფორმასა და შინაარსს.

გარდა საარჩევნო პროცესის ზემოთ აღნიშნული ძირითადი პრინციპებისა, შეიძლება ასევე გამოიყოს პრინციპები, რომლებიც ასახავს საარჩევნო პროცესის ცალკეული სტადიების შინაარსს. მაგალითად: საარჩევნო ოლქების თანასწორობის პრინციპი, წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოების ფორმებისა და მეთოდების არჩევის თავისუფლების პრინციპი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანაბარი მისაწვდომობის პრინციპი და ა.შ.

საარჩევნო პროცესის ძირითადი სტადიები. საარჩევნო პროცესის თანამიმდევრული განხორციელების პრინციპი შესაძლებლობას იძლევა იგი დაიყოს შედარებით დამოუკიდებელ, ერთმანეთის შემცვლელ სტადიებად, რომლებიც ერთობლიობაში მის სტრუქტურას ქმნის. დროითი თანამიმდევრობისა და გადასაწყვეტი ამოცანების თავისებურებებიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცესში გამოიყოფა:

— არჩევნების დანიშვნა. მოცემული სტადია შეიძლება არც გამოიყოს ცალკე, თუკი არჩევნების თარიღი საკანონმდებლო წესით არის მკაფიოდ დადგენილი. მაგალითად, აშშ-ში საყოველთაო არჩევნები და არჩევნები ცალკეული შტატების სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ტარდება ყოველი ლუწი წლის ნოემბრის პირველი ორშაბათის მომდევნო პირველივე სამშაბათს;

1. საარჩევნო ოლქების დადგენა, თუკი ლაპარაკია წარმომადგენლობით ორგანოში არჩევნებზე და ეს არჩევნები ტარდება საარჩევნო ოლქების მიხედვით;
2. საარჩევნო უბნების (სექციების და ა.შ.) დადგენა;
3. საარჩევნო ორგანოების (კომისიების, ბიუროს და ა.შ.) შექმნა;
4. ამომრჩეველთა რეგისტრაცია;
5. კანდიდატების წამოყენება;

6. სააგიტაციო კამპანია;
7. ხმის მიცემა (კენჭისყრა);
8. ხმების დათვლა და ხმის მიცემის შედეგების დადგენა;
9. ხმის მიცემის შესაძლო მეორე ტური (მაჟორიტარული არჩევნების დროს) ან ახალი არჩევნები;
10. არჩევნების შედეგების საბოლოო განსაზღვრა და გამოქვეყნება.

ყველა ამ სტადიას მოიცავს როგორც საყოველთაო, ისე ნაწილობრივი არჩევნები. მე-2—4 პუნქტებში მითითებული სტადიები არსებითად ნიშნავს საარჩევნო ინფრასტრუქტურის — არჩევნებისთვის აუცილებელი დაწესებულებების შექმნას. ლაპარაკია პირდაპირ არჩევნებზე. არაპირდაპირი არჩევნების შემთხვევაში ზოგიერთი ზემოთ აღნიშნული სტადია ან ამოვარდება, ან ახალი სტადია ემატება. ამოვარდება, მაგალითად, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნა, საარჩევნო ორგანოების ფუნქციები შეიძლება შეასრულოს პარლამენტის ხელმძღვანელმა ორგანოებმა (სადაც არჩევნებს პარლამენტები ატარებენ), ხმის მიცემის ტურები შეიძლება ორზე მეტი იყოს და ა.შ.

ყველაზე ზოგადი სახით, საარჩევნო პროცესში შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი:

- არჩევნების მოსამზადებელი ეტაპი;
- წინასაარჩევნო აგიტაცია;
- ხმის მიცემა, ხმების დათვლა და არჩევნების შედეგების განსაზღვრა.

ზოგიერთ ქვეყანაში საარჩევნო პროცესის სტადიები განისაზღვრება არა დოქტრინალურად, არამედ ნორმატიული სახით. მაგალითად, მექსიკის 1977 წლის ფედერალურ კანონში პოლიტიკური ორგანიზაციებისა და საარჩევნო პროცესის შესახებ დადგენილია საარჩევნო პროცესის 9 სტადია შესაბამისი თვეების მითითებით (მექსიკაში არჩევნები ყოველთვის აგვისტოში ტარდება). პოლონეთში ყოველი არჩევნების დანიშვნის დროს მტკიცდება და ქვეყნდება საარჩევნო კალენდარი, რომელშიც მითითებულია საარჩევნო პროცესის შესაბამისი სტადიების თარიღები.

აშშ-ს საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიაში არსებობს ორი სტადია. პირველი — **ნომინაცია**, რომლის დროსაც პრეტენდენტი ცდილობს პარტიის მიერ მისი კანდიდატურის წამოყენებას. ამ დროს პრეტენდენტისთვის მნიშვნელოვანია პარტიის წევრების მხარდაჭერა, მათი უნარი შეკრიბონ ფული აგიტაციისათვის, რის გარეშეც პრეტენდენტს გაუჭირდება კამპანიის წარმართვა. მნიშვნელოვანია

აგრეთვე საზოგადოებრივი და სახელმწიფო მუშაობის გამოცდილება. პრეტენდენტს, რომელსაც არ ეკავა მანამდე გუბერნატორის პოსტი ან არჩეული არ იყო კონგრესში, პრაქტიკულად არანაირი შანსი არა აქვს პარტიის მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

მეორე სტადიაზე, როდესაც პარტიის მიერ კანდიდატი უკვე იქნება წამოყენებული, ფული ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება. ფედერალური ბიუჯეტი ითვალისწინებს სახსრების გამოყოფას საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად. ეს სახსრები გამოეყოფა მთავარი პარტიების კანდიდატებს, რომლებიც, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებენ, რომ აღარ შეკრიბონ დამატებითი სახსრები თავიანთი კამპანიის ჩასატარებლად.

პრინციპში, კანდიდატებმა თანაბარი ფინანსური შესაძლებლობების პირობებში უნდა ჩაატარონ კამპანია. რა თქმა უნდა, პარტიებმა შეიძლება დამატებითი სახსრები შეკრიბონ და ამით არაპირდაპირ დაუჭირონ მხარი თავიანთ კანდიდატებს. მაგრამ მთლიანობაში კანდიდატის ნომინაციის შემდეგ მთავარ როლს ასრულებს არა ფული, არამედ კანდიდატის უნარი დაარწმუნოს საზოგადოება. დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის მდგომარეობასაც: ეკონომიკური წარმატებები მმართველი პარტიის კანდიდატის სასარგებლოდ მუშაობს, ხოლო ეკონომიკური ჩავარდნები — ოპოზიციური პარტიის წისქვილზე ასხამს წყალს.

საარჩევნო პროცესის ზოგადი სურათი. საარჩევნო პროცესის ზოგადი სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: კანონით დადგენილ ვადაში შესაბამისი უფლების მქონე ორგანო (თანამდებობის პირი) გამოსცემს აქტს არჩევნების დანიშვნის შესახებ, რომელშიც ხმის მიცემის თარიღია განსაზღვრული.

ამ აქტის გამოქვეყნების შემდეგ იწყება ე.წ. „საარჩევნო ინფრასტრუქტურის" ფორმირება: იქმნება საარჩევნო ოლქები (თუკი ამას არჩევნების ჩატარების წესი ითვალისწინებს), ხდება ამომრჩეველთა სიების შედგენა და დაზუსტება, შესაბამისი საარჩევნო კომისიების შექმნა.

საარჩევნო ოლქების შექმნის შემდეგ (იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნები ერთიან საარჩევნო ოლქში ტარდება — არჩევნების დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან) იწყება კანდიდატების (კანდიდატთა სიების) წამოყენება, მათ მიერ საარჩევნო ფონდების შექმნა, ხელმოწერების შეგროვება მხარდასაჭერად. წამოყენების სტადია მთავრდება რეგისტრაციით, რომელიც

განსაზღვრავს პროცესის მონაწილეთა წრეს, რომლებიც იბრძოლებენ არჩევნებში გასამარჯვებლად და რომელთა გვარებიც შეტანილი იქნება საარჩევნო ბიულეტენებში.

რეგისტრაციის შემდეგ კანდიდატს, საარჩევნო გაერთიანებას უფლება აქვს წინასაარჩევნო აგიტაციას შეუდგეს. საარჩევნო აგიტაცია, როგორც წესი, ხმის მიცემამდე ერთი დღით ადრე მთავრდება. რათა „წყნარ ვითარებაში" ჩატარდეს არჩევნები. ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიები ხმებს ითვლიან, ხოლო ზემდგომი კომისიები განსაზღვრავენ არჩევნების შედეგებს. საარჩევნო პროცესის დასკვნითი მომენტი არჩევნების შედეგების გამოქვეყნებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საარჩევნო მოქმედება არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგაც ხორციელდება: კანდიდატების, საარჩევნო გაერთიანებების, საარჩევნო ბლოკების მიერ ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა, საარჩევნო დოკუმენტაციის შესანახად გადაცემა და სხვა. მაგრამ მოცემული მოქმედებები არ არის მიმართული უშუალოდ ვინმეს არჩევისათვის და საარჩევნო პროცესის ძირითადი სტადიების მიმართ დამხმარე როლს ასრულებენ.

არჩევნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო. არჩევნები ყოველთვის კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარემოში ხორციელდება, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის ჭეშმარიტად დემოკრატიულ ან მანიპულაციურ ხასიათს. გარემო (ისტორიული კონტექსტი) მოიცავს რიგ პარამეტრებს, რომლებიც საარჩევნო პროცესზე მის ზეგავლენას ასახავს. ასეთ პარამეტრებს განეკუთვნება:

— **საზოგადოებაში ფასეულობითი კონსენსუსის, ნდობის ატმოსფეროს არსებობა.** ვითარებისა, როდესაც პოლიტიკური პარტიები და მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა მზად არის პატივი სცეს და მიიღოს არჩევნების შედეგები. სწორედ ამიტომაც თავისუფალი არჩევნები ან საერთოდ შეუძლებელია, ანდა მანიპულირების ინსტრუმენტი ხდება ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ელიტა და ძირითადი საზოგადოებრივი ჯგუფები არჩევნებში ხედავენ არა შერიგებისა და პოლიტიკური გავლენის დაბალანსების საშუალებას, არამედ თავისი ბატონობის განმტკიცებისა და მოწინააღმდეგეების მორჩილებისადმი იძულების იარაღს;

— **საზოგადოებაში ადამიანის უფლებების პატივისცემა.** საზოგადოებაში უნდა არსებობდეს პიროვნების, უმრავლესობის ნებისა

და უმცირესობის უფლებების პატივისცემის ატმოსფერო; ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ამომრჩევლები და კანდიდატები თავს თავისუფლად თვლიდნენ, არ იყვნენ მოქცეულნი სხვადასხვა სახის მუქარის ქვეშ;

— **ამომრჩეველთა საარჩევნო (სამოქალაქო) განათლება.** ეს გულისხმობს არჩევნების დანიშნულებისა და პროცედურების, ძირითადი პოლიტიკური პარტიების, მათი პროგრამებისა და კანდიდატების ცოდნას, ინფორმირებულობას და ა.შ. სამოქალაქო განათლება უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა შეგნებულ ხასიათსა და კომპეტენტურობას. ამის გარეშე არჩევნები წარმოადგენს არა ხალხის ნების გამოხატულებას, არამედ მასობრივი მანიპულირების იარაღს, რომელსაც პოლიტიკური ელიტა იყენებს.

— **ამომრჩეველთა რეგისტრაციის დემოკრატიული ხასიათი.** ეს პირველ რიგში ნიშნავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის — ეროვნული, რასობრივი, ქონებრივი და ა.შ. არარსებობას. დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში ამომრჩეველთა სიების შედგენით დაკავებულია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, რომელთაც ავტომატურად შეაქვთ მასში ცვლილებები მოქალაქის სხვა საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის, სრულწლოვანების მიღწევის და სხვა შემთხვევებში. აშშ-ში არჩევნებში მონაწილეობა განიხილება მთლიანად პირადულ საქმედ და რეგისტრაციაზე ზრუნვა თავად ხმის მიმცემს ეკისრება. ამომრჩეველთა სიების სიზუსტე და სისრულე, აგრეთვე დოკუმენტების არსებობა, რომლებიც თითოეული ადამიანის იდენტიფიცირებას ახდენს, თავიდან იცილებს არჩევნების ფალსიფიკაციას (ადამიანთა ნაწილისათვის ხმების ჩამორთმევის და სხვებისათვის მრავალგზის ხმის მიცემის შესაძლებლობის შედეგად);

— **პარტიების რეგისტრაციისა და ურთიერთობის დემოკრატიული წესრიგი.** პარტიები მთავარი სუბიექტებია ელექტორატის აქტივობის, პოლიტიკური მონაწილეობის, მოქალაქეთა ორგანიზაციის და მობილიზაციის საქმეში. ისინი ასევე მთავარი პრეტენდენტები არიან პარლამენტისა და მთავრობის ფორმირების დროს. ყველა სტაბილურ დემოკრატიულ სახელმწიფოში პარტიებს შორის ურთიერთობის ხასიათი განსაზღვრავს არჩევნების ზოგადი ატმოსფეროს საერთო კალაპოტს. თავისუფალი არჩევნებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ყველა პარტიას, რომლებიც აღიარებენ დემოკრატიულ კონსტიტუციას, საშუალება უნდა ჰქონდეს გაიაროს რეგისტრაცია, წამოაყენოს კანდიდატები და მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ბრძოლაში. იმისათვის რომ პარტიებმა თავი შეიკავონ კანონისა და

ეთიკური ნორმების დარღვევისაგან და ამით განამტკიცონ ნდობის ატმოსფერო, გამოიყენება პარტიათშორისი შეთანხმებების პრაქტიკა. საერთო თანხმობის გზით იღებენ პარტიების ქცევის კოდექსს, რომლის დაცვაზე კონტროლისათვის ჩვეულებრივ სპეციალური კომისიები იქმნება. ამ კომისიებში საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილეა წარმოდგენილი.

— **საარჩევნო პროცესის მართვის დამოუკიდებელი, მიუდგომელი და კომპეტენტური ორგანოების ფორმირება.** ასეთ ორგანოებს პირველ რიგში საარჩევნო კომისია მიეკუთვნება. მისი ფუნქციები მრავალფეროვანია, მაგრამ ერთნაირი არაა სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვეულებრივ ესაა: საარჩევნო კანონის განმარტება, არჩევნების ჩატარების წესებისა და პროცედურების განსაზღვრა, საარჩევნო უბნების ორგანიზება, კანდიდატის მხარდასაჭერად შეგროვილი ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმება, ამომრჩევლებისა და კანდიდატების რეგისტრაცია, წინასაარჩევნო მასალების მომზადება და აპარატის შერჩევა, რაც აუცილებელია არჩევნების ჩასატარებლად, წარმოქმნილი დავის დარეგულირება, ლონისძიებების ჩატარება მოქალაქეთა საარჩევნო განათლების ასამაღლებლად, ხმის მიცემის შედეგების შეჯამება და მათი გამოცხადება, ზოგადი კონტროლი არჩევნების პროცესზე.

საარჩევნო კომისიების წევრთა მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოს მათთვის განსაკუთრებული უფლებების (პრივილეგიების) და იმუნიტეტის მინიჭებამ, როგორც ამას ადგილი აქვს მოსამართლეების შემთხვევაში. საარჩევნო კომისიებს შეუძლიათ დიდი ზეგავლენის მოხდენა არჩევნების მიმდინარეობასა და ხასიათზე, შეიძლება აღმოჩნდნენ ფალსიფიკაციის ინსტრუმენტის როლშიც. საარჩევნო კომისიების გარდა, არჩევნების ორგანიზაციის საქმეში მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც საარჩევნო კომისიებს მრავალმხრივ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ.

— **საჩივრების შეტანისა და განხილვის, დავის გადაწყვეტის ყველასთვის მისაწვდომი მექანიზმების არსებობა.** ასევე ეფექტიანი და დამოუკიდებელი ორგანოების არსებობა აუცილებელია საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილეთა, მათ შორის საარჩევნო კომისიების წევრთა მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დაცვის გასაკონტროლებლად. ასეთ ორგანოებს მიეკუთვნება სპეციალური (საარჩევნო ტრიბუნალები) ან საერთო სასამართლოები, აგრეთვე ზოგიერთ ქვეყანაში — საარჩევნო პროკურატურა. ასეთი პროკურატურა, მაგალითად, შეიქმნა მექსიკაში 1994 წლის საარჩევნო რეფორმის დროს ელექტო-

რატული დანაშაულებების გამოსაკვლევად. კერძოდ, სახელმწიფო მოსამსახურეთა მიერ სამსახურეობრივი ქონებისა და საშუალებების, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება გარკვეული პარტიებისა და კანდიდატების მხარდასაჭერად, თანამშრომლებზე ზეწოლისათვის მათ მიერ გარკვეული ელექტორატული გადაწყვეტილების მისაღებად და ა.შ. არჩევნებზე სასამართლო კონტროლის ეფექტიანობა გულისხმობს მკაცრ სანქციებს დარღვევებისათვის: პატიმრობას, ჯარიმებს, კანდიდატების ან პარტიების რეგისტრაციის გაუქმებას და ა.შ.

§ 2. არჩევნების დანიშვნა და საარჩევნო ინფრასტრუქტურის შექმნა

არჩევნების დანიშვნა. არჩევნების დანიშვნა, როგორც უკვე ითქვა, საარჩევნო პროცესის ცალკე სტადიად გამოიყოფა. მაგრამ, თუ ლაპარაკია მორიგ არჩევნებზე, ამ შემთხვევაში კონსტიტუციები, კანონები, ტერიტორიულ ერთეულთა სტატუტები გარკვეულ მითითებებს შეიცავს ხოლმე. ზემოთ უკვე მოვიშველიეთ აშშ-ს მაგალითი, სადაც მომავალი არჩევნების თარიღის გამოთვლა წინასწარვე ძალზედ ადვილად შეიძლება. საარჩევნო პროცესი თითქოსდა თავისთავად იწყება. მაგრამ უმრავლეს შემთხვევებში, არჩევნების ამგვარი, წინასწარ ზუსტად დადგენილი თარიღი არაა და მოითხოვს სპეციალური აქტის გამოცემას, რომელიც არჩევნების თარიღს აწესებს. აუცილებელია იმის განსაზღვრაც თუ ვის აქვს არჩევნების დანიშვნის უფლება.

მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკის 1992 წლის კონსტიტუციის მე-17 მუხლმა დაადგინა, რომ პარლამენტის ორივე პალატის არჩევნები უნდა ჩატარდეს პარლამენტის უფლებამოსილების გასვლის უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. თუ ქვედა პალატა დათხოვნილ იქნა, არჩევნები ტარდება მისი დათხოვნიდან 60 დღის განმავლობაში. აქ, ამრიგად, საარჩევნო კამპანიის მაქსიმალური ხანგრძლივობაცაა განსაზღვრული. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ვინმემ უნდა დაადგინოს ზუსტი თარიღი. კონსტიტუციურად ეს უფლებამოსილება პრეზიდენტს ეკუთვნის.

ჩეხეთის პრეზიდენტს ირჩევენ პარლამენტის ორივე პალატის ერთობლივ სხდომაზე და ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს მოქმედი

პრეზიდენტის უფლებამოსილების უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, ხოლო თუკი პრეზიდენტის თანამდებობა ვადაზე ადრე გათავისუფლდა, მაშინ არჩევნები იმართება გათავისუფლებიდან 30 დღის განმავლობაში. ჩეხეთის კონსტიტუციაში ამის თაობაზე მეტი არაფერი წერია. იგულისხმება, რომ არჩევნების თარიღს ნიშნავს პარლამენტი.

არჩევნების დანიშვნის ამგვარი წესი საკმაოდ ხშირად გვხვდება.

მრავალ ქვეყანაში საყოველთაო არჩევნები ტარდება მხოლოდ არასამუშაო დღეებში. მაგალითად, ავსტრიაში პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნები უნდა ჩატარდეს კვირას ან ნებისმიერ დასვენების დღეს. აშშ-ში, როგორც ვნახეთ, საყოველთაო არჩევნების დღე სამშაბათია. ასეთი სხვაობა განპირობებულია განსხვავებული მიდგომით არჩევნების თავისუფლების პრინციპისადმი. ავსტრიის კონსტიტუციით ამ ქვეყნის მხარეებს უფლება აქვთ შემოიღონ სავალდებულო ვოტუმი და, მაშასადამე, უნდა უზრუნველყონ მაქსიმალურად კარგი პირობები ხმის უფლების რეალიზებისათვის. აშშ-ში კი ემყარებიან იმ პრინციპს, რომ არჩევნებში მონაწილეობა თავად ამომრჩევლის პირად საქმეს წარმოადგენს. ამდენად, თუკი მას მოუნდება ხმის მიცემაში მონაწილეობის მიღება, იგი ამისათვის დროს სამუშაო დღესაც გამონახავს. თუმცა, არჩევნების აუცილებელი დანიშვნა არასამუშაო დღეს გვხვდება იმ ქვეყნებშიც, სადაც ამომრჩევლებს არანაირად არ აიძულებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

საარჩევნო ინფრასტრუქტურის შექმნა. საარჩევნო ინფრასტრუქტურის შექმნა მოიცავს ორ სტადიას: საარჩევნო ოლქების შექმნას და საარჩევნო ორგანოების ფორმირებას. საარჩევნო ოლქების შექმნა საარჩევნო პროცესის უმნიშვნელოვანესი სტადიაა.

საარჩევნო ოლქები ტერიტორიული ერთეულებია, რომლებშიც გაერთიანებულია ამომრჩევლები სახელმწიფოს წარმომადგენლობით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დეპუტატების ასარჩევად. საარჩევნო ოლქები შეიძლება სპეციალურად შეიქმნას, მაგრამ არცთუ იშვიათად საარჩევნო ოლქების სახით გამოიყენება ქვეყნის არსებული პოლიტიკურ-ტერიტორიული დაყოფა. იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო ოლქები არ იქმნება, მთელი ქვეყანა წარმოადგენს ერთიან საარჩევნო ოლქს.

საარჩევნო ოლქები — საარჩევნო ერთეულების ყველაზე გავრცელებულ სახესხვაობას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში თუ წარმომადგენლობითი ორგანოები ყალიბდება არა ტერიტორიული, არამედ რაიმე

სხვა პრინციპის მიხედვით, საარჩევნო ერთეულების სახით შეიძლება გამოვიდეს ამომრჩეველთა სხვა სახის გაერთიანებანი. მაგალითად, ზოგიერთ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში ასეთი გაერთიანებების სახით ხშირად გამოდიოდნენ „შრომითი კოლექტივები“.

მსოფლიო პოლიტიკური პრაქტიკის განზოგადების შედეგად ჩამოყალიბდა ცოდნის სისტემა დემოკრატიული საარჩევნო სისტემის ძირითადი ელემენტებისა და კრიტერიუმების შესახებ. ოპტიმალურადაა აღიარებული არჩევნების ორგანიზება საარჩევნო ოლქების ან ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. წარმომადგენლობა გვარებისაგან, ტომებისა ან საწარმოო კოლექტივებისაგან არადემოკრატიულია, რადგანაც მრავალ იერარქს (ტომის ბელადი, საწარმოს მესაკუთრე ან ხელმძღვანელი) უნარჩუნდება შესაძლებლობა განსაზღვროს წარმომადგენლობის შედეგები.

საარჩევნო ოლქები უნდა შედგებოდეს ამომრჩეველთა თანაბარი რიცხვისაგან. თუ ოლქები ჩამოყალიბდებოდა მცხოვრებთა თანაბარი რიცხვის მიხედვით, მაშინ უპირატესობას მოიპოვებდა ის ოლქები, სადაც მრავალშვილიანი მოსახლეობაა. ჩვენ დროში ასეთია სოფლის რაიონები, სადაც ნაკლებია განათლების დონე, პოლიტიკური აქტიურობა და კანდიდატების შერჩევის შესაძლებლობები.

საარჩევნო ოლქებად ტერიტორიის დაყოფის წესს ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამაზე შეიძლება დამოკიდებული აღმოჩნდეს არჩევნების შედეგები. ამიტომ, ჩვეულებრივ, ამ წესს ადგენს კანონი, ზოგჯერ კი მისი ძირითადი პრინციპები კონსტიტუციაშიც შეაქვთ.

მაგალითად, ბელგიის 1831 წ. კონსტიტუციის თანახმად, ყოველი საარჩევნო ოლქიდან პარლამენტის წარმომადგენელთა პალატაში დეპუტატთა არჩევა ხდება მისი მოსახლეობის პროპორციულად. ამისათვის ქვეყნის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყოფა 212-ზე (ადგილების საერთო რაოდენობა ქვედა პალატაში), რითაც განისაზღვრება ეროვნული გამყოფი, შემდეგ კი ამ უკანასკნელის საშუალებით დგინდება, თუ რამდენი პარლამენტარი უნდა აირჩიონ თითოეული ოლქიდან. ადგილების გადანაწილება ხდება ყოველ 10 წელიწადში მოსახლეობის აღწერასთან ერთად. აღწერის შედეგები ქვეყნდება 6 თვის განმავლობაში, ხოლო კიდევ სამი თვის განმავლობაში უნდა განისაზღვროს საარჩევნო ოლქებს შორის ადგილების ახალი გადანაწილება. ამასთან ახალი გადანაწილება დასაშვებია მხოლოდ მომავალი საყოველთაო არჩევნებისათვის (ანუ ნაწი-

ლობრივი არჩევნები ტარდება ძველი საარჩევნო ოლქების მიხედვით). საარჩევნო ოლქების რაოდენობასა და საზღვრებს განსაზღვრავს კანონი, რომელმაც საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებისათვის უნდა უზრუნველყოს აუცილებელი პირობების თანასწორობა.

დიდ ბრიტანეთში საარჩევნო ოლქების საზღვრები გადაისინჯება ყოველ 15 წელიწადში. შესაბამის წინადადებებს შეიმუშავებს კომისია, რომელსაც სათავეში უდგას თემთა პალატის თავმჯდომარე. ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს ტერიტორიული ერთეულების საზღვრები და ოლქები „შედარებადი უნდა იყოს დემოგრაფიული თვალსაზრისით".

იმისდა მიხედვით, თუ რამდენი დეპუტატი აირჩევა მოცემულ საარჩევნო ოლქში, საარჩევნო ოლქებია:

1. ერთმანდატიანი (უნინომინალური) საარჩევნო ოლქი — აირჩევა ერთი დეპუტატი. ერთმანდატიანი ოლქები დამახასიათებელია მაჟორიტარული სისტემის მქონე ქვეყნებისათვის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ინდოეთი და სხვა)

2. მრავალმანდატიანი (პოლინომინალური) საარჩევნო ოლქი — იქიდან აირჩევა რამდენიმე დეპუტატი. ასეთი ოლქები ახასიათებს პროპორციულ საარჩევნო სისტემას (ფინეთი, შვეცია, ჰოლანდია, ნორვეგია);

3. ერთიანი ოლქი — ესაა ოლქის იშვიათი სახეობა, როდესაც იგი ქვეყნის საზღვრებს ემთხვევა. ერთიან ოლქში ერთბაშად ყველა დეპუტატი აირჩევა. ერთიანი ოლქი ჩვეულებრივ გამოიყენება ორ შემთხვევაში: პროპორციული საარჩევნო სისტემის და შედარებით პატარა ქვეყნის პირობებში. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება ისრაელი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, გაბონი, მალავი. ერთიანი ოლქის მიხედვით ტარდება სენატის არჩევნები ურუგვაიში და ა.შ.

პრინციპში, საარჩევნო ოლქები ისე უნდა გამოიჭრას, რომ უზრუნველყოს ამომრჩეველთა ხმების „თანაბარი წონა". ეს ნიშნავს, რომ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები ისე იქმნება, რომ თითოეულ მათგანში მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით თანაბარი იყოს. მაგრამ იმის გამო, რომ მოსახლეობის თანასწორობის პირობებში, შესაძლოა, ამომრჩეველთა რაოდენობა მკვეთრად განსხვავდებოდეს, ამიტომ ზოგჯერ წარმომადგენლობის ნორმის სახით იღებენ ამომრჩეველთა რაოდენობას. მაგრამ ამ გზას მაინც იშვიათად მიმართავენ: დეპუტატი წარმოადგენს არა მარტო თავის ამომრჩევლებს, არამედ თავისი საარჩევნო ოლქის მთელ მოსახლეობას.

რაც შეეხება მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებს, თუ თითოეულ მათგანში მანდატების რაოდენობა თანაბარია, მაშინ ასეთი

ოლქებიც მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით დაახლოებით თანაბარი უნდა იყოს. ჩვეულებრივ, მრავალმანდატიან ოლქებში მანდატების რაოდენობა განსხვავებულია — იმის მიხედვით, თუ რამდენს შეადგენს თითოეული მათგანის მოსახლეობა.

ზოგჯერ გვხვდება შემთხვევები, როდესაც წარმომადგენლობის ერთიანი ნორმა შეგნებულად მახინჯდება. თუ ოლქები ერთმანდატიანია, ზოგი შეიძლება სხვებზე გაცილებით დიდი აღმოჩნდეს. ეს შესაბამისად ზრდის პატარა ოლქების ამომრჩევლების ხმების „წონას" და ამცირებს დიდი ოლქებისას. როგორც უკვე ითქვა, ამ მეთოდს „საარჩევნო გეომეტრია" ანუ „ჯერიმენდერინგი" ეწოდება.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრდა საარჩევნო ოლქების ჩამოყალიბების შემდეგი უნივერსალური სტანდარტები:

• საარჩევნო ოლქები დაახლოებით ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს იქ მცხოვრებ ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით (ჩვეულებრივ დაიშვება 10—15%-იანი გადახრა; ყველაზე დიდ სხვაობას დასაშვებად მიიჩნევს გერმანიის კანონმდებლობა — 33,3%-ს);

• საარჩევნო ოლქი უნდა წარმოადგენდეს ერთიან მთლიან ტერიტორიას;

• საარჩევნო ოლქები უნდა შეიქმნას პროვინციების (შტატების, მიწების) ფარგლებში (ე.ი. დაუშვებელია, რომ ოლქის ერთი ნაწილი იყოს ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში, მეორე ნაწილი კი სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში.

• ყოველ პროვინციაში ოლქების რაოდენობა მისი მოსახლეობის პროპორციული უნდა იყოს.

იმისათვის, რომ ოლქები არ ჩამოაყალიბონ ამა თუ იმ პარტიის მომხრეებმა (რითაც ბოროტად ისარგებლებენ), ამ საქმის ორგანიზება ევალებათ პარტიისაგან დამოუკიდებელ ორგანოებს (სპეციალურ კომისიებს, მეფეს და ა.შ.).

ჩვეულებრივ, შექმნილი ოლქები უცვლელად ფუნქციონირებს რამდენიმე არჩევნების განმავლობაში, მაგრამ ოლქების საზღვრები დადგენილ ვადებში უნდა პერიოდულად გადაისინჯოს (აშშ-ში და ბელგიაში — 10 წელიწადში ერთხელ, გერმანიაში — 15 წელიწადში ერთხელ). ეს კეთდება შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე:

— დეპუტატი რომ არ „მიეზარდოს" საარჩევნო ოლქს.. შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე დეპუტატს მუდმივად ირჩევდნენ ამა თუ იმ ოლქში და მან შეიძლება შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც სხვა კანდიდატების ბლოკირებას მოახდენს;

— გასათვალისწინებელია მოსახლეობის რაოდენობაში მომხდარი ცვლილებები. ზოგიერთ ოლქში მოსახლეობა სხვა ოლქებთან შედარებით შეიძლება უფრო მეტად გაიზარდოს.

მას შემდეგ რაც შეიქმნება საარჩევნო ოლქები, ისინი იყოფა უფრო მცირე ერთეულებად — საარჩევნო უბნებად. ისინი ჩვეულებრივ მოიცავენ ქალაქის მიკროორაიონის ან სოფლად რამდენიმე დასახლებული პუნქტის ტერიტორიას. საარჩევნო უბანს აქვს ხმის მიცემის საერთო ადგილი მის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლებისათვის. საარჩევნო უბანი საარჩევნო ინფრასტრუქტურის პირველად რგოლს წარმოადგენს. **საარჩევნო უბანი** ტერიტორიული ერთეულია, რომელსაც ემსახურება ხმის მისაცემი ერთი პუნქტი. როგორც წესი, ასეთი პუნქტები ეწყობა სკოლებში, სპორტულ დარბაზებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში. ეს ბუნებრივად ჩამოყალიბებული ტრადიციაა.

§ 3. საარჩევნო ორგანოები და ამომრჩეველთა რეგისტრაცია

საარჩევნო ორგანოების სახეები. არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას უშუალოდ ახორციელებს საარჩევნო ორგანოები. არსებობს საარჩევნო ორგანოების სამი სახე:

- ორგანოები, რომლებიც სპეციალურად არჩევნებისათვის იქმნება;
- ორგანოები, რომლებიც მუდმივად ფუნქციონირებს (ჩვეულებრივ, ესაა ცენტრალური საარჩევნო კომისია);
- ორგანოები, რომელთაც არჩევნების ორგანიზება და ჩატარება თანამდებობრივად ევალებათ (მაგალითად, ბელგიაში ეს მოსამართლეებს ევალებათ).

საარჩევნო ორგანოებს (კომისიებს, ბიუროებს, პრეზიდიუმებს და ა.შ.) მთელი საარჩევნო პროცესის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა ეკისრება. მსოფლიო პრაქტიკაში არჩევნების ორგანიზაციის ყველაზე გავრცელებულ ორგანოს საარჩევნო კომისია წარმოადგენს. კომისია შეიძლება იყოს:

— ტერიტორიული, ცენტრალურის ჩათვლით, რომლის სისტემაც ემყარება სახელმწიფოს პოლიტიკურ-ტერიტორიულ მოწყობას;

— საოლქო, რომელიც მოქმედებს საარჩევნო ოლქებში იმ შემთხვევებში, თუ საარჩევნო ოლქები არ ემთხვევა პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულებს;

— საუბნო, რომელიც მოქმედებს საარჩევნო უბნებში.

საუბნო საარჩევნო ორგანოები ჩვეულებრივ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა რეგისტრაციას, ანდა ახდენს საარჩევნო სიების კორექტირებას, ორგანიზებას უწევს ხმის მიცემას და განსაზღვრავს მის შედეგებს საარჩევნო უბნის მიხედვით. საოლქო საარჩევნო ორგანოები აღრიცხავს წამოყენებულ კანდიდატებს, უზრუნველყოფს წინასაარჩევნო კამპანიის ნორმალურ მსვლელობას და განსაზღვრავს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქში. ტერიტორიული საარჩევნო ორგანოები, საოლქო ორგანოების არსებობის შემთხვევაში, განაზოგადებს და აქვეყნებს არჩევნების შედეგებს შესაბამისი ტერიტორიის მიხედვით, ხოლო საოლქო საარჩევნო ორგანოების არარსებობის შემთხვევაში ასრულებს მათ ფუნქციებსაც.

როგორც წესი, საარჩევნო ორგანოების ხელმძღვანელობა ან მთელი შემადგენლობა სახელმწიფო აპარატის გარკვეული თანამდებობის პირებისაგან კომპლექტდება. საარჩევნო კომისიების წევრები, როგორც წესი, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირები არიან. ჩვეულებრივ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავჯდომარესა და წევრებს პარლამენტი (ან პრეზიდენტი) ნიშნავს და ისინი მუდმივად მუშაობენ.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია. ამომრჩეველთა რეგისტრაცია აუცილებელი პირობაა ამომრჩევლის მიერ თავისი ხმის უფლების განსახორციელებლად, რაც ნიშნავს იმას, რომ ამომრჩევლის ვინაობა ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ. მხოლოდ ამ საფუძველზე ხდება მისი დაშვება ხმის მისაცემად.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის დანიშნულებაა — არჩევნებამდე დაადგინოს ხმის უფლების მქონე პირის ვინაობა ისე, რომ მხოლოდ ამ ადამიანს შეეძლოს საარჩევნო ბიულეტენის მიღება.რეგისტრაცია ხორციელდება როგორც საარჩევნო უბნების ტერიტორიაზე, ისე მთლიანად ქვეყანაში. ამომრჩეველთა რეგისტრაციის მიზნებია:

- ზუსტად განსაზღვროს ამომრჩეველთა რაოდენობა მთლიანად ქვეყანაში და ცალკეულ ოლქებში, რათა შესაძლებელი იყოს ხმების დათვლა და კვორუმის განსაზღვრა;
- ამომრჩეველთა რაოდენობის მონაცემების საფუძველზე იბეჭდება ბიულეტენების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ოლქებსა და უბნებში ვრცელდება;
- ამომრჩეველთა სიაში შესულ მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს ბიულეტენი საარჩევნო უბანში და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.

იმისდა მიხედვით, თუ ვის ეკისრება რეგისტრაციის ტვირთი, ეს ითვლება საჯარო (სავალდებულო) ან პირად (ნებაყოფლობით) საქმედ.

პირველ სისტემას შეიძლება ჰქონდეს ორი სახესხვაობა. ერთი მათგანი გამოიყენება გერმანიაში, შვეიცარიაში, სადაც ხდება მოსახლეობისა და მისი გადაადგილების აღრიცხვა, ხოლო საჯარო ხელისუფლებამ იცის მის გამგებლობაში მცხოვრები მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ.

დიდ ბრიტანეთსა და კანადაში, სადაც არ არსებობს მოსახლეობის მიგრაციის მკაცრი რეგისტრაცია, გამოიყენება სხვა მეთოდი. კანადაში ამომრჩეველთა სიას ადგენენ ყოველი არჩევნების წინ, ოფიციალური თანამდებობის პირის მიერ საცხოვრებელი ბინების შემოვლის გზით. დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველთა სიების შედგენა ყოველწლიურად ხდება და სიები 15 თებერვალს იხურება. ამის შემდეგ მისთვის ხელის ხლება არ შეიძლება. იმ პირებს, რომელთაც საცხოვრებელი ადგილი შეიცვალეს სიების დახურვის შემდეგ ხმის მიცემა შეუძლიათ მხოლოდ თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მეორე სისტემის მიხედვით, ამომრჩეველი თავად მიდის საბუთებით შესაბამის დაწესებულებაში და რეგისტრირდება არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი სისტემა დადგენილია აშშ-ში, საფრანგეთში (ფრანგი ამომრჩეველი კანონით ვალდებულია დარეგისტრირდეს, მაგრამ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა არ ისჯება). ამ სისტემის გამოყენებას შედეგად ის მოსდევს, რომ მრავალი ამომრჩეველი რეგისტრაციის გარეშე რჩება და იურიდიული საარჩევნო კორპუსი ზოგჯერ იმაზე გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე ეს კანონითაა გათვალისწინებული.

არასავალდებულო რეგისტრაციის სისტემას აქვს ორი სახესხვაობა: მუდმივი რეგისტრაცია და პერიოდული. მუდმივი რეგისტრაცია არსებობს აშშ-ის შტატების უმრავლესობაში. სიაში ერთხელ შეტანილი ამომრჩეველი იქ მთელი ცხოვრების მანძილზე რჩება — გარდაცვალებამდე, ანდა სანამ საცხოვრებლად სხვაგან არ გადავა.

პერიოდული რეგისტრაციის სისტემის დროს ძველი სიები დროდადრო ნადგურდება და მათ ნაცვლად ახლები დგება. განახლების პერიოდები შეიძლება სხვადასხვა იყოს — 2, 4, 6 წელი, ზოგჯერ 12 წელიც. დადგენილი დროითი შუალედის გასვლის შემდეგ ამომრჩეველმა ხელახლა უნდა გაიაროს რეგისტრაცია.

ამომრჩეველთა სიები. ამომრჩეველთა სიისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია. საფრანგეთში ამომრჩეველთა სია ქვეყნდება, ხოლო ყოველ ამომრჩეველს ეძლევა საარჩევნო ბარათი, რომელსაც იგი ხმის მიცემის დროს წარადგენს და აღნიშვნა უკეთდება. ესპანეთში კი აკრძალულია რაიმე ინფორმაციის გაცემა ამომრჩეველთა სიაში შეტანილ ამომრჩევლებზე, გარდა სასამართლო ორგანოების მოთხოვნისა. კანდიდატებს რეგისტრაციის დღეს ეძლევათ იმ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა სია, სადაც ისინი იყრიან კენჭს. თავად ამომრჩეველს კი ეძლევა საარჩევნო ბარათი. მასში შეტანილია ის მონაცემები, რაც ამ პიროვნების შესახებ დაფიქსირებულია ამომრჩეველთა სიაში.

მოქალაქეებისათვის ყველაზე მოსახერხებელია ცვალებადი სიები, ანუ სიები, რომელთაც ყოველი არჩევნების წინ ადგენენ. ამომრჩევლებს არანაირი პრობლემები არ ექმნებათ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ყოველი არჩევნების წინ მათთან მივლენ შესაბამისი ჩინოვნიკები, დააფიქსირებენ მას და შემდეგ გამოუგზავნიან უწყებას არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ეს სისტემა სამართლიანად ითვლება რეგისტრაციის ყველაზე მოხერხებულ და დემოკრატიულ სისტემად.

ზოგიერთ ქვეყანაში ამომრჩევლებს ეძლევათ სპეციალური ბარათი ან საარჩევნო მოწმობა. ბიულეტენის გაცემის შემდეგ იქ სვამენ შტამპს იმის აღსანიშნავად, რომ ამომრჩეველმა უკვე მისცა ხმა.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია შეიძლება იყოს:

- სავალდებულო (ამომრჩეველთა სიის შედგენა ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს ევალება) — შვედეთი, გერმანია, შვეიცარია და ა.შ.;
- ფიქსირებული (სიები დგება ერთი წლით ადრე, რის შემდეგაც მასში არჩევნებამდე ცვლილებების შეტანა არ შეიძლება) — დიდი ბრიტანეთი, კანადა;
- ნებაყოფლობითი — ამომრჩეველი თავად უნდა მივიდეს შესაბამის ორგანოში და დარეგისტრირდეს.

§ 4. კანდიდატების წამოყენება და საარჩევნოკამპანია

მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და არჩევნების ვადების ოფიციალურად დანიშვნის შემდეგ იწყება საარჩევნო კამპანია. თავად ეს ტერმინი გამოიყენება როგორც მთელი სახელმწიფოს, ისე

ცალკეული პარტიებისა და კანდიდატების მიმართ. პირველ შემთხვევაში საარჩევნო კამპანია ორგანიზაციული, პოლიტიკური, საინფორმაციო-პროპაგანდისტული და საგიტაციო ღონისძიებათა ერთობლიობაა სახელმწიფოში საარჩევნო პროცესის უშუალოდ უზრუნველყოფის მიზნით, მეორე შემთხვევაში — ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია კონკრეტული კანდიდატის ან პარტიის მიერ წარმატების მოსაპოვებლად.

კანდიდატების წამოყენების პროცედურა. საარჩევნო კამპანიის პირველი ნაბიჯია კანდიდატების ან პარტიების წამოყენება. ესაა საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი სტადია — განისაზღვრება იმ კანდიდატთა წრე, საიდანაც აირჩევა თანამდებობის პირები.

ჩვეულებრივ, შესაძლო კანდიდატების შესახებ ცნობილია არჩევნების გამოცხადებამდე დიდი ხნით ადრე (განსაკუთრებით ეს ითქმის საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ), მაგრამ კანდიდატების ოფიციალური წამოყენება და მათი რეგისტრაცია იწყება იმ დღიდან, რაც მითითებულია არჩევნების დანიშვნის აქტში ან საარჩევნო კანონში. კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ მას ნება ეძლევა გასწიოს წინასაარჩევნო აგიტაცია, მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის სახელმწიფოს მხრიდანაც.

კანდიდატებად აყენებენ პირებს, რომლებსაც პასიური საარჩევნო უფლება აქვთ, იმ მოთხოვნების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია მოცემული თანამდებობისათვის ან დეპუტატის მანდატისათვის.

არსებობს კანდიდატების წამოყენების შემდეგი ხერხები:

- თვითწამოყენება,
- ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ წამოყენება,
- პოლიტიკური პარტიების ან სხვა ორგანიზაციების მიერ წამოყენება.

ზოგჯერ ხდება ამ ხერხების შეხამება.

მრავალ ქვეყანაში დადგენილი წესის მიხედვით, წამოყენებულმა კანდიდატმა უნდა აჩვენოს, რომ გარკვეული საზოგადოებრივი მხარდაჭერა გააჩნია. ეს აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ მრავალი შემთხვევითი კანდიდატის გამოჩენა, რომელთაც არავინ იცნობს და რომლებიც საკუთარი თავის გარდა არავის წარმოადგენენ.

კანდიდატთა სიმრავლის პირობებში შეიძლება ისეც მოხდეს, რომ არჩევისათვის საკმარისი აღმოჩნდეს სულ რამდენიმე პროცენტი. მაგალითად, თუკი ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის სამ ათეულზე მეტი კანდიდატი, მაშინ თითოეულზე საშუალოდ ხმების

3% მოდის. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია ხმების 3,5% საკმარისი აღმოჩნდეს გამარჯვებისათვის.

ზოგიერთ ქვეყანაში „საარჩევნო ჭყლეტის" თავიდან ასაცილებლად კანონით იზღუდება იმ კანდიდატების რაოდენობა, რომლებიც კენჭს იყრიან რომელიმე საარჩევნო ოლქში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მათი რიცხვი ხუთს არ უნდა აღემატებოდეს. გარდა ამისა, ყოველ კანდიდატს შეაქვს საკმაოდ დიდი ფულადი საწინდარი. თუ კანდიდატი ვერ მოაგროვებს არჩევნებში მონაწილეთა ხმების მინიმუმ 5%-ს, მას ეს ფული არ დაუბრუნდება.

არსებობს კანდიდატების წამოყენებისა და რეგისტრაციის სხვადასხვა წესები:

— კანდიდატების წამოყენებას ახორციელებენ პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები პეტიციების გზით. რიგ ქვეყნებში პეტიციები ხელმოწერილი უნდა იყოს ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობის მიერ. მაგალითად, შვეიცარიაში საჭიროა 15 ამომრჩევლის ხელმოწერა.

— თავად კანდიდატის მიერ განცხადების წარმოდგენით, რომელსაც რიგ ქვეყნებში ამომრჩეველთა გარკვეულმა რაოდენობამაც უნდა მოაწეროს ხელი. ინგლისში ამისათვის საკმარისია 10 ხელმოწერა, გერმანიაში — 200 ხელმოწერა. ზოგჯერ აუცილებელია სარეგისტრაციო შენატანის ან ფულადი საწინდარის შეტანაც.

— კანდიდატების ავტომატური რეგისტრაცია, თუკი მათ უკვე უკავიათ მომავალ არჩევნებში სადავო პოსტი.

— კანდიდატების წამოყენება ხდება იმავე წესით, როგორითაც დეპუტატების არჩევა. ასეთ პროცედურას ეწოდება პრაიმერიზი ანუ პირველადი არჩევნები. პირველადი არჩევნების გზით შეიძლება განისაზღვროს ყველაზე პოპულარული კანდიდატები, რომლებიც შემდგომ გამოვლენ საერთო არჩევნებშიც. პრაიმერიზის სისტემა ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში. აქ კანდიდატების წამოყენება ხდება პარტიულ კრებებზე, ფარული ხმის მიცემის გზით. შემდეგ კი შტატებში არჩეული ამრჩევები ხმას აძლევენ პრეზიდენტობის წინასწარ გამოცხადებულ კანდიდატებს რესპუბლიკური ან დემოკრატიული პარტიიდან.

ყველაზე გავრცელებულია კანდიდატების წამოყენება პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, მოქალაქეთა ჯგუფების მიერ, რომელთაც გარკვეული რაოდენობის ხელმოწერები მოაგროვეს მათ მხარდასაჭერად. ხელმოწერათა რაოდენობა, რაც აუცილებელია კანდიდატის რეგისტრაციისათვის, დამოკიდებულია არჩევნების დონეზე (საპრეზიდენტო, საპარლამენტო, რეგიონული და

ა.შ.), აგრეთვე ქვეყნის საარჩევნო კანონის თავისებურებებზე. ზოგ ქვეყანაში საჭიროა მილიონი და მეტი ხელმოწერის მოგროვება, სხვაგან კი, მაგალითად დიდ ბრიტანეთში, კანდიდატის სახით დარეგისტრირებისათვის საკმარისია პირადი განცხადება, რამდენიმე ამომრჩევლის ხელმოწერით.

ხელმოწერათა დიდი რაოდენობა, აგრეთვე მათი შეკრების მოკლე ვადა სერიოზული დაბრკოლებაა პრეტენდენტებისათვის, რომლებიც მოსახლეობის ღარიბ ფენებს წარმოადგენენ და არა აქვთ დიდი ფინანსური, საინფორმაციო (მასმედია) და ორგანიზაციული (პარტიების ან სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერა) რესურსები. ამიტომ არჩევნების დემოკრატიზმის უზრუნველსაყოფად კანდიდატების წამოყენების პროცედურა არ უნდა იყოს უაღრესად რთული და ძვირი და იმავდროულად უნდა იცავდეს საარჩევნო კომისიას ისეთი პრეტენდენტებისაგან, რომლებიც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მხარდაჭერით არ სარგებლობენ. დეპუტატობის პრეტენდენტთა ძალზედ დიდმა რიცხვმა შეიძლება გააძნელოს არჩევნების ჩატარება, მოახდინოს ამომრჩეველთა დეზორიენტირება და სახელმწიფოს მხრიდან დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს.

თავისუფალი არჩევნების საერთაშორისო აღიარებული ნორმები დასაშვებად მიიჩნევს კანდიდატებისათვის შეზღუდვების დაწესებას მხოლოდ მოქალაქეობის, ასაკის, ქვეყანაში ცხოვრების ვადის, სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ნასამართლობის, ფიზიკური და ფსიქიკური არასრულფასოვნებისათვის.

განასხვავებენ კანდიდატების წამოყენების ფორმალურ და ფაქტობრივ წესებს. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის მიხედვით, კანდიდატი თავის კანდიდატურას დამოუკიდებლად აყენებს და მას 10 ამომრჩევლის ხელმოწერა სჭირდება. მაგრამ ფაქტობრივად დიდი ბრიტანეთის პარლამენტში კანდიდატების წამოყენება პოლიტიკური პარტიების მიერ ხდება. ისინი ყოველ საარჩევნო ოლქში ახდენენ თავიანთი კანდიდატების სანქცირებას და რეგისტრირებას. ამიტომ ერთი მხრივ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობს პარტიის მიერ კანდიდატების წამოყენება, მეორე მხრივ კანდიდატს თავად შეაქვს განცხადება კანდიდატად რეგისტრირების თაობაზე ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობის ხელმოწერების დართვით. მაგრამ თუკი მას პარტია არ უჭერს მხარს, იგი რეგისტრირებული იქნება როგორც უპარტიო კანდიდატი.

ზოგიერთ ქვეყანაში პარტიული კანდიდატები შეირჩევა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მიერ. ამ მიზნით იწვევენ

პარტიულ კრებებს, კონფერენციებს და ყრილობებსაც კი. შეიძლება ეს პროცედურა გარკვეულწილად ფორმალურ ხასიათსაც ატარებდეს, მაგრამ ამის გარეშე იგი საარჩევნო ბიულეტენში ვერ მოხვდება პარტიული კანდიდატის სტატუსით.

საარჩევნო საწინდარი. როგორც უკვე ითქვა, რიგ ქვეყნებში კანდიდატებისათვის წესდება **საარჩევნო საწინდარი (გირაო)** — ესაა თანხის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც მომავალ კანდიდატს შეაქვს ბანკში გარკვეულ ანგარიშზე და საარჩევნო ორგანოში უნდა მიიტანოს შესაბამისი ცნობა. საარჩევნო საწინდარი XIX საუკუნეში ქონებრივი ცენზის სახესხვაობა იყო. დღეისათვის ეს უფრო კანდიდატების პასუხისმგებლობის ზრდას უწყობს ხელს. იმ ქვეყნებში, სადაც ადვილია კანდიდატის რეგისტრირება, შესაძლებელია არჩევნებისადმი არასერიოზული დამოკიდებულების გამოვლენის შემთხვევებიც. მაგალითად, 10-15 ხელმოწერის შეგროვება ვიღაცამ შეიძლება „გართობის მიზნითაც" სცადოს. საარჩევნო საწინდარი აქ კანდიდატის განზრახვის სერიოზულობის შემოწმებაა.

1975 წლიდან საარჩევნო საწინდარი დიდ ბრიტანეთში 500 გირვანქა სტერლინგს შეადგენს, კანადაში — 200 კანადურ დოლარს. იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატისათვის ეს თანხა 1 მლნ იენია. თავდები ან თავად კანდიდატმა უნდა შეიტანოს, ან მისმა მხარდამჭერმა პარტიამ.

საარჩევნო საწინდარი არსებობს ინდოეთში, საფრანგეთში, ტაილანდში, ირლანდიაში და სხვა ქვეყნებში. ზოგიერთი ქვეყნისთვის (აშშ, გერმანია და სხვა) კი ამგვარი ნორმა სრულიად უცნობია. ეს აიხსნება იმით, რომ ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა არჩევნებისადმი სერიოზული დამოკიდებულების ტრადიცია და გარდა ამისა, არჩევნები იქ იმდენად ძვირად ღირებული სიამოვნებაა, კანდიდატის წამოყენება იმდენად გართულებულია, რომ ფულადი საწინდარის საჭიროება არ არსებობს.

რა ბედი ეწევა საწინდარში შეტანილ ფულს? ქვეყნების უმრავლესობაში, თუკი კანდიდატი მოახერხებს ხმების გარკვეული მინიმუმის მოგროვებას (ვთქვათ 5%-ს), მას ეს თანხა უკან უბრუნდება. დიდ ბრიტანეთში ამისათვის საჭიროა ხმების 12,5%-ის მოგროვება.

მოთხოვნები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი. რეგისტრაციისათვის კანდიდატი უნდა პასუხობდეს არჩევითობის პრინციპებს (იყოს მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე,

იყოს გარკვეული ასაკის, რაიმე მიზეზის გამო არ იყოს უფლებებით შეზღუდული) და არ ეკავოს ისეთი თანამდებობა, რაც შეუთავსებელია არჩევითი ორგანოს წევრობასთან

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სხვა სახის მოთხოვნებიც, რომელთაც კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში კანდიდატი აუცილებლად ნამსახურევი უნდა იყოს არმიაში (კვიპროსი, საფრანგეთი, თურქეთი). დიდ ბრიტანეთში პარლამენტარობის კანდიდატი ან უნდა ცხოვრობდეს იმ ოლქში, სადაც კენჭს იყრის, ან იქ მუშაობდეს, ან ადგილობრივ გადასახადებს იხდიდეს. ზოგიერთ ქვეყანაში არის რელიგიურ კუთვნილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. მაგალითად, ალჟირის პრეზიდენტობის კანდიდატმა სპეციალური ვალდებულება უნდა აიღოს სახელმწიფო რელიგიის — ისლამის პატივისცემისა და მასზე მზრუნველობის შესახებ.

განსაკუთრებული მოთხოვნები არსებობს ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე — პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევად წამოყენებული კანდიდატისათვის. მაგალითად, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებას ხელი უნდა მოაწეროს არა ნაკლებ 500 თანამდებობის პირმა: მათ შორის უნდა იყვნენ პარლამენტის და ეკონომიკური საბჭოს წევრები, მუნიციპალური საბჭოების წევრები. ეს პირები უნდა წარმოადგენდნენ, სულ მცირე, 30 დეპარტამენტს ან ზღვისიქითა ტერიტორიას. გარდა ამისა, დეპუტატმა უნდა შეიტანოს საწინდარი — 10 ათასი ფრანკის ეკვივალენტი.

აშშ-ში ოფიციალური კანდიდატი პრეზიდენტის თანამდებობაზე შეიძლება იყოს პიროვნება, რომელიც წამოაყენა რესპუბლიკური ან დემოკრატიული პარტიის ეროვნულმა ყრილობამ. არის მეორე ვარიანტიც — საჭირო ხმების გარკვეული მინიმალური რაოდენობის მოგროვება ყველა 50 შტატში.

კანდიდატების წამოყენების სტადია უშუალოდ განაპირობებს ელექტორატული არჩევანის შესაძლებლობებსა და დიაპაზონს. ისტორიამ, მათ შორის პოსტსაბჭოური პერიოდის ისტორიამაც მრავალი მაგალითი იცის იმისა, რომ ხდებოდა არასასურველი კანდიდატების დაბლოკვა ჯერ კიდევ წამოყენების სტადიაზე, საარჩევნო სიებში კი ტოვებდნენ „თავის ხალხს“. ასეთ შემთხვევაში იქმნება არჩევანის ილუზია, ხოლო ხალხის ნების გამოხატვა ფარსად იქცევა.

პირი, რომელიც აუცილებელ პირობებს ღებულობს, დააკმაყოფილებს კანდიდატის ოფიციალურ სტატუსს ან შესაბამისი საარჩევნო ოლქის მიერ რეგისტრაციის მომენტიდან ან კანდიდატურის დასახელების მომენტიდან.

მრავალ ქვეყანაში კანონი უფლებას არ იძლევა, რომ ერთ ადგილზე მხოლოდ ერთი კანდიდატი იყრიდეს კენჭს: ამ შემთხვევაში არ არსებობს არჩევანი. კანდიდატების წამოყენების კადა შეიძლება გააგრძელოს საარჩევნო კომისიამ. დიდ ბრიტანეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში შესაძლებელია ერთი კანდიდატის არსებობა ერთ ადგილზე, მაგრამ ამ შემთხვევაში არჩევნები მოცემულ საარჩევნო ოლქში არ ტარდება. კანდიდატების რეგისტრაციის ვადის დამთავრების შემდეგ წამოყენებული კანდიდატი არჩეულად ცხადდება ხმის მიცემის გარეშე. ინდოეთის პარლამენტში ჩატარებული ზოგიერთი არჩევნების დროს ყოფილა შემთხვევები, რომ ამ წესით რამდენიმე ადამიანი აურჩევიათ. აფრიკის ქვეყნებში, სადაც ერთპარტიული სისტემა არსებობს, ამ გზით „აირჩიეს" რამდენიმე პრეზიდენტი.

წინასაარჩევნო კამპანია. კანდიდატების წამოყენება მათი რეგისტრაციით მთავრდება, რის შემდეგაც იწყება სააგიტაციო (წინასაარჩევნო) კამპანია. წინასაარჩევნო აგიტაცია მიმდინარეობს შემდეგი ფორმებით:

- კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან;
- კანდიდატების, მათი მომხრეების, ოპონენტების გამოსვლა რადიოთი, ტელევიზიით, პრესით;
- ტელედებატები კანდიდატებს შორის;
- მიტინგები;
- პიკეტირება;
- ბეჭდური პროდუქციის (ფურცლების, პლაკატების, წერილების) გავრცელება და ა.შ.

ამ სტადიაზე კონკურენტი პარტიები და კანდიდატები მაქსიმალურად აქტიურობენ, ისინი ყველანაირად ცდილობენ დაარწმუნონ ამომრჩევლები თავიანთ უპირატესობაში მასმედიის საშუალებების, რეკლამის, თვალსაჩინო აგიტაციის, ამომრჩევლებთან უშუალოდ კანდიდატის და მისი ნდობით აღჭურვილი პირების კონტაქტით. სააგიტაციო კამპანია დიდ ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველთა გადაწყვეტილებაზე, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პრეტენდენტთა წარმატებას ან წარუმატებლობას. ამიტომ მის ორგანიზაციასა და ჩატარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

კანდიდატის (პარტიის) საარჩევნო კამპანიის წარმართვისა და უმთავრესად მისი სააგიტაციო ეტაპისათვის იქმნება სპეციალური შტაბი, რომელშიც ჩვეულებრივ შედიან მთავარი განმკარგულებელი, ფინანსური აგენტი, პრესმდივანი, პოლიტიკური ორგანიზატორი,

კამპანიის გრაფიკის კოორდინატორი, ტექნიკური მდივანი და თანაშემწეები. შტაბთან მჭიდრო კავშირში არიან ნდობით აღჭურვილი პირები, კანდიდატის მხარდამჭერი ჯგუფი, სოციალურ-პოლიტიკური უზრუნველყოფის ჯგუფი, რომლებიც პროფესიონალი პოლიტოლოგების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, იურისტებისა და იმიჯმეიკერებისგან შედგებიან, აგრეთვე მოხალისეები და აგიტატორები, კამპანიის სპონსორები და ზოგიერთი სხვა მისი აქტიური მონაწილე.

თანამედროვე სააგიტაციო კამპანიები ჩვეულებრივ მეცნიერული რეკომენდაციებისა და შემუშავებული გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს. გეგმა მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი და შეფასება, კანდიდატის სუსტი ადგილების განსაზღვრა, კამპანიის სტრატეგია, ტაქტიკა და გრაფიკი, მისი მართვის სტრუქტურა და ბიუჯეტი.

ნებისმიერი არჩევნები მოითხოვს არცთუ მცირე რესურსებს:

- მატერიალურს (ფული, შენობები, ტექნიკა და ა.შ.);
- დროითს (არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის აუცილებელი და პერსონალის სწავლებისა და საარჩევნო მასალების მომზადებისათვის საჭირო დრო, სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრისათვის, მატერიალური თანხების თავმოყრისა და თავად კანდიდატის დრო, რაც საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად ესაჭიროება და ა.შ.);
- ადამიანურს (საარჩევნო კამპანიაში მონაწილე ადამიანები)

ასეთი რესურსების გარეშე არჩევნები ან საერთოდ არ შედგება, ან უპირატესობას მისცემს მათ, ვისაც ელექტორალური რესურსები აქვთ: მმართველი დაჯგუფების წარმომადგენლებს, კაპიტალისა და მასმედიის საშუალებების მფლობელებს და ა.შ.

ამომრჩეველზე საინფორმაციო იერიშის შესაზღუდად და იმისათვის, რომ მას თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მიეცეს, მრავალ ქვეყანაში წინასაარჩევნო აგიტაცია შეზღუდულია ხმის მიცემის დღეს ან მთავრდება ერთი დღით ადრე.

§ 5. არჩევნების დაფინანსების საკითხები

საარჩევნო კამპანიების ღირებულების ზრდის მიზეზები. საარჩევნო კამპანია ყველგან სულ უფრო და უფრო ძვირადღირებული ღონისძიება ხდება. ამას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები

განაპირობებს. მაგალითად, თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის გამო გაძვირება ობიექტურ ხასიათს ატარებს. არჩევნები წარმოუდგენელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გარეშე, მას კი სულ უფრო მეტი თანხა ესაჭიროება.

ობიექტურის გარდა, არსებობს სოციალურ-პოლიტიკური მიზეზებიც. პოლიტიკა თავად იქცევა ბიზნესის სფეროდ. პოლიტიკურ თანამდებობებს შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მოტანა: სახელმწიფო შეკვეთები და საგადასახადო შეღავათები და ა.შ. ეს პოლიტიკაში გარდაუვალად იზიდავს ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებიც ცდილობენ პოლიტიკური „სახურავის" უზრუნველყოფას.

სულ უფრო მეტი თანხები სჭირდება უშუალოდ საარჩევნო კამპანიის ჩატარებას, საზოგადოებრივი აზრის შესწავლასა და მონაცემების ანალიზს, საარჩევნო რეკლამას. ყველაფერი ეს მილიონები ჯდება.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წყაროები. საარჩევნო კამპანიისათვის აუცილებელი თანხები რამდენიმე ძირითადი წყაროდან გროვდება:

- კანდიდატს შეუძლია თავისი საკუთარი ფულის დახარჯვა;
- საარჩევნო კამპანიის დაფინანსება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან;
- შემოწირულობები — ფული, რომელსაც იღებენ კერძო პირების, ფირმების, ბანკებისგან და ა.შ.
- პოლიტიკური პარტიებისგან მიღებული ფული.

უკანასკნელად დასახელებულ წყაროს ზოგჯერ ცალკე არ გამოყოფენ, რადგანაც პარტიების ფული, იგივე შემოწირულობით შეგროვილი ფულია (პარტიების უმრავლესობას არც საწევრო გადასახადები აქვს და არც საწარმოები, რაიმე სხვა სახის შემოსავლის მისაღებად).

რაც შეეხება საკუთარი სახსრებიდან არჩევნების დაფინანსებას, რიგ ქვეყნებში არაერთგზის უცდიათ მათი შეზღუდვა. მაგალითად, 1974 წელს აშშ კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც კონგრესმენობის კანდიდატებს თავისი ფულიდან შეიძლება დაეხარჯათ არა უმეტეს 25 ათასი დოლარისა, ხოლო სენატორობის კანდიდატებს — არა უმეტეს 35 ათასი დოლარისა. ამერიკელთა უმრავლესობამ ეს აღიქვა, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა. აღიძრა სასამართლო საქმეები და საბოლოო ჯამში, აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ იგი გააუქმა, როგორც არაკონსტიტუციური.

ყოველ ამერიკულ საარჩევნო კამპანიაზე, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, იხარჯება უზარმაზარი თანხა. სხვადასხვა

გამოთვლებით, სენატში არჩევა, როგორც მინიმუმი, 5 მლნ დოლარი ჯდება. წარმომადგენელთა პალატაში ასარჩევად — ოდნავ ნაკლები. ამ ციფრებთან შედარებით 25—35 ათასდოლარიანი ლიმიტების დაწესება არასერიოზულად გამოიყურებოდა.

ბევრ ქვეყანაში არჩევნების სახელმწიფო სუბსიდირება არსებობს (გფრ, სკანდინავიის ქვეყნები; წინასაარჩევნო ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურების სისტემა არსებობს აშშ-შიც). ერთი მხრივ, ეს სისტემა მიმზიდველია, მაგრამ, მეორე მხრივ, უსამართლო. სუბსიდირება უმეტესწილად ხარჯების 20—30%-ს ანაზღაურებს და, გარდა ამისა, უპირატესობას ანიჭებს მსხვილ პარტიებს. გფრ-ში ფული ნაწილდება წინა არჩევნების შედეგების მიხედვით და ამიტომ მსხვილი პარტიები, რომელთაც პარლამენტში ადგილების უმრავლესობა აქვთ, ფულის განაწილების დროს თანხის ძირითად ნაწილს იღებენ.

საერთოდ, გერმანიაში პარტიების სუბსიდირების ძალზედ მარტივი სისტემა არსებობს. სახელმწიფო არჩევნების შემდეგ ყოველ პარტიას თითოეულ მიღებულ ხმაზე 5 მარკას უხდიან. შედეგად, მსხვილი პარტიები მეტს იღებენ, პატარები — ნაკლებს. ზოგს ეს უსამართლოდ მიაჩნია, თუმცა თანხების ამგვარ განაწილებას თავისი ლოგიკა აქვს.

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები არასაკმარისია საარჩევნო ხარჯების დასაფარად. მაგალითად, აშშ-ში პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც პარტიამ დაამტკიცა, სახელმწიფოსაგან 20 მლნ დოლარს იღებს, რეალური ხარჯები კი 5—6-ჯერ მეტია.

ფულადი სახსრების დიდი ნაწილი კერძო პირებისა და ბიზნესიდან შემოწირულობების სახით მომდინარეობს. მაგალითად, როკფელერების ოჯახმა XX საუკუნეში რესპუბლიკურ პარტიას დაახლოებით 300 მლნ დოლარი შესწირა. ტეხასის სანავთობო კომპანიები რეგულარულად ურიცხავს სახსრებს როგორც რესპუბლიკელებს, ისე დემოკრატებს. ეს თანხები მკვეთრად იზრდება არჩევნების პერიოდებში. არცთუ იშვიათად მსხვილი ფირმები საარჩევნოდ თანხებს ურიცხავს როგორც რესპუბლიკელებს, ისე დემოკრატებს, რათა თავი დაიზღვიონ „შეცდომისაგან“.

წინასაარჩევნო ხარჯების შეზღუდვის ფაქტორები. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს წინასაარჩევნო ხარჯების შემზღუდველი ნორმები. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში არის მკაცრი კანონები, რომლითაც კანდიდატების ფონდებში შეტანილი თანხები ათას გირვანქა სტერლინგს არ უნდა აღემატებოდეს და ფორმალურად ამ წესს

არც არავინ არღვევს. მაგრამ დიდი ხანია ნაპოვნია „შემოვლითი გზებიც". მაგალითად, საარჩევნო კამპანიის დროს თანხების შეგროვებისას დაწესებულია გარკვეული ლიმიტი, რომლის გადაჭარბებაც არ შეიძლება, მაგრამ საარჩევნო კამპანია დიდ ბრიტანეთში მხოლოდ ერთ თვეს გრძელდება, ხოლო არჩევნებისათვის ფულის შეგროვების დაწყება გაცილებით უფრო ადრეც შეიძლება.

არის სხვა ხერხებიც. მაგალითად, არ შეიძლება გარკვეულ თანხაზე მეტის შეტანა პარტიის ანგარიშზე მოცემულ საარჩევნო ოლქში . მაგრამ პარტიის ანგარიში დედაქალაქშიც არის გახსნილი, სადაც თანხების შეტანა შეზღუდული არაა. ამდენად, პარტიას თავისუფლად შეუძლია თანხების გადასროლა ცენტრალური ოფისიდან იმ ფილიალში, რომელშიც საჭიროდ ჩათვლის. გარდა ამისა, კერძო ფირმებმა შეიძლება სულაც არ გადარიცხონ თანხები პარტიულ ფონდებში, არამედ დამოუკიდებლად დაიწყონ აგიტაცია „თავისი" კანდიდატების მხარდასაჭერად. ზოგჯერ ეს აგიტაცია იმდენად დახვეწილი შეიძლება იყოს, რომ კონკრეტული „ადრესატები" არც სახელდებოდეს (ფარული რეკლამა).

აშშ-ში ცალკეულ მოქალაქეს კონკრეტული პარტიის მხარდასაჭერად შეუძლია გაიღოს არა უმეტეს 25 ათასი დოლარისა, ხოლო კონკრეტული კანდიდატის მხარდასაჭერად — არა უმეტეს 2 ათასი დოლარისა. თუმცა დასაშვებია ანონიმური შენატანებიც, მაგრამ თითოეული ასეთი შენატანი 100 დოლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ფორმალური შეზღუდვები დიდ ზემოქმედებას ვერ ახდენს, რომელიმე კანდიდატის ან პარტიის სასარგებლოდ სახსრების მობილიზების პროცესზე.

ყველა ქვეყანაში არსებული წესების თანახმად, კანდიდატების მიერ საარჩევნო მიზნებისათვის მიღებული თანხები რეგისტრირებული და დეკლარირებული უნდა იყოს. საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფულის გამოყენებაზე, ვალდებულნი არიან გამოაქვეყნონ ანგარიში ხარჯების შესახებ. ყველა ციფრი (დებეტი—კრედიტი) უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ცხადია, ესაა ოფიციალური ხარჯები. საარჩევნო კამპანიაზე დახარჯულ ჭეშმარიტ თანხებზე კი შეიძლება მხოლოდ სხვადასხვა ვარაუდების გამოთქმა.

ზოგიერთ ქვეყანაში პირდაპირ ასახელებენ იმ სუბიექტებს, რომელთაც არ შეუძლიათ კანდიდატებისათვის დახმარების გაწევა. მაგალითად, კანდიდატს არ შეუძლია რაიმე დახმარების მიღება

უცხოელი მოქალაქეებისგან ან უცხოური საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან. ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალულია ფულის მიღება მუნიციპალიტეტების, საქალაქო საბჭოებისაგან ე.ი. საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან. რიგ შემთხვევებში აკრძალულია ფულის მიღება გასართობი დაწესებულებებისაგან (კაზინოები, კლუბები, სათამაშო სახლები), რადგანაც ითვლება, რომ ეს ფული მთლად „პატიოსანი წარმოშობის" არაა.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, მოკლედ შეიძლება ითქვას შემდეგი: თავისთავად საარჩევნო კამპანია, თუკი არ იქნება შეზღუდვები, განაპირობებდა იმას, რომ არჩევით ორგანოში იქნებოდნენ მხოლოდ მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლები. მათ მიერ დიდი შენატანები საკუთარი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად თავის შედეგს გამოიღებდა. ამიტომ დემოკრატიულ ქვეყნებში კანონით შეზღუდულია კერძო პირების შენატანები პარტიებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის ფონდში, დგინდება თანაბარი შესაძლებლობები კანდიდატებისათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, განსაკუთრებით ტელევიზიის გამოყენებაში. იზღუდება კანდიდატების მიერ საკუთარი საშუალებების გამოყენებაც. ამასთან ერთად, ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ნაწილობრივ აფინანსებს წინასაარჩევნო კამპანიაში ღარიბი და ახალგაზრდა პარტიების მონაწილეობას, თუკი მათ მოპოვებული აქვთ ამომრჩეველთა მინიმალური, კანონით დადგენილი მხარდაჭერა.

§ 6. ხმის მიცემა და არჩევნების შედეგების შეჯამება

სააგიტაციო კამპანია მთავრდება ხმის მიცემამდე ერთი ან რამდენიმე დღით ადრე. ეს შესაძლებლობას აძლევს ამომრჩევლებს დამოუკიდებლად, გარედან ზეწოლის გარეშე მოიფიქრონ თავიანთი არჩევანი და მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც ისინი უშუალოდ არჩევნების დღეს გამოხატავენ.

ხმის მიცემა და მისი შედეგების შეჯამება საარჩევნო პროცესის კულმინაციური და მთავარი ეტაპია. ამ პერიოდში უშუალოდ გამოიხატება მოქალაქეთა ნება, რომლითაც განისაზღვრება ხელისუფლების ორგანოების შემადგენლობა.

ხმის მიცემის პროცედურა ხშირად ძალზედ დაწვრილებით არის

აღწერილი საარჩევნო კანონებში, რათა გამოირიცხოს კანონის მოთხოვნების განსხვავებული ინტერპრეტაცია და შესაძლო დარღვევები, წამოჭრილი დავები კი მაქსიმალურად სამართლიანად გადაწყდეს.

ხმის მიცემა მიმდინარეობს საარჩევნო უბნებში არჩევნების დღეს, ჩვეულებრივ 8 საათიდან 22 საათამდე.

ფარული და ღია ხმის მიცემა. თავად ტერმინი „ხმის მიცემა" წარმოდგება ანტიკური სპარტადან, სადაც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ყალიბდებოდა მოქალაქეთა საერთო კრებაზე საერთო წამოძახილების გზით. არჩეულად ითვლებოდა ის, ვისი მხარდამჭერებიც ყველაზე ხმამაღლა იყვირებდნენ. ანტიკური ათენიდან ჩვენამდე მოაღწია სიტყვა „ურნამ". სწორედ ურნაში უშვებდნენ ძველი ათენელები თავიანთ თეთრ ან შავ კენჭებს (აქედანვეა ტერმინი „კენჭისყრა") ხმის მიცემის დროს. შავი ქვა წინააღმდეგ ხმის მიცემას ნიშნავდა.

ჩვენს დროში ხმის მიცემა ხორციელდება ქაღალდის საარჩევნო ბიულეტენის ან სპეციალური საარჩევნო მანქანების მეშვეობით. ეს უკანასკნელი ხერხი გაცილებით უფრო ფართოდაა გავრცელებული. არის ხმის მიცემის არატრადიციული ფორმებიც. ასე მაგალითად, ადგილობრივი არჩევნების დროს უგანდაში გათვალისწინებულია სოფლის ცენტრალურ მოედანზე ამომრჩეველთა გამწკრივება კოლონებად. გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომლის უკანაც უფრო დიდი კოლონა განლაგდება. აკრძალულია უკან მოხედვა და კოლონიდან კოლონაში გადარბენა.

ღია ხმის მიცემა დამახასიათებელია ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პოლიტიკური კულტურის მქონე საზოგადოებისათვის. ცნობილია, მაგალითად, როდესაც ნაპოლეონმა გადაწყვიტა თავისი დიქტატურის „დაკანონება" პლებისციტის მეშვეობით, ხმის მიცემა ხდებოდა ღიად, ხელისუფლების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო არმიაში ხმის მიცემა ერთობლივად, ბატალიონების მიხედვით ხორციელდებოდა.

ღია ხმის მიცემა ჩვენს დროში უკვე ძალზე დიდი იშვიათობაა. სვაზილენდში ამომრჩევლები „ფეხებით აძლევენ" ხმას, გადიან ერთ-ერთ კარებში, სადაც მათ უცდიან „ამრჩევთა" კოლეგიაში ასარჩევი კანდიდატები, რომლებიც შემდეგ აირჩევენ პარლამენტარებს. დასავლეთ სამოაში უხუცესები ხმას აძლევენ თავისი ოჯახის ყველა წევრის მაგივრადაც. არცთუ დიდი ხნის წინათ ზაირში პარლამენტის წევრების არჩევა შემდეგი წესით ხდებოდა: ქალაქის მოედნებზე

მოქალაქეები შეძახილებით გამოხატავდნენ თავიანთ მხარდაჭერას იმ კანდიდატებისადმი, რომელსაც მერი სიის მიხედვით კითხულობდა.

ხმის მიცემის ტიპები. შეიძლება გამოიყოს ხმის მიცემის **სამი ძირითადი ტიპი**: ალტერნატიული, კომულიატიური და ლიმიტირებული.

ალტერნატიული ხმის მიცემის დროს ამომრჩეველს აქვს ერთი ხმა, რომელიც მან შეიძლება მისცეს კანდიდატის (პარტიის) წინააღმდეგ ან მხარი დაუჭიროს მას.

კომულიატიური ხმის მიცემის დროს ამომრჩეველს აქვს უფრო მეტი ხმა, ვიდრე რეგისტირებული კანდიდატების რაოდენობაა. ამომრჩეველს უფლება აქვს თავისი ყველა ხმა მისცეს ერთ კანდიდატს ან ერთ პარტიას, ან გაანაწილოს ხმები თავისი სურვილის მიხედვით.

ლიმიტირებული ხმის მიცემა ნიშნავს, რომ ამომრჩეველს უფრო ნაკლები ხმები აქვს, ვიდრე რეგისტრირებული კანდიდატების რაოდენობაა. ამომრჩეველს შეუძლია თავისი ხმები მისცეს ერთ კანდიდატს ან გაანაწილოს მათ შორის თავისი შეხედულებების მიხედვით.

არსებობს ხმის მიცემის ჩამოთვლილი ტიპების სხვა ვარიანტებიც:

საარჩევნო ბიულეტენები. ევროპაში ამომრჩევლები ხმას აძლევენ საარჩევნო ბიულეტენების დახმარებით — ესაა სპეციალური ფურცელი, რომელზედაც აღნიშნულია კანდიდატების გვარები. მოქალაქე, ასეთი ბიულეტენის მიღების შემდეგ, მასზე სვავს კანონით დადგენილ ნიშანს, რომლითაც ცხადი ხდება, თუ ვის ირჩევს და ვის წინააღმდეგ აძლევს ხმას.

საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობაში გამოიყენება **ოფიციალური ბიულეტენები**, რომელთაც სახელმწიფო ორგანოები ბეჭდავს. ყველა ბიულეტენს ერთნაირი ფორმა აქვს, რათა დაცულ იქნეს არჩევნების ფარულობა და მოქალაქემ მარტო შინაარსს მიაქციოს ყურადღება. როგორც წესი, ყველა პარტიის კანდიდატები შეყავთ ერთ ბიულეტენში — ზოგჯერ ანბანური რიგით, ზოგჯერ რაიმე სხვა პრინციპის მიხედვით. ზოგჯერ საარჩევნო ბიულეტენში მიუთითებენ მხოლოდ კანდიდატის გვარს, სხვა შემთხვევებში კი შეაქვთ უფრო დაწვრილებითი მონაცემები: პროფესია, პარტია, რომელმაც კანდიდატი წამოაყენა ან მხარს უჭერს მას.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ე.წ. **არაოფიციალური ბიულეტენების** სისტემა. ამ სისტემის თანახმად, სახელმწიფო არ ბეჭდავს

ბიულეტენებს და კანდიდატი ვალდებულია თავად იზრუნოს მასზე. საფრანგეთში კანდიდატი თავად ბეჭდავს ბიულეტენებს, საარჩევნო უბნებში მისული ამომრჩევლები კი ირჩევენ იმ კანდიდატის ბიულეტენს, რომელსაც ხმას აძლევენ.

ნორვეგიაში გამოიყენება ჩვეულებრივი ოფიციალური ბიულეტენები. მაგრამ ამასთან ე. თად, იქ არსებობს საკმაოდ საინტერესო წესიც. ამომრჩეველმა ბიულეტენის ნაცვლად შეიძლება აიღოს სუფთა ფურცელი და ზედ დაწეროს, თუ ვის აძლევს ხმას.

საარჩევნო მანქანები. აშშ-ში საარჩევნო უბნების ნახევარზე მეტში არის სპეციალური საარჩევნო მანქანები. ეს მანქანები სხვადასხვა შტატებში სხვადასხვანაირია. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ის საკმაოდ მარტივი მექანიზმია: საჭიროა ღილაკზე ხელის დაჭერა ანდა ბერკეტის ჩამოწევა. ეს მოიგონეს იმ მიზნით, რომ გამორიცხოს ბიულეტენების გაყალბება. ღილაკზე მხოლოდ ერთხელ შეიძლება თითის დაჭერა. საარჩევნო მანქანები ხმის მიცემის კაბინებშია განთავსებული და თავად ხმის მიცემა ფარულია.

ხმის მიცემის პროცესი. ხმის მიცემის ძირითად ადგილს საარჩევნო უბნები წარმოადგენს, თუმცა ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალითად, შვეიცარიაში, ნებადართულია ხმის მიცემა სახლში და ფოსტით. ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრია, ავსტრალია, ბელგია, იტალია, გფრ და სხვა) ხმის მიცემა განიხილება არა მარტო როგორც უფლება, არამედ როგორც მოქალაქეთა ვალდებულება. მასში მონაწილეობის მიუღებლობისათვის გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმები, საზოგადოებრივი დაგმობა ან სხვა სასჯელი. სხვა ქვეყნებში (მაგალითად, აშშ) ხმის მიცემა ნებაყოფლობითი საქმეა.

კენჭისყრაზე დაიშვებიან ის ამომრჩევლები, რომლებიც ამომრჩეველთა სიაში არიან შეტანილი. საარჩევნო უბანში გამოცხადების შემდეგ ამომრჩეველი წარმოადგენს პიროვნების დამადასტურებელ რაიმე დოკუმენტს, სიაში მისი გვარის გასწვრივ კეთდება აღნიშვნა, რომ მოცემულმა ამომრჩეველმა ბიულეტენი მიიღო. იმ ქვეყნებში, სადაც არის სპეციალური საარჩევნო ბარათი, აღნიშვნა იმის თაობაზე, რომ ამომრჩეველმა ხმა მისცა, ამ მოწმობებში კეთდება. ზოგიერთ ქვეყანაში (პირველ რიგში განვითარებად ქვეყნებში) ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩეველს ხელზე უკეთდება ნიშანი სპეციალური საღებავით, რომლის ჩამორეცხვაც ორი-სამი დღის განმავლობაში შეუძლებელია. ეს კეთდება იმისათვის, რომ ამომრჩეველმა რამდენჯერმე არ მისცეს ხმა.

ზოგიერთ ქვეყანაში ხმის მიცემა ხდება ამა თუ იმ პარტიის ან კანდიდატის ბიულეტენის არჩევის გზით. საიდუმლოების შესანარჩუნებლად, ამომრჩეველი კაბინაში შესვლის შემდეგ ირჩევს იმ კანდიდატის ან პარტიის ბიულეტენს, რომელსაც ხმას აძლევს და მას სპეციალურ კონვერტში დებს. შემდეგ კონვერტს აწებებს და აბარებს საარჩევნო უბანში მყოფ სპეციალურ მოხელეს, რომელიც კონვერტს ურნაში ჩაუშვებს. ასეთი სისტემა არსებობს ესპანეთში.

იმ ქვეყნებში, რომლებშიც დიდია წერა-კითხვის უცოდინარი ამომრჩევლის რაოდენობა, საარჩევნო ბიულეტენებში კანდიდატების გვარების გარდა,შეტანილია მათი პარტიების სიმბოლოებიც.

რიგ ქვეყნებში ყოველი პოლიტიკური პარტია, გარდა სიმბოლიკისა, არეგისტრირებს თავის ფერსაც და ბიულეტენები შეიძლება სხვადასხვა ფერის იყოს. მაგალითად, ბულგარეთში ყოველ პარტიას თავისი ფერი აქვს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ფერები აღარ ყოფნით და ფერთა შეხამებებია მოსაძებნი. განსაკუთრებით „რთული მდგომარეობა" პარტიების გათიშვის შემდეგ იქმნება ხოლმე. ამრიგად, ხმის მიცემის დროს გამოიყენება როგორც გრაფიკული სიმბოლიკა, ისე ფერთა გამაც.

როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთ ქვეყანაში დაშვებულია **ხმის მიცემა ფოსტით.** ასე აძლევენ ხმას ის მოქალაქეები, რომლებიც სამსახურებრივი ან სხვა მიზეზების გამო თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე არ იმყოფებიან. ფოსტით ხმის მიცემას ითვალისწინებს გერმანიის კანონმდებლობა. ასეთი საფოსტო გზავნილი უფასოდ იგზავნება მარკის დაკვრის გარეშე. გარდა ამისა, კონვერტში ბიულეტენის გარდა ხმის მიცემის უფლების თაობაზე გაცემული მოწმობაც უნდა ჩაიდოს. კონვერტი იგზავნება ამომრჩევლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ფოსტით გაგზავნილმა ხმამ, იმისათვის რომ ჩათვალონ, არჩევნების დღეს გარკვეულ საათამდე უნდა მიაღწიოს.

რიგ ქვეყნებში დაშვებულია **ხმის მიცემა მინდობილობით**, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს სპეციალური თანამდებობის პირების მიერ: ნოტარიუსის ან რიგ შემთხვევებში სხვა სახელმწიფო მოხელეების (მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლების) მიერ. ჩვეულებრივ, მინდობილობით ხმას აძლევენ ნათესავები. ერთ ადამიანს არ შეუძლია ორზე მეტი მინდობილობის მიღება.

ყველა ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს ხმის მიცემის დროს დახმარების გაწევას იმ პირებისათვის, რომელთაც ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ ბიულეტენის თავად შევსება.

ჩვეულებრივ, მათ ეხმარებიან ან ნათესავები, ან საარჩევნო უბნებში მყოფი მოსამსახურეები.

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს „მოძრავი ურნებით" სახლების ჩამოვლას, რათა ხმა მისცენ იმ მოქალაქეებმა, რომელთაც ავადმყოფობის გამო ვერ შეძლეს საარჩევნო უბნებში მისვლა.

ხმის მიცემის შედეგების შეჯამება. ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ, საარჩევნო კომისია ან სხვა სპეციალური საარჩევნო ორგანო მისი შედეგების შეჯამებას იწყებს. ხმის მიცემასა და მისი შედეგების შეჯამებას შორის არ უნდა იყოს წყვეტილობა ან შეფერხება, რადგანაც ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის ფალსიფიკაციისათვის. საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება ხმის მიცემისა და დათვლის წესების ისეთი დარღვევები, როგორიცაა ზედმეტი საარჩევნო ბიულეტენების დამზადება და გამოყენება, რომელიმე კანდიდატისათვის ხმების პირდაპირი მიწერა, არასასურველი კანდიდატისათვის მიცემული ბიულეტენების ამოღება და ა.შ.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მსგავსი ფალსიფიკაციები და უზრუნველვყოთ მოქალაქეთა ნდობა არჩევნების შედეგებისადმი, აუცილებელია საიმედო კონტროლი ხმის მიცემასა და მისი შედეგების შეჯამებაზე. ამის უზრუნველყოფა ხდება სხვადასხვა ღონისძიებების გზით:

- ისეთი საარჩევნო კომისიის შექმნით, რომელიც კონკურენტი პარტიების ნდობით სარგებლობს;
- ხმების დათვლას ესწრებიან პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენლები;
- ხშირია ასევე დამოუკიდებელი, მათ შორის საერთაშორისო დამკვირვებლების გამოყენება;
- ხმის მიცემის შედეგების დამოუკიდებელი, პარალელური შეჯამება, რაც შეიძლება ერთად ან ცალ-ცალკე განახორციელონ პარტიების, მასმედიის, ეკლესიის წარმომადგენლებმა, ავტორიტეტულმა ადგილობრივმა ან საერთაშორისო მეთვალყურეებმა.

ხმების დათვლის დროს დგინდება ოლქში მიცემული ხმების საერთო რაოდენობა, ბიულეტენები ლაგდება იმ კანდიდატების ან პარტიების მიხედვით, რომელთაც ამომრჩევლებმა დაუჭირეს მხარი. შედგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება ხმის მიცემის შედეგები. საარჩევნო უბნებში შედგენილი ოქმები იგზავნება ზემდგომ საარჩევნო კომისიებში, სადაც ხდება საბოლოო შედეგების შეჯამება.

ხმების დათვლა ხდება:

• თავიდან საარჩევნო უბნებში;

• საარჩევნო უბნების მონაცემები იგზავნება საოლქო საარჩევნო კომისიებში, სადაც ხდება ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა;

• ოლქების არჩევნების შედეგები იგზავნება ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში, სადაც მათ საფუძველზე განისაზღვრება არჩევნების შედეგები პროვინციაში;

• ტერიტორიული საარჩევნო კომისიები აგზავნიან მონაცემებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომელშიც განისაზღვრება არჩევნების შედეგები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ზოგჯერ ხმების დათვლა ხორციელდება ავტომატიზებული კომპიუტერული სისტემებით, რომელიც ყოველ ხმას მყისვე აფიქსირებს. არჩევნების შედეგები ცნობილი ხდება საარჩევნო უბნების დახურვიდან 5—10 წუთის შემდეგ.

არჩევნების საბოლოო შედეგები (და მანდატების განაწილება) განისაზღვრება ქვეყანაში მიღებული საარჩევნო სისტემის მიხედვით.

საარჩევნო თაღლითობანი. არჩევნების მსვლელობასა და შედეგებზე საიმედო კონტროლის არარსებობამ შეიძლება ის გადააქციოს მანიპულირების ინსტრუმენტად, მოქალაქეთა თვალში მოახდინოს მისი კომპრომეტირება, წარმოშვას მასობრივი პროტესტი და გაამწვავოს სიტუაცია. ამიტომ არჩევნების გამჭვირვალობა, რაც გულისხმობს მთელი საარჩევნო პროცესის ღიაობას დაკვირვებასა და კონტროლისათვის საზოგადოებრიობის, თავად პოლიტიკური კონკურენტებისა და დამოუკიდებელი დამკვირვებლების მხრიდან მისი დემოკრატიულობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საარჩევნო კანონმდებლობის განზრახ დარღვევას იმ პირების მიერ, რომელთაც ევალებათ მისი ორგანიზება და ჩატარება, საარჩევნო თაღლითობა ეწოდება. მისი მიზანია არჩევნების შედეგების გაყალბება, უკანონო შედეგის დაფიქსირება. საარჩევნო თაღლითობის არსი ისაა, რომ გამარჯვებულად ცხადდება არა რეალურად გამარჯვებული პარტია ან კანდიდატი, არამედ ის კანდიდატი ან პარტია, რომლის სასარგებლოდაც სჩადიან თაღლითობას.

საარჩევნო თაღლითობის სახეები მრავალფეროვანია, მაგრამ ნებისმიერი ამგვარი მოქმედება დაიყვანება ერთზე: საარჩევნო დოკუმენტებში გაჩნდეს დამახინჯებული მონაცემები. საარჩევნო თაღლითობების ხარისხი სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. თავის დროზე, ამ მხრივ „განთქმული“ იყო ლათინური ამერიკის ქვეყნები.

დღეს ამგვარ ქვეყნებს შორის ლიდერობს ფილიპინები, ტაილანდი, იაპონია და აზიის სხვა სახელმწიფოები.

არჩევნების კანონმდებლობის ხშირ და დამახასიათებელ დარღვევას წარმოადგენს საარჩევნო ურნებში ჩაშვებული „უკანონო" ბიულეტენები, როდესაც დათვლის დროს უფრო მეტი ბიულეტენი აღმოჩნდება, ვიდრე რეგისტრირებული ამომრჩეველი. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ასეთი მდგომარეობიდან შემდეგ გამოსავალს აწესებს: ბიულეტენთა საერთო რაოდენობიდან ალალბედად იღებენ „ჭარბ" ბიულეტენებს, დანარჩენებს კი თვლიან და აჯამებენ არჩევნების შედეგებს.

ხშირად მიმართავენ ხოლმე, რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ ხმების ხელოვნურად გადიდებასაც, მაგალითად, სხვა კანდიდატის ხმების მისთვის მიწერით. საარჩევნო დანაშაულობებს შორის არის ამომრჩეველთა მოსყიდვა და დაშინება. ზოგჯერ იცვლება მთელი დალუქული ტომრები იმ ტომრებით, რომლებშიც ფალსიფიცირებული ბიულეტენებია, სასურველი „შედეგით". დარღვევათა გამოვლინებას შეიძლება მოჰყვეს არჩევნების შედეგების უკანონოდ გამოცხადება.

საარჩევნო თაღლითობაში მხილებული პირებისთვის ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციული, ზოგჯერ კი სისხლის სამართლის სასჯელია გათვალისწინებული. იაპონიაში ყოველი არჩევნების შემდეგ, რამდენიმე ასეულ ადამიანს აძლევენ პასუხისმგებლობაში.

ზოგჯერ გამოიყენება „მკვდარი სულები", როდესაც ამომრჩეველთა სიები განგებ არ ახლდება და წასული ან გარდაცვლილი მოქალაქეების მაგივრად ხმას აძლევენ საარჩევნო უბნების თანამშრომლები.

ევროპის ქვეყნებში საარჩევნო თაღლითობა საკმაოდ იშვიათად გვხვდება. რაც შეეხება აშშ-ს, იქ საარჩევნო მანქანების შემოღება საარჩევნო თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ განაპირობა. ამგვარი მანქანები მართლაც აძნელებენ არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებას.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ არჩევნების შემდეგ არჩეულებმა დაივიწყონ თავიანთი დაპირებები და პასუხისმგებლობა, რადგანაც თავიანთი წარმომადგენლების შრომის შეფასებას მოქალაქეები შეძლებენ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ანუ მომავალი არჩევნების დროს.

კითხვები და დავალებები:

- რა არის საარჩევნო პროცესი?
- რა ძირითადი სტადიები გამოიყოფა საარჩევნო პროცესში?

• რა გავლენას ახდენს არჩევნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო საარჩევნო პროცესზე?

• როგორ ხდება არჩევნების დანიშვნა?

• დაახასიათეთ საარჩევნო ოლქების შექმნის ძირითადი პრინციპები;

• როგორ იქმნება საარჩევნო ოლქები და რა ძირითადი ფუნქციები ეკისრებათ მათ?

• დაახასიათეთ ამომრჩეველთა რეგისტრაციის სისტემები;

• დაახასიათეთ კანდიდატების წამოყენებისა და რეგისტრაციის ძირითადი წესები.

• რა მეთოდებით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ხმის მიცემის პროცესისა და არჩევნების შედეგების გაყალბება?

• რა წყაროებიდან ხდება საარჩევნო კამპანიის დაფინანსება?

რა წაიკითხოთ:

• **ა.დემეტრაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატები: პრეზიდენტის არჩევნები. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1988. — 52 გვ.**

ნაშრომში განხილულია აშშ პრეზიდენტის არჩევნების რეგულირების სამართლებრივი ასპექტები, პრეზიდენტის არჩევნების სტადიები (კანდიდატების წამოყენება, დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ეროვნული ყრილობები, წინასაარჩევნო კამპანია, ამომრჩეველთა კოლეგიის ფორმირება, პრეზიდენტის კანდიდატებისათვის კენჭისყრა), მოცემულია საპრეზიდენტო არჩევნების კლასობრივი დახასიათება, დახასიათებულია აშშ პრეზიდენტები, განხილულია 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თავისებურებანი.

თავი XIV

საარჩევნო სისტემები

§ 1. საარჩევნო სისტემის არსი

საარჩევნო სისტემა – პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი. საარჩევნო პროცესი ხორციელდება გარკვეული სამართლებრივი ნორმების, წესების შესაბამისად, რომლებიც კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონშია ჩამოყალიბებული. არჩევნების მთავარ რეგულატორს საარჩევნო სისტემა წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს არჩევნების ორგანიზაციის ზოგად პრინციპებსა და იმ წესებს, რომლითაც ამომრჩეველთა ხმები მანდატებში, სახელისუფლო თანამდებობებში გადაიყვანება. საარჩევნო სისტემის მთავარი დანიშნულებაა ხალხის ნების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, აგრეთვე ხელისუფლების სიცოცხლისუნარიანი და ეფექტური ორგანოების ფორმირება.

საარჩევნო სისტემა პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია მონაწილეობისა და ინტერესების აგრეგაციის პროცესში. თავად საარჩევნო სისტემა იყოფა სტრუქტურულ კომპონენტებად, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა გამოიყოს:

- საარჩევნო სამართალი — თეორიულ-იურიდიული კომპონენტი;
- საარჩევნო პროცედურა (ანუ საარჩევნო პროცესი) — პრაქტიკულ-ორგანიზაციული კომპონენტი.

საარჩევნო სისტემა ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ეს აიხსნება იმით, რომ დემოკრატიას საზოგადოებაში არ შეუძლია ფუნქციონირება უფლებამოსილი წარმომადგენლობის გარეშე, რომელიც ყალიბდება საზოგადოების საქმეების სამართავად, ხოლო ასეთი წარმომადგენლობა შეიძლება იყოს დემოკრატიული იმ შემთხვევაში, თუ თავად საზოგადოება მონაწილეობს მის ფორმირებაში.

განვითარებული დემოკრატიის თითოეულ ქვეყანაში საარჩევნო სისტემა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებანი ყალიბდებოდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, როდესაც მიმდინარეობდა ოპტიმალური ვარიანტის ძიება, საარჩევნო სისტემის ცვლილებები მუდმივი და წარმავალი ფაქტორების ზეგავლენით.

საარჩევნო სისტემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესსა და ელექტორალური სივრცის სტრუქტურირებაზე. მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების პრაქტიკული რეალიზება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში მოქმედ საარჩევნო სისტემის ტიპზე.

სხვადასხვა საარჩევნო სისტემები, რომლებიც პოლიტიკური სუბიექტების ორიენტაციას ახდენენ ხელისუფლებისათვის ბრძოლის გარკვეულ წესრიგზე, ამით ასევე უშუალო ზეგავლენას ახდენენ პარტიული სისტემების ხასიათსა და მთელ საარჩევნო კამპანიაზე, მისი ჩატარების ტექნოლოგიაზე.

საარჩევნო სისტემის ცნების ფართო და ვიწრო მნიშვნელობა. ფართო გაგებით, საარჩევნო სისტემა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომლის საშუალებითაც ფორმირდება სახელმწიფოს არჩევითი ორგანოები. ამ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეალიზება თავის ასახვას პოულობს პირველ რიგში ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების დროს, ხოლო თავად რეალიზაციის პროცესს საარჩევნო კამპანია ეწოდება.

ვიწრო გაგებით, საარჩევნო სისტემა არის სადეპუტატო მანდატების განაწილების ხერხი კანდიდატებს შორის ამომრჩეველთა ხმის მიცემის შედეგების მიხედვით. ანუ საარჩევნო სისტემა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არის იურიდიული ნორმების სახით დაფიქსირებული არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარების, ხმის მიცემის შედეგების განსაზღვრისა და დეპუტატთა მანდატების განაწილების წესები. ასეთი წესი რამდენიმეა, მაგრამ თითოეული მათგანის გამოყენებამ ხმის მიცემის ერთი და იმავე შედეგების მიმართ შეიძლება მოგვცეს განსხვავება .

საარჩევნო სისტემის ძირითადი ტიპები. არსებობს საარჩევნო სისტემის ორი ძირითადი ტიპი: მაჟორიტარული (ალტერნატიული) და პროპორციული (წარმომადგენლობითი). მათ საფუძველზე ჩამოყალიბდა აგრეთვე შერეული საარჩევნო სისტემა. ამა თუ იმ

საარჩევნო სისტემის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება უაღრესად საპასუხისმგებლოა. ელექტორალური მექანიზმის დეტალებზეც კი შეიძლება დამოკიდებული აღმოჩნდეს დემოკრატიის გადარჩენის საკითხი.

საარჩევნო სისტემებმა განვითარების დიდი გზა განვლო. თითოეულ ძირითად საარჩევნო სისტემას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მაჟორიტარული სისტემა თავისი ყველა სახესხვაობით ხელს უწყობს სტაბილური მთავრობის შექმნას, რომელიც უმრავლესობის პარტიას ემყარება (მმართველობის პარლამენტური ფორმის დროს). მაჟორიტარული სისტემა ხელს უწყობს უმრავლესობის ფორმირებას ხელისუფლების ორგანოებში და ურიგდება დისპროპორციას მოგროვილ ხმებსა და მიღებულ მანდატებს შორის. პროპორციული სისტემა კი ითვალისწინებს უმცირესობის ინტერესებს, სამაგიეროდ, პრობლემები იქმნება ხოლმე სტაბილური მთავრობის ფორმირების თვალსაზრისით.

ძნელია ერთმნიშვნელოვნად ითქვას, თუ რომელი სისტემა უფრო ადეკვატურად და, მაშასადამე, დემოკრატიულად ითვალისწინებს ამომრჩეველთა აზრს. ერთი შეხედვით, თითქოს — პროპორციული. ის აზრთა მთელ სპექტრს ასახავს. სამაგიეროდ, მაჟორიტარული სისტემა ამ აზრს უფრო ღრმად აფასებს — აიძულებს ამომრჩევლებს უფრო საფუძვლიანად იფიქრონ საბოლოო არჩევანის წინ. ამჟამად მსოფლიოში დომინირებს პროპორციული საარჩევნო სისტემა ან „სუფთა სახით" მის სხვადასხვა ვარიანტებში, ანდა შერეული საარჩევნო სისტემის ფარგლებში, როდესაც არა მხოლოდ ნახევარი, არამედ წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატთა უმრავლესობა აირჩევა ამ სისტემის გამოყენებით.

დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის დროს არჩევანი უნდა გაკეთდეს შედარებითი უმრავლესობისა (მაჟორიტარულ) და პროპორციული წარმომადგენლობის სისტემებს შორის. მიიჩნევა, რომ შერეული საარჩევნო სისტემა უფრო დემოკრატიული და ეფექტიანია პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის თვალსაზრისით.

იმისდა მიხედვით, თუ როგორი საარჩევნო სისტემა არსებობს ერთი და იგივე შედეგების პირობებში, შესაძლებელია მანდატების სრულიად სხვადასხვაგვარი განაწილება. ამა თუ იმ საარჩევნო სისტემის პოლიტიკური შედეგების შესწავლა შედარებითი პოლიტიკური მეცნიერების ის სფეროა, სადაც დღეისათვის მნიშვნელოვანი გამოცდილებაა დაგროვილი.

§ 2. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

მაჟორიტარული სისტემის არსი. არჩევნების შედეგების განსაზღვრის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წესი მაჟორიტარული სისტემაა, რომელსაც საფუძვლად უდევს უმრავლესობის პრინციპი (ფრ. majorite — უმრავლესობა): არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები (კანდიდატთა სია), რომლებიც მიიღებენ ხმების დადგენილ უმრავლესობას. ყველა დანარჩენი პარტია, რომელთა კანდიდატებიც უმცირესობაში არიან, წარმომადგენლობის გარეშე რჩებიან.

მაჟორიტარული სისტემა მარტივი და გასაგებია, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო და ხშირად ადგილობრივი ორგანოების არჩევნები გაშუალებულია პოლიტიკური პარტიების მიერ, ხშირად უსამართლოა: მანდატების უმრავლესობა შეიძლება მიიღოს პარტიამ, რომელსაც ამომრჩეველთა უმცირესობა უჭერს მხარს პრაქტიკულად ეს სისტემა ხელს უწყობს მსხვილ პარტიებსა და ბლოკავს პატარებს.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ყველაზე ძველი სისტემაა. სწორედ ამ სისტემით დაიწყო თავის დროზე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბდა მისი რამდენიმე ვარიანტი.

იმისდა მიხედვით, რა უმრავლესობაა საჭირო, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები სამი სახესხვაობითაა წარმოდგენილი:

- შეფარდებითი;
- აბსოლუტური და
- კვალიფიცირებული.

შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა. შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ყველაზე მეტადაა გავრცელებული მაჟორიტარული სისტემის სახესხვაობებს შორის. ამჟამად იგი მსოფლიოს 43 ქვეყანაში გამოიყენება (როგორც წესი, ინგლისურენოვან ქვეყნებში).

ამ სისტემის დროს არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც თითოეულ მეტოქეზე მეტი ხმა მიიღო, თუნდაც ეს უპირატესობა სულ რამდენიმე ხმას შეადგენდეს. მას უწოდებენ „ფინიშთან პირველის მისულის სისტემას“ ანდა „სისტემას, რომლითაც გამარჯვებული ყველაფერს იღებს“. ესაა ყველაზე მარტივი სისტემა. ის მოქმედებს დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, იაპონიასა და ა.შ.

შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა ყოველთვის შედეგიანია, რადგანაც აუცილებლად ვიღაც მოიპოვებს სხვებზე მეტ ხმებს. მის დიდ უპირატესობას ისიც წარმოადგენს, რომ გამორიცხულია მეორე ტურის საჭიროება. ამ სისტემის დროს ჩვეულებრივ არ დგინდება ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა სავალდებულო მინიმუმი. არჩევნები შემდგარად ითვლება, თუკი ხმა მისცა თუნდაც ერთმა ამომრჩეველმა. თუ წამოყენებულია მხოლოდ ერთი კანდიდატი ერთ ადგილზე, იგი არჩეულად ითვლება ხმის მიცემის გარეშე.

აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა. აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემას ზოგჯერ ფრანგულ მოდელსაც უწოდებენ, რადგანაც ის ტრადიციულად გამოიყენება საფრანგეთსა და ადრე მასზე დამოკიდებულ ტერიტორიებზე. აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემისგან იმით განსხვავდება, რომ:

— ოლქიდან ასარჩევად აუცილებელია არა უბრალო უმრავლესობა (ე.ი. სხვა კანდიდატებზე მეტი), არამედ აბსოლუტური უმრავლესობა (50%+1 ხმა) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლებისა;

— თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას, ტარდება მეორე ტური, რომელშიც, როგორც წესი, მონაწილეობს ის ორი კანდიდატი, რომელთაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმები დააგროვეს;

— როგორც წესი, გათვალისწინებულია აბსოლუტური კვორუმი: არჩევნები რომ შემდგარად ჩაითვალოს, აუცილებელია მასში მონაწილეობა მიიღოს რეგისტრირებული ამომრჩევლების 50%-ზე მეტმა (იშვიათად წესდება უფრო ნაკლები პროცენტიც).

აღნიშნული სისტემა არჩევისათვის მოითხოვს ხმების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის (50%+1) მიღებას (ავსტრალია). ზოგ შემთხვევაში ეს პროცენტი დგინდება ან ოლქის ამომრჩევლების, ან კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით. თუ ეს პირობა არ შესრულდება, არჩევნები არშემდგარად ითვლება. ეს სისტემა ყველაზე ხშირად გამოიყენება საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

მოცემული სისტემის ღირსება, შედარებითი უმრავლესობის სისტემასთან განსხვავებით, ისაა, რომ არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომელთაც მართლაც არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვეს (თუმცა ეს უმრავლესობა,

თეორიულად, შეიძლება ერთ ხმასაც შეადგენდეს). მაგრამ აქვს იგივე ნაკლი, რაც უმთავრესია შედარებითი უმრავლესობის სისტემის დროს: იკარგება დამარცხებული კანდიდატებისათვის მიცემული ხმები. გარდა ამისა, ეს სისტემა ხშირად უშედეგოა, რადგანაც თუკი არც ერთი კანდიდატი (ან კანდიდატთა სია) არ მიიღებს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას გამარჯვებული ვერ გამოვლინდება.

იმისათვის რომ, დაძლეულ იქნეს ხმის მიცემის უშედეგობა, გამოიყენება ხელახალი კენჭისყრის მეთოდი. ეს ნიშნავს, რომ ხმის მიცემის მეორე ტურში, უმრავლეს შემთხვევაში, პირველ ტურში მონაწილე კანდიდატებიდან მხოლოდ ორი გადის, რომელთაც სხვებზე მეტი ხმები მიიღეს ანდა ყველა კანდიდატი, რომელთაც პირველ ტურში დადგენილ მინიმუმზე მეტი ხმები დააგროვეს. საფრანგეთში მეორე ტურში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ კანდიდატებს, რომელთაც არანაკლებ 12,5% ხმებისა მოაგროვეს.

იმის გათვალისწინებით, რომ ამომრჩეველთა მონაწილეობა მეორე ტურში ჩვეულებრივ უფრო სუსტია პირველ ტურთან შედარებით, კანონმდებლობა ხშირად აღარ მოითხოვს ხმის მიცემის დროს ამომრჩეველთა სავალდებულო მინიმუმის მონაწილეობას ან მნიშვნელოვნად ამცირებს ამ ზღურბლს.

ზოგჯერ გამოიყენება მაჟორიტარული სისტემის ორივე სახეს-ხვაობა. მაგალითად, საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატების პირველი ტურის დროს გამოიყენება აბსოლუტური უმრავლესობის სისტემა, მეორე ტურში — შეფარდებითი უმრავლესობისა.

ორტურიან მაჟორიტარულ არჩევნებს ზოგჯერ მოულოდნელი შედეგები მოაქვთ, როდესაც პირველ ტურში უპირატესობის მქონე კანდიდატი საბოლოოდ მარცხდება ხოლმე. მაგალითად, 1986 წლის პორტუგალიის საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალისტმა მ.სოარეშმა პირველ ტურში ხმების მხოლოდ 25,4% მიიღო, მაშინ, როდესაც მისმა მეტოქემ კონსერვატორმა დ.ფრეიტაშ დუ ამარალმა თითქმის ორჯერ მეტი — 46,3%. მაგრამ იგი მიუღებელი აღმოჩნდა სხვა კანდიდა-ტებისათვის. შედეგად, მეორე ტურში მ.სოარეშმა მოიპოვა სენსაციური გამარჯვება — მიიღო ხმების 51,4%, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგემ — 48,6%. მსგავსი რამ, ოღონდ უფრო ნაკლებად შთამბეჭდავი ციფრობრივი სხვაობით, მოხდა საფრანგეთში 1981 წ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როცა პირველ ტურში ვ.ჟისკარ დესტენმა გაიმარჯვა, მეორეში კი — ფ.მიტერანმა.

კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა. კვალიფიციური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის დროს არჩეულად ითვლება ის კანდიდატი (კანდიდატთა სია), რომელიც მიიღებს ხმების კვალიფიციურ უმრავლესობას. მაგალითად, კვალიფიციური უმრავლესობა დგინდება კანონის მიერ და ყოველთვის მეტია აბსოლუტურზე (არჩევნებში მონაწილეთა ხმების საერთო რიცხვის ორი მესამედი ან სამი მეოთხედი). მაგალითად, ჩილეში დეპუტატთა პალატას ორმანდატიან საარჩევნო ოლქებში ირჩევენ. პარტია, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ნამდვილი ხმების ორ მესამედს მოაგროვებს, იღებს ოლქის ორივე მანდატს. ზოგჯერ კვალიფიციური უმრავლესობა კონკრეტული ციფრითაც სახელდება. მაგალითად, 1993 წლამდე იტალიური კანონმდებლობის მიხედვით, პარლამენტის ზედა პალატაში ასარჩევად მომავალ სენატორს ხმების 65% მაინც უნდა მოეგროვებინა.

კვალიფიციური უმრავლესობის სისტემა ყველაზე იშვიათად გამოიყენება, რადგანაც აბსოლუტური უმრავლესობის სისტემასთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებად შედეგიანია. ამიტომ კვალიფიციური უმრავლესობის სისტემა, როგორც წესი, ორ ტურად გამოიყენება. თუ პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმების ორ მესამედს ან სამ მეოთხედს, კანონი ითვალისწინებს მეორე ტურის ჩატარებას, რომელშიც მხოლოდ ორი კანდიდატი რჩება. მეორე ტურში გასამარჯვებლად კი საჭიროა მხოლოდ მეტოქეზე მეტი ხმების დაგროვება.

კვალიფიციური უმრავლესობის სისტემა, ზოგ შემთხვევაში, გამოიყენება არა პარლამენტის ასარჩევად, არამედ ცალკეული თანამდებობის პირების ასარჩევად. მაგალითად, იტალიის 1947 წლის კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს. გამარჯვებისათვის აუცილებელია დეპუტატების ხმების ორი მესამედის მიღება. თუკი მესამე ტურის შემდეგაც ვერავინ მიიღო ხმების ორი მესამედი, მაშინ გამარჯვებისათვის გათვალისწინებულია აბსოლუტური უმრავლესობა ე.ი. 50% პლიუს ერთი ხმა.

გამარჯვებისათვის აუცილებელი ასეთი დიდი ციფრები ყოველთვის აძნელებდა შედეგის მიღწევას და საარჩევნო პროცესი ჭიანურდებოდა. 1947 წლის კონსტიტუციის საფუძველზე არჩეული იტალიის 9 პრეზიდენტიდან მხოლოდ ორი აირჩიეს პირველივე ტურში: პირველი დროებითი პრეზიდენტი ე. დე ნიკოლა და პრეზიდენტი ფრანჩესკო კოსიგა. სხვა შემთხვევებში კი საჭირო გახდა მრავალი ტურის ჩატარება. 1964 წელს ჯუზეპე სარაგატას პრეზიდენტად ასარჩევად საჭირო გახდა

21 ტური, 1971 წელს ჯოვანი ლეონეს — 23 ტური, 1992 წელს ოსკარ ლუიჯი სკალფაროს ასარჩევად — ხმის მიცემის 16 ტური.

გარდა მაჟორიტარული სისტემის ზემოთ აღნიშნული სამი სახესხვაობისა, იშვიათად გამოიყენება კიდევ ორი სახესხვაობა: **ერთიანი არაგადადებადი ხმისა** და **კუმულაციური ვოტუმის**.

ერთადერთი არაგადადებადი ხმის სისტემა. ერთადერთი არაგარდამავალი ხმის სისტემის დროს (ადრე გამოიყენებოდა იაპონიის „ქვედა" პალატის ფორმირების დროს), რომელსაც ზოგჯერ ნახევარ-პროპორციულსაც უწოდებენ, იქმნება მრავალმანდატიანი ოლქები, რაც ყოველთვის არსებობს პროპორციული სისტემის დროს, მაგრამ ყოველ ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს ამა თუ იმ პარტიული სიიდან, რომელსაც ბიულეტენი შეიცავს. არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც სხვებზე მეტ ხმებს მოაგროვებენ ე.ი. მოქმედებს შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის პრინციპი (არჩეულთა რაოდენობა შეესაბამება ოლქში არსებულ მანდატების რიცხვს). რადგანაც არჩევნების შედეგი განისაზღვრება მაჟორიტარული პრინციპით, ამ სისტემას მიიჩნევენ მაჟორიტარული სისტემის სახესხვაობად, თუმცა ზოგიერთი გადახრებით.

ამ სისტემის თავისებურება ისაა, რომ ერთი ნიშნით (მრავალმანდატიანი ოლქი) ის პროპორციულია, მაგრამ კენჭისყრა მიდის მაჟორიტარული სისტემის მსგავსად (ერთი ხმა ერთ კონკრეტულ კანდიდატს).

ზოგჯერ მას უწოდებენ **შეზღუდული ვოტუმის სისტემას**, რადგანაც ამომრჩეველს აქვს ნაკლები ხმები (ერთი) ასარჩევი დეპუტატების რაოდენობასთან შედარებით (რამდენიმე მანდატი). ამ სისტემის **ღირსებანი** ისაა, რომ:

- როგორც წესი, ყველა ღირსეული და პოპულარული კანდიდატი მოხვდება პარლამენტში (და არა ერთი, რომელიმე სხვების ხარჯზე, რადგანაც ერთის არჩევა არ ნიშნავს სხვების არარჩევას);
- პარლამენტში ასახული იქნება თითქმის ყველა ამომრჩევლის ნება.

ამ დებულების საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ვთქვათ არჩევნები ტარდება 5-მანდატიან საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს იყრის ათი კანდიდატი. კენჭისყრის შედეგად ყველაზე პოპულარულმა კანდიდატმა „ა"-მ მიიღო ხმების 51%, კანდიდატმა „ბ" — 30%, კანდიდატმა „გ" — 12%, კანდიდატმა „დ" — 4%. კანდიდატმა

„ე" — 3%, ყველა დანარჩენმა კანდიდატმა მიიღო 1%. კლასიკური მაჟორიტარული სისტემის დროს არჩეული იქნებოდა მხოლოდ ერთი კანდიდატი, რომელმაც ხმების 51% მოაგროვა, ამომრჩეველთა ხმების 49% კი დაიკარგებოდა. შეზღუდული ვოტუმის სისტემა კი შესაძლებლობას იძლევა პარლამენტში მოხვდეს 5 კანდიდატი, რომელთაც ამომრჩეველთა ხმების 99% მოაგროვეს.

ამ სისტემის მთავარი ნაკლი ისაა, რომ მან შეიძლება ძალიან მოულოდნელი, ზოგჯერ კი კურიოზული შედეგები მოიტანოს. მაგალითად, ერთმა ხარიზმატულმა კანდიდატმა შეიძლება ხმების 90% მოაგროვოს, დანარჩენებმა ყველამ ერთად კი — 10%. მაგრამ საარჩევნო ოლქი, რადგანაც მრავალმანდატიანია (ჩვენს შემთხვევაში, 5-მანდატიანი), პარლამენტში მოხვდება კიდევ 4 — კანდიდატი, რომელთაგან თითოეულს ხმების 1—2% ექნებათ მოგროვილი ანუ პარლამენტში ამომრჩეველთა 90 პროცენტი წარმოდგენილი იქნება ერთი პარლამენტარით, 10% კი 4 პარლამენტარით, ანუ ამომრჩეველთა უმცირესობას ოთხჯერადი უმრავლესობა ეყოლება პარლამენტში.

კუმულაციური ვოტუმი. კუმულიატური ვოტუმის დროს (სიტყვიდან „აკუმულირება". კუმულაციური ნიშნავს ერთობლივს) ამომრჩეველს აქვს არა ერთი, არამედ რამდენიმე ხმა (სამი, ოთხი და ა.შ.). კუმულაციური ვოტუმის განსხვავება შეზღუდული ვოტუმისაგან ისაა, რომ მრავალმანდატიან ოლქში ამომრჩეველს აქვს იმდენი ხმა, რამდენი მანდატიც „თამაშდება" ოლქში. მაგრამ მას შეუძლია ყველა ხმა მისცეს ერთ კანდიდატს, თუმცა ასევე შეუძლია გაანაწილოს ეს ხმები ერთი და იმავე პარტიის სხვადასხვა კანდიდატებს შორის (მაგალითად, სამი ხმა ოთხიდან შეუძლია მისცეს კანდიდატს, რომელიც პარტიულ სიაში, ვთქვათ №2-ია, ერთი ხმა კი მისცეს კანდიდატს № 5-ს).

ამომრჩეველს შეუძლია ასევე, თუკი ამის უფლებას კანონი იძლევა, გამოიყენოს **პანაშაჟი** (ფრანგულიდან — „სიჭრელე"), ხმა მისცეს კანდიდატებს სხვადასხვა პარტიული სიებიდან ანუ ორიენტირებული იყოს არა პარტიულ კუთვნილებაზე, არამედ ამა თუ იმ კანდიდატის პიროვნულ თვისებებზე. პანაშაჟი ჩვეულებრივ გამოიყენება პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს. თუ გამოიყენება კუმულიატური ვოტუმის პრინციპი, შედეგები განისაზღვრება ასევე შეფარდებითი უმრავლესობის პრინციპით: ითვლება ყველა კანდიდატის ხმები, რომლებიც ოლქში კენჭს იყრიან; არჩეულად ითვლება ის პირები, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმები მოაგროვეს (მოცემულ ოლქში სადეპუტატო მანდატების რიცხვის მიხედვით). ამიტომ

მოცემული სისტემა ასევე მაჟორიტარული სისტემის სახესხვაობად მიიჩნევა.

კუმულაციურ ვოტუმს აქვს შემდეგი ნაკლოვანებანი:

• საკმაოდ რთული სისტემაა;

• კენჭისყრის შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია (თუკი ათასობით ამომრჩეველს შეუძლია თავისი ხმებით მანიპულირება ისე, როგორც სურს, შედეგი სრულიად მოულოდნელი შეიძლება აღმოჩნდეს);

• ძნელია გამოვლინდეს ამომრჩეველთა ნამდვილი ნება, რადგანაც არ არსებობს „გაზომვის ერთიანი შკალა";

• არის რისკი, რომ ხმების უდიდესი რაოდენობა (კიდევ უფრო მეტი, ვიდრე ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემის დროს) აკუმულირდება ერთი კანდიდატის მიერ, ხოლო დანარჩენი რამდენიმე კანდიდატი არჩეული იქნება აშკარა უმცირესობის მიერ. სამაგიეროდ მათ ერთობლივად აშკარა უპირატესობა ექნებათ ზეპოპულარულ ლიდერთან შედარებით.

მაჟორიტარული სისტემის ღირსებები და ნაკლოვანებები. მაჟორიტარული სისტემის ღირსებებს ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ შემდეგს:

1. გამარჯვებული პარტიისათვის უზრუნველყოფს უმრავლესობას პარლამენტში. ასეთი სისტემა მმართველობის საპარლამენტო და შერეული ფორმების პირობებში მდგრადი, ეფექტიანად მომუშავე მთავრობის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა. მაშასადამე, მთავრობის ფორმირების შედარებითი სიიოლე და მისი დიდი სტაბილურობა მიიღწევა იმის ხარჯზე, რომ საპარლამენტო მანდატები ძირითადად გამარჯვებულ მსხვილ პარტიებზე ნაწილდება;

2. განაპირობებს მსხვილი პოლიტიკური პარტიების ან ბლოკების ფორმირებას, ხელს უწყობს სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციას. ასე მაგალითად, ანგლოსაქსურ ქვეყნებში ძირითადად შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის წყალობით ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ორპარტიული სისტემა;

3. ხელს უწყობს ამომრჩეველსა და კანდიდატებს (შემდგომში დეპუტატებს) შორის მტკიცე უშუალო კავშირების ჩამოყალიბებას. დეპუტატებს უშუალოდ ირჩევენ გარკვეული ოლქის მოქალაქეები, ამდენად ისინი, რადგანაც სურვილი აქვთ ხელმეორედ არჩევისა, უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი თავის ელექტორატზე. ამომრჩევლები, თავის მხრივ, უკეთ იცნობენ თავიანთ დეპუტატებს, ვიდრე პროპორ-

ციული სისტემით ჩატარებული არჩევნების დროს, როდესაც პარტიულ სიებს ეძლევა ხმა.

ღირსებებთან ერთად, მაჟორიტარული სისტემის ყველა სახესხვაობისათვის დამახასიათებელია არსებითი **ნაკლოვანებები:**

1. მაჟორიტარული სისტემა ამასინჯებს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ძალთა რეალურ . ურთიერთგამარჯვებული პარტიის სასარგებლოდ ამომრჩევლები, რომელთაც ხმა მისცეს დამარცხებულ პარტიას, მოკლებულნი არიან არჩევით ორგანოებში თავისი წარმომადგენლების გაყვანის შესაძლებლობას. ამით ირღვევა საარჩევნო უფლების საყოველთაობის პრინციპი. მაჟორიტარული სისტემის დროს შესაძლებელია პარტიამ, რომელიც ამომრჩეველთა უფრო ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობს, გაიმარჯვოს პარტიაზე, რომელმაც მთლიანად ქვეყანაში მასზე მეტი ხმები მიიღო. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს საარჩევნო ოლქებში სხვადასხვა პარტიის მომხრეების კონცენტრაციის სხვადასხვა ხარისხით. ამრიგად, მაჟორიტარული სისტემა ხელს უწყობს უმრავლესობის ფორმირებას ხელისუფლების ორგანოებში და ურიგდება დისპროპორციას მოგროვებულ ხმებსა და მიღებულ მანდატებს შორის.

2. მოცულმა სისტემამ შეიძლება ხელი შეუწყოს ხელისუფლების ლეგიტიმურობის შესუსტებას, გამოიწვიოს უნდობლობა არსებული წყობისადმი იმით, რომ ზღუდავს დამარცხებული პატარა პარტიების, უმცირესობათა წარმომადგენელთა მოხვედრას დეპუტატთა კორპუსის შემადგენლობაში. ჩამოყალიბებული მთავრობა შეიძლება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით არ სარგებლობდეს. მაჟორიტარულმა სისტემამ მოქალაქეებში შეიძლება გამოიწვიოს აბსენტიზმი ან პოლიტიკური ბრძოლის რადიკალური, არადემოკრატიული მეთოდების გამოყენებისკენ მიდრეკილება;

3. დეპუტატების უშუალო დამოკიდებულება კონკრეტული ოლქის ამომრჩეველებზე მათ უბიძგებს დაიცვან ადგილობრივი ინტერესები საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ ან სათანადო გათვალისწინების გარეშე;

4. არჩევნების შედეგების უშუალო დამოკიდებულება ოლქებში ამომრჩეველთა განაწილებაზე ქვნის მანიპულირების საფრთხეს საარჩევნო ოლქების ტენდენციური „გამოჭრის“ საშუალებით. ამომრჩეველთა ნების ამგვარი დამახინჯების პრაქტიკამ მიიღო „საარჩევნო გეოგრაფიის“ ან „ჯერიმენდერინგის“ (მისი გამომგონებლის — მასაჩუსეტის შტატის გუბერნატორის ჯერის სახელის მიხედვით) სახელწოდება;

5. დამატებითი სარჯების საჭიროება. არჩევნების პირველი ტურის ხშირი უშედეგობა აბსოლუტური და კვალიფიციური მაჟორიტარული სისტემების დროს დამატებით ხარჯებს მოითხოვს არჩევნების მეორე ტურის ჩასატარებლად.

6. გაძწაყებული კონფლიქტების მქონე საზოგადოების პირობებში მაჟორიტარული სისტემა სასიფათოა დემოკრატიისათვის, რადგანაც კანდიდატების ერთმანეთთან დაპირისპირებამ, შეიძლება მეტოქეებს უბიძგოს (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი მათი პროგრამები ახლოსაა ერთმანეთთან) არა საზოგადოებრივი პრობლემების პოზიტიური გადაწყვეტის ძიებისაკენ, არამედ მოწინააღმდეგის კრიტიკასა და „გაშავებისაკენ", სიძულვილის ატმოსფეროს შექმნისაკენ. ამან შეიძლება საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაცია, თამაშის დემოკრატიული წესების დავიწყება და თავად დემოკრატიული წყობის ნგრევა გამოიწვიოს.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, მაჟორიტარულ სისტემას მრავალი მომხრე ჰყავს. აღნიშნული სისტემა, მრავალ განვითარებულ დემოკრატიის ქვეყანაში სტაბილურად და გამართულად მუშაობს.

§ 3. პროპორციული საარჩევნო სისტემა

პროპორციული საარჩევნო სისტემის არსი. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ნაკლოვანებებმა უფრო სამართლიანი და დემოკრატიული საარჩევნო სისტემის გამონახვის მცდელობები განაპირობა. შედეგად შეიქმნა პროპორციული საარჩევნო სისტემა, რომელიც უკვე XIX საუკუნის ბოლოს შემოიღეს: 1888 წელს — სერბიაში და 1889 წელს — ბელგიაში. თუმცა, პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარების იდეა წამოაყენეს ასი წლით ადრე — საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში.

პროპორციული საარჩევნო სისტემის არსი შემდეგში მდგომარეობს:

- ამომრჩეველთა ხმებისათვის იბრძვიან არა კანდიდატები, არამედ პოლიტიკური პარტიები;
- პარტიები აყენებენ ე.წ. „პარტიულ სიებს", რომელშიც მითითებულია როგორც ამ პარტიის კანდიდატები, ისე მათ მიერ მანდატების მიღების რიგითობა;

• ამომრჩეველი ხმას აძლევს პარტიას და, მაშასადამე, საარჩევნო სიას მთლიანად;

• მანდატები პარტიებს შორის ნაწილდება მიღებული ხმების პროპორციულად;

• ყოველი პარტიის მიერ მიღებული სადეპუტატო მანდატები მის კანდიდატებს შორის ნაწილდება პარტიულ სიაში მათი რიგითობის მიხედვით.

პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს მანდატები ყოველ საარჩევნო ოლქში პარტიებს შორის ნაწილდება თითოეული პარტიის მიერ შეგროვილი ხმების შესაბამისად. ეს სისტემა თანამედროვე მსოფლიოში უფრო ფართოდაა გავრცელებული: ლათინური ამერიკის ქვეყნებში არჩევნები მარტო პროპორციული სისტემით ტარდება. პროპორციულ სისტემას იყენებენ ბელგიაში, შვეიცარიაში.

პროპორციულ სისტემას აქვს ორი სახესხვაობა:

— **პროპორციული საარჩევნო სისტემა საერთო სასელმწიფოებრივ დონეზე** (ამომრჩევლები ხმას აძლევენ პოლიტიკურ პარტიებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, საარჩევნო ოლქები არ გამოიყოფა);

— **მრავალმანდატიან ოლქებზე დამყარებული პროპორციული საარჩევნო სისტემა** (სადეპუტატო მანდატები ნაწილდება საარჩევნო ოლქებში პარტიათა გავლენის მიხედვით).

პროპორციული სისტემების ღირსებები და ნაკლოვანებები. მაჟორიტარულ სისტემასთან შედარებით პროპორციულ საარჩევნო სისტემას შემდეგი ღირსებები აქვს:

1. პროპორციული სისტემა შესაძლებლობას იძლევა ჩამოყალიბდეს ისეთი სელისუფლების ორგანოები, რომელთა შემადგენლობაც უფრო ადეკვატურად ასახავს პარტიული ძალების ფაქტობრივ თანაფარდობას ქვეყანაში. ეს შესაძლებლობას იძლევა უფრო მეტად იქნეს გათვალისწინებული ცალკეული სოციალური და პოლიტიკური ჯგუფების ინტერესები;

2. პროპორციული სისტემა, თუკი არ მასინჯდება რაიმე დამატებითი წესებით, უზრუნველყოფს პატარა პარტიების წარმომადგენლობასაც კი ე.ი. ხელს უწყობს პოლიტიკური პლურალიზმის, მრავალპარტიულობის განვითარებას, უზრუნველყოფს უკუკავშირების სისტემას სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის.

3. პროპორციული სისტემა ხელს უწყობს მოქალაქეთა გააქტიურებას არჩევნების დროს და მთლიანად პოლიტიკაში. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაა, არჩევნებში მონაწილეთა პროცენტული რაოდენობა

გაცილებით მაღალია მაჟორიტარული სისტემის მქონე ქვეყნებთან შედარებით.

პროპორციული წარმომადგენლობის არსი ისაა, რომ აუცილებელია კოალიციების შექმნა, რომელთაც მართვა შეეძლებათ. ამისათვის კი საჭიროა, რომ პარტიებს ერთმანეთთან მოლაპარაკების, კომპრომისების პოვნის უნარი ჰქონდეთ. რადიკალებს აღაშფოთებთ კომპრომისები, რისკენაც დემოკრატიული მთავრობა ესწრაფვის, მაგრამ მოლაპარაკებათა ალტერნატივა მხოლოდ ხელისუფლების დამბლაა.

მაგრამ პროპორციულ სისტემას არსებითი **ნაკლოვანებანიც** გააჩნია:

1. სუსტია კავშირი პარლამენტარებსა და ამომრჩეველებს შორის, რადგანაც ეს უკანასკნელნი ხმას აძლევენ არა კონკრეტულ კანდიდატს, არამედ პარტიებს. აღნიშნული ნაკლოვანება გარკვეულწილად კომპენსირდება პრეფერენცირებული ხმის მიცემით. მითითებული ნაკლოვანების დაძლევას ემსახურება პანაშირებაც (ფრ. panachage — შერევა, ნარევი). პანაშირება ამომრჩეველს შესაძლებლობას აძლევს ხმა მისცეს კანდიდატების გარკვეულ რაოდენობას სხვადასხვა პარტიული სიებიდან, იმის შესაბამისად, თუ ვის ანიჭებს უპირატესობას. გარდა ამისა, ამომრჩეველს უფლება აქვს წამოაყენოს ახალი კანდიდატები და შეიტანოს მათი სახელები სიაში.

2. ძალიან დიდია კანდიდატების დამოკიდებულება პარტიულ აპარატზე, რომლის მოვალეობაც პარტიული სიების შედგენაა. აქედან ჩნდება შესაძლებლობა ზეწოლა მოახდინონ კანდიდატებზე, შემდეგში კი პარლამენტართა საკანონმდებლო საქმიანობაზე. თუმცა ამგვარი მოქმედების შესაძლებლობა შიდაპარტიულ ურთიერთობებზეა დამოკიდებული. განვითარებული შიდაპარტიული დემოკრატიის პირობებში ამგვარი ზემოქმედების შესაძლებლობა მინიმალურია. გარდა ამისა, არჩევითი ორგანოების შემადგენლობაში არაპოპულარული ადამიანების შესვლის შესაძლებლობა დამოკიდებულია ქვეყანაში ხმის მიცემისათვის მიღებული პარტიული სიების სახესხვაობაზეც.

3. წარმოიშობა სირთულეები მთავრობის ფორმირების დროს. მრავალპარტიულობის პირობებში, როდესაც არ არსებობს დომინირებული პოლიტიკური პარტია, გარდაუვალია მრავალპარტიული კოალიციების წარმოშობა. მასში შედიან სხვადასხვა პარტიები განსხვავებული საპროგრამო მიზნებითა და ამოცანებით. პარტიათშორისი კოალიციის ბაზაზე ჩამოყალიბებული მთავრობის პოლიტიკა

გამოირჩევა ნაკლები თანამიმდევრობითა და სტაბილურობით, ხშირი კრიზისებით. ამგვარი ვითარების მაგალითია იტალია, რომელიც ამ სისტემას 1945 წლის შემდეგ იყენებს. XX საუკუნის მეორე ნახევარში ამ ქვეყანაში 50-ზე მეტი მთავრობა შეიცვალა.

გადამღობი ბარიერები. იმისათვის, რომ დაძლეულ იქნეს პარლამენტის შემადგენლობის უზომო პარტიული დაქუცმაცება, შეიზღუდოს მასში უკიდურესი რადიკალური ან ექსტრემისტული პარტიების შეღწევა, მრავალ ქვეყანაში გამოიყენება ე.წ. გადამღობი ბარიერები, რომლითაც დგინდება სადეპუტატო მანდატების მიღებისათვის აუცილებელი ხმების მინიმუმი. პარტია, რომელიც ვერ შეაგროვებს ხმების აუცილებელ მინიმუმს, არც ერთ მანდატს არ ღებულობს.

გერმანიასა და რუსეთის ფედერაციაში ეს ბარიერი კენჭისყრაში მონაწილეთა საერთო რიცხვის 5%-ს უდრის, ბულგარეთსა და შვეიცარიაში — 4%-ს, დანიაში — 2%-ს. საქართველოში ამჟამად 7%-იანი ბარიერი არსებობს. პარტია, რომელიც ვერ გადალახავს მოცემულ ზღურბლს, არც ერთ სადეპუტატო მანდატს არ ღებულობს.

მითითებული ხერხები (პანაშირება, „გადამღობი ბარიერები" და სხვა), ერთი მხრივ, ხელს უწყობს პროპორციული სისტემის ნაკლოვანებების დაძლევას, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად ზღუდავს პროპორციულობის პრინციპს და ამით ამომრჩეველთა ნებას ამახინჯებს.

მოლიანობა'ში პროპორციული საარჩევნო სისტემა უფრო ზუსტად გამოსატავს სსვადასსვა სოციალური ფენების, ამომრჩეველთა ინტერესებს. ის საშუალებას აძლევს სრულიად სსვადასსვა პოზიციისა და ინტერესების მქონე პარტიებს წარმოდგენილნი იქნენ პარლამენტ'ში. მაგრამ პროპორციულ სისტემას თავისი მინუსები აქვს. ის ქმნის პარტიულ სიჭრელეს და დაქუცმაცებულობას პარლამენტ'ში. პარტიული დაქუცმაცებულობა იმას იწვევს, რომ მთავრობის ფორმირების საპარლამენტო წესის დროს ის უმეტესწილად მხოლოდ კოალიციურ საფუძველზე შეიძლება შეიქმნას და არამტკიცეა პარტიებს შორის არსებული უთანხმოებათა გამო. ასეთ პირობებში მთავრობა არასტაბილურია, მას არ აქვს მტკიცე მხარდაჭერა პარლამენტ'ში, ხშირია სამთავრობო კრიზისები.

საარჩევნო კვოტა. პროპორციული სისტემის დროს ხმის მიცემის შემდეგ იწყებენ მანდატების განაწილებას. ამა თუ იმ პარტიის მანდატების რაოდენობის განსაზღვრას საფუძვლად უდევს საარჩევნო

კვოტის ანუ საარჩევნო მეტრის პრინციპი. საარჩევნო კვოტა ეწოდება ხმების იმ უმცირეს რაოდენობას, რაც აუცილებელია ერთი დეპუტატის ასარჩევად. საარჩევნო კვოტის მეთოდის გამოყენებით ხდება პროპორციული სისტემის დეფექტების გარკვეული კორექტირება.

კვოტა შეიძლება განისაზღვროს როგორც ცალკე აღებული ოლქისათვის, ისე მთლიანად ქვეყნისათვის. ყოველი პარტია ოლქში ღებულობს იმდენი დეპუტატის მანდატს, რამდენ კვოტასაც შეიცავს მოცემულ ოლქში მის მიერ შეგროვილი ხმები.

როგორც წესი, საარჩევნო კანონები კვოტის სიდიდეს კი არ აფიქსირებს, არამედ მიუთითებს მისი გამოთვლის წესს. კვოტის განსაზღვრა რიგ შემთხვევაში რთულ მათემატიკურ გათვლებს მოითხოვს.

კვოტის განსაზღვრის ყველაზე მარტივი წესი ვულისხმობს მოცემულ ოლქში არჩევნებში მონაწილეთა ხმების საერთო რაოდენობის გაყოფას ამ ოლქში გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე. ეს წესი 1855 წელს წამოაყენა ინგლისელმა მეცნიერმა ტომას ჰერმა.

პარტიებს შორის მანდატების განაწილება ხდება მათ მიერ მიღებული ხმების გაყოფით კვოტაზე. ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, შვეიცის, შვეიცარიის პარლამენტები ამ სისტემით აირჩევა. მანდატების განაწილების აღნიშნულ წესს ზოგჯერ ბუნებრივ კვოტას უწოდებენ.

ტომას ჰერის სისტემას თავისი ნაკლოვანებანი აქვს, ამიტომ დაიწყეს მისი გაუმჯობესების გზების ძიება. ასე შეიქმნა ინგლისელი ადვოკატის ჰენრი დრუპის და შვეიცარიელი პროფესორის ედუარდ ხოხენბახ-ბიშორის სისტემები. მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელდა ბელგიელი მათემატიკოსის ვიქტორ დონდტის სისტემა. აღნიშნული სისტემა და მისი ვარიანტები გამოიყენება ბელგიაში, ფინეთში, გერმანიაში, იტალიაში, პორტუგალიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

პროპორციული საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს მცირერიცხოვანი პარტიის წარმომადგენლობასაც კი. მაგრამ ეს გარემოება შეიძლება ნეგატიურად აისახოს მთავრობის ფორმირებაზე საპარლამენტო რესპუბლიკებში იმ შემთხვევაში, როდესაც არც ერთ პარტიას არ ექნება აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში. პროპორციული სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ამასთან, რაც უფრო დიდია ოლქი, შესაძლებელი ხდება პროპორციულობის მით უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა.

იმისათვის, რომ გამხსვალდეს პარტიული ფრაქციები პარლამენტში, თავიდან უნდა ავიცილოთ მასში ერთმანეთში კონფლიქტში მყოფი პატარა

დაჯგუფებების არსებობა, რომელთა პარლამენტში შეღწევასაც ხელს უწყობს პროპორციული სისტემა. აუცილებელია პროპორციული წარმომადგენლობის შეზღუდვა მსხვილი და საშუალო პარტიების სასარგებლოდ, რისთვისაც დგინდება საარჩევნო ბარიერები. მაღალი ბარიერის დაწესება ხშირად იმას იწვევს, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმომადგენლობის გარეშე რჩება. მინიმალური გადამღობი ბარიერი კი არსებითად არაეფექტური აღმოჩნდება ხოლმე.

პროპორციული სისტემის დროს საუკეთესო შედეგი მიიღწევა, თუკი მთელი ქვეყანა წარმოადგენს ერთიან საარჩევნო ოლქს, რომელშიც პარლამენტის მთელ შემადგენლობას ირჩევენ. თუ პროპორციული სისტემით არჩევნების დროს საარჩევნო ოლქები იქმნება, მაშინ ეს ოლქები, როგორც წესი, დიდია და თითოეულიდან მრავალ ათეულ დეპუტატს ირჩევენ.

მაგრამ საარჩევნო ბიულეტენში იბეჭდება არა კანდიდატთა მთელი სია ყოველი პარტიის ან ბლოკისაგან, არამედ მხოლოდ რამდენიმე ლიდერის გვარი. სიას ადგენს პარტიული ხელმძღვანელობა და ამომრჩეველი შეიძლება არ იცნობდეს და ხშირად არც იცნობს მრავალ კანდიდატს მის მიერ მხარდაჭერილი პარტიიდან ან მოძრაობიდან. ცხადია, ეს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის ნაკლოვანებას.

პარტიული სიები. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები მკაცრად პარტიულია. ეს ნიშნავს, რომ მანდატები ნაწილდება პარტიებს შორის მათთვის მიცემული ხმების რაოდენობის შესაბამისად. ამომრჩევლები ხმას აძლევენ არა კონკრეტულ კანდიდატს, არამედ ამა თუ იმ პარტიის კანდიდატთა სიას და, მაშასადამე, მათ პროგრამას.

არსებობს ხმის მისაცემი სიების სამი სახეობა:

- ხისტი;
- ნახევრად ხისტი;
- თავისუფალი (მოქნილი).

ხისტი სიების სისტემა ამომრჩევლისაგან მოითხოვს ხმა მისცეს მთლიანად პარტიას, კანდიდატები მანდატებს იმ თანამიმდევრობით ღებულობენ, როგორც წარმოდგენილნი არიან პარტიულ სიებში (საბერძნეთი, ისრაელი, ესპანეთი). ამგვარი სისტემა არც ისე ფართოდაა გავრცელებული.

ნახევრად ხისტი სიების სისტემა, ჯერ ერთი, გულისხმობს ხმის მიცემას მთლიანად პარტიული სიისათვის, მეორეც, პარტიული სიის

სათავეში მყოფ კანდიდატს გარანტიას აძლევს, რომ აუცილებლად მიიღებს მანდატს. პარტიის მიერ მიღებული დანარჩენი მანდატების განაწილება ხორციელდება კანდიდატის მიერ მოგროვილი ხმების ანუ პრეფერენციების (ლათ. praeferre — უპირატესობის მინიჭება) მიხედვით. პრეფერენცირებული ხმის მიცემა არის ამომრჩევლის მიერ სიაში კანდიდატების იმ თანამიმდევრობის დადგენა, რომელიც მას ყველაზე მეტად მოსწონს. ამომრჩეველი რიგითობის მაჩვენებელ ციფრს უსვამს ერთი, რამდენიმე ან ყველა კანდიდატის გვერდით. ასეთი სისტემა გამოიყენება ავსტრიაში, დანიასა და ნიდერლანდებში.

თანაბარფასანი სიების სისტემა გულისხმობს ხმის მიცემას პარტიული სიისათვის მთლიანად და უშვებს ყველა სადეპუტატო ადგილის განაწილებას ამომრჩეველთა პრეფერენციების შესაბამისად. არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც აგროვებენ პრეფერენციების ყველაზე მეტ ოდენობას. ეს სისტემა ბელგიაში მოქმედებს.

პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს გამოიყენება კიდევ ერთი ვარიანტი, რომელსაც **ერთადერთი გადაცემადი ხმა** ეწოდება. ეს სისტემა აერთიანებს შეზღუდული და კუმულიატური ვოტუმების ნიშნებს:

— გამოიყენება მრავალმანდატიან ოლქებში;

— ამომრჩეველს აქვს რამდენიმე ხმა, ჩვეულებრივ — სამი, მაგრამ, ფაქტობრივად, მას იყენებს, როგორც ერთ გადაცემად ხმას;

— თავის ხმას ამომრჩეველი აძლევს სხვადასხვა კანდიდატებს, იმისდა მიხედვით, თუ ვის მისცემდა ხმას პირველ რიგში, მეორე და მესამე რიგში.

ის გამოიყენება ირლანდიაში, ავსტრალიაში და ზოგიერთი არჩევნების დროს — ინდოეთში. ამ სისტემით, როდესაც ამომრჩეველი იღებს ბიულეტენს სიებით ირჩევს ერთ კანდიდატს და იმავდროულად სიაში მიუთითებს კიდევ ერთ კანდიდატზე. ეს შეიძლება გამოიხატოს უბრალოდ, ციფრების მიწერით. თუკი პირველ ნომრად დასახელებული კანდიდატი აგროვებს აუცილებელ კვოტას, მაშინ „ზედმეტი" ხმები გადაეცემა იმ კანდიდატს, რომელიც მეორე ნომრად არის დასახელებული. ანუ ამ შემთხვევაში ხმები აღარ იკარგება.

ასეთი კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის სისტემა ძალზედ რთულია, რადგანაც:

— ხმების დათვლა რამდენჯერმე ხდება;

— პირველი დათვლის დროს ნაწილდება მხოლოდ პირველი ხმები (ბიულეტენებში ციფრი 1)

— კანდიდატები, რომელთაც პირველი ხმები მოაგროვეს, განლაგდებიან მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით;

— განისაზღვრება კვოტა (პირველი ხმების რიცხვი, მინიმალურად აუცილებელი არჩევისათვის);

— ამის შემდეგ კანდიდატები, რომელთაც პირველ . ხმები მიიღეს, იყოფიან ორ ნაწილად: ვინც გადააჭარბა კვოტას (ისინი არჩეულად ითვლებიან) და ვისაც პირველი ხმები არ ეყოთ;

— ჩვეულებრივ, პირველი დათვლის შემდეგ რჩება რამდენიმე გაუნაწილებელი მანდატი, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებენ კანდიდატები, ვისაც პირველი ხმები დააკლდათ;

— ამ კანდიდატებს, იმისათვის, რომ კვოტას მიაღწიონ, გადაეცემათ უკვე არჩეული კანდიდატებისათვის მიცემული ხმები;

— ეს ბიულეტენები გადაეცემა მათში დაფიქსირებული მეორე ციფრის მიხედვით (იმის გათვალისწინებით, რომ ეს მეორე განაწილებაა და პირველი ციფრის მქონე კანდიდატები უკვე არჩეულია);

— თუ მეორე განაწილების შემდეგაც დარჩება ვაკანსიები, მაშინ ხდება მესამე განაწილება ციფრი მესამის შესაბამისად.

ერთადერთი გადაცემადი ხმის მთავარი პრინციპია ის, რომ უკვე არჩეულთა ხმები ემატებათ იმათ, ვისაც პირველი ხმები არ ეყოთ არჩევისათვის. სისტემის ნაკლი ისაა, რომ ის ძალზედ რთულია და დათვლისათვის დიდ დროს მოითხოვს. მოცემული სისტემა გამოიყენებოდა ავსტრიის პარლამენტის არჩევნების დროს.

§ 4. შერეული საარჩევნო სისტემები

შერეული საარჩევნო სისტემის არსი. ორი საარჩევნო სისტემის შედარებისას ცნობილმა ფრანგმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მიშელ როკარმა ერთხელ აღნიშნა: „მაჟორიტარული სისტემა ძალზედ უხეშია. პროპორციული — ძალზედ საშიში“.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების ღირსებანი და შერბილდეს, მინიმუმამდე დავიდეს მათი ნაკლოვანებანი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო შერეული საარჩევნო სისტემების ფორმირება. მათში შეხამებულია მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების ელემენტები.

შერეული სისტემის არსი ისაა, რომ პარლამენტართა მანდატის ერთი ნაწილი მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე ნაწილდება, მეორე კი — პროპორციული სისტემის პრინციპების შესაბამისად. სწორედ ასეთი სისტემა გამოიყენება საქართველოში და სხვა მრავალ

ქვეყანაში: ბულგარეთში, გერმანიაში, ლიტვაში, იტალიაში, რუსეთში, უნგრეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

შერეული საარჩევნო სისტემის ღირსებები:

• ხელს უწყობს პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების გამსხვილებას და იმავდროულად ინარჩუნებს პროპორციულობის პრინციპს. ეს უზრუნველყოფს მდგრადი მთავრობის ფორმირებას;

• შესაძლებლობას იძლევა შენარჩუნდეს კავშირი ამომრჩევლებსა და მათ მიერ არჩეულ პარლამენტარებს შორის, რასაც გარკვეულწილად არღვევს პროპორციული სისტემა;

• მოცემული სისტემა უფრო დემოკრატიულია და ეფექტურია პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის თვალსაზრისით.

ასე მაგალითად, გფრ-ში ბუნდესტაგის პარლამენტის დეპუტატთა ერთი ნაწილი აირჩევა შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით, მეორე ნახევარი — პროპორციული სისტემით. მსგავსი საარჩევნო სისტემა გამოიყენებოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში 1993 და 1995 წლებში.

შერეული საარჩევნო სისტემების სახეები. მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების ელემენტების თანაფარდობის მიხედვით, შერეული საარჩევნო სისტემები შეიძლება იყოს:

• სიმეტრიული;

• ასიმეტრიული.

სიმეტრიული შერეული სისტემის დროს პარლამენტის წევრების ნახევარს ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით, მეორე ნახევარს — პროპორციული სისტემით. ასეთი სისტემა, მაგალითად, მიღებულია რუსეთის დუმის, უკრაინის უმაღლესი რადის, ბულგარეთის დიდი ეროვნული კრების ფორმირების დროს.

ასიმეტრიული შერეული სისტემა გულისხმობს მაჟორიტარულობისა და პროპორციულობის ელემენტების არათანაბარ შეხამებას. მაგალითად, უნგრეთის ეროვნული კრების არჩევნების დროს 176 დეპუტატს ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით, 210 დეპუტატს კი — პროპორციული სისტემით (აქ საქმე გვაქვს სუსტ ასიმეტრიასთან); საქართველოს პარლამენტის არჩევის დროს 85 დეპუტატს ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით, 150 — პროპორციულით ანუ პარტიული სიებით არჩეული დეპუტატები თითქმის ორჯერ აღემატებიან მაჟორიტარებს. ანუ საქმე გვაქვს ძლიერ ასიმეტრიასთან.

ამჟამად გამოიკვეთა ტენდენცია (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც ცოტა ხნის წინ დაადგნენ დამოუკიდებლობის გზას), რომ

გამოიყენონ სწორედ შერეული საარჩევნო სისტემა პარლამენტის „ქვედა" პალატების ფორმირების დროს.

კონსენსუსური საარჩევნო სისტემა. უკანასკნელ ათწლეულებში ზოგიერთი ორგანიზაცია (გაერო, „მწვანეთა" პარტია და სხვა) იყენებს არჩევნების კონსენსუსურ სისტემას. მას **პოზიტიური მიმართულება** აქვს ე.ი. ორიენტირებულია არა მოწინააღმდეგის კრიტიკაზე, არამედ ყველაზე მეტად მისაღები კანდიდატის ან საარჩევნო პლატფორმის პოვნისაკენ. პრაქტიკულად, ეს იმით გამოიხატება, რომ ხმას აძლევს არა ერთ, არამედ ყველა (აუცილებლად ორზე მეტ) კანდიდატს და მათი სიის რანჟირებას ახდენს საკუთარი შეხედულებების მიხედვით. მაგალითად, თუ პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას აცხადებს 5 კანდიდატი, მაშინ ხმის მიმცემი განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს. 1-ლი ადგილისათვის ეძლევათ 5 ბალი, მე-2 ადგილისათვის — 4, მე-3 ადგილისათვის — 3, მე-4 ადგილისათვის — 2, მე-5 ადგილისათვის — 1 ბალი. ხმის მიცემის შემდეგ მიღებული ბალები ჯამდება და მათი რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება გამარჯვებული.

§ 5. საარჩევნო სისტემის ზეგავლენა პოლიტიკურ რეჟიმზე

საარჩევნო და პარტიული სისტემების ურთიერთკავშირი. ცნობილმა ფრანგმა პოლიტოლოგმა მორის დიუვერჟემ შეიმუშავა პარტიული და საარჩევნო სისტემების ურთიერთკავშირის მეცნიერული კონცეფცია. მისი აზრით, ამ ურთიერთკავშირის შინაარსი ვლინდება სამი კანონის მოქმედებაში. დიუვერჟეს დასკვნით, პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები განსხვავებულ პარტიულ სისტემებს აყალიბებს.

პირველი კანონი — მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, როდესაც ხმის მიცემა ერთ ტურად ტარდება, გარდაუვალად იწვევს მოცემულ ქვეყანაში ორი მეტოქე პარტიისაგან შემდგარი პარტიული სისტემის ფორმირებასა და დამკვიდრებას. ამ კანონის მოქმედებას საფუძვლად უდევს ორი მიზეზი. პირველი ისაა, რომ მოცემულ სიტუაციაში მესამე პარტია და ყველა მომდევნო პარტია სუსტადაა წარმოდგენილი პარლამენტში. მეორე მიზეზი ფსიქოლოგიური ხასიათისაა: ამომრჩეველი, როგორც წესი, ამჯობინებს ხმა მისცეს იმ კანდიდატს, რომელსაც მეტი შანსი აქვს გაიმარჯვოს არჩევნებში.

მეორე კანონი — ორტურიანი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა განაპირობებს რამდენიმე პარტიისაგან შემდგარი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას. ამასთან, მოცემულ პარტიებს საკმაოდ მოქნილი პოზიციები უკავიათ და ერთმანეთთან კომპრომისს ესწრაფვიან. კანონის მოქმედებას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ მოცემული საარჩევნო სისტემა შესაძლებლობას აძლევს ყველა პარტიას მონაწილეობა მიიღოს არჩევნების პირველ ტურში. ამას კი მრავალპარტიულობასთან მივყავართ.

მესამე კანონი — პროპორციული პარტიული სისტემა ხელს უწყობს მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას. ამასთან, პარტიები მკაცრი შინაგანი სტრუქტურით და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პოზიციებით გამოირჩევა. ეს სისტემა ხელს უწყობს მრავალპარტიულობის ფართოდ განვითარებას. ამის მიზეზი სავსებით ცხადია. პროპორციული სისტემის დროს ყოველი პარტია ღებულობს რეალურ შესაძლებლობას თავისი წევრები ჰყავდეს პარლამენტში ისე, რომ არ შევიდეს რაიმე კავშირებსა და ბლოკებში და არ წავიდეს კომპრომისებზე.

მ.დიუვერჟეს ურთიერთკავშირი ელექტორატულ (საარჩევნო) სისტემასა და პარტიულ სისტემას შორის საში სოციოლოგიური კანონის სახით ჩამოაყალიბა:

1. მაჟორიტარული სისტემა ერთ ტურში ხელს უწყობს ორპარტიულობის დამყარებას დამოუკიდებელი პარტიების მონაცვლეობით;

2. მაჟორიტარული არჩევნები ორ ტურად იწვევს მრავალრიცხოვანი, შედარებით სტაბილური პარტიების გაერთიანებას ორ კოალიციად;

3. პროპორციული წარმომადგენლობა ხელს უწყობს მრავალპარტიულობის აყვავებას, ე.ი. მრავალრიცხოვანი და დამოუკიდებელი პარტიების სისტემის ჩამოყალიბებას.

მ.დიუვერჟე აღნიშნავდა აგრეთვე პარტიული სისტემის უკუზეგავლენასაც საარჩევნო რეჟიმის დამყარებაზე. ბუნებრივია, ორპარტიული სისტემა ხელს უწყობს იმას, რომ დამკვიდრდეს მაჟორიტარული არჩევნები ერთ ტურად. მრავალი პარტიის არსებობა, რომლებიც არ ამჟღავნებენ ერთმანეთთან კავშირის დამყარების სურვილს, განაპირობებენ ბრძოლას პროპორციული სისტემისათვის, რაც უზრუნველყოფს მათ წარმომადგენლობას პარლამენტში. მრავალი პარტიის არსებობა, რომლებიც ერთმანეთთან კავშირისაკენ იხრებიან, ეწინააღმდეგება პროპორციულობის დამყარებას.

მ.დიუვერჟე არ ამტკიცებდა, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული კანონები წარმოაჩენს ყველა ურთიერთკავშირს საარჩევნო და პარტიულ სისტემებს შორის. უფრო საუბარია სავარაუდო ვითარებაზე, რაც გამომდინარეობს ამ ურთიერთკავშირიდან. მაგალითად, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი არანაირ გავლენას ახდენს პარტიების რაოდენობაზე, მაშინ, როდესაც შეფარდებითი უმრავლესობის პრინციპი საპარლამენტო ბრძოლიდან გამოდევნის წვრილ პარტიებს და მათ სასიკვდილოდ გაწირავს. მაგრამ შემჩნეულია, რომ პარტიების რაოდენობა პროპორციული წარმომადგენლობის სისტემების დროს უფრო მეტია, ვიდრე ერთტურიანი მაჟორიტარული სისტემის დროს.

ურთიერთკავშირი საარჩევნო მოდელსა და პარტიულ სისტემას შორის აბსოლუტური არ არის. წესებიდან გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, ავსტრიაში XX საუკუნის მეორე ნახევარში პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში ორპარტიული სისტემა არსებობდა.

მიუხედავად ამგვარი გამონაკლისებისა, „დიუვერჟეს კანონები" შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ პარტიული და საარჩევნო სისტემების ურთიერთკავშირის სავარაუდო შედეგები.

საარჩევნო სისტემა და აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანობა. ხმის მიცემის მაჟორიტარული და პროპორციული სისტემები ბევრად განაპირობებს აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანობას. როგორც უკვე ითქვა, ძლიერი მთავრობა დამახასიათებელია მაჟორიტარული სისტემისათვის, სადაც ერთპარტიულ მთავრობას აყალიბებს არჩევნებში გამარჯვებული პარტია. პროპორციული სისტემა კი წარმოშობს პოლიტიკური ძალების დაქუცმაცებას და, აქედან გამომდინარე, კოალიციური კაბინეტების შექმნას განაპირობებს. აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა წესით ხდება საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირება.

საპარლამენტო რეჟიმში მთავრობა იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ძლიერი, თუ ეყრდნობა საპარლამენტო უმრავლესობას. იგი ყალიბდება ან პატარა პარტიების კოალიციის მიერ, ან — მაჟორიტარული პარტიის მიერ, რომელიც პარლამენტს აკონტროლებს. ერთპარტიული მთავრობა დამახასიათებელია მაჟორიტარული სისტემებისათვის, რადგანაც ის პარლამენტში არსებულ ერთპარტიულ უმრავლესობას ეყრდნობა. პროპორციული წარმომადგენლობის დროს მთავრობა ჩვეულებრივ ყალიბდება პარტიების კოალიციის საფუძ-

ველზე, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ ამომრჩეველთა ძირითად მასას.

საპრეზიდენტო სისტემაში საპარლამენტო უმრავლესობას შეიძლება სხვა თვალსაზრისი ჰქონდეს, ვიდრე — პრეზიდენტის პარტიას. მაგრამ ეს ხელს არ უშლის პოლიტიკური სისტემის სიმყარეს, რასაც ადასტურებს აშშ-ს გამოცდილება.

მაშასადამე, მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემები ამკვიდრებს გარკვეულ ურთიერთობებს პარლამენტს, მთავრობასა და ელექტორატს შორის. იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მხოლოდ ახლა აყალიბებენ საარჩევნო მოდელს, მნიშვნელოვანია წარმოდგენა ჰქონდეთ ელექტორატული სისტემების მმართველობის ფორმებთან ეფექტიანი და არაეფექტიანი შეხამებების თაობაზე.

საარჩევნო სისტემა და მმართველობის ფორმა: ეფექტიანი შეხამებების ძიება. დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის დროს საჭირო ხდება არჩევანის გაკეთება შედარებითი უმრავლესობის სისტემასა და პროპორციული წარმომადგენლობის სისტემას შორის. როგორც მ. უოლერსტაინი აღნიშნავს, ამ ორი დიქოტომიური მოდელის ერთმანეთზე დადებით ოთხი კომბინაცია მიიღება. თითოეული მათგანის შესახებ მსჯელობა კი შეიძლება თანამედროვე პოლიტიკური პრაქტიკის საფუძველზე.

ძლიერ და ეფექტიან მთავრობას უზრუნველყოფს საარჩევნო სისტემისა და მმართველობის ფორმის შემდეგი ორი შეხამება:

პირველი, როდესაც შეერთებულია **მმართველობის საპარლამენტო ფორმა და წარმომადგენლობის მაჟორიტარული სისტემა.** ესაა ბრიტანული ვარიანტი. საარჩევნო ბრძოლაში, როგორც წესი, მონაწილეობს ორი დიდი პარტია, რომელთაგან ერთ-ერთი არჩევნებში იმარჯვებს. გამარჯვებული პარტია აკონტროლებს პარლამენტსა და მთავრობას. ერთპარტიული მთავრობა ეყრდნობა საპარლამენტო უმრავლესობას, რაც საშუალებას აძლევს მას დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსი გაატაროს. დიდ ბრიტანეთში 1945 წლის შემდგომი ყველა მთავრობა (გარდა ერთისა) ემყარებოდა ერთპარტიულ უმრავლესობას პარლამენტში, თუმცა არც ერთ მმართველ პარტიას არ მიუღია ხმების აბსოლუტური უმრავლესობა 1931 წლის შემდეგ.

მაჟორიტარულ სისტემას ორპარტიულობის პირობებში არსებითი ნაკლოვანებაც აქვს: ელექტორატის მხარდაჭერის დაკარგვას შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლებაში ოპოზიციური პარტიის მოსვლა. ხელისუფლებაში პარტიების რიგრიგობით ყოფნის პრინციპი იწვევს

პოლიტიკური კურსის შეცვლას, სუსტ მემკვიდრეობითობას საზოგადოების განვითარებაში. ამგვარი გაურკვევლობა შეიძლება ძვირად დაუჯდეს ქვეყნის ეკონომიკას.

მეორე ვარიანტი — **მაჟორიტარული სისტემის შესამება მმართველობის საპრეზიდენტო ფორმასთან.** აქ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაძლებლობები განისაზღვრება საერთოეროვნულ არჩევნებზე მისი პირდაპირი ფორმირებით. ასეთი პრაქტიკის მაგალითია აშშ. ამ სისტემამ შეიძლება პოლიტიკური პარტიების შედარებითი სისუსტე განაპირობოს. საარჩევნო ბრძოლა იქცევა ძლიერი ლიდერების მეტოქეობად, რომლებიც მმართველობის მანდატს არა პარლამენტისგან, არამედ ხალხისაგან ღებულობს.

მესამე ვარიანტი — **საპარლამენტო მოდელი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით.** ეს მოდელი არ აყალიბებს ისეთ ეფექტიან მთავრობას, როგორც — პირველი ორი, მაგრამ გარკვეულ პირობებში მას შესაძლებლობას აძლევს საკმაოდ ქმედითუნარიანი იყოს. აღნიშნული მოდელი არსებობს ყველა დასავლეთევროპულ ქვეყანაში, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის გამოკლებით. ამ ქვეყნებში მთავრობა ყალიბდება პარტიების კოალიციის საფუძველზე და სანამ არსებობს აღნიშნული კოალიცია, მთავრობას შეუძლია მას დაეყრდნოს და გაატაროს თავისი კურსი.

მეოთხე ვარიანტი — **საპრეზიდენტო სისტემის შესამება პროპორ-ციულ წარმომადგენლობასთან.** მმართველობის სწორედ ამგვარი ტიპი შემოიღეს ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ ევროპის ახალ დემოკრატიებში. განხილულ მოდელებს შორის ეს ყველაზე ნაკლებად მდგრადია. რადგანაც ხმის მიცემა ხდება პარტიული სიების მიხედვით, მომავალი პარლამენტი პოლიტიკურად არაერთგვაროვანი და დაქუცმაცებულია. მაგრამ ვინაიდან პარლამენტი არ ირჩევს მთავრობას, ამიტომ პარტიებს არ სჭირდებათ ერთმანეთს შორის მოლაპარაკების დაწყება მმართველი კოალიციის ფორმირების მიზნით. მრავალპარტიულობის პირობებში პრეზიდენტის პარტია ხშირად არაა პარლამენტში დომინირებული. პრეზიდენტს არ შეუძლია მართვა პარლამენტის მხარდაჭერის გარეშე, მაგრამ ეს უკანასკნელი არაა პასუხისმგებელი მთავრობის საქმიანობაზე და ამიტომ არაა ვალდებული მას მხარი დაუჭიროს. ამაში მდგომარეობს პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის მუდმივი კონფლიქტის მიზეზი, რამაც ქვეყნის მმართველობა ჩიხში შეიძლება შეიყვანოს.

პრეზიდენტები, რომელთაც არ შეუძლიათ მოლაპარაკება პარლამენტთან, იძულებულნი არიან მიმართონ სხვა პოლიტიკურ

ძალებსა და მეთოდებს, რათა პარლამენტის გარეშე მართონ. ამის შესაძლებლობა არსებობს — პრეზიდენტი მთავრობას აყალიბებს პარლამენტის მონაწილეობის გარეშე. ამ შემთხვევაში საფრთხე ისაა, რომ არ ვითარდება დემოკრატიის წარმომადგენლობითი ინსტიტუტები. პარლამენტი კარგავს თავის ავტორიტეტს და დემოკრატიული ინსტიტუტები ინგრევა.

როგორც მ. უოლერსტაინი აღნიშნავს, ამგვარი სცენარი გარდაუვალი არ არის, მაგრამ მმართველობის საპრეზიდენტო ფორმის პროპორციულ წარმომადგენლობასთან შეხამების პირობებში პოლიტიკური ჩიხისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დამბლის საფრთხე ძალზედ დიდია.

კითხვები და დავალებები:

- რა არის საარჩევნო სისტემა?
- რას ეწოდება საარჩევნო პროცედურა?
- რითი განსხვავდება ერთმანეთისგან პროპორციული და მაჟორიტარული სისტემები?
- რომელი საარჩევნო სისტემაა უფრო ფართოდ გავრცელებული თანამედროვე მსოფლიოში — მაჟორიტარული თუ პროპორციული?
- შეადარეთ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების ღირსებები და ნაკლოვანებები;
- რას ეწოდება საარჩევნო მეტრი?
- როგორია შერეული საარჩევნო სისტემის არსი?
- რა კანონები ჩამოაყალიბა მ.დიუვერჟემ პარტიული და საარჩევნო სისტემების ურთიერთკავშირის შესახებ?
- საარჩევნო სისტემის შერჩევის დროს ძირითად პრობლემას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ როგორი მთავრობაა უკეთესი: უფრო ძლიერი თუ უფრო წარმომადგენლობითი. რას ფიქრობთ ამაზე? მოიყვანეთ მაგალითები როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევისათვის;
- რა კავშირშია ერთმანეთთან საარჩევნო სისტემა და აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანობა?

რა წაიკითხოთ:

- **Лейкман Э., Ламберт Дж. Исследование мажоритарной и пропорциональной избирательных систем. М., 1958**

ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული საარჩევნო სისტემების ძირითადი სახეობები. მისი გაცნობა მკითხველს დაეხმარება კიდევ უფრო ღრმად შეისწავლოს წინამდებარე თავში განხილული საკითხები.

• **Duverger M. Les Partis Politiques. Paris, 1951.**

Дюверже М. Политические партии. М.: Академический проект, 2000

მორის დიუვერჟეს ფუნდამენტური ნაშრომის მეორე ნაწილის პირველ პარაგრაფში დაწვრილებითაა განხილული საარჩევნო სისტემებისა და პარტიული სისტემების ურთიერთკავშირი. წიგნის მთლიანობაში გაცნობა კი დაგვეხმარება უფრო ღრმად გავიაზროთ პარტიების როლი და მნიშვნელობა როგორც არჩევნების დროს, ისე მთლიანად პოლიტიკურ პროცესში.

• **Лейпхарт А. Конституционные альтернативы для новых демократий // Полис, 1995. № 5. С.136-146.**

დასახელებულ სტატიაში დაწვრილებითაა განხილული საარჩევნო სისტემებისა და მის საფუძველზე შექმნილი მთავრობების სტაბილურობის საკითხები, აგრეთვე ის საფრთხეები, რაც შეიძლება დაემუქროს ახალ დემოკრატებს სხვადასხვა საარჩევნო სისტემების არსებობის დროს.

თავი XV

საარჩევნო სისტემის შუნქციონირების საკითხები

§ 1. პოლიტიკური მანქანა

პოლიტიკური მანქანის არსი. არჩევნები თანამედროვე საზოგადოებაში მძლავრ პოლიტიკურ ინსტიტუტად გადაიქცა, რომელიც ორგანიზებულია და ფუნქციონირებს კარგად აწყობილი პოლიტიკური მანქანის სახით. „პოლიტიკური მანქანის" ქვეშ აშშ-ში ესმით პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგას ბოსი ან ჯგუფი. მათი მითითება საკმარისია იმისათვის, რომ მიიღონ ანდა, პირიქით, შეაჩერონ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება. „პოლიტიკური მანქანის" მოქმედება შეიძლება ვრცელდებოდეს ქალაქზე, შტატსა და მთელ ქვეყანაზეც.

მიჩნეულია, რომ პირველად ამგვარი მანქანა ნიუ-იორკის მერმა უ.ტვიდმა (1823-1873) შექმნა. მან იმიგრანტებს ყველანაირი შელავათი აღუთქვა, პირველ რიგში კი სამუშაო და ბინა, საარჩევნო კამპანიის დროს მოიპოვა მათი მხარდაჭერა. ამ მხარდაჭერას იგი ეყრდნობოდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, ქალაქის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებთან დაკავშირებით.

პოლიტიკური მანქანა იერარქიით, მკაცრი დისციპლინითა და ორგანიზებულობით გამოირჩევა. მრავალი ადამიანის აწყობილი მუშაობის წყალობით, რომელთაც უფლება აქვთ ამა თუ იმ სახის მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკური მანქანის ხელმძღვანელები აღწევენ საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მათთვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღებას. ამგვარი მანქანის შექმნის მთავარი მიზანია — მხარდაჭერის უზრუნველყოფა არჩევნებზე, საკუთარი კანდიდატის გაყვანა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ლობირება.

პოლიტიკური მანქანა და კანდიდატი. დღეს პარტიული პროპაგანდით არა ერთეულები, არამედ სპეციალური ჯგუფები, გუნდები, დაწესებულებები, ფირმები და ინსტიტუტებია დაკავებული. ერთი და იმავე პარტიის სასარგებლოდ რამდენიმე გაზეთმა ან ტელეარხმა შეიძლება აგიტაცია გასწიოს. სპეციალური ფირმები, რომელთაც პროფესიონალი სპიჩრაიტერები და იმიჯმეიკერები ჰყავთ, კანდიდატის პოლიტიკური სახის ჩამოსაყალიბებლად მუშაობენ. ამ ადამიანებს საფუძვლიანი ცოდნა და მომზადება აქვთ ისტორიის, პოლიტიკური მეცნიერებების, ფსიქოლოგიის, იურიდიული მეცნიერების სფეროში. მათ პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და მრავალი საარჩევნო კამპანია ჩაუტარებიათ. ამ ადამიანებს შეუძლიათ განჭვრიტონ ამომრჩეველთა რეაქცია იმაზე, თუ როგორ გამოიყურება, რას ლაპარაკობს და რას აკეთებს კანდიდატი, იციან, თუ როგორ მოახდინონ მისი სახის კორექტირება, რათა ის უფრო მიმზიდველი გახდეს ამომრჩეველთა უმრავლესობისათვის.

პროფესიონალი მენეჯერები ხელმძღვანელობენ პოლიტიკურ კამპანიას, წინასწარ გათვლილი აქვთ ყველა როლი და საგულდაგულო ორგანიზებას უკეთებენ პოლიტიკური სცენარის განხორციელებას: სპონსორების მოზიდვას, ახდენენ პოლიტიკური ბაზრის სეგმენტაციას, საზოგადოებრივი აზრის ზონდირებას, კანდიდატის პოლიტიკური სახის მომზადებასა და საგიტაციო კამპანიის ჩატარებას, მასში ცნობილი როკ-ვარსკვლავების, მწერლებისა და მსახიობების ჩართვას, გასცემენ ჰონორარებს, ორგანიზაციას უწევენ დაკვირვებას ხმის მიცემის პროცესსა და ხმების დათვლაზე, იყენებენ „შავ" ტექნოლოგიებს ამომრჩეველთა მოსასყიდად ან შესაშინებლად. პროფესიონალი მენეჯერის დასახმარებლად იქმნება მრავალრიცხოვანი საარჩევნო შტაბი.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა შესაძლებელს ხდის გამოირკვეს ამომრჩეველთა ორიენტაცია და განწყობა, იკრიბება მონაცემების ფართო ბაზა, ანალიზდება ფაქტები და განისაზღვრება პოლიტიკურ მოქმედებათა სწორი სტრატეგია. ამგვარი მონაცემები იმიჯმეიკერს ეხმარება კანდიდატის სახე შეუსაბამოს ამომრჩეველთა მოლოდინებს, სპიჩრაიტერს შესაძლებლობას აძლევს დაწეროს კარგი ტექსტი კანდიდატის სატელევიზიო გამოსვლისათვის, დაქირავებულ ჟურნალისტებს — მოამზადონ მომგებიანი სტატია, ხოლო ფინანსურ კონსულტანტებს — ფულადი ნაკადების საჭირო მიმართულებით წარმართვაში.

პოლიტტექნოლოგები გამოცდილ სცენარისტებსა და რეჟისორებს წარმოადგენენ, რომელთა ხელშიც კანდიდატი მორჩილ მარიონეტად „dummy leaders"-ს იქცევა, როგორც მათ დასავლეთში

უწოდებენ. კანდიდატი მშვიდად ღებულობს ამ როლს, რადგანაც იცის, რომ პოლიტტექნოლოგები საარჩევნო კამპანიას კარგად წარმართავენ და ყველაფერს გააკეთებენ მისი არჩევნებში გამარჯვებისათვის. საბოლოო ჯამში, კანდიდატის მიზანია არა არჩევნებში მონაწილეობა, არამედ გამარჯვება. რაც შეეხება პოლიტტექნოლოგებს — იმიჯმეიკერებს, სიტყვის ოსტატებს, სარეკლამო აგენტებს, დაქირავებულ ჟურნალისტებსა და სპიჩრაიტერებს — მათი მუშაობის მთავარი შინაარსია მომავალი არჩევნებისათვის კანდიდატის მომზადება და თავად საარჩევნო კამპანიის წარმართვა.

თუ საქმე ეხება არა დამოუკიდებელ კანდიდატს, რომელიც „თავის ხარჯზე" რისკავს, არამედ პარტიულ ფუნქციონერს, მაშინ კანდიდატის ფიგურა საერთოდ ძალზედ პირობით სიდიდედ იქცევა. მენეჯერები და საარჩევნო შტაბი, რომელთაც გასამრჯელოს პარტია უხდის, კამპანიას, არსებითად, მთელი ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, წარმართავენ, ხოლო კონკრეტული კანდიდატი ნაკლებად მნიშვნელოვანი ფიგურაა და, საჭიროების შემთხვევაში, მას ცვლიან. ზოგჯერ სასურველიც არაა, რომ პარტიული კანდიდატი ძალიან გამოირჩეოდეს თავისი გონებითა და ინტელექტით. ასეთ შემთხვევაში იზრდება რისკი, რომ იგი დამოუკიდებელ პოზიციას დაიკავებს. მარიონეტ-კანდიდატს, ამრიგად ქმნიან ჭკვიანი იმიჯმეიკერები, იმისდა მიხედვით, თუ როგორია:

- პარტიული მიზნები და პროგრამები;
- მასობრივი მოლოდინი და სტერეოტიპები;
- შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურა.

ამომრჩევლის უფლებაა კანდიდატში ამოიცნოს მისი ჭეშმარიტი სახე: მართლაც იმას წარმოადგენს, რადაც თავს ასაღებს, მაგალითად, ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებულ მებრძოლს, თუ მხოლოდ პარტიული (ან სამთავრობო) მარიონეტია. არცთუ იშვიათად ამომრჩევლები ამას ახერხებენ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მოწმობს, რომ ადამიანები ძალზე მგრძნობიარენი არიან პოლიტიკური სიყალბის მიმართ, არ უყვართ ტყუილი დაპირებები, ხოლო კანდიდატებს პატივს სცემენ პროფესიონალიზმისა და წესიერების გამო.

პარტიული მანქანის საქმიანობის შედეგად ნამდვილი კანდიდატები (აშშ-ში მათ უწოდებენ „bona fide"-ს, რაშიც გულისხმობენ „პატიოსან, წესიერ კაცს") — გამონაკლისი უფროა, ვიდრე წესი. მაგრამ რაც უფრო ნაკლებია ამგვარი კანდიდატების რაოდენობა, მით უფრო დაბალია საარჩევნო კამპანიაში მოქალაქეთა მონაწილეობის დონე და ნდობა ხელისუფლებისადმი, რომელიც, გამოკითხულთა აზრით,

ხელს უშლის პოლიტიკურ სცენაზე წესიერი და საქმის მცოდნე კანდიდატების გამოსვლას.

ვლინდება სხვა კანონზომიერებაც: რაც უფრო დასამახსოვრებელი და ნიჭიერია კანდიდატი, მით უფრო პატარაა მისი საარჩევნო შტაბი და მით უფრო მეტად ემყარება იგი საკუთარ ძალას. განსაკუთრებით გამორჩეულ ადამიანებს საერთოდ არ სჭირდებათ იმიჯმეიკერები. ასეთი იყო, მაგალითად, ჯავახარლალ ნერუ — შესანიშნავი ორატორი, იმპროვიზატორი, რომელიც კარგად ერკვეოდა არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიაშიც.

პოლიტიკური მანქანის საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მართალია, პოლიტიკური მანქანის არსებობის ძირითადი აზრი არჩევნებში გამარჯვება, ხელისუფლების მოპოვება და შენარჩუნებაა, მაგრამ არცთუ იშვიათად პოლიტიკური მანქანა ხელს უწყობდა პროგრესული რეფორმების განხორციელებას. თანამოაზრეების ანდა საერთო ინტერესებით (უანგარო ან ანგარებითი) შეკრული ადამიანების დარაზმულ ჯგუფს ძალზედ ბევრი რამის მიღწევა შეუძლია. არსებითად, ისინი ხელისუფლების კონსოლიდაციის მექანიზმს წარმოადგენენ, მათ ცენტრალიზებულ ძალად აქცევენ.

მაგრამ, როგორც წესი, პოლიტიკური მანქანის შიგნით სჭარბობს ცენტრიდანული ტენდენციები და ავტორიტარიზმისკენ სწრაფვა. ელექტორატის მხარდაჭერის მოპოვების შემდეგ, პოლიტიკური მანქანის ხელმძღვანელებმა შეიძლება მიაღწიონ ფინანსურ მხარდაჭერასაც, რადგანაც ხელისუფლების სათავეში მოსვლა მათთვის უზრუნველყოფს საქალაქო ან ფედერალური ბიუჯეტის განაწილების შესაძლებლობასაც. აშშ-ში ასეთი პოლიტიკური მანქანები სხვადასხვა დროს არსებობდა ბოსტონში, ფილადელფიაში, ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, კანზას-სიტიში.

პოლიტიკური მანქანის ორგანიზატორებისათვის საკმარისი არაა ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვება. მათთვის აუცილებელია აკონტროლებდნენ ხელისუფლების იმ რესურსებს, სამუშაოების იმ სახეებსა და თანამდებობებს, რომელთა განაწილებასაც თავის მომხრეებს პირდებიან.მათ შორის მთავარია სახელმწიფო ბიუჯეტი, საიდანაც ფარულად და, ხშირ შემთხვევებში, მოსახლეობის უმრავლესობის საზიანოდ ფინანსდება არა მარტო მომხრეები, არამედ თავად ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური პარტია.

პოლიტიკურმა მანქანამ შეიძლება საგადასახადო შეღავათები მისცეს ცალკეულ ორგანიზაციებსა და ფირმებს. პოლიტიკური მანქანა, რომელიც ბიზნესმენების მხარდაჭერას ღებულობს, იმედოვნებს შემდეგ დაიბრუნოს ფულის ის ნაწილი, რასაც ბიზნესი მიიღებს საგადასახადო ტვირთის შემცირებით, საბაჟო შეღავათების მინიჭებით, ხელსაყრელი კონტრაქტების დადებით უცხოურ ფირმებთან ან კონტრაქტებით, რომელსაც მასთან გააფორმებს სახელმწიფო. პარტიული შემოსავლების ლომის წილს შეადგენს კრიმინალური სტრუქტურებიდან მომდინარე თანხები, რომლებიც პარტიამ დაიცვა სახელმწიფო ორგანოების ჩარევისაგან.

პარტიული მანქანა, მფარველობას უწევს რა ზოგიერთებს (პატრონაჟი), იმავდროულად აუარესებს სხვა დანარჩენი მოქალაქეების მდგომარეობას, პირველ რიგში კი იმათ მდგომარეობას, რომელთაც მას მხარი არ დაუჭირეს წინა არჩევნებში. წარსულში პოლიტიკური მანქანა ამერიკულ ქალაქებში, რომელთაც სათავეში ედგა თეთრკანიანი ელიტა, აძლიერებდა ფერადკანიანების ჩაგვრას, „კანონიერი გზით“ ართმევდა მიწებს ინდიელებს და ა.შ.

პოლიტიკური მანქანის მნიშვნელობის შემცირება. აშშ-ში პოლიტიკური მანქანის არსებობისათვის ყველაზე ხელსაყრელ დროდ XIX საუკუნე მიიჩნევა. მას შემდეგ დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ შეძლო რიგი მექანიზმების შექმნა, რამაც საზოგადოებაზე პარტიული მანქანის გავლენის შესაძლებლობები შეამცირა. პოლიტიკური მანქანის მოქმედების შესუსტებას ხელი შეუწყო:

- პირველადი ხმის მიცემის (ე.წ. პრაიმერიზის) ინსტიტუტის შემოღებამ, რომლის დროსაც ყველაზე პოპულარული კანდიდატის გამოვლენა ხდება;
- სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებამ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაზე;
- საჯაროობის გაფართოებამ და ინფორმაციის მისაწვდომობამ პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის შესახებ.

აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვნად შეირყა ის სოციალური ბაზაც, რომელიც პოლიტიკური მანქანის მხარდაჭერას უზრუნველყოფდა. ამის მიზეზია მობილურობა (მოქალაქეთა მასობრივი გადინება გარეუბნებში, სამუშაო ადგილების ხშირი ცვლა, ჩაწერის ინსტიტუტის არარსებობა), რამაც შეამცირა ადამიანის კავშირები კონკრეტულ ადგილთან, ამა თუ იმ თემთან, საზოგადოებასთან.

§ 2. საარჩევნო ფილტრები

საარჩევნო ფილტრების დანიშნულება. დემოკრატია არჩევნებს საყოველთაოდ მისაწვდომს ხდის. პრაქტიკულად ყოველ მოქალაქეს, თუკი ის ფსიქიკურად ავადმყოფი ან პატიმარი არაა, შეუძლია თავისი კანდიდატურის წამოყენება და გამარჯვებისათვის ბრძოლა. ასე რომ, თეორიულად, კანდიდატი შეიძლება უფრო მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე ამომრჩეველი. რატომ არ იქცევა ეს თეორიული შესაძლებლობა რეალობად?

პირველ რიგში ეს აიხსნება საარჩევნო ფილტრების მძლავრი სისტემის არსებობით. ისინი „ცხრილავენ" პოტენციური კანდიდატების მნიშვნელოვან ნაწილს. პირველ ფილტრს ფული წარმოადგენს. კანდიდატს ბევრი ფული სჭირდება, უბრალო ადამიანებს კი ფული არა აქვთ. ბევრს საკუთარი კანდიდატურის წამოყენება არ სურს მორალური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რადგანაც ვარაუდობენ, რომ „პოლიტიკაში ბევრი სიბინძურეა".

თავად არჩევნები წარმოადგენს მძლავრი პოლიტიკური ფილტრის ნიმუშს, რომელიც „გზას აძლევს" ზოგიერთ კანდიდატს და ბლოკავს სხვებს (ნებისმიერი ფილტრის პირველი თვისება — შემსვლელთა რაოდენობა ყოველთვის მეტია გამომსვლელზე).

საარჩევნო ფილტრების სახეები. საერთაშორისო პრაქტიკაში არჩევნების ჩატარების დროს მიღებულია შემდეგი შეზღუდვების გამოყენება:

- მოქალაქეობა;
- ასაკი;
- ქვეყანაში ცხოვრების ვადა;
- სისხლის სამართლის ნასამართლება;
- ფსიქიკური და ფიზიკური სრულფასოვნება.

თითოეული ზემოთ აღნიშნული ფაქტორი გამოდის ფილტრის სახით, რომელიც „ცხრილავს" არასასურველ პრეტენდენტს. იურიდიულ ენაზე ფილტრებს ცენზები ეწოდება.

საარჩევნო ცენზები არის კანონით დადგენილი პირობები, რომელთა დაცვაც აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ყველაზე მეტად გავრცელებულია ქონებრივი, ბინადრობის, განათლების ცენზები. სქესობრივი ცენზი დიდი ხნის მანძილზე ზღუდავდა ქალების მონაწილეობას არჩევნებში (ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში ეს შეზღუდვა დღესაც ძალაშია). ქონებრივი ცენზი ზღუდავს

ნაკლებად შეძლებული მოქალაქეების აქტივობას. ბინადრობის ცენზი ზღუდავს მიგრანტების ელექტორალურ აქტივობას, რადგანაც არჩევნებში მონაწილეობისათვის მოითხოვს საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრებას.

გარდა აღნიშნულისა, არსებობს ასაკობრივი ცენზი, რომელიც ზღუდავს ამომრჩეველთა ასაკს სრულწლოვანებით, ხოლო კანდიდატებისათვის უფრო მაღალ ასაკს მოითხოვს; არაქმედუნარიანობის ცენზი ზღუდავს არჩევნებში ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანების მონაწილეობას, რასაც სასამართლოს გადაწყვეტილება ესაჭიროება. არსებობს მორალური ცენზები, რომლებიც ზღუდავენ არჩევნებში იმ პირების მონაწილეობას, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით პატიმრობის ვადას იხდიან.

თანამედროვე საარჩევნო სისტემები ჩამოყალიბდა არჩევნებში მონაწილეთა.რიცხვის გაფართოების ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში. განისაზღვრა ამომრჩეველთა საარჩევნო ცენზი — 18 წელი, ხოლო კანდიდატებისა არჩევითი პოსტის მიხედვით — 23-დან 40 წლამდე. ტრადიციული ნორმატივებისგან გათავისუფლებასთან ერთად შემცირდა დაბრკოლებები არჩევნებში უქონელთა, ქალებისა და მოცემულ რაიონში ცოტა ხნის წინ დასახლებული პირებისათვის. იმ პირობებში, როდესაც უქონლები აღარ წარმოადგენენ საზოგადოების უმრავლესობას, დაკარგა ადრინდელი საფუძველი შიშმა არჩევნებში უმრავლესობის უპასუხისმგებლობის შედეგების თაობაზე, მასზე პოპულიზმის განწყობის ზემოქმედების თაობაზე.

საშუალო კლასის განვითარებასთან ერთად, მიგრაციული პროცესის ძირითადმა მასამაც ცივილიზებული, ნორმალური ხასიათი შეიძინა. განვითარებულ ქვეყნებში ისინი არ წარმოადგენენ ლტოლვილთა ნაკადს უმუშევრობის რაიონებიდან ან ეთნიკური თუ რელიგიური კონფლიქტების ზონებიდან. ახალი მცხოვრებნი მოცემულ ოლქში უკვე აღარ არიან სასოწარკვეთისა და ვისიმე დანაშაულის, გაბოროტების გრძნობის მატარებელნი. ამასთან, შესუსტდა კუთხურობის, თავისიანებად და უცხოებად დაყოფის ტრადიციებიც. შედეგად ბინადრობის ცენზი უკვე აღარ განიხილება სტაბილურობის უზრუნველყოფის ფაქტორის სახით. შენარჩუნებულია ბინადრობის ცენზის ეთიკური მხარე. არ არსებობს მორალური უფლება მიიღო არჩევნებში მონაწილეობა ახალ ოლქში გადასახლებიდან რამდენიმე დღის შემდეგ. შესაბამისად, თანამედროვე ბინადრობის ცენზი ნახევარ წელიწადს არ აღემატება. მაგრამ ბინადრობის ცენზი რჩება ყველა კანდიდატისათვის ნებისმიერ არჩევით პოსტზე. რაც უფრო მაღალია არჩევითი

თანამდებობა, მით უფრო დიდია ქვეყანაში, მოცემულ ოლქში ცხოვრების ვადა. XIX საუკუნეში ქალების ცხოვრება ოჯახით იყო შემოფარგლული. მათი განათლებისა და ოჯახის გარეთ დასაქმ ..ს ზრდასთან, საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლის გაშლასთან ერთად ქალებმა მოიპოვეს საარჩევნო უფლებები.

გარდა ოფიციალური და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპების შესაბამისი შეზღუდვებისა, არის კიდევ არაოფიციალური, ნახევრადოფიციალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ოფიციალური შეზღუდვები. მაგალითად, საბჭოთა კავშირში დიდი ხნის მანძილზე ოფიციალურად მოქმედებდა კლასობრივ-წოდებრივი ცენზები, რომლებიც ზღუდავდნენ, მაგალითად, კულაკების, რეპრესირებულთა შვილების საარჩევნო აქტივობას. გარდა ამისა, მოქმედებდა იდეოლოგიური და პარტიული ცენზები.

საარჩევნო ფილტრების სახით შეიძლება გამოვიდეს საარჩევნო კამპანიის ორგანიზების სამართლებრივი პრინციპები. მაგალითად, კონკურენტებს შორის სააგიტაციო კამპანიის რესურსების თანასწორობისა და სამართლიანი განაწილების მოთხოვნის დაცვა გამოდის ერთ-ერთი ასეთი ფილტრის სახით. ის გულისხმობს:

- საარჩევნო ფონდების ვათანაბრებას (ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სახელმწიფო დაფინანსება, კერძო შენატანების შეზღუდვა, კორპორაციებისა და უცხოელი მოქალაქეებისაგან თანხების მიღების აკრძალვა და სხვა);
- მასმედიის, განსაკუთრებით ელექტრონულის დაახლოებით თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა (ამის გარეშე არჩევნები იქცევა მანიპულირების ინსტრუმენტად);
- არჩევნებში უპირატესობის მოსაპოვებლად სახელმწიფო სახსრების გამოყენების მკაცრი აკრძალვა. ეს უკანასკნელი ასევე გულისხმობს სახელმწიფოს ხელმძღვანელებისა და მაღალი რანგის ჩინოვნიკების მიერ თავისი მდგომარეობის არგამოყენებას საარჩევნო კამპანიის დროს და ა.შ.

სოციალური ბარიერის სახით შეიძლება გამოვიდეს სოციალური წარმოშობა, ასაკი და სხვა ფაქტორები. მაგალითად იმისათვის, რომ პიროვნება არჩეული იყოს ლორდთა პალატაში აუცილებელია დამსახურება ,,ეკმშობლოს წინაშე, გარკვეული ტიტული და უმწიკვლო რეპუტაცია.

სოციალური ფილტრის სახით ადრე ფართოდ გამოიყენებოდა ქონებრივი ცენზი. დღეს ამგვარი პრაქტიკა, ფაქტობრივად, მოხსნილია, მაგრამ ფული ის ფაქტორია, რომელსაც შეუძლია კანდიდატს

დაეხმაროს საარჩევნო ბარიერების დაძლევაში. ამასთან, არა იმდენად რეგისტრაციის წესების, რამდენადაც საარჩევნო კამპანიის წარმართვასა და შედეგების შეჯამების დროს. მექრთამეობას საარჩევნო პრაქტიკაში საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ იგი კანდიდატს ეხმარება „ხელისუფლებაში მოსვლასა" და დეფიციტური სიკეთეების მიღებაში.

ფული და პოლიტიკა — ერთმანეთისგან განუყოფელია. ფულს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძველ დროშიც იყენებდნენ, მაგრამ ფულის გამოყენებამ პოლიტიკაში განსაკუთრებით ფართო ხასიათი XX საუკუნეში მიიღო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებასთან ერთად. მასმედია მძლავრი საშუალება აღმოჩნდა ამომრჩევლების განწყობაზე ზემოქმედებისათვის. როგორც წესი, იმარჯვებს ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ფულის მოგროვება შეძლო. დღეს არჩევნები არის არა უმრავლესობის გამარჯვება უმცირესობაზე, არამედ დიდი ფულის გამარჯვება პატარა ფულზე. „პოლიტიკა — კაპიტალის ხელსაყრელი განთავსების სფეროა".

საარჩევნო ფილტრების დისფუნქცია და მისი შედეგები. სოციალური ფილტრების უზომოდ გამკაცრება კი არ გადაწყვეტს, არამედ აძნელებს ამოცანას. ფუნქციის ნაცვლად სოციალური არხი დისფუნქციაზე ხდება ორიენტირებული.

რესურსების თვალსაზრისით უფრო უზრუნველყოფილი კანდიდატები, რომელთა უკან დგანან ძლიერი სპონსორები, პოლიტიკური ლობი ან უბრალოდ მაფიოზურ-კლანური სტრუქტურები უპირატეს შანსებს ღებულობენ უბრალო მოქალაქეებთან შედარებით, რომლებიც მსგავს მხარდაჭერას მოკლებულნი არიან.

ფილტრის დარღვევა იმათ დემორალიზებას იწვევს, ვინც პატიოსნად გაიარა საარჩევნო გამოცდები. იმათ კი, ვისთვისაც პროცესი „გაადვილებული" იყო, ახასიათებთ უპასუხისმგებლობა ელექტორატისა და მთლიანად მოსახლეობის მიმართ. მოსახლეობას კი უჩნდება უნდობლობა საარჩევნო ინსტიტუტებისა და ხელისუფლებისადმი, რომელიც ხელს უწყობს უხეშ დარღვევებს.

დროთა განმავლობაში ფილტრის ხარვეზები კრისტალდება და გამონაკლისები წესად იქცევა. დეფორმირებული ფილტრები ხელისუფლებისაკენ ატარებს დაუმსახურებელ, უსინდისო, უნიჭო ადამიანებს. პოლიტიკური კლიმატი საზოგადოებაში უარესდება ისევე, როგორც უარესდება პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ხარისხი.

თუ უნიჭო პოლიტიკოსების რაოდენობა, რომელთაც „დამახინჯებულ ფილტრს" გააღწიეს, კრიტიკულ მასას გადააჭარბებს, მაშინ

საზოგადოებას ღრმა პოლიტიკური. კრიზისი ემუქრება. ამ კრიზისს კი „პოლიტიკურ ოროსანთა" მთავრობა ვერაფერს მოუხერხებს.

§ 3. საარჩევნო ინსტიტუტების დისფუნქციები

პოლიტიკური ინსტიტუტების დისფუნქცია. საზოგადოებრივ ინსტიტუტებს აქვთ ფუნქციები და დისფუნქციები. როდესაც ისინი მოქმედებენ თავისი პირდაპირი დანიშნულების შესაბამისად და საზოგადოებისათვის სარგებლობა მოაქვთ, მაშინ ლაპარაკობენ ინსტიტუტების ფუნქციების შესახებ, ხოლო თუკი ისინი ღალატობენ თავიანთ მისიას და ადამიანებს ზიანს აყენებენ, მაშინ საქმე ეხება დისფუნქციას.

პოლიტიკური ინსტიტუტების დისფუნქციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც მათ მიერ მოტანილი ზიანი ძნელია შეფასდეს პირდაპირი დანაკარგების სახით და, გარდა ამისა, უარყოფითი შედეგები შეიძლება არა მყისვე, არამედ გარკვეული და საკმაოდ ხანგრძლივი დროითი ინტერვალის შემდეგაც გამოვლინდეს.

ავტორიტარულ სახელმწიფოებში არჩევნები გამოდის დემოკრატიული ფასადის, ლამაზი დეკორაციის სახით, რომელიც ადამიანთა ვიწრო ჯგუფის ან ერთი პირის ხელისუფლებას ნიღბავს. თუ არჩევნები პოლიტიკურ შირმადაა გადაქცეული, რომელიც ხელისუფლების ჭეშმარიტ არსს ნიღბავს, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ არა ფუნქციის, არამედ არჩევნების დისფუნქციის შესახებ.

საარჩევნო კამპანიის დისფუნქციის არსი. არჩევნები უაღრესად ხელსაყრელი საქმიანობაა ყველასთვის, ვინც მასში მონაწილეობს. კანდიდატების უმრავლესობას გამარჯვების არანაირი შანსი არა აქვს, მაგრამ ისინი საარჩევნო კამპანიაში უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ და, ამასთან, იმ ფულის დიდი ნაწილი მათი არაა, თანხას სპონსორებისაგან ღებულობენ. თუმცა, ამ თანხებს მთლიანად საარჩევნო კამპანიას არც ახმარენ.

არჩევნების ფუნქციაა მოქალაქეები აქტიურად ჩააბას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ჩამოაყალიბოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ელექტორალური ქცევის დადებითი სალდო. მაგრამ საარჩევნო პროცესიდან გამომდინარე, მას ყოველთვის თან სდევს უამრავი დარღვევა, რითაც გარკვეული პიროვნებები და ძალები უკანონო გზებით საკუთარი მიზნების მიღწევას ცდილობენ.

რაც უფრო მეტი დარღვევებით მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია, მით უფრო ნაკლებია ამომრჩეველთა სურვილი მონაწილეობა მიიღონ მომდევნო არჩევნებში, უფრო დაბალია ნდობა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისადმი და დიდია ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის სურვილი. ამას მოწმობს არჩევნების დამთავრების შემდეგ ჩატარებული ემპირიული გამოკვლევების მონაცემები. პოლიტიკური ქცევის მოტივაცია დაახლოებით ასეთია: თუ ხელისუფლება არ იცავს ჩემს უფლებებს და არ ასრულებს დაპირებებს, მაშინ მე რატომ უნდა შევასრულო ჩემი მოვალეობანი და დავემორჩილო მას?

ყველაზე საშიშია, როდესაც საარჩევნო მაქინაციებს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ დემოკრატიულ საზოგადოებაში იყენებენ, რომელშიც ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა თავისუფლების პრინციპები. ხელისუფლება, აკრძალულ ტექნოლოგიებს, თუნდაც კეთილი სურვილებიდან გამომდინარე, მიმართავდეს (მაგალითად, არ დაუშვას ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლა, რომელთაც საზოგადოება ტოტალიტარიზმისკენ შეიძლება დააბრუნონ), ამით დემოკრატიის დისკრედიტირებას ახდენს და მისი მომხრეების ბაზას არყევს.

საარჩევნო კამპანიის დისფუნქციის სახეები. ფართოდაა გავრცელებული საარჩევნო კამპანიის შედეგების ფალსიფიცირება და დამახინჯების სხვადასხვა სახეები. ხშირია ხმის მიცემის და შეჯამების წესების ისეთი დარღვევა, როგორიცაა ზედმეტი საარჩევნო ბიულეტენების დამზადება და გათვალისწინება, ერთი კანდიდატისთვის მიცემული ხმების პირდაპირი მიწერა მეორისათვის, იმ ხმების ამოღება, რომელიც არასასურველმა კანდიდატმა მიიღო და ა.შ.

ბიულეტენები, რომლებიც დარღვევებით ფორმდება, იწოდება „დევიანტურ ხმებად". სულაც არაა აუცილებელი, რომ თითოეული მათგანის უკან იდგეს ამომრჩეველი, რომელიც განზრახ ამახინჯებს მონაცემებს. დარღვევები შეიძლება მომდინარეობდეს ადმინისტრაციის მხრიდან, რომელიც, მაგალითად, ანადგურებს ბიულეტენების ნაწილს, ყრის ყალბ ბიულეტენებს და ა.შ. სწორედ ამიტომ ლაპარაკობენ „დევიანტური" ნორმიდან გადახრილი ხმების შესახებ.

პოლიტოლოგთა აზრით, ასეთი ხმები მეტია დახურულ საზოგადოებებში, იქ სადაც არსებობს კასტური, წოდებრივი ან კლასობრივი ბარიერები, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის იდეოლოგიურ იზოლაციას, რელიგიურ ტაბუს, რასობრივ სეგრეგაციას და ა.შ.

კანონმდებლობა ყველა ქვეყანაში მკაცრ ზომებს ითვალისწინებს ხმის მიცემის პროცედურების დარღვევისათვის, განსაკუთრებით კი

მისი შედეგების გაყალბებისათვის. დარღვევების ცალკეული შემთხვევები არ აუქმებს ჩატარებული ხმის მიცემის კანონიერებას. საარჩევნო პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს გარკვეულ დიაპაზონს, რომლის ფარგლებშიც დარღვევათა რაოდენობა შეიძლება მერყეობდეს მინიმალურიდან კრიტიკულ რაოდენობამდე. მექრთამეობა და ღია მოსყიდვაც კი ავტომატურად არ აუქმებს არჩევნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ უმრავლეს შემთხვევებში, არჩევნების დარღვევის ფაქტების დასაბუთება ძალზედ რთულია, რადგანაც ეს ყველაფერი ხდება არაფორმალურ სფეროში, არანაირად არ ფიქსირდება, კეთდება საიდუმლოდ და სიფრთხილის ყველა შესაძლო წესის დაცვით.

ელექტორალურ დარღვევებს ასევე მიეკუთვნება სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი ქონებისა (მათ შორის ავტომანქანების) და სახსრების გამოყენება გარკვეული პარტიის ან კანდიდატების მხარდასაჭერად, თანამშრომლებზე ზეწოლა მათ მიერ გარკვეული ელექტორალური გადაწყვეტილების მისაღებად და ა.შ. პოსტსაბჭოურ სინამდვილეში ამგვარ ელექტორალურ დანაშაულს სახელისუფლო პარტიის მხრიდან მასობრივი ხასიათი აქვს და პრაქტიკულად დაუსჯელი რჩება.

კორუფცია ელექტორალურ სფეროში არ შემოიფარგლება მექრთამეობით ან ხმების გაყალბებით. დარღვევები ასევე გულისხმობს მაკომპრომეტირებელი მასალების გავრცელებას კანდიდატებზე, ხმების დათვლის პროცედურების დარღვევას (ბიულეტენების ერთი დასტიდან მეორეში გადატანა, მათი სათვალავში მიუღებლობა, ორჯერ დათვლა, ხმის მიცემის ოქმის დამახინჯება და ა.შ.).

სპეციფიკურ მოვლენად იქცა „კომპრომატების ომი", რაც რეგულარულად ჩაღდება ხოლმე არჩევნების დროს მასმედიაში. ის მაშინ იწყება, როდესაც ერთი კანდიდატის მომხრე მასმედიის საშუალებები იწყებს კრიტიკულ და მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნებას კონკურენტებზე. ეს უკანასკნელნიც, თავისი მედიაარხებით ანალოგიურ ზომებს მიმართავენ.

დისფუნქცია, რომელსაც ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის, გამოიხატება არა მარტო საარჩევნო კამპანიის შედეგების ფალსიფიცირებასა და დამახინჯებაში, არამედ ადამიანებით მანიპულირების მცდელობაში. მანიპულირებას, როგორც ფარულ სოციალურ მართვას, აშკარა უპირატესობა აქვს ბატონობის ძალისმიერ და ეკონომიკურ მეთოდებთან შედარებით. ის არ მოითხოვს ფიზიკურ მსხვერპლს, არ მოითხოვს ისეთ დიდ მატერიალურ დანახარჯებს, რაც აუცილებელია ელექტორალური ზეგავლენის ეკონომიკური რესურსების გამოყენების

შემთხვევაში (პოლიტიკური ლიდერებისა და აქტიური ორგანიზებული ძალების მოსყიდვა). მოხერხებული საინფორმაციო და სხვა სახის მანიპულირება განსაკუთრებით ეფექტურია ფინანსურ-ეკონომიკურ ხელისუფლებასთან შეხამებით, არაპოპულარულ რეჟიმებსაც კი შესაძლებლობას აძლევს შეინარჩუნოს ფორმალურად დემოკრატიული ინსტიტუტები და გარეგნული რესპექტაბელობა.

ელექტორალურ პრაქტიკაში გავრცელებული ბოროტმოქმედებანი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოსახლეობის მენტალიტეტსა და პოლიტიკურ კულტურაზე, ვიდრე საარჩევნო კანონმდებლობის თავისებურებებზე, მის წინააღმდეგობებსა და ხარვეზებზე. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემის მიუღებლობისა და ხელისუფლებისადმი უნდობლობის ან საზოგადოების კრიმინალურობის მაღალი დონის პირობებში ადამიანები აუცილებლად პოულობენ „ახალ ხვრელებს" საარჩევნო დარღვევებისათვის.

არჩევნების სამართლიანობისა და ობიექტურობის მიღწევის გზები. ფალსიფიკაციების თავიდან ასაცილებლად ცდილობენ შეიქმნას ხმის მიცემის პროცესისა და მისი შედეგების კონტროლის საიმედო მექანიზმი. ის გულისხმობს დამოუკიდებელი, მათ შორის საერთაშორისო დამკვირვებლების გამოყენებას ხმის მიცემის შედეგების დამოუკიდებელ პარალელურ შეჯამებას, რასაც ერთად ან ცალ-ცალკე აკეთებენ არჩევნების მონაწილე პარტიებისა და აგრეთვე მასმედიის წარმომადგენლები და ა.შ.

არჩევნების სამართლიანობა (პატიოსნება), როგორც წესი, მიიღწევა რამდენიმე პროცედურის გამოყენებით. ამომრჩეველთა სწორი და დროული აღრიცხვა, საარჩევნო სიების განახლება, უზუსტობებისა და დამახინჯებების აღმოფხვრა მნიშვნელოვანწილად ქმნის იმის გარანტიებს, რომ არჩევნების დროს ხმას მისცემენ სწორედ ისინი, ვისაც ამის გაკეთების უფლება აქვთ.

არჩევნების ობიექტურობას ხელს უწყობს მისი ჩატარება ერთდროულად მთელ ქვეყანაში, ამომრჩევლებისათვის საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობისა და მუშაობის საათების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. ოფიციალური პირები ან მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლები წინასწარ ათვალიერებენ საარჩევნო უბნებს არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიებისათვის, თანაბრად უზრუნველყოფენ მეთვალყურეობას ხმის მიცემის პროცედურისადმი. საარჩევნო უბნებს უნდა იცავდეს პოლიცია ან სპეცი-

ალური ქვედანაყოფები. რიგ ქვეყნებში არჩევნების დროს იკრძალება სპირტიანი სასმელების გაყიდვა. თავად ხმის მიცემა ხდება სპეციალურ კაბინებში, რაც კონფიდენციალურობას უზრუნველყოფს. ბიულეტენებს ითვლიან სპეციალური სათვლელი მანქანებით, ხოლო დათვლის პროცესს თვალს ადევნებენ პოლიტიკური პარტიები. ოქმების ტრანსპორტირება ოლქებიდან ცენტრში მკაცრი დაცვის ქვეშ ხდება.

არჩევნების ფალსიფიცირებასთან ბრძოლის მთავარი გზაა გახდეს არჩევნები გამჭვირვალე, ხოლო მთელი საარჩევნო პროცესი კი საზოგადოების მხრიდან დაკვირვებისა და კონტროლისათვის ღია იყოს. ხმის მიცემის ღიაობა გულისხმობს, რომ პუბლიკისა და ჟურნალისტებისათვის მისაწვდომია როგორც თავად საარჩევნო პროცედურები, ისევე ხმების დათვლა და საარჩევნო კამპანიის საბოლოო შედეგების შეჯამება.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ საარჩევნო პროცესის ყველა ან ზოგიერთი ეტაპი იმიტომ იხურება ხოლმე, რომ შესაძლებელი გახდეს ხმის მიცემის შედეგების გაყალბება. გამოიყენება საარჩევნო კომისიებისათვის ქრთამის მიცემა, ელექტორატის მოსყიდვა, დაშინება, ეკონომიკური სანქციები, ადმინისტრაციული ზეწოლა არჩევნების ორგანიზატორებსა ან ელექტორატზე.

ხმის მიცემის ღიაობა ნიშნავს, რომ ყოველ ამომრჩეველს თანაბარი შესაძლებლობები აქვს ხმის მიცემის დროს. ხმის მიცემის ღიაობა უნდა განვასხვავოთ მისი კონფიდენციალურობისაგან — პირადი საიდუმლოების გაუხმაურებლობისაგან. ის გულისხმობს ყოველი ხმის ფორმალურ დამოუკიდებლობას დანარჩენებისაგან, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს: ხმის მიცემა უნდა იყოს ანონიმური. ამიტომ საარჩევნო ბიულეტენებში არაა შეტანილი ამომრჩევლის შესახებ რაიმე მონაცემები.

ხმის მიცემის ღიაობა დამკვიდრებულია განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, დახურული დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკისა და განუვითარებელი დემოკრატიის ქვეყნებისათვის. ზოგჯერ კონფიდენციალურობის დაცვის საბაბით ადმინისტრაცია ძალზედ დახურულსა და მიუწვდომელს ხდის არჩევნებს როგორც პრესისათვის, ისე საზოგადოებისათვის. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მისი განზრახვა გააყალბოს და დაამახინჯოს ხმის მიცემის შედეგები.

კონფიდენციალურობა იცავს ამომრჩევლის უფლებას თავისუფლად და ზეწოლის გარეშე მისცეს ხმა თავისთვის სასურველ პარტიას ან კანდიდატს. ღიაობა, რომელიც ავსებს და აფართოებს კონფიდენციალურობას, საშუალებას აძლევს საზოგადოებასა და მასმედიას

გააკონტროლოს, თუ რა დოზით იცავს მთავრობა ამომრჩეველთა უფლებებს.

დასავლეთის ქვეყნებში დამუშავებულია მექანიზმები, რომელმაც თავიდან უნდა აიცილოს უმაღლეს არჩევით პოსტებზე უპატიოსნო პოლიტიკოსების არჩევა. ერთ-ერთი მთავარი მომენტი მაღალ სახელმწიფო პოსტზე არჩევისას მისი ბიოგრაფიის ყოველმხრივი შემოწმებაა. აშშ-ში პრეზიდენტობის კანდიდატი მზად უნდა იყოს ამისათვის. ამას აკეთებს მკვლევართა სპეციალური ჯგუფი. კანდიდატებმა ასევე შეიძლება დაიხმარონ სპეციალისტები, რათა საკუთარ ბიოგრაფიაში გამოავლინონ ფაქტები, რაც შეიძლება მათ წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული: ცოლის შერთვა, განქორწინება, ბავშვების ქცევა თუ პირადი ცხოვრების სხვა დეტალები. მას შემდეგ, რაც კვლევა ჩატარდება, დადგება ჟურნალისტების რიგი, რომელთაც ეს შედეგები ფართო აუდიტორიამდე მიაქვთ. მასმედიის საშუალებები ჩაეჭიდებიან ხოლმე ზოგიერთ ფაქტს და თვითონ აგრძელებენ კვლევას.

კითხვები და დავალებები:

• რას ეწოდება „პოლიტიკური მანქანა“?

• რა ურთიერთობა მყარდება პოლიტიკურ მანქანასა და კანდიდატს შორის?

• როგორ ფიქრობთ, პარტიული მანქანა ხელს უწყობს კანდიდატის მიერ ინდივიდუალური თვისებების გამოვლენას თუ არა?

• რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს პოლიტიკური მანქანის საქმიანობას?

• როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა „პოლიტიკური მანქანა“ საქართველოში?

• რატომ შემცირდა აშშ-ში პოლიტიკური მანქანის მნიშვნელობა?

• რა დანიშნულება აქვს საარჩევნო ფილტრებს?

• დაახასიათეთ საარჩევნო ფილტრების სახეები;

• რა როლს ასრულებს ფული საარჩევნო ფილტრების გადალახვის საქმეში?

• რას ეწოდება საარჩევნო ფილტრების დისფუნქცია და რა შედეგები მოსდევს მას?

• რა არის არჩევნებისა და საარჩევნო კამპანიის დისფუნქციის არსი?

• მოკლედ დაახასიათეთ საარჩევნო პროცესის დროს გამოყენებული დარღვევების ძირითადი სახეები. რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში?

• რას ეწოდება ელექტორალური კორუფცია?

• როგორია არჩევნების სამართლიანობისა და ობიექტურობის მიღწევის გზები?

რა წაიკითხოთ:

• **Кравченко А.И. Социология. Учебник. М.: Проспект, 2001 – 536 с.**

ა.კრავჩენკოს სოციოლოგიის სახელმძღვანელოში ცალკე თავი ეთმობა პოლიტიკურ ინსტიტუტებს, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია არჩევნები, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი, საარჩევნო კამპანიის მექანიზმი, პოლიტიკური მანქანის, საარჩევნო ფილტრებისა და საარჩევნო ინსტიტუტების დისფუნქციის საკითხები.

• **მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ძირითადი გარანტიები. თბ., 1997 – 64 გვ.**

ბროშურაში შესულია სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ ჩატარებული კონფერენციის მასალები, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საარჩევნო დარღვევებსა და მის საწინააღმდეგო მექანიზმების შექმნას საარჩევნო კანონმდებლობაში, ამ მხრივ განხილულია უცხოეთის გამოცდილება და საქართველოში არსებული ვითარება.

• **როგორ დაკვირდეთ არჩევნებს? თბ., 1998 — 68 გვ.**

ბროშურა წარმოადგენს სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოს პარტიებისათვის. მასში განხილულია პარტიული დაკვირვების პრაქტიკული ორგანიზების საკითხები. პარტიული დამკვირვებლები კი არჩევნების გაყალბების თავიდან ასაცილებლად, არჩევნების სამართლიანად წარმართვისა და ამომრჩევლების ნების თავისუფალი გამოხატვის ხელშეწყობის მიზნით ინიშნებიან.

V არჩევნები საქართველოში

თავი XVI

საქართველოს საარჩევნო სისტემის ისტორიიდან

§ 1. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები

საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა 1919 წ. 14-16 თებერვალს. არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომლის წინაშეც უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანა იდგა — განესაზღვრა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის საფუძვლები, შეემუშავებინა კონსტიტუცია.

დამფუძნებელი კრების არჩევნების პირობები. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ითვალისწინებდა დამფუძნებელი კრების მოწვევას. 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარტიული სიების მიხედვით. არჩევნების ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მისდამი დაქვემდებარებულ საქალაქო, სამაზრო და სასოფლო საზოგადოებათა კომისიებს. საარჩევნო კომისიაში შედიოდნენ იმ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდნენ.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში გარდა „სტაჟიანი“ პარტიებისა, მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს სპეციალურად არჩევნების წინ სახელდახელოდ შექმნილმა პარტიებმა, როგორიც იყო „ესთეტიკური ლიგა“, „ევგენი დვალის პარტია“ და სხვ. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიების რეგისტრაციის დროს დადგა ერთი სერიოზული პრობლემა — მასში არაქართული პარტიების მონაწილეობის შესახებ. საქართველო საუკუნეზე მეტ ხანს შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში დარჩა ზოგიერთი რუსული პარტია. ასეთი იყო, მაგალითად, რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული (კადეტების) პარტია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდა სომხური პარტიები — „დაშნაკცუთიუნი“, სომხეთის სახალხო პარტია, აზერბაიჯანული პარტია „მუსავატი“ და სხვ.

საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, უცხო სახელმწიფოთა პარტიებს უფლება არ ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. ზემოთ დასახელებული პარტიების ნაწილმა უარი თქვა თავიანთი პარტიული სიების წარმოდგენაზე, ხოლო მათი ყოფილი წევრები ჩაეწერნენ საქართველოს საზღვრებში მოქმედ პარტიებში და არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც საქართველოს მოქალაქეები.

ბოლშევიკების პარტია არ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და, ბუნებრივია, არ მონაწილეობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. მაგრამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად თავისი სია წარმოადგინა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ბოლშევიკების თანამგრძნობ პარტიად ითვლებოდა. ეს პარტია დაუშვეს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. ამან გარკვეული პროტესტი გამოიწვია საზოგადოებაში.

საბოლოოდ, დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებულ იქნა 15 პარტიული სია:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია — სია № 1;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — სია № 2;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია — სია № 3;
- სომხური რევოლუციური პარტია „დაშნაკცუთიუნი“ — სია № 4;
- სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია — სია № 5;
- მუსლიმანთა ეროვნული საბჭო — სია № 6;
- საქართველოს რადიკალ-დემოკრატების პარტია — სია № 7;
- ეროვნული პარტია — სია № 8;

- მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია — სია № 9;
- შოთა რუსთაველის ჯგუფი — სია № 10;
- დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი — სია № 11;
- ბორჩალოს მაზრის მცხოვრებ მუსლიმანთა ჯგუფი — სია № 12;
- რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია — სია № 13;
- ესთეტიკური ლიგა პატრიოტებისა — სია № 14;
- საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი — სია № 15:

სულ დამფუძნებელ კრებაში უნდა აერჩიათ 130 დეპუტატი. პარტიულ სიებში სხვადასხვა რაოდენობით იყვნენ დასახელებული კანდიდატები. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიაში შედიოდა 130 კანდიდატი, ეროვნულ-დემოკრატების სიაში — 113 კანდიდატი, სოციალისტ-რევოლუციონერების სიაში — ასევე 113, სოციალისტ-ფედერალისტების — 90, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების — 37, მუსლიმანთა ეროვნული საბჭო წარმოდგენილი იყო 6 კანდიდატით და ა.შ.

დამფუძნებელი კრების არჩევნების მიმდინარეობა. არჩევნები ტარდებოდა საქართველოსთვის უაღრესად რთულ, მძიმე პირობებში. იმ დროს არსებულ ვითარებაზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის თუნდაც საარჩევნო მოწოდება, გამოქვეყნებული მთავრობის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1919 წ. 12 თებერვალს:

„14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია! მოქალაქენო! ამ დღეს უნდა გადასწყდეს საქართველოს ბედი! თქვენ თვითონ უნდა გამოსჭედოთ იგი! საქართველოს ერთი დიდი მტერთაგანი იქნება არჩევნებისადმი გულცივობა! ამ საბედისწერო მომენტში, როდესაც მრავალი მტერი გარს გვახვევია და სიკვდილით გვემუქრება,. საქართველოს მოქალაქენო, თქვენ უნდა გასცეთ მათ შესაფერი პასუხი! იქ, სადაც იარაღია საჭირო, — იარაღით ხელში და იქ, სადაც სიტყვაა— სიტყვით.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში თქვენ უნდა გამოსთქვათ თქვენი მტკიცე სურვილი და უდრეკი ნება საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის და დემოკრატიულ წესწყობილების დასაცავად. ერთ წუთსაც არ დაივიწყოთ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები უდიდესი მოვლენაა ჩვენი ერის ცხოვრებაში! არჩევნების დღეებში არც ერთი არ დარჩეთ შინ! ყველამ მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არც ერთმა არ დაკარგოთ ხმა!“

მიუხედავად გაწეული დიდი მოსამზადებელი მუშაობისა, საარჩევნო სიების შედგენა, დიდთოვლობის გამო, ვერ მოხერხდა ზემო.

სვანეთში, ფშავ-ხევსურეთის დიდ ნაწილში. არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს ასევე ბათუმის ოლქის, ბორჩალოს, ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მცხოვრებლებმა. დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააუქმა არჩევნების შედეგები ქ.დუშეთში, იქ დაშვებულ ბოროტმოქმედებათა გამო. გადაწყდა, რომ დუშეთსა და იმ მხარეებში, სადაც 14—16 თებერვალს სხვადასხვა მიზეზების გამო არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა, ის ერთდროულად ჩაეტარებინათ გაზაფხულზე.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონიერად სცნო 505.477 ხმა. ეს ხმები პარტიებს შორის შემდეგნაირად იყო განაწილებული:

სოციალ-დემოკრატიული პარტია — 409.766 ხმა;

სოციალისტ-ფედერალისტები — 33.721 ხმა;

ეროვნულ-დემოკრატები — 30.154 ხმა;

სოციალისტ-რევოლუციონერები — 21.721 ხმა.

არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებმა ხმების უმნიშვნელო რაოდენობა მიიღეს. საქართველოს რადიკალურ-დემოკრატიულმა პარტიამ — 3107 ხმა, დაშნაკცუთიუნის პარტიამ — 2353 ხმა, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა — 1616, ნაციონალისტურმა პარტიამ — 1533, დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირმა — 795, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ —779, მუსულმანთა ეროვნულმა საბჭომ 6 ხმა, საქართველოს ელინთა დემოკრატიულმა ჯგუფმა — 12 ხმა, შოთა რუსთაველის ჯგუფმა — 51, პატრიოტების ესტეტიკურმა ლიგამ — 53, ბორჩალოს მაზრის მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფმა — 77 ხმა.

დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები. არჩევნების შედეგების მიხედვით განისაზღვრა საარჩევნო მეტრი (ხმების რაოდენობა, რაც საკმარისი იყო დამფუძნებელ კრებაში ერთი დეპუტატის გასაყვანად). ეს შეადგენდა სულ 3748 ხმას. მხოლოდ 4-მა პარტიამ შეძლო დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში თავისი წარმომადგენლების გაყვანა. სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს 109 ადგილი, ეროვნულ-დემოკრატებმა — 8, სოციალისტ-ფედერალისტებმა — 8, სოციალისტ-რევოლუციონერებმა — 5.

1919 წლის აგვისტოში ჩატარდა დამატებითი არჩევნები (ახალციხის მაზრაში), რომლის შედეგად დაშნაკცუთიუნებმა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გაიყვანეს 3 დეპუტატი, ნაციონალისტებმა — 1, სოციალისტ-ფედერალისტებმა — 1. შესაბამისად, შემცირდა სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლობა, მაგრამ ამას,

ცხადია, არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია დამფუძნებელ კრებაში ამ პარტიის დომინირებულ მდგომარეობაზე.

დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს დაშვებული დარღვევების შესახებ კრიტიკული შენიშვნები გამოთქვეს ეროვნულ-დემოკრატიულმა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიებმა. ისინი მიუთითებდნენ, რიგ შემთხვევებში, საარჩევნო კომისიების არაობიექტურობასა და სახელმწიფო ადმინისტრაციის არჩევნებში ჩარევაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის სასარგებლოდ. მაგრამ, დარღვევების მიუხედავად, ეჭვქვეშ არ დაყენებულა მთლიანად დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა 1919 წ. 12 მარტს — რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის მეორე წლისთავზე. სხდომა გახსნა დამფუძნებელი კრების უხუცესმა წევრმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა სილიბისტრო ჯიბლაძემ. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნ.ჩხეიძე, ხოლო მის უფროს ამხანაგად — ალ.ლომთათიძე. ნ.ჩხეიძის საქართველოში არყოფნის გამო თავმჯდომარის ნაცვლად სიტყვა წარმოთქვა ალ.ლომთათიძემ, ხოლო სიტყვის შემდეგ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, მიღებული 1918 წ. 26 მაისს. კრებამ ის ფეხზე ამდგარმა მოისმინა და ერთხმად დაადასტურა. დამფუძნებელი კრების ყველა წევრმა ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

დამფუძნებელმა კრებამ შეიმუშავა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს, თბილისის მისადგომებთან რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ მძიმე ბრძოლების დროს.

§ 2. საარჩევნო სისტემა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში

1921 წლის კონსტიტუციაში ასახულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება, ისევე როგორც იმდროინდელი მმართველი პარტიის — სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეალები და მისწრაფებები.

საქართველო პირველი ქვეყანა აღმოჩნდა მსოფლიოში, სადაც ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა.

აქედან გამომდინარე, ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთ მისიად მიიჩნევდნენ მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინათ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სანიმუშო დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ერთი მხრივ, დაძლევდა „ბურჟუაზიული დემოკრატიის შეზღუდულობას“ და, მეორე მხრივ, გაემიჯნებოდა ბოლშევიკების ანტიდემოკრატიულ ექსტრემიზმს, რომლებმაც ხალხის მმართველობის სახელით ტოტალიტარულ სახელმწიფოს ჩაუყარეს საფუძველი.

სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის სურვილიდან გამომდინარე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საარჩევნო სისტემის დემოკრატიულობას. კონსტიტუციის 46-ე მუხლი აცხადებდა, რომ საქართველოს პარლამენტი ირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული კენჭისყრის საფუძველზე. საარჩევნო უფლება ჰქონდა ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, 20 წლის ასაკიდან.

საარჩევნო ასაკი. საკონსტიტუციო კომისიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამომრჩეველთა წლოვანება 18 წლამდე დაეყვანათ. მიუთითებდნენ, რომ ეს განხორციელდა რუსეთის რევოლუციის დროს. საკონსტიტუციო კომისიამ არ მიიღო ეს წინადადება. აღინიშნა, რომ 18-წლიანებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭების იდეა ნაკარნახევი იყო არა პრინციპული მოსაზრებებით, არამედ იმ გარემოებით, რომ ომის პირობებში 18 წლის ასაკიდან გაიწვიეს ჯარში ახალგაზრდები, და რადგანაც სამხედრო მოვალეობა დაეკისრათ, საარჩევნო უფლებაც არ შეიძლება არ მისცემოდათ. კომისიის უმრავლესობის აზრით, ეს იყო არანორმალური ვითარების შედეგი და ჩვეულებრივ პირობებში სამხედრო ვალდებულების მოხდა 20 წლის ასაკიდან უნდა ყოფილიყო.

საარჩევნო ოლქები. საკონსტიტუციო კომისიაში საბოლოოდ იმ აზრმა გაიმარჯვა, რომ ერთი საარჩევნო ოლქის სისტემით ჩატარებულმა არჩევნებმა სათანადო შედეგი ვერ გამოიღო. პარლამენტში პარტიულ ინტერესებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი ინტერესებიც. საქართველოს „გეოგრაფიული მდგომარეობა, მთა-ბარიანი ადგილები, მრავალი ერის და სარწმუნოების ხალხის მოხვედრა რესპუბლიკის ფარგლებში თხოულობს ერთგვარ ანგარიშის გაწევას. ამიტომ ადგილობრივ ინტერესებსაც უნდა ეყოლოს პარლამენტში თავისი წარმომადგენელი“.

საკონსტიტუციო კომისიამ საჭიროდ ჩათვალა არსებული პრაქტიკის შეცვლა (დამფუძნებელი კრების არჩევის დროს საქართველო წარმოადგენდა ერთ საარჩევნო ოლქს) და მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს საარჩევნო ოლქებად დაყოფა. როგორც საკონსტიტუციო კომისიის წევრი ს.ჯაფარიძე აღნიშნავდა, საკონსტიტუციო კომისია ამ დროს ხელმძღვანელობდა შემდეგი მოსაზრებებით:

1. ადგილობრივად არჩეული დეპუტატი უფრო უკეთ გამოხატავს ადგილობრივ ინტერესებს;

2. ადგილობრივად არჩეული დეპუტატი უფრო მჭიდროდ დაუკავშირებს განაპირა კუთხეებს ცენტრს;

3. დეპუტატი, როგორც წარმომადგენელი მთელი ერისა, ამაღლდება მთელი ერის ინტერესების დაცვამდე და ამ უმაღლეს ინტერესებს დაუმორჩილებს კუთხურ ინტერესებს.

საკონსტიტუციო კომისიის თვალსაზრისი დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს არ გაიზიარეს სოციალ-დემოკრატიულმა, სოციალ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიებმა. მათ მხარი დაუჭირეს არსებული სისტემის შენარჩუნებას, რომლის დროსაც საქართველო ერთ საარჩევნო ოლქს წარმოადგენდა. ამ სისტემის მომხრეთა ძირითადი არგუმენტები შემდეგი იყო:

1. საქართველო პატარა სახელმწიფოა, ამიტომ მისი კიდევ ოლქებად დაყოფა სრულიად ზედმეტია;

2. არჩევნების ორგანიზება უფრო ადვილია ერთი საარჩევნო ოლქის პირობებში;

3. ცალკე ოლქებად დაყოფა გააძლიერებს კუთხურ პატრიოტიზმს, დეპუტატებს დაავიწყებს ქვეყნის საერთო ინტერესებს, შეიძლება საფრთხე შეექმნას რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლის ს.დადიანის თქმით, საქართველოს დაყოფა საარჩევნო ოლქებად არასასურველი იყო პირველ რიგში სწორედ „სპეციფიკური ადგილობრივი... ისტორიული მიზეზების გამო", კერძოდ, „მთელი ჩვენი ძველი ისტორიული ცხოვრება ხასიათდება დაქსაქსულობით, პარტიკულიარიზმით, რომელსაც ასაზრდოებდა ფეოდალიზმი". მართალია, მას შემდეგ განვითარდა მთლიანობის გრძნობა და ეროვნული შეგნება, მაგრამ „დღესაც არსებობს ერთგვარი ტომობრივი ტრადიციები, კუთხური პატრიოტიზმი და ჩვენ რომ ხელი შეუწყოთ ამ გრძნობას, გავაღვიოთ იგი, ამით სამარეს გაუთხრით ჩვენს ერთობას; ისევ დავქსაქსავთ მთლიანს ერს და ამით შეუძლებელს გავხდით ეროვნულს აღორძინებას".

ს.დადიანი აღნიშნავდა, რომ საფრანგეთის ან აშშ-ის საარჩევნო ოლქებად დაყოფა, ამ ქვეყნების ტერიტორიული სიდიდის გამო, საკვსებით გასაგებია, მაგრამ „საქართველოს დაყოფა გუ ,ბის ან ოზურგეთის მაზრის და სხ. დეპუტატებად სრულიად მიუღებელია“.

საქართველოს საარჩევნო ოლქებად დაყოფას მხარი დაუჭირეს ესერებმა, რომელთაც დამაჯერებლად არ მიაჩნდათ მოწინააღმდეგეთა არგუმენტები: „გვეუბნებიან კუთხური პატრიოტიზმი განვითარდება, ყველა თავისკენ გაიწევს და რესპუბლიკა დაიქცევაო. ჩვენ კი ვფიქრობთ... იგი თავს იჩენს როცა სხვადასხვა კუთხეების, სხვადასხვა ოლქების თავისებურ მდგომარეობას, თავისებურ პირობებსა და ინტერესებს ანგარიშს არ უწევენ, ესე იგი სწორედ მაშინ, როცა არის ერთი ოლქი“.

დამფუძნებელ კრებაში განხილვის შემდეგ, ფაქტობრივად, საკითხის გადაწყვეტა სამომავლოდ გადადეს და კონსტიტუციის 47-ე მუხლში მოკლედ აღინიშნა: „პარლამენტის არჩევნების წესს განსაზღვრავს ცალკე კანონი“.

ᲔᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ. კონსტიტუციის პროექტის 54-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ „პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელს ერს და არა ცალკე ოლქს, რომელმაც ისინი აირჩია“. ასეთი ფორმულირების წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა ს.დადიანმა. მისი სიტყვებით, როდესაც „საზოგადოება ჯერ კიდევ კლასობრივი სტრუქტურისაა, როდესაც არსებობს პარტიული სიების სისტემა და სადაც არის პროპორციული არჩევნები, აბსურდია იმის თქმა, რომ დეპუტატი მთელი ერის წარმომადგენელია“. ასეთი ფიქცია მას კიდევ მისაღებად მიაჩნდა იმ შემთხვევაში, როცა რესპუბლიკა ერთ საარჩევნო ოლქს წარმოადგენდა, მაგრამ ოლქებად დაყოფის შემთხვევაში დეპუტატებიც უნდა მიეღოთ, როგორც ოლქის წარმომადგენლები. საბოლოოდ, აღნიშნული მუხლი არ შესულა კონსტიტუციის ტექსტში.

ᲛᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘ. კონსტიტუციის 52-ე მუხლის თანახმად, პარლამენტი კონსტიტუციის ფარგლებში ანხორციელებდა „ერის ხელმწიფებას“. ამ მუხლის მიხედვით, „სუვერენის სახელი ეკუთვნის ერს და შემდეგ შეზღუდული სახით — პარლამენტს. მეტს არავის“. როგორც 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები აღნიშნავდნენ, ამით ნათქვამი იყო, რომ „ჩვენ რესპუბლიკაში არ არის წმინდა პარლამენტარიზმი, არამედ ხალხოსნური სახელმწიფოა და

ამისდა მიხედვით უნდა იქნეს შესწორებული ის მუხლები, რომელნიც ამ სისტემას არღვევენ“.

აღინიშნებოდა, რომ პარლამენტარიზმის დროს ხალხი მხოლოდ ერთხელ ახორციელებს თავის სუვერენობას — არჩევნების დროს, ანუ რეალური სუვერენობის მატარებელია პარლამენტი. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით კი პარლამენტარიზმის სისტემა იზღუდებოდა სახალხო ინიციატივითა და რეფერენდუმით. ს.დადიანი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ჩვენ ვებრძვით პარლამენტარიზმს, ფრთებს ვაკვეცთ მის ყოყლოჩინობას, ჩამოვაცლით მას ყოველივე ჩვენთვის გამოუსადეგარს ბურჟუაზიულ ტენდენციებს. უახლოებთ მას ხალხს და მით მაღლა ვაყენებთ ხალხს“.

სოციალისტური პარტიების წარმომადგენელთა ნაწილი, თავიანთი იდეოლოგიური პოზიციებიდან გამომდინარე, ალმაცერად უყურებდა წარმომადგენლობითი სისტემის „ბურჟუაზიულ და წმინდა პარლამენტურ“ პრინციპებს. 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები გადაჭრით ემიჯნებოდნენ ასეთ თვალსაზრისს. ს.დადიანი აღნიშნავდა: „შემცდარი აზრია, ვითომ საყოველთაო არჩევნების სისტემა: პარლამენტი, წარმომადგენლობა ბურჟუაზიის მოგონილი იყოს და ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდეს“. სოციალისტური პარტიების სხვა წარმომადგენლებიც აღიარებდნენ, რომ „წარმომადგენლობითი სისტემა, არჩევნები, პარლამენტი კლასობრივი ბატონობის იარაღია“, მაგრამ მიუთითებდნენ, რომ საყოველთაო არჩევნების გზით გაბატონებული კლასი „ხალხის დიდ უმრავლესობას“ წარმოადგენს.

პარლამენტის სრულხელისუფლებიანობა. ამავე დროს პარლამენტი მიიჩნეოდა არა მარტო საკანონმდებლო ორგანოდ, არამედ მთავრობის ფუნქციების შემთავსებელ დაწესებულებადაც. ამ მხრივ საგულისხმოა შემდეგი ეპიზოდი: საკონსტიტუციო კომისიის 1920 წ. 14 აპრილის სხდომაზე კონსტიტუციის პროექტის თავის — „პარლამენტის“ გადასინჯვის დროს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა გ.გვაზავამ აღნიშნა, რომ „პარლამენტი უპირველესად ყოვლისა არის კანონმდებლობითი ორგანო“ და „ეს მისი უზენაესობის ნიშანია“. ამიტომ, მისი აზრით, საჭირო იყო გარკვევით აღენიშნათ, რომ საქართველოს პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა.

გ.გვაზავას წინადადება მიუღებლად მიიჩნიეს, რადგანაც, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის რ.არსენიძის განცხადებით, საქართველოს პარლამენტი (დამფუძნებელი კრება) ხშირად ერეოდა აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროშიც და „ამ

მხრივ იგი აღმასრულებელი ორგანოს ნიშანსაც ატარებს", ანუ 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, პარლამენტი სრულხელისუფლებიანობით ხასიათდებოდა ჩვენს ქვეყანაში. რ.არსენიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „სრული ხელისუფლება პარლამენტის ხელში უნდა იყოს, რომელიც ხალხის ნებით უნდა იყოს შეზღუდული".

პარლამენტართა რაოდენობა. თავდაპირველად კონსტიტუციის პროექტში განსაზღვრული იყო პარლამენტის წევრთა რაოდენობა — 120. შემდგომში ეს ზედმეტად მიიჩნიეს. „ჩვენი ფიქრით, პარლამენტის დეპუტატთა რიცხვის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრა კონსტიტუციაში დიდი შეცდომა იქნებოდა", — აღნიშნავდა საკონსტიტუციო კომისია.

პარლამენტის პალატების რაოდენობა. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია კონსტიტუციის შემუშავების დროს. საკონსტიტუციო კომისიის აზრით, ამას არა მარტო აკადემიურ-თეორიული, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

საკონსტიტუციო კომისიაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გ.გვაზავა მოითხოვდა, რომ პარლამენტი ორპალატიანი ყოფილიყო. მისი აზრით, ზედა პალატა იქნებოდა გარანტია იმისა, რომ კანონები ნაჩქარევი არ გამოვიდოდა, ამავე დროს შეასუსტებდა ქვედა პალატის სწრაფვას თავისი ხელისუფლების გაფართოებისაკენ.

საკონსტიტუციო კომისიამ უარყო ორპალატიანი პარლამენტის იდეა. ჩათვალა, რომ „ორპალატიანი სისტემა ჩვენი რესპუბლიკისათვის სრულებით გამოუსადეგარია". ამას ასაბუთებდნენ შემდეგი არგუმენტებით:

— დემოკრატიული რესპუბლიკის დროს ორივე პალატა ერთი და იმავე წესით იქნება არჩეული, ე.ი. პირდაპირი, საერთო, ფარული და თანასწორი კენჭისყრით. არჩევნების ერთნაირი სისტემა კი ერთნაირ შედეგებს განაპირობებს და ორივე პალატაში ერთი პარტიის უმრავლესობას შექმნის;

— პარტიული დისციპლინა უაღრესად მტკიცეა და ამიტომ თუ რამეს მიიღებს ქვედა პალატა, იგივეს დაადგენს ზედაც. ასე რომ, ზედა პალატა საქართველოში იქნებოდა „ნამდვილი დუბლიკატი ქვედა პალატისა".

ერთპალატიანი პარლამენტი იმ დროს არსებობდა საბერძნეთში, ბულგარეთში, სერბიაში, ლუქსემბურგში და გერმანიის ზოგიერთ პატარა სახელმწიფოში.

საკონსტიტუციო კომისიის აზრით, ზედა პალატა გაართულებდა სახელმწიფო მექანიზმს, „იგი მხოლოდ გამოიწვევს ზედმეტ ხარჯებს და უნაყოფო დროსა და შრომის დაკარგვას". რაც შეეხებოდა კანონთა სერიოზულ განსჯასა და დინჯ მუშაობას, საკონსტიტუციო კომისიის აზრით, მისი მიღწევა შეიძლებოდა რთული საკანონმდებლო წესის შემუშავებით, რეფერენდუმის შემოღებით და სხვ. ე.ი. ზოგიერთი საკითხი, რაც ჩვეულებრივ, ზედა პალატის ფუნქციაში შედიოდა, კონსტიტუციის მიხედვით, ხალხს უნდა გადაეწყვიტა რეფერენდუმის გზით.

პარლამენტის ვადა. საკონსტიტუციო კომისიაში თავდაპირველად პარლამენტის არჩევა ორწლიანი ვადით ივარაუდებოდა. კომისიის წევრთა ნაწილმა ეს ძლიერ მცირე დროდ მიიჩნია. საკონსტიტუციო კომისიის წევრის ს.ჯაფარიძის სიტყვით, „პარლამენტი ვერც კი მოასწრებს რაიმე მისცეს ხალხს, აგრძნობინოს მას ხალხისათვის სასარგებლო საქმიანობა და იგი უნდა დაიშალოს".

ს.ჯაფარიძემ მოითხოვა, რომ საქართველოს მომავალი პარლამენტი, შვეიცარიის მსგავსად, სამი წლის ვადით აერჩიათ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო კომისიის ნაწილმა. პ.გელეიშვილმა აღნიშნა, რომ „ეს სულაც არ იქნებოდა დემოკრატიული პრინციპების ღალატი". კ.ჯაფარიძემ კი არ გამორიცხა პარლამენტის ვადის შემცირება მომავალში, „როცა პარლამენტის ხელში ჩვენი ცხოვრების ეკონომიური მხარეც იქნება, როცა მაშასადამე ხალხი ზედმიწევნით იქნება დაინტერესებული პარლამენტის ბედით".

საკონსტიტუციო კომისიაში ი.ბარათაშვილი და ლ.ნათაძე გადაჭრით მოითხოვდნენ ორწლიანი პარლამენტის დატოვებას. ლ.ნათაძემ გერმანიის 1919 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული 4-წლიანი პარლამენტი მიიჩნია დათმობად „დემოკრატიის მხრივ ბურჟუაზიის წინაშე". ლ.ნათაძის სიტყვით, „სწორედ ეს ხშირი არჩევნები აჩვენებს ხალხს, რომ მმართველობა მის ხელშია და ის არის ბატონ-პატრონი ქვეყნისა. არჩევნები არის ერთადერთი საშუალება ხალხის უზენაესობის განხორციელებისა. ეს დღეს თუ არა აქვს ხალხს შეგნებული, ხვალ შეიგნებს".

საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო კომისიამ დაადგინა, რომ საქართველოს პარლამენტი 3 წლის ვადით აერჩიათ. ვადის განსაზღვრისას საკონსტიტუციო კომისია ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით,

რომ ვადა არ უნდა იყოს ისეთი ხანგრძლივი, რომლის განმავლობაშიც პარლამენტი შეიძლება „ხალხს მოსწყდეს“ და არ უნდა იყოს სამ წელზე ნაკლები, რადგანაც ხშირი საპარლამენტო არჩევნები (რასაც დაემატებოდა რეფერენდუმები და ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები) გადაღლის ხალხს, გაზრდის აბსენტიზმს, ინდიფერენტიზმს და დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული სახელმწიფოსათვის.

პრეზიდენტის ინსტიტუტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მიმდინარეობდა ცხარე დისკუსია პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროების თაობაზე. მთლიანობაში, გამოთქმული მოსაზრებანი შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

1. პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების მომხრენი, რომლებიც ორ განსხვავებულ ვარიანტს სთავაზობდნენ საზოგადოებას:

— „ამერიკული ნიმუშის“ პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომლის დამკვიდრებასაც მოითხოვდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ამასთან, არსებობს ამ პარტიის მიერ შემუშავებული ორი ვარიანტი: საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი ვარიანტის მიხედვით, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება სამი წლით იყო განსაზღვრული; ხოლო დამფუძნებელ კრებაში შეტანილი წინადადების მიხედვით პრეზიდენტის უფლებამოსილება უკვე ხუთი წლით განისაზღვრებოდა.

— „პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი პრეზიდენტი“, რომლის საჭიროებასაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის სხდომაზე იცავდა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ.საყვარელიძე. როგორც ჩანს, ამაში იგულისხმებოდა პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი.

2. პრეზიდენტის ინსტიტუტის უარყოფა „დემოკრატიზმის პრინციპის“ სრულყოფილად განხორციელებისათვის. ხელისუფლების სათავეში უნდა ყოფილიყო მთავრობა-კოლეგია, რომლის არც ერთ წევრს არ ექნებოდა რაიმე განსაკუთრებული უფლება. აღნიშნული მოდელის აქტიურ მომხრეებად გამოდიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები, ასევე სოციალ-დემოკრატთა ნაწილი.

3. პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის გარეშე „ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების“ შექმნის მომხრენი, რომლებიც პრეზიდენტის ზოგიერთი ფუნქციის შეთავსებას ცდილობდნენ სხვა ინსტიტუტებთან. აქ წამოყენებული იყო ორი ვარიანტი:

— „ავსტრიული სისტემა“ — პარლამენტის თავმჯდომარესთან პრეზიდენტის ფუნქციების შეთავსება, რასაც მომხრეები ჰყავდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში;

— „შვეიცარიული სისტემა“ — მთავრობის თავმჯდომარესთან პრეზიდენტის ფუნქციების შეთავსება. ეს იდეაც რამდენიმე ვარიანტის სახით იყო წარმოდგენილი: ა) მთავრობის თავმჯდომარის გაიგივება პრეზიდენტთან (ლ.ნათაძე); ბ) მთავრობის თავმჯდომარისთვის პრეზიდენტის გარკვეული ფუნქციების შეთავსება. ამ ვარიანტის აქტიურ მომხრედ გამოდიოდა ნოე ჟორდანია და სწორედ ეს მოდელი დაედო საფუძვლად საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას.

ᲓᲦᲔᲔᲜᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲓᲐᲜ. როდესაც 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი დაიწყო, საქართველოს დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის განხილვით იყო დაკავებული. მის მიღებას გაზაფხულისთვის აპირებდნენ, შემოდგომაზე კი, სავარაუდოდ, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდებოდა. მაგრამ საქართველოს აღარ დააცალეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა.

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ როგორ „იმუშავებდა“ 1921 წლის კონსტიტუცია, მოვლენები რომ სხვანაირად წარმართულიყო და საქართველოს თავიდან აეცილებინა საბჭოური ოკუპაცია. მართალია, ისტორიას არ უყვარს თუობითი მსჯელობა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კონსტიტუციით განსაზღვრული აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტრუქცია, მნიშვნელოვანწილად, იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკას ემყარებოდა.

§ 3. საქართველოს საარჩევნო სისტემის ტრანსფორმაცია XX საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში

საბჭოთა პერიოდი საქართველოს ისტორიაში ხასიათდება ე.წ. ცრუკონსტიტუციონალიზმის სისტემით, რომელიც კლასიკური ტოტალიტარიზმის პერიოდის შემდეგ, ავტორიტარულ რეჟიმს წარმოადგენდა და გორბაჩოვის „პერესტროიკის“ ეტაპით დაამთავრა თავისი არსებობა. ცრუკონსტიტუციონალიზმისათვის დამახასიათებელია ერთი მხრივ პიროვნების უფლებათა დეკლარირება, მეორე მხრივ კი ამ უფლებათა მოჩვენებითი ხასიათი.

1978 წლის 15 აპრილის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის თანახმად „სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს დეპუტატებს ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით". მაგრამ საბჭოთა არჩევნები არ წარმოადგენდა დემოკრატიულ ალტერნატიულ არჩევნებს. ქვეყანაში დაშვებული იყო მხოლოდ ერთი პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის არსებობა და იკრძალებოდა ნებისმიერი „ანტისაბჭოური" საქმიანობა.

1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნები. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევიდან შვიდი ათეული წლის შემდეგ საქართველოში შესაძლებელი გახდა დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. 1990 წ. 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობდა 14 პოლიტიკური პარტია და პარტიათა ბლოკი. არჩევნები ჩატარდა შერეული სისტემით, უზენაეს საბჭოში 250 დეპუტატის ადგილისათვის (აქედან ნახევარი პროპორციული და მეორე ნახევარი მაჟორიტარული სისტემით). საარჩევნო კამპანიაში ჩაება 2044 კანდიდატი. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3444 ათასი კაცი იყო, მათგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 67%-მა.

4%-იანი ბარიერი გადალახა და არჩევნების პროპორციული სისტემით უზენაეს საბჭოში მანდატები მოიპოვა მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა ძალამ — ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" (81 ადგილი) და საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (44 დეპუტატი). მაჟორიტარული სისტემით ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო — 43 დეპუტატი, კომპარტია — 17 დეპუტატი, სახალხო ფრონტი — 11 დეპუტატი, „დემოკრატიული საქართველო" — 2 დეპუტატი, რუსთაველის საზოგადოება — 1 დეპუტატი. ამრიგად, 1990 წელს არჩეულ უზენაეს საბჭოში წარმოდგენილი იყო 6 პოლიტიკური პარტია.

საქართველოს საარჩევნო სისტემა 1990-1991 წლების კონსტიტუციით. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ეროვნული ხელისუფლება, დაიწყო გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც ძირეული ცვლილებები მოხდა იმ დროს მოქმედ 1978 წლის საბჭოურ კონსტიტუციაში. ფაქტობრივად, 1991 წლისათვის ჩამოყალიბდა სრულიად ახალი კონსტიტუცია.

შეიცვალა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და მათი ფორმირების წესები. უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელიც ირჩეოდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით და შედგებოდა 250 დეპუტატისაგან. უზენაესი საბჭო ირჩევდა თავმჯდომარეს, რომლის უფლებამოსილება იყო 5 წელი.

დეპუტატების კანდიდატების დასახელების უფლება ჰქონდათ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს, მათ საარჩევნო ბლოკებს, რომელთა მოქმედება ვრცელდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და ამომრჩეველთა ჯგუფების განცხადების წარდგენის გზით. დეპუტატობის კანდიდატებს რეგისტრაციის მომენტიდან თანასწორ საფუძველზე ეძლეოდათ მონაწილეობის უფლება საარჩევნო კამპანიაში. დეპუტატთა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებდა, ამასთან ერთად, არჩევნებში მონაწილე მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს და დამოუკედებელ დეპუტატობის კანდიდატებს შეეძლოთ საარჩევნო ფონდების შექმნა კანონით დადგენილი წესით (1991 წლის კონსტიტუციის 96-ე მუხლი).

დეპუტატთა არჩევნები ღიად და საჯაროდ უნდა მომზადებულიყო. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფდნენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნებოდა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების. ამომრჩეველთა ჯგუფებს გარანტირებული ჰქონდათ დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვის შესაძლებლობა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი კანდიდატთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციის უფლება. დეპუტატთა არჩევნების მოწყობის დანარჩენ წესებს განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის კანონები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში აგრეთვე ამ რესპუბლიკების კანონები (მუხლი 97).

მმართველობის უმაღლესი ორგანო ადგილებზე იყო პრეფექტურები, ხოლო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო — საკრებულოები. საკრებულოს წევრად შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად — 23 წელს მიღწეული საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქარ-

თველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია არანაკლებ ათი წლისა. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლებოდა ერთდროულად ყოფილიყო სახელმწიფო ხელისუფლების ორზე მეტი ორგანოს წევრი (მუხლი 92).

ცოტა მოგვიანებით — 1991 წლის 14 აპრილს — საქართველოში შემოღებულ იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომლის ხელშიც გადავიდა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობა. ამ დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ პრეზიდენტად აირჩია ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, 35-დან 65 წლამდე, რომელმაც საქართველოში მუდმივად იცხოვრა არანაკლებ უკანასკნელი 5 წლისა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ხუთი წლის ვადით ირჩევდნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ნამდვილად ითვლებოდა, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდა ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი.

1991 წლის 26 მაისს საქართველოში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები. მასში 6 კანდიდატი მონაწილეობდა. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ.

1991 წლის ბოლოს მოვლენებმა საქართველოში „არაკონსტიტუციური განვითარების" ხასიათი მიიღო. 1992 წ. 6 იანვარს ხელისუფლება სამხედრო საბჭოს ხელში გადავიდა, რომელმაც იმავე წლის 21 თებერვალს დეკლარაციულად აღადგინა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. ცოტა მოგვიანებით სამხედრო საბჭომ ძალაუფლება გადასცა სახელმწიფო საბჭოს, რომელმაც 8 თვის მმართველობის შემდეგ დანიშნა ახალი არჩევნები.

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები. არჩევნები ამჯერადაც შერეული სისტემით გაიმართა, ოღონდ მისი წესი მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო წინა და მომდევნო არჩევნებისგან. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარლამენტში აირჩიეს 75 დეპუტატი (ერთმანდატიანი ოლქებიდან), პროპორციული სისტემით კი 150 დეპუტატი. საარჩევნო ბარიერი ამჯერად 2%-ს შეადგენდა. 1992 წლის არჩევნების დროს მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნებისათვის სხვადასხვა ოლქები იყო გამოყოფილი. პროპორ-

ციული არჩევნებისათვის შეიქმნა 10 მსხვილი მრავალმანდატიანი ოლქი. თითოეულში ამომრჩეველთა რაოდენობა 230 ათასიდან 250 ათასამდე მერყეობდა.

1992 წლის პროპორციული საარჩევნო სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საქართველოში ჩატარებული ყველა სხვა არჩევნების საარჩევნო სისტემებისგან. კენჭისყრა ხდებოდა სამბალიანი სისტემით (თითოეულ ამომრჩეველს 3 ჰქონდა ხმა), კვოტების დადგენა და ხმების დათვლა ხდებოდა მრავალმანდატიანი ოლქების დონეზე, დარჩენილი ხმები პრეფერენციის წესით ნაწილდებოდა საერთო ეროვნულ დონეზე.

არჩევნებში მონაწილეობდა 36 პოლიტიკური პარტია და საარჩევნო ბლოკი. პარლამენტთან ერთად არჩეული იქნა პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. ამ პოსტზე დასახელებული იყო ერთადერთი კანდიდატი — ედუარდ შევარდნაძე. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩევლების 80%-ზე მეტმა, მონაწილეთა 95%-მა ხმა მისცა შევარდნაძეს.

რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, იქ ადგილები მოიპოვა 24-მა პარტიამ და პოლიტიკურმა ბლოკმა: დემოკრატიული პარტია (10), „ქარტია 91" (9), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (12), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი (7), საქართველოს მთიელთა კავშირი (1), საარჩევნო ბლოკი „ერთობა" (14), მამულის აღორძინების საზოგადოება (1), ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია (2), საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი (4), ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (7), საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (2), ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი" (1), საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი (2), საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია (1), საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია (1), საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი (4), საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (2), სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი (14), საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული კავშირი (1), ბლოკი „მშვიდობა" (29), სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება (5), ბლოკი „11 ოქტომბერი" (18), საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (2), საქართველოს მწვანეთა პარტია (11).

კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. 1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა საქართველოს პარლამენტი, რომელსაც სამი წლის ვადით ირჩევდნენ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული, პროპორციული და მაჟორიტარული წესით.

პარლამენტის საქმიანობა შეიძლებოდა შეწყვეტილიყო და დანიშნულიყო ვადამდელი არჩევნები, თუ ამას მოითხოვდა დეპუტატთა სულ ცოტა ერთი მეხუთედი და ამ წინადადებას მხარს დაუჭერდა დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედისა. ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 4 თვისა. პარლამენტს სათავეში ედგა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს სახელმწიფოს მეთაურიც იყო.

1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები. 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციის გარდამავალი დებულებებით (მუხლი 105) განსაზღვრული იყო 5 ნოემბრის არჩევნების ჩატარების პირობები. მასში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისათვის.

პროპორციული სისტემით არჩევნები ტარდებოდა ერთიანი პარტიული სიით. პოლიტიკურ გაერთიანებას (საარჩევნო ბლოკს) უფლება ჰქონდა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარედგინა დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც იმავდროულად მის პარტიულ სიაშიც იყო.

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებდა, მაგრამ კენჭისყრის მონაწილეთა არანაკლებ ერთი მესამედისა. თუ პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებდა ხმათა საჭირო რაოდენობას, მეორე ტურში მონაწილეობას ღებულობდა უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებდა.

კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის თანახმად, პარლამენტის შემადგენლობა განისაზღვრა 235 წევრით, საიდანაც 150 აირჩეოდა პროპორციული და 85 — მაჟორიტარული წესით. 1995 წელს მიღებული საარჩევნო კანონის თანახმად საქართველოს დაიყო 85 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქად, სადაც ერთდროულად უნდა ჩატარე-

ბულიყო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული რეჟიმების გამო, არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა 10 ოლქში, რომლიდანაც 8 აფხაზეთის ტერიტორიას, ხოლო ორი ცხინვალისა და ჯავის რაიონებს მოიცავდა.

იმის გამო, რომ საარჩევნო ოლქები ადმინისტრაციულ ერთეულებს ემთხვეოდა, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყო ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით (მაგალითად ლენტეხის საარჩევნო ოლქში იყო 6.208 ამომრჩეველი, ქუთაისის საარჩევნო ოლქში კი 146.547 ამომრჩეველი). საშუალოდ ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა 20 ათასიდან 50 ათასამდე მერყეობდა.

რადგანაც აფხაზეთში არ დაინიშნა არჩევნები იქ სეპარატისტული რეჟიმის არსებობის გამო, აფხაზეთის დეპუტაციას გაუგრძელდა უფლებამოსილება. აფხაზეთის წარმომადგენლობა შეადგენდა 12 დეპუტატს, რაც ოთხით მეტი იყო აფხაზეთში არსებულ საარჩევნო ოლქებზე. ამიტომ საარჩევნო კანონის გარდამავალი დებულებით 4 ადგილი ჩამოერთვა პროპორციულ წარმომადგენლობას. პროპორციული წარმომადგენლობისათვის დარჩენილი 146 მანდატისათვის კენჭს იყრიდა 53 პარტია.

აღსანიშნავია, რომ 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებიდან მხოლოდ რამდენიმე მონაწილეობდა 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია.

1995 წლის პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.127.946 ამომრჩეველმა (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 68,17%). ხმები ითვლებოდა საერთო ეროვნულ დონეზე. პარტიებს ადგილი უნდა მიკუთვნებოდათ ფორმულით P:(S:146), სადაც P არის პარტიის მიერ მიღებული ხმები, S — იმ პარტიათა ხმების ჯამი, რომლებმაც გადალახეს 5%-იანი ბარიერი. „საარჩევნო მეტრი" განისაზღვრა 5.612 ხმით.

არჩევნების ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 5%-იანი ზღვარის გადალახვა შეძლო მხოლოდ სამმა პარტიამ:

- საქართველოს მოქალაქეთა კავშირი — 504.586 ხმა (23,71%)
- ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტია — 169.218 ხმა (7,95%)
- სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი — 145.626 (6,84%).

ამ სამი პარტიიდან ორს სამთავრობო პარტიის სტატუსი ჰქონდა.

ამასთან, მოქალაქეთა კავშირი იყენებდა შევარდნაძის ავტორიტეტს, ხოლო აღორძინება ასლან აბაშიძის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით სარგებლობდა. აღსანიშნავია, რომ ეს პარტიები ყველაზე მეტ ხმებს იღებდნენ იმ რაიონებში, სადაც სახელმწიფო ადმინისტრაციას ჰქონდა შეუზღუდავი გავლენა საზოგადოებაზე და ადმინისტრაციის ხელმძღვანელები ამ პარტიების წევრები იყვნენ. მოქალაქეთა კავშირისათვის ასეთი რეგიონი იყო ქვემო ქართლი, ხოლო აღორძინებისათვის — აჭარა.

სამივე პარტიამ, რომელმაც 5%-იანი მიჯნა გადალახა, ერთად დააგროვა 819.430 ხმა, რაც არჩევნებში მონაწილეთა 23,71%, ხოლო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 26,25% იყო. ადგილების პირველი გადანაწილებით საქართველოს მოქალაქეთა კავშირს მიენიჭა 89 ადგილი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას — 30 ადგილი, ხოლო სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირს — 25 ადგილი. ადგილების პირველი გადანაწილების შემდეგ გაუნაწილებელი დარჩა 2 ადგილი. საარჩევნო კანონის თანახმად, დამატებითი თითო ადგილი მიეკუთვნა მოქალაქეთა კავშირს და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ამრიგად, საბოლოო ჯამში, საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა მოიპოვა 90, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ — 31 და სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირმა — 25 ადგილი.

50-მა პარტიამ, რომელმაც ვერ გადალახა 5%-იანი ბარიერი, საერთო ჯამში მოაგროვა 1.183.813 ხმა, რაც კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობის 55,63%-ს, ხოლო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 37,92%-ს შეადგენდა. 5%-იან ბარიერს მიუახლოვდნენ: ბლოკი „გაერთიანებული კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატები" (95.506 ხმა, კენჭისყრაში მონაწილეთა 4,49%), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი (89.752 ხმა, 4,22%), ბლოკი „21-ე საუკუნე" (88.405 ხმა, 4,15%), სოციალისტური პარტია (80.747 ხმა, 3,79%), ბლოკი „რეფორმატორთა კავშირი" (61.424 ხმა, 2,89%), მერაბ კოსტავას საზოგადოება (49.829 ხმა, 2,34%).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მსგავსი პოლიტიკური ორიენტაციის პარტიას რომ მოეხერხებინა გაერთიანება, ისინი შეძლებდნენ 5%-იანი ზღურბლის გადალახვას. 1995 წლის არჩევნებში მონაწილე ორი ზვიადისტური ბლოკიდან „21-ე საუკუნემ" მიიღო 88.405 ხმა, ხოლო ბლოკმა „ზვიადის გზა — ხმა ერისა" 25.213 ხმა, რაც ერთად კენჭისყრაში მონაწილეთა 5,33%-ია. საარჩევნო ბარიერის გადალახვა ერთიანი ბლოკით გამოსვლის შემთხვევაში შეეძლოთ კომუნისტურ ძალებსაც — სტალინისტურმა კომპარტიამ 46.174 ხმა დააგროვა,

კომუნისტურმა პარტიამ კი 44.117. ეს საერთო ჯამში კენჭისყრაში მონაწილეთა 8,73%-ს შეადგენდა.

იმ გარემოებამ, რომ „დაიკარგა" პროპორციულ არჩევნებში ხმების 55%, განაპირობა არჩეული პარლამენტის დაბალი წარმომადგენლობა. ამ გარემოებამ საშუალება მისცა „მოქალაქეთა კავშირს", რომელმაც მთლიანობაში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმების 16% მოაგროვა, დაეკომპლექტებინა პარლამენტის უმრავლესობა.

მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩეველთა მონაწილეობის საშუალო მაჩვენებელი იყო 70,67%. საშუალოზე მაღალი მონაწილეობით ვამოირჩეოდნენ ქვემო ქართლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საარჩევნო ოლქები. ამასთან, ქვემო ქართლის ყველა რეგიონში საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა პირველივე ტურში გაიყვანა მაჟორიტარი პარლამენტარები, ხოლო აჭარაში — სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირმა. არჩევნები ჩატარებულად არ ცნეს რუსთავში, სადაც საარჩევნო უბნებზე 50%-ზე ნაკლები გამოცხადდა.

პირველ ტურში გამარჯვებული მხოლოდ 32 მაჟორიტარულ ოლქში გამოვლინდა. 42 ოლქში, მათ შორის თბილისის ყველა საარჩევნო ოლქში გაიმართა მეორე ტური. მაჟორიტარულ არჩევნებში გადამწყვეტი იყო კანდიდატის ავტორიტეტი და არა პარტიული კუთვნილება. ამით შეიძლება აიხსნას, რომ პარტიებმა, რომლებმაც ვერ გადალახეს 5%-იანი ბარიერი, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს მაჟორიტარულ არჩევნებში; ანუ არჩევნებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა პარტიების პროგრამებსა და საარჩევნო განცხადებებს, არამედ პიროვნებებს, რომელთა სახელითაც გამოდიოდნენ ეს პარტიები.

პროპორციულ არჩევნებთან შედარებით მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობა გაცილებით დაბალი იყო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის ნაწილმა დაკარგა ნდობა ადგილობრივი წარმომადგენლების მიმართ. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა კავშირმა თბილისის ყველა ოლქში პროპორციულ არჩევნებში მიიღო ხმათა უმრავლესობა, ხოლო მაჟორიტარული არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა მისმა კანდიდატმა, რომლებიც შეყვანილი იყვნენ პარტიულ სიაში, ვერ მოაგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა.

პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნების საბოლოო შედეგებით. 1995 წლის დეკემბრის ბოლოსათვის არჩეული იყო 231 პარლამენტარი. აქედან ყველაზე მეტი ადგილი ჰქონდა სამ პარტიას — საქართველოს

მოქალაქეთა კავშირს (107), ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას (34) და საქართველოს აღორძინების კავშირს (31). 29 ადგილი მაჟორიტარულ არჩევნებში მოიპოვეს დამოუკიდებელმა კანდიდატებმა, ხოლო 30 ადგილი — სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა.

1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ამომრჩეველთა სიებში შეიყვანეს 3.118.271 ადამიანი, რაც 353.595 ამომრჩეველით ნაკლებია 1992 წლის პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობაზე. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 2.804 ამომრჩევლით ნაკლებია იმავე დღეს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე. ამ სხვაობის თაობაზე არც საარჩევნო კომისიას გაუკეთებია ოფიციალური განმარტება და არც ვინმეს გამოუთქვამს პრეტენზია.

საარჩევნო კანონის თანახმად, არჩეულად ითვლებოდა კანდიდატი, რომელიც მიიღებდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტის მხარდაჭერას. საარჩევნო ბიულეტენში შეტანილ იქნა 6 კანდიდატი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.155.322 ამომრჩეველმა (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 69,11%). არჩევნებში მონაწილეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარაში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი კი თბილისში.

კანდიდატებს შორის ხმები შემდეგნაირად განაწილდა:

- ედუარდ შევარდნაძე — 1.601.245 ხმა (51, 35%)
- ჯუმბერ პატიაშვილი — 416.788 ხმა (13,36%)
- აკაკი ბაქრაძე — 31.592 ხმა (1,01%)
- პანტელეიმონ გიორგაძე — 10.853 ხმა (0,34%)
- ქართლოს ღარიბაშვილი — 10.113 ხმა (0,32%)
- როინ ლიპარტელიანი — 7.982 ხმა (0,25%)

საარჩევნო კანონის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე.

კითხვები და დავალებები:

- როგორი საარჩევნო სისტემით ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები?
- როგორი იყო დამფუძნებელი კრების შემადგენლობა და რა გავლენა მოახდინა ამან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებაზე?

• მოკლედ დაახასიათეთ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები.

• რატომ გამოიწვია საარჩევნო ოლქების საკითხმა დისკუსია 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს? როგორი იყო მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები?

• რას ნიშნავდა 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით „შეზღუდული პარლამენტარიზმი"?

• რატომ უარყვეს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს პრეზიდენტის ინსტიტუტი?

• რატომ მიიჩნიეს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისას ოპტიმალურად პარლამენტის ფუნქციონირების 3-წლიანი ვადა? რატომ იქნა უარყოფილი ორპალატიანი პარლამენტის იდეა?

• რა დამოკიდებულება არსებობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი?

• ერთმანეთს შეადარეთ 1990, 1992 და 1995 წლების საარჩევნო სისტემები. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

• როგორ იცვლებოდა XX ს. 90-იანი წლების პირველ ნახევარში საარჩევნო ბარიერი პროპორციული არჩევნების დროს?

• რატომ აირჩიეს 1992 წელს პარლამენტის თავმჯდომარე საყოველთაო სახალხო კენჭისყრით?

• როგორი იქნებოდა 1995 წელს არჩეული პარლამენტის შემადგენლობა 2%-იანი ბარიერის არსებობის შემთხვევაში?

• ერთმანეთს შეადარეთ 1991 წლისა და 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები.

რა წაიკითხოთ:

• ე.მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ.: „ცოდნა", 1996. გვ. 118.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში ასახულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკა და ის იდეალები, რომელთა დამკვიდრებასაც ესწრაფოდნენ ქვეყნის იმდროინდელი მესვეურები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის მე-6 და მე-8 თავები (გვ.67-90), სადაც განხილულია დემოკრატიული რესპუბლიკის ქართული მოდელი და საარჩევნო სისტემა. 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები, ცდილობდნენ რა შეექმნათ „სხვებისთვის სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო", დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საარჩევნო სისტემის დემოკრატიულობასაც.

• **გ.ერემოეი. საქართველოს სსრ კონსტიტუციის განვითარების ეტაპები 1917–1978 წწ. თბ.: „საქართველო“,**

ნაშრომში განხილულია საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციური წყობა შვიდი ათეული წლის განმავლობაში, დახასიათებულია ხელისუფლების ორგანოები და მათი არჩევის წესები. ნაშრომზე მუშაობისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იგი საბჭოთა პერიოდშია დაწერილი.

• **გ.უტიაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობა. თბ.: „საქართველო“, 1995, გვ. 68.**

ნაშრომში განხილულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობა 1921-1994 წლებში. განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის ბოლო ნაწილი, რომელშიც მოკლედაა დახასიათებული 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს კონსტიტუციურ წყობაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები.

თავი XVII

საქართველოს თანამედროვე საარჩევნო სისტემა

§ 1. საქართველოს თანამედროვე საარჩევნო სისტემის ფორმირების საკითხები

საარჩევნო სისტემის სამართლებრივი საფუძვლები. თანამედროვე საქართველოს საარჩევნო სისტემას 1990 წელს ეყრება საფუძველი და იგი მას შემდეგ მუდმივი ცვლილებებისა და ჩამოყალიბების სტადიაშია. საქართველოს საარჩევნო სისტემა ემყარება რიგი ქვეყნების გამოცდილებას, რომელთაც დიდი სამართლებრივი ტრადიციები აქვთ.

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს, გამგებლისა და მერის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, სხვა საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები.

საქართველოს დღევანდელ საარჩევნო სისტემაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ ექვემდებარება შემოწმებასა და კორექციას, შესაძლოა ძალზე მნიშვნელოვანსაც, მაგრამ მთავარია ის, რომ საარჩევნო მექანიზმი ქვეყანაში შექმნილია და იგი მუშაობს.

საარჩევნო კანონმდებლობის ამოცანები. საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი დემოკრატიაზე ორიენტირებული ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობამ, უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

• ამომრჩეველთა უფლებების თანასწორობის უზრუნველყოფა;

• პარლამენტში სხვადასხვა სოციალური, ეთნოტერიტორიული და პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების წარმომადგენლობა;

• საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ბრძოლის დემოკრატიული მეთოდების გამოყენება, რაც გამორიცხავს ცალკეული ჯგუფებისა და თანამდებობის პირების დომინირებულ გავლენას;

• არჩევნებში „ჭუჭყიანი" ტექნოლოგიების გამოყენების დაუშვებლობა;

• ხელისუფლებაში კრიმინალური სტრუქტურების, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლების შეღწევის თავიდან აცილება;

• საზოგადოებრივი და სასამართლო კონტროლის უზრუნველყოფა არჩევნების მსვლელობაზე;

• საარჩევნო კომისიების მუშაობის გამჭვირვალეობა და ღიაობა.

არჩევნების ამოსავალი პრინციპები. საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, განათლებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა. საარჩევნო უფლება არა აქვს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში.

კანონმდებლობით უზრუნველყოფილია თანასწორი საარჩევნო უფლება. ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყოველ ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს.

საქართველოში არჩევნები პირდაპირია. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს წევრებს, გამგებელსა და მერს ამომრჩევლები ირჩევენ უშუალოდ.

კანონმდებლობა ასევე უზრუნველყოფს კენჭისყრის ფარულობასა და ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას. აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, ასევე კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე.

§ 2. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით სახელმწიფოს მეთაურს პრეზიდენტი წარმოადგენს. მისი სტატუსის თავისებურება ისაა, რომ პრეზიდენტი იმავდროულად არის მთავრობის მეთაურიც. მინისტრებს ნიშნავს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით.

არჩევნების ვადები. საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს მოქალაქეები ირჩევენ აბსოლუტური უმრავლესობის ორტურიანი სისტემით, 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური ეწყობა არჩევნების ჩატარებიდან მე-5 წლის აპრილის მე-2 კვირა დღეს. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება.

მოთხოვნები პრეზიდენტობის კანდიდატისადმი. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.

პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას (პარტიას) ან ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა უნდა დადასტურდეს არანაკლებ 50 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერით.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვთ წარადგინონ საქართველოს პრეზიდენტობის თითო კანდიდატი.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრამდე არა

უგვიანეს 50-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც უფლება აქვთ შეაგროვონ მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 40 დღისა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერი ამომრჩევლების სია.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30 დღისა. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის დღემდე ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი კანდიდატურა.

პრეზიდენტობის კანდიდატის საქმიანობის გარანტიები. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის მომენტიდან თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში. მათ პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით სარგებლობის თანაბარი უფლებები აქვთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები და მათი წარმომადგენლები საარჩევნო კამპანიის დროს არ შეიძლება დაითხოვონ სამსახურიდან, ან გადაიყვანონ სხვა სამუშაოზე, ან სხვა თანამდებობაზე მათი თანხმობის გარეშე.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ პროკურატურის ორგანოების შეტყობინებაზე არ იქნება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა.

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შეჯამება. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობამ. არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს. თუ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა (ანუ მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი), ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩევნების მეორე ტური ტარდება საერთო არჩევნებიდან (პირველი ტურიდან) ორი კვირის თავზე. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირველ ტურში საუკეთესო შედეგების მქონე ორ კანდიდატს. მეორე ტური ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმებს მიიღებს, მაგრამ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეხუთედისა. მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში ხმათა მეტი რაოდენობა მიიღო.

თუ არჩევნები ჩატარებულად არ გამოცხადდა, ან ჩატარდა, მაგრამ პირველ ტურში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კანდიდატი და მან ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, ან მეორე ტურში ვერ იქნა არჩეული საქართველოს პრეზიდენტი — ტარდება ხელახალი არჩევნები. ხელახალი არჩევნები იმართება საერთო არჩევნებიდან (პირველი ტურიდან) ორი თვის ვადაში. ხელახალ არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 45-ე დღისა. თუ საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა დაემთხვა საპარლამენტო არდადეგებს ან არასასესიო კვირას, საქართველოს პარლამენტი იკრიბება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 48 საათისა.

საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 72 საათისა ნიშნავს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშუალებით.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-40 დღისა.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერი არანაკლებ 50 ათასი ამომრჩევლის სია.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.

§ 3. საქართველოს პარლამენტის არჩევნები

საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა და სტრუქტურა. საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. საქართველოს პარლამენტი 235 წევრისგან შედგება და ყალიბდება შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემის საფუძველზე: 150 წევრი (ანუ თითქმის ორი მესამედი) აირჩევა პარტიული სიებით, ხოლო 85 წევრი — მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის იქმნება 85 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი, მათ შორის 10 — ქალაქ თბილისში, ხოლო 75 — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით.

1995 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ მომავალში, როდესაც საქართველოს იურისდიქცია აღდგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს პარლამენტი ორპალატიანი გახდება: მასში იქნება რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

რესპუბლიკის საბჭოს („ქვედა" პალატას) მხოლოდ პროპორციული სისტემით აირჩევენ.

სენატის შემადგენლობაში შევლენ:

- სენატორები აფხაზეთიდან;
- სენატორები აჭარიდან;
- სენატორები საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულებიდან;
- პრეზიდენტის მიერ დანიშნული სენატორები.

საქართველოს პარლამენტის არჩევის წესი. 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 15 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს

პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 60 დღისა.

საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წელი. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულოს აღრიცხვაზე.

პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის პირობები. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას, საარჩევნო ბლოკს და მაჟორიტარ კანდიდატს. კანდიდატად რეგისტრაციის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიისათვის განცხადებით მიმართვამდე დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ მთელი რიგი თანამდებობის პირები; რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია საარჩევნო კოდექსის 94-ე მუხლში.

არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტია ვალდებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50 დღისა წარუდგინოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის ინიციატივის დამადასტურებელი სულ ცოტა 50 ათასი მხარდამჭერი ამომრჩევლის სია. გამონაკლისს წარმოადგენს პარტია, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისათვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.

იმ პარტიებს, რომლებმაც წარადგინეს მხარდამჭერთა სიები, უფლება აქვთ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართონ საარჩევნო ბლოკში გაერთიანების ერთობლივი განცხადებით. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრამდე არა უგვიანეს 40 დღისა იღებს გადაწყვეტილებას პარტიების ან საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის თაობაზე.

რეგისტრირებულ პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს თავისი განცხადების საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე.

კენჭისყრამდე არა უგვიანეს 37 დღისა ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით

აქვეყნებს რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე საარჩევნო სუბიექტების იმ კანდიდატთა სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაში გატარებაზე და უარის თქმის მიზეზებს.

პარტიული სიები. პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს წარადგინოს თითო პარტიული სია. წარდგენილ სიაში პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იღოს 100-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 235-ს.

პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენის შემთხვევაში პარტიულ სიაში მიეთითება, რომ კანდიდატი წარდგენილია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში. დაუშვებელია პარტიულ სიაში იმ პირთა შეყვანა, რომლებიც იმავდროულად არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან, გარდა ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიებისა. დაუშვებელია ერთი და იმავე პირის შეყვანა სხვადასხვა პარტიულ სიაში.

პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები. სია შედგენილი უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნების შედეგად პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით. პარტიული სია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარედგინება კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30 დღისა.

პარტიისა და პარტიული სიის რეგისტრაცია გაუქმდება, თუ კენჭისყრამდე არა უგვიანეს ორი დღისა პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა ამ კანონით დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება.

პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენა. პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვთ წარადგინონ თითოეულ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის თითო კანდიდატი.

კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა არანაკლებ 1000 ხელმოწერით, გარდა იმ შემთხვევისა,

თუ დასახელებული კანდიდატი ბოლო საპარლამენტო არჩევნებში არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ პროკურატურის ორგანოების შეტყობინებაზე არ იქნა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა.

პროპორციული არჩევნების პირობები. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე გამართული არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც. საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ არჩევნებში მონაწილეთა ერთი მესამედისა.

საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 7%-სა. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 150-ზე და გაიყოს ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.

თუ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღო. თუ კანდიდატი არჩეულია როგორც საარჩევნო ოლქიდან, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი არჩეულად ითვლება საარჩევნო ოლქიდან, ამოიღება პარტიული სიიდან და სიის დასაწყისისკენ გადაინაცვლებენ მისი მომდევნო კანდიდატები.

თუ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მოწყობილი არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 7%, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით საერთო არჩევნებიდან ორ კვირაში ტარდება

ხელახალი კენჭისყრა. მასში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომელთაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 2%.

მაჟორიტარი კანდიდატების არჩევნები. თუ არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის წევრი ვერ აირჩა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრიდან ორი კვირის ვადაში ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს, რომელშიც მონაწილეობს უკეთესი შედეგების მქონე ორი კანდიდატი. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს. თუ კანდიდატებმა ხმათა ერთნაირი რაოდენობა მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში ხმათა მეტი რაოდენობა მიიღო.

თუ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთმა მესამედმა და არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა, აგრეთვე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას იმართება ხელახალი არჩევნები. ხელახალი არჩევნების თარიღისა და საარჩევნო ღონისძიებათა ჩატარების ვადებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს კენჭისყრის ჩატარებამდე არა უგვიანეს ორი თვისა. ხელახალი არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ტარდება წელიწადში ორჯერ — მაის-ივნისში და ოქტომბერ-ნოემბერში. არჩევნები უნდა ჩატარდეს უახლოეს ვადაში. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე ხელახალი არჩევნები გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად არ ტარდება.

§ 4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები

თვითმმართველობის ორგანოების არჩევის პირობები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ. არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 2 თვისა. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს არჩევნები სოფელში, თემში, დაბაში, ქალაქსა და იმ ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ტარდება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით, მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე.

ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ქალაქში, რომელშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 5 ათასზე მეტია და ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გარდა ქალაქ თბილისისა და ფოთისა, გამგებელი, მერი აირჩევა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის კანდიდატები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს წევრად, გამგებლად, მერად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი, საქართველოში მუდმივად უცხოვრია 5 წელი მაინც და კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია შესაბამისი საკრებულოს ან ქალაქის ტერიტორიაზე.

საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს ორი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, გარდა რაიონისა და ამავე რაიონში შემავალი სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის საკრებულოსი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ არჩევნების დანიშვნის დღისათვის საქართველოს საზღვრებს გარეთ მუდმივად ან დროებით მცხოვრები და ნაოსნობაში მყოფ გემებზე მყოფი ამომრჩეველები.

ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნებში მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის განლაგების ადგილის მიხედვით.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც შესაბამის საარჩევნო კომისიაშია რეგისტრირებული.

ის პარტიები, რომლებსაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში არ გაუვლიათ საარჩევნო რეგისტრაცია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციაში უნდა გატარდნენ ამომრჩეველთა სიების შეგროვების გზით, ანუ იმ წესით, რომლის შესახებაც საპარლამენტო არჩევნების განხილვის დროს გვქონდა საუბარი.

თბილისში პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ქალაქის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიულ სიებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენენ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები და საარჩევნო ბლოკები კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30 დღისა. ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინოს თითო პარტიული სია. თბილისის საკრებულოს არჩევნებში წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 49-ზე ნაკლები და 98-ზე მეტი.

პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მხოლოდ ამ პარტიის წევრი ან ის პირი, რომელიც არ არის არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრი, ხოლო საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში — მხოლოდ ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიის წევრი ან ის პირი, რომელიც არ არის არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს წევრის, გამგებლის, მერის არჩევნებში შესაბამის საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ: ამომრჩეველთა არანაკლებ 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს; არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას; საარჩევნო ბლოკს.

პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს საარჩევნო უფლების მქონე პირი, თუ მას მხარს უჭერს შესაბამისად სოფელში, თემში, დაბაში მცხოვრები არანაკლებ 10 ამომრჩეველი, ხოლო ქალაქში — არანაკლებ 100, იმ ქალაქში კი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში — არანაკლებ 200 ამომრჩეველი.

დაუშვებელია ერთი და იმავე პირის წარდგენა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს წევრობისა და გამგებლობის, მერობის კანდიდატად, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის წევრობისა და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად.

თვითმართველობის ორგანოების არჩევნების მედეგების ღაღგენა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება. თუ კენჭისყრაში მონაწილეობდა შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა სულ ცოტა ერთი მესამედი.

პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს საარჩევნო ოლქში მანდატების რაოდენობაზე და გაიყოს იმ პარტიების (საარჩევნო ბლოკების) მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნების მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-სა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას.

თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ პარტიებს (საარჩევნო ბლოკებს) შორის, რომლებმაც მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც. ამ შემთხვევაში თითო მანდატი თანმიმდევრობით მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს. თუ ორი ან მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი მიეკუთვნება იმას, რომელმაც საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც პარტიულ სიაში ნაკლებია ან ტოლია ამ პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში ასარჩევ წევრთა რაოდენობის შესაბამისად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებენ. გამგებლის, მერის არჩევნებში საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვაზე მეტ ხმას მიიღებს.

კითხვები და დავალებები:

- როგორია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ამოცანები?
- რა პრინციპების საფუძველზე ტარდება არჩევნები საქართველოში?

• როგორ ხდება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები?

• რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პრეზიდენტობის კანდიდატი?

• როგორია პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის წესი?

• რა შემთხვევაში ინიშნება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური საქართველოს კანონმდებლობით?

• მოკლედ დაახასიათეთ საქართველოს პარლამენტის ფუნქციონირების ვადები, შემადგენლობა და სტრუქტურა?

• რა წესით ტარდება საქართველოს პარლამენტის არჩევნები?

• როგორია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის წესი საქართველოში?

რა წაიკითხოთ:

• ო.მელქაძე, ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები, თბ.: გაეროს განვითარების პროგრამა, 2001, — გვ. 80.

პროფ. ოთარ მელქაძის წიგნში განხილულია ჩვენში ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი დისციპლინის — ქართული საარჩევნო სამართლის აქტუალური საკითხები. ნაშრომში მოკლედაა გადმოცემული საარჩევნო სამართლის არსი, საარჩევნო სამართლის „სამართლიანობის" პრობლემა, საარჩევნო სამართლისა და საარჩევნო სისტემის ურთიერთმიმართების საკითხები, განხილულია ახალი ქართული საარჩევნო სამართლის ფორმირების პრობლემები. „ახალი ქართული საარჩევნო სამართალი ათწლიან პერიოდს მოიცავს, რომლის ფარგლებში 4 საპარლამენტო, 3 საპრეზიდენტო და ერთიც სახელმწიფოს მეთაურის არჩევნები ჩატარდა"(გვ.52), — აღნიშნულია ნაშრომში. საყურადღებოა ავტორის კონკრეტული წინადადებები მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირებასთან დაკავშირებით.

• საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური პარტიები, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995 გვ. 123.

ცნობარი გამოსულია უშუალოდ 1995 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. მასში მოკლედაა დახასიათებული 82 პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია, რომლებიც იმ დროისათვის რეგისტრირებული იყო იუსტიციის სამინისტროში. დანართში წარმოდგენილია 1990 წ. 28 ოქტომბრის და 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების მონაწილე პარტიები და საარჩევნო ბლოკები, ასევე მათ მიერ პარლამენტში მიღებული ადგილები.

• **საქართველოს პოლიტიკური პარტიები, თბ.: სამოქალაქო კულტურის ცენტრი, 1998, გვ. 126.**

ცნობარი გამოსულია 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინ. მასში შესულია მონაცემები როგორც არჩევნების მონაწილე პარტიების, ისე იმ პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, რომლებიც არჩევნებში არ ღებულობდნენ მონაწილეობას. განსაკუთრებით საყურადღებოა ინფორმაცია პარტიათა საპროგრამო მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

დანართები

არჩევნები

ძირითადი ცნებები

აბსენტიზმი (ლათ. absentis - არმყოფი) — მოქალაქეთა მიერ პოლიტიკისადმი გულგრილობა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის თავის არიდება. კონკრეტულად — ამომრჩეველთა მიერ ნებაყოფლობით თავის არიდება კენჭისყრაში მონაწილეობისაგან არჩევნების ან რეფერენდუმის დროს.

ალტერნატიული ხმის მიცემა — ხმის მიცემის წესი, რომელიც გამოიყენება აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის დროს, მისი შედეგიანობის ასამაღლებლად.

ამომრჩეველი — მოქალაქე, რომელსაც აქტიური საარჩევნო უფლება აქვს. საქართველოში მოქალაქე ამომრჩეველი ხდება 18 წლის ასაკიდან (გარდა იმ შემთხვევებისა, რაც ასახულია კონსტიტუციაში — სასამართლოს მიერ არაქმედითუნარიანად არის ცნობილი ან იხდის პატიმრობას სასამართლოს გადაწყვეტილებით).

ამომრჩეველთა კატეგორიები — იმისდა მიხედვით, თუ როგორ მონაწილეობენ ისინი საარჩევნო პროცესში, ჩვეულებრივ გამოიყოფა ამომრჩეველთა ოთხი კატეგორია: 1. რადიკალები (მზად არიან და ემხრობიან სწრაფი ცვლილებების განხორციელებას); 2. ზომიერები ანუ კონსერვატორები (არსებული წყობის შენარჩუნების ან თანდათანობით შეცვლის მომხრეები); 3. მარგინალები (უკანასკნელ მომენტში გადაწყვეტენ ხოლმე, თუ ვის მისცენ ხმა, ცვალებადნი და ბევრ შემთხვევაში არაპროგნოზირებადნი არიან); 4. პასიურები (არ სურთ კენჭისყრაში მონაწილეობა).

ამომრჩეველთა მოსყიდვა — ამომრჩეველთა მოსყიდვაში იგულისხმება მათთვის ფულადი სახსრების, საჩუქრების და სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემა; საქონლის შეღავათიანი გაყიდვა ან უფასო გავრცელება (გარდა საარჩევნო მასალებისა), უსასყიდლო ან შეღავათიანი მომსახურება; ან ამომრჩევლებისათვის დაპირებების მიცემა მატერიალური ფასეულობების გადაცემის და მომსახურების გაწევის თაობაზე არჩევნების გარკვეული შედეგებით დამთავრების შემთხვევაში. კანდიდატებს, ასევე მათი დავალებით მოქმედ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალებათ საქველმოქმედო საქმიანობა. ამომრჩეველთა მოსყიდვის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი უნდა მოიხსნას არჩევნებიდან.

არაპირდაპირი არჩევნები — საარჩევნო სისტემის სახესხვაობა, რომლის დროსაც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები აირჩევიან ქვემდგომი საარჩევნო ორგანოებისა ან საარჩევნო კოლეგიების მიერ, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან ან მოსახლეობის მიერ არჩეული ამომრჩევლები, ან ქვემდგომი წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატები, ან ერთნიც და მეორენიც. არაპირდაპირ არჩევნებს შეიძლება ჰქონდეს ორი და მეტი საფეხური, თუმცა დღეისათვის სამი ან ოთხსაფეხურიანი არჩევნები ძალზე იშვიათად გვხვდება. ორსაფეხურიანი არჩევნებით აირჩევა, მაგალითად, აშშ-ის და ფინეთის პრეზიდენტები, ინდოეთის პარლამენტის ზედა პალატა. სამსაფეხურიანი არჩევნებით ყალიბდება საფრანგეთის სენატის ნაწილი: ამომრჩევლები ხმას აძლევენ მუნიციპალურ მრჩევლებს, ეს უკანასკნელნი ნიშნავენ დელეგატებს, რომლებიც ირჩევენ სენატორებს.

არჩევნები — მოქალაქის მიერ კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწის არჩევა დადგენილი ფორმალური პროცედურების მიხედვით მის მიერ საზოგადოებრივი საქმეების შესასრულებლად, გარკვეული პროგრამის ან განცხადების მიღება ან უარყოფა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არჩევნები არის სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება ხმის მიცემის გზით. ესაა გარკვეული პოლიტიკური პროცედურა, რომელშიც მონაწილეობენ ერთი მხრივ ამომრჩევლები, მეორე მხრივ ამომრჩეველთა წარმომადგენლები (პოლიტიკოსები), რომლებიც, გამოდიან რა ამომრჩეველთა ინტერესებიდან, მათზე დაყრდნობით აგებენ თავიანთ პროგრამებს და პრეტენზიას აცხადებენ ხელისუფლებაზე. მოქალაქეთა მიერ თავისი საარჩევნო უფლების რეალიზაცია სახელმწიფოს მმართველობაში მონაწი-

ლეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. არჩევნების ჩატარების წესები და პირობები ჩვეულებრივ განისაზღვრება სახელმწიფოთა კონსტიტუციებში და სხვა კონსტიტუციურ-სამართლებრივ აქტებში. არჩევნები შეიძლება იყოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო (იმისდა მიხედვით, თუ რა ორგანო აირჩევა), საყოველთაო ან ნაწილობრივი (თუ აირჩევა მხოლოდ პარლამენტის ნაწილი), საერთოსახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი, მორიგი ან ვადამდელი, ერთპარტიული, მრავალპარტიული ან უპარტიო, ალტერნატიულ საფუძველზე ან უალტერნატივო (თუ წამოყენებულია მხოლოდ ერთი კანდიდატი), პირდაპირი ან ირიბი (მრავალსაფეხურიანი), ძირითადი ან დამატებითი.

არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოქვეყნება — საარჩევნო კომისიის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არჩევნების შედეგების გამოქვეყნება. კანონი ითვალისწინებს გარკვეულ ვადებს არჩევნების შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

არშემდგარი არჩევნები — არჩევნები, რომელთა შედეგად არ იქნა არჩეული არც ერთი კანდიდატი იმის გამო, რომ ამომრჩეველთა აქტიურობა დაბალი იყო, ან იმის გამო, რომ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების ის რაოდენობა, რაც კანონის მიხედვით აუცილებელია ასარჩევად. არჩევნებს არშემდგარად აცხადებს საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგების განსაზღვრის დროს.

აქტიური საარჩევნო უფლება — არჩევით სახელმწიფო ორგანოებში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში კანდიდატების არჩევის უფლება, აგრეთვე რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება. მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში აქტიური საარჩევნო უფლება ეკუთვნის ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, დამოუკიდებლად მათი სქესის, საქმიანობის ხასიათის, ქონებრივი მდგომარეობის, განათლების და ა.შ. გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის შემთხვევები ასაკობრივი ცენზის ამაღლების გზით.

„გადამღობი ბარიერი" — პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს მოქმედი წესი, რომლის თანახმადაც არჩევით ორგანოში ადგილების მოსაპოვებლად პარტიამ აუცილებლად უნდა მოაგროვოს ამომრჩეველთა ხმების გარკვეულ რაოდენობაზე მეტი. „წარმომად-

გენლობის ზღურბლი" გერმანიაში 5%-ს შეადგენს, ბულგარეთსა და შვეციაში 4%-ს, არგენტინაში 3%-ს, საქართველოში 7%-ს.

განმეორებითი არჩევნები — არჩევნები, რომლებიც ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც წინა არჩევნები ჩაითვალა არშემდგარად (მაგალითად, ამომრჩეველთა გამოცხადების დაბალი პროცენტის გამო), ანდა მოხდა მისი კასაცია (იხ.). განმეორებითი არჩევნების ვადები დადგინდება საარჩევნო კანონით ან კომპეტენტური საარჩევნო ორგანოების მიერ.

დებატები — წინასაარჩევნო აგიტაციის ფორმა. ესაა ორი ან რამდენიმე კანდიდატის მიერ აზრთა საჯარო ურთიერთგაზიარება და კამათი იმ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაც ნავარაუდევია კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამებში.

ელექტორატი (ინგლ.electorate მომდინარეობს ლათ.elector — ამომრჩეველი) — 1) მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც აქვთ საარჩევნო უფლება ხმის მიცემის დროს; 2) ამომრჩევლები, რომლებიც ხმას აძლევენ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას საპარლამენტო, საპრეზიდენტო ან მუნიციპალურ არჩევნებზე. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტიების ელექტორატს ძირითადად მუშები, ინტელიგენცია, მოსამსახურეები, წვრილი მესაკუთრეები შეადგენენ. აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ელექტორატში, როგორც წესი, შედის ქვეყნის ფერადკანიანი მოსახლეობა. ელექტორატი არ არის რაღაც მკაცრად შემოფარგლული სოციალური ჯგუფი, თუმცა მას გარკვეული სტაბილურობა ახასიათებს. არჩევნებიდან არჩევნებამდე ამა თუ იმ პარტიის ელექტორატი როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი თვალსაზრისით იცვლება. მაგალითად, მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის ფაქტობრივად ორპარტიულ სისტემაში ლეიბორისტებმა გამოდევნეს ლიბერალები, ამ უკანასკნელის ელექტორატმა შეავსო ლეიბორისტული პარტიის ელექტორატი.

ელექტორალური იუსტიცია (ლათ.elector — ამომრჩეველი) — რიგ სახელმწიფოებში სპეციალური სასამართლო ან კვაზისასამართლო ორგანოების განსაკუთრებული სისტემა, რომელთა დანიშნულებაცაა სახელმწიფო ორგანოებში არჩევნებთან და საარჩევნო კამპანიებთან დაკავშირებული დავების განხილვა და გადაწყვეტა.

ელექტორალური ქცევის ფაქტორები — ამომრჩეველთა ქცევა არჩევნების დროს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა შორის აღსანიშნავია: თავისუფალი არჩევნების არსებობა ან არარსებობა; გარკვეული ცენზების არსებობა; ელექტორატის მიერ უპირატესობის მინიჭება კანდიდატების არაპოლიტიკური ფასეულობებისათვის ან პოლიტიკური პროგრამებისა და პრიორიტეტებისათვის; მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა; მოსახლეობის ნორმები, ჩვევები, სტერეოტიპები; ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი; მოსახლეობის ინტერესების პრიორიტეტულობა: ა)მუდმივი ინტერესი პოლიტიკისადმი, ბ) ინტერესი შემთხვევიდან შემთხვევამდე, გ) ინტერესები პოლიტიკის სფეროში არა აქვთ; მმართველი ელიტის პოლიტიკური პრიორიტეტები; კონკრეტული სიტუაცია ქვეყანაში, რომელიც გავლენას ახდენს მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტიურობაზე; პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების დიდი რაოდენობა, მათი პროგრამების სიჭრელე, რაც აძნელებს არჩევანის გაკეთებას; პოლიტიკური რეკლამა, განსაკუთრებით მასმედიაში; მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა; ადამიანთა მატერიალური შემოსავლების დინამიკა; მოსახლეობის განათლების დონე; წინასაარჩევნო კამპანიების ჩატარების კულტურა; ხმის მიცემის შედეგებზე ზემოქმედების ხერხები: ა)საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება და პოპულიზმი; ბ) წინასაარჩევნო პროგნოზების, ხმის მიცემის შედეგების ფალსიფიცირება.

ვადამდელი არჩევნები — ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც არჩევნების დროს არ შეეძლებათ ხმის მიცემა თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თანაბარი საარჩევნო უფლება — საარჩევნო სისტემის პრინციპი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამი პირობის არსებობას: 1) თითოეულ ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს ხმების ერთნაირი რაოდენობა (უმეტესწილად ერთი, ზოგჯერ უფრო მეტი — მაგალითად, გფრ-ში ამომრჩეველს ორი ხმა ეძლევა — ერთი საარჩევნო ოლქში დეპუტატების ასარჩევად, მეორე — ბუნდესტაგში მიწების სიების მიხედვით ასარჩევად); 2) საჭიროა, რომ თითოეული პარლამენტარი წარმოადგენდეს ამომრჩეველთა დაახლოებით ერთნაირ რიცხვს; 3) დაუშვებელია ამომრჩეველთა თანრიგებად (კურიებად) დაყოფა ქონებრივი, ეროვნული, რელიგიური ან რაიმე სხვა პრინციპის მიხედვით.

ინტერვიუ — წინასაარჩევნო აგიტაციის სახე, რომლის დროსაც კანდიდატი პასუხებს იძლევა მისთვის დასმულ კითხვებზე.

კანდიდატი — პირი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს არჩევით თანამდებობაზე და რომელიც რეგისტრირებულია საარჩევნო კომისიის მიერ. ნებისმიერი ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობა გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს კანდიდატს, ამავე დროს მისთვის უზრუნველყოფს გარკვეული უფლებების დაცვას საარჩევნო კამპანიის პერიოდში.

კანდიდატების სია — პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ წამოყენებული პიროვნებების ჩამონათვალი სახელმწიფო წარმომადგენლობით ორგანოებში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნების დროს, რომელიც დამტკიცებული საარჩევნო კომისიის მიერ.

კანდიდატების წამოყენება — საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი სტადია. კანდიდატების წამოყენება შეიძლება მოხდეს სამი ძირითადი ხერხით: ა)ამომრჩეველთა მიერ წამოყენება, თვით-წამოყენება ან თვითწამოყენება ამომრჩეველთა მხარდაჭერით (ხელმო-წერების შეგროვების გზით) — საფრანგეთში, დანიაში, ბელგიაში; ბ) წამოყენება პოლიტიკური პარტიების მიერ — გფრ-ში, ავსტრიაში, ფინეთში, იაპონიაში, შვეიცარიაში; გ) კანდიდატების წამოყენება განსაკუთრებული პროცედურის გზით - ე.წ. პრაიმერიზი („პირველადი არჩევნები") — ტარდება ისეთივე წესით, როგორც თავად არჩევნები (აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში).

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა — ხმის მიცემის შედეგების განსაზღვრის წესი. ემყარება უმრავლესობის პრინციპს. არსებობს ორი ვარიანტით: 1.გამარჯვებულია ის, ვინც მოიპოვებს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას (50%+1); 2. შეფარდებითი უმრავლესობის სისტემა (მეტი, ვიდრე მეტოქეს).

მეთვალყურე — პირი, რომელიც არჩევნების დროს კანდიდატმა ან საერჩევნო გაერთიანებამ დანიშნა და რეგისტრირებულია საარჩევნო კომისიის მიერ. იგი უფლებამოსილია თვალი ადევნოს ხმის მიცემის პროცესს, ხმების დათვლას და საარჩევნო კომისიის სხვა საქმიანობას.

მოქალაქეთა საარჩევნო უფლებები — კონსტიტუციური უფლება აირჩიოს (აქტიური საარჩევნო უფლება) და იყოს არჩეული (პასიური საარჩევნო უფლება) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევით ორგანოებში.

მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების გარანტიები — სამართლებრივი, ორგანიზაციული, საინფორმაციო და სხვა საშუალებები მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების რეალიზებისათვის.

მუნიციპალური არჩევნები — პირდაპირი დემოკრატიის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი ორგანოების ფორმირებაში. მოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ მუნიციპალური წარმონაქმნის ხელმძღვანელს ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი თანამდებობის პირებს.

ნდობით აღჭურვილი პირები — ინიშნებიან რეგისტრირებული კანდიდატების ან საარჩევნო გაერთიანების მიერ. ნდობით აღჭურვილი პირების რეგისტრაციას ახდენს იგივე საარჩევნო კომისია, რომელმაც კანდიდატი ან საარჩევნო გაერთიანება გაატარა რეგისტრაციაში. ნდობით აღჭურვილი პირი ახორციელებს სააგიტაციო და სხვა საქმიანობას, რაც ხელს უწყობს მოცემული კანდიდატის ან კანდიდატთა სიის არჩევას.

პასიური საარჩევნო უფლება — უფლება იყოს არჩეული არჩევით სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (ე.ი. უფლება რეგისტრირებულ იქნეს კანდიდატის სახით, სხვა კანდიდატების თანაბრად ჩაატაროს წინასაარჩევნო პროპაგანდა და აგიტაცია, ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული კანდიდატის ყველა სხვა უფლებით). მრავალ სახელმწიფოში პასიური საარჩევნო უფლების ფლობა განპირობებულია სხვადასხვა გაზრდილი (აქტიურ საარჩევნო უფლებასთან შედარებით) საარჩევნო ცენზებით: ასაკობრივი, ბინადრობის, განათლების, სამსახურის და ა.შ. პასიური საარჩევნო უფლების განხორციელებაზე ქონებრივი ცენზი დადგენილია კანადაში, არგენტინაში, ბელგიაში, კოსტა-რიკაში და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში. ყველაზე ხშირად პასიური საარჩევნო უფლება იზღუდება გაზრდილი ასაკობრივი ცენზით, ამასთან, პარლამენტების ზედა პალატების არჩევნების დროს ეს ცენზი განსაკუთრებით

მაღალია. ასე მაგალითად, აშშ-ში იაპონიასა და ინდოეთში პასიურ საარჩევნო უფლებას პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნების დროს ფლობენ 25 წელს მიღწეული მოქალაქეები, ხოლო ზედა პალატაში — 30 წელს მიღწეულნი. საფრანგეთსა და რუმინეთში შესაბამისად დადგენილია 23 და 35 წელი, იტალიაში 25 და 40 წელი.

პირდაპირი საარჩევნო უფლება — საარჩევნო სისტემის პრინციპი, რაც გულისხმობს ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემას კონკრეტული კანდიდატის ან კანდიდატთა სიისათვის.

პოლიტიკური რეკლამა — საარჩევნო პროცესში მონაწილეთა მიერ მასმედიით ან რაიმე სხვა გზით კანდიდატის შესახებ ინფორმაციის გავრცელება იმ ხერხების გამოყენებით, რაც სარეკლამო მასალებს ახასიათებს (ემოციური ელემენტების სიჭარბე, თვალშისაცემობა, ლაკონიზმი, გამეორება). მისი მიზანია საზოგადოებრივი აზრის განწყობა ვინმეს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

პრეზიდენტის არჩევნების თანამედროვე სისტემები — ისტორიულად ჩამოყალიბდა და დღეისათვის არსებობს პრეზიდენტის არჩევის ოთხი სისტემა: **1. პრეზიდენტის არჩევა რეფერენდუმის გზით** (სირია, ეგვიპტე); **2. პრეზიდენტის არჩევა საყოველთაო პირდაპირი არჩევნების დროს** (საქართველო, საფრანგეთი, ავსტრია, ირლანდია, ისლანდია, პორტუგალია, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სერბია, უკრაინა, ლიტვა, ესტონეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქმენეთი, მონღოლეთი, კვიპროსი, კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, ლათინური ამერიკის ქვეყნები, აფრიკის ქვეყნები); **3. პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ** (იტალია, გერმანია, შვეიცარია, საბერძნეთი, თურქეთი, მალტა, უნგრეთი. ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ლატვია, მოლდოვა, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ინდონეზია, ლიბანი, ტაივანი, ისრაელი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა); **4. პრეზიდენტის არჩევა არაპირდაპირი საყოველთაო სასალსო არჩევნების გზით** (მაგალითი: აშშ — ამომრჩევლები შტატებში ირჩევენ რჩეულებს, რომლებიც შემდეგ ირჩევენ პრეზიდენტს).

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადები — პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა (რაზედაც დამოკიდებულია არჩევნების დანიშვნის პერიოდულობა) სხვადასხვა ქვეყნებში ძალზე განსხვავებულია: **ერთი წელი** (შვეიცარია), **4 წელი** (ისლანდია, რუმინეთი,

ირანი, ზიმბაბვე, მონღოლეთი, აშშ, ბოლივია, კოსტა-რიკა, ჰონდურასი, დომინიკანის რესპუბლიკა, კოლუმბია, ეკვადორი, ჩილი, რუსეთი), **5 წელი** (საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, პორტუგალია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, კორეის რესპუბლიკა, ისრაელი, ინდონეზია, მალდივები, პაკისტანი, ინდოეთი, სენეგალი, კოტ-დიუვარი, ბენინი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ვენესუელა, ბრაზილია, ურუგვაი, პერუ, პანამა, სალვადორი), **6 წელი** (ავსტრია, ფინეთი, ფილიპინები, ლიბანი, ტაივანი, ეგვიპტე, მალი, არგენტინა, მექსიკა, ნიკარაგუა), **7 წელი** (იტალია, ირლანდია, თურქეთი, სირია, მადაგასკარი), **სიცოცხლის მანძილზე** (მალავი).

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის შეზღუდვის სახეები — პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის შეზღუდვა მნიშვნელოვანი დემოკრატიული მონაპოვარია, რაც წინააღმდეგობას უწევს ხელისუფლების უზურპაციას ერთი პირის მიერ. არსებობს პრეზიდენტობის ვადის შეზღუდვის რამდენიმე სახეობა: ერთი წელი ხელახალი ვადით არჩევის უფლების გარეშე (შვეიცარია); სამი წელი ხელახალი არჩევის უფლებით (ლატვია); ოთხი წელი ხელახლა არჩევის უფლების გარეშე (იუგოსლავია); ოთხი წელი და კიდევ ერთი ვადით ხელახლა არჩევის უფლებით (აშშ, რუსეთი და სხვა მრავალი დემოკრატიული ქვეყანა); ხუთი წელი მეორე ვადით არჩევის უფლების გარეშე (სამხრეთ კორეა); ხუთი წელი კიდევ ერთი ვადით არჩევის უფლებით (უკრაინა, ლიტვა, პოლონეთი და ა.შ.); ხუთი წელი მრავალჯერ ხელახალი არჩევის უფლებით (ინდონეზია); ხუთი წელი მხოლოდ ერთი ვადით ხელახალი არჩევის უფლებით, მაგრამ რეფერენდუმებით მმართველობის რეგულარული გახანგრძლივების შესაძლებლობით (თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი); შვიდი წელი ხელახალი ვადით არჩევის უფლების გარეშე (იტალია); პრეზიდენტობა მთელი სიცოცხლის მანძილზე (იუგოსლავია ტიტოს დროს).

პროპორციული საარჩევნო სისტემა — ხმის მიცემის შედეგების განსაზღვრის წესი. იგი გულისხმობს ადგილების განაწილებას პარტიული სიებით მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისად. მანდატები ნაწილდება პარტიებს შორის, რომელთაც თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში, მათ მიერ მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით. პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს იქმნება დიდი საარჩევნო ოლქები, რომელშიც თითოეული პარტია აყენებს თავის საარჩევნო სიას.

ამომრჩევლები ხმას აძლევენ რომელიმე საარჩევნო სიას. ხმის მიცემის შედეგების განსასაზღვრად ადგენენ ხმების იმ მინიმუმს, რაც აუცილებელია ერთი დეპუტატის მანდატის მისაღებად. სიის შიგნით ხმების განაწილება, როგორც წესი, ხდება იმ თანმიმდევრობით, რომლითაც კანდიდატები არიან სიაში განლაგებული. პროპორციული საარჩევნო სისტემა გამოიყენება მთელი პარლამენტის არჩევის დროს (დანია, პორტუგალია, ლუქსემბურგი, ლატვია), ან მხოლოდ ქვედა პალატის (ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, პოლონეთი, ბრაზილია), ან ქვედა პალატის შემადგენლობის ნახევრის (გფრ) არჩევის დროს.

რეფერენდუმი — ხალხის უშუალო ხელისუფლების განხორციელების ფორმა. ადამიანთა მიერ ნების უშუალო გამოხატვა საყოველთაო კენჭისყრის გზით სახელმწიფოსთვის ან რეგიონისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

საგიტაციო მასალები — ბეჭდური, აუდიოვიზუალური და სხვა მასალები, რომლებიც შეიცავს წინასაარჩევნო აგიტაციის ნიშნებს და მასობრივი გავრცელებისათვისაა განკუთვნილი. მასალები ითვლება საგიტაციოდ, თუკი ისინი ვრცელდება ამომრჩევლებზე ზემოქმედების მოსახდენად, რათა მათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ და ხმა მისცენ მოცემულ კანდიდატს ან პარტიას.

საარჩევნო გაერთიანება — დროებითი ან მუდმივი ხასიათის საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის წესდებაც ითვალისწინებს არჩევნებში მონაწილეობას კანდიდატების წამოყენების გზით.

საარჩევნო ბლოკი — ორი ან მეტი საზოგადოებრივი გაერთიანების თუ პოლიტიკური პარტიის ნებაყოფლობითი გაერთიანება არჩევნებში ერთობლივი მონაწილეობის მისაღებად. საარჩევნო ბლოკში მიიღწევა შეთანხმება არჩევნებში კანდიდატების ან კანდიდატთა სიის ერთობლივად წამოყენების თაობაზე. საარჩევნო ბლოკის ფორმირების პროცედურა და მისი საქმიანობის წესები რეგულირდება შესაბამის სახელმწიფოთა კანონმდებლობით და დამოკიდებულია პირველ რიგში ამ ქვეყანაში გამოყენებული საარჩევნო სისტემის თავისებურებებზე.

საარჩევნო ბიულეტენი — ფარული ხმის მიცემისათვის განკუთვნილი დამტკიცებული ფორმის საარჩევნო დოკუმენტი.

განასხვავებენ ოფიციალურ (სახელმწიფოს მიერ დაბეჭდილ) და არაოფიციალურ საარჩევნო ბიულეტენებს. ასე მაგალითად, საფრანგეთში საარჩევნო ბიულეტენს ბეჭდავენ თავად კანდიდატები და პარტიები, ნორვეგიაში ამომრჩეველმა შეიძლება გამოიყენოს ქაღალდის სუფთა ფურცელი.

საარჩევნო ეოტუმი — პარლამენტის, პრეზიდენტის, მუნიციპალიტეტების და ა.შ. ასარჩევად ჩატარებული საარჩევნო კამპანიის შედეგები.

საარჩევნო გეოგრაფია (საარჩევნო გეომეტრია) — საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის პრაქტიკა, რომლის დროსაც უხეშად ირღვევა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპი (იხ.ჯერიმენდერინგი).

საარჩევნო (წინასაარჩევნო) ბრძოლა — პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის ძირითადი ველი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ყოველი პარტია ცდილობს თავისი ელექტორატის (იხ.) გაფართოებას.

საარჩევნო კამპანია (ფრ. campagne — ლაშქრობა) — არჩევნების უშუალო მონაწილეთა მოქმედება: სააგიტაციო ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ტარდება პოლიტიკური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ იმ მიზნით, რომ მოიპოვონ ამომრჩეველთა მაქსიმალური მხარდაჭერა მომავალ არჩევნებზე. საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობენ სხვადასხვა სახის მხარდამჭერი ჯგუფები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა.შ. საარჩევნო კამპანიის დროს აგიტაციის ძირითად ფორმებს წარმოადგენს წინასაარჩევნო კრებებისა და მიტინგების ჩატარება, გაზეთებში სტატიებისა და პამფლეტების პუბლიკაცია, წინასაარჩევნო აფიშებისა და პლაკატების გამოკვრა, რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლა და ა.შ. თანამედროვე საარჩევნო კანონები საარჩევნო კამპანიის ჩატარების ძალზე დაწვრილებით რეგლამენტაციას ახდენს. **ჯერ ერთი**, მკაფიოდ დგინდება საარჩევნო კამპანიის ჩატარების ვადები (ზოგჯერ კი ტერიტორიებიც). ჩვეულებრივ, საარჩევნო კამპანია ოფიციალურად იწყება არჩევნების დანიშვნის გამოცხადების მომენტიდან ან კანდიდატის (საარჩევნო სიის) რეგისტრაციიდან (თუმცა, ფაქტობრივად საარჩევნო კამპანია იწყება გაცილებით უფრო ადრე) და წყდება ხმის მიცემის დაწყებამდე 1-2 დღით ადრე. **მეორე**,

შემუშავებულია ის წესები, თუ როგორ შეუძლიათ ისარგებლონ კანდიდატებმა და პარტიებმა მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით წინასაარჩევნო აგიტაციის დროს. **მესამე**, განისაზღვრება საარჩევნო კამპანიის დაფინანსების პირობები და წესები. მაგალითად, რიგ ქვეყნებში (აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი) კანონი ადგენს საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად გამოყენებული თანხების მაქსიმუმს, ქვეყნების უმრავლესობაში კანონი ასევე ადგენს კერძო პირების მიერ ამა თუ იმ კანდიდატის ან პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის სასარგებლოდ გაღებული თანხების მაქსიმუმს, ასევე განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან საარჩევნო კამპანიის შესაძლო დაფინანსების მოცულობასა და პირობებს. საარჩევნო კამპანიის დაფინანსება ანონიმური უცხოური წყაროებიდან, როგორც წესი, მკაცრად აკრძალულია.

საარჩევნო კვოტა .— პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს ხმების უმცირესი რაოდენობა, რაც აუცილებელია ერთი დეპუტატის ასარჩევად. საარჩევნო კვოტა შეიძლება განისაზღვროს როგორც თითოეული საარჩევნო ოლქისათვის ცალკე, ასევე მთლიანად მთელი ქვეყნისათვის.

საარჩევნო კოდექსი — რიგ სახელმწიფოებში (საფრანგეთი, ალჟირი და საფრანგეთის სხვა ყოფილი კოლონიები) — სპეციალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც სისტემატიზებული სახით შეიცავს საარჩევნო სამართლის ყველა ძირითად ნორმას. საქართველოში დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი მიღებულ იქნა 2001 წლის 2 აგვისტოს.

საარჩევნო კომისია — სპეციალური კოლეგიური ორგანო, რომელიც იქმნება არჩევნების ჩასატარებლად სახელმწიფო ორგანოების შემადგენლობაში. საარჩევნო კომისიის სისტემა, შექმნის წესი და უფლებამოსილება, როგორც წესი, განისაზღვრება საარჩევნო კანონით.

საარჩევნო კორპუსი — კანონის შესაბამისად ხმის უფლების (აქტიური საარჩევნო უფლების) მქონე მოქალაქეთა ერთობლიობა (ე.წ. იურიდიული საარჩევნო კორპუსი), ან იმ მოქალაქეთა ერთობლიობა, რომლებიც რეალურად აძლევენ ხმას (ე.წ. ფაქტობრივი საარჩევნო კორპუსი).

საარჩევნო კურიები — განსაკუთრებული თანრიგები, რომლითაც იყოფა ამომრჩევლები ეროვნული, პროფესიული და სხვა ნიშნების მიხედვით, აგრეთვე თავად ამომრჩევლები, რომლებიც ამ თანრიგებს შეადგენენ. თითოეული საარჩევნო კურია ირჩევს დეპუტატების წინასწარ განსაზღვრულ რიცხვს, მიუხედავად თავისი რაოდენობისა. თანამედროვე პირობებში საარჩევნო კურიებად დაყოფა საკმაოდ იშვიათად გვხვდება, რადგანაც ეწინააღმდეგება თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპს. ეროვნულ საარჩევნო კურიებად დაყოფა არსებობს ფიჯიზე, ხოლო პროფესიულ კურიებად დაყოფა — ინდონეზიაში (ე.წ. „ფუნქციონალური ჯგუფები").

საარჩევნო მეტრი — იხ. საარჩევნო კვოტა.

საარჩევნო მოძრაობა — მოქალაქეთა დროებითი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს რაიმე წარმომადგენლობითი დაწესებულების არჩევნებში თავისი კანდიდატების მაქსიმალური რიცხვის გამარჯვების უზრუნველყოფა.

საარჩევნო ოლქი — ტერიტორიული ერთეული, საიდანაც აირჩევა არჩევითი სახელმწიფო ორგანოების წევრები. იმისდა მიხედვით, თუ რამდენ დეპუტატს ირჩევენ თითოეულ საარჩევნო ოლქში, განასხვავებენ ერთმანდატიან (უნინომინალურ) და მრავალმანდატიან (პოლინომინალურ) საარჩევნო ოლქებს. საარჩევნო ოლქი შეიძლება იყოს საერთო-სახელმწიფოებრივი (პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს, სახელმწიფო მეთაურის არჩევის დროს) და რეგიონული (ყოველთვის მაჟორიტარული და ზოგჯერ პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს).

საარჩევნო ორგანოები — ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფს არჩევნების პრაქტიკულ მომზადებას და ჩატარებას. სხვადასხვა სახელმწიფოში საარჩევნო ორგანოები შეიძლება იყოს როგორც სპეციალური საარჩევნო კომისიები, ასევე უკვე არსებული სახელმწიფო ორგანოები — მუნიციპალიტეტები, სასამართლოები, შინაგან საქმეთა ორგანოები.

საარჩევნო პროცესი — საარჩევნო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, რომელიც მოიცავს არჩევნების დანიშვნას (როგორც წესი, ესაა სახელმწიფოს მეთაურის ან საკანონმდებლო ორგანოს

პრეროგატივა), ამომრჩეველთა რეგისტრაციას კანონით დადგენილი წესით, საარჩევნო ოლქების, რაიონების ორგანიზებას, რომლებიც ყალიბდება წარმომადგენლობის პრინციპების შესაბამისად — ტერიტორიულის, ეროვნულის, საწარმოო და ა.შ. (იქმნება საარჩევნო უბნები და პუნქტები ხმის მისაცემად), კანდიდატების წამოყენებას (ხორციელდება როგორც წესი, პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ბლოკების, ზოგჯერ კი ამომრჩეველთა კრებების, შრომითი კოლექტივების მიერ და სხვ.), ხმის მიცემის ჩატარებას (ერთი ან ორი ტურით), ხმის მიცემის შედეგების განსაზღვრას (ხმების დათვლა) და დეპუტატების მანდატების განაწილებას. ეს ხორციელდება ადგილობრივი და ცენტრალური საარჩევნო ორგანოების მიერ.

საარჩევნო პროცედურა — სახელმწიფო ღონისძიებანი არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის. საარჩევნო პროცედურა, როგორც ორგანიზაციული წესების ერთობლიობა, უცვლელი სახით შეიძლება შენარჩუნდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რომლის დროსაც ჩატარდება არაერთი საარჩევნო კამპანია. საარჩევნო პროცედურა ახდენს საარჩევნო კამპანიის რეგულირებასა და რეგლამენტირებას, ისევე როგორც პოლიციელი არეგულირებს მოძრაობას გზაჯვარედინზე. საარჩევნო პროცედურა მოიცავს: არჩევნების დანიშვნას; საარჩევნო ორგანოების შექმნას, რომლებიც ვალდებულნი არიან მათ ჩატარებაზე; საარჩევნო ოლქების, რაიონების, უბნების ორგანიზებას; დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრირებას; არჩევნების ფინანსური მხარდაჭერის წესების განსაზღვრას; არჩევნების ჩატარების პერიოდში წესრიგის დაცვას; ხმის მიცემის შედეგების განსაზღვრას.

საარჩევნო სისტემა — 1) სახელმწიფოს არჩევითი (პირველ რიგში წარმომადგენლობითი) ორგანოების ფორმირების წესი, წესების. ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ურთიერთობა პარლამენტს, მთავრობასა და ელექტორატს შორის. ანუ საარჩევნო სისტემის ქვეშ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით ესმით საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც წარმოიშობა არჩევნებთან დაკავშირებით. ესაა სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. საარჩევნო სისტემა რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც თავის ერთობლიობაში ქმნის საარჩევნო სამართალს. საარჩევნო სისტემა მოიცავს ასარჩევი ორგანოების ფორმირებაში მონაწილეობის პრინციპებსა და პირობებს. არჩევნების ორგანიზაციასა და ჩატარების წესს, ზოგიერთ ქვეყანაში

კი არჩეული პირების გაწვევის წესსაც. 2) მანდატების განაწილების წესი არჩევით სახელმწიფო ორგანოში (მაჟორიტარული და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობის პროპორციული სისტემები, აგრეთვე შერეული საარჩევნო სისტემა). მოკლედ რომ ვთქვათ, საარჩევნო სისტემა არის იმ წესების, ხერხებისა და პროცესების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს და არეგულირებს პოლიტიკური ხელისუფლების სახელმწიფო წარმომადგენლობითი ორგანოების ლეგიტიმურ ფორმირებას.

საარჩევნო უბანი — ტერიტორიული ერთეული, შექმნილი ხმის მიცემისა და ხმების დათვლის ჩასატარებლად.

საარჩევნო ფონდი — კანდიდატის, საარჩევნო გაერთიანების და ბლოკის ფინანსური ფონდი, რომლის დანიშნულებაა საარჩევნო კამპანიის დაფინანსება. საარჩევნო ფონდის შექმნა იურიდიულად აუცილებელ ნაბიჯს წარმოადგენს. საარჩევნო ფონდი იქმნება კანდიდატის საკუთარი სახსრების, პარტიული სახსრების, შემოწირულობებისა და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების საფუძველზე. კანონი კრძალავს წინასაარჩევნო ღონისძიებების დაფინანსებას სხვა სახსრებით, გარდა საარჩევნო ფონდებისა. თუმცა, ამავე დროს ძნელია დარღვევების დაფიქსირება.

საარჩევნო ცენზები — არჩევნებში მონაწილეთა შეზღუდვები. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო შემდეგი სახის ცენზები: **ბინადრობის ცენზი** — არჩევნებში მონაწილეობის უფლება დამოკიდებულია მოცემულ ტერიტორიაზე ცხოვრებაზე გარკვეული დროის განმავლობაში (საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის აშშ-ში ეს ვადა ერთ თვეს შეადგენს, კანადაში — 12 თვეს, ირლანდიაში — ძილისთვის ადგილის ქონას, ნორვეგიაში — არანაკლებ 10 წელს); **ასაკობრივი ცენზი** — არჩევნებში მონაწილეობის უფლება გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ (უმრავლეს ქვეყნებში — 18 წლიდან); **სქესობრივი ცენზი** — საყოველთაო საარჩევნო უფლება თავიდან ყალიბდებოდა როგორც მამაკაცთა საარჩევნო უფლება და არ ვრცელდებოდა ქალებზე. პირველად ეს ცენზი გაუქმდა 1883 წელს ახალ ზელანდიაში; **ქონებრივი ცენზი** — დღეისათვის აშკარად იშვიათად გვხვდება, მაგრამ მისი რეალური გავლენა განსაკუთრებით დიდია.

საარჩევნო ხელისუფლება — ლათინური ამერიკის რიგი ქვეყნების (კოლუმბია, ნიკარაგუა და სხვა) ოფიციალურ საკონსტიტუციო დოქტრინაში — ერთ-ერთი დამოუკიდებელი საჯარო ხელისუფლება სახელმწიფოში (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გვერდით). საარჩევნო ხელისუფლება ხორციელდება მოქალაქეების მიერ, რომელთაც აქვთ საარჩევნო უფლებები და შეადგენენ საარჩევნო კორპუსს. თავის ორგანიზაციულ გამოხატულებას ეს ხელისუფლება პოულობს საარჩევნო ტრიბუნალების შექმნაში (ე.წ. ელექტორალური იუსტიცია), რომლებიც განიხილავენ არჩევნებთან დაკავშირებულ დავებს.

საარჩევნო და პარტიული სისტემების ურთიერთკავშირის კანონები — ფრანგმა პოლიტოლოგმა მ.დიუვერჟემ 1951 წ. ჩამოაყალიბა სამი კანონი: 1. არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ერთ ტურად ხელს უწყობს ორპარტიული სისტემის ფორმირებას, რომელიც შედგება ძლიერი სტრუქტურების მქონე პარტიებისაგან; 2. მაჟორიტარული არჩევნები ორ ტურად ხელს უწყობს მრავალპარტიული სისტემის ფორმირებას, რომელიც შედგება ერთმანეთზე დამოკიდებული, სუსტი სტრუქტურების მქონე პარტიებისაგან; 3. პროპორციული არჩევნები ხელს უწყობს მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრებას, რომელიც შედგება ძლიერი სტრუქტურის მქონე ურთიერთდამოკიდებული პარტიებისაგან.

საყოველთაო საარჩევნო უფლება — თანამედროვე ქვეყნების უმრავლესობაში საარჩევნო სისტემის კონსტიტუციური პრინციპი, რაც მდგომარეობს აქტიური საარჩევნო უფლების მინიჭებაში სახელმწიფოს ყველა სრულწლოვანი მოქალაქისათვის (იმ პირთა გამოკლებით, რომლებიც არაქმედითუნარიანი არიან ანდა სასჯელს იხდიან საპატიმროებში), აგრეთვე პასიური საარჩევნო უფლების მინიჭება ყველა იმ მოქალაქისათვის, რომლებიც კანონით დადგენილ ცენზების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. საარჩევნო უფლება საყოველთაოა, თუკი ის შეზღუდული არაა რაიმე სახით — ქონებრივი მდგომარეობის, სოციალური კუთვნილების, რასის, ეროვნებისა და რელიგიის მიხედვით.

ხმის მიცემის (კენჭისყრის) შედეგები — საარჩევნო კომისიის ოქმში ასახული მონაცემები, რომელიც ასახავს კონკრეტულ საარჩევნო უბნებში და საარჩევნო ოლქში ხმის მიცემის შედეგებს.

„ტვიდლდუმი და ტვიდლდი“ — ამ სიტყვებით აღინიშნება ვითარება, როდესაც აშშ-ის ორივე წამყვანი პარტია წინასაარჩევნო კამპანიების დროს ძალზე მსგავს დაპირებებს იძლევიან და მსგავს ვალდებულებებს იღებენ. რეალურად, ეს სიტყვები არაფერს ნიშნავს და აღებულია ინგლისელი მწერლის ლუის კეროლის პოეზიიდან.

უდაო არჩევნები — რიგ ქვეყნებში არსებული არჩევნების ჩატარების წესი, რომლის დროსაც თუ არჩევით თანამდებობაზე დარეგისტრირებულია მხოლოდ ერთი კანდიდატი, ის ავტომატურად ითვლება არჩეულად.

შერეული საარჩევნო სისტემა — ხმის მიცემის შედეგების განსაზღვრის წესი. დეპუტატთა ერთი ნაწილი აირჩევა მაჟორიტარული სისტემით; მეორე ნაწილი აირჩევა პროპორციული სისტემით პარტიული სიების მიხედვით. შერეული საარჩევნო სისტემის მიზანია სხვადასხვა საარჩევნო სისტემების ღირსებების შეერთება და მათი ნაკლოვანებების შეძლებისდაგვარად ნეიტრალიზება.

წინასაარჩევნო აგიტაცია — მოქალაქის, კანდიდატის ან საარჩევნო გაერთიანებს მოღვაწეობა იმ მიზნით, რომ მოქალაქეები დაარწმუნონ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და ამა თუ იმ კანდიდატისათვის ხმის მიცემის აუცილებლობაში. წინასაარჩევნო აგიტაცია ხორციელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მასობრივი ღონისძიებების ჩატარების, სააგიტაციო ბეჭდური მასალების გამოშვებისა და გავრცელების გზით.

ჯერიმენდერინგი — ტერმინი, რომელიც აშშ-ში გამოიყენება საარჩევნო ოლქების შექმნის მანკიერი მეთოდის აღსანიშნავად. ჯერიმენდერინგის დროს ირღვევა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპი (ე.ი. დეპუტატთა თანაბარი რაოდენობა ამომრჩევლების თანაბარი რაოდენობიდან). ოპოზიციური პარტიების ამომრჩეველთა კონცენტრირების მიზნით, ერთ ან რამდენიმე ოლქში და ამ გზით სხვა ოლქებში უპირატესობის მისაღებად იქმნება ოლქები ამომრჩეველთა უთანაბრო რაოდენობით, ამასთან, ირღვევა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი, წარმოიშობა უცნაური მოყვანილობის ოლქები (იხ. საარჩევნო გეოგრაფია).

ლექსიკონი

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი — პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროსაც პოლიტიკური ხელისუფლება კონცენტრირებულია ერთი ადამიანის ან ერთი ორგანოს ხელში და ამცირებს სხვა ინსტიტუტების როლს (განსაკუთრებით წარმომადგენლობითი ორგანოებისა); არ დაიშვება პოლიტიკური ოპოზიცია, მაგრამ შენარჩუნებულია პიროვნებისა და საზოგადოების ავტონომიურობა არაპოლიტიკურ სფეროებში.

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის დამახასიათებელი ნიშნებია: ავტოკრატიზმი, ხელისუფლების კონცენტრირება პოლიტიკური ლიდერის ან გარკვეული ჯგუფის ხელში; ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შეუფასებლობა (ზოგჯერ იგნორირებაც); სახელმწიფოს ხელშია საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების მხოლოდ საკვანძო ბერკეტები; უდიდესი რეპრესიული აპარატის არარსებობა; როგორც მოქალაქეების, ისე პოლიტიკური ორგანიზაციების პოლიტიკური უფლებები შეზღუდული და მკაცრად რეგლამენტირებულია; მოქალაქეებისათვის დაშვებულია ყველაფერი, რასაც არ კრძალავს სახელმწიფო; არსებობს დემოკრატიის გარკვეული ელემენტები (არჩევნები, საპარლამენტო ბრძოლა); ტოტალიტარიზმთან შედარებით, მასმედია უფრო თავისუფალია, მაგრამ შეიძლება არსებობდეს ცენზურა; მოქალაქეთა ქცევის ტიპიური ფორმაა კონფორმიზმი, პოლიტიკური გაუცხოება; პოლიტიკური ელიტის რეკრუტირება ხდება კოოპტაციის გზით, ინიშნება ზემოდან და არა კონკურენტული საარჩევნო ბრძოლის გზით.

განვითარების მოდელები — თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოების დიდი ნაწილი თავს განვითარებად ქვეყნებად მიიჩნევს. ისინი უკმაყოფილო არიან თავიანთი არსებული მდგომარეობით და განვითარების გზები კი სრულიად სხვადასხვანაირად ესახებათ. ზოგისთვის ესაა „ზოგადსაკაცობრიო გზით სვლა", ანუ დასავლური ორიენტაცია, სხვებისთვის — ისლამური, არაბული, აფრიკული განვითარების გზები. ზოგიერთ ქვეყანას კი თავისი ეროვნულ-სპეციფიკური განვითარების გზა აქვს არჩეული (მაგალითად, ლიბიის ჯამახირია).

დემოკრატიის ფორმები — დემოკრატიზმის პრინციპების პრაქტიკული განხორციელება ნიშნავს დემოკრატიის ორი ფორმის — წარმომადგენლობითისა და უშუალო დემოკრატიის — განხორციელე-

ბას. **წარმომადგენლობითი დემოკრატია** — ესაა ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების, პირველ რიგში, პარლამენტის დეპუტატების მოღვაწეობა; **უშუალო (პირდაპირი) დემოკრატია** — ესაა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება უშუალოდ მოქალაქეთა მიერ. თანამედროვე პირობებში ესაა საერთოეროვნული და ადგილობრივი რეფერენდუმები, სხვადასხვა კრებები და ა.შ.

დემოკრატიზაციის ზოგადი მოდელები — სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა სამი ძირითადი მოდელი: ხაზოვანი (დიდი ბრიტანეთი) — დემოკრატიის გაფართოება ერთი მიმართულებით; მონარქის ხელისუფლების თანდათანობითი შეზღუდვა (ქვეშევრდომები ჯერ ღებულობენ სამოქალაქო უფლებებს, შემდეგ პოლიტიკურს, ბოლოს — სოციალურს). ციკლური (ბოლივია, არგენტინა, განა, ნიგერია, ტაილანდი) — მმართველობის დემოკრატიული და ავტორიტარული ფორმების მონაცვლეობა; ხალხის მიერ არჩეული მთავრობა შეიძლება დამხობილი იქნეს სამხედრო გადატრიალების შედეგად. საზოგადოებაში დემოკრატიული წანამძღვრების, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაა. დიალექტიკური (იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი, ჩილი, ავსტრია) — გარდამავალი პოლიტიკური რეჟიმების არასტაბილურობა; დემოკრატიაზე გადასვლა ხორციელდება საკმარისად მომწიფებული წანამძღვრების (ინდუსტრიალიზაცია, მრავალრიცხოვანი საშუალო კლასი, მოქალაქეთა განათლების მაღალი დონე) ზეგავლენით

დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი — პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების წესი, რომელიც ემყარება ხელისუფლების წყაროდ ხალხის აღიარებას, მის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა გადაწყვეტაში. მოქალაქეებს აქვთ უფლებებისა და თავისუფლებების ფართო სპექტრი. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის დამახასიათებელი ნიშნებია: ხელისუფლების დანაწილების პრინციპი; სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევა საყოველთაო, თანაბარი და პირდაპირი არჩევნებისა და ფარული კენჭისყრის გზით; სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მაღალი ხარისხი, რომელიც აკონტროლებს სახელმწიფოს, მთელ პოლიტიკურ სისტემას; სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობაში გამორიცხულია არაპოლიტიკური მეთოდი (ფიზიკური ტერორი), ჭარბობს კომპრომისის მეთოდები. სახელმწიფო — სამართლებრივია; მრავალპარტიულობა; ლეგალური ოპოზიცია აღჭურვილია ყველა

პოლიტიკური უფლებითა და თავისუფლებით; მასმედია თავისუფალია ცენზურისაგან და შეუძლია ხელისუფლების კრიტიკა, მაგრამ უფლება არა აქვს მოუწოდებდეს მისი ძალადობრივი დამხობისაკენ; ძალოვანი სტრუქტურები უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო უსაფრთხოებას, მათი მოღვაწეობა კანონებითაა რეგლამენტირებული, ისინი პოლიტიკაში არ ერევიან; საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების მონაწილეობის ფართო შესაძლებლობები და მაღალი დონე; პლურალისტური პოლიტიკური კულტურა; საზოგადოებაში წარმოქმნილი კონფლიქტები გადაწყდება კანონში დამკვიდრებული მექანიზმით; იდეოლოგიური პლურალიზმი, რაიმე ოფიციალური იდეოლოგიის არარსებობა.

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შინაგანი წინააღმდეგობები და საფრთხეები — უმრავლესობის ხელისუფლება ბოროტებად გადაიქცევა, თუკი შეზღუდული არ არის კანონით, განათლებით, ზნეობით — გადაიქცევა ოხლოკრატიად და ანარქიად; არსებობს პოლიტიკური უმცირესობების დაუცველობის საფრთხე; უმრავლესობას ყოველთვის როდი შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრების რთული საკითხების გადაწყვეტა; ხელისუფლების უმცირესობის ხელში გადასვლის საფრთხე, „დემოკრატიის შიგნით ოლიგარქიის შექმნა" (პ.სოროკინი); დემოკრატიის ფორმალურობა: „უმრავლესობის ნება არის უმრავლესობის ნება და არა ხალხის ნება" (ი.შუმპეტერი); ხელისუფლების სათავეში დემაგოგების მოსვლის შესაძლებლობა (არისტოტელე) და ა.შ.

დიქტატორული ტირანიები — ტოტალიტარული რეჟიმების ყველაზე ველური და არაცივილიზებული ფორმები. ამგვარი რეჟიმების ხელმძღვანელთა ქცევა უაღრესად ოდიოზურია. ასეთი იყო ბოკასას (ცენტრალურ-აფრიკული იმპერია), მასიას ნგუემას (ეკვატორული გვინეა), იდი ამინ დადას (უგანდა) რეჟიმები.

კლერიკალური რეჟიმები — ავტორიტარული რეჟიმის სახესხვაობა, როდესაც ქვეყანაში ბატონობს სასულიერო ფენა. კლერიკალური რეჟიმია, მაგალითად, თანამედროვე ირანში, სადაც ხელისუფლება თითქმის მთლიანად თავმოყრილია შიიტური სამღვდელოების ხელში.

მონაწილეობის კულტურა — გ.ალმონდისა და ს.ვერბას მიერ გამოყოფილი პოლიტიკური კულტურის სამი იდეალური ტიპიდან ერთ-ერთი (პატრიარქალურთან და ქვეშევრდომულთან ერთად), რომელიც გამოირჩევა სამოქალაქო აქტიურობით, ჩაბმულობით, რაციონალურობით. მოქალაქეები ესწრაფვიან, აქტიური ზემოქმედება მოახდინონ ხელისუფლებაზე ზეგავლენის კანონიერი საშუალებების

(არჩევნები, დემონსტრაციები და ა.შ.) გზით. ინდივიდები დარწმუნებულნი არიან, რომ აუცილებელია და შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკურ სისტემაზე; მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ორიენტირებულია პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური როლის შესრულებაზე.

მონოკრატიული რეჟიმი — არადემოკრატიული რეჟიმის სახეობა. მონოკრატია ერთი კაცის ხელისუფლებაა. მსგავსი ტიპის რეჟიმი იმით ხასიათდება, რომ ფორმალურად არსებობს დემოკრატიული სახელმწიფოს ატრიბუტები: კონსტიტუცია, რომელშიც ფორმალურად დაცულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი, ფორმალურ ხასიათს ატარებს არჩევნები, რომელიც ხელისუფლების მკაცრი კონტროლის ქვეშ ტარდება. მაგრამ დემოკრატიის ყველა ეს ატრიბუტი მხოლოდ დეკორაციული ხასიათისაა: ხელისუფლება თითქმის მთლიანად კონცენტრირებულია ერთი ჯგუფის, ან ერთი პოლიტიკური ლიდერის ხელში. ასეთი სახელმწიფოები ბევრია აფრიკაში: ზაირი, მალავი, გაბონი, კამერუნი და სხვები. ამასთან, ამ სახელმწიფოებში ლიდერები იცვლებიან, მაგრამ ხელისუფლების არსი უცვლელი რჩება: ერთი პირის ან სამხედრო ხელისუფლების მკაცრი ხელისუფლება.

მოქალაქეობრიობის კულტურა — გ.ალმონდისა და ს.ვერბას მიერ დასავლეთის ქვეყნებისათვის გამოყოფილი შერეული პოლიტიკური კულტურის ტიპი. ამ კულტურის მფლობელისათვის დამახასიათებელია: ეროვნული მთავრობის მნიშვნელობის საერთო დადებითი შეფასება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერესის მაღალი დონე მთავრობის მოღვაწეობისადმი და კარგი ინფორმირებულობა ამასთან დაკავშირებით; თავისი ერის პოლიტიკური ინსტიტუტებით სიამაყე; მოელის, რომ ოფიციალური პირების მხრიდან მის მიმართ, ისევე როგორც სხვა მოქალაქეებისადმი, გამოჩენილი იქნება თანაბარი ყურადღება; საჯაროდ ან მეგობრებისა და ნაცნობების წრეში პოლიტიკის საკითხების განხილვის სურვილი; ოპოზიციური განწყობილების აშკარა და ლოიალური გამოვლინება; კმაყოფილების გრძნობა საერთოეროვნული პოლიტიკური ღონისძიებების (მაგალითად, არჩევნების) ჩატარებით; სამთავრობო პოლიტიკასთან დაკავშირებით მსჯელობათა კომპეტენტურობა და მოვალეობის განვითარებული გრძნობა, ზემოქმედება მოახდინოს ამ პოლიტიკაზე პირდაპირ ან სხვა მოქალაქეებთან ერთად; კომპეტენტურობა სამართლებრივი ნორმების გამოყენებაში თვითნებობის აქტებისადმი წინააღმდეგობის გასაწევად. რწმენა იმისა, რომ მონაწილეობის დემოკრატია არის სახელმწიფო მართვის აუცილებელი და სასურველი სისტემა.

მრავალპარტიულობა — მრავალპარტიულობის არსებობას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მრავალპარტიულობის დადებითი მხარეებია: 1.პოლიტიკური საკითხების ყოველმხრივი გაშუქება. გადაწყვეტილებათა ალტერნატიულობა და მრავალვარიანტულობა. ყოველგვარი საზოგადოებრივი მოთხოვნილება პოულობს თავის დამცველებსა და კრიტიკოსებს. 2.ოპოზიციური პარტიების არსებობა აკავებს ბიუროკრატიზაციის პროცესს, აიძულებს მთავრობას უფრო ეფექტიანად იმოქმედოს. მკვეთრად იზღუდება პიროვნების კულტის, ხელმძღვანელობის დიქტატორული მეთოდების, ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობები, პარტიული ფუნქციონერთა ეგოისტური მისწრაფებების გამოვლენა. 3. პარტიის შიგნით ყალიბდება დისციპლინა და პასუხისმგებლობა, რაც აუცილებელია კონკურენტებზე გასამარჯვებლად. 4. მაღლდება პარტიული ხელმძღვანელების პროფესიონალიზმის დონე, ისინი ნაკლებად არიან თავდაჯერებულნი საკუთარ უშეცდომობაში. 5. პოლიტიკურ ბრძოლაში გამოვლინდებიან ნამდვილად ნიჭიერი პოლიტიკოსები. 6. იზღუდება მმართველი პარტიის ფუნქციონერთა პრივილეგიები, მცირდება მანძილი მათსა და პარტიულ მასას შორის. ხდება მედროვეებისა და კარიერისტების ჩამოცილება, რომლებიც სწორედ მმართველ პარტიას ეტანებიან. მრავალპარტიულობის უარყოფითი მხარეებია: 1. პარტიულობა აიძულებს ადამიანს ყველაფერს უყუროს პოლიტიკური ბრძოლის თვალსაზრისით და ინტერესებიდან გამომდინარე. დომინირებს ვიწროპარტიული და არა სახელმწიფოებრივი ინტერესები; 2. განუწყვეტელი ბრძოლა იწვევს ხელისუფლების ჩამოცილებას თავისი ფუნქციებისაგან, მისი ძალისხმევის არცთუ მცირე ნაწილი ოპოზიციასთან ბრძოლას ხმარდება; 3. პოლიტიკურ ბრძოლაში მწვავდება ვნებები, გამოიყენება ნებისმიერი, მათ შორის არაეთიკური საშუალებებიც: ტყუილი, ცილისწამება. ამას შედეგად მოსდევს საზოგადოების ზნეობრივი გაუარესება; 4. ხელისუფლებაში ყოფნის ვადების შეზღუდულობა უბიძგებს მმართველ პარტიას ინტენსიურად შეუდგეს არა მხოლოდ თავისი პოლიტიკური პროგრამის რეალიზებას, არამედ სცადოს სამსახურებრივი მდგომარეობიდან მიიღოს „პირადი მაქსიმალური მოგებაც“.

პარლამენტი — მოსახლეობის მიერ არჩეული (შესაძლოა, ნაწილობრივ დანიშნულიც) სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო ქვეყანაში. პარლამენტები დღეს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს, მაგრამ მათი ფუნქციები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ერთ-ერთი კლასიფიკაციის მიხედვით, განასხვავებენ აქტიურ, რეაქტიულ, მარგი-

ნალურ და მინიმალურ პარლამენტებს. **აქტიური** ეწოდება იმ პარლამენტებს, რომლებიც არა მარტო კანონებს იღებს, არამედ მონაწილეობს მთავრობის ფორმირებაშიც და აქვთ იმპიჩმენტის გამოცხადების უფლებაც. აქტიური პარლამენტის ნიმუშად სახელდება აშშ-ის კონგრესი და მსგავსი უფლებების მქონე ყველა სხვა პარლამენტი. **რეაქტიული** ეწოდება პარლამენტებს, რომლებიც მთავრობაზე გავლენით სარგებლობს, მაგრამ დომინირებული მდგომარეობა მაინც აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკუთვნის. **მარგინალური** ეწოდება პარლამენტს, რომელსაც უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება აკონტროლებს და ამდენად, მისი როლი რეალურ პოლიტიკაში უმნიშვნელოა. **მინიმალური** ეწოდება პარლამენტებს, რომლებიც მხოლოდ სახელწოდების მიხედვით არიან პარლამენტები და დეკორაციულ ხასიათს ატარებენ.

პარტიციპატორული დემოკრატია (მონაწილეობის დემოკრატია) — უზრუნველყოფს ხელისუფლების მტკიცე ლეგიტიმაციას; მოქალაქეთა პოლიტიკური გაუცხოების დაძლევას; ამაღლებს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას და მმართველობის ეფექტურობას; მრავალი ადამიანის ჩართვის ხარჯზე იზრდება მიღებული გადაწყვეტილებების ინტელექტუალური პოტენციალი; ხორციელდება ეფექტური კონტროლი პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და თანამდებობის პირებზე, თავიდან იცილებს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას. პარტიციპატორულ დემოკრატიას თავისი ხარვეზებიც აქვს: მიღებული გადაწყვეტილებების დაბალი ეფექტიანობა იმის გამო, რომ ფართო მასების კომპეტენტურობა არასაკმარისია და ემოციურად გაუწონასწორებელია თანამდებობის პირების ინსტიტუციონალური პასუხისმგებლობის შემცირება, რადგანაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება უკონტროლო და, აქედან გამომდინარე, უპასუხისმგებლო არაპროფესიონალების მიერ; იზრდება ტოტალიტარიზმის ან პოპულისტური ავტორიტარიზმის დამყარების საფრთხე; სირთულე და სიძვირე პრაქტიკული რეალიზაციის დროს; პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა უმრავლესობის სისტემატური მონაწილეობის უზრუნველყოფა მხოლოდ იძულებისა და პიროვნული თავისუფლების დარღვევით შეიძლება მოხერხდეს, რადგანაც მოსახლეობის ძირითად მასას არ სურს პოლიტიკაში სერიოზული მონაწილეობა.

პარტოკრატია — პარტიული სტრუქტურების ხელისუფლება — რეალურად თავი იჩინა XX საუკუნეში, როდესაც უმაღლეს სახელისუფლო პოსტებზე კანდიდატების წამოყენება დაიწყო პარტიულ საფუძველზე. წარმოადგენენ რა სხვადასხვა სოციალური

ჯგუფების ინტერესებს, პარტიებს აქვთ აუცილებელი პოლიტიკური მობილურობა, პროფესიული მიდგომა პოლიტიკისადმი. ეს მათ დამატებით უპირატესობებს აძლევს პოლიტიკური პროცესის სხვა მონაწილეებთან შედარებით.

• პლებისციტური დემოკრატიის კონცეფცია — დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხის ნება და სახელმწიფო ხელისუფლება იდენტური უნდა იყოს. თავად ხალხი უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, ხელისუფლების განხორციელებაში.

პოლიტიკური პლურალიზმი — ხელისუფლების სისტემა, რომელიც ემყარება სხვადასხვა საზოგადოებრივ ელემენტებს შორის მრავალფეროვნებისა და კონკურენციის წახალისებას. კონკურენცია ხორციელდება განსაზღვრული, ყველას მიერ მიღებული „თამაშის წესების" მიხედვით. პოლიტიკური პლურალიზმი აღიარებს სოციალური ინტერესების მრავალგვარობას საზოგადოებაში და პოლიტიკურ სფეროში მათი გამოხატვის აუცილებლობასა და კანონიერებას. პოლიტიკური პლურალიზმი პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობის მაჩვენებელი და შედეგია. პოლიტიკური პლურალიზმისთვის დამახასიათებელია: მრავალპარტიულობა, შედარებით დამოუკიდებელი ავტონომიური ჯგუფების არსებობა, რომლებიც იბრძვიან ხელისუფლების მოსაპოვებლად ან მასზე გავლენისათვის; ხელისუფლებაზე არ არსებობს რომელიმე პარტიის ან ორგანიზაციის მონოპოლია; ოპოზიციის არსებობა; პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს კანონისა და პოლიტიკური თამაშის დადგენილი წესების ფარგლებში; კადრების როტაცია; მისწრაფება არა განსხვავებათა ლიკვიდაციისაკენ, არამედ მათი მართვისაკენ — კომპრომისებისა და კონსენსუსის საფუძველზე; კანონით შეზღუდულია ხელისუფლებაში ნებისმიერი თანამდებობის პირის ყოფნა.

პოლიტიკური პროცესი — ამ ტერმინით აღინიშნება საზოგადოების პოლიტიკური სისტემისა და მისი ინსტიტუტების ფუნქციონირება. ფუნქციონირებაში იგულისხმება როგორც პოლიტიკური სისტემის ელემენტების დამოუკიდებელი მოღვაწეობა, ისე ამ ელემენტებს შორის ურთიერთქმედება.

პოლიტიკური რეჟიმი — პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების წესი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების ხასიათს, ასახავს ქვეყანაში პოლიტიკური თავისუფლების დონეს და ხელისუფლების ორგანოების დამოკიდებულებას მათი

საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებისადმი. პოლიტიკური რეჟიმი გვიჩვენებს, თუ როგორ ხორციელდება ხელისუფლება, როგორია პოლიტიკური სისტემის დინამიკა, რა მიმართებაა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის (ვინ ვის აკონტროლებს). პოლიტიკური რეჟიმი უზრუნველყოფს პოლიტიკის მიზნების მიღწევას. პოლიტიკური რეჟიმის ტიპი განისაზღვრება: საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების განვითარებისა და ინტენსიურობის დონით; მმართველი ელიტის სტრუქტურით, მისი ფორმირების მექანიზმით; საზოგადოებაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობით; ბიუროკრატიის ადგილითა და როლით; საზოგადოებაში გაბატონებული ლეგიტიმურობის ტიპით; საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტრადიციების განვითარების დონით, საზოგადოებაში დომინირებული პოლიტიკური ცნობიერებითა და ქცევით.

პოლიტიკური სისტემა — პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ურთიერთობების „კრებული", რომლის ფარგლებშიც ხელისუფლება ხორციელდება. უზრუნველყოფს პოლიტიკური ხელისუფლების სტაბილურობას. პოლიტიკურ სისტემაში შედის სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის კავშირები და ასოციაციები, რომელთა საშუალებითაც ხალხი ახორციელებს თავის ხელისუფლებას.

რაიტოკრატია — მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელისუფლება, უფრო სწორად კი — მათი მფლობელების ხელისუფლება. რაიტოკრატია XX საუკუნეში წარმოიშვა, როდესაც ტექნიკური პროგრესის შედეგად მასმედიის ზემოქმედებამ გლობალური ხასიათი შეიძინა. პრაქტიკულად რაიტოკრატია მკვიდრდება მასობრივი კამპანიების გზით, აქტიურად აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, ქმნის წამყვანი პოლიტიკოსების დადებით ან უარყოფით იმიჯს, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჟურნალისტური გამოძიება, რომელსაც ფართო პოლიტიკური რეზონანსი მოჰყვება ხოლმე.

რეპრეზენტაციული (წარმომადგენლობითი) დემოკრატია — ამ კონცეფციის თანახმად, დემოკრატია არის კომპეტენტური და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი წარმომადგენლობითი მმართველობა. **წარმომადგენლობითი დემოკრატიის პოზიტიურ მხარეს** შეადგენს: 1. თავისუფალი საზოგადოებრივი წყობის გარანტირება და მაღალი ეფექტიანობა საზოგადოებრივი ამოცანების შესრულებაში; 2. პოლიტიკური სტაბილურობისა და წესრიგის უზრუნველყოფა, საზოგადოების დაცულობა ამწუთიერი მასობრივი გატაცებებისა და გარდამავალი განწყობისაგან, იდეოლოგიური ირაციონალიზმისაგან; 3. პოლიტი-

კური სისტემის რაციონალური ორგანიზაცია, შრომის მკაფიო დანაწილება; 4. პლებისციტური დემოკრატიასთან შედარებით უფრო მაღალი კომპეტენტურობა და გადაწყვეტილების მიმღები პირების პასუხისმგებლობა. **წარმომადგენლობითი დემოკრატიის ხარვეზებია:** 1. რეპრეზენტაციული დემოკრატიის ძირითადი რგოლები: ამომრჩეველი — პარლამენტი — მთავრობა — პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი — ღებულობენ გადაწყვეტილებებს თავისი შეხედულებების შესაბამისად და შეიძლება უკიდურესად დაამახინჯონ მოქალაქეთა ნება; 2. მმართველობის სისტემის იერარქიულობის გამო გარდუვალი ხდება ხელისუფლების ბიუროკრატიზაცია, პარლამენტარებისა და ჩინოვნიკების მოწყვეტა რიგითი ადამიანებისაგან; 3. ხალხის ფაქტობრივი ჩამოცილება ხელისუფლებისაგან არჩევნებს შორის ხანგრძლივ შუალედებში და აქედან გამომდინარე დემოკრატიის, როგორც ხალხის ხელისუფლების პრინციპის, შეზღუდვა; 4. პოლიტიკაზე პრიორიტეტულ ზეგავლენას ახდენენ ყველაზე ძლიერი ინტერესთა ჯგუფები და პირველ რიგში კაპიტალის წარმომადგენლები, იქმნება შედარებით ფართო შესაძლებლობები თანამდებობის პირების მოსყიდვისათვის; 5. სახელმწიფოში ავტორიტარული ტენდენციების ზრდა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების გამოდევნის შევიწროების შედეგად; 6. ხელისუფლების სუსტი ლეგიტიმაცია მისგან მოქალაქეთა მზარდი გაუცხოების შედეგად; 7. მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობის პრინციპის დარღვევა იმის გამო, რომ წარმომადგენლობით ორგანოებს დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული; 8. პოლიტიკური მანიპულირების ფართო შესაძლებლობები, უმრავლესობისათვის მიუღებელი გადაწყვეტილებების მიღება ხელისუფლების რთული, მრავალსაფეხურიანი სისტემის გზით.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა — პოლიტიკური წარმონაქმნები, რომლებიც არ შედიან უშუალოდ სახელმწიფო და პარტიულ სტრუქტურებში, მაგრამ ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ესაა: 1. ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია სახელმწიფო სტრუქტურებთან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე უშუალო, პირდაპირი ზეგავლენის მოსახდენად: ლობი, ზეწოლის ჯგუფები. მთავარი ამოცანაა კონტაქტების დამყარება პოლიტიკურ მოღვაწეებთან და მოხელეებთან შემდგომში მათ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად; 2. ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური ფუნქცია, მაგრამ ეს არაა უმთავრესი მათ საქმიანობაში: პროფკავშირები, მეწარმეთა კავშირები, მომხმარებელთა მოძრაობები; 3. მასობრივი მოძრაობები, რომელთა ფორმირებაც სტიქიურად და სპონტანურად ხდება.

სამხედრო რეჟიმი — სამხედრო რეჟიმი შეიძლება იყოს ტოტალიტარული ან ავტორიტარული რეჟიმის ერთ-ერთი სახეობა. პრაქტიკულად ეს ნიშნავს ხელისუფლების ვერტიკალის მთლიან კონტროლს არმიისაგან. თუ არმია არ იცავს არანაირ დემოკრატიულ უფლებებს, მაშინ ესაა ტოტალიტარული რეჟიმი; ხოლო, თუკი გარკვეულ პატივს მაინც სცემენ ადამიანის უფლებებს და მოსახლეობაც „ბუნებრივად" მიიჩნევს ასეთი რეჟიმის არსებობას, მაშინ ესაა ავტორიტარული რეჟიმის სახეობა.

საპარლამენტო მონარქია — მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც მონარქის ხელისუფლება მნიშვნელოვნადაა შეზღუდული წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ (ინგლისი, დანია, ესპანეთი, შვეცია, ნორვეგია, იაპონია). საპარლამენტო მონარქიის დამახასიათებელი ნიშნებია: 1.მთავრობა ყალიბდება გარკვეული პარტიის (პარტიების) წარმომადგენლებისგან, რომელმაც ხმათა უმრავლესობა მოიპოვა საპარლამენტო არჩევნებში; 2. იმ პარტიის ლიდერი, რომელიც ფლობს ყველაზე მეტ საპარლამენტო ადგილებს, ხდება სახელმწიფოს მეთაური; 3. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სფეროებში მონარქს ფაქტობრივად არანაირი უფლებამოსილება არა აქვს, ეს ხელისუფლება მხოლოდ სიმბოლურია; 4. მთავრობა კონსტიტუციის თანახმად პასუხისმგებელია არა მონარქის, არამედ პარლამენტის წინაშე.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა — სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე ფორმის სახესხვაობა, რომელიც პრეზიდენტის ხელში აერთიანებს სახელმწიფოს მეფაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებებს. საპრეზიდენტო რესპუბლიკის დამახასიათებელი ნიშნებია: 1.პრეზიდენტის არჩევისა და მთავრობის ფორმირების არასაპარლამენტო მეთოდი; 2.მთავრობა პასუხისმგებელია პრეზიდენტის და არა პარლამენტის წინაშე; 3.საპარლამენტო რესპუბლიკასთან შედარებით, სახელმწიფო მეთაურს უფრო ფართო უფლებამოსილებანი აქვს: პრეზიდენტი ან ითავსებს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებას (აშშ), ან უშუალოდ ნიშნავს მთავრობის მეთაურს და მონაწილეობს მის ფორმირებაში (საფრანგეთი, ინდოეთი); პრეზიდენტს უფლება აქვს დაშალოს პარლამენტი, შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა, არის მთავარსარდალი და ა.შ.

საპარლამენტო რესპუბლიკა — სახელმწიფო მართვის თანამედროვე ფორმის სახესხვაობა, რომლის დროსაც უმაღლესი როლი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ორგანიზებაში პარლამენტს ეკუთვნის.

მისი დამახასიათებელი ნიშნებია: 1. მთავრობა ყალიბდება იმ პარტიის დეპუტატებისაგან, რომლებსაც ხმათა უმრავლესობა აქვთ პარლამენტში; 2. მთავრობას აკისრია კოლექტიური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე თავისი მოღვაწეობის შედეგებზე; 3. მთავრობა ხელისუფლების სათავეში რჩება მანამდე, სანამ აქვს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერა; 4. ნდობის დაკარგვის შემთხვევაში, მთავრობა ან გადადგება, ან სახელმწიფოს მეთაურის მეშვეობით მიაღწევს პარლამენტის დაშლას და ვადამდელი არჩევნების დანიშვნას; 5. სახელმწიფოს მეთაური აირჩევა პარლამენტის ან სპეციალურად შექმნილი საპარლამენტო კოლეგიის მიერ (ამგვარი კოლეგია შეიძლება საყოველთაო-სახალხო კენჭისყრითაც იქნეს არჩეული); 6. სახელმწიფოს მეთაური აქვეყნებს კანონებს, გამოსცემს დეკრეტებს, აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება, ნიშნავს მთავრობის მეთაურს, არის მთავარსარდალი; 7.მთავრობის მეთაური აყალიბებს მთავრობას, პასუხისმგებელია თავის მოღვაწეობაზე პარლამენტის წინაშე; 8. პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო მოღვაწეობას და კონტროლს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

სამართლებრივი სახელმწიფო — კონსტიტუციონალიზმის იდეებისა და პრინციპების რეალური განხორციელება. მას საფუძვლად უდევს მოქალაქის დაცვის იდეა სახელმწიფოს მხრიდან ძალადობისა და წვრილმანი მეურვეობისაგან, გარანტირებულია ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლება და ფუძემდებლური უფლებები. სამართლებრივ სახელმწიფოს ახასიათებს: ხელისუფლებათა დანაწილება, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, პიროვნებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ; ხალხის სუვერენიტეტი, სახელმწიფო სუვერენიტეტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაცია; ხალხი ხელისუფლების წყაროა, სახელმწიფო სუვერენიტეტი ატარებს წარმომადგენლობით ხასიათს; სამართლებრივი სახელმწიფოს მოღვაწეობის სფერო იფარგლება პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით, სამეურნეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი სამართლებრივი პირობების შექმნით.

სამოქალაქო საზოგადოება — სამოქალაქო საზოგადოება არის პიროვნებათშორისი, ოჯახური, საზოგადოებრივი, კულტურული, რელიგიური ურთიერთობების მთელი ერთობლიობა, რომელიც ვითარდება სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ და მისი ჩარევის გარეშე, ასევე სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფართო სისტემა, რომელიც ყოველდღიური ინდივიდუალური და

კოლექტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებას, მთელი პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულ განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ვარიანტებია: ა) მჭიდრო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში; ბ) აქტიური ცივილიზებული წინააღმდეგობა პოლიტიკური ხელისუფლებისადმი ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე გადასვლის პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლების შექმნის დროს.

სოციალური სახელმწიფო — სახელმწიფოს ფორმა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა სოციალურ ურთირთობებზე აქტიური ზემოქმედება მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების შესაბამისად.

სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა — ასე ეწოდება მმართველობის ფორმას, რომელშიც პრეზიდენტის ხელისუფლება კიდევ უფრო დიდია, ვიდრე ჩვეულებრივ საპრეზიდენტო რესპუბლიკაში. სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკები დამახასიათებელია ძირითადად აზიისა და აფრიკის განვითარებადი ქვეყნებისათვის. სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა ნიშნავს სახელწიფოს მეთაურის — პრეზიდენტის თითქმის უკონტროლო ხელისუფლებას. ასეთი ხელისუფლება ან სამხედრო გადატრიალების შედეგად მყარდება, ან პოლიტიკური მოწინააღმდეგეების პირდაპირი ჩახშობის გზით. სუპერსაპრეზიდენტო სახელმწიფოს სათავეში მყოფი პირი ჩვეულებრივ ეყრდნობა სპეციალურ იდეოლოგიას, რომლითაც ამართლებს თავის ძლიერ ხელისუფლებას. ზოგჯერ სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკები უბრალო დიქტატურებია.

ღია პოლიტიკური პროცესი — დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: ჯგუფებისა და მოქალაქეების პოლიტიკური ინტერესები რეგულარულად ვლინდება არჩევნების გზით; საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით ხდება პოლიტიკური კურსის კორექტირება, განიხილება საზოგადოების განვითარების გზები და საშუალებები; საზოგადოებისათვის მისაწვდომია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა ფაზები და ეტაპები; ელიტების რეკრუტირება.

ფარული პოლიტიკური პროცესი — ამ დროს მოქალაქე მიმართავს არა ოფიციალურ ხელისუფლებას, არამედ არალეგალიზებულ, საზოგადოების მიერ არაღიარებულ სტრუქტურებს (მაფიოზური კლანები); მმართველობითი ინფორმაცია მიმართული არაა იმ სუბიექტების საზოგადოებრივი აზრისაკენ, რომლებიც მოცემულ

პოლიტიკურ სიცრცეში მოქმედებს; არ არსებობს კონტროლი მმართველ ელიტებზე.

ხელისუფლების დანაწილების ფორმები — თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირება ემყარება სახელისუფლო უფლებამოსილებათა დანაწილებას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. ხელისუფლების დანაწილების თეორიის არსი შემდეგია: 1.საკანონმდებლო ხელისუფლების უზენაესობა, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების კანონქვემდებარობა; 2.სახელისუფლო ფუნქციათა მკაფიო დანაწილება; 3.სხვა სახელისუფლო ორგანოსთვის მინიჭებული უფლებამოსილებათა მითვისების აკრძალვა; ხელისუფლებათა ურთიერთკონტროლი და შეზღუდვა (დაბალანსება) იმ მიზნით, რომ თითოეული მათგანი შემოფარგლული იყოს თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში და ამავე დროს უზრუნველყოფილი ჰქონდეს სხვებისაგან დამოუკიდებლობა (საპირისწონეების სისტემა).

ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი — პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ესწრაფვის აბსოლუტური (ტოტალური) კონტროლის დამყარებას ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეზე. ტოტალიტარიზმი, როგორც პოლიტიკური რეჟიმის ტიპი, XX საუკუნეში წარმოიშვა.

ტოტალიტარული რეჟიმის ფორმირების პირობებია: არსებული საზოგადოებრივი სტრუქტურების მკვეთრი მსხვრევა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მარგინალიზება; სამოქალაქო საზოგადოების მოღვაწეობის სფეროების დანგრევა ან საერთოდ არარსებობა; თანამედროვე მასმედიის გაჩენა; პოლიტიკური ცნობიერების დეფორმაცია; დემოკრატიული ტრადიციების არქონა, მასობრივი საზოგადოებრივი ცნობიერება განწყობილია საკითხების ძალისმიერი გზით გადაწყვეტის მხარდასაჭერად; სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის მრავალმილიონიანი მასების მობილიზების დაგროვილი გამოცდილება; რეპრესიებისა და ძალადობის რთული და მრავალგანშტოებიანი აპარატის შექმნის შესაძლებლობა.

ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის დამახასიათებელი ნიშნები — 1.ხელისუფლების მონოპოლიზება ერთადერთი მასობრივი პარტიის მიერ, რომელიც აგებულია ოლიგარქიული პრინციპით. როგორც წესი, მას სათავეში უდგას ერთი კაცი, დიქტატორი. პარტია მაღლა დგას სახელმწიფო ორგანოებზე, ან მჭიდროდაა მათთან გადახლართული; 2. სახელმწიფო (ოფიციალური) იდეოლოგიის არსებობა, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს

მსჭვალავს; 3. რეპრესიების, როგორც საშინაო პოლიტიკის საშუალების, მუდმივი ხასიათი, ან მათი პერიოდული განმეორება; 4. ტექნოლოგიურად უზრუნველყოფილი კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე; 5. ეკონომიკის ცენტრალიზებული ბიუროკრატიული ხელმძღვანელობა, არასახელმწიფოებრივი საკუთრების თითქმის ყველა ფორმის ლიკვიდაცია; 6. მონოპოლია შეიარაღებული ბრძოლის საშუალებებზე, ოპოზიციის არსებობის დაუშვებლობა.

ტოტალიტარულმა პოლიტიკურმა რეჟიმმა შეიძლება იარსებოს ათწლეულების განმავლობაში, რადგანაც აყალიბებს პიროვნების განსაკუთრებულ ტიპს. ტოტალიტარულ პოლიტიკურ ცნობიერებას ახასიათებს 1. დიქოტომიური აზროვნება („მტერი" — „მეგობარი", „წითლები" — „თეთრები"); 2. ნარცისიზმი („საუკეთესო ქვეყანა", საუკეთესო ერი"); 3. ცალმხრივობა: „ერთი იდეა", „ერთი პარტია", ერთი ბელადი". ხასიათდება არსებული ხელისუფლებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულებით და გამსჭვალულია პროპაგანდისტული სტერეოტიპებით; 4. ორიენტირებულია ხელისუფლებასა და ძალაზე. ერთი მხრივაა ავტორიტარული აგრესია, მეორე მხრივ კი — მორჩილებისათვის მუდმივი მზადყოფნა; 5.გამარტივება, რთული პრობლემების დაყვანა უფრო მარტივზე, აზროვნების სქემატიზმი და ცალმხრივობა: „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი მტერია"; 6. ფანატიზმი; 7. მუდმივი ეჭვიანობა, რაც გადაიზრდება მორალურ და ფიზიკურ ტერორში მოქალაქეებისა და ახლობლების მიმართაც კი; 8. ორიენტირება „ბედნიერ მომავალზე", დღევანდელი დღის ღირებულებების იგნორირება.

განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების საარჩევნო სისტემები

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ს საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს კონგრესი წარმოადგენს, რომელიც ორი პალატისაგან შედგება: წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან.

წარმომადგენელთა პალატა მთლიანად ხალხის ინტერესებს გამოხატავს. პალატაში 435 კონგრესმენია. უფლებამოსილების ვადა 2 წელია. წარმომადგენელთა პალატის არჩევნები ტარდება ყოველი ლუწი წლის ნოემბრის პირველი ორშაბათის მომდევნო პირველ სამშაბათს.

წარმომადგენელთა პალატის წევრებს ირჩევენ შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით, კვორუმის მოთხოვნის გარეშე. ყოველი შტატიდან არჩეული წარმომადგენლების რაოდენობა შტატის მოსახლეობის პროპორციულია, რათა ერთი წარმომადგენელი დაახლოებით თანაბარი ოდენობის ამომრჩევლებმა აირჩიონ, ამასთან, ყოველ შტატს კონგრესში ერთი წარმომადგენელი მაინც ჰყავდეს. არჩევნები ტარდება ერთმანდატიან ოლქებში. წარმომადგენელთა პალატა არ შეიძლება ვადამდე იქნეს დათხოვნილი.

წარმომადგენელთა პალატის წევრად შეიძლება იყოს არჩეული: აშშ-ის მოქალაქე, რომელსაც მოქალაქეობა უკვე 7 წელი აქვს მიღებული და შეუსრულდა 25 წელი; ასევე მუდმივად ცხოვრობს იმ შტატში, რომლის ტერიტორიაზეც არის საარჩევნო ოლქი.

სენატი — კონგრესის „ზედა" პალატა — შტატების ინტერესებს წარმოადგენს. ის შედგება 100 სენატორისაგან, ანუ თითოეული შტატიდან 2 სენატორი აირჩევა 6 წლის ვადით. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება სენატორთა ერთი მესამედის არჩევნები. წარმომადგენელთა პალატის მსგავსად, სენატს ირჩევენ შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით.

სენატში შეიძლება იყოს არჩეული აშშ-ს მოქალაქე, რომელსაც მოქალაქეობის 9 წლის სტაჟი მაინც აქვს და 30 წელი შეუსრულდა, ასევე იგი მუდმივად უნდა ცხოვრობდეს იმ შტატის ტერიტორიაზე, სადაც კენჭს იყრის.

ქვეყნის უმაღლეს თანამდებობის პირს, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს აშშ-ის პრეზიდენტი წარმოადგენს. პრეზიდენტს ირჩევენ 4 წლის ვადით, ორსაფეხურიანი არაპირდაპირი არჩევნების გზით. არჩევნების დროს ყალიბდება განსაკუთრებული ორგანო — „ამრჩევთა კოლეგია", რომელიც შემდეგ ირჩევს პრეზიდენტს. მოცემულ კოლეგიაში შემავალი ამრჩევების რიცხვი უნდა უდრიდეს კონგრესმენებისა და სენატორების რიცხვს ერთად აღებულს. ყოველი შტატი ირჩევს იმდენ ამრჩევს, რამდენი სენატორი და კონგრესმენიც ირჩევა ამ შტატიდან.

ამრჩევთა რაოდენობა სხვადასხვა შტატებიდან განსხვავებულია, მაგალითად, შტატები როდ-აილენდი და ალიასკა ყველაზე ნაკლებ ამრჩევებს ირჩევენ — 3 (ეს შტატები კონგრესში წარმოდგენილნი არიან 2 სენატორით და 1 კონგრესმენით), არკანზასის შტატი — 6 (2+4), პენსილვანია — 23 (2+21), ტეხასი — 32 (2+30). ამრჩევთა ყველაზე მეტ რაოდენობას კალიფორნია ირჩევს — 54 (2+52).

თითოეული პარტია ყოველ შტატში აყენებს ამრჩევების ერთიან სიას. კენჭს უყრიან მთლიან სიას. თუ პარტია შტატის ფარგლებში

მოაგროვებს ხმების შეფარდებით უმრავლესობას, ამრჩევთა კოლეგიაში ირჩევენ მის მიერ წარმოდგენილ მთელ სიას (ე.ი. შტატში გამარჯვებული პარტია მოცემული შტატის ყველა ამრჩევლის ხმას იღებს). მაგალითად, პარტია, რომელსაც კალიფორნიაში ამომრჩეველთა 51% დაუჭერს მხარს, მიიღებს შტატის ყველა (54) ამრჩევლის ხმას.

პრეზიდენტად არჩევისათვის აუცილებელია ამრჩეველთა 270 ხმის მოგროვება, ანუ მათი საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის. ამისათვის, მაგალითად, საკმარისია 11 ყველაზე დიდ შტატში გამარჯვება (50-დან). ეს შტატებია: კალიფორნია (54), ნიუ-იორკი (33), ტეხასი (32), ფლორიდა (25), პენსილვანია (23) აილინოისი (22), ოჰაიო (21), მიჩიგანი (18), ნიუ-ჯერსი (15), ჩრდილოეთ კაროლინა (14), ვირჯინია (13); ანდა მომავალმა პრეზიდენტმა უნდა გაიმარჯვოს 40 პატარა ან საშუალო შტატში.

აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნების სისტემას შეუძლია ძალზედ მნიშვნელოვნად დაამახინჯოს ამომრჩეველთა ნება. მაგალითად, 1992 წ. არჩევნებში კლინტონმა მოაგროვა 43 მლნ ხმა, მაგრამ მიიღო ამომრჩევლების ხმათა 75%, ჯ.ბუშმა — 37 მლნ ხმა, მაგრამ ამომრჩეველთა 25%. რ.პეროომ მიიღო 19 მლნ ხმა, მაგრამ ვერ მიიღო ვერც ერთი ამომრჩევლის ხმა.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს წამოყენებული იქნა პრეზიდენტის არჩევნების სისტემის შეცვლის გეგმა — გაუქმებულიყო ამომრჩეველთა კოლეგია და, სხვა ქვეყნების მსგავსად, გადასულიყვნენ პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებზე. მაგრამ ამ წინადადებას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს საშუალო და პატარა შტატებმა. მათი უმრავლესობისათვის დღევანდელი სისტემა ქმნის შესაძლებლობას, რომ გადამწყვეტი როლი შეასრულონ არჩევნების ბედის განსაზღვრაში.

იმ შემთხვევაში, თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმების უმრავლესობას ამრჩევთა კოლეგიაში (ე.ი. 270 ხმას), მაშინ საუკეთესო მაჩვენებლების მქონე სამი კანდიდატიდან პრეზიდენტს აირჩევს კონგრესის წარმომადგენელთა პალატა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტს — სენატი.

აშშ-ს პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ დაბადებით აშშ-ს მოქალაქე, რომელსაც 36 წელი შეუსრულდა, აქვს საარჩევნო უფლება და ქვეყანაში ცხოვრობს არანაკლებ 14 წლის განმავლობაში. პრეზიდენტის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში, ვიცე-პრეზიდენტი ავტომატურად იკავებს მის ადგილს და თანამდებობაზე რჩება პრეზიდენტობის მიმდინარე 4-წლიანი ვადის ბოლომდე.

ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს აშშ-ის პრეზიდენტი 2 ვადაზე მეტი დროით. მოცემული ნორმა დადგინდა 1951 წელს კონსტიტუციის 22-ე შესწორების სახით, მას შემდეგ, რაც ფ.რუზველტი 4-ჯერ გახდა აშშ-ს პრეზიდენტი და ამ პოსტზე მყოფი გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა 1951 წლამდე არ მოქმედებდა, ფ.რუზველტის გარდა, ვერც ერთმა სხვა პრეზიდენტმა ვერ მოახერხა ორზე მეტი ვადით გამხდარიყო ქვეყნის პრეზიდენტი.

პრეზიდენტის არჩევნები აშშ-ში ტარდება მკაფიოდ განსაზღვრულ ვადაში — ნაკიანი წლის ნოემბრის პირველი ორშაბათის შემდგომ პირველ სამშაბათს; ხოლო თანამდებობას იკავებს მომდევნო წლის 20 იანვარს.

აშშ-ს კონგრესის, პრეზიდენტის, გუბერნატორებისა და სხვა თანამდებობის პირების არჩევაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს პოლიტიკური პარტიები. აშშ-ში ისტორიულად ჩამოყალიბდა ორპარტიული სისტემა, რის შედეგადაც ყველა დონის არჩევნებზე ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ ორი პარტიის — დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები. აშშ-ში ზოგჯერ პარტიებს საარჩევნო მანქანებს უწოდებენ.

აშშ-ში არჩევნები ორ სტადიად იყოფა — პრაიმერიზიად (პირველადი არჩევნები) და უშუალო არჩევნებად. პრაიმერიზის დროს ბრძოლა მიდის პარტიების შიგნით მისი ოფიციალურ კანდიდატად გახდომისათვის (კონგრესში, გუბერნატორად, პრეზიდენტად). საბოლოოდ კანდიდატის საკითხს გადაწყვეტენ პარტიის რიგითი წევრები კენჭისყრის გზით (ოლქში, შტატში, მთელი ქვეყნის მასშტაბით).

როდესაც პარტიები საბოლოოდ ჩამოყალიბდებიან არჩევით თანამდებობებზე თავიანთი კანდიდატების თაობაზე, იწყება არჩევნების მეორე ეტაპი, რომლის დროსაც უშუალოდ თანამდებობისათვის ბრძოლას იწყებს ორი კანდიდატი — დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიიდან.

ყველა დონის არჩევნებზე რესპუბლიკელები და დემოკრატები ერთმანეთს პერიოდულად ენაცვლებიან. პარტიების მეტოქეობა არჩეულ თანამდებობის პირებს აიძულებს ყოველთვის „ფორმაში იყვნენ". ამავე დროს, რადგანაც პარტიების მიზნები ერთმანეთთან ახლოს დგას, სახელმწიფო კურსი მთლიანობაში იგივე რჩება.

აშშ-ში მრავალჯერ სცადეს მესამე პარტიის შექმნა და „მესამე კანდიდატის" წამოყენება, მაგრამ ამგვარი მცდელობა ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. „მესამე" პარტიები მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებდა.

ბელგია

ბელგია კონსტიტუციური მონარქიაა. ბელგიის პარლამენტი ორი პალატისაგან შედგება. წარმომადგენელთა პალატას პროპორ-ციული სისტემით ირჩევენ 4 წლის ვადით. სენატს ირჩევს ბელგიაში არსებული ეროვნული თემების მმართველი ორგანოები საკმაოდ რთული სისტემით. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს სენატში მნიშვნე-ლოვნად განსხვავებული წარმომადგენლობა აქვთ.

საარჩევნო უფლება ბელგიის მოქალაქეებს 18 წლის ასაკიდან ეძლევათ. მოქმედებს ბინადრობის ცენზი: ამომრჩეველი იმ კომუნაში, სადაც ხმას აძლევს, 6 თვის მანძილზე მაინც უნდა ცხოვრობდეს. იმ პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან სისხლის სამართლის დანაშა-ულისათვის, ჩამორთმეული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება.

ყოველ კომუნაში არის ამომრჩეველთა მუდმივი სიები. ხმის მიცემა ფარულია. ეს პრინციპი ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციაში მხოლოდ XX საუკუნის 20-იან წლებში შეიტანეს, თუმცა შესაბამისი ნორმა უკვე არსებობდა 1877 წლის 7 ივლისის საარჩევნო კანონში. 1970 წელს დაშვებული იქნა ხმის მიცემა ფოსტით და მინდობილობით. მაგრამ არჩევნების დროს გამოვლენილი მაქინაციების გამო, 1976 წლის 5 ივლისს ბელგიის პარლამენტმა გააუქმა ფოსტის მეშვეობით ხმის მიცემა, ასევე ამომრჩეველს შეუძლია ხმის მიცემა მხოლოდ ერთი მინდობილობით.

ხმის მიცემა სავალდებულოა, თუმცა სანქციები არასაპატიო მიზეზით არჩევნებში არმონაწილეობისათვის მცირეა: საყვედური ან ჯარიმა ერთიდან სამ ფრანკამდე პირველი შემთხვევის დროს; თუ 6 წლის განმავლობაში არჩევნებისათვის თავის არიდება მეორედაც მოხდა, მაშინ ჯარიმა სამიდან 25 ფრანკამდეა; ხოლო, თუ ეს 10 წლის განმავლობაში განმეორდა, მისი გვარი ერთი თვის მანძილზე იქნება გამოკრული ადმინისტრაციული კომუნის დაფაზე ამომრჩევლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

წარმომადგენელთა პალატა შედგება 212 წევრისაგან, რომლებიც არჩეულია პირდაპირი და საყოველთაო არჩევნებით 4 წლის ვადით. პალატის წევრად არჩევის პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს აქტიური საარჩევნო უფლება (ე.ი. აუცილებელია ბელგიის ქვეშევრდომობა), ცხოვრობდეს ბელგიაში, იყოს 25-ისა წლის და მეტი ასაკის.

სენატი შედგება 184 წევრისაგან, რომელთაც ოთხი წლით ირჩევენ. აქედან, 106 მანდატს იღებს საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით, 51-ს ირჩევს პროვინციული საბჭოები (ისეთი

გათვლით, რომ 200 ათას მცხოვრებზე ერთი სენატორი მოდიოდეს) და 26 სენატორს (ე.ი. პროვინციული საბჭოების მიერ არჩეულ სენატორთა ნახევარს) კოოპტაციის წესით ირჩევენ თავად სენატორები (რომლებმაც მანდატები მიიღეს საყოველთაო არჩევნებისა და პროვინციული საბჭოების მიერ არჩევნების გზით). სენატორების მეოთხე კატეგორიაა ბელგიის მონარქის შვილები, რომლებმაც 18 წლის ასაკს მიაღწიეს, ხოლო თუკი მონარქს შვილები არ ჰყავს — სამეფო სისხლის მქონე ბელგიელი პრინცები, რომლებსაც შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ ტახტის მემკვიდრეობით მიღებაზე. სენატორობის კანდიდატები უნდა ფლობდნენ ისეთივე კვალიფიკაციას, როგორსაც წარმომადგენელთა პალატის კანდიდატები, მაგრამ პასიური საარჩევნო უფლების ასაკად 40 წელია დადგენილი. კოოპტირებული სენატორების კატეგორია 1921 წელს შემოიღეს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო პალატაში ქვეყნის ცნობილი მოღვაწეების შეყვანა.

პარლამენტის მანდატი შეუთავსებელია რაიმე ანაზღაურებად სამთავრობო და მინისტრის თანამდებობასთან. პროვინციული საბჭოების მიერ არჩეული სენატორი არ შეიძლება იყოს იმ პალატის წევრი, რომელმაც ის აირჩია.

წარმომადგენელთა პალატის ყოველი წევრი წარმოდგენილი უნდა იყოს ან ამომრჩევლების მიერ (200-დან 500 ხელმოწერამდე საარჩევნო ოლქის სიდიდის მიხედვით), ან, სულ ცოტა, სამი პარლამენტარის მიერ, რომელთა უფლებამოსილების ვადაც მთავრდება. კანდიდატების წამოყენება ხდება ხმის მიცემამდე 23-ე და 22-ე დღეს შორის. კანდიდატი სენატორის პოსტზე, რომელსაც საყოველთაო კენჭისყრით ირჩევენ, წარმოდგენილი უნდა იყოს არანაკლებ 100 ამომრჩევლის ან სამი პარლამენტარის მიერ, რომელთა უფლებამოსილების ვადაც იწურება. სენატორების კანდიდატები, რომლებსაც პროვინციული კრებები ირჩევენ, წარმოდგენილი უნდა იყვნენ არჩევნებამდე არაუგვიანეს 6 დღისა. ამ კანდიდატურებს მხარი უნდა დაუჭიროს არანაკლებ ხუთმა პროვინციელმა მრჩეველმა. კოოპტაციის წესით არჩეული სენატორის კანდიდატი უნდა წამოაყენოს არანაკლებ ათმა სენატორმა და ხმის მიცემამდე, არა უგვიანეს 5 დღისა.

წარმომადგენელთა პალატის არჩევის დროს ბელგია იყოფა 30 საარჩევნო ოლქად, ხოლო საყოველთაო კენჭისყრით სენატორების არჩევის დროს — 20 საარჩევნო ოლქად. დეპუტატების 212 და სენატორების 106 მანდატი ოლქებს შორის ნაწილდება მათი მცხოვრებლების (და არა ამომრჩევლების) რაოდენობის პროპორციულად.

არჩევნები ტარდება სიით კენჭისყრის გზით ერთ ტურად პროპორციული საარჩევნო სისტემით. კანონი არ ითვალისწინებს პანაშირებას, მაგრამ დასაშვებია პრეფერენცირებული ხმის მიცემა.

გერმანია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ერთპალატიანი პარლამენტის — ბუნდესტაგის — გარდა, მას ახორციელებს აგრეთვე მიწების წარმომადგენლობის ორგანო — ბუნდესრატი. ამავე დროს ეს არ არის ერთი პარლამენტის „ქვედა" და „ზედა" პალატები. ეს სხვადასხვა ორგანოებია.

ბუნდესტაგი შედგება 656 დეპუტატისაგან. აირჩევა 4-წლიანი ვადით მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით — დეპუტატთა ნახევარს ირჩევენ მაჟორიტარულ ერთმანდატიან ოლქებში, ხოლო ნახევარს — პროპორციული სისტემით მიწებში შექმნილ ტერიტორიულ ერთეულებში (მიწების პარტიული სიების მიხედვით); ამასთან, პარტიული სიებით მანდატების განაწილებაზე დაიშვება მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც გადალახავს 5%-იან ბარიერს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბუნდესტაგის დეპუტატებს აქვთ თავისუფალი მანდატი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურია ფედერალური პრეზიდენტი, რომელსაც სპეციალური კოლეგია ირჩევს. კოლეგიის ნახევარს შეადგენენ ბუნდესტაგის დეპუტატები, მეორე ნახევარს — ზუსტად ამავე რაოდენობის ამრჩევლებს აყენებენ მიწების ლანდტაგები. ეს გაკეთდა იმიტომ, რომ გაწონასწორდეს ცენტრისა და მიწების ინტერესები. მოცემულ კოლეგიას ფედერალური კრება ეწოდება და მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს — პრეზიდენტის არჩევა, რის შემდეგაც იგი იშლება. გერმანიის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ყოველი გერმანელი (გფრ-ის მოქალაქე), რომელსაც 40 წელი შეუსრულდა და საარჩევნო უფლება გააჩნია. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. ერთი და იგივე პირს ამ პოსტის დაკავება მხოლოდ ორი ვადით შეუძლია. გფრ-ის პრეზიდენტს რეალური უფლებამოსილებანი თითქმის არა აქვს, „ძლიერი" ფედერალური კანცლერისაგან განსხვავებით.

საარჩევნო უფლება ენიჭება ყველა გერმანელს, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ მინიმუმ სამი თვის განმავლობაში და არა აქვთ ჩამორთმეული პოლიტიკური

და სამოქალაქო უფლებები. ბინადრობის ცენზი არ ვრცელდება სახელმწიფო მოსამსახურეებსა და მოხელეებზე, სამხედრო მოსამსახურეებზე. ამომრჩეველთა სიები რეგულარულად გადაისინჯება და არჩევნებამდე 20 ან 15 დღით ადრე საჯაროდ გამოიკვრება საყოველთაო განხილვისა და კონტროლისათვის.

ხმის მიცემა არაა სავალდებულო. ყოველ ამომრჩეველს აქვს ორი ხმა. ერთს ის აძლევს კანდიდატს ოლქების მიხედვით ხმის მიცემის დროს; მეორე ხმას — მიწების მიხედვით წამოყენებულ საარჩევნო სიებს. მინდობილობით ხმის მიცემას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მაგრამ უწიგნურ ან ფიზიკური ნაკლის მქონე ამომრჩეველს შეუძლია პირადად სთხოვოს სანდო პირს, სათანადო აღნიშვნა გააკეთოს მის კუთვნილ ბიულეტენში.

ბუნდესტაგში შეიძლება არჩეული იქნეს ყველა ამომრჩეველი, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ და გერმანიის მოქალაქეები არიან, არჩევნებამდე სულ ცოტა, ერთი წელი მაინც. ოლქებში კანდიდატების წამოყენება შეუძლიათ როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ასევე მოქალაქეებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში და იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე პარტიას არა აქვს ხუთი მანდატი ბუნდესტაგში ან რომელიმე მიწის ლანდტაგში, კანდიდატურას მხარი უნდა დაუჭიროს შესაბამისი ოლქის სულ ცოტა 200-მა ამომრჩეველმა მაინც. ყოველი პარტია ოლქში წარმოადგენს მხოლოდ ერთ კანდიდატს, ამასთან, ეს კანდიდატი უნდა შეირჩეს ფარული კენჭისყრით, რომელშიც მონაწილეობენ ან უშუალოდ მოცემულ ოლქში მცხოვრები პარტიის წევრები, ანდა მათ მიერ არჩეული ამრჩევები.

რაც შეეხება კანდიდატურების წამოყენებას მიწების დონეზე, ყოველ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია თავისი კანდიდატების სიის წამოყენება ზემოთ აღნიშნული პროცედურის თანახმად. თუ პარტიას არ აქვს 5 მანდატი ბუნდესტაგში ან რომელიმე მიწის ლანდტაგში, მაშინ მის სიას მხარი უნდა დაუჭიროს ამ მიწის არანაკლებ ათასმა და არა უმეტეს 2 ათასმა ამომრჩეველმა. ყოველ პარტიას შეუძლია მხოლოდ კანდიდატების ერთი სიის წამოყენება ყოველ მიწაში.

ბუნდესტაგში არჩევნების სისტემა შერეული ხასიათისაა, რომლებიც მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების ელემენტებს ახამებენ. გერმანულ ლიტერატურაში ამ სისტემას ეწოდება „პერსონაფიცირებული პროპორციული წარმომადგენლობა". ოლქებში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს „პირველი" ხმების ყველაზე მეტ რაოდენობას. მიწებში ყოველ პარტიას უფლება აქვს ადგილები მიიღოს ამომრჩეველთა „მეორე" ხმების განაწილების

პროპორციულად. მონაწილეობა რომ მიიღოს ადგილების განაწილებაში, პარტიამ უნდა მიიღოს „მეორე" ხმების არანაკლებ 5%-სა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ან მოიპოვოს სამი ადგილი ოლქში.

თუკი რომელიმე პარლამენტარის ადგილი ვაკანტური გახდა, მაშინ მანდატს იღებს კანდიდატი, რომელიც სიაში მის შემდეგ მოდიოდა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც განთავისუფლებული მანდატი ოლქში იყო მიღებული. თუ თავისუფლდება დამოუკიდებელი კანდიდატის ადგილი, რომელიც არჩეული .იყო ოლქში უნინომინალური ხმის მიცემით, მაშინ შესაბამის ოლქში ტარდება ნაწილობრივი არჩევნები. ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს ვაკანსიის გაჩენიდან 60 დღის განმავლობაში.

გერმანიაში მოქმედებს კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კამპანიისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. XX საუკუნის 80-იანი წლების შუახანებამდე უხდიდნენ 3,5 მარკას მათ მიერ მიღებულ ამომრჩეველთა თითოეულ ხმაზე.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთი უძველესი კონსტიტუციური (საპარლამენტო) მონარქიაა. პარლამენტის ზედა პალატა — ლორდთა პალატა — დღემდე მემკვიდრეობის პრინციპით ყალიბდება. მოცემული პრინციპი, ისევე როგორც თავად პალატა, არქაულია. პალატის შემადგენლობაში შედის ოთხი კატეგორიის წევრი: 770-ზე მეტი მემკვიდრეობითი პერი, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს ეს ადგილი და მემკვიდრეობით გადასცემენ მათ; დედოფლის მიერ დანიშნული დაახლოებით 450 პერი (ბრიტანეთის წინაშე დამსახურებისათვის). ისინი სიცოცხლის მანძილზე ატარებენ ამ სტატუსს, მაგრამ მემკვიდრეობით ვერ გადასცემენ; 26 სულიერი ლორდი (ეკლესიის წარმომადგენლები); 12 მოსამართლე ლორდი (სულიერი და მოსამართლე ლორდები პერებს არ წარმოადგენენ).

მთავარ როლს ბრიტანეთის პარლამენტში ქვედა — თემთა პალატა ასრულებს. მას ირჩევენ 18 წელს მიღწეული დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები, ასევე ბრიტანეთში მცხოვრები ირლანდიისა და თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მოქალაქეები. თემთა პალატას ირჩევენ შეფარდებითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით — ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში; არჩევისათვის აუცილებელია ხმების შეფარდებითი უმრავლესობის მოგროვება — მეტისა, ცალკე

აღებულ ნებისმიერ სხვა კანდიდატთან შედარებით. კვორუმი არ მოითხოვება. თემთა პალატას 5 წლით ირჩევენ, მაგრამ დედოფალს მისი ვადამდე დაშლა შეუძლია.

თემთა პალატა შედგება 659 დეპუტატისგან. მოსახლეობის ზრდასთან ერთად, დეპუტატების რაოდენობაც თანდათანობით იზრდება. წევრების 80% — 539 პარლამენტარს — მჭიდროდ დასახლებული ინგლისიდან ირჩევენ, 61 პარლამენტარს (9%-ს) — შოტლანდიიდან, 41-ს — უელსიდან, 18-ს — ჩრდილოეთ ირლანდიიდან.

დეპუტატობის კანდიდატი შეიძლება იყოს დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა. მას სჭირდება 10 ამომრჩევლის ხელმოწერის შეგროვება და საარჩევნო საწინდარის — 500 გირვანქა სტერლინგის — (დაახლოებით აშშ 750 დოლარი) გადახდა. საარჩევნო გირაო არ უბრუნდება, თუკი კანდიდატი საარჩევნო ოლქში მოაგროვებს ხმების 5%-ზე ნაკლებს. რეალურად თითქმის შეუძლებელია კანდიდატად დამოუკიდებლად გახდომა, თუკი ოლქში იგი არ წამოაყენა ლეიბორისტულმა ან კონსერვატიულმა პარტიამ.

მმართველი პარტია, რომელიც აყალიბებს მთავრობას, საარჩევნო პროცესში გარკვეულ უპირატესობას ფლობს ოპოზიციის წინაშე — მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ დანიშნოს არჩევნების თარიღი (ან 5-წლიანი ვადის ბოლოს, ან პარლამენტის ვადამდე დათხოვნის გზით). ამ შესაძლებლობით არაერთხელ უსარგებლია მმართველ პარტიას (მ.ტეტჩერის დროს), არჩევნების თავისთვის ხელსაყრელ დროს დასანიშნად (პარლამენტის ვადამდე დათხოვნის გზით) — როცა მმართველი პარტიის პოპულარულობა მაღალი იყო.

ხმის მიცემა არჩევნების დროს არაა სავალდებულო. მინდობილობით ხმის მიცემა ნებადართულია სამხედრო მოსამსახურეებისათვის, საზღვარგარეთ სამსახურში მყოფ სახელმწიფო მოხელეებისათვის და დასახელებული კატეგორიის პირების მეუღლეებისათვის. ერთ პირს არ შეუძლია ორზე მეტი მინდობილობის მიღება. ფოსტის მეშვეობით ხმის მიცემა ნებადართულია იმ პირებისათვის, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობენ, მაგრამ არ შეუძლიათ არჩევნებში უშუალოდ მონაწილეობის მიღება ფიზიკურად შეუძლებლობის, რელიგიური მიზეზების და ა.შ. გამო.

საარჩევნო კამპანიის ხარჯები შეზღუდულია 2700 გირვანქა სტერლინგით, რასაც ემატება 3,1 პენსი ყოველ ამომრჩეველზე სოფლად და 2,3 პენსი — ქალაქად.

თემთა პალატაში ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში ტარდება ნაწილობრივი არჩევნები. თუ ჩნდება ვაკანსია, რომელიც ეპისკოპოსს ჰქონდა დაკავებული, მას ცვლის იმავე ეპარქიის ასაკით ყველაზე უფროსი ეპისკოპოსი, ხოლო გამოკლებული ლორდის ადგილს იკავებენ დანიშვნის წესით.

ესპანეთი

1978 წლის კონსტიტუციით, ესპანეთი კონსტიტუციური მონარქიაა. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს გენერალური კორტესები წარმოადგენს, რომელიც ორი პალატისაგან შედგება.

ქვედა პალატა — დეპუტატთა კონგრესი — 350 წევრისაგან შედგება. მათ 4 წლით ირჩევენ, პროპორციული სისტემით, 3%-იანი გადამლობი ბარიერის გამოყენებით.

ზედა პალატა — სენატი — პროვინციების წარმომადგენლობას უზრუნველყოფს. სენატი შედგება 208 წევრისაგან, რომელთა ერთ მეხუთედს (43) მეფე ნიშნავს. სენატის უფლებამოსილების ვადა 4 წელია. სენატორთა არჩევა ხდება მაჟორიტარული სისტემით მრავალმანდატიანი და ერთმანდატიანი ოლქებიდან, რომლებიც ესპანეთის ტერიტორიულ ერთეულებში იქმნება.

პასიური საარჩევნო უფლება გენერალური კორტესის ორივე პალატაში აქვთ ესპანეთის ყველა ქვეშევრდომს, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდათ და არა აქვთ ჩამორთმეული პოლიტიკური უფლებები. ბინადრობის ცენზი არ არსებობს. საპარლამენტო მანდატი შეუთავსებელია ზოგიერთ მაღალ სამთავრობო თანამდებობის დაკავებასთან (გამონაკლისია მთავრობის წევრობა); პარლამენტარს არ შეუძლია იმსახუროს არმიასა და პოლიციაში, იმავდროულად იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სახალხო დამცველი, მოსამართლე, პროკურორი, საარჩევნო კომისიის წევრი. ერთი პალატის წევრს არ შეიძლება ჰქონდეს მანდატი მეორე პალატაშიც. ესპანეთში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, არ არსებობს პარლამენტარის გამოწვევის რაიმე პროცედურა; თუ პარლამენტარს გადადგომა სურს, მან წერილობითი განცხადება უნდა გაუგზავნოს თავისი პალატის თავმჯდომარეს.

კონგრესში ასარჩევი დეპუტატების კანდიდატებს აყენებენ სათანადოდ დარეგისტრირებული პოლიტიკური ასოციაციები და ფედერაციები, მათი კოალიციები, ან ოლქის საარჩევნო სიაში შეტანილი ამომრჩევლების 0,1% (თუმცა ეს უნდა იყოს 500 ამომრჩეველზე მეტი).

სენატორობის კანდიდატების წამოყენება ხდება იმავე წესით, როგორც დეპუტატების კანდიდატებისა. ისინი შეჰყავთ სიებში პროვინციების დონეზე. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი სენატორია ასარჩევი, ამომრჩეველს ეძლევა ერთი, ორი ან მაქსიმუმ სამი ხმა. კანდიდატები, რომლებიც ყველაზე მეტ ხმას იღებენ, არჩეულად ითვლებიან.

ისრაელი

ისრაელი საინტერესო ქვეყანაა კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოწყობის თვალსაზრისით. თავისი არსით ესაა ევროპული ყაიდის ქვეყანა აზიაში. ისრაელს არ აქვს კოდიფიცირებული (ერთიანი) კონსტიტუცია. იგი კლასიკური სახის საპარლამენტო რესპუბლიკაა.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში წამყვანი როლი განეკუთვნება კნესეტს (პარლამენტს), რომელიც ერთპალატიანია და 120 დეპუტატისგან შედგება. კნესეტს ირჩევენ პროპორციული სისტემით 4 წლის ვადით. ისრაელი წარმოადგენს ერთიან საარჩევნო ოლქს. პარტიებისათვის დაწესებულია 1%-იანი ბარიერი. უნდა ითქვას, რომ ეს ყველაზე დაბალი ბარიერია მსოფლიოში.

ისრაელის თავისებურებაა „სუსტი" პრეზიდენტისა და „ძალიან ძლიერი" პრემიერ-მინისტრის არსებობა. პრეზიდენტი ასრულებს მხოლოდ წარმომადგენლობით და ცერემონიალურ ფუნქციებს. ისრაელის სპეციფიკა ისიცაა, რომ პრემიერ-მინისტრს 1996 წლიდან საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით ირჩევენ, პრეზიდენტს კი 5 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი (ესაა უნიკალური შემთხვევა მსოფლიო პრაქტიკაში, ჩვეულებრივ პირიქით ხდება). პრემიერ-მინისტრს ირჩევენ 4 წლით იმავე დღეს, როდესაც ტარდება საპარლამენტო არჩევნები. კნესეტის ვადამდე დაშლის შემთხვევაში, უფლებამოსილება უწყდება პრემიერ-მინისტრსაც.

იტალია

იტალიის 1947 წლის კონსტიტუცია ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული და სოციალურად ორიენტირებულია მსოფლიოში. იტალია კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკაა. პარლამენტი ორპალატიანია. დეპუტატთა პალატა 630 წევრისგან შედგება, ხოლო სენატი — 315 წევრისგან. 5 სენატორი ამ თანამდებობაზე შეიძლება სიცოცხლის ბოლომდე დანიშნოს პრეზიდენტმა იტალიის წინაშე დიდი

დამსახურების გამო. მუდმივი სენატორები ხდებიან აგრეთვე იტალიის ყოფილი პრეზიდენტები.

1993 წლამდე დეპუტატთა პალატას და სენატს ირჩევდნენ პროპორციული სისტემით. ამის გამო პარლამენტში ხვდებოდნენ ძალზე ბევრი პარტიის წარმომადგენლები. შედეგად ხშირი იყო სამთავრობო კრიზისები. ომის შემდგომ იტალიაში ნახევარი საუკუნის მანძილზე დაახლოებით 50 მთავრობა შეიცვალა. 1993 წელს ჩატარებულ რეფერენდუმში იტალიის მოსახლეობის 80%-მა მხარი დაუჭირა სენატის არჩევნებში მაჟორიტარულ სისტემაზე გადასვლას. შემდგომში ნაპოვნი იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება — პარლამენტის ორივე პალატა აერჩიათ შერეული სისტემით, რომელშიც უპირატესობა მიენიჭებოდა მაჟორიტარულ პრინციპს. 1993 წლიდან დეპუტატთა პალატას და სენატს ირჩევენ შერეული სისტემით. თითოეულ პალატაში ადგილების 75% ნაწილდება მაჟორიტარული, ხოლო 25% პროპორციული სისტემით.

იტალიის საარჩევნო სისტემას გარკვეული თავისებურებანი აქვს. დეპუტატთა პალატის არჩევნებში მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან მონაწილეობენ, დეპუტატობის კანდიდატი კი 25 წელს უნდა იყოს მიღწეული. სენატის არჩევნებში მონაწილეობის უფლება 25 წლის ასაკიდან აქვთ, ხოლო სენატორად გახდომის უფლება 40 წლის ასაკიდან ეძლევათ. ესაა ევროპაში ყველაზე მაღალი ასაკობრივი ცენზი როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო უფლებისათვის. ამრიგად, სენატს, დეპუტატთა პალატასთან შედარებით, ირჩევენ უფრო ასაკოვანი მოქალაქეები. ამასთან, მისი წევრებიც უფრო ასაკოვანი არიან. ამის მიზანია „ზედა" პალატა იყოს უფრო „ბრძენი" და გამოცდილი ქვედა პალატასთან შედარებით.

დეპუტატების ერთი მეოთხედის პროპორციული სისტემით არჩევისას გამოიყენება 4%-იანი გადამღობი ბარიერი პარტიებისათვის, ხოლო სენატორთა ერთი მეოთხედის არჩევისას გადამღობი ბარიერი არ გამოიყენება. სენატორებს ირჩევენ ოლქებიდან მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.

პალატების უფლებამოსილების ვადა 5 წელია.

იტალიის სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც 7 წლით ირჩევენ. ერთი და იგივე პირის არჩევა პრეზიდენტად შეუზღუდავია, მაგრამ რეალურად არც ერთი პრეზიდენტი არ აურჩევიათ მეორე ვადით.

იტალიის პრეზიდენტს ირჩევს განსაკუთრებული კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც შედის: პარლამენტის ორივე პალატის ყველა წევრი და ოლქების წარმომადგენლები (3 თითოეული ოლქიდან), რომლებსაც ირჩევენ საოლქო საბჭოები.

გერმანიისგან განსხვავებით, სადაც პარლამენტის წევრთა რაოდენობა უდრის მიწების წარმომადგენელთა რაოდენობას, იტალიაში აშკარა დისპროპორციაა — პარლამენტის 945 წევრზე (თუ არ ჩავთვლით მუდმივ სენატორებს) მოდის ოლქების 58 წარმომადგენელი. ფაქტობრივად, იტალიის პრეზიდენტს პარლამენტის წევრები ირჩევენ, მაგრამ ოლქების წარმომადგენელთა სიმბოლური ყოფნა იტალიის პრეზიდენტს უფრო მეტ ლეგიტიმურობას ანიჭებს.

პრეზიდენტობის კანდიდატმა უნდა მოაგროვოს კოლეგიის წევრთა ხმების არანაკლებ ორი მესამედი. სამი კენჭისყრის შემდეგ ასარჩევად საკმარისია კოლეგიის წევრთა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტი. იტალიის საარჩევნო სისტემის თავისებურება ისიცაა, რომ დადგენილია ყველაზე მაღალი ასაკობრივი ცენზი პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად — 50 წელი.

მიუხედავად 1993 წელს განხორციელებული საარჩევნო რეფორმისა, იტალიაში არსებული სახელმწიფოებრივი ორგანოების სისტემით ბევრი უკმაყოფილოა. რეფორმირების აქტიური მომხრეა 1999 წელს პრეზიდენტად ხელახლა არჩეული ა.ჩამპი. განიხილება პოლიტიკური რეფორმის რამდენიმე ვარიანტი:

— იტალიაში ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო რესპუბლიკის შემოღება (ხალხის მიერ არჩეული დიდი უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტი და „ძლიერი" ორპალატიანი პარლამენტი);

— ფრანგული ტიპის შერეული საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკის შემოღება (ხალხის მიერ არჩეული „ძლიერი" პრეზიდენტი, „ძლიერი" მთავრობა, „სუსტი" პარლამენტი);

— უკვე არსებული სისტემის სრულყოფა (მეტი უფლებამოსილების მინიჭება პრეზიდენტისათვის, არჩევნების დროს გადამღობი ბარიერის ამაღლება, არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ხმებით დამატებითი დაჯილდოება, რათა უფრო ადვილი იყოს მდგრადი საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა და ა.შ.).

ნიდერლანდები

ნიდერლანდები კონსტიტუციური (საპარლამენტო) მონარქიაა. მონარქს ფართო უფლებამოსილება აქვს და რეალურად მონაწილეობს ქვეყნის მართვაში. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი — გენერალური შტატები, რომელიც ორი პალატისაგან შედგება.

პირველ პალატას ირჩევენ პროვინციების საბჭოები და 75

დეპუტატისგან შედგება. მეორე პალატას უშუალოდ ხალხი ირჩევს და 150 დეპუტატისგან შედგება. ორივე პალატა აირჩევა პროპორციული სისტემით, 4 წლის ვადით. თუმცა მეფეს ნებისმიერი მათგანის ვადამდე დათხოვნა შეუძლია.

აქტიური საარჩევნო უფლება ნიდერლანდელებს 18 წლის ასაკიდან ეძლევათ. საარჩევნო სიები დგება ყოველ კომუნაში და რეგულარულად ახლდება. ხმის მიცემა სავალდებულო არაა (სავალდებულო ხმის მიცემის წესი 1970 წელს გაუქმდა). არსებული წესის მიხედვით, ხმის მიცემის დროს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა აუცილებელი არაა, მაგრამ ასეთი დოკუმენტი შეიძლება მოითხოვოს საარჩევნო ბიუროს თავმჯდომარემ. თუ ვინმე არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს სხვისი დოკუმენტებით, მას ელის პატიმრობა მაქსიმუმ ერთი წლის ვადით.

ნებადართულია ხმის მიცემა მინდობილობით, მაგრამ საკმაოდ შეზღუდულ ფარგლებში. ერთ ამომრჩეველს შეუძლია ჰქონდეს არაუმეტეს ორი მინდობილობისა. ქვეყნის ტერიტორიაზე ფოსტით ხმის მიცემა არ დაიშვება. ეს უფლება მხოლოდ საზღვარგარეთ მყოფ ნიდერლანდის მოქალაქეებს აქვთ, რომლებიც სამხედრო ან ადმინისტრაციულ მოვალეობებს ასრულებენ.

პასიური საარჩევნო უფლება ორივე პალატაში ეძლევათ 25 წელს მიღწეულ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ აქტიური ხმის უფლება. სავალდებულო არაა ნიდერლანდებში ცხოვრება. არ შეიძლება პარლამენტის ორივე პალატის ერთდროულად წევრობა. პარლამენტარის თანამდებობა შეუთავსებელია სახელმწიფო სამსახურში რაიმე მოვალეობის შესრულებასთან, შეიარაღებულ ძალებში ყოფნასთან, მინისტრის თანამდებობასთან და ა.შ.

პოლიტიკურ პარტიებს ნიდერლანდებში არა აქვთ სპეციალური სტატუსი პარლამენტის არჩევის დროს. საარჩევნო კანონი მხოლოდ მიუთითებს კანდიდატების სიის წარმოდგენის აუცილებლობაზე მეორე პალატის არჩევის დროს. სიის წარდგენა დადგენილ დღეს შეუძლია არანაკლებ 25 ამომრჩეველს. არაა მითითებული, რომ ეს 25 ამომრჩეველი პოლიტიკურ დაჯგუფებას უნდა შეადგენდეს. კანონი, ამავე დროს, ითვალისწინებს პოლიტიკური ჯგუფების რეგისტრირების შესაძლებლობას მეორე პალატის წევრების არჩევის დროს. ასეთი რეგისტრაცია შესაძლებლობას იძლევა პარტიის სახელწოდება ან მისი აბრევიატურა წარმოდგენილი იყოს კანდიდატების სიის ზედა ნაწილში.

წარმოდგენილი სია არ შეიძლება შეიცავდეს 30 კანდიდატზე მეტს მეორე პალატის არჩევის დროს. სიის წარმოდგენასთან ერთად,

ყოველი საარჩევნო ოლქის (სულ 18 ოლქია) მთავარ ბიუროში შეტანილი უნდა იქნეს 1000 გულდენი საწინდრის სახით (თუ პარტიას ადგილები არა აქვს მეორე პალატაში). არჩევნებში წარმატების მოპოვების შემთხვევაში ეს თანხა უკან ბრუნდება.

დამოუკიდებელი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს იმავე პირობებს, რასაც ერთ სიაში წარმოდგენილი კანდიდატების ჯგუფი. დამოუკიდებელი კანდიდატი ისეთივე საწინდარს იხდის, მაგრამ მისი წარმატების შანსი მცირეა, რადგანაც შეზღუდულია საარჩევნო კამპანიის წარმართვისათვის გამოყოფილი სახსრები. დამოუკიდებელი კანდიდატები ზოგჯერ წარმატებას აღწევენ პატარა კომუნების მხარდაჭერის გამოყენებით, სადაც მათ პირადად იცნობენ.

არსებული საარჩევნო სისტემის თავისებურება ისაა, რომ ადგილების პროპორციული განაწილება ხდება ეროვნულ დონეზე; მთელი ქვეყანა წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს და ადგილები ნაწილდება შემდეგი წესით: ცენტრალური საარჩევნო ბიურო ნამდვილი ხმების რიცხვს ყოფს მეორე პალატაში ადგილების რაოდენობაზე (ე.ი. 150-ზე) და ამით განსაზღვრავს ეროვნულ კვოტას. ყოველ სია იღებს იმდენ ადგილს პარლამენტში, რამდენჯერაც მათი სიისათვის მიცემული ხმების რაოდენობაში მოთავსდება აღნიშნული კვოტა. ამომრჩევლებს აქვთ პრეფერენცირებული ხმის მიცემისა და პანაშირების უფლება.

პორტუგალია

პორტუგალია 1976 წლის კონსტიტუციით საპრეზიდენტო-საპარლამენტო (ნახევრადსაპრეზიდენტო) რესპუბლიკაა, რომელშიც პრეზიდენტსა და პარლამენტს დაახლოებით თანაბარი უფლებები აქვთ და ერთმანეთს აწონასწორებენ.

რესპუბლიკის პრეზიდენტს უშუალოდ მოქალაქეები ირჩევენ 5 წლით. არჩევნები შემდგარად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ხმის მისაცემად მივა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 50%-ზე მეტი. პრეზიდენტობის კანდიდატი კი არჩეულად ითვლება, თუკი მას მხარს დაუჭერს კენჭისყრაში მონაწილეთა 50%-ზე მეტი.

თუ პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, მაშინ 21 დღის შემდეგ ტარდება მე-2 ტური. მასში მონაწილეობს ორი კანდიდატი, რომლებსაც პირველ ტურში სხვებზე უკეთესი შედეგი ჰქონდათ. მე-2 ტურში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტოქესთან შედარებთ მეტ ხმებს მოაგროვებს.

ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება იქნეს წამოყენებული მესამე და მეტი ვადითაც, იმ პირობით, რომ მისი უწყვეტი პრეზიდენტობა ორ ვადას არ უნდა აღემატებოდეს. ანუ, თეორიულად, პიროვნება შეიძლება ორი ვადით იყოს პრეზიდენტი, შემდეგ ჰქონდეს 5-წლიანი „შესვენება" და კიდევ შეუძლია პრეზიდენტის პოსტზე იყაროს კენჭი, მისი ორი ვადით დაკავების უფლებით, თუკი, რასაკვირველია, არჩევნებში მოახერხებს გამარჯვებას.

პრეზიდენტის თანამდებობაზე ვაკანსიის გაჩენის (პრეზიდენტის სიკვდილის ან გადადგომის) შემთხვევაში ტარდება ახალი საპრეზიდენტო არჩევნები და 5-წლიანი ვადის ათვლა ახლიდან იწყება.

პორტუგალიის პარლამენტი ერთპალატიანია და რესპუბლიკის ასამბლეა ეწოდება. მასში შედის 230 პარლამენტარი, რომელსაც 4 წლით პროპორციული სისტემით ირჩევენ. კანდიდატებს ასამბლეის არჩევნებზე აყენებენ პოლიტიკური პარტიები; მაგრამ სიაში შეიძლება შედიოდნენ ისეთი პირებიც, რომლებიც წამომყენებელი პარტიის წევრები არ არიან. ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ სიას.

რესპუბლიკის ასამბლეაში ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში განთავისუფლებულ ადგილს იკავებს იმავე სიაში წარმოდგენილი პირველივე კანდიდატი, რომელიც პარლამენტში ვერ მოხვდა.

საბერძნეთი

1975 წლის კონსტიტუციით საბერძნეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში განსაკუთრებული როლი პრეზიდენტს ენიჭება.

საბერძნეთის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც 40 წელი შეუსრულდა, საარჩევნო უფლებები აქვს და საბერძნეთის მოქალაქე 5 წლის მანძილზე მაინც არის. ასევე მისი მამა საბერძნეთის მოქალაქე უნდა იყოს.

კონსტიტუცია ითვალისწინებს პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევის რთულ პროცედურას, ამასთან, კვალიფიციური უმრავლესობის მიერ. პირველ ტურში ასარჩევად საჭიროა პარლამენტის დეპუტატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედის მხარდაჭერა. თუ პირველ ტურში პრეზიდენტის არჩევა ვერ მოხერხდება, მაშინ 5 დღის შემდეგ ტარდება მე-2 ტური, რომელშიც არჩევისათვის საჭიროა ხმების იგივე რაოდენობის მოგროვება, რაც პირველ ტურში. თუ მეორე ტურიც უშედეგო აღმოჩნდება, 5 დღის შემდეგ ჩატარდება

მე-3 ტური, სადაც არჩევისათვის მოთხოვნა რამდენადმე მცირდება. ამჯერად საჭიროა დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან ხმების სამი მეხუთედის მოგროვება (ანუ 66,7%-ის ნაცვლად 60%-სა). თუკი პრეზიდენტის არჩევა მე-3 ტურშიც ვერ მოხერხდება, მაშინ პარლამენტი იშლება და ტარდება ახალი არჩევნები.

ახლად არჩეულმა პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა აირჩიოს პრეზიდენტი პარლამენტართა საერთო რაოდენობის ხმების სამი მეხუთედით (მთლიანობაში ეს მე-4 ტურია). თუ პრეზიდენტს კვლავ ვერ აირჩევენ, 5 დღის შემდეგ ტარდება მე-5 ტური, სადაც პრეზიდენტის ასარჩევი ბარიერი კვლავ მცირდება. ამჯერად საკმარისია პარლამენტართა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტის (50%+1 ხმა) მხარდაჭერა. თუ პრეზიდენტი ამჯერადაც ვერ აირჩიეს, მაშინ 5 დღის შემდეგ ტარდება მე-6 და უკანასკნელი ტური, რომლის დროსაც პრეზიდენტს ირჩევენ ხმათა შეფარდებითი უმრავლესობით (ანუ პრეზიდენტი ხდება ის, ვინც მეტოქეებთან შედარებით მეტ ხმებს მოაგროვებს).

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ არა უმეტეს ორი ვადისა.

პრეზიდენტთან ერთად საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს (ესაა უნიკალური შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტი კონსტიტუციურად გამოცხადებულია საკანონმდებლო ხელისუფლების ნაწილად) 4 წლის ვადით არჩეული პარლამენტი. კონსტიტუცია არ ადგენს პარლამენტის ზუსტ შემადგენლობას. შემოფარგლულია მხოლოდ მისი ჩარჩოები — 200-დან 300 პარლამენტარამდე (ყოველ მომდევნო არჩევნებზე პარლამენტართა რაოდენობა იზრდება).

კონსტიტუცია მკაცრ მოთხოვნებს უყენებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხელეების, სამხედროების და აგრეთვე ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობას. ეს გამოწვეულია იმით, რომ 1967—1974 წლებში საბერძნეთში დამყარებული იყო სამხედრო-ბიუროკრატიული დიქტატურა, რომელსაც მხარს უჭერდა მსხვილი ბიზნესი. ამიტომ კონსტიტუცია ესწრაფვის ან მთლიანად გამორიცხოს მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ან დაუშვას იმ პირობით, რომ ჩამოსცილდებიან თავის ადრინდელ საქმიანობას. ეს განსაკუთრებით სამხედროებს ეხება.

ოფიცრებს აკრძალული აქვთ პოლიტიკაში ჩართვა, მათ შორის საპარლამენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენება. თუკი ოფიცერს სურს პარლამენტში იყაროს კენჭი, მაშინ მან თავი უნდა დაანებოს სამხედრო სამსახურს. ოფიცერს, რომელიც თუნდაც ერთხელ მონაწილეობდა საპარლამენტო არჩევნებში (მიუხედავად იმისა

გაიმარჯვა თუ დამარცხდა), სამუდამოდ ეკრძალება შეიარაღებულ ძალებში დაბრუნება.

გარდა სამხედროებისა, საბერძნეთის კონსტიტუციაა ართულებს პარლამენტში მოხვედრას სახელმწიფო მოხელეების, მერების, თემების თავმჯდომარეების, ნოტარიუსების, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების მოსამსახურეების, სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის. დასახელებულმა პირებმა, ჯერ ერთი, უნდა დატოვონ თავიანთი პოსტები; მეორე, ძველ თანამდებობაზე დაბრუნება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეუძლიათ; და მესამე, მათ არ შეუძლიათ კენჭი იყარონ იმ ოლქებში, რომელთა ტერიტორიაზეც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოღვაწეობდნენ.

საფრანგეთი

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციით, სახელმწიფო ორგანოების სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია პრეზიდენტს. პრეზიდენტს უშუალოდ ხალხი ირჩევს აბსოლუტური უმრავლესობის ორტურიანი სისტემით — ესე იგი არჩევისათვის აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების ხმების 50%-ზე მეტი. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმების ამ ოდენობას, მაშინ ორი კვირის შემდეგ ტარდება მე-2 ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში მონაწილე ის ორ კანდიდატი, რომელთაც სხვებზე მეტი ხმები მოაგროვეს.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 7 წელი იყო, შემდგომში ახალი ვადით არჩევის შეუზღუდავი შესაძლებლობებით. ამჟამად, საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წლით განისაზღვრება.

საფრანგეთის პარლამენტი ორპალატიანია: ეროვნული კრება შედგება 577 დეპუტატისაგან, ირჩევა ხუთი წლით აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით ერთმანდატიან ოლქებში. არჩევისათვის კანდიდატმა უნდა მოაგროვოს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების ხმების 50%-ზე მეტი. თუ პირველ ტურში ვერავის აირჩევენ, მაშინ ორი კვირის შემდეგ ინიშნება მე-2 ტური. მასში მონაწილეობს ყველა ის კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში მოაგროვეს რეგისტრირებული ამომრჩევლების ხმების 12,5%. ანუ თეორიულად, მეორე ტურში გასვლა შეუძლია 7 პრეტენდენტს, მაგრამ პრაქტიკულად მათი რაოდენობა 3—4-ს არ აღემატება. მე-2 ტურში გამარჯვებულს მოეთხოვება სხვებზე მეტი ხმების მოგროვება. თუ

პირველ ტურში ხმების 12,5% მოაგროვა მხოლოდ ერთმა კანდიდატმა ანდა ვერც ერთმა, მაშინ მეორე ტურში გადის ის ორი კანდიდატი, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმები მიიღეს.

სენატი („ზედა" პალატა) შედგება 305 სენატორისაგან; მათ ირჩევენ არაპირდაპირი არჩევნების გზით დეპარტამენტებიდან (ამომრჩეველთა კოლეგიის მეშვეობით) 9 წლის ვადით. ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ახლდება სენატორთა მესამედი.

საშუალოდ დეპარტამენტიდან ირჩევენ 3--5 სენატორს. სპეციალურად სენატორთა ასარჩევად დეპარტამენტში ყალიბდება ამომრჩეველთა კოლეგია, დაახლოებით ათასი კაცის ოდენობით, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ეროვნული კრების ყველა ის დეპუტატი, რომლებიც მოცემული დეპარტამენტიდანაა არჩეული (5—7 დეპუტატი); დეპარტამენტის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატები (30-50 კაცი); კომუნების (ადგილობრივი თვითმმართველობის ძირეული ორგანოების) მიერ წამოყენებული დელეგატები — დაახლოებით 1000 ადამიანი (10-15 დელეგატი ყოველი კომუნიდან). იმის გამო, რომ კომუნების დელეგატები აშკარად სჭარბობენ სხვა კატეგორიის ამომრჩევლებს, შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის სენატორებს ფაქტობრივად კომუნების წარმომადგენლები ირჩევენ. დაახლოებთ 100 დეპარტამენტში 305 სენატორის არჩევაში მონაწილეობას ღებულობს კომუნების დაახლოებით 100 ათასი წარმომადგენელი.

ეროვნული კრების დეპუტატისთვის ასაკობრივი ცენზია 23 წელი, სენატორისთვის კი — 35 წელი.

შვედეთი

შვედეთი კონსტიტუციური მონარქიაა. შვედეთის მონარქი, რომელიც ბერნადოტების დინასტიიდანაა (ეს დინასტია 1818 წლიდანაა ქვეყანაში), თავისი უფლებებით ერთ-ერთი ყველაზე „სუსტია" მსოფლიოში, მისი როლი ნომინალურია.

1974 წელს დადგენილი მმართველობის ფორმა ითვალისწინებს ერთპალატიანი პარლამენტის — რიკსდაგის — არსებობას, რომელსაც უშუალოდ ირჩევენ 18 წელს მიღწეული მოქალაქეები. პარლამენტის უფლებამოსილების ხანგრძლივობა 1994 წლიდან 4 წლითაა განსაზღვრული (მანამდე ის 3-წლიანი იყო).

რიკსდაგი შედგება 349 პარლამენტარისგან და ირჩევენ პროპორციული სისტემით. არჩევნები ტარდება ტერიტორიულ მრავალმანდატიან ოლქებში (ლენებში). სულ 39 ოლქია და ტერიტორიულად ისინი ემთხვევა არსებულ ოლქებს. ე.ი. პროპორციული სისტემით

ერთმანეთს კონკურენციას უწევს საერთო შვედური პარტიების „საოლქო“ პარტიული სიები. ტერიტორიულ ოლქებზე მოდის 310 მანდატი, ხოლო 39 რეზერვშია „გამაწონასწორებელი“ ფაქტორის სახით. ლენებში ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით მანდატები მხოლოდ იმ პარტიებს შორის ნაწილდება, რომლებმაც ლენის ფარგლებში მოაგროვეს ხმების 12%-ზე მეტი. მას შემდეგ, რაც ამ გზით განაწილდება 310 მანდატი, ნაწილდება „გამაწონასწორებელი“ 39 მანდატი. იგი ხვდებათ იმ პარტიებს, რომლებმაც ლენებში 12%-ზე ნაკლები მოაგროვა, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით მათ ხმების 4%-ზე მეტი მიიღეს.

მოცემული სისტემა აშკარა უპირატესობას აძლევს მსხვილ პარტიებს, მაგრამ იმავდროულად მცირე შანსს უტოვებს საშუალო პარტიებსაც. ამ სისტემის წყალობით, რიკსდაგში ადგილებისათვის ტრადიციულად იბრძვიან 5 პარტიის წარმომადგენლები.

დეპუტატობის კანდიდატთა ნაწილი, რომელიც პარლამენტში ვერ მოხვდა პარტიული სიებით, ღებულობს დეპუტატების მოადგილის სტატუსს. ისინი ეხმარებიან დეპუტატებს მუშაობაში და დეპუტატები ხდებიან იმ შემთხვევაში, თუკი იმ დეპუტატის თანამდებობა, რომლის მოადგილეც იგი არის, ვადაზე ადრე აღმოჩნდება ვაკანტური.

შვეიცარია

შვეიცარია ფედერაციული სახელმწიფოა. შვეიცარიის პარლამენტი ორი პალატისაგან შედგება: ეროვნული საბჭოსა და კანტონების საბჭოსაგან.

ეროვნული საბჭო შედგება 200 დეპუტატისგან. მას პროპორციული სისტემით ირჩევენ ტერიტორიულ ოლქებში — კანტონებში (ანუ კანტონების პარტიული სიების მიხედვით), ხოლო ზოგიერთ პატარა კანტონში ან ნახევარკანტონში ირჩევენ მხოლოდ ერთ დეპუტატს მაჟორიტარული სისტემით. ფედერაციის ინტერესების წარმომადგენელი კანტონების საბჭო შედგება 46 წევრისაგან. ორივე პალატის უფლებამოსილების ვადა 4 წელია და არც ერთი მათგანის ვადაზე ადრე დაშლა არ შეიძლება.

შვეიცარიაში პრეზიდენტისა და მთავრობის როლს ასრულებს 7 წევრისგან შემდგარი ფედერალური საბჭო. ესაა ერთდროულად თავისებური „კოლექტიური პრეზიდენტი“ და „მინიმთავრობა“. ფედერალურ საბჭოს 4 წლით ირჩევს ფედერალური კრება (პარლამენტი). შვეიცარიაში არსებობს დაუწერელი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც,

თუკი ადამიანი ფედერალურ საბჭოში აირჩიეს, მას მის შემადგენლობაში მუდმივად ირჩევენ საპენსიო ასაკამდე, ან სანამ თავად უარს არ იტყვის. ამიტომ ფედერალური საბჭოს როტაცია ძალზე იშვიათად ხდება. ფედერალური საბჭოს წევრები თავისი რიგებიდან ერთი წლით ირჩევენ პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს. ერთი და იგივე პირი შეიძლება მხოლოდ ერთი ვადით იყოს პრეზიდენტი და მეტი აღარასოდეს, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად — მხოლოდ 2 წლის განმავლობაში.

პოსტსაბჭოური ქვეყნების საარჩევნო სისტემები

აზერბაიჯანი

1995 წლის კონსტიტუციით, აზერბაიჯანი ფაქტობრივად საპრეზიდენტო რესპუბლიკაა.

საკანონმდებლო ხელისუფლებას აზერბაიჯანში ახორციელებს აზერბაიჯანის პარლამენტი — მილი მეჯლისი, რომელიც 125 დეპუტატისგან შედგება. მილი მეჯლისის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. არჩევნები ტარდება ყოველი მე-5 წლის ნოემბრის პირველივე კვირა დღეს. მილი მეჯლისს ირჩევდნენ მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების საფუძველზე. 2002 წლის 24 აგვისტოს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, საპარლამენტო არჩევნები აზერბაიჯანში ამიერიდან მთლიანად მაჟორიტარული სისტემით ჩატარდება.

მილი მეჯლისის დეპუტატად შეიძლება არჩეული იქნეს აზერბაიჯანის მოქალაქე 25 წლის ასაკიდან. პარლამენტში არ აირჩევიან აზერბაიჯანის ის მოქალაქეები, რომელთაც ორმაგი მოქალაქეობა აქვთ, არიან სხვა ქვეყნების სახელმწიფო სამსახურში, მუშაობენ აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში.

მილი მეჯლისის გამოკლებული დეპუტატების ხელახალი არჩევისას, ახლადარჩეული პარლამენტარის უფლებამოსილება იფარგლება იმ ვადით, რა ვადითაცაა არჩეული მოცემული მილი მეჯლისი.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით აირჩევა. აზერბაიჯანის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს საარჩევნო უფლების მქონე ამ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც 35 წელი შეუსრულდა და აზერბაიჯანში ცხოვრობს არანაკლებ 10 წლისა. პრეზიდენტობის კანდიდატს აუცილებლად უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათ-

ლება. პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის განათლების ცენზის მოთხოვნა მსოფლიო პრაქტიკაში იშვიათობას წარმოადგენს.

აზერბაიჯანის კონსტიტუცია ადგენდა მსოფლიოში ყველაზე მაღალ მოთხოვნას პრეზიდენტად ასარჩევად საჭირო ხმების რაოდენობის თაობაზე. გამარჯვებისათვის კანდიდატმა უნდა მოაგროვოს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ორი მესამედი (!). აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰ.ალიევმა ეს ბარიერი ორჯერ დასძლია წარმატებით პირველივე ტურში (1993 წ. მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 89%, 1998 წ. — 75%). კონსტიტუციის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში ვერავინ მოაგროვებდა ხმების ორ მესამედს, ორი კვირის შემდეგ ინიშნებოდა მე-2 ტური. მასში მონაწილეობას მიიღებდა პირველ ტურში საუკეთესო შედეგების მქონე ორი კანდიდატი. მეორე ტურში არჩეულად ითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც მეტოქესთან შედარებით მეტ ხმებს მოაგროვებდა (ანუ მე-2 ტურში „არჩევის ზღურბლი" მკვეთრად მცირდებოდა).

2002 წლის 24 აგვისტოს, რეფერენდუმის შედეგად, კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტის არჩევისათვის საკმარისია ხმების ნახევარზე მეტი (50% + 1). ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს გაუორმაგდა არჩევნების შედეგების გამოცხადებისათვის განკუთვნილი ვადა (ორი კვირა, ერთის ნაცვლად).

რეფერენდუმის თანახმად, კანონით განსაზღვრულ ვითარებაში პრეზიდენტის უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს პრემიერ-მინისტრს (რომელსაც პრეზიდენტი ნიშნავს) და არა სპიკერს (რომელსაც პარლამენტი ირჩევს). ამავე დროს, გაუქმდა კონსტიტუციის158-ე მუხლის ის პუნქტი, რომლის თანახმად, პრეზიდენტსა და პარლამენტს ეკრძალებოდათ თავიანთ უფლებამოსილებათა შეცვლის შესახებ საკონსტიტუციო ინიციატივით ვამოსვლა.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. ერთი და იგივე პირის არჩევა მხოლოდ ორი ვადით შეიძლება. 1995 წლის კონსტიტუციის გარდამავალი დებულებების თანახმად, ორი ვადის ათვლა იწყება კონსტიტუციის მიღების შემდეგ ჩატარებული არჩევნებიდან, ანუ 1998 წ. საპრეზიდენტო არჩევნებიდან. ეს ნიშნავს, რომ ჰ.ალიევს, რომელიც საბჭოთა პერიოდში 13 წელი მართავდა აზერბაიჯანს (1969—1982 წწ.), 1993 წ. აირჩიეს აზერბაიჯანის პრეზიდენტად და 1998 წ. ხელახლა არჩეულია მე-2 საპრეზიდენტო ვადით, ფაქტობრივად უფლება აქვს მე-3 ვადითაც იქნეს არჩეული — 2008 წლამდე.

კონსტიტუციური მოთხოვნა — საპრეზიდენტო მმართველობის ორი ვადით შეზღუდვა — მხოლოდ დემოკრატიულობის დეკორაციას წარმოადგენს. ამგვარი ვითარება დამახასიათებელია შუა აზიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვისაც.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანამდებობის ვადამდელი გათავისუფლების შემთხვევაში სამი თვის ვადაში უნდა ჩატარდეს ახალი პრეზიდენტის არჩევნები.

ბელორუსია

1991—1994 წლებში ბელორუსია საპარლამენტო რესპუბლიკა იყო. 1994 წლის კონსტიტუციით ბელორუსია საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა. 1996 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ბელორუსია საპრეზიდენტო რესპუბლიკად გადაიქცა, ამასთან, პრეზიდენტს ისეთი ფართო უფლებამოსილებანი აქვს, რომ ბელორუსიას სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკაც კი შეიძლება ეწოდოს.

ბელორუსიის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია, ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად მხოლოდ ორი ვადით შეიძლება იყოს. პრეზიდენტი შეიძლება გახდეს დაბადებით ბელორუსიის მოქალაქე, რომელსაც 35 წელი შეუსრულდა და არჩევნების წინ მუდმივად ცხოვრობს ბელორუსიაში 10 წლის განმავლობაში. პრეზიდენტობის კანდიდატმა უნდა მოაგროვოს არანაკლებ 100 ათასი ამომრჩევლის მხარდამჭერი ხელმოწერა.

ბელორუსიის პრეზიდენტს უშუალოდ ხალხი ირჩევს. არჩევნები შემდგარად ითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო სიებში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, 14 დღის შემდეგ ტარდება მე-2 ტური. მასში მონაწილეობს ის ორი კანდიდატი, რომელთაც ყველაზე მეტი ხმები დააგროვეს პირველ ტურში. მე-2 ტურში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს (50%+1 ხმა). საპრეზიდენტო არჩევნები ინიშნება არა უგვიანეს 5 თვისა და ტარდება არა უგვიანეს 2 თვისა პრეზიდენტის უფლებამოსილების გასვლამდე.

თუ პრეზიდენტის პოსტი რაღაც მიზეზის გამო ვაკანტური გახდა, მაშინ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება ვაკანსიის გაჩენიდან არა უადრეს 30 დღისა და არა უგვიანეს 70 დღისა.

ბელორუსიის პარლამენტი, 1996 წლის კონსტიტუციით, ორპალატიანია: წარმომადგენელთა პალატა ხალხის მიერ არჩეული 110 დეპუტატისგან შედგება, სენატში კი 54 სენატორი შედის — ბელორუსიის ექვსი ოლქიდან თითოეულს 9 სენატორი წარმოადგენს. ამასთან, ყოველი ოლქიდან 6 სენატორს ირჩევს საოლქო საბჭოები, ხოლო ერთ მესამედს პრეზიდენტი ნიშნავს. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა 4 წელია.

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი შეიძლება იყოს 21 წელს მიღწეული ბელორუსიის მოქალაქე, სენატისა კი — 30 წელს მიღწეული, რომელიც არანაკლებ 5 წელია ცხოვრობს შესაბამისი ოლქის ტერიტორიაზე.

ესტონეთი

1992 წლის კონსტიტუციით, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ესტონეთის სახელმწიფო კრება. ის შედგება 101 დეპუტატისგან, აირჩევა პროპორციული სისტემით 4 წლის ვადით.

სახელმწიფო კრების დეპუტატობის კანდიდატი შეიძლება გახდეს ესტონეთის ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც ხმის უფლება აქვს და 21 წელი შეუსრულდა. არჩევნები ტარდება ყოველი მეოთხე წლის მარტის პირველ კვირა დღეს.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. იგი შეიძლება იყოს დაბადებით ესტონეთის მოქალაქე, რომელსაც 40 წელი შეუსრულდა. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია, ერთი და იგივე პირი ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით შეიძლება აირჩეს. პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება არა უადრეს 60 დღისა და არა უგვიანეს 10 დღისა მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების გასვლამდე.

პრეზიდენტის არჩევა ორი წესით ხდება: ჯერ სახელმწიფო კრების მიერ, რისთვისაც საჭიროა ხმების ორი მესამედი. თუ პრეზიდენტი პარლამენტმა ვერ აირჩია, მაშინ მას ირჩევს ამომრჩეველთა სპეციალური კოლეგია.

კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის არჩევის შემდეგ პროცედურას: პრეზიდენტობის კანდიდატის წამოყენება შეუძლია სახელმწიფო კრების წევრების არანაკლებ ერთ მეხუთედს; ტარდება არჩევნების პირველი ტური, რისთვისაც აუცილებელია დეპუტატების ხმების ორი მესამედი. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ აირჩიეს პირველ ტურში, მაშინ მომდევნო დღეს ტარდება მე-2 ტური. ხდება კანდიდატების ხელახალი წამოყენება და გამარჯვებისათვის კვლავ აუცი-

ლებელია პარლამენტართა ხმების ორი მესამედის მიღება. იმ შემთხვევაში, თუკი მე-2 ტურშიც ვერავინ აირჩიეს, იმავე დღეს ტარდება მე-3 ტური, რომელშიც მონაწილეობს მე-2 ტურის ორი საუკეთესო კანდიდატი. თუ ამ ორი კანდიდატიდან ვერც ერთი მე-3 ტურშიც ვერ მოაგროვებს ხმების ორ მესამედს, მაშინ ერთი თვის ვადაში იკრიბება ამომრჩევლების კოლეგია. იგი შედგება სახელმწიფო კრების დეპუტატებისაგან და ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოების წარმომადგენლებისაგან (ადგილობრივი თვითმმართველობს ყოველი საბჭო წარმოგზავნის მინიმუმ 1 ამომრჩეველს). პრეზიდენტობის კანდიდატებს კოლეგიაზე ასარჩევად აყენებს სახელმწიფო კრება — ეს უნდა იყოს ორი კანდიდატი, რომელთაც დეპუტატების ყველაზე მეტი ხმა მოაგროვეს და ასევე პრეზიდენტობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს კოლეგიის არანაკლებ 21 წევრს.

ამომრჩეველთა კოლეგია წამოყენებული კანდიდატებიდან ირჩევს ესტონეთის პრეზიდენტს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს, მაშინ იმავე დღეს ტარდება კენჭისყრა ორი საუკეთესო კანდიდატის მონაწილეობით და პრეზიდენტი ხდება ის, ვინც მეტოქეზე მეტ ხმას მოაგროვებს.

თურქმენეთი

1992 წლის კონსტიტუციით, თურქმენეთი არსებითად სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოადგენს, თუმცა ამჟამად ეს დახასიათებაც არაა საკმარისი და შეიძლება ვილაპარაკოთ პრეზიდენტ ს.ნიაზოვის პირადი ხელისუფლების რეჟიმის ჩამოყალიბებაზე .

თურქმენეთში პარლამენტის როლს ასრულებს მეჯლისი, რომელიც 5 წლის ვადით აირჩევა და 50 დეპუტატისგან შედგება. დეპუტატებს ირჩევენ ერთმანდატიან ოლქებში, რომლებშიც ამომრჩეველთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობა უნდა იყოს.

გარდა ამისა, არსებობს სახალხო საბჭო — ხალკ მასლახატი, რომელშიც, პრეზიდენტთან ერთად, შედიან მეჯლისის დეპუტატები და ქვეყნის მთელი მმართველობითი ელიტა. ხალკ მასლახატი წელიწადში ერთხელ იკრიბება.

რეალური ხელისუფლება პრეზიდენტის ხელშია თავმოყრილი. პრეზიდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ თურქმენი, რომელსაც 40 წელი შეუსრულდა და მუდმივად ცხოვრობს თურქმენეთში. როგორც ვხედავთ, თურქმენეთის კონსტიტუციის თავისებურებას წარმოადგენს

ეროვნული ცენზის დაწესება — პრეზიდენტობის კანდიდატი მხოლოდ მკვიდრი ეროვნების წარმომადგენელი — თურქმენი — შეიძლება იყოს.

პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით. ფორმალურად დადგენილია პრეზიდენტის უფლებამოსილების 5-წლიანი ვადა და ერთი და იგივე პირი შეიძლება პრეზიდენტად აირჩიონ მხოლოდ ორი ვადით. რეალობა კი შემდეგია: 1990 წ. ბოლოს თურქმენეთის პრეზიდენტად აირჩიეს ადგილობრივი კომპარტიის პირველი მდივანი საპარმურად ნიაზოვი 5 წლის ვადით. 1994 წ. იანვარში ჩატარდა რეფერენდუმი უფლებამოსილების 4 წლით გაგრძელების შესახებ (შემდეგ ეს მეთოდი ყაზახეთსა და უზბეკეთშიც გამოიყენეს). 1999 წელს ამოიწურა ნიაზოვის პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადა, რომელიც 4 წლით იყო გაგრძელებული, მაგრამ მაშინ თურქმენეთში არც ახალი რეფერენდუმი ჩატარდა და არც ახალი საპრეზიდენტო არჩევნები.

თურქმენეთში მიღებულმა ახალმა კანონმა დააზუსტა საკონსტიტუციო მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ხელისუფლების სათავეში ყოფნის ვადის შეზღუდვა (ორი 5-წლიანი ვადა) ვრცელდება მხოლოდ კონსტიტუციის მიღების შემდეგ არჩეულ პრეზიდენტზე.

ლატვია

1991 წელს ლატვიამ შესწორებებით და დამატებებით აღადგინა 1922 წლის კონსტიტუცია. ლატვიის პარლამენტია ერთპალატიანი სეიმი, რომელიც 100 დეპუტატისგან შედგება. ლატვიის სეიმი აირჩევა პროპორციული სისტემით სამი წლის ვადით. არჩევნები ტარდება სეიმის უფლებამოსილების მე-3 წლის ნოემბრის პირველ კვირას.

ლატვია იყოფა ცალკეულ საარჩევნო ოლქებად და დეპუტატების რაოდენობა, რომელიც მოცემული ოლქიდან აირჩევა, განისაზღვრება ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად. სეიმში შეიძლება არჩეული იქნეს ლატვიის ყოველი მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 21 წელი შეუსრულდა.

რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს სეიმი 3 წლის ვადით. არჩევისათვის საჭიროა სეიმის წევრთა უმრავლესობის (51 ხმა) მხარდაჭერა. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეული იქნეს არა უმეტეს ორი ვადისა.

პრეზიდენტს უფლება აქვს დაშალოს სეიმი. ამ შემთხვევაში ინიშნება რეფერენდუმი სეიმის დაშლის შესახებ. თუ ამომრჩეველთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს სეიმის დაშლას, მაშინ სეიმი დაშლილად ითვლება და ტარდება ახალი არჩევნები. თუ უმრავლესობა სეიმის

დაშლის წინააღმდეგი აღმოჩნდება, მაშინ სეიმი აგრძელებს მუშაობას, ხოლო პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება და სეიმი დაუყოვნებლივ ირჩევს ახალ პრეზიდენტს.

ლიტვა

1992 წლის კონსტიტუციით ლიტვის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ერთპალატიანი პარლამენტი — სეიმი. სეიმს უშუალოდ ხალხი ირჩევს 4 წლის ვადით და შედგება 141 დეპუტატისაგან.

სეიმის წევრად შეიძლება არჩეული იქნეს ლიტვის მოქალაქე, რომელიც ფიცით ან ვალდებულებით არაა დაკავშირებული უცხოეთის სახელმწიფოსთან, არჩევნების დღისათვის 25 წელი შეუსრულდა და მუდმივად ცხოვრობს ლიტვაში. სეიმის მორიგი არჩევნები ტარდება მიმდინარე სეიმის უფლებამოსილების გასვლიდან არა უადრეს ორი თვისა და არა უგვიანეს ერთი თვისა.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც საყოველთაო კენჭისყრით აირჩევა 5 წლის ვადით, ერთი და იგივე პირი პრეზიდენტი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორი ვადის განმავლობაში.

ლიტვის პრეზიდენტი შეიძლება იყოს დაბადებით ლიტვის მოქალაქე, რომელსაც 40 წელი შეუსრულდა და უფლება აქვს არჩეული იყოს სეიმში. ამასთან, ლიტვაში ცხოვრობს ბოლო 3 წლის განმავლობაში. პრეზიდენტობის კანდიდატმა ასევე უნდა მოაგროვოს არანაკლებ 20 ათასი ამომრჩევლის მხარდამჭერი ხელმოწერა.

ლიტვის პრეზიდენტის საარჩევნო სისტემა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: თუ პირველ ტურში ხმის მისაცემად მივიდა რეგისტრირებული ამომრჩევლების 50%-ზე მეტი, მაშინ ასარჩევად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტი. თუ პირველ ტურში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 50%-ზე ნაკლებმა, მაშინ არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმებს მოაგროვებს, მაგრამ მან უნდა მიიღოს რეგისტრირებული ამომრჩევლების ხმების არანაკლებ ერთი მესამედისა. თუ პირველ ტურში ვერავინ მიიღო ხმების აუცილებელი რაოდენობა, მაშინ ორი კვირის შემდეგ ტარდება არჩევნების მე-2 ტური. მასში მონაწილეობას ღებულობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგების მქონე ორი კანდიდატი. მე-2 ტურში ამ ორი კანდიდატიდან არჩეულად ითვლება ის, რომელიც მეტოქესთან შედარებით მეტ ხმებს მოაგროვებს. თუ პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა კანდიდატმა და ვერც

ერთმა მათგანმა ვერ მოაგროვა ხმების აუცილებელი რაოდენობა, ტარდება განმეორებითი არჩევნები.

მოლდოვა

1994 წლის კონსტიტუციით უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც 101 დეპუტატისგან შედგება და 4 წლის ვადით ირჩევა. პარლამენტის არჩევნები ტარდება არა უგვიანეს 3 თვის განმავლობაში წინა პარლამენტის უფლებამოსილების გასვლიდან ან ვადაზე ადრე დათხოვნიდან.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც საყოველთაო კენჭისყრით აბსოლუტური უმრავლესობის 2-ტურიანი სისტემით ირჩევა. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტი შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით იყოს არჩეული. პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება იყოს 35 წელს მიღწეული მოლდავეთის მოქალაქე, რომელიც ცხოვრობდა ან ცხოვრობს მოლდავეთის ტერიტორიაზე არანაკლებ 10 წლისა და ფლობს სახელმწიფო ენას.

არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების არანაკლებ ნახევარს. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმების აუცილებელ რაოდენობას, მეორე ტურში მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმებს მოაგროვებს, იმ პირობით, რომ მისთვის მიცემული ხმები აღემატება მის წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას.

რუსეთი

1993 წლის კონსტიტუციით რუსეთი, ფაქტობრივად, საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე 4 წლის ვადით ირჩევენ. დაშვებულია ხელახალი ვადით არჩევა, მაგრამ არაუმეტეს ორი ვადისა ზედიზედ.

პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება იყოს 35 წელს მიღწეული რუსეთის მოქალაქე, მაგრამ არ უნდა ჰქონდეს ორმაგი მოქალაქეობა. პრეზიდენტობის კანდიდატი ასევე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

პრეზიდენტობის კანდიდატების წამოყენების უფლება აქვთ საზოგადოებრივ გაერთიანებებს, ამომრჩევლებს და თავად კანდი-

დატებს. კანდიდატის სტატუსით დარეგისტრირებისათვის აუცილებელია 1 მილიონი ამომრჩევლის მხარდამჭერი ხელმოწერების წარდგენა, ამასთან, ფედერაციის თითოეულ სუბიექტზე ხელმოწერების 7%-ზე მეტი არ უნდა მოდიოდეს. რეგისტრირებულ კანდიდატებს აქვთ თანაბარი უფლებები და თანაბარი მოვალეობები. მათ ეკრძალებათ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები აუცილებლად ალტერნატიული უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუკი რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი კანდიდატი, არჩევნები უფრო მოგვიანო პერიოდისათვის უნდა გადაიდოს.

ორგანო, რომელიც ახორციელებს რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების ორგანიზაციულ ღონისძიებებს, არის მუდმივად მოქმედი ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისი ორგანოები ადგილებზე.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს ფედერაციის საბჭო. არჩევნები ტარდება მოქმედი პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების დამამთავრებელი თვის მომდევნო თვეს, პირველივე კვირა დღეს. ხოლო არჩევნები ინიშნება ამ თარიღამდე არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 4 თვისა. გარკვეულ შემთხვევებში (პრეზიდენტის სიკვდილი, გადადგომა და ა.შ.) ფედერაციის საბჭომ შეიძლება დანიშნოს ვადამდელი არჩევნებიც.

კანონი ითვალისწინებს არჩევნების დაფინანსების განსაკუთრებულ პროცედურას როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების, ისე სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო დაფინანსება იმისთვისაა გავალისწინებული, რომ შეძლებისდაგვარად თანაბარი პირობები შეიქმნას კანდიდატებისათვის. კანდიდატებმა უნდა შექმნან საკუთარი საარჩევნო ფონდები.

პრეზიდენტის არჩევნები შემდგარად ითვლება, თუკი მასში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებული ამომრჩევლების 50%-ზე მეტმა და თუკი იმ კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობა, რომელმაც სხვებზე მეტი ხმა მოაგროვა, ნაკლებია ყველა კანდიდატის წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობაზე. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტს.

იმ შემთხვევაში, თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმების 50%-ზე მეტს, მაშინ ტარდება ხელმეორე კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობს ის ორი კანდიდატი, რომელთაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს პირველ ტურში. მე-2 ტურში არჩეულად ითვლება ის

კანდიდატი, რომელიც მეტოქეზე მეტ ხმებს მოაგროვებს, იმ პირობით, რომ წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა ნაკლებია გამარჯვებულისათვის მიცემული ხმების რაოდენობაზე.

ხელმეორე კენჭისყრა ერთი კანდიდატურის პირობებშიც შეიძლება ჩატარდეს, თუკი რეგისტრირებული კანდიდატების გამოკლების შემდეგ ერთი პრეტენდენტი დარჩება. ამასთან, ის ჩაითვლება არჩეულად იმ შემთხვევაში, თუკი მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების ხმების 50%-ზე მეტს.

იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნები არშემდგარად ჩაითვალა, თუკი ხელმეორე კენჭისყრის დროს ორივე კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, ანდა თუკი არც ერთი კანდიდატი არ იქნა არჩეული პრეზიდენტის თანამდებობაზე, ფედერაციის საბჭო ნიშნავს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ხელმეორე არჩევნებს.

რუსეთის ფედერაციის პარლამენტი ორი პალატისაგან შედგება — სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოსაგან. სახელმწიფო სათათბირო „ქვედა პალატის" როლს ასრულებს. მასში 450 დეპუტატია, რომელსაც საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით ირჩევენ 4 წლის ვადით. ფედერაციის საბჭო წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სუბიექტების ინტერესებს და შედგება 178 წევრისაგან. თითოეული სუბიექტი წარმოდგენილია ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირებით.

სახელმწიფო სათათბიროში საარჩევნო უფლება რუსეთის მოქალაქეებს 18 წლის ასაკიდან აქვთ, ხოლო დეპუტატობის კანდიდატი 21 წლის ასაკიდან შეიძლება გახდეს. საარჩევნო უფლება არა აქვთ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებს და იმათ, ვინც სასამართლოს გადაწყვეტილებით სასჯელს იხდიან საპატიმროებში.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს ნიშნავს რუსეთის პრეზიდენტი წინა მოწვევის სათათბიროს უფლებამოსილების ამოწურვამდე არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 4 თვისა. თუ პრეზიდენტი არჩევნებს არ დანიშნავს დადგენილ ვადაში, მაშინ ცენტრალური საარჩევნო კომისია თავად ნიშნავს არჩევნებს სახელმწიფო სათათბიროს უფლებამოსილების ამოწურვის თვის მომდევნო თვეში, პირველ ან მე-2 კვირა დღეს.

არჩევნები ტარდება შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით. 225 დეპუტატი აირჩევა დაახლოებით თანაბარი სიდიდის საარჩევნო ოლქებიდან, ამასთან, ფედერაციის სუბიექტის ტერიტორიაზე მინიმუმ ერთი ოლქი მაინც უნდა იყოს. 225 წევრს ირჩევენ საერთოფედერალური პარტიული სიების მიხედვით.

არჩევნები შემდგარად ითვლება, თუკი მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 25%-ზე მეტმა. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც მეტოქეებზე მეტი ხმა მოაგროვა, იმ პირობით, რომ „ყველას წინააღმდეგ“ არაა მიცემული უფრო მეტი ხმა (ერთმანდატიან ოლქებში).

ფედერალურ ოლქში პროპორციული არჩევნების შედეგები შემდეგი წესით განისაზღვრება:

— თუ არანაკლებ ორი ფედერალური სიის კანდიდატებმა, რომელთაგან თითოეულმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 5% და მეტი, მთლიანობაში მოაგროვეს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების ხმების 50%-ზე მეტი, მაშინ მხოლოდ ეს სიები დაიშვება დეპუტატთა მანდატების განაწილებაში დანარჩენი პარტიების მიერ წარმოდგენილი სიები, რომელთაც ვერ გადალახეს 5%-იანი ბარიერი, დეპუტატთა მანდატებს ფედერალური საარჩევნო ოლქიდან არ ღებულობენ;

— თუ კანდიდატების იმ ფედერალურმა სიებმა, რომელთაგან თითოეულმა მიიღო ხმების 5% და მეტი, ერთობლივად მოაგროვეს ამომრჩეველთა ხმების 50% და ნაკლები, მაშინ გარდა იმ სიებისა, რომელთაც გადალახეს 5%-იანი ბარიერი, მანდატების განაწილებაში დაიშვებიან ის პარტიული სიებიც, რომელთაც 5%-ზე ნაკლები და 3%-ზე მეტი მიიღეს. დაიშვება იმდენი სია, სანამ მათ მიერ მიღებული ხმების ერთობლიობა ამომრჩეველთა ხმების 50%-ს არ გადააჭარბებს;

— თუ კანდიდატების ერთმა ფედერალურმა სიამ მიიღო ხმების 50%-ზე მეტი, ხოლო სხვა ფედერალურმა სიებმა მიიღეს 5%-ზე ნაკლები, მაშინ მანდატების განაწილებაში დაიშვება ის ფედერალური სიაც, რომელიც თავისი შედეგებით მეორე ადგილზე გავიდა.

სომხეთი

1995 წლის კონსტიტუციით სომხეთის პრეზიდენტს ირჩევენ საყოველთაო არჩევნების გზით 5 წლით, ორტურიანი, აბსოლუტური უმრავლესობის სისტემით. ერთი და იგივე პირს პრეზიდენტის პოსტის დაკავება ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით შეუძლია.

სომხეთის პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ პირი, რომელიც უკანასკნელი 10 წელი არის სომხეთის მოქალაქე, შეუსრულდა 35 წელი და აქვს საარჩევნო უფლება. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების გასვლამდე 50 დღით ადრე. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო იმ ხმების ნახევარზე მეტი, რაც ყველა კანდიდატმა. თუ კენჭისყრა ტარდებოდა

ორზე მეტ კანდიდატს შორის და ვერც ერთმა ვერ მიიღო ხმების აუცილებელი რაოდენობა, მაშინ მე-14 დღეს ტარდება კენჭისყრის მეორე ტური. მასში მონაწილეობს მხოლოდ ორი კანდიდატი, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს პირველ ტურში. მეორე ტურში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტოქეზე მეტ ხმას მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუკი კენჭისყრა ერთ კანდიდატზე ტარდება, მაშინ იგი არჩეულად ითვლება, თუკი მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს. თუკი რესპუბლიკის პრეზიდენტი ვერ აირჩიეს, მაშინ კენჭისყრიდან მე-40 დღეს ტარდება ახალი არჩევნები.

სომხეთის კონსტიტუციის თანახმად, თუკი პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატისათვის წარმოიქმნება გადაულახავი წინააღმდეგობანი, მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ორი კვირით უნდა გადაიდოს. თუკი ამ ვადაში გადაულახავად მიჩნეული წინააღმდეგობანი დაძლეული არ იქნება, ან თუკი ერთ-ერთი კანდიდატი გარდაიცვლება ხმის მიცემის დღემდე, მაშინ ტარდება ახალი არჩევნები. ახალი არჩევნები ტარდება გადაულახავი წინააღმდეგობების აღიარებიდან მე-40 დღეს. პრეზიდენტის გადადგომის, გარდაცვალების, უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის გამო ვაკანსიის წარმოქმნიდან მე-40 დღეს ტარდება რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები.

სომხეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანი ეროვნული კრებაა, რომელიც 131 დეპუტატისგან შედგება და 4 წლის ვადით ირჩევა. ეროვნული კრების მორიგი არჩევნები ტარდება წინა პარლამენტის უფლებამოსილების გასვლამდე 60 დღის განმავლობაში. სომხეთის პარლამენტის დეპუტატი შეიძლება გახდეს საარჩევნო უფლებების მქონე სომხეთის მოქალაქე, რომელსაც 25 წელი შეუსრულდა, უკანასკნელი ხუთი წელი არის სომხეთის მოქალაქე და ამავე პერიოდში მუდმივად ცხოვრობს სომხეთში.

ტაჯიკეთი

1994 წლის კონსტიტუციით, ტაჯიკეთის უმაღლესი საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანოა პარლამენტი — მაჯილისი ოლი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევენ. დეპუტატი შეიძლება იყოს ტაჯიკეთის მოქალაქე, რომელსაც 25 წელი შეუსრულდა.

სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც საყოველთაო კენჭისყრით ირჩევა აბსოლუტური უმრავლესობის ორტურიანი სისტემით 5 წლის ვადით. ერთი

და იგივე პირი შეიძლება იყოს ტაჯიკეთის პრეზიდენტი ზედიზედ არა უმეტეს ორი ვადისა.

ტაჯიკეთის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ამ ქვეყნის მოქალაქე 35 წლიდან 65 წლამდე ასაკისა, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და ტაჯიკეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს უკანასკნელი 10 წელი მაინც. მან ასევე უნდა მოაგროვოს ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის მხარდამჭერი ხელმოწერები.

პრეზიდენტის არჩევნები შემდგარად ითვლება, თუკი მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს.

უზბეკეთი

1991 წლის კონსტიტუციით, უზბეკეთი სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკაა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენს ერთპალატიანი პარლამენტი — ოლი მაჟლისი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევენ, და პრეზიდენტი.

ოლი მაჟლისის დეპუტატებს ირჩევენ ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში მრავალპარტიული არჩევნების საფუძველზე. დეპუტატი შეიძლება გახდეს უზბეკეთის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 25 წელი შეუსრულდა.

უზბეკეთის პრეზიდენტი შეიძლება იყოს 35 წელს მიღწეული უზბეკეთის მოქალაქე, რომელიც უზბეკეთში ცხოვრობს არჩევნების წინ არანაკლებ 10 წლისა და ფლობს სახელმწიფო ენას. ერთი და იგივე პირი შეიძლება პრეზიდენტად არჩეულ იქნეს ზედიზედ არა უმეტეს ორი ვადისა.

პრეზიდენტი ირჩევა საყოველთაო კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს პრეზიდენტი მხოლოდ ორი ვადით. თუმცა, ეს დებულება ფიქციას წარმოადგენს. 1991 წელს პრეზიდენტად არჩეულმა ი.კარიმოვმა 1995 წელს მორიგი არჩევნების ნაცვლად, ჩაატარა რეფერენდუმი უფლებამოსილების გაგრძელების თაობაზე.

უკრაინა

1996 წლის კონსტიტუციის თანახმად, უკრაინა შერეული საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. უკრაინის უმაღლესი

საკანონმდებლო ორგანო — უმაღლესი რადა — ერთპალატიანია და 450 დეპუტატისგან შედგება. უმაღლესი რადის უფლებამოსილების ვადა 4 წელია.

უმაღლეს რადას ირჩევენ შეფარდებითი უმრავლესობის შერეული (მაჟორიტარულ-პროპორციული) სისტემით. დეპუტატების ნახევარს (225) ირჩევენ ერ...მანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში ერთ ტურად. კვორუმი საჭირო არაა: არჩევნები შემდგარად ითვლება, თუკი მასში მონაწილეობა მიიღო თუნდაც ერთმა ამომრჩეველმა. ითვლება, რომ ის ამომრჩევლები, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს არჩევნებში, მხარს უჭერენ იმ ამომრჩევლების აზრს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმების შეფარდებით უმრავლესობას (სხვა კანდიდატებზე მეტს) მოაგროვებს. დეპუტატების მეორე ნახევარს (225 დეპუტატი) ირჩევენ პროპორციული სისტემით საერთო უკრაინულ საარჩევნო ოლქში. მანდატების განაწილებაში დაიშვება მხოლოდ ის პარტიები, რომლებმაც გადალახეს 4%-იანი გადამღობი ბარიერი. არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების უკანასკნელი წლის მარტის უკანასკნელ კვირა დღეს.

უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატი შეიძლება იყოს უკრაინის მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა და რომელიც უკრაინაში ცხოვრობს არჩევნების წინ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ასევე არ არის ნასამართლევი განზრახ ჩადენილი დანაშაულისთვის.

უკრაინის პრეზიდენტის უფლებამოსილება 5 წლითაა განსაზღვრული. ერთსა და იმავე პირს პრეზიდენტის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორი ვადით ეკავოს. უკრაინის პრეზიდენტი შეიძლება იყოს უკრაინის მოქალაქე, რომელსაც 35 წელი შეუსრულდა, არჩევნების წინ უკრაინაში ცხოვრობდა არანაკლებ 10 წელი და ფლობს სახელმწიფო (უკრაინულ) ენას.

უკრაინის პრეზიდენტი ირჩევა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით. არჩევნები შემდგარად რომ ჩაითვალოს, მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს სიაში შეტანილი ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების ხმების ნახევარზე მეტს. თუ პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების აუცილებელი რაოდენობა, მაშინ ორი კვირის შემდეგ ტარდება მე-2 ტური. მასში მონაწილეობს ის ორი კანდიდატი, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმები დააგროვეს პირველ ტურში. მე-2 ტურში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეორეზე მეტ ხმებს მოაგროვებს.

ყაზახეთი

1993 წლის კონსტიტუციამ ყაზახეთში საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკა დაამყარა, სადაც პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილებანი ერთმანეთს აწონასწორებდა. პარლამენტი ერთპალატიანი იყო, არსებობდა ვიცე-პრეზიდენტის ინსტიტუტი. 1995 წლის კონსტიტუციამ მკვეთრად გააძლიერა პრეზიდენტის უფლებამოსილება და ყაზახეთში საპრეზიდენტო რესპუბლიკა დაამყარა.

პრეზიდენტი სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ფიგურაა. მას საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით 7 წლის ვადით ირჩევენ. არჩევნები შემდგარად ითვლება, თუკი მასში მონაწილეობას მიიღებს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 50%-სა. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 60%-ზე მეტს. თუ პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს 60%-ს, მაშინ ორი კვირის შემდეგ ტარდება მე-2 ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგების მქონე ორი კანდიტატი. მე-2 ტურში მათგან არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტოქესთან შედარებით მეტ ხმებს მოაგროვებს. პრეზიდენტის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში 2 თვის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ახალი არჩევნები.

ყაზახეთის პრეზიდენტი შეიძლება იყოს დაბადებით ყაზახეთის მოქალაქე 35 წლიდან 65 წლის ასაკამდე, რომელიც თავისუფლად ფლობს სახელმწიფო ენას და ყაზახეთში ცხოვრობს არანაკლებ 15 წლისა.

ერთი და იგივე პირი ყაზახეთის პრეზიდენტი შეიძლება იყოს მხოლოდ ორი ვადით. ეს ნორმა დაფიქსირებულია ყაზახეთის კონსტიტუციის ყველა რედაქციაში, მაგრამ რეალურად საკმაოდ პირობით ხასიათს ატარებს. ყაზახეთის ახლანდელი პრეზიდენტი ნ.ნაზარბაევი ამ პოსტზე აირჩია პარლამენტმა 1990 წლის გაზაფხულზე 5 წლის ვადით; 1991 წ. დეკემბერში ის კვლავ აირჩიეს 5 წლის ვადით უკვე საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით. საპრეზიდენტო უფლებამოსილების დამთავრებამდე ერთი წლით ადრე — 1995 წ. ჩატარდა რეფერენდუმი ნ.ნაზარბაევისათვის უფლებამოსილების 5 წლით გახანგრძლივების თაობაზე, ანუ 1991 წელს არჩეულ ნაზარბაევს რეფერენდუმით 2000 წლამდე გაუგრძელდა ვადა (თუმცა კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პრეზიდენტის უფლებამოსილების რეფერენდუმით გაზრდის ინსტიტუტს).

1998 წ. შემოდგომაზე 1995 წლის კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები: პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5-დან 7 წლამდე გაიზარდა (მსოფლიო პრაქტიკა ჩვეულებრივ მიუღებლად მიიჩნევს ვადის გადიდებას, თუკი თანამდებობის პირი უფრო ნაკლები ვადით იყო არჩეული. ვადის გადიდება შესაძლებელია მხოლოდ ახალი არჩევნების ჩატარების დროიდან). 1991—1998 წლებში ნაზარბაევის პრეზიდენტობა ჩაითვალა მის პირველ საპრეზიდენტო ვადად, ხოლო 1999 წ. იანვარში ნაზარბაევი არჩეული იქნა მეორე 7-წლიანი ვადით.

ყაზახეთის პარლამენტი, რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევენ, შედგება ორი პალატისაგან. მაჟლისი, რომელიც ქვედა პალატის როლს ასრულებს, შედგება 67 დეპუტატისაგან. მათ მაჟორიტარული პრინციპით ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში ირჩევენ. საარჩევნო ოლქები იქმნება რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების გათვალისწინებით, იმ პირობით, რომ ყოველ მათგანში დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ამომრჩევლები იყვნენ. მაჟლისის მორიგი არჩევნები ტარდება მოქმედი პარლამენტის უფლებამოსილების დამთავრებამდე არა უგვიანეს ორი თვისა.

არჩევნები შემდგარად ითვლება, თუკი კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 50%-ზე მეტმა. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო. იმ შემთხვევაში, თუკი ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების აღნიშნული რაოდენობა, მაშინ ტარდება ხელმეორე კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობს ის ორი კანდიდატი, რომლებსაც ყველაზე მეტი ხმა აქვთ მოგროვილი. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს.

სენატში წარმოდგენილია ყაზახეთის ოლქები. თითოეული ოლქიდან 2 სენატორი იგზავნება 4 წლის ვადით. სენატორებს ირჩევენ ოლქის ყველა წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატების კრებაზე. ყოველ ორ წელიწადში სენატორთა ნახევარი განახლებას ექვემდებარება. 7 სენატორს პრეზიდენტი ნიშნავს.

ყაზახეთის კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ მოთხოვნებს უყენებს „ზედა" პალატაში ასარჩევ კანდიდატებს. სენატორი შეიძლება გახდეს 30 წელს მიღწეული პირი, რომელსაც ყაზახეთის მოქალაქეობა არანაკლებ 5 წელია რაც აქვს; გარდა ამისა, მას მოეთხოვება უმაღლესი განათლება, მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წლისა და არანაკლებ 3 წელი მუდმივად უნდა ცხოვრობდეს იმ ოლქში, სადაც ირჩევენ. მაჟლისის დეპუტატისათვის მოთხოვნები

უფრო დაბალია: კანდიდატი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე 25 წელს მიღწეული პიროვნება.

ყირგიზეთი

1993 წლის კონსტიტუციით, ყირგიზეთი ფაქტობრივად საპრეზიდენტო რესპუბლიკაა.

ყირგიზეთის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. ერთი და იგივე პირი ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორი ვადით იქნეს არჩეული. ყირგიზეთის პრეზიდენტს ირჩევს უშუალოდ ხალხი აბსოლუტური უმრავლესობის 2-ტურიანი სისტემით. ყირგიზეთის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ამ ქვეყნის მოქალაქე 35-წლიდან 65 წლამდე ასაკისა, რომელიც რესპუბლიკაში არანაკლებ 15 წელია რაც ცხოვრობს. იგი უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და თავის მხარდასაჭერად შეაგროვოს ამომრჩეველთა არანაკლებ 50 ათასი ხელმოწერა.

პრეზიდენტის არჩევნები შემდგარად ითვლება, თუკი მასში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ყველა ამომრჩევლის 50%-ზე მეტმა. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების ხმების ნახევარზე მეტს. თუ პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების ნახევარზე მეტი, მაშინ მეორე ტურში მონაწილეობს მხოლოდ ორი კანდიდატი, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმები მიიღეს. განმეორებით კენჭისყრაში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც ხმების ნახევარზე მეტს მოაგროვებს, იმ პირობით, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა ამომრჩევლის 50%-ზე მეტმა.

ა.აკაევი, რომელიც 1991 წ. აირჩიეს პრეზიდენტად, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად შეეცადა, მეზობელი თურქმენეთის, უაზახეთისა და უზბეკეთის მსგავსად, ჩაეტარებინა რეფერენდუმი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის 5 წლით გასაგრძელებლად. მაგრამ მაშინ პარლამენტმა უარი უთხრა და 1995 წლის ბოლოს არჩეული იქნა მეორე საპრეზიდენტო ვადით.

ყირგიზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა ხუთი წლის ვადით არჩეული პარლამენტი — ჟოგორკუ კენეში, რომელიც ორი პალატისაგან შედგება. საკანონმდებლო კრება მთელი ხალხის ინტერესებს წარმოადგენს და 35 დეპუტატისგან შედგება. ხალხის წარმომადგენელთა კრება ტერიტორიულ ინტერესებს წარმოადგენს და 70 დეპუტატისგან შედგება. პარლამენის წევრი შეიძლება იყოს

ყირგიზეთის მოქალაქე, რომელსაც 25 წელი შეუსრულდა და რესპუბლიკაში ცხოვრობს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მაინც.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საარჩევნო სისტემები

ბულგარეთი

1991 წლის კონსტიტუციის მიხედვით ბულგარეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — სახალხო კრებაში 240 დეპუტატი შედის. პარლამენტარი შეიძლება გახდეს ბულგარეთის მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა. პარლამენტი პროპორციული სისტემით, 4 წლის ვადით აირჩევა.

სახელმწიფოს მეთაურს პრეზიდენტი წარმოადგენს. მას ვიცე-პრეზიდენტთან ერთად, საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით 5 წლით ირჩევენ. ერთი და იგივე პირის არჩევა მხოლოდ ორი ვადით შეიძლება.

არჩეულად ითვლება პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს მოაგროვებს. არჩევნები კი შემდგარად ითვლება იმ შემთხვევაში, თუკი მასში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების აუცილებელი რაოდენობა, მაშინ ერთი კვირის განმავლობაში ტარდება მე-2 ტური. მასში მონაწილეობს ორი კანდიდატი, რომელთაც ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა მოაგროვეს პირველ ტურში. გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი (ვიცე-პრეზიდენტთან ერთად), რომელიც მეტოქეზე მეტ ხმებს მიიღებს.

ბულგარეთის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი შეიძლება გახდეს დაბადებით ბულგარეთის მოქალაქე, რომელსაც 40 წელი შეუსრულდა, პასუხობს სახალხო წარმომადგენლად არჩევის პირობებს და ქვეყანაში ცხოვრობს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

პრეზიდენტის არჩევნები ტარდება წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების დამთავრებიდან არა უადრეს 3 და არა უგვიანეს 2 თვისა. პრეზიდენტის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი იკავებს პრეზიდენტის თანამდებობას და რჩება ამ თანამდებობაზე იმ მანდატის დამთავრებამდე, რა ვადითაც იყვნენ არჩეულნი.

იუგოსლავია

იუგოსლავიის ფედერაციაში შედის სერბია და ჩერნოგორია. 1992 წლის კონსტიტუციით იუგოსლავიის პრეზიდენტს ირჩევს საკავშირო სკუპშჩინა (პარლამენტი) 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პიროვნების მეორე ვადით არჩევა არ შეიძლება.

იუგოსლავიის ფედერაციის პარლამენტი — საკავშირო სკუპშჩინა — ორი პალატისაგან შედგება. ესაა მოქალაქეთა ვეჩე, რომელიც მთელი ხალხის ინტერესებს წარმოადგენს, და რესპუბლიკების ვეჩე, რომლებიც რესპუბლიკების ინტერესებს წარმოადგენს.

მოქალაქეთა ვეჩეში ირჩევენ 1 დეპუტატს ყოველი 65 ათასი ამომრჩევლისაგან, ამასთან, თითოეული რესპუბლიკიდან უნდა აირ"ჩიონ არა ნაკლებ 30 პარლამენტარი. იმის გამო, რომ ჩერნოგორია სერბიაზე მნიშვნელოვნად პატარაა, ჩერნოგორიაში ერთ პარლამენტარს ყოველი 20 ათასი ამომრჩევლიდან ირჩევენ. რესპუბლიკების ვეჩე 40 დეპუტატისგან შედგება, თითოეულ რესპუბლიკას 20 პარლამენტარი წარმოადგენს. საკავშირო სკუპშჩინის უფლებამოსილების ვადა 4 წელია.

პოლონეთი

1997 წლის კონსტიტუციის თანახმად, პოლონეთი შერეული საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, რომლის სათავეშიც პრეზიდენტი დგას.

საკანონმდებლო ხელისუფლებას პოლონეთში ახორციელებს სეიმი და სენატი. ეს ორი პალატა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთდროულად ტარდება მათი არჩევნები. უფლებამოსილების ვადა 4 წელს შეადგენს.

სეიმში 460 დეპუტატი შედის. მათი არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება. აქედან 69-ს ირჩევენ სრულიად პოლონეთის საარჩევნო ოლქში (ე.ი. პარტიული სიებითა და მთელი ქვეყნის მასშტაბით); 391 დეპუტატს ირჩევენ პარტიული სიებით ტერიტორიულ მრავალმანდატიან (3-დან 17 მანდატამდე) ოლქებში. თავისი წევრების პარლამენტში ასარჩევად პარტიამ უნდა გადალახოს 5%-იანი ბარიერი (როგორც სრულიად პოლონეთის ოლქში, ისევე ტერიტორიულ ოლქებში). პარტიული სიის რეგისტრაციისათვის ტერიტორიულ ოლქში აუცილებელია მხარდასაჭერად 5 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერების შეგროვება.

სენატი შედგება 100 დეპუტატისაგან, რომელთაც ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. კანონმდებელთა ჩანაფიქრის მიხედვით სეიმი უნდა წარმოადგენდეს მთელი ხალხის ინტერესებს, სენატი კი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების — სავოევოდოების — წარმომადგენლობა უნდა იყოს. ამიტომ 49 სავოევოდოდან თითოეული აგზავნის ორ სენატორს, ხოლო ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე — (ვარშავისა და კატოვიცეს სავოევოდოები) სამ-სამ სენატორს. სეიმის წევრობისათვის ასაკობრივი ცენზი 21 წელია, სენატში კი — 30 წელი.

პოლონეთის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად მხოლოდ ორი ვადით შეიძლება იყოს. პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ პოლონეთის მოქალაქე, რომელსაც 35 წელი შეუსრულდა და აქვს საარჩევნო უფლებები.

პრეზიდენტს ირჩევენ საყოველთაო კენჭისყრით. არჩევნები შემდგარად ითვლება, თუკი მასში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებული ამომრჩევლების ნახევარზე მეტმა. არჩევნებში გამარჯვებისათვის აუცილებელია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტის (50%+1 ხმა) მოგროვება. თუ არჩევნების შედეგად ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ტარდება მე-2 ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგების მქონე ორი კანდიდატი. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტოქესთან შედარებით მეტ ხმებს მოაგროვებს, ოღონდ იმ პირობით, რომ მიცემული ხმების რაოდენობა უნდა აღემატებოდეს ორივე კანდიდატის წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობას.

რუმინეთი

1991 წლის კონსტიტუციით, რუმინეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ორპალატიანი პარლამენტია, რომელსაც 4 წლით ირჩევენ.

რუმინეთის პრეზიდენტს ირჩევენ საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით 4 წლის ვადით. არჩევისათვის აუცილებელია ხმების უმრავლესობის მიღება ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან. თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, მაშინ ინიშნება მე-2 ტური. მასში მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. გამარჯვებულად ითვლება ის, რომელიც მეტოქეზე მეტ ხმებს მოაგროვებს. ერთი და იგივე პირის არჩევა პრეზიდენტად მხოლოდ ორი ვადით შეიძლება.

სლოვაკეთი

სლოვაკეთი 1992 წლის კონსტიტუციით საპარლამენტო რესპუბლიკაა. ქვეყნის პარლამენტი — ეროვნული საბჭო — 150 დეპუტატისგან შედგება, რომელიც 4 წლით ირჩევა. დეპუტატი შეიძლება იყოს სლოვაკეთის მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა და მუდმივად ცხოვრობს სლოვაკეთში.

სლოვაკეთის პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი 5 წლის ვადით. პრეზიდენტის არჩევისათვის აუცილებელია კანდიდატმა მოიპოვოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა. სლოვაკეთის პრეზიდენტი შეიძლება იყოს ამ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც 35 წელი შეუსრულდა, ამასთან, ერთი და იგივე პირის არჩევა მხოლოდ ორი ვადით შეიძლება.

უნგრეთი

ამჟამად უნგრეთში მოქმედებს 1949 წ. კონსტიტუცია ცვლილებებითა და დამატებებით. ცვლილებების დიდი ნაწილი 1989-1990 წლებში შეიტანეს.

უნგრეთის ერთპალატიანი პარლამენტი — სახელმწიფო კრება 386 დეპუტატისგან შედგება და 4 წლით აირჩევა. მისი არჩევა ხდება მაჟორიტარულ-პროპორციული (შერეული) 3-დონიანი სისტემით: 175 პარლამენტარი აირჩევა ერთმანდატიანი ოლქებიდან (1-ლი დონე); 152 პარლამენტარი — პარტიული სიებით მრავალმანდატიანი ტერიტორიული ოლქებიდან (მე-2 დონე); 58 პარლამენტარი — პარტიული სიებით სრულიად უნგრეთის საარჩევნო ოლქში (მე-3 დონე).

ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება წამოყენებული იყოს სამივე დონეზე. თუკი იგი არჩეული იქნება ერთმანდატიან ოლქში, ამოირიცხება პარტიული სიებიდან და მის ადგილს იკავებს რიგით მომდევნო კანდიდატი. ერთმანდატიან ოლქში დამარცხების შემთხვევაში კანდიდატს აქვს შანსი პარლამენტში მოხვდეს პარტიული სიით ტერიტორიულ მრავალმანდატიან ოლქში (მაშინ იგი ამოიშლება სრულიად უნგრეთის საარჩევნო ოლქის პარტიული სიიდან). თუ კანდიდატი მრავალმანდატიან ოლქშიც ვერ გავიდა, მაშინ მას დარჩება შანსი პარლამენტში მოხვდეს პარტიული სიით სრულიად უნგრეთის საარჩევნო ოლქში.

კანდიდატებს ერთმანდატიან ოლქებში აყენებენ პარტიები, ასევე დაშვებულია თვითწამოყენებაც. კანდიდატად რეგისტრირებისათვის საჭიროა 750 ამომრჩევლის ხელმოწერა.

არჩევნების შედეგები ერთმანდატიან ოლქებში განისაზღვრება შემდეგნაირად: არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტს დააგროვებს, იმ პირობით, თუ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 50%-მა. იმ შემთხვევაში, თუკი ვერცერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმების 50%-ზე მეტს, მაშინ ინიშნება მე-2 ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგების მქონე 4 კანდიდატი; მე-2 ტური შემდგარად ითვლება ამომრჩეველთა 25%-ის მონაწილეობის შემთხვევაში და არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმებს მოაგროვებს. იმ შემთხვევაში, თუკი პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 50%-ზე ნაკლებმა, მაშინ მე-2 ტურში გადის პირველ ტურში მონაწილე ყველა კანდიდატი, ხოლო დეპუტატი ხდება ის კანდიდატი, რომელიც სხვებთან შედარებით მეტ ხმას მოაგროვებს. ოღონდ მე-2 ტური შემდგარად რომ ჩაითვალოს, მაშინ მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ამომრჩეველთა 25%-მა მაინც.

რამდენიმემანდატიან ტერიტორიულ ოლქებში ბრძოლა მიმდინარეობს პარტიებს შორის. მანდატები ნაწილდება თითოეულ ოლქში მათ მიერ მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით.

საერთო-უნგრულ ოლქში (მე-3 დონე) მანდატები ასევე პროპორციული სისტემით ნაწილდება. მანდატების განაწილებაში დაიშვება მხოლოდ ის პარტიები, რომელთაც 5%-იანი ბარიერი გადალახეს. პარტიები, რომლებიც ამას ვერ მოახერხებენ, მანდატებს ვერ მიიღებენ ვერც საერთო-უნგრულ ოლქში და ვერც ტერიტორიულ ოლქებში.

ასეთმა რთულმა და ორიგინალურმა საარჩევნო სისტემამ, უნგრელ კანონმდებელთა ჩანაფიქრის მიხედვით, ყველაზე სრულად და ობიექტურად უნდა ასახოს ამომრჩეველთა განწყობა.

უნგრეთის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. პრეზიდენტი შეიძლება გახდეს უნგრეთის მოქალაქე, რომელსაც 35 წელი შეუსრულდა და აქვს საარჩევნო უფლება. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტი შეიძლება იყოს მხოლოდ ორი ვადით. უნგრეთის პრეზიდენტს ირჩევს სახელმწიფო კრება. იმისათვის რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, მან უნდა უზრუნველყოს 50-ზე მეტი პარლამენტარის მხარდაჭერა. პრეზიდენტის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით. არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს პარლამენტის დეპუტატების ხმების ორ მესამედს.

თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას, ხელახლა ხდება კანდიდატების წამოყენება და კენჭისყრა.

არჩევისათვის კვლავ საჭიროა პარლამენტართა ხმების ორი მესამედის მოგროვება.

თუკი მეორე კენჭისყრის დროსაც ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმების საჭირო რაოდენობას, მაშინ ინიშნება მესამე კენჭისყრა. ამჯერად არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ ორ კანდიდატს შორის, რომელთაც ყველაზე მეტი ხმა მოაგროვეს მეორე კენჭისყრის დროს. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მოაგროვებს, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი პარლამენტარი მონაწილეობდა არჩევნებში. პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს სამი დღის განმავლობაში.

ჩეხეთი

1992 წლის კონსტიტუციით, ჩეხეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. პარლამენტი შედგება დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან.

დეპუტატთა პალატაში 200 წევრია, რომელთაც პროპორციული სისტემით (პარტიული სიებით) ირჩევენ. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა 4 წელია. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე ჩეხეთის მოქალაქე, რომელსაც 21 წელი შეუსრულდა.

სენატი შედგება 81 სენატორისგან. ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით, ოლქების მიხედვით. ყოველ ორ წელიწადში გადაირჩევა სენატორთა მესამედი. სენატორის უფლებამოსილების ვადა 6 წელია. სენატორად შეიძლება აირჩიონ საარჩევნო უფლების მქონე ჩეხეთის მოქალაქე, რომელსაც 40 წელი შეუსრულდა.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ ჩეხეთის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც სენატში არჩევის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 5 წელია. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება მხოლოდ ორი ვადით აირჩიონ. ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს.

პრეზიდენტის არჩევის პროცედურა რიგ სტადიებს ითვალისწინებს: პრეზიდენტობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს ანარანაკლებ 10 დეპუტატს ან არანაკლებ 10 სენატორს. პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. პარლამენტი პრეზიდენტს ირჩევს პალატების ერთობლივ სხდომაზე, ამასთან, პირველი კენჭისყრის დროს ცალ-ცალკე ითვლიან დეპუტატებისა და სენატორების ხმებს. პირველ ტურში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც

ცალ-ცალკე დეპუტატებისა და სენატორების ხმების ნახევარზე (სიითი შემადგენლობიდან) მეტს მოაგროვებს.

იმ შემთხვევაში, თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეძლებს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაშინ მე-2 ტურში გადის ორი კანდიდატი — ის, ვინც ხმების უმრავლესობა მოაგროვა დეპუტატთა პალატაში და ვინც ხმების უმრავლესობა მოაგროვა სენატში. თუ რომელიმე პალატაში ორმა კანდიდატმა ხმების თანაბარი რაოდენობა მოაგროვა, მაშინ მე-2 ტურში გადის ის, რომელსაც მეტი ხმები აქვს მოგროვებული მეორე პალატაში. მე-2 ტურში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც დამსწრე სენატორებისა და დამსწრე დეპუტატების ხმების ნახევარზე მეტს მოაგროვებს.

თუკი მე-2 ტურშიც ვერ მოხერხდება პრეზიდენტის არჩევა, მაშინ ინიშნება მე-3 ტური, რომელშიც იგივე ორი კანდიდატი მონაწილეობს. ამჯერად გამარჯვებისათვის საჭიროა დამსწრე დეპუტატებისა და სენატორების ხმების ნახევარზე მეტის მოგროვება, ანუ ცალ-ცალკე აღარ ითვლება სენატორებისა და დეპუტატების ხმები. ანუ მე-3 ტურში გამარჯვების მეტი შანსი აქვს ორიდან იმ კანდიდატს, რომელსაც მხარს დაუჭერს დეპუტატთა პალატა (იგი რაოდენობრივად 2,5-ჯერ აღემატება სენატს).

თუ მე-3 ტურშიც ვერ მოხერხდება პრეზიდენტის არჩევა, მაშინ ტარდება ახალი არჩევნები (ანუ პრეზიდენტის არჩევის პროცესი თავიდან იწყება).

ლათინური ამერიკის ქვეყნების საარჩევნო სისტემები

ბრაზილია

1988 წლის კონსტიტუცია ბრაზილიაში 20-წლიანი სამხედრო დიქტატურის შემდეგ მიიღეს. კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მმართველობის ფორმა 5 წლის შემდეგ ჩატარებულ პლებისციტზე უნდა გადაწყვეტილიყო. 1993 წლის პლებისციტით ბრაზილიაში საბოლოოდ დამკვიდრდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ბრაზილიის პრეზიდენტს უფრო მეტი უფლებამოსილებანი აქვს, ვიდრე აშშ-ს პრეზიდენტს.

ბრაზილიის პრეზიდენტს ირჩევენ საყოველთაო კენჭისყრით. მისი არჩევისათვის აუცილებელია ხმების 50% ამომრჩეველთა საერთო

რაოდენობიდან. თუ პირველ ტურში პრეზიდენტის არჩევა ვერ მოხერხდება, მაშინ 20-დღიან ვადაში ტარდება მე-2 ტური. მასში მონაწილეობს ორი კანდიდატი, რომელთაც ყველაზე მეტი ხმა მოაგროვეს პირველ ტურში. პრეზიდენტთან ერთად ირჩევენ ვიცე-პრეზიდენტსაც, რომელიც პრეზიდენტი ხდება პრეზიდენტის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში.

პრეზიდენტის უფლებამოსილება 5 წელია. 1985 წლიდან დამკვიდრებული წესის მიხედვით, იმისათვის რომ თავიდან აეცილებინათ დიქტატურისკენ დაბრუნების საფრთხე, ერთი პიროვნება პრეზიდენტად მხოლოდ ერთი ვადით შეიძლებოდა აერჩიათ. ეს წესი 1999 წელს შეიცვალა პრეზიდენტ ფ.კორდოზუს ძალისხმევით. მან ისარგებლა თავისი პოპულარობით და მიაღწია იმას, რომ ახალი წესით ერთი და იგივე პიროვნება პრეზიდენტად ორი ვადით შეიძლება იყოს არჩეული. 1999 წელს იგი მეორე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად.

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ნაციონალური კონგრესი, რომელიც დეპუტატთა პალატისაგან და ფედერალური სენატისაგან შედგება. დეპუტატთა პალატას პროპორციული სისტემით 4 წლის ვადით ირჩევენ და მთელი ხალხის ინტერესებს გამოხატავს. იგი 487 დეპუტატისაგან შედგება. დეპუტატების რაოდენობა ბრაზილიის თითოეული შტატიდან (ბრაზილიაში 25 შტატია) მისი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს არ უნდა იყოს 6 პარლამენტარზე ნაკლები.

მუშავდება საარჩევნო სისტემის რეფორმირების გეგმა. დეპუტატთა პალატას აირჩევენ შერეული სისტემით. დეპუტატთა ნახევარს — მაჟორიტარული სისტემით ერთმანდატიან ოლქებში, მეორე ნახევარს — პროპორციული სისტემით მრავალმანდატიან ტერიტორიულ ოლქებში, რომელთა საზღვრებიც შტატების საზღვრებს დაემთხვევა.

ფედერალური სენატი წარმოადგენს შტატების ინტერესებს. ის შედგება 72 სენატორისაგან. ყოველი შტატიდან და დედაქალაქის ოლქიდან აირჩევა 3 სენატორი. სენატორის უფლებამოსილების ვადა 3 წელია. ყოველ 4 წელიწადში განახლდება სენატორთა ჯერ ერთი მესამედი, შემდეგ ორი მესამედი. სენატორების არჩევნები მაჟორიტარული სისტემით ტარდება.

ბრაზილიელი სენატორების არჩევის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სენატორთან ერთად ირჩევენ მის ორ მოადგილეს. „ვიცე-სენატორები“ არ შედიან ფედერალური სენატის შემადგენლობაში, კენჭისყრაში არ მონაწილეობენ, მაგრამ სენატორის გარდა-

ცვალების ან გადადგომის შემთხვევაში ავტომატურად იკავებენ მის ადგილს.

ბრაზილიის საარჩევნო სისტემის ეროვნულ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ მოქალაქეებს აქტიური საარჩევნო უფლება 16 წლიდან აქვთ; 18-დან 70 წლამდე ასაკის მოქალაქეებისათვის არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულოა; აქტიური საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ რიგით სამხედრო მოსამსახურეებს. ამ ზომის მიზანია არმიის მაქსიმალური დეპოლიტიზება.

კუბა

კუბის 1976 წლის კონსტიტუცია სოციალისტურ ხასიათს ატარებს. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კუბის რესპუბლიკის სახალხო ხელისუფლების ნაციონალური ასამბლეა. მას უშუალოდ ხალხი ირჩევს 5 წლის ვადით. დეპუტატი თავისი ფუნქციების შესრულებას უთავსებს ძირითად სამუშაო ადგილზე მუშაობას. მათ იმპერატიული მანდატი აქვთ და ამომრჩეველთა მიერ ვადაზე ადრე შეიძლება იქნენ გაწვეულნი.

სახალხო ხელისუფლების ნაციონალური ასამბლეა წელიწადში ორჯერ რამდენიმე დღით იკრიბება. სესიებს შორის ქვეყანას ხელმძღვანელობს მისი სამუშაო ორგანო — სახელმწიფო საბჭო. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე არის სახელმწიფოს მეთაური და იმავდროულად მთავრობის მეთაურიც. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს კუბაში მთლიანად კომპარტია აკონტროლებს.

მექსიკა

1917 წლის კონსტიტუციის თანახმად მექსიკის შეერთებული შტატები საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, რომელსაც განსაკუთრებული უფლებამოსილებანი აქვს. მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე.

საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ორპალატიანი კონგრესია. დეპუტატთა პალატა მთელი ხალხის ინტერესებს წარმოადგენს. მას 3 წლის ვადით ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით. სენატი შტატების ინტერესებს წარმოადგენს. სენატში 6 წლის ვადით ირჩევა ყოველი შტატიდან 2 სენატორი. კონგრესის წევრი შეიძლება გახდეს დაბადებით მექსიკის მოქალაქე, რომელსაც 25 წელი შეუსრულდა (სენატორს — 35 წელი) და მუდმივად ცხოვრობს იმ ადგილას, საიდანაც არის არჩეული.

მექსიკის არჩევნების თავისებურება ისაა, რომ დეპუტატებთან და სენატორებთან ერთად ირჩევენ მათ მოადგილეებს („ვიცე-სენატორი", „ვიცე-დეპუტატი"), რომლებიც არ შედიან პალატების შემადგენლობაში, მაგრამ ეხმარებიან დეპუტატს და სენატორს მუშაობაში. მათი გარდაცვალების ან გადადგომის შემთხვევაში ავტომატურად ხდებიან დეპუტატები ან სენატორები.

აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში უდგას პრეზიდენტი. პრეზიდენტი შეიძლება იყოს დაბადებით მექსიკის მოქალაქე, რომლის მშობლებიც ასევე დაბადებით მექსიკის მოქალაქეები არიან. პრეზიდენტს საყოველთაო სახალხო კენჭისყრით ირჩევენ მხოლოდ ერთი 6-წლიანი ვადით. კონსტიტუცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არავითარ შემთხვევაში და არავითარი საბაბით არ შეიძლება ერთხელ არჩეული პრეზიდენტის მეორე ვადით არჩევა. იგივე ეხება შტატების გუბერნატორებს, რომელთაც მხოლოდ ერთი 6-წლიანი ვადით ირჩევენ.

აზიის ქვეყნების საარჩევნო სისტემები

თურქეთი

თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის ფორმაა; მოქმედებს 1982 წლის კონსტიტუცია ცვლილებებითა და დამატებებით. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი ეროვნული კრება (პარლამენტი), რომლის 550 წევრს მოსახლეობა ირჩევს 5 წლის ვადით. დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს თურქეთის ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი. პოლიტიკური პარტიები, რომლებიც პარლამენტში წარმოდგენილნი არიან სულ ცოტა ოცი დეპუტატით მაინც, ქმნიან საკუთარ ფრაქციებს.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს დიდი ეროვნული კრება (თავისი წევრების შემადგენლობიდან) 7 წლის ვადით. პრეზიდენტად არჩევისათვის საჭიროა პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედის მხარდაჭერა. თუ არჩევნების პირველ და მეორე ტურში ხმების ეს რაოდენობა არ მოგროვდა, მესამე კენჭისყრისათვის უპირატესობა ენიჭება კანდიდატს, რომელიც ხმების უბრალო უმრავლესობას მოაგროვებს. პრეზიდენტი არ უნდა იყოს არც ერთი პარტიის წევრი და მხოლოდ ერთხელ შეუძლია ამ თანამდებობის დაკავება.

პრეზიდენტის უფლებამოსილებაში შედის პრემიერ-მინისტრის დანიშვნა და მისი გადადგომის მიღება, პრემიერის წარდგინებით მინისტრების დანიშვნა და გადაყენება, საჭიროების შემთხვევაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. პრემიერი ინიშნება პარლამენტის წევრთაგან.

ვიეტნამი

1992 წლის კონსტიტუცია სოციალისტური ხასიათისაა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა ვიეტნამის სახალხო კრება, რომელსაც 5 წლით ირჩევენ. მისი დეპუტატები, კონსტიტუციის თანახმად, მთელი ხალხის ინტერესებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ იმპერატიული მანდატი აქვთ და ამომრჩევლებმა ნებისმიერ დროს შეიძლება გაიწვიონ.

ეროვნული კრება თავისი დეპუტატებიდან ირჩევს ვიეტნამის პრეზიდენტს, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის ტიპიურ ფუნქციებს ასრულებს.

იაპონია

იაპონიის 1947 წლის კონსტიტუციით, რომლის შემუშავებაშიც დიდი როლი შეასრულეს ამერიკელმა მრჩევლებმა, დამკვიდრებულია ხალხის სუვერენიტეტის პრინციპი (ხელისუფლება მომდინარეობს ხალხისგან და არა იმპერატორისაგან) და შენარჩუნებულია კონსტიტუციური მონარქია, მაგრამ იმპერატორის უფლებამოსილება მკვეთრად შეიზღუდა.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს პარლამენტი წარმოადგენს, რომელიც ორი არჩევითი პალატისაგან შედგება.

წარმომადგენელთა პალატა („ქვედა“ პალატა) 500 დეპუტატისგან შედგება, რომელიც 4 წლის ვადით აირჩევა ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემით. მთელი ქვეყანა იყოფა 129 მრავალმანდატიან ოლქად. თითოეულ მათგანში ბრძოლა მიდის 3—5 მანდატისათვის. ამომრჩეველი მრავალმანდატიან ოლქში ხმას აძლევს მხოლოდ ერთ კანდიდატს და დეპუტატები ხდებიან ის კანდიდატები, რომლებიც ყველაზე მეტ ხმებს დააგროვებენ (პირველი სამეული, თუკი ოლქში სამი მანდატია, პირველი 4 — თუკი ოლქი ოთხმანდატიანია და ა.შ.). ამრიგად, პარლამენტში წარმოდგენილია თითქმის ყველა ამომრჩეველი.

მრჩეველთა საბჭო („ზედა“ პალატა) შედგება 252 დეპუტატისგან (მრჩეველისაგან): 152 მრჩეველს ირჩევენ მრავალმანდატიან ოლქებში, რომელთა საზღვრებიც პრეფექტურების საზღვრებს ემთხვევა (ე.ი. მრჩევლებს პრეფექტურებიდან ირჩევენ), ერთი არავადაცემადი ხმის სისტემით; 100 მრჩეველს ირჩევენ პროპორციული სისტემით (პარტიული სიებით) საერთო ეროვნული ოლქის მასშტაბით. მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილების ვადა 6 წელია. ყოველ სამ წელიწადში გადაირჩევა მრჩეველთა ნახევარი.

შეიძლება გამოიყოს იაპონიის საარჩევნო სისტემის შემდეგი თავისებურებანი: ხმის უფლება აქვთ 20 წლის ასაკიდან; წარმომადგენელთა პალატაში არჩევის უფლება 25 წლის, ხოლო მრჩეველთა საბჭოში 30 წლის ასაკიდან აქვთ; კანდიდატებმა უნდა შეიტანონ საარჩევნო საწინდარი: ვინც წარმომადგენელთა პალატაში იყრის კენჭს, 3 მლნ იენი, ხოლო მრჩეველთა საბჭოში — 2 მლნ იენი. საწინდარი (გირაო) უკან არ ბრუნდება, თუკი კანდიდატმა ვერ მოაგროვა იმდენი ხმა, რომლის რიცხობრივი რაოდენობაც აღემატება ოლქში არსებული ამომრჩევლების რაოდენობის განაყოფს მანდატების რიცხვზე; საარჩევნო კამპანია ძალზე მოკლეა და მხოლოდ ორ კვირას გრძელდება; საარჩევნო კამპანიის დროს აკრძალულია აგიტაცია სხვა კანდიდატების წინააღმდეგ, კარდაკარ სიარული და ტელევიზიის გამოყენება 3 წუთზე მეტხანს; აგიტაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ოლქში გამოსვლა და ამომრჩევლებთან შეხვედრები; ასეთ პირობებში, როგორც წესი, თავისთავად საარჩევნო კამპანიას (განსაკუთრებით სრულიად ახალი კანდიდატისათვის) არ მოაქვს რაიმე განსაკუთრებული სარგებელი. პრაქტიკულად, არჩევნები იაპონიაში უკვე ჩამოყალიბებული რეპუტაციების კონკურენციას წარმოადგენს. გავრცელებულია ოჯახურობა და კლანურობა: დეპუტატთა დაახლოებით მეოთხედი ადრინდელი დეპუტატების შვილები, ცოლები და ნათესავებია.

ინდოეთი

ინდოეთის 1950 წლის კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დიდი კონსტიტუციაა, რომელიც 456 მუხლისგან შედგება. ინდოეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. ინდოეთის პარლამენტი შედგება სამი ნაწილისაგან: ინდოეთის პრეზიდენტი; სახალხო პალატა; შტატების საბჭო.

სახალხო პალატა ასრულებს „ქვედა“ პალატის როლს და წარმოადგენს მთელი ხალხის ინტერესებს. მასში შედის 547 დეპუტატი. აქედან 525-ს ირჩევენ შტატებიდან, 20-ს — საკავშირო ტერიტორიებიდან, ორს ნიშნავს პრეზიდენტი ინგლისურ-ინდური თემის წარმომადგენლებიდან.

დეპუტატების საერ_ ო რაოდენობიდან (547) ჩამორჩენილი ტომებისათვის დაჯავშნულია 38 ადგილი, ხოლო ჩამორჩენილი კასტებისათვის — 78 ადგილი (ე.ი. მთლიანობაში დაჯავშნულია 116 ადგილი), რათა ხელი შეეწყოს მოსახლეობის ცალკეული ფენების ჩამორჩენის დაძლევას.

სახალხო პალატის უფლებამოსილების ვადა 5 წელია, მაგრამ იმის გამო, რომ პალატის ვადამდე დაშლა შეიძლება, მისი მოქმედების ვადა გაცილებით უფრო ნაკლებია ხოლმე — ერთიდან სამ წლამდე.

შტატების საბჭო ასრულებს „ზედა“ პალატის როლს, მას აყალიბებს შტატები და მისი დაშლა არ შეიძლება.

ინდოეთის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და ფორმალურად — აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ინდოეთის პრეზიდენტს 5 წლით ირჩევს ამომრჩეველთა განსაკუთრებული კოლეგია. მასში შედის: პარლამენტის ორივე პალატის ყველა წევრი, ასევე შტატების წარმომადგენლები, რომელთაც შტატების ლეგისლატურები ირჩევს და მათი რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პარლამენტის არჩევითი წევრების საერთო რაოდენობას (რათა გააწონასწოროს პარლამენტი და შტატები).

მონღოლეთი

მონღოლეთის 1992 წლის კონსტიტუცია ერთ-ერთი ყველაზე მოკლეა მსოფლიოში და სულ 70 მუხლისგან შედგება. იგი მთლიანად დეიდეოლოგიზირებულია და თითქმის სრულიად მოკლებულია სოციალისტურ ხასიათს.

მონღოლეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო — დიდი სახალხო ჰურალი 76 დეპუტატისაგან შედგება. მათ უშუალოდ ირჩევენ მონღოლეთის მოქალაქეები 4 წლის ვადით.

მონღოლეთის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს ასრულებს. მას საყოველთაო სახალხო კენჭისყრით ირჩევენ ორ ტურად აბსოლუტური უმრავლესობის სისტემით. მიუხედავად იმისა, რომ ხალხის მიერაა არჩეული, პრეზიდენტი პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. მისი გადაყენება შეუძლია კიდეც დიდ სახელმწიფო პურალს დამსწრე დეპუტატების ხმების უბრალო უმრავლესობით.

ჩინეთი

1982 წლის კონსტიტუცია როგორც ფორმით, ისევე შინაარსით ტიპიური სოციალისტური კონსტიტუციაა. ჩინეთის კონსტიტუციური კონცეფცია არ ითვალისწინებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს იმ სახით, როგორც ეს მიღებულია ევროპაში. მთელი ხელისუფლება ეკუთვნის სახალხო წარმომადგენელთა კრებას.

არჩევნები ჩინეთში მრავალსაფეხურიანი (სამსაფეხურიანი) და არაპირდაპირია: ხალხი უშუალოდ ირჩევს სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების დეპუტატებს; სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებები ირჩევს სახალხო წარმომადგენელთა პროვინციული კრებების დეპუტატებს, ავტონომიური რაიონებისა და ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქების სახალხო წარმომადგენელთა კრებებს; სახალხო წარმომადგენელთა პროვინციული კრებები ირჩევს სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრების დეპუტატებს.

სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. ესაა მსოფლიოში ყველაზე დიდი პარლამენტი — მასში 3 ათასი სახალხო წარმომადგენელი შედის. როგორც უკვე ითქვა, მისი არჩევა არაპირდაპირი 3-საფეხურიანი არჩევნებით ხდება. დეპუტატთა ნაწილი აირჩევა შეიარაღებული ძალებიდან მრავალსაფეხურიანი არჩევნების შედეგად არმიის შიგნით. დეპუტატებს აქვთ იმპერატიული მანდატი, ანუ ისინი დამოკიდებულნი არიან ამომრჩეველთა ნებაზე, რომელთაც შეუძლიათ მათი გამოწვევა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ირჩევს სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრება და პასუხისმგებელია მის წინაშე. თავმჯდომარედ (და მის მოადგილედ) შეიძლება აირჩიონ ჩინეთის მოქალაქე, რომელსაც 45 წელი შეუსრულდა. ტრადიციულად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ კომპარტიის ცკ-ის გენერალურ მდივანს ირჩევენ.

მალხაზ მაცაბერიძე

არჩევნები და საზოგადოება

თბილისი
"მეცნიერება"
2003

გამომცემლობის რედაქტორი: რ. ბუაჩიძე
ტექრედაქტორი: ნ. ოკუჯავა
კორექტორები: ა.ყოგეშვილი
ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 23.12.02 ; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.05.03;
ქაღალდის ზომა 60X90 1/16; ქაღალდი ოფსეტი; ბეჭდვა ოფსეტური;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 30,5

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 500 შეკვეთა 242

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება
„მეცნიერება“
თბილისი, 380060, გამრეკელის ქ. 19